



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

წლიური ანგარიში



2023
თბილისი



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

წლიური ანგარიში

თბილისი
2023

UDC (უკ) 061.12. (479.22)

წ - 706

ყოველი წლის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომლის მიზანია „მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისათვის გაცნობა და აგრარის მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდება, თავი II, მუხლი 8, პუნქტი - ვ)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2023 წლის მოღვაწეობის ანგარიშში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, პრეზიდიუმთან არსებული: სამეცნიერო საბჭოს, აგრარული ინოვაციების კომისიის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, მისი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების სამეცნიერო, სამეცნიერო - ორგანიზაციული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობა, აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა და საანგარიშო წელს ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ასევე აკადემიის აჭარის ა/რ სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა.

აკადემიის 2023 წლის ანგარიში მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა (დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი) აკადემიის პრეზიდიუმის, პრეზიდიუმთან არსებული: სამეცნიერო საბჭოს, აგრარული ინოვაციების კომისიის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, მისი წევრების, ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

რედაქტორი: აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

რედაქტორის მოადგილე: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა „აგრო“

ტირაჟი - 70.

ISBN 978-9941-8-6358-5

შ ი ნ ა ა რ ს ი

	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია-66 (1957–2023 წ.წ. მოკლე ისტორია)	5
	ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან	8
	აკადემიის სტრუქტურა	9
	შესავალი	10
	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებები	14
თავი 1.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და აკადემიის სტიპენდიატების შემადგენლობა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	21
თავი 2.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი	40
2.1.	აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა	40
2.2.	აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული სხდომები	42
თავი 3.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	56
3.1.	აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება	56
3.1.1	აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები	58
3.2.	მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება	77
3.2.1.	მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	79
3.3.	აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება	87
3.3.1.	აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2023 წლის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ანგარიში	89
3.4.	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება	103
3.4.1.	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	106
3.5.	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება	118
3.5.1.	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	122
3.6.	ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება	137
3.6.1.	ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	139

თავი 4.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში	158
თავი 5.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის 2023 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში	160
თავი 6.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2023 წელს შესრულებული მუშაობის მოკლე ანგარიში	162
თავი 7.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2023 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	164
თავი 8.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ	193
თავი 9.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები	195
თავი 10.	სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საზეიმო შეხვედრები	199
თავი 11.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს გამოცხადებული აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის შედეგები	223
თავი 12.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიში	225
	ვიზიტები, საქმიანი შეხვედრები	328
	აკადემიის იუბილარები	337
	ღვაწლმოსილი მეცნიერების ხსოვნა	343

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - 66 (1957–2023 წ.წ. მოკლე ისტორია)

2023 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაარსებიდან 66 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფოს დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1957 წლის 12 დეკემბერს.

აკადემიის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარეა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაშია აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) - 30, აკადემიის სტიპენდიატი – 8.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მონაწილეობით საქართველოში შექმნილია სასოფლო – სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის ახალი ჯიშები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ათეულობით ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია; ჩაის მოვლა – მოყვანის, კრეფის და გადამამუშავების სამანქანო ტექნოლოგიები, შექმნილია 50-მდე ახალი მანქანა და ტექნიკური საშუალება, მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტექნიკური საშუალებები (მანქანები, მოწყობილობები, დანადგარები).

2013 წლიდან აკადემიის მიერ მომზადებულია და დაბეჭდილია 187 რეკომენდაცია (პრაქტიკული რჩევები ფერემერებსა და დარგის სპეციალისტებისათვის) სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით: ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის საკითხებზე, მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში, მეაბრეშუმეობაში, აგროინჟინერიაში, სატყეო საქმეში, სურსათის უვნებლობასა და სასურსათო ტექნოლოგიებში და სხვა.

აკადემია წლების განმავლობაში წარმატებით ურთიერთთანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ კვლევით ორგანიზაციებთან როგორებიცაა: CGIAR სასოფლო – სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (აშშ); ICARDA - მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (მოროკო); CIMMYT ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (მექსიკა); ICRISAT - ნახევრად არიდული ტროპიკული კულტურების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); BIOVERSITY INTERNATIONAL - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (იტალია); ACIRO – მსოფლიო მებოსტნეობის ცენტრი (ტაივანი); CACAARI - ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); IFPRI - სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ); CIP - კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (პერუ); ჩინეთისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; ბელორუსის და ლატვიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიები; ვაგილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი).

აკადემია ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციას "CACAARI", რომელშიც ამ რეგიონის 8 ქვეყანაა გაერთიანებული; აკადემია ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმთან „CGIAR“, რომლის შემადგენლობაშიც შედის მსოფლიოს 16 საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ექვსთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ერთობლივ კვლევებზე. 1998 წლიდან აკადემია არის სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალური ფორუმის „GFAR“ აქტიური წევრი.

ნაყოფიერია აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა: უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; უკრაინის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტთან (უკრაინა); ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან (უკრაინა); ვინიცის, პოდოლსკის, ოდესის და ბელაიაცერკოვის სახელმწიფო ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტებთან (უკრაინა); ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მეცნიერებათა აკადემიასთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკულ ინსტიტუტთან ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან; ჟურნალ "ახალ აგრარულ საქართველოსთან"; ტელევიზია "საფერავი ტვ"-თან.

აკადემიაში ფუნქციონირებს ექვსი სამეცნიერო განყოფილება და ორი დეპარტამენტი, აგრეთვე ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი, გამომცემლობა "აგრო", გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკი, აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი, დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი.

სამეცნიერო განყოფილებები:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი);
2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი);
3. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე);
4. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი);
5. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე);
6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი).

დეპარტამენტები:

1. აკადემიური (დეპარტამენტის უფროსი დოქტორი მარინე ბარვენაშვილი);
2. ადმინისტრაციული (დეპარტამენტის უფროსი აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას თავისი არსებობის მანძილზე სულ გამოქვეყნებული აქვს 9000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 280 მონოგრაფია და 190 სახელმძღვანელო, 410 გამოგონება და პატენტი; აკადემიის მეცნიერების მიერ გამოყვანილია მემცენარეობასა და მეცხოველეობაში 35 ახალი ჯიში, მიღებული აქვთ 148 სერტიფიკატი რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

2013 წლიდან აკადემიაში ჩატარდა 10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. აღნიშნულ კონფერენციებზე ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, შვედეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვას, რუსეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის და ლატვიის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მეცნიერები.

მათგან აღსანიშნავია, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირთან (UEAA) ერთად 2017, 2019, 2022 და 2023 წლებში ჩატარებული ოთხი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდვნა ვაზის და ხორბლის არსებულ მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში და განვითარების პერსპექტივებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ტექნოლოგიების პრობლემებს ევროპაში და პერსპექტივებს, სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნებას, კონსერვაციასა და გამოყენების პერსპექტივებს.

აღნიშნულის გარდა, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული იქნა მწუშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის:

1. საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - მოდერნიზაცია - 2030 წლამდე პერიოდისათვის, სახელმწიფო პროგრამის შემუშავების კონცეპტუალური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური საკითხები;
2. მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები (სახელმწიფო-მეცნიერების პარტნიორობა ქვეყნის მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი).
3. საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები).

2014 წლიდან აკადემია არის ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEAA) წევრი. 2020 წლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე UEAA-ს პრეზიდენტი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. დღეს ეს კავშირი აერთიანებს ევროპის 30 ქვეყანას. კავშირის მუშაობას მართავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან: საქართველოს, საფრანგეთის, იტალიის, შვედეთის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიეტუვას და უკრაინის აკადემიების წარმომადგენლები. დამკვირვებლების სახით: ესპანეთი და პორტუგალია.

ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში აკადემია) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში. იგი შედგება მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), წევრ - კორესპონდენტებისა და აკადემიის სტიპენდიატებისაგან, აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისა და უცხოელი წევრებისაგან.

2. აკადემია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ”, “საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” და აკადემიის წესდებით.

3. აკადემიის დანიშნულება და ამოცანები, მისი უფლებები, მართვა, სტრუქტურა და წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის წესდებით, რომელსაც იღებს და ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

4. აკადემიის სრული სახელწოდება ქართულ ენაზე – სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემოკლებული სახელწოდება ქართულ ენაზე - სსმმა.


5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სრული სახელწოდება ინგლისურ ენაზე – Georgian Academy of Agricultural Sciences. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემოკლებული სახელწოდება ინგლისურ ენაზე - GAAS.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადგილმდებარეობაა საქართველო, ქალაქი თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. #51;

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არსებობის ვადა შეუზღუდავია.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრატა აკადემიის სტრუქტურა



შესავალი

საქართველოს კანონის “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) მე-16¹ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ ...”საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულების განმსაზღვრელი, სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების II თავის მე-8 მუხლის მიხედვით საქართველოს კანონში მითითებული ვალდებულებების შესასრულებლად აკადემიის მიზნებია:

- ა) საქართველოში აგრარული მეცნიერების განვი-თარების ხელშეწყობა;
- ბ) ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების კოორდინაცია;
- გ) აგრარულ ტერმინოლოგიაზე ზრუნვა;

დ) ქვეყანაში აგრარული მეცნიერების განვითარების გზების პროგნოზირება. მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მთავრობაში წარდგენა;

- ე) ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევების შედეგების ექსპერტიზა;

ვ) მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და აგრარიკოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;

აკადემიის წესდების II თავის მე-9 მუხლის მიხედვით თავისი მიზნების განსახორციელებლად აკადემია:

ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერტული ხასიათის საქმიანობას. შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში, აყალიბებს და ხელმძღვანელობს დროებით შემოქმედებით ჯგუფებს, სამეცნიერო-კვლევით კოლექტივებს;

ბ) იხილავს და აფასებს აგრარული სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, ხოლო სათანადო რეკომენდაციები - დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს;

გ) ატარებს სამეცნიერო საქმიანობისა და ნაშრო-მების ექსპერტიზას. აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს;

დ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას;

ე) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; ატარებს საჯარო ლექციებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზა, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის, ისე საერთაშორისო მნიშვნელობის ორგანიზაციების და უწყებებში;

ვ) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; ამყარებს კავშირებს მსოფლიოს სამეცნიერო აკადემიებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და კვლევით ორგანიზაციებთან, წამყვან მეცნიერებთან;

ზ) კოორდინაციას უწევს სამეცნიერო დაწესებულებების კვლევით საქმიანობას;

თ) ანიჭებს აგრარულ სფეროში საუკეთესო ფუნდამენტალური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომისათვის პრემიას და გასცემს ჯილდოებს;

ი) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებულ, მათ შორის დამხმარე, ეკონომიკურ საქმიანობას.

კ) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

საანგარიშო წელს ზემოთ აღნიშნული კანონის უზენაესობის დაცვა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მუხლების შესრულება დაევაღათ იმ თვალსაჩინო აგრარიკოს-მეცნიერებს, რომლებიც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ - აკადემიის 30 ნამდვილ წევრს და აკადემიის 8 სტიპენდიატს, სულ 38 მეცნიერს და აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს - აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს და ექვს დარგობრივ მეცნიერებათა განყოფილებებს, როგორებიცაა აგრონომიულ; მეცხოველეობის და ვეტერინარიის; აგროინჟინერიის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებები.

აკადემიის მეცნიერების წლიური ინფორმაციების, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტისა და დარგობრივ მეცნიერებათა განყოფილებების გამოცდილებებისა და მეცნიერული ღირებულებების გათვალისწინებით შესრულდა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც შესავალისა და 12 თავისაგან შედგება.

მილოცვა

2023 წლის 25 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად არჩეულია აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს პრეზიდენტად არჩევას. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

2023 წლის 16 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია აკადემიკოსი გურამ ალექსიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს გურამ ალექსიძეს ვიცე-პრეზიდენტად არჩევას. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

2023 წლის 16 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო
კრების მიერ საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მდივნად არჩეულია
აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს
აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულისძეს
აკადემიის აკადემიკოს მდივნად არჩევას. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს,
წარმატებულ სამეცნიერო და
საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებები

2023 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის 3 საერთო კრება.

პირველი კრება ჩატარდა 23 მარტს

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: ალექსიძე გურამი, ასათიანი რევაზი, ბალათურია ნუგზარი, გიორგაძე ანატოლი, გუგუშვილი ჯემალი, დიდებულიძე ალექსანდრე, დოლიძე ლაშა, კაციტაძე ჯემალი, კვალიაშვილი ვაჟა, კვესიტაძე ედიშერი, კოპალიანი როლანდი, კოდუაშვილი პაატა, მარგველაშვილი გოგოლა, მახარობლიძე რევაზი, პაპუნაძე გურამი, რევიშვილი თემური, ტყემალაძე გურამი, უჯმაჯურიძე ლევანი, ფუტყარაძე ზაური, ყურაშვილი თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცქიტიშვილი ზურაბი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გივი; აკადემიის სტიპენდიატები: ბენაშვილი მამუკა, დულაშვილი დარეჯანი, კაციტაძე ეკატერინა, ტიგინაშვილი ზვიადი, ქავთარაძე გიორგი, ქუთელია გიორგი; მოწვეული სტუმრები: დოქტორი ბარვენაშვილი მარინე, იურიდიული სამსახურის უფროსი ქარქაშაძე თენგიზი, აკადემიური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი ჩაიკა ლარისა, აკადემიის კადრების ინსპექტორი მიგრიაული ეკატერინე.



აკადემიის საერთო კრებას თავმჯდომარეობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, კრების მდივანი იყო პრეზიდენტი მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. კრების თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მისალმების შემდეგ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის რწმუნებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით, აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; 2. საქართველოს

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ანგარიში 2018-2023 წლებში აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ; 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრების, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს - მდივნების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების დებულების პროექტის შესახებ. **მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე;** 4. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;** 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საქესპერტო-საკონკურსო კომისიის არჩევის შესახებ. **მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;** 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებისა და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს - მდივნების უფლებამოსილების შესახებ. **მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე;** 7. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ. **მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული სამსახურის უფროსი თენგიზ ქარქაშაძე;** 8. მიმდინარე საკითხები.

დამტკიცდა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეთა სია, დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი.

კრებაზე მოსმენილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2018-2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ“.

აკადემიის საერთო კრებაზე კრების მონაწილეთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით დოკუმენტურად წარმოდგენილი იქნა აკადემიის მიერ 2018-2023 წლებში გაწეული მუშაობის ამსახველი საინფორმაციო მასალები (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშები აკადემიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო-სამეცნიერო, რეფერირებადი ჟურნალი „მომხმე“; ყოველკვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი „აკადემიის მაცნე“; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ 2018-2023 წლებში გამოცემული რეკომენდაციები (88 რეკომენდაცია; ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულები (21 შრომათა კრებული); აკადემიის წევრების მიერ გამოცემული მონოგრაფიები, წიგნები და სახელმძღვანელოები (სულ 90); ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები: CACAARI (ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია), CGIAR (სასოფლო

-სამეურნეო კვლევების საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი), FAO (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია), ICARDA (მშრალი ტერიტორიების სოფლის მეურნეობის კვლევების საერთაშორისო ცენტრი), CIMMYT (ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი), Bioversity International (საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი). აგრეთვე აკადემიის მიერ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პოლონეთის, უკრაინის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, ყაზახეთის, ჩინეთის და სამხრეთ კორეის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ბათუმის, ქუთაისის, ახალციხის, თელავის, გორის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან. აკადემია წლებია წარმატებით თანამშრომლობს ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების მეცნიერ - მკვლევარებთან.

აკადემიის საერთო კრების მონაწილეთა მიერ განსაკუთრებით აღინიშნა ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირთან (UEAA) აკადემიის თანამშრომლობის შესახებ, რომლის წევრიც აკადემია გახდა აკადემიკოს გურამ ალექსიძის პრეზიდენტობის დროს.

აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის მიერ 2018-2023 წლებში გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად და წარმატებულად და აკადემიკოს გურამ ალექსიძეს აკადემიის პრეზიდენტობის პერიოდში გაწეული ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობისათვის გამოეცხადა მადლობა.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევამდე (საარჩევნო კამპანიის დასრულებამდე) აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს გივი ჯაფარიძის დამტკიცების შესახებ.

განხილული იქნა აკადემიის საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი.

დასასრულს კრების თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა აკადემიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას აკადემიის საერთო კრების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მეორე კრება ჩატარდა 25 მაისს

კრებას ესწრებოდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), აკადემიის სტიპენდიატები, აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების თანამშრომლები.

აკადემიის საერთო კრება გახსნა აკადემიის უზუცესმა წევრმა, აკადემიკოსმა ნოდარ ჩხარტიშვილმა. მოკლე მისალმების შემდეგ, მან საერთო კრების თავმჯდომარედ აკადემიის ნამდვილ წევრებს შესთავაზა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის კანდიდატურა, რაზედაც ერთსულოვანი თანხმობა მიიღო. აკადემიის საერთო კრების მდივნად არჩეული იქნა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.



კრების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საერთო კრების დღის წესრიგი: 1. აკადემიის პრეზიდენტის ასარჩევად საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით შექმნილი საექსპერტო-საკონკურსო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ. **მომხსენებელი: საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.** 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები.

აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ აკადემიის საერთო კრებას გააცნო საექსპერტო-საკონკურსო კომისიის დასკვნა, რომლის თანახმადაც „აკადემიკოს გივი ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სამეცნიერო-შრომითი საქმიანობა და კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს და აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე დაშვებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურში მონაწილეობის მისაღებად“.

აკადემიის საერთო კრების მუშაობის დღის წესრიგის თანახმად, გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები, რომელმაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ერთხმად აირჩია აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ გულთბილად მიულოცა ბატონ გივის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევა და უსურვა წარმატებები შემდგომ საქმიანობაში.

აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ინიციატივით დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა აკადემიის ექს-პრეზიდენტს, აკადემიკოს გურამ ალექსიძეს გაწეული ღვაწლისათვის და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა იგი.

საერთო კრების ბოლოს სიტყვით გამოვიდა აკადემიის ახლადარჩეული პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა აკადემიის წამდვილ წევრებს მხარდაჭერისათვის და იმედი გამოთქვა რომ ერთიანი ძალისხმევითა და შემართებით აკადემია კვლავაც ჩვეული წარმატებით გააგრძელებს თავის საქმიანობას.

აკადემიის საერთო კრების მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ.



მესამე კრება ჩატარდა 16 ივნისს

კრებას ესწრებოდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები), აკადემიის სტიპენდიატები, აკადემიის აპარატის თანამშრომლები.



აკადემიის საერთო კრება გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. აკადემიის საერთო კრების მდივნად არჩეული იქნა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.

კრების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საერთო კრების მუშაობის დღის წესრიგი:

1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

2. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და აკადემიის აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების შემადგენლობის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დებულების შესახებ.

მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი; აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე.

8. მიმდინარე საკითხები.

აკადემიის საერთო კრების მუშაობის დღის წესრიგის თანახმად, გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის და აკადემიის აკადემიკოს მდივნის არჩევნები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად არჩეული იქნა აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, ხოლო აკადემიის აკადემიკოს-მდივნად აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე. დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ გულთბილად მიულოცა ბატონ გურამს და ბატონ ალექსანდრეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე -პრეზიდენტად და აკადემიკოს-მდივნად არჩევა. უსურვა მათ წარმატებები შემდგომ საქმიანობაში.

აკადემიის წესდების თანახმად აკადემიის საერთო კრებამ დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების საერთო კრებების მიერ ჩატარებული არჩევნების შედეგები, რომლებმაც აკადემიკოს-მდივნებად აირჩიეს: აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში - აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში - აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში - აკადემიკოსი რევაზ მახარობლისძე; სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში - აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში - აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის წესდების თანახმად დამტკიცდა აკადემიის პრეზიდიუმის განახლებული შემადგენლობა. კრებამ ასევე დაამტკიცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დებულება.

აკადემიის საერთო კრების მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ.



თავი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და აკადემიის სტიპენდიატების შემადგენლობა 2023 წლის 31 დეკემბრისათვის

1. აკადემიის ნამდვილი წევრები

1.1. აკადემიკოსი ჯაფარიძე გივი გალაქტიონის-ძე



დაბადების თარიღი – 06.01.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; სამართალმცოდნე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი 18.02.2002;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 241, მათ შორის 2

სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 3 პროექტი, 27 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები (1974 წ.); “შრომითი წარჩინებისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, სატყეო კანონმდებლობა.

1.2. აკადემიკოსი ალექსიძე გურამ ნიკოლოზის-ძე



დაბადების თარიღი – 30.07.1939;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი მცებარეთა დაცვის განხრით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ექსპრეზიდენტი; ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CACCARI) -ს თავმჯდომარე;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი (14.07.1992);

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (26.12.2018);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 249, მათ შორის 14 წიგნი, 7 მონოგრაფია, 9 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 4.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომის წარჩინებული“ მედალი (1982 წ.); „ღირსების“ ორდენი (1999 წ.); ორი „ვერცხლის დიდი მედალი“ (2005, 2008 წწ.) დაჯილდოებულია საერთაშორისო ორგანიზაციების “CGIAR” და “ICARDA” მიერ; ნ. ვავილოვის სახელობის საიუბილეო მედალი (2013 წ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015).

მოღვაწეობის მიმართულება – მცენარეთა დაცვა.

1.3. აკადემიკოსი ასათიანი რევაზ ნოდარის-ძე



დაბადების თარიღი – 29.10.1951;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ ეკონომისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა – შპს “საქართველოს მელიორაცია”, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; სსმმ აკადემიის ეკონომიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 16.07.2004;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 84, მათ შორის 6 მონოგრაფია,

4 სახელმძღვანელო;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (1999 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.4. აკადემიკოსი ბაღათურია ნუგზარ შოთას-ძე



დაბადების თარიღი – 22.08.1945;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – საკონსერვო მრეწველობის ინჟინერ - ტექნოლოგი, საქართველოს სუპეროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 420, მათ შორის 33

მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო, 1 სტრატეგია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 36 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი პრემია (1982 წ.); სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1985 წ.); „ღირსების“ ორი ორდენი (1999, 2013 წწ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015 წ.); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედალი (2022 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების

1.5. აკადემიკოსი გაგოშიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე



დაბადების თარიღი - 18.10.1957;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი;

დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 01.05. 2019.

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 148, მათ შორის 2 სახელმძღვანელო; 6 მეთოდური მითითება, 2 მონოგრაფია;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. –

ღირსების მედალი (1999

წელი), პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი სატყეო ჯილდო –“საპატიო მედალი” და პოლონეთის მეტყევის დაშნა –“კორდელასი”; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსმმ აკადემიის საპატიო სიგელები (2016, 2017, 2018 წლები); საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია –საუკეთესო სახელმძღვანელოსათვის (2017 წელი). სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2010 წელი).

მოღვაწეობის მიმართულება – სატყეო მეურნეობა – ტყეთმცოდნეობა, მეტყევეობა

1.6. აკადემიკოსი გიორგაძე ანატოლი ანზორის-ძე



დაბადების თარიღი – 14.07.1969;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგი-ზოოინჟინერი, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ - სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 10.11. 2021, სტუ-ის მოწვეული პროფესორი, კამიანეც-პოდოლსკის (უკრაინა) აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

სამეცნიერო შრომების რაოდენობა – 97, მათ შორის 5 წიგნი, 1 მონოგრაფია, 11 ბროშურა-რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სსმმ აკადემიის პრემია საუკეთესო ნაშრომისათვის (2017 წელი), ექსპერტის წოდება (2017 წელი, ბრ.#01/16), სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი (2018 წელი);

მოღვაწეობის მიმართულება: მეცხოველეობა (მეფრინველეობა), სამონადირეო მეურნეობები და ფაუნა, ორგანული სოფლის მეურნეობა.

1.7. აკადემიკოსი გუგუშვილი ჯემალ სერგოს-ძე



დაბადების თარიღი – 14.04.1945;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული ზოოტექნიკოსი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლისმეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.2013;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 224, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 26 რეკომენდაცია, 1 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება, 1 პატენტი, 1 ჯიშის გამოყვანის ავტორი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (2000 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – მეცხოველეობა (მეზოცვრეობა).

1.8. აკადემიკოსი დიდებულიძე ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე



დაბადების თარიღი – 30.09.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

წევრ-კორესპონდენტი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 265, მათ შორის 16 მონოგრაფია, 10 სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 43 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - “ღირსების” ორდენი (1999წ.);

საუ-ის “უმაღლესი ჯილდო“ (2013 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია.

1.9. აკადემიკოსი დოლიძე ლაშა თამაზის-ძე



დაბადების თარიღი - 17. 09. 1965.

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, სსმმ აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 10.11. 2021.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 86, მათ შორის 4

მონოგრაფია, 6 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა. შ. - სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი - 2016.

მოღვაწეობის მიმართულება - სატყეო მეურნეობა, ტყეთმცოდნეობა, მეტყევეობა.

1.10. აკადემიკოსი კაციტაძე ჯემალ ბენიას-ძე



დაბადების თარიღი - 26.05.1937;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 286, მათ შორის 8 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო, 1 ლექსიკონი (რუსულ -

ქართული), 1 რეკომენდაცია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 14 გამოგონება, 4 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - “ღირსების” ორდენი (1999წ.); ორჯერ პრემირებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სანიმუშოდ შესრულებისათვის. სომხეთის ეროვნული უნივერსიტეტის ოქროს მედალი ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015).

მოღვაწეობის მიმართულება - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1.11. აკადემიკოსი კვალიაშვილი ვაჟა რომანის-ძე



დაბადების თარიღი – 29.08.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.13.

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 125; მათ შორის 1 წიგნი და 10 რეკომენდაცია, 3 პატენტი.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 3 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ნ. ვავილობის სახ. საიუბილეო მედალი, “შრომის წითელი დროშის” ორდენი, ორდენი “შრომითი მამაცობისათვის”;

მოღვაწეობის მიმართულება – ვაზისა და ხეხილის სელექცია.

1.12. აკადემიკოსი კვესიტაძე ედიშერ გიორგის-ძე



დაბადების თარიღი - 08.07.1962;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - ინჟინერ-ქიმიკოს ტექნოლოგი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ნატიფ ქიმიურ ნაერთთა ტექნოლოგიის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 10.11.2021;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 58, მ.შ. 2 წიგნი; 1 მონოგრაფია.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 2 პატენტი;

მოღვაწეობის მიმართულება - აგრარული და კვების პროდუქტების ნარჩენების კონვერსია და სხვა ნაერთებით მდიდარ არატოქსიურ პროდუქტებად მათი გამოყენება. სადედე შტამებისა და ფერმენტული პრეპარატების შესწავლა და წარმოება.



1.13. აკადემიკოსი კოპალიანი როლანდ შარდენის-ძე

დაბადების თარიღი - 15.03. 1957 წელი;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით - აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;
მინიჭებული კვალიფიკაცია - სწავლული აგრონომი;
დაკავებული თანამდებობა - ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის სრული პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (27.12.2017);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 154, მათ შორის 3 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 2 რეკომენდაცია;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (2010 წ.); „ღირსების ორდენი“(2012), აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2013). ქ. ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2022 წელი).

მოღვაწეობის მიმართულება - ჩაი და სუბტროპიკული კულტურები.

1.14. აკადემიკოსი კოლუაშვილი პაატა პეტრეს-ძე



დაბადების თარიღი – 05.09.1956;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სოფლის მეურნეობის ეკონომისტი - ორგანიზატორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 03.12.2015
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 297, მათ შორის 11 მონოგრაფია, 10 სახელმძღვანელო;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების ორდენი“; აკაკი წერეთლის პრემია (1995 წ.); 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრარული ეკონომიკის დარგში.

მოღვაწეობის მიმართულება - აგრარული ეკონომიკა.

1.15. აკადემიკოსი მარგველაშვილი გოგოლა ნიკოლოზის-ასული



დაბადების თარიღი – 22.09.1939;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 134 შრომა, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 წიგნი, 9 სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 პატენტი, 3 რაციონალიზატორული წინადადება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომითი მამაცობისათვის“ მედალი (1970 წ.); – „ღირსების“ ორდენი (2002 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა

1.16. აკადემიკოსი მახაროზლიძე რევაზ მეთოდეს-ძე



დაბადების თარიღი – 22.08.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 427, მათ შორის 24 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო, 4 რეკომენდაცია.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 71 გამოგონება.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „საბჭოთა კავშირის გამომგონებელი“ სამკერდე ნიშანი; „ღირსების“ ორდენი (1999 წ.); საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994წ.); 2006 წლის საუკეთესო მეცნიერის ვერცხლის მედალი, იუნესკოს საპატიო სიგელი (2022 წელი) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის.

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1.17. აკადემიკოსი პაპუნძე გურამ რაფაელის -ძე



დაბადების თარიღი – 02.04.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – მეღვინეობის ინჟინერ-ტექნოლოგი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; **დაკავებული თანამდებობა -** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04. 2013;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 173, მათ შორის 10

მონოგრაფია, 2 რეკომენდაცია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 12 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ებ)ი, დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარდგენილი სასმელი “არომატული”-“ვერცხლის” მედალი (1988 წ.); კალიფორნიის შტატის ქ. დევისის საპატიო მოქალაქე (2001 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების და შენახვის ტექნოლოგია.

1.18. აკადემიკოსი რევიშვილი თემურ ოთარის-ძე



დაბადების თარიღი – 02.01.1952 წელი;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

მინიჭებული კვალიფიკაცია - ინჟინერ - ტექნოლოგი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (27.12.2017);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 200, მათ შორის 4 სახელმძღვანელო, 2 მონოგრაფია; 6 პრაქტიკული სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 47 გამოგონება, 3 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - საქართველოს მთავრობის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1985); „ღირსების ორდენი“(2013);

მოღვაწეობის მიმართულება - ჩაი და სუბტროპიკული კულტურები.

1.19. აკადემიკოსი ტყემალაძე გურამ შოთას-ძე



დაბადების თარიღი-25. 04. 1941;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - ქიმიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეპარტამენტის უფროსი;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 05.08.2014;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 168, მათ შორის 12 სახელმძღვანელო, 4 მონოგაფია, 1 ენციკლოპედიური ლექსიკონი;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. -

“ღირსების” ორდენი, (2002 წ); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015 წ);

მოღვაწეობის მიმართულება - ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია .

1.20. აკადემიკოსი უჯმაჯურიძე ლევან მიხეილის-ძე



დაბადების თარიღი -25.07.1958;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - მეხილეობა - მევენახეობა-მეზოსტნეობა;

კვალიფიკაცია - სწავლული აგრონომი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი; სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე; საქართველოს აგრარული, ტექნიკური და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების პროფესორი; გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო

ორგანიზაციის (FAO) მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი; საერთაშორისო ექსპერტი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 82, მათ შორის 12 სახელმძღვანელო, 1 ენციკლოპედიური ლექსიკონი;

გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება, 2 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი; საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ღვინის ორდენი; საქართველოს დამსახურებული მეღვინე;

მოღვაწეობის მიმართულება - მევენახეობა, მეღვინეობა, მეზღაღეობა, აგრობიომრავალფეროვნება.



1.21. აკადემიკოსი ფუტკარაძე ზაურ ნოდარის-ძე

დაბადების თარიღი- 20.03.1962;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

მინიჭებული კვალიფიკაცია - ინჟინერ - მექანიკოსი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (27.12.2017);

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 84, 5 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, 1 ლექსიკონი.

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი (2017) ;

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1.22. აკადემიკოსი ქარქაშაძე ნაპოლეონ ირაკლის-ძე



დაბადების თარიღი – 15.05.1935;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

სამეცნიერო ხარისხი- ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 316, მათ შორის 10 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო, 2 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების

რაოდენობა - 1 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – “საპატიო ნიშნის” ორდენი (1955 წ.); საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი (1985წ.); საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985 წ.); “ღირსების” ორდენი (1995 წ.); თეირანის სახ. უნივერსიტეტის დიდი მედალი (1999 წ.) ქ. თეირანი; კალიფორნიის უნივერსიტეტის დიდი მედალი (2001 წ.), ქ. სან-ფრანცისკო; არისტოტელეს მედალი (2002 წ.), საბერძნეთი; "წმინდა ილია მართლის" მედალი (2015);

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, მსოფლიო სოფლის მეურნეობა.

1.23. აკადემიკოსი ქეშელაშვილი ომარ გრიგოლის-ძე



დაბადების თარიღი –14.08.1941;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, ეკონომისტი-ორგანიზატორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 1062, მათ შორის 53 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო; 136 ბროშურა;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი პრემიის ლაურეატი (1983

წ.); საკავშირო სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოების კონკურსის III ხარისხის პრემიის ლაურეატი (1983 წ.); საზოგადოება “ცოდნის” მედალი - აქტიური მუშაობისათვის (1987წ.);

“ღირსების” ორდენი (1999 წ.); სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება - ეკონომიკის დარგში;

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.24. აკადემიკოსი ყურაშვილი თენგიზ კონსტანტინეს-ძე



დაბადების თარიღი –22.03.1948;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ვეტერინარი ექიმი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04. 2013;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 306, მათ შორის 7 სახელმძღვანელო, 2 ცნობარი, 5 რეკომენდაცია, 32 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრემია (1982 წ.);

“ღირსების” ორდენი (2000 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – ვეტერინარია.

1.25. აკადემიკოსი ჩაგელიშვილი რევაზ გიორგის-ძე



დაბადების თარიღი – 28.08.1937;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 160, მათ შორის 3 მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო; 1 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – თ. დავითაიას სახელობის პრემია; საქართველოს დამსახურებული მეტყევე (1999 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება - მეტყევეობა.

1.26. აკადემიკოსი ჩანქსელიანი ზაურ ჟორდანის-ძე



დაბადების თარიღი – 15.12.1948;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი.

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.03.2003;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 150, მათ შორის 1 სახელმძღვანელო, 4 რეკომენდაცია.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 3 გამოგონება;

მოღვაწეობის მიმართულება – რადიოლოგია-ეკოლოგია.

1.27. აკადემიკოსი ჩხარტიშვილი ნოდარ სიმონის-ძე



დაბადების თარიღი – 17.09.1930;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, მევენახე-მეხილე-მებოსტნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 236, მათ შორის 4 წიგნი, 1 სახელმძღვანელო, 10 რეკომენდაცია.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 15 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელი; საქართველოს ალკკ კომიტეტი საპატიო სიგელი; “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1980 წ.); უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1980წ). საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო “წმინდა გიორგის” ოქროს ორდენი (2014წ.), შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის “მადლობის სიგელი” (2015წ.), საქართველოს დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება (2016).

მოღვაწეობის მიმართულება – მევენახეობა

1.28. აკადემიკოსი ცანავა ვალერიან პეტრეს-ძე



დაბადების თარიღი – 25.02.1935;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 214, მათ შორის 3 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო 2 ლექსიკონი;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 6 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომის წითელი დროშის“ ორდენი, “ღირსების” ორდენი (1999 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – ჩაი და ციტრუსები.

1.29. აკადემიკოსი ცქიტაშვილი ზურაბ მიხეილის-ძე



დაბადების თარიღი – 31.01.1941;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 27.02.1997;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 81, მათ შორის 2 წიგნი;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 პატენტი, 17 რაციონალიზატორული წინადადება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (2001 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება - მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია.

1.30. აკადემიკოსი ჭითანავა ნოდარ ამბროსის-ძე



დაბადების თარიღი – 10.03.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი;

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 27.02.1997;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 139, მათ შორის 15 მონოგრაფია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების

რაოდენობა - 17 რაციონალიზატორული წინადადება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენი (1973 წ. და 1975 წ.); აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015)-ეკონომიკის დარგში.

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.31. აკადემიკოსი ჯაბნიძე რეზო ხასანის-ძე



დაბადების თარიღი – 18.01.1954;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სუბტროპიკული მეურნეობის სწავლული აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 03.12.2015;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 256, მათ შორის 5 სახელმძღვანელო, 3 წიგნი, 6 მონოგრაფია, 36 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (1999 წ.); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი (2000 წ) და უმაღლესი საბჭოს (2019 წ) საპატიო სიგელები; იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის მედლები; სომხეთისა და აზერბაიჯანის აგრარული უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი; ქ. ბათუმისა (2022 წ) და ხელვაჩაურის რაიონის (1998 წ) საპატიო მოქალაქე. სსმმ აკადემიის პრემია საუკეთესო საგანმანათლებლო ნაშრომისთვის (2019 წ) და სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი (2017 წ). ბსუ-ს საუკეთესო პროფესორის წოდება.

მოღვაწეობის მიმართულება - აგრონომია (ჩაი და ციტრუსები).

2. აკადემიის სტიპენდიატები

2.1 ბენაშვილი მამუკა ოთარის-ძე



დაბადების თარიღი: 28.02.1979;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით: სოფლის მეურნეობის მექანიზაცია;
დაკავებული თანამდებობა: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - საინჟინრო პროგრამების ხელმძღვანელი; საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი: ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
მეცნიერული შრომების რაოდენობა: 21, მათ შორის 3 სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების

რაოდენობა – 3;

მოღვაწეობის მიმართულება: აგროინჟინერია - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია;

2.2. დულაშვილი დარეჯან თამაზის-ასული



დაბადების თარიღი - 2.08. 1977;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – გარემოს ქიმია და კონტროლი, ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
დაკავებული თანამდებობა – თსუ-ს რ. აგლაძის ინსტიტუტის უმცრ. მეცნიერ თანამშრომელი; სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი.
სამეცნიერო ხარისხი – ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 27;
მოღვაწეობის მიმართულება – სურსათის უვნებლობა.

2.3. კაციტაძე ეკატერინა ჯემალის-ასული



დაბადების თარიღი - 29. 09. 1969;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – დაკონსერვების ტექნოლოგია; საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - სასურსათო ტექნოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის დოქტორი;
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 45, მათ შორის 1 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო; 4 მეთოდური მითითება,

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 1 პატენტი;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა. შ. – ახალგაზრდა მეცნიერთა მეორე ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდია, 2000 წ.;
მოღვაწეობის მიმართულება – სურსათის ტექნოლოგია.

2.4. ტიგინაშვილი ზვიად თემურის-ძე



დაბადების თარიღი – 4.10.1977;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობა, სპეციალობით;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; სსიპ “დაცული ტერიტორიების სააგენტოს”, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის დოქტორი
სპეციალობა 06.03.03 – “ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა”;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 60 , მათ შორის 4 მონოგრაფია, 2 ლექსიკონი;
 სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა. შ. - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი” – “სატყეო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის”; სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის „მადლობა” – სააგენტოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის და სამსახურებრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულებისათვის”. (ბრძანება 5/ა1505, 30/12/2016წ.)
 მოღვაწეობის მიმართულება – ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა; დაცული ტერიტორიები.

2.5. ქავთარაძე გიორგი უშანგის-ძე



დაბადების თარიღი – 20.08.1983;
 სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობა, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი;
 დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ.გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
 სამეცნიერო ხარისხი – სატყეო საქმის დოქტორი
 სამეცნიერო შრომების რაოდენობა – 45, მათ შორის 6 მონოგრაფია, 1 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. - სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი;
 მოღვაწეობის მიმართულება – მეტყევეობა.

2.6. ქვარცხავა გიორგი რევაზის-ძე



დაბადების თარიღი – 19.01.1974;
 სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ქიმიკოსი, ქიმიის მასწავლებელი;
 დაკავებული თანამდებობა – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
 სამეცნიერო ხარისხი – ქიმიის დოქტორი;
 მეცნიერული შრომების რაოდენობა – 53, მათ შორის 5 დამხმარე სახელმძღვანელო, 1 სახელმძღვანელო;
 სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – 1995 წ. ჯორჯ სოროსის სტიპენდიატი; 2003 – 2005 წწ. საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი;
 მოღვაწეობის მიმართულება – ორგანული ქიმია, სურსათის ქიმია და აგროქიმია.

2.7. ქუთელია გიორგი გენოს-ძე



დაბადების თარიღი - 26.02. 1988;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობით

ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი

სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში;

დაკავებული თანამდებობა – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

სამეცნიერო ხარისხი – ინჟინერიის დოქტორი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 50, მათ შორის 2 მონოგრაფია, 1 რეკომენდაცია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა – 7 პატენტი;
მოღვაწეობის მიმართულება – ინჟინერია და ტექნოლოგიები.

2.8. ჯაბნიძე ნატო ვლადიმერის-ასული



დაბადების თარიღი - 30.07.1978;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომისტ-მენეჯერი;

დაკავებული თანამდებობა – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 74, მათ შორის 1 მონოგრაფია და 2 რეკომენდაცია;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა. შ. – საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი მეცნიერებისა და

ტექნოლოგიების დარგში (14.05.2003 #II-პს #0194); პრეზიდენტის მაძლობა, ფულადი პრემია და დიპლომი სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის. სსმ აკადემიისა და ბსუ-ს საპატიო სიგელები. სსმმ აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი.

მოღვაწეობის მიმართულება – ეკონომიკა.

თავი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

2.1. აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა

- 1 **ჯაფარიძე გივი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 2 **ალექსიძე გურამი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, სსმმ აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- 3 **ასათიანი რევაზი** - აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 4 **ახალბედაშვილი ივერი** - საქართველოს პარამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, ეკონომიკის დოქტორი;
- 5 **ბარვენაშვილი მარინე** - აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;
- 6 **გიორგაძე ანატოლი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 7 **გუგუშვილი ჯემალი** - აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 8 **დიდებულისძე ალექსანდრე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს - მდივანი, აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების საბჭოს თავმჯდომარე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 9 **დოლიძე ლაშა** - აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 10 **კაჭარავა ომარი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, ეკონომიკის დოქტორი;

- | | |
|-------------------------|---|
| 11 მარგველაშვილი გოგოლა | - აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 12 მახარობლიძე რევაზი | - აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 13 უჯმაჯურიძე ლევანი | - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 14 ფუტყარაძე ზაური | - აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 15 ქარქაშაძე ნაპოლეონი | - აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 16 ყურაშვილი თენგიზი | - აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 17 ჩხარტიშვილი ნოდარი | - ი. გოგებაშვილის თელავის სახემწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 18 ცანავა ვალერიანი | - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 19 ცქიტიშვილი ზურაბი | - აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; |
| 20 ჭითანავა ნოდარი | - აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი. |

2.2. აკადემიის პრეზიდენტის მიერ 2022 წელს განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 1 (31 იანვარი)

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოკლე ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობა შეფასდეს დადებითად და მიღებულ იქნეს ცნობად.

მოისმინეს: აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ინფორმაცია განყოფილების მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასდეს დადებითად და მიღებული იქნეს ცნობად.

მოისმინეს: აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის აკადემიკოს - მდივნის, აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ინფორმაცია განყოფილების მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასდეს დადებითად და მიღებული იქნეს ცნობად.

მოისმინეს: აკადემიის აგროინჟინერიის აკადემიკოს - მდივნის, აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ინფორმაცია განყოფილების მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასდეს დადებითად და მიღებული იქნეს ცნობად.

მოისმინეს: აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ინფორმაცია განყოფილების მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასდეს დადებითად და მიღებული იქნეს ცნობად.

მოისმინეს: აკადემიკოს ლაშა დოლიძის ინფორმაცია აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასდეს დადებითად და მიღებული იქნეს ცნობად.

მოისმინეს: აკადემიკოს ლაშა დოლიძის ინფორმაცია აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია შეფასდეს დადებითად და მიღებული იქნეს ცნობად.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 2 (24 თებერვალი)

მოისმინეს: აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2023 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობა.

მოისმინეს: სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველოს უფროსის, სოფლის მეურნეობის დოქტორ დავით მალრაძის მოხსენება „საქართველოს ვენახების კადასტრის აგების გზების და შედეგების შესახებ“.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ინფორმაციად და დადებითად შეფასდეს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველოს უფროსის, სოფლის მეურნეობის დოქტორ დავით მალრაძის მოხსენება „საქართველოს ვენახების კადასტრის აგების გზების და შედეგების შესახებ“.

მოისმინეს: კადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოსი გურამ ალექსიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მოწვევის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის საერთო კრება მოწვეული იქნეს ა.წ. 23 მარტს, 13 საათზე, შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის რწმუნებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით, აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებამდე, აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ანგარიში 2018-2023 წლებში აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზიდენტის სხვა წევრების, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს - მდივნების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების დროებითი დებულების პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.

4. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრებისა და აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების უფლებამოსილების შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

7. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებლები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული სამსახურის უფროსი თენგიზ ქარქაშაძე.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 3 (5 აპრილი).

მოისმინეს: აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ინფორმაცია 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს აკადემიკოს ჯ. კაციტაძის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ზემოაღნიშნული მოხსენება აიტვირთოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიკოს გურამ ალექსიძის ინფორმაცია აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" 2022 წლის გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობა. ზემოაღნიშნული მოხსენება აიტვირთოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელის აკადემიკოს გივი ჯაფარიძის, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის და აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აკადემიის საინფორმაციო - სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" 2022 წლის გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს "აკადემიის მაცნეს" მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობა. ზემოაღნიშნული მოხსენება აიტვირთოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე.

აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის

მოისმინეს: ინფორმაცია „აკადემიის მიერ 2022 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო -საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ“

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს აკადემიის ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო საგამომცემლო საქმიანობა.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების ვადებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით შექმნილი საექსპერტო-საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 4 (2 მაისი).

მოისმინეს: აკადემიის მთავარი სპეციალისტის, საერთაშორისო პროგრამების, საგრანტო პროექტების კონსულტანტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამაზ ბაციკაძისა და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, სოფლის მეურნეობის დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია აკადემიის მიერ საერთაშორისო და

ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

დაადგინეს: 1. აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულებისათვის გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

2. გაგრძელდეს აკადემიის ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა სამთავრობო უწყებებთან: საქართველოს პარლამენტის აპარატთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან: სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალთან “ახალი აგრარული საქართველო”, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კომპანია „საფერავი ტვ“-თან, რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტთან, ააიპ „საქართველოს თესლის მწარმოებლების და სანერგე მეურნეობების ასოციაციასთან, უკრაინის ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან, უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცხოველთა ბიოლოგიის ინსტიტუტთან, უკრაინის სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონსორციუმთან, ოდესის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან (უკრაინა), ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან (უკრაინა), ბელოცერკოვის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან (უკრაინა), ბოგომოლცის ეროვნულ სამედიცინო უნივერსიტეტთან (უკრაინა), სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის სოფლის განვითარების ადმინისტრაციის ეროვნულ აგრობიომრავალფეროვნების ცენტრთან, ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, შ. პ. ა. ყაზახეთის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, ყაზახეთის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტთან, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საკონტროლო სისტემების ინსტიტუტთან, ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან.

3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოხსენდეს აკადემიის პრეზიდიუმს.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.

დაადგინეს: 1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საგამოფენო სივრცეში არსებული სტენდების განახლება.

2. მოძიებული იქნას და დაიბეჭდოს საქართველოში ქართული ხორბლის ჯიშების გავრცელების რუკები.

3. საგამოფენო სივრცეში განთავსდეს მონიტორი, რომლის საშუალებითაც გამოფენის დამთვალიერებლები შეძლებენ იხილონ ვიდეო მასალა აკადემიის ისტორიის, აკადემიის წევრების და სხვა გამოჩენილი აგრარიკოს მეცნიერების შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, აკადემიის სტიპენდიატის, ქიმიის დოქტორ გიორგი ქვარცხავას ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

დაადგინეს: 1. დადებითად შეფასდეს და მოწონებული იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

2. ზემოაღნიშნული მოხსენება აიტვირთოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის გიორგი ქვარცხავას მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს აკადემიის სტიპენდიატის გიორგი ქვარცხავას მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, სოფლის მეურნეობის დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენი კონკურსის დებულების შესახებ.

დაადგინეს: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენი კონკურსის დებულება აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

დაადგინეს: 1. გამოცხადდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენი კონკურსი.

2. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ ატვირთული იქნეს აკადემიის ვებ გვერდზე.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 5 (22 მაისი).

განხორციელდა სატელეფონო ზარი აკადემიის პრეზიდიუმის წევრებთან.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მოწვევის შესახებ 25 მაისს შემდეგი დღის წესრიგით:

1. აკადემიის პრეზიდენტის ასარჩევად საარჩევნო კამპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით შექმნილი საექსპორტო-საკონკურსო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

მომხსენებელი: საექსპორტო-საკონკურსო კომისიის თვმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები.

დაადგინეს: მოწვეულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება ა.წ. 25 მაისს წარმოდგენილი დღის წესრიგით.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 6 (6 ივნისი)

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ზაურ ფუტყარაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: 1. დადებითად შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებულ იქნას და დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობების შემსრულებლების შესახებ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ა. წ. 1 ივნისამდე ვაკანტური იყო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და აკადემიის აკადემიკოს მდივნის თანამდებობები. აკადემიის წესდების VII თავის 30-ე მუხლის ბ) პუნქტის თანახმად აკადემიის პრეზიდენტი „წარუდგენს საერთო კრებას აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის და აკადემიის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებს“; ზემოაღნიშნულის საფუძველზე აკადემიის პრეზიდენტის მიერ ა.წ. 30 მაისს გამოცემული იქნა პრეზიდენტის ბრძანება (№58) აკადემიკოს გურამ ალექსიძის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ; ხოლო აკადემიის პრეზიდენტის ა.წ. 30 ივნისის ბრძანებით (№59) აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე დაინიშნა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე.

დაადგინეს: ზემოაღნიშნული ინფორმაცია პრეზიდენტის (№58) ბრძანებით აკადემიკოს გურამ ალექსიძის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ და აკადემიის პრეზიდენტის (№59) ბრძანებით აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

დაადგინეს: აგრარულ დარგში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომის გამოსავლენი კონკურსის ჩატარების დებულების თანახმად:

1. შემოსული საკონკურსო მასალები შესაფასებლად გადაეცეს შესაბამის სამეცნიერო განყოფილებებს, რათა მათ მიერ გამოყოფილმა ექსპერტებმა საკონკურსო ნაშრომებზე შეფასებები წარუდგინონ სამეცნიერო განყოფილებებს ერთი თვის ვადაში;
2. დარგობრივმა სამეცნიერო განყოფილებებმა დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასრულების შემდეგ ერთი თვის ვადაში თავის სხდომაზე მოისმინონ კონკურსანტების ინფორმაციები და სამეცნიერო ექსპერტების შეფასებები, რის საფუძველზეც ფარული კენჭისყრით მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება პრემიის მოსაპოვებლად შემოსულ ყველა ნაშრომზე ინდივიდუალურად;
3. აკადემიურმა დეპარტამენტმა (დოქტორი მ. ბარვენაშვილი) აკადემიის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებებში აგრარულ დარგში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის ფარული კენჭისყრის შედეგები;
4. ინფორმაცია აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომისათვის პრემიის მინიჭების შედეგების შესახებ გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის იმერეთის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის აღდგენის შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას წინადადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის იმერეთის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის აღდგენის თაობაზე.

2. დაევალოს აკადემიკოს როლანდ კოპალიანს წარმოადგინოს აკადემიის იმერეთის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის დებულების შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებათა პროექტი აკადემიის პრეზიდიუმზე განსახილველად.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძის და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა და საშტატო განრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და აკადემიის აკადემიკოს მდივანს შორის მოვალეობის განაწილების შესახებ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და აკადემიის აკადემიკოს მდივანს შორის მოვალეობის განაწილება წარმოდგენილი სახით.

2. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული იქნეს აკადემიის პრეზიდენტის ბრძანება.

3. შესაბამისი გადაწყვეტილება ატვირთული იქნეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

4. აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრთა შორის მოვალეობების განხილვა მოხდეს აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრთა არჩევის შემდგომ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ზემოაღნიშნული ბრძანება ატვირთული იქნეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტიუმი წევრების, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის და სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების უფლებამოსილების ვადების გაგრძელების შესახებ.

დაადგინეს: პრეზიდენტიუმი წევრებს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს და სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებს გაუგრძელდეთ უფლებამოსილების ვადები არჩევნების ჩატარებამდე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად ასარჩევად კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

დაადგინეს: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად ერთხმად არჩეულია ბატონი ზურაბ ტყემალაძე.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-10 თავის 56-ე მუხლის თანახმად აკადემიის საპატიო აკადემიკოსის ზურაბ ტყემალაძის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიის საერთო კრებას.

პრეზიდენტიუმი სხდომა, ოქმი # 7 (30 ივნისი).

სხდომა ჩატარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაში.

მოისმინეს: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგებისა და სამომავლო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: 1. დადებითად შეფასდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

პრეზიდენტიუმი სხდომა, ოქმი # 8 (28 ივლისი).

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ.

დაადგინეს: სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტი გასაცნობად გადაეგზავნოს სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

მოისმინეს: ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ქეთევან კინწურაშვილის ინფორმაცია ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2023 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

2. ზემოაღნიშნული მოხსენება ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მიერ 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2023 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის შედეგების შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს დებულების შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დამტკიცდეს აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს დებულება წარმოდგენილი სახით.

2. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს დებულება აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულაძის ინფორმაცია, რომელმაც წარმოადგინა წინადადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის დებულებისა და შემადგენლობის შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დამტკიცდეს აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის დებულება და შემადგენლობა წარმოდგენილი სახით.

2. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის დებულება და შემადგენლობა აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული ერთეულის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დებულების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აკადემიის წესდების VI თავის 25-ე მუხლის ე) პუნქტის თანახმად „აკადემიის პრეზიდიუმი ამტკიცებს იმ ორგანიზაციების დებულებებს და ხელმძღვანელებს, რომლებიც სტრუქტურული ერთეულის ფორმით ექვემდებარებიან აკადემიას“.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული ერთეულის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით.

2. სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ზემოაღნიშნული დებულება აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის სწავლული მდივნის, დოქტორ თინათინ ეპიტაშვილის და გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მენეჯერის ნიკოლოზ ალექსიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა.

2. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტების გამოსავლენ კითხვარში შემავალი საკითხების შესახებ.

დაადგინეს: კითხვარი გასაცნობად და შესავსებად გადაეგზავნოთ აკადემიის წევრებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომის მუშაობის რეგლამენტის შესახებ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობის რეგლამენტი წარმოდგენილი სახით.

2. ზემოაღნიშნული ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის რეგლამენტის შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 9 (29 სექტემბერი).

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, სოფლის მეურნეობის დოქტორის მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის შედეგების შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, „სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ.

დაადგინეს: 1. დადებითად შეფასდეს სამეცნიერო კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოები. 2. კონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენდეს აკადემიის პრეზიდიუმს.

მოისმინეს: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ზაზა მახარობლიძის მოხსენება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის და წარმოების აუცილებლობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ინფორმაციად და დადებითად შეფასდეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ზაზა მახარობლიძის მოხსენება „საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის და წარმოების აუცილებლობის შესახებ“.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან მრგვალი მაგიდის ჩატარების შესახებ.

დაადგინეს: 1. უახლოეს პერიოდში ჩატარდეს შეხვედრა ეროვნულ კოორდინატორებთან მრგვალი მაგიდის ფორმატში. 2. ეროვნულ კოორდინატორებს დაურიგდეთ გასაცნობად ანგარიშის წარმოსადგენი ახალი ფორმა. 3. შეხვედრის შედეგები ეცნობოს აკადემიის პრეზიდიუმს.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 10 (26 ოქტომბერი).

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორის მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ შედეგების შესახებ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს აკადემიის მიერ ჩატარებული საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“; სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებულის ელ. ვერსია და დეკლარაცია დაეგზავნოს კონფერენციის მონაწილეებს და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია მოლდოვას რესპუბლიკაში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ცხოველთა გენეტიკური ფონდების მართვა - პრობლემები, გადაწყვეტილებები, პერსპექტივები“ შესახებ.

დაადგინეს: 1. მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია მოლდოვას რესპუბლიკაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ცხოველთა გენეტიკური ფონდების მართვა - პრობლემები, გადაწყვეტილებები, პერსპექტივები“ შესახებ; ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტთან აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მოხსენება „საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები (კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური მიდგომები)“.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას მიერ წარმოდგენილი მოხსენება „საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები (კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური მიდგომები) და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით წარმატებულ მეცნიერთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

დაადგინეს: მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ წარმოდგენილი კანდიდატურები.

მოისმინეს: აკადემიკოს ზურაბ ციციტიშვილის ინფორმაცია რისკის ანალიზის საკითხებთან დაკავშირებული მრგვალი მაგიდის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია რისკის ანალიზის საკითხებთან დაკავშირებული მრგვალი მაგიდის შესახებ და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ყოფილი პრეზიდენტის, პროფესორ მიშელ ტიბიერისა და ლატვიის სოფლის მეურნეობის და სატყეო მეცნიერებების აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ბაიბა რივზას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრებად არჩევის შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის უცხოელ წევრებად ასარჩევად წარდგენილი იქნან: საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი მიშელ ტიბიერი და ლატვიის სოფლის მეურნეობის და სატყეო მეცნიერებების აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ბაიბა რივზა.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 11 (24 ნოემბერი).

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული და დამტკიცებული იქნას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სიგელის დებულება წარმოდგენილი სახით და ატვირთული იქნას აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძის მოხსენება „სოკოებიდან ბიოლოგიურად აქტიური, ანტიკანცეროგენური თვისებების მქონე ნივთიერებების შესწავლის შესახებ“

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენება „სოკოებიდან ბიოლოგიურად აქტიური, ანტიკანცეროგენური თვისებების მქონე ნივთიერებების შესწავლის შესახებ“ და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია ნიადაგების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ინფორმაცია 2023 წლის 5 დეკემბერს ნიადაგების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდის ჩატარების შესახებ. ინფორმაცია მრგვალი მაგიდის ჩატარებისა და შედეგების შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის სწავლული მდივნის, დოქტორ თინათინ ეპიტაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა და ატვირთული იქნას აკადემიის ვებ-გვერდზე.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 12 (28 დეკემბერი).

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული და დამკიცებული იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.
2. აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს გეგმის გადაცემა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებისათვის.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი ბუღალტრის ნინო სოზიაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2024 წლის პარამეტრების შესახებ

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2024 წლის პარამეტრების შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის კანცელარიის უფროსის ირმა ჭყობის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარიის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის სტიპენდიატის, დოქტორ გიორგი ქავთარაძის ინფორმაცია აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა სამეცნიერო საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა სამეცნიერო საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა. მოხსენება აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხელ წევრად ასარჩევად ჩინელი მეცნიერის, ენოლოგის, პროფესორ იანლინ ლიუს წარდგენის შესახებ. აღინიშნა, რომ აკადემიის წესდების თანახმად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია უფლებამოსილია აირჩიოს აკადემიის უცხოელი წევრი, რომელსაც ღია კენჭისყრით ირჩევს აკადემიის პრეზიდენტი ხმათა უმრავლესობით და ღია კენჭისყრით ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება. აკადემიის უცხოელ წევრად წამოყენებულია ჩინელი მეცნიერის, ენოლოგის, პროფესორ იანლინ ლიუს კანდიდატურა.

დაადგინეს: აკადემიის პრეზიდენტის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხელ წევრად არჩეული ჩინელი მეცნიერის, ენოლოგის, პროფესორ იანლინ ლიუს კანდიდატურა წარედგინოს აკადემიის საერთო კრებას დასამტკიცებლად.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონ რომან გოცირიძის მიერ საკანონმდებლო ინციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონების პროექტებთან: - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, საქართველოს კანონში

ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (№07-3/395.28.11.2023წ.) - დაკავშირებით და ინფორმაცია აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოსაზრებანი საქართველოს პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონების პროექტთან: - „საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (№07-3/395.28.11.2023 წ) დაკავშირებით“ და ინფორმაცია აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

2. აკადემიის მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის წევრის რომან გოცირიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონების პროექტთან: - საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (№07-3/395.28.11.2023 წ) დაკავშირებით“ და ინფორმაცია აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ ეცნობოს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტს; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს; საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

თავი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

3.1 აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 11 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი), (წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი გარდაიცვალა 13 ოქტომბერს) და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: გურამ ალექსიძე, ნუგზარ ბაღათურია, ვაჟა კვალიაშვილი, როლანდ კოპალიანი, პაატა კოლუაშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ჩანქსელიანი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ვალერიან ცანავა, რეზო ჯაბნიძე.

სტიპენდიატი: ქიმიის დოქტორი გიგა ქვარცხავა.

განყოფილებაში 2023 წელს ჩატარდა 8 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 23 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 17 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 28 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 15 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომების შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 12 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში აგრონომიულ მეცნიერებათა

განყოფილებაში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენა (ფარული კენჭისყრა)

მეექვსე სხდომა ჩატარდა 23 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში ვაზის საკოლექციო ნარგაობების მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე; 2. ნიადაგი - სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნების ძირითადი რეზერვუარი (საცავი) ჩვენს პლანეტაზე. **მომხსენებელი:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 27 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში ჩაის კულტურის რეაბილიტაციის პრობლემების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი; 2. ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში გაშენებული ინტროდუცირებული ჯიშების ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლისა და მათგან საუკეთესო ფორმების გამორჩევის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე.

მერვე სხდომა ჩატარდა 21 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 4-6 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, სადაც სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ბიომრავალფეროვნების სექციას ხელმძღვანელობდა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

გარდა ამისა, 5 დეკემბერს, აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით **ნიადაგების მსოფლიო დღესთან** დაკავშირებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა. მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან აღნიშნა, რომ ნიადაგების დაცვა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, ამიტომაც FAO-ს კონფერენციის თხოვნით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2013 წლის ივნისში 68-ე სესიაზე 5 დეკემბერი დააკანონა როგორც ნიადაგების მსოფლიო დღე. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დაწესდა 5 დეკემბერს ნიადაგების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. ამ დღეს მიეძღვნა არაერთი კონფერენცია, სემინარი თუ მრგვალი მაგიდა. შემდეგ ბატონმა გ. ალექსიძემ სიტყვა გადასცა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრს, აკადემიკოს ზაურ ჩანჭსელიანს, რომელიც აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით: „**ნიადაგის როლი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში**“. მრგვალი მაგიდაზე ასევე საინტერესო მოხსენებით თემაზე: „**ნიადაგის ფუნქციები ბიოსფეროში და ეკოსისტემებში**“ გამოვიდა სსიპ სოფლის

მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორი გიორგი ორმოცაძე.

3.1.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით) - „აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება“ (2023-2027). ხელმძღვანელი. (საკითხი ისწავლება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).

ისწავლება აჭარაში გავრცელებული ლურჯი მოცვის ძირითადი მავნებლები და დაავადებები, ძირითადი მათგანის ბიოეკოლოგიის თავისებურებები, დამუშავდება ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები, სადაც გამორიცხული იქნება მაღალტოქსიკური ქიმიური პესტიციდების გამოყენება.

პირველ წელს გამოვლენილია ლურჯ მოცვზე გავრცელებული მავნებლები და მათი ბუნებრივი მტრები. დადგენილია მეტი უარყოფითი მნიშვნელობის დაავადებები.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამების პირველ და მეორე კურსზე, ლექციების კურსი საგანებში: - მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა (ქართული ჯგუფი);

Grapevine pests and diseases and integrated pest management (ინგლისური ჯგუფი);

ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები;

ბიოტექნოლოგია მცენარეთა დაცვაში (ქართული ჯგუფი).

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. გ. ალექსიძე - მცენარე „ნიმი“ - ეფექტური ბიოპესტიციდი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, #1(49), გვ. 61-64. 2023. ISSN 1512-2743

3.2. გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ა. გიორგაძე, ი. სარჯველაძე. - მრავალწლიანი საკვები ბალახები - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, #1(49), გვ. 119-129. 2023. ISSN 1512-2743

3.3. გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ა. გიორგაძე, ი. სარჯველაძე. - სამოვრული შენახვის გავლენა პირუტყვის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, #1(49), გვ. 130-134. 2023. ISSN 1512-2743

3.4. გ. ალექსიძე - ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის როლი მისი რეალიზაციის მიმართულებით - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“, #1-2, გვ. 64-70. 2023. ISSN 1513-3243

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

Grape Pest Management in Georgia. Textbook. Georgian Academy of Agricultural Sciences. Publishing house “Agro”, 2023. 157 p. Tbilisi. ISBN 978-9941-8-5175-9

ყურძნის მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს მავნებელ-დავალებები რომელთაგან გამოწვეული დაზიანება ხშირად 80-90%-ია. წიგნში განხილულია საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ ზონაში გავრცელებული მავნებელ-დავალებები, მათი დაზიანების სიმპტომები, ეფექტური ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებები, მათი გამოყენების ხერხები და პირობები, რათა მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

წიგნი „ვაზის მავნებლების მართვა საქართველოში“ დაწერილია აკადემიკოს გურამ ალექსიძის მიერ, ინგლისურ ენაზე. მასში მოცემული შედეგები, ანალიზები და დასკვნები შემოწმებულია მრავალი ცდებით და დაკვირვებებით ვენახებში საქართველოს პირობებში.

მონოგრაფია ასეთი სახით ქვეყნდება პირველად. ის სასარგებლო იქნება იმ სპეციალისტებისთვის, ვისაც აინტერესებს თუ რა ღონისძიებები ტარდება ჩვენს ქვეყანაში ვაზის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის მიზნით.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. გ. ალექსიძე, თ. ეპიტაშვილი - სასოფლო - სამეურნეო კულტურათა ბიომრავალფეროვნება საქართველოში - „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“- 04-06.10.2023, თბილისი, საქართველო

6. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა.

მუშავდება რეკომენდაციები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომელიც განხილული იქნება მომავალ წელს.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

- ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (აკადემიკოსი);

- ცენტრალური აზიისა და კავკასიის სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის - კაკარი თავმჯდომარე;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანამედროვე ტექნოლოგიების კომისიის წევრი და ეკოლოგიური კომისიის წევრი;

- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“-ს სამეცნიერო კოლეგიის თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ნუგზარ ზადათურია

I. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვევითი სამუშაოების შესრულების შედეგები.

პროექტი1. ყურძნის გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოკვლევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით

ეტაპი 1.1. ყურძნის გადამუშავების ხერხის გავლენა ღვინისა და ღვინის დისტილატის ხარისხზე. ვრცელი ინფორმაცია იხ. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბადათურია. ყურძნის გადამუშავების ხერხის გავლენა ღვინისა და ღვინის დისტილატის ხარისხზე. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, # 3 (743), 2023, გვ. 77-81. ISSN 0130-7061

ეტაპი 1.2. ახალი ტიპის ჭაჭის არყისა და საკონიაკე სპირტის შედარებითი გამოკვლევა. ვრცელი ინფორმაცია იხ. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბადათურია. ახალი ტიპის ჭაჭის არყისა და საკონიაკე სპირტის შედარებითი გამოკვლევა. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები. #2 (742), 2023, გვ. 91-104.), 2023, ISSN 0130-7061.

ეტაპი 1.3. ყურძნის კლერტისა და სადუღარი ჭურჭლის გავლენა ღვინის ხარისხზე. ვრცელი ინფორმაცია იხ. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბადათურია. ყურძნის კლერტისა და სადუღარი ჭურჭლის გავლენა ღვინის ხარისხზე. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, # 3 (743), 2023, გვ. 77-81. ISSN 0130-7061.

ეტაპი 1.4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კომერციალიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირება ანუ მეცნიერებისა და განათლების განვითარების სტრატეგია საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში

ბოლო 30 წლის მანძილზე არა მარტო აგროსამრეწველო კომპლექსში, არამედ მთლიანად საქართველოში შეიმჩნევა ინოვაციური აქტიურობის მკვეთრი ვარდნა. უცხოური ტექნოლოგიებისადმი ფართო და თავისუფალი მისაწვდომობა თრგუნავს აგროსამრეწველო კომპლექსში ნაციონალური ინოვაციური პოლიტიკისა და დარგობრივი მეცნიერების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ქმნის უცხოური მიღწევებისადმი ტექნოლოგიური დამოკიდებულების წარმოშობის საშიშროებას.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს აგროსამრეწველო კომპლექსში ინოვაციური მოღვაწეობის ხელშემწყობი რაიმე სისტემა. ეს კი, თავის მხრივ, გამორიცხავს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობას.

მსოფლიოს წამყვანი, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტური გამოყენება შეუძლებელი იქნება ტექნოპარკების შექმნის გარეშე.

ტექნოპარკების შექმნის ერთიანი სცენარი არ არსებობს. ტექნოპარკები, როგორც წესი, იქმნება ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობების შესაბამისად. საქართველოს აგრარულ სფეროში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირების, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და სამრეწველო მასშტაბით რეალიზაციის სტიმულირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა დაფუძნდეს მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციის სახელმწიფო – კერძო პარტნიორობის მსოფლიოში აღიარებული ფორმა – აგროტექნოპარკი.

სტუ-ს კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტი ერთად-ერთი სამეცნიერო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც ბოლო 70 წლის მანძილზე ემსახურებოდა და ემსახურება კვების მრეწველობის დარგების – ღვინის, საკონსერვო მრეწველობის, მცენარეული ზეთებისა და სხვა დარგების მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეს. გასულ წლებში ყოფილ სსრ კავშირში ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებდა საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელიც წარმოდგენდა დღევანდელი ტექნოპარკების წინამორბედ სტრუქტურას.

ბოლო წლებში ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების ქვეყნის მასშტაბით გავრცელება გაზრდის ქვეყანაში წარმოებული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების ხარისხს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვნად მოხსნის ქვეყანაში არსებულ სოციალური დაძაბულობის პრობლემას, დადებითად აისახება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე. ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების სამრეწველო მასშტაბით დანერგვა მოითხოვს ინსტიტუტის ბაზაზე აგროტექნოპარკის დაფუძნებას.

აგროტექნოპარკი – ესაა სასოფლო - სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ფორმა, შექმნილი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში არსებული ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით.

აგროტექნოპარკის ფუნქციონირების მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება;
- იმ მეცნიერ - მუშაკების, დოქტორანტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ხელშემწყობი სასტარტო პირობების შექმნა, რომელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი კომპანიების გახსნა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამეწარმეო საქმიანობა;
- უკვე არსებული მცირე და საშუალო საინოვაციო კომპანიებისათვის, ასევე ურთიერთხელსაყრელი პირობებით აგროტექნოპარკთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

აგროტექნოპარკის მუშაობა ისეთნაირად აიგება, რომ მეცნიერები და სტუდენტები ბიზნესით დასაქმდებიან ისე, რომ არ შეწყვიტონ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობა.

II. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1. ქართული ჯიშის ყურძნების გამოკვლევა ღვინის დისტილატების მიღების მიზნით. კვების მრეწველობა, სასურსათო ტექნოლოგიები, RIM-3-23-074;

ანოტაცია. გასულ წლებში საქართველო აწარმოებდა 20-30 მილიონ ბოთლ ქართულ კონიაკს. ამ სასმელის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი დღევანდელ ფასებში აღემატებოდა 400 მილიონ აშშ დოლარს. დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, რომელიც კრძალავს დასახელება „ქართული კონიაკის“ გამოყენებას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე კვების მრეწველობის ინსტიტუტს დაევალა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის- „ჭაჭის“ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა. ინსტიტუტში შეიქმნა ჭაჭის არყის წარმოების ახალი ტექნოლოგია, გრძელდება გამოკვლევები აღნიშნული სასმელის ასორტიმენტის გაფართოვების მიზნით. ინსტიტუტში მიმდინარე კვლევითი სამუშაოები მოითხოვს დისტილაციური დანადგარის შეძენის აუცილებლობას.

მოპოვებული გრანტი უზრუნველყოფს აღნიშნული დანადგარის შეძენას.

III. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

3.1. მონოგრაფიები

უცხოეთში სხვადასხვა ენებზე გამოიცა აკად. ნ.ბაღათურიას მონოგრაფია „ყურძნის რეცხვა. თეორია და პრაქტიკა“.

1.Bagaturia N. Washing wines. ISBN 978-620-4-74804-7, Germany, Lambert Academic Publishing, 2023, 77p.

2.Bagaturia Waschen der Trauben. Publisher: Verlag Unser Wissen (2023 ISBN-13: 9786205794630;

3.N.bagaturia Lavage des raisins Publisher : Editions Notre Savoir (2023) Language: French ISBN-10: 6205794667 ISBN-13: 978-6205794661 Verlag: Verlag Unser Wissen (2023)

4. N.Sh. Bagatuturia Lavare L,uva Publisher: Edizioni Sapienza (2023)

Language: Italian, Paperback: 76 pages, ISBN-10: 6205794675 ISBN-13 : 978-6205794678

5. N. bagaturia Lavagem das uva Editorial Omniscriptum|Edi?Es Nosso Conhecimento, Encuadernación Tapa Blanda ISBN13 9786205794685

ანოტაცია. წარმოდგენილ მონოგრაფიებში გადმოცემულია გამოკვლევების შედეგები, რომლებიც მიეძღვნა ყურძნის რეცხვის გავლენას მისი გადამუშავების წინ ნატურალური წვენის ხარისხზე. მოყვანილია კონკრეტული რეკომენდაციები ყურძნის რეცხვისა და ყურძნის წვენის გაწმენდის შესახებ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების მიზნით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის რომ პირველად იქნა შემოთავაზებული ყურძნის რეცხვა ყურძნის ტკბილით, და ასევე ყურძნის გადამუშავების ნაწნები ფრაქციებით, რაც მიზნად ისახავდა მძიმე მეტალებისა და სხვა მავნე ნივთიერებების მოშორებას გადასამუშავებელი ყურძნის ზედაპირიდან.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია ყურძნის რეცხვის გავლენის შესახებ ღვინის ხარისხზე.

IV. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა.

4.1. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბაღათურია. ყურძნის გადამუშავების ხერხის გავლენა ღვინისა და ღვინის დისტილატის ხარისხზე. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, # 3 (743), 2023, გვ. 82-86; **ISSN 0130-7061**

4.2. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბაღათურია. ახალი ტიპის ჭაჭის არყისა და საკონიაკე სპირტის შედარებითი გამოკვლევა. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები. # 2 (742), 2023, გვ. 91-104; **ISSN 0130-7061**.

4.3. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბაღათურია. ხილ-კენკროვანთა დასპირტული, დადუღებული და დადუღებულ-დასპირტული წვენების ნატურალობის მაჩვენებელი ფიზიკურ-ქიმიური კრიტერიუმები. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები. # 2 (742), 2023, გვ. 77-90; **ISSN 0130-7061**

4.4. მარიამ ლოლაძე, ნუგზარ ბაღათურია. ყურძნის კლერტისა და სადუღარი ჭურჭლის გავლენა ღვინის ხარისხზე. ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, # 3 (743), 2023, გვ. 77-81; **ISSN 0130-7061**.

4.5. ნ.ბაღათურია, ნ.ალხანაშვილი. სანელებლების კომპოზიცია- მოხარ-შული ძეხვეულის ხარისხზე მოქმედი ძირითადი ფაქტორი. ჟ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 2023, #2 (50), გვ.70-72.

4.6. ნ.ბაღათურია, ნ.ალხანაშვილი. სანელებლების კომპოზიცია მოხარშული ძეხვეულისთვის. ჟ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 2023, #2 (50), გვ.73-74.

VI. საგანმათლებლო საქმიანობა

შედგენილი და გადაცემულია აგრარულ ფაკულტეტზე 2 სილაბუსი:

6.1. ეთეროვანი ზეთების ტექნოლოგია (დოქტორანტურის სტუდენტებისათვის);

6. 2. ჭაჭის არყის ტექნოლოგია (ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის).

აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი

თემა 1. სხვადასხვა სიმწიფის პერიოდის, მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი, ამალღებული გამძლეობის და სასაქონლო ღირებულების, კონკურენტუნარიანი სასუფრე, საკონსერვო და უნივერსალური მიმართულების ატმის ახალი ჯიშების გამოყვანა.

სამუშაო სრულდება 1950 წლიდან გორის მუნიციპალიტეტში: ქ.გორში და ს.წედისში (საკუთარ ბაღში); 2018წ-დან - მ.წიქარიძის ფ./მეურნეობაში (ს.წედისი).

მუშაობაში გამოყენებულია: ადგილობრივი (აბორიგენული, ჰიბრიდული) და ინტროდუცირებული სასუფრე და სამრეწველო ატმის (და ნექტარინის) ჯიშები. კვლევა ტარდება ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდების გამოყენებით.

მიმდინარე წელს უამინობის გამო ჰიბრიდიზაცია არ ჩატარდა; მუშაობა წარიმართა წინა წლებში მიღებული ჰიბრიდ./თესლნერგების აღზრდა-მოვლაზე.

თემა 2. ვაშლის ჯიშის „ივერიის“ ნაყოფის მორფოლოგიური ნიშან-თვისებების გაუმჯობესება და ვაშლის ახალი ჯიშების გამოყვანა ჰიბრიდიზაციის და კლონური სელექციის მეთოდების გამოყენებით

საანგარიშო პერიოდში ყურადღება გამახვილდა ვაშლის ჰ/თესლნერგების და ახალი ნათესარების აღმოცენება-განვითარებასა და მოვლაზე.

ვეგეტაციის პერიოდში ჰაერის უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურის და ხანგრძლივი გვალვის დროს, წედისში, ვერ მოხერხდა სარწყავი წყლის მიწოდება და მნიშვნელოვნად დაიჩაგრა ატმის, ვაშლის და სხვა ხეხილის, ასევე ვაზის ჰიბრიდული და სამრეწველო ჯიშების ნარგავები. უარყოფით გარემო პირობებს დაემატა ყვავილობის პერიოდში გორში და რაიონში მოსული სეტყვა, რომელმაც 70-80%-ით გაანადგურა და დააზიანა საყვავილე კვირტები და ყვავილი. ატმის, ვაშლის და ყურძნის შერჩენილი ნაყოფების მიხედვით არის იმედის მომცემი ჰიბრიდული ფორმები; - წედისში აღებული ატმის ჰ/ჯიშების: *ნუგურას*, *თეთრი წედისურის*, *ბერიკას* და *ალმურას* კვირტები, ხელახლა დაიბეჭდა გორში.

ვაზის სელექცია

1. თბილისის საგარეუბნო და საკურორტო ზონისათვის პერსპექტიული სასუფრე და საღვინე ყურძნის ახალი ჯიშების გამოყვანა

ძირითადი სამუშაო მეთოდი: 1. ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაცია

სამუშაო ობიექტები: ადგილობრივი (აბორიგენული, ჰიბრიდული) და ინტროდუცირებული სასუფრე და საღვინე ყურძნის ჯიშები.

ვაზის სელექციაში ვმუშაობთ 1950 წლიდან მმმ-ის სკრის და გორის ს/ს ბაზებზე და საკუთარ ბაღში - ს.წედისში.

ა/. ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციაში მონაწილე ვაზის საწყისი ჯიშების: - ანანასურის, სუფრის გორულას, გორული წითელის, სეივ-ვილარის¹²⁻³⁷⁵, მოლდოვას და თავკვერის - ბოტანიკური ნიშან-თვისებების შვილეულ თაობაში მემკვიდრულობის ხასიათის გასარკვევად, საწყისი ჯიშების და ჰიბრიდული თესლნერგების (გორული წითელი X მოლდოვა, თავკვერი X მოლდოვა, გორული წითელი X სეივ-ვილარი^{12.375}, ანანასური X სუფრის გორულა) შერჩეულ ფორმებზე ჩატარდა ფოთლის ბოტანიკური ნიშან-თვისებების აღწერა ვაზის დესკრიპტორების (UPOV; IPGRI) მიხედვით. კვლევა გრძელდება ნაყოფის სხვადასხვა ნიშნების მიხედვით.

ჩვენი სელექციის ატმის, ვაშლის და ყურძნის სასუფრე-სამრეწველო მიმართულების პერსპექტიული ჰიბრიდული ფორმები საჭიროებენ საწარმოო გამოცდას. ვაშლის ერთი ფორმა გამოსაცდელად დაიბეჭდა ს.სკრაში.

2023 წელს გამოქვეყნებულია 3 შრომა: 1 ბროშურა და 2 სტატია; სტატიები დაიბეჭდა სსმმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში:

- ქართული ვაზის და ხეხილოვანთა გენეტიკური რესურსების გამოვლენის და სელექციის ისტორიისათვის -.დ.მალრაძე. - ბროშურა. სსმმა. გამ. „აგრო“ თბ. 2022.

- პერსპექტიული ჯიშები საქართველოს ვაშლის (*Malus domestika* Borch) ბიო ორგანული წარმოებისათვის - ზ.ბობოქაშვილი. სსმმა; საერთაშორისო ს/კონფ.-„სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოენების პერსპექტივები“ თბ.2023.

- ქართული ვაზის და ხეხილოვანთა გენეტიკური რესურსების გამოვლენა და სელექციის ისტორია - დ. მაღრაძე. სსმმა; საერთაშორისო ს/კონფ.-„სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოენების პერსპექტივები“ თბ.2023.

აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი

1. სამეცნიერო თემის დასახელება:

1.1. „ციტრუსოვანთა კულტიგენებში სელექციური მეთოდების გამოყენების გზით ახალი პერსპექტიული ფორმების მიღება.“(აწსუ აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი);

1.2. „ნუშის (*Prunus dulcis*, *Prunus Amygdalus*) ინტროდუცირებული ჯიშების გავრცელების პერსპექტივები აგროეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოში.“ (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

1.3. „ალუვიური ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების გზები თხილის პლანტაციაში სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე“. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

1.4. „მანდარინის ინტროდუცირებული ზოგიერთი საადრეო ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა აჭარის რეგიონის პირობებში. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიჰყავს ლექციების კურსი შემდეგ საგნებში:

2.1. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა

2.2. აგროეკოლოგიის აქტუალური პრობლემები

2.3. მეჩაიეობა;

2.4. ტექნიკური კულტურები;

2.5. სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგია.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. რ.კოპალიანი, ნ. ჯინჭარაძე, შ. კაპანაძე, მ. თაბაგარი – მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა გასხლული ჩაის ბუჩქის პროდუქტიული ყლორტების განვითარებაზე აზოტის სხვადასხვა ნორმით შეტანის პირობებში. –პერიოდ. სამეცნიერო ჟურნალი „ნოვაცია“ . №29 2023 წ. გვ. 118-123

3.2. რ. კოპალიანი, შ. კაპანაძე... – კეთილშობილი დაფნის მაღალზეთიანი ფორმების გამორჩევის შედეგები საბერძნეთის პირობებში. – პერიოდ. სამეცნიერო ჟურნალი „ნოვაცია“ №29, 2023 წ. გვ. 84-89

3.3. Р. КОПАЛИАНИ, Ш. КАПАНАДЗЕ, - ИССЛЕДОВАНИЯ ЛАВРА БЛАГОРОДНОГО - LAURUSNOBILIS НА ВЫСОКОМАСЛИЧНОСТЬ В УСЛОВИЯХ ГРЕЦИИ. XIII Международная научно-практическая конференция^[1] «НАУКА И ОБРАЗОВАНИЕ В СОВРЕМЕННОМ МИРЕ: ВЫЗОВЫ XXI века» Сборник научных статей. SCIENCE AND EDUCATION IN THE MODERN WORLD: CHALLENGES OF THE XXI CENTURY" ASTANA, KAZAKHSTAN, MAY 2023. Астана, Казахстан. Ст. 29-33

3.4. რ. კოპალიანი, თ. ღვინიანიძე, ა. კალანდია ... - ბიოფლავანოიდური თხევადი ექსტრაქტები და კონცენტრატები - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები.“ შრომათა კრებული, 04-06 ოქტომბერი, 2023 წ. თბილისი, საქართველო. გვ: 412-419

3.5. რ. კოპალიანი, გ. გეწამე, შ. კაპანაძე ... - კეთილშობილი დაფნის ფოთლებში ეთერზეთის დაგროვების ზოგიერთი თავისებურებები დასავლეთ საქართველოს პირობებში - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები.“ შრომათა კრებული, 04-06 ოქტომბერი, 2023 წ. თბილისი, საქართველო. გვ: 337-341.

4. სადოქტორო დისერტაციების და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

4.1. ნინო დეკანოიძე - ნუშის (*Prunus amygdalus*) ინტროდუცირებული ჯიშების გავრცელების პერსპექტივების გამოკვლევა აგროეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოში - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.2. დავით კილაძე - თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსის გამწვანება-განაშენიანების აგროტექნოლოგიური საფუძვლების შემუშავება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.3. ნატალია ჯინჭარაძე - მიტოვებული ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია და შემდგომი აგროტექნოლოგია იმერეთის რეგიონის მაგალითზე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.4. კაპანაძე შორენა - კეთილშობილი დაფნის - (*Laurus nobilis* L.) აგროტექნოლოგია და გენეტიკურად დეტერმინირებული ნიშან-თვისებების კორელაცია მის პროდუქტიულობასთან - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.5. ოჩიკიძე იზა - იაპონური კამელიას ზრდა-განვითარების თავისებურებანი და მწვანე კალმებით გამრავლების საკითხები იმერეთის პირობებში - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. XIII МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ «НАУКА И ОБРАЗОВАНИЕ В СОВРЕМЕННОМ МИРЕ: ВЫЗОВЫ XXI ВЕКА» ИССЛЕДОВАНИЯ ЛАВРА БЛАГОРОДНОГО - LAURUS NOBILIS НА ВЫСОКОМАС-ЛИЧНОСТЬ В УСЛОВИЯХ ГРЕЦИИ КАЗАХСТАН. 2013 г, АСТАНА.

5.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები „ კეთილშობილი დაფნის ფოთლებში ეთერზეთის დაგროვების ზოგიერთი თავისებურებები დასავლეთ საქართველოს პირობებში. 2023 წ, საქართველო.

5.3 We are writing to confirm that Mr Roland Kopaliani has successfully participated in the specialized training course as a guest speaker in London: “The Complete Executive Leadership Programme’ in the Agricultural sector, organized by BOS LTD. 27th March 2023.

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1. ახალი ტექნოლოგიური პარამეტრებით გადამუშავებული ქართული შავი ჩაის არომატულ ნივთიერებათა კომპლექსის კვლევა.- მკვლევარი.

6.2. USAID/REAP - პროექტი “გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის“ - ტრენერი

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

7.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

7.2. შვიდი სახელმძღვანელოს რეცენზენტი;

7.3. რვა საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ჟურნალების რედაქციის წევრი;

7.4. საზოგადოება „ქუთაისელი“-ის წევრი

8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

8.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი.

8.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

8.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი;

9. საკითხები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე

9.1. ჩაისა და ციტრუსოვან კულტურათა თანაარსებობის ისტორია და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში.

9.2. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა, პრობლემები და პერსპექტივები.

აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

აქტიური მონაწილეობა მიიღო 4-6 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის - „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალ-ფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ - მუშაობაში; ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ბიომრავალფეროვნების სექციას.

კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით „ნიადაგი - სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნების ძირითადი რეზერვუარი (საცავი) ჩვენს პლანეტაზე“.

- მიმდინარე წლის 17 ივნისს აგრონომიის სამეცნიერო განყოფილებამ აკადემიის სხვა განყოფილებებთან ერთად ჩაატარა სემინარი, რომელიც მიემდგნა „გვალვასთან და გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნას.

სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით: „ნიადაგის მოხვნისა და თესვისწინა დამუშავების გარეშე, აგრეგატის ერთი გავლით თესვა სანაწევრად ნარჩენებზე“.

- ორგანიზება გაუკეთა ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ მრგვალ მაგიდას 5 დეკემბერი 2023 წ., საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; მრგვალ მაგიდაზე წარმოადგინა მოხსენება „ნიადაგი - ჩვენი ყველაზე ძვირფასი კაპიტალი და კეთილდღეობა“.

რეცენზია გააკეთა:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის:

- მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის;

- ბიოაგროწარმოების სამსახურის და

- ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის 2022 წლის სრულ ანგარიშებზე.

2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშზე.

თანამშრომლობა:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტთან. ხშირად არის სადისერტაციო ნაშრომების შემფასებელი-რეცენზენტი;

საანგარიშო წელს იყო ორი დისერტანტის - გიორგი კილაძის და ნინო დეკანოიძის სადისერტაციო ნაშრომების რეცენზენტი.

აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე

1. სამეცნიერო-კვლევითი თემები

1. ახალი ფორმის გოგირდოვანი თიხის კომპოზიტის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე (ბიოაგროწარმოების კვლევის სამსახურთან ერთად) - ხელმძღვანელი
2. საქართველოში გავრცელებული ევროპული გარეული ღორის კავკასიური პოპულაციის (*Sus scrofa attila* L.) გენეტიკური მრავალფეროვნების კვლევა - კონსულტანტი ან თანახელმძღვანელი
3. მზის მაღალი რადიაციის ნეგატიური მოქმედება ვაზის ფოტოსინთეზურ აპარატზე და კაოლინი, როგორც დამცავი საშუალება- ხელმძღვანელი
4. ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა. ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა, გამოყენების პოტენციალი - ხელმძღვანელი

2. სამეცნიერო გრანტები

1. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას FAO-ს შორის, გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, სახელწოდებით „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და in-situ/on farm and ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“ (პროექტის ხელმძღვანელი)
2. მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები. -საკონფერენციო გრანტი - (MG-ISE-23-2161 პროექტის ხელმძღვანელი)
3. თხილის ბაქტერიული (*Xanthomonas arboricola*, *Pseudomonas avellanae*) და ვირუსული (APMV, PNRSV) ინფექციების კვლევა სეროლოგიური (ELISA), მოლეკულური (PCR, LAMP) მეთოდებით, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და ფერმერთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა (STEM-22-834 პროექტის ხელმძღვანელი)
4. ახალი ფორმის გოგირდოვანი თიხის კომპოზიტის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე (ბიოაგროწარმოების კვლევის სამსახურთან ერთად) - ხელმძღვანელი
5. საქართველოში გავრცელებული ევროპული გარეული ღორის კავკასიური პოპულაციის (*Sus scrofa attila* L.) გენეტიკური მრავალფეროვნების კვლევა - თანახელმძღვანელი
6. მზის მაღალი რადიაციის ნეგატიური მოქმედება ვაზის ფოტოსინთეზურ აპარატზე და კაოლინი, როგორც დამცავი საშუალება - ხელმძღვანელი
7. ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა. ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა, გამოყენების პოტენციალის შეფასება - ხელმძღვანელი

3. საერთაშორისო გრანტები

1. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას FAO-ს შორის, გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, სახელწოდებით „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული

ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და in-situ/on farm and ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“ (პროექტის ხელმძღვანელი)

2.მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები. -საკონფერენციო გრანტი - (MG-ISE-23-2161პროექტის ხელმძღვანელი)

3.თხილის ბაქტერიული (*Xanthomonas arboricola*, *Pseudomonas avellanae*) და ვირუსული (APMV, PNRSV) ინფექციების კვლევა სეროლოგიური(ELISA), მოლეკულური (PCR, LAMP) მეთოდებით, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და ფერმერთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა (STEM-22-834 პროექტის ხელმძღვანელი)

4.გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტის „აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში“- პროექტის სამეცნიერო ექსპერტი

4.მონაწილეობა საგრანტო საქმიანოებში:

1. კითხულობდა ლექციებს მევენახეობის მიმართულებით, როგორც ბაკალავრებთან ასევე მაგისტრებთან: საერთოვლოს ტექნიკურ, კავკასიის საერთაშორისო და აგრარული უნივერსიტეტებში.

2.უძღვებოდა პროფესიული განათლების სალექციო კურსებს მევენახეობაში „საქართველოს ღვინის გილდია“ - აგრარული უნივერსიტეტში.

3. მისი ხელმძღვანელობით მუშავდება ერთი სადოქტორო და ორი სამაგისტრო თემა მევენახეობაში, ვაზის ადგილობრივი ჯიშებზე და ვაზის სელექციაში.

5. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

1. ლევან უჯმაჯურიძე, კახა ბიწკინაშვილი, თეკლე ზაკალაშვილი, დავით მაღრაძე, რობერტო ბაჩილიერი, ერიკა მაულ, ჭენჩანგ ლიანგ, ვეი ჩენ და სხვა. „ორმაგი დომესტიკაცია და ნიშნების წარმოშობა ვაზის ევოლუციისას“; საერთაშორისო ჟურნალი Science, ტომი 379, გამოცემა 6635, გვ.892, 2023წ.

2. მუმლაძე მ., მეტრეველი მ., უჯმაჯურიძე ლ., ცქიტიშვილი ზ. „მინდვრის კულტურათა ადგილობრივი ჯიშების მეთესლეობის თავისებურებები“; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები; 4-6 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო;

3. ჩოხელი მ., ჯინჯიხაძე თ., დევიძე ა., უჯმაჯურიძე ლ., ხატიაშვილი ნ., კოშაძე თ., თვაური ი., მინდვრის კულტურათა ადგილობრივი ჯიშების მეთესლეობის თავისებურებები; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები; 4-6 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო

6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრეინინგებში მონაწილეობა.

- პროფესიონალთა და საერთაშორისო ექსპერტთა საერთაშორისო 21 კონფერენცია მოხსენება-პრეზენტაცია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის შესახებ (აპრილი, 2023), ვუხანი, შენჭენი - ჩინეთის სახალხო რესპიბლიკა.

- ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კოოპერატიული პროგრამის (ECPGR) მცენარეთა კრიოკონსერვაციის ჯგუფის პირველი შეხვედრა. მოხსენება-პრეზენტაცია: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობა და მცენარეთა კონსერვაციის მ.შ. კრიოკონსერვაციის მდგომარეობა საქართველოში.

- ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების კოოპერატიული პროგრამის (ECPGR) მმართველი კომიტეტის მე-17 შეხვედრა, პორტუგალია (მაისი, 2024) ლისაბონი.

- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO), მცენარეთა გენეტიკური რესურსების რეგიონალურ (ივლისი 2024) და საერთაშორისო ხელშეკრულების მე-10 ფაზის მმართველი კომიტეტის შეხვედრა (ნოემბერი, 2024), იტალია, რომი (საქართველოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორის რანგში)

- ქ.თბილისში გამართული საერთაშორისო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები (ოქტომბერი, 2023).

7. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

- მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სამუშაო შეხვედრებში.

- მონაწილეობას ღებულობდა როგორც ინტერვიუერი და მომხსენებელი, საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და ბოლო ათწლეულის განვითარების ტენდენციები“. ასავე აგრარული კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, როგორც საბჭოს წევრი.

- აქტიურად არის ჩართული ქართული „ხორბლის, ტრადიციები და რიტუალები“- იუნესკოში წარსადგენ ბარათთან დაკავშირებულ ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში.

- მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით სისტემატიურად იმართება სადემონსტრაციო დღეები, ლექცია-სემინარები, პრაქტიკული სწავლებები - მემცენარეობისა, მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულებებით.

- ჩართულია ფერმერთა ექსტენციის ღონისძიებებში მთელი ქვეყნის მსშტაბით მუნიციპალიტეტებისა და სოფლების დონეზე.

- საქპატენტში დასარეგისტრირებლად გადაცემულია ორი წინადადება - გამოგონებაზე.

8. საკითხები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე

აგრონომიულ განყოფილების სამუშაო შეხვედრებზე სასურველია განხილულ იქნეს -ვაზის გენეტიკური რესურსების მოძიება, დაცვის, თანამედროვე ამპელოგრაფიული და გენეტიკური კვლევების მიმდინარეობის, ჯანდარი სარგავი მასალის წარმოების, სერტიფიცირების და სხვ საკითხები.

აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი

2023 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით პროექტს: 1. „საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია).“

პროექტის მიზანი: 1. საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლას, შეფასებას და შესაბა - მისი გეომონაცემთა ბაზის შექმნას ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის საერთაშორისო თანამშრომლობის სამდივნოს (GSP) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით;

2. ნიადაგის შესახებ საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების (NCDI) პროექტის და ნიადაგის მსოფლიო საინფორმაციო სისტემის GLOSIS მოთხოვნების შესაბამისად;

3. ნიადაგის ციფრული კარტოგრაფირება.

2. 2023 წელს შესრულებული სამუშაოები:

1. ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში გამოკვლეულია ნიადაგი 35 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების ფართობზე, საიდანაც აღებული და ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილია ნიადაგის ნიმუში.

2. შედგენილია 1 : 200 000 მასშტაბის ნიადაგის თემატური რუკები გამოკვლეული 35 ათასი ჰა ფართობისათვის.

3. ქვეყნის მასშტაბით შედგენილია 1 : 2 000 000 მასშტაბის ნიადაგის ხსნარის რეაქციის (pH) ხსნადი მარილების შემცველობის და ორგანული ნახშირბადის მარაგის ციფრული რუკები სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის საერთაშორისო თანამშრომლობის სამდივნოს (GSP) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

4. შექმნილია საქართველოს ნიადაგების მიერ ნახშირბადის შებოჭვის პოტენციალის რუკები 1 : 2 000 000 მასშტაბში ოთხი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესაძლო სცენარის მიხედვით მოდელირების გზით სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის საერთაშორისო თანამშრომლობის სამდივნოს (GSP) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

3. სამეცნიერო სტატიები:

ზ. ჩანჭყალიანი - ბიოსფეროში და ეკოსისტემებში ნიადაგების ფუნქციები და მათი თანმდევი ეკოლოგიურ - ფუნდამენტალური პრობლემები. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის „მოამბე“ 2023 წლის # 1,(49).

4. აკადემიის საქმიანობაში მონაწილეობა:

1. აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მოამბე“-ს სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს წევრი.

2. კოორდინატორი ფერმერთა საკონსულტაციო საკითხებში „აგროეკოლოგიაში“.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

2023 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობას აგრძელებდა მევენახეობა-მელვინეობის როგორც სამეცნიერო, ასევე საწარმოო მიმართულებით კონსულტანტის თანამდებობაზე. აკად. ნ. ჩხარტიშვილი არის საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, კოორდინატორი - მევენახეობა - მელვინეობის მიმართულებით.

თანამშრომლობას აგრძელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მომქმედ სამეცნიერო საბჭოსთან.

განხორციელებული სამუშაოების პარალელურად, აქტიურად მუშაობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა ქვეყანაში ვენახების გაშენების, სარგავი მასალით უზრუნველყოფის პრობლემები და სხვ.

უყურადღებოდ არ რჩება, საგარეჯოს მიკროზონაში, „შპს“ „ჩაილურის“ მეწარმის, ზურაბ მჭედლიშვილის საქმიანობა, რომელიც ყოველწლიურად 2,0 (ორ მილიონ) სხვადასხვა კატეგორიის ვაზის ნერგს აწარმოებს.

2007 წლიდან სახელმეკრულებო საფუძველზე კონსულტანტის სტატუსით აგრძელებს თანამშრომლობას მევენახეობის სფეროში „შპს“ ხარებასთან“. დღეის

მონაცემებით, კომპანიის ვენახის ფართობი 1500 ჰა-მდე გაიზარდა, წარმოებული პროდუქცია 6-7 ათას ტონას აღემატება; ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ კომპანია, მეღვინეობის მიმართულებით იყენებს თანამედროვე გადამამუშავებელ სხვადასხვა ტექნოლოგიური ხაზს.

მიმდინარე წლის დეკემბერში კომპანიის ადმინისტრაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით და აკად. ნ. ჩხარტიშვილის მონაწილეობით, კახეთსა და იმერეთში - თერჯოლასა და ზესტაფონში, არსებულ კუთვნილ ვენახებში ჩატარდა საჩვენებელი გასხვლები; აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ კომპანიის წარმომადგენლები და მევენახეობის მიმართულებით დასაქმებული პირები.

დაიგეგმა, რომ ღონისძიება ყოვეწლიურად გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის მევენახეობის მიმართულებით დასაქმებულ პირთა უნარჩვევების გაზრდას და კვალიფიკაციის ამაღლებას გასხვლითი და სხვა აგროტექნიკურ ოპერაციებში.

ამჟამად აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, მევენახეობა-მეღვინეობის თელავის საცდელი სადგურის ყოფილ ტერიტორიაზე - ბაზაზე; ამავე ტერიტორიაზე ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ღვინის ქარხანა.

მისასალმებელია ისიც, რომ ღვინის კომპანია „ხარება“, აქტიურად თანამშრომლობს მეცნიერებასთან; ერთობლივად ჩატარებული სამუშაოების შედეგად, კახეთსა და იმერეთში გაშენდა ვაზის საკოლექციო ნაკვეთები, სადაც წარმოდგენილია 300-300 ძირი ვაზის ჯიშები. იგი მზად არის მეცნიერული კვლევებისათვის და ტურიზმისათვისაც.

აკად. ნ. ჩხარტიშვილი სამეცნიერო-კვლევით სფეროში კონსულტაციებს უწევდა ადგილწარმოშობის დასახელების პერსპექტიული მიკროზონების კომპლექსური გამოკვლევის მიმართულებით. ამჯერად ყურადღება იყო გამახვილებული რაჭა-ლეჩხუმის მიკროზონებზე. წარმატებული მუშაობის შედეგად რეგისტრირებული იქნა ოთხი დასახელების მიკროზონა; მ.შ. საყურადღებო იყო ტვიშის ტერიტორიის გაფართოება; რეგისტრირებულია უსახელოურის და ორბელური-ოჯალეშის მიკროზონები.

აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

1. თემის დასახელება: “სუბტროპიკული კულტურების წარმოების ინტენსიფიკაცია, განოყიერების სისტემის სრულყოფა” - თემის ხელმძღვანელი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია მცენარეების საკვები ელემენტებით უზრუნველყოფასთან, რასაც არეგულირებს განოყიერების სისტემა. არასწორი, არადროული ან ჭარბი რაოდენობა სასუქებისა, ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას, არღვევს საკვები ელემენტების ბუნებრივ ბალანს, ცალკეული ელემენტების გლობალურ ციკლს. ყოველივე ამან იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ აუცილებელი ხდება ნიადაგდამცავი, რესურსდამზოგავი სისტემების დამუშავება. ჩვენს პირობებში აქტუალური ამოცანაა ნიადაგების (პირველ რიგში ჩაით დაკავებული) დაცვა შემდგომი დამჟავებისაგან.

საანგარიშო წელს კომპლექსური, რთული სასუქები იცდებოდა კივისა და მოცვის ბაღებში. ცდაში გამოყენებული იყო თხევადი კომპლექსური სასუქები, ერთჯერადი დოზა კივის შემთხვევაში N 50 კგ/ჰა შეადგენდა, ხოლო მოცვის შემთხვევაში 70 კგ/ჰა. გამოყენებული იყო „ევროქიმის“ მიერ წარმოებული თხევადი რთული სასუქები, თორმეტჯერადი შესხურება სეზონის განმავლობაში იცვლებოდა დეკადების მიხედვით სასუქებში შეფარდება ელემენტების, ძირითადად შეფარდება (N:P:K) აქტინიდია (კივი)

შემთხვევაში იყო 20:20:20, ხოლო მოცვის შემთხვევაში ძირითადი შეფარდება იყო 18:18:18 გაზაფხულის გამოკვებებში თხევად რთულ სასუქს ემატებოდა მიკროელემენტები.

თხევადი რთულ სასუქებთან მუშაობისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის რომ ეს სასუქები მჟავე ნიადაგებზე (წითელმიწები) კარგად შეითვისება თუ ის მიიღება ორთოფოსფორმჟავისგან. ნიადაგში ფოსფორის დაბალი საწყისი კონცენტრაციით სასუქი სადაც შეფარდება N:P:K არის 1:1:1 სასუქი მოქმედებს სუსტად. ის უფრო ეფექტურია თუ შეფარდება N:P არის 1:4,5 ან 1:3.

2023 წლის მონაცემებით მოცვის მოსავალი საკონტროლო ვარიანტზე არსებული განოყიერების სისტემა შეადგენდა ჰექტარზე გადაანგარიშებით 14965 კგ/ჰა, 2. თხევადი კომპლექსური სასუქები N:P:K 20:20:20 ძირითადი, გამოკვებისას 13:40:13, 6:14:35 (ორ-ორი გამოკვება) მოსავალი შეადგენს 19684 კგ/ჰა, 3. კომპლექსური სასუქები 18:18:18 ძირითადი და 6:14:35, 17902.2 კგ/ჰა.

აქტინიდია (კივი) საკონტროლო ვარიანტი - ერთ მცენარეზე გაანგარიშებით: 17,1 კგ მე-2 ვარიანტი ძირითადი 18:18:18, ორ-ორი გამოკვება 13:40:13 და 6:14:35 - 22,8 კგ/ხეზე; 3. ძირითადი ორ-ორი გამოკვება 13:40:13- 20.2 კგ.

3. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

3.1. საერთაშორისო კომპანია **EuroChem** - ის მიერ დაფინანსებული პროექტი - “სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ (კივი (აქტინიდია), ლურჯი მოცვი) ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა და მიღებულ შედეგებზე სწავლება-სემინარების ჩატარება“ (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი);

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა - აკადემიკოსი ვალერიან ცანავა არის ჟურნალ „კვალის“ რედკოლეგიის წევრი.

აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე

1.სამეცნიერო თემატური გეგმით გათვალისწინებული კვლევები:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.

თემის აქტუალობა. სახალხო მეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში, დღესაც, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლების ძირითადი წყაროა.

ჩვენი ქვეყნის ხელშემწყობი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ვაზის ჯიშების სიუხვე სრულ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობის ფართოდ განვითარებისთვის.

საქართველოში გავრცელებული ვაზის 500-ზე მეტი ჯიშიდან, 80-მდე აჭარაშია, რომელთაგანაც მრავალი ჯიში ხასიათდება ძვირფასი სამეურნეო და ტექნოლოგიური ნიშან-თვისებებით. ახლო წარსულში, აჭარის შიდა მთიანი რაიონების ეკონომიკაში მევენახეობამ მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო, დღეს ამ დარგის წინსვლა შეფერხებულია, თუმცა ამჟამად ნათლად იკვეთება მისი შემდგომი აღმავლობის პერსპექტივები.

პროექტის მიზანი - ვაზის შესწავლილი ჯიშებიდან გამორჩეული იქნება ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისადმი უკეთ შეგუებული პერსპექტიული ფორმები,

რომლებსაც ექნებათ სტაბილური მოსავალი და ნაყოფის კარგი ხარისხი, ხოლო შემდგომში მიეცემათ რეკომენდაცია ფერმერულ მეურნეობებში დასანერგად.

მოკლე ანოტაცია - მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ ამ ბოლო პერიოდში აჭარაში, ა(ა)იპ „აგროსერვისის ცენტრის“ გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო საანერგე მეურნეობაში გაშენდა ვაზის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშები (სულ 23 ჯიში), რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა აჭარაში არსებული ვაზის ჯიშების გენოფონდი.

დღის წესრიგში დადგა ზემოთ აღნიშნულ მეურნეობაში გაშენებული ვაზის ჯიშების მორფო-ბიოლოგიური, სამეურნეო თავისებურებების და ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა, მათგან ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატური პირობებისადმი უკეთ შეგუებული, სტაბილურად მსხმოიარე, ნაყოფის კარგი ხარისხის მქონე და მავნებელ-დაავადებების მიმართ შედარებით გამძლე პერსპექტიული ფორმებისა და ჯიშების გამორჩევა.

ბ) „კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების (ლურჯი მოცვი, უეკლო მაყვალი, ჟოლო, თხილი, კაკალი) ინტროდუცირებული ჯიშებისა და ფორმების მორფო-ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა, გამორჩევა და დანერგვა აჭარის ფერმერულ მეურნეობებში.

თემატიკიდან გამომდინარე, 2023 წლის დასაწყისში შედგენილი იქნა სამუშაო გეგმა-გრაფიკი და აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის იმ ფერმერულ მეურნეობებში, სადაც გაშენებულია კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების ინტროდუცირებული ჯიშები, შევარჩიეთ კვლევებისთვის საჭირო ობიექტები, კერძოდ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურში და ახალშენში; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ცეცხლაურში, მუხაესტატეში, ლელვაში და დაბა ოჩხამურში; ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. გეგელიძეებში, ზენდიდში და ნამლისევში; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუთურაულში, ნენიაში, ფურტიოში და გომარდულში; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ძირკვაძეებში და დიოკნისში.

აღნიშნულ სოფლებში გაშენებული ლურჯი მოცვის, უეკლო მაყვლის, ჟოლოს, თხილის (გულშიშველა, ჯიფონი) და კაკლის (ჩანდლერი) პლანტაციებში, შერჩეული იქნა საცდელი მცენარეები, რომლებზედაც ჩატარდა მორფო-ბიოლოგიური (ფენოლოგია, ზრდის რითმი, ბიომეტრული გაზომვები) და სამეურნეო მაჩვენებლების (მოსავლიანობა, ნაყოფის ტექნიკურ-ბიოქიმიური ანალიზი) შესწავლა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს პერსპექტიული ფორმების გამორჩევისა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვისათვის.

ასევე მოძიებული იქნა და ფერმერებს მიეწოდთ აღნიშნულ კულტურებზე და ჯიშებზე არსებული საინფორმაციო მასალები და ბუკლეტები, რაც მათ გარკვეულ დახმარებას გაუწევს მცენარის მოვლა-მოყვანის საქმეში.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უძღვება სალექციო კურსს შემდეგ დისციპლინებში: ა) სუბტროპიკული კულტურები; ბ) მეჩაიეობა;

2021 წლიდან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ემირიტუს-პროფესორის წოდება.

3. სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა:

- ხელმძღვანელობს დოქტორანტ სოფო ხუბუნაიშვილის სადოქტორო ნაშრომს: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფადი ფორმების აგროეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა აჭარის პირობებში“;

- ხელმძღვანელობს დოქტორანტ მირზა ყურშუბადის სადოქტორო ნაშრომს: „ხურმა ჰაჩიას პერსპექტიული, მსხვილნაყოფა ფორმის „ჩაისუბანი“ ზრდა-განვითარებისა და აგროეკოლოგიური ფაქტორების გავლენა პროდუქტიულობაზე“.

- ბსუ-ს აგრონომიულ სპეციალობაზე ხელმძღვანელობს ბაკალავრ ნინო დავითაძისა და მაგისტრანტ ლაშა ზოიძის ნაშრომებს.

4. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და კონფერენციებში მონაწილეობა:

ა) რ. ჯაბნიძე - ხურმა ჰაჩიას ახალი პერსპექტიული ფორმა „ჩაისუბანის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქობულეთის მუნიციპალიტეტში. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აგროNEWS“ N9. ქუთაისი, 2023 წ.

ანოტაცია: აჭარაში გავრცელებული სუბტროპიკული ხურმის ჯიშებიდან ფართო სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ჰაჩიას, რომელიც ხასიათდება ძლიერი ზრდით (სიმაღლე აღწევს 8 მ-მდე) და გამოირჩევა მსხვილი ზომის ნაყოფით-340- დან 400 გ-მდე. ნაყოფის მომწიფების ვადის მიხედვით იგი მიეკუთვნება საშუალო სიმწიფის ჯიშს, რომლის რბილობი სხვა ჯიშებთან შედარებით, გამოირჩევა მაღალი შაქრიანობით ნაკლები სიმწკლარტით და სასიამოვნო გემოთი. აქედან გამომდინარე, ჩვენში ტრადიციულად გავრცელებული ხურმა ჰაჩიას ფიზიოლოგიის, ბიოლოგიური ნიშანთვისებების, მოსავლიანობის, ტრანსპორტაბელობისა და სხვა სამეურნეო ნიშნების გათვალისწინებით, ახალი ფორმის შესწავლა და წარმოებაში დანერგვა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ბ) რ. ჯაბნიძე, შ. ლამპარაძე, გ. ჯაბნიძე, მ. ყურშუბაძე - ლურჯი მოცვის მორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა, პერსპექტიული ფორმების გამორჩევა და დანერგვა აჭარის ფერმერულ მეურნეობებში. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „აგროNEWS“ N9. ქუთაისი, 2023 წ.

ანოტაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდიდარია, როგორც ველური ასევე კულტურული ხილ-კენკროვანი კულტურების ჯიშებითა და ფორმებით, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ჩვენს რეგიონში, ტრადიციულ მეხილეობასთან ერთად, ვითარდება ისეთი არატრადიციული კულტურები, როგორიცაა: ლურჯი მოცვი, ჟოლო, უეკლო მაყვალი და სხვა, რამაც მოსახლეობის ფართო ყურადღება მიიპყრო თავისი სამკურნალო, დიეტური და სხვა სასარგებლო ძვირფასი ნიშან-თვისებების გამო.

გ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ თბილისი, 04-06 ოქტომბერი 2023 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - თბილისი ჯიშ „ანაკლიურის“ მორფო-ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა აჭარის პირობებში.

ანოტაცია: საქართველოს შავი ზღვისპირა სუბტროპიკული ზონა მდიდარია თბილის ფორმებითა და ჯიშებით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლებით, არამედ ნაყოფის ხარისხითაც. ამიტომაც, თბილის წარმოებას ძალიან დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და საკმაოდ მაღალი შემოსავლების მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის. ნაშრომში განხილულია ჩვენში გავრცელებული, ადგილობრივი, გამორჩეული და ინტროდუცირებული ჯიშებიდან მიღებული შედეგების განზოგადება და აქედან გამომდინარე ამორტიზირებული მცენარეების ჩანაცვლება უხვად მსხმოიარე ჯიშებით. ამ მიზნის განსახორციელებლად დაისახება შემდეგი ამოცანები: ინტროდუცირებული თბილის ჯიშ „ჯიფონის“ ფენოლოგიური ფაზების, მცენარის ზრდა-განვითარების, აგროტექნიკურ ღონისძიებათა

თავისებურებების შესწავლა და ასევე მავნებელ-დაავადებების გამოვლენის ძირითადი საკითხები.

დ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ თბილისი, 04-06 ოქტომბერი, 2023 წ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - უეკლო მაყვლის ზოგიერთი ჯიშის მორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა აჭრის პირობებში.

ანოტაცია: უეკლო მაყვლის კულტურული ჯიშები დიდ მოთხოვნებს არ უყენებს გარემო პირობებს, თუმცა საკმაოდ მგრძნობიარეა ზამთრის ყინვებისადმი. ტემპერატურის დაცემა – მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ერთწლიან ნაზარდებს, აქედან გამომდინარე, მაყვლის კულტურის გაშენების გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია შესაბამისი რეგიონის კლიმატური პირობების გამოკვლევა. მაყვლის მოსავლიანობა დამოკიდებულია ნიადაგობრივ პირობებზე, მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებებზე და ჯიშურ თავისებურებებზე.

5. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა:

- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახურის წლიური ანგარიშის რეცენზირება.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ჰამლეტ სანიკიძის ნაშრომის რეცენზირება.

6. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“-კონსულტანტი.

7. მონაწილეობა სხვადასხვა კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში:

- არჩეულია ბათუმისა და ხელვაჩაურის საპატიო მოქალაქედ;

- არჩეულია საქართველოს ანტიკორუფციული პალატის პრეზიდიუმის წევრად და აგრარული კომისიის თავმჯდომარედ;

- არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ;

- არჩეულია აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ საკითხთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად;

- არჩეულია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრად;

- არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მოადგილედ;

- იყო შემფასებელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის შორენა თვალაძის სადოქტორო ნაშრომის;

- გააკეთა დასკვნა-რეცენზია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ბოსტნეული და ბაზჩეული კულტურების კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე;

- მოსმენილი იქნა ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც დადებითად შეფასდა;

- რეცენზენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი პროექტის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო შრომების ანგარიშის.

8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

აკად. რ. ჯაბნიძე არის სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ექსპერტი ჩაისა და ციტრუსების დარგში, სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით აკადემიის ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მომხმ“-ს, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ „აგრარული საქართველო“-ს და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „აგროიუსი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკური ინოვაციები“-ს სამეცნიერო საბჭოს წევრად.

9. საკითხი, რომლებიც მიზანშეწონილია განვიხილოთ აგრარული მიმართულების განყოფილების სხდომაზე.

- აჭარაში მეციტრუსეობის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივები.

აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქვარცხავა

2023 წელს მუშაობას რამდენიმე მიმართულებით ატარებდა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია 1. ა) ვეტერინარიის პროგრამის მომზადება, აკრედიტაციაზე წარდგენა და აკრედიტაციის მიღება. აღნიშნული პროგრამა მზადდებოდა 3 წლის განმავლობაში ფრანგული მხარის ჩართულობით. ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სტუ-ში დაინერგა, პასუხობს არა მარტო ქართულ არამედ ევროპულ სტანდარტებსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროგრამაზე მიღება 2023 წელს უკვე განხორციელდა. ვეტერინარიის პროგრამის შემუშავება მიმდინარეობდა უშუალოდ გ. ქვარცხავას ხელმძღვანელობით და ჩართულობით.

გარდა ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამისა ბ) მომზადდა სურსათის უვნებლობის სამაგისტრო პროგრამაც, რომელიც ამჟამად განხილვის საფეხურზეა.

2023 წელს დაიწყო ერაზმუს+-ის ფარგლებში, გ) DEGEOR-ის პროგრამა, რომელშიც 5 ქართული და 3 ევროპული უნივერსიტეტია ჩართული, აგრეთვე უნივერსიტეტების პარტნიორი დამსაქმებლები. პროგრამის მიზანია შეიქმნას დუალური განათლების მოდელი საქართველოში, რომელიც წარმატებული იქნება ყველა მსურველისთვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სტუ „სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით მონაწილეობს.

2. 2023 წელს გ. ქვარცხავამ დაასრულა 2 წიგნის - „ღვინის ქიმიის გააზრებისთვის“ და „ლუდი - ალასა და სვიის ისტორია“ თარგმანი. აღსანიშნავია, რომ პირველი წიგნი სახელმძღვანელოა და მისი ანალოგი ქართულ ენაზე რამდენიმე ათეული წელია არ გამოსულა. წიგნის გამოცემის უფლებები გამომცემლობა Wiley-ს ეკუთვნის და ამ ეტაპზე მასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ორივე წიგნი 2024 წელს გამოვა.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. Beridze, Berika, Sękiewicz, Katarzyna, Walas, Lukasz, Thomas, Peter; Danelia, Irina, Kvartskhava, Giorgi; Farzaliyev, Vahid, Bruch, Angela A, Dering, Monika. Evolutionary history of *Castanea sativa* in the Caucasus driven by Middle and Late Pleistocene paleoenvironmental changes. *AoB PLANTS*. ISSN: 20412851. Volume 15, Issue 51, October 2023, Article number plad 059. Pp. 1-15.

- 3.2. Berika Beridze, Katarzyna Sękiewicz, Łukasz Walas, Irina Danelia, Vahid Farzaliyev, Giorgi Kvartskhava, Janusz Szmyt, Monika Dering. Niche modelling suggests low feasibility of assisted gene flow for a Neogene relict tree, *Castanea sativa* Mill. *Dendrobiology*. 2023, vol. 90, pp. 58–75.
- 3.3. Berika Beridze, Katarzyna Sękiewicz, Łukasz Walas, Peter A. Thoma³, Irina Danelia, Vahid Fazaliyev, Giorgi Kvartskhava, Jan Sós, Monika Dering. Biodiversity protection against anthropogenic climate change: conservation prioritization of *Castanea sativa* in the South Caucasus based on genetic and ecological metrics. *Ecology and Evolution*. Wiley, 18 May, 2023. P. 1-19.
- 3.4. Mathias Hutzler, Lia Amiranashvili, Juan Eizaguirre, Giorgi Kvartskhava and Martin Zarnkow. Yeast hunting at historic Caucasus mountain brewing sites: Investigations for special brewing yeasts in Georgia. *The European Archaeologist*. Issue 75, Winter 2023. P. 19-26.
- ოთხივე სტატია გამოსული საზღვარგარეთის ჟურნალებში.

3.2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

აკადემიკოსები: თენგიზ ყურაშვილი, ჯემალ გუგუშვილი, ანატოლი გიორგაძე, გურამ ტყემალაძე,

განყოფილებაში 2023 წელს ჩატარდა 9 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 20 იანვარს 1. ინფორმაცია აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 16 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 16 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 12 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი. 2. შინაური ცხოველების მიერ გამოწვეული გარემოს დაზიანებების მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ნაირა მამუკელაშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 13 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში შემოსული ნაშრომის რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენა (ფარული კენჭისყრა).

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 26 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. მწერების, როგორც ინფექციური აგენტების გადამტანების შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

მერვე სხდომა ჩატარდა 30 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. სამონადირეო ფრინველების მოშენების მეთოდოლოგიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 13 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით 28 აპრილს გაიმართა ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა თემაზე: „ვეტერინარია დღეს, მიღწევები, გამოწვევები“. თემასთან დაკავშირებით მოხსენებებით წარსდგნენ: სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. აღინიშნა, რომ დღეს ვეტერინარიის დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს ხუთი მიმართულებით, ესაა: ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა, ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია, ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია, ცხოველთა გადაადგილების კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი. მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარული დეპარტამენტის თაოსნობით ქვეყანაში ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილების მიზნით ყოველწლიურად სახელმწიფოს დაფინანსებით ტარდება სხვადასხვა მანიპულაციები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო 4-6 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, სადაც

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ბიომრავალფეროვნების სექციას ხელმძღვანელობდა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

3.2.1. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე

აგრძელებდა მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილედ, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორად, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად.

1. თემის დასახელება: „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს საქართველოში“.

თემის მიზანია: მოპოვებული იქნას ინფორმაცია თემის ირგვლივ. გამოიკვეთოს განვითარების ისტორიული ასპექტები. არსებული კონცეფციები. შესწავლილი იქნას ცალკეული ქვეყნების (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნების) გამოცდილება (თავისებურებები და ტენდენციები). გამოკვლეული იქნას პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული მეცნიერების როლი (მათი რეკომენდაციები, გავრცელების არეალი). გაანალიზდეს, თუ როგორია ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების გაძლიერების თანამედროვე მეთოდები (გამოცდილება).

გაანალიზდეს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ბუნებრივი-საწარმოო პირობები, ისტორიული გამოცდილება (თავისებურებები), საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

მომზადდეს რეკომენდაციები საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

თემაზე მუშაობა გრძელდება.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

კითხულობდა ლექციებს ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებთან საგანში “ნადირობის საფუძვლები და სანადირო მეურნეობა”.

სასწავლო კურსის სახელწოდებაა “ნადირობის საფუძვლები და სანადირო მეურნეობა”. სასწავლო კურსის კოდი: HUNIN10GA1-LP.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. მრავალწლიანი საკვები ბალახები. გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქემელაშვილი, ა. გიორგაძე, ი.სარჯველაძე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე” #1 (49) გამომცემლობა “აგრო” თბილისი, 2023 წელი.

3.2. საძოვრული შენახვის გავლენა პირუტყვის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ა. გიორგაძე, ი.სარჯველაძე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე” #1 (49) გამომცემლობა “აგრო” თბილისი, 2023 წელი.

3.3. გენეტიკური ბანკები - ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალება. ა. გიორგაძე, მ. ბარვენაშვილი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ შრომათა კრებული. თბილისი 2023 წელი.

3.4. კალმახი - საქართველოს მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. მ. ბარვენაშვილი, ა. გიორგაძე, ჯ. გუგუშვილი, მ. ფეიქრიშვილი, ბ. დავითაშვილი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ შრომათა კრებული. თბილისი 2023 წელი.

3.5. Local and endemic animal genetic resources of Georgia. Scientific and practical conference “Management of the genetic found of animals – problems, solutions, outlooks. Moldova 2023.

4. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ცხოველთა გენეტიკური ფონდების მართვა - პრობლემები, გადაწყვეტილებები, პერსპექტივები“ მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ინსტიტუტი ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის სიცოცხლის მეცნიერებათა დეპარტამენტი, მოლდოვას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო და მოლდოვას კვლევისა და განვითარების ეროვნული სააგენტო. ქ. კიშინიოვი. მოხსენება პლენარულ სხდომაზე.

5. მონაწილეობა აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში.

მომხსენებელი:

1. აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.

2023 წელს აკადემიის ეგიდით გამართული მრავალი მაგიდების, სემინარების და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების თანაორგანიზატორი და მონაწილე.

6. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” სარედაქციო, სამეცნიერო საბჭოსა და საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის წევრი;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთ “მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე;

- ვინიცის (უკრაინა) ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის „აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები“ რედკოლეგიის წევრი.
 - კიევის (უკრაინა) ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის“ რედკოლეგიის წევრი.
 - სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრი;
 - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ «Animal Husbandry of the Steppe of Ukraine» რედკოლეგიის წევრი.
 - უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მარცვლოვანი კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქ. დნიპრო.
- 7. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა (კომისიის წევრი).**

აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი

ინფორმაცია 2023 წლის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

1. გამოქვეყნებული რეკომენდაციები:

1.1. საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების დახასიათება, გამომცემლობა „აგრო“, სსმმ აკადემია 2023

რეკომენდაციაში განხილულია საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების დახასიათება, მეხორცულ-ტყავ ბეწვეული ჯიშებიდან რუხი გოლიათი, ქართული სახორცე-საქურქე, თეთრი გოლიათი, და საბჭოური მარდერი. სახორცე პროდუქტიულობის ჯიშებიდან ახალი ზელანდიური, თეთრი გოლიათი, და გერმანული პეპელა.

ნაშრომში მოცემულია აღნიშნული ჯიშების მკვლელობის ხანგრძლივობა, ნაყოფიერება, შენარჩუნება, ცოცხალი მასის ზრდის დინამიკა, სახორცე და ტყავბეწვეული პროდუქტიულობა, აგრეთვე მოვლა-შენახვისა და ცხოველთა კვების საკითხები.

2. გამოქვეყნებული სტატიები:

2.1. საქართველოში მეხოცვრეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ ჟურნალი „მაცნე“ სსმმ აკადემია 2023 გვ.16-17

2.2. საქართველოში გავრცელებული ბოცვრის ჯიშების პროდუქტიულობა ჟურნ. „მაცნე“ სსმმ აკადემია 2023 გვ.14

2.3. კალმახი-საქართველოს მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თანაავტორი) შრომათა კრებული სსმმ აკადემია 2023 გვ.14

2.4. რეკომენდაციები-ბოცვრის, მოვლა, კვება-შენახვა ჟურნ., „აგრარული საქართველო“ 2023 გვ.30

3. 3.1. აკადემიკოსმა ჯ. გუგუშვილმა რეცენზია ჩაუტარდა და შეაფასა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების წლიურ ანგარიშს, კერძოდ მეცხოველეობის, მეთევზეობის, საკვებწარმოების, მეფუტკრეობის მიმართულებით. შეფასება, დასკვნები და რეკომენდაციები წერილობით აცნობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელობას.

3.2. მისი ხელმძღვანელობით კონტაქტები დამყარდა და საჯარო ლექციები ჩატარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, კერძოდ სამ უმაღლეს სასწავლებლებთან, ევროპის, ტექნიკურ და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებში; მოეწყო შეხვედრა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობასთან, საუბარი გაიმართა სტუდენტებთან სამეცნიერო საქმიანობაზე და აგრარულ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

- 4-5 აპრილს მონაწილეობა მიიღო გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების ორგანიზებით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ეხებოდა მეცხოველეობის საკითხებს. კონფერენცია ჩატარდა ქ.თბილისში სასტუმრო „რუსში“ (კოსტავას ქუჩა)

- 11 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაში.

- 16 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაში.

- 30 ივნისს ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფის წევრებთან ერთად მოაწყო გასვლითი სამეცნიერო ექსპედიცია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრში, სადაც გაეცნენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურას:

- სოფელ ჯიღაურაში მრავალწლიანი (ვაზი, ხეხილი, აგროსატყეო) კულტურების ბაზა;

- ერთწლოვანი (მარცვლოვანი, პარკოსანი ბოსტნეული, ბაღჩეული) კულტურების ბაზა (სოფ. წილკანი, მცხეთის მუნიციპალიტეტი);

- სარიშვილის სახ.ნიადაგის კვლევის ლაბორატორია (წილკანი, მცხეთის მუნიციპალიტეტი) აწარმოებენ კულტურების სერტიფიცირებას;

- მოლეკულური მარკირების ლაბორატორია, მეაბრეშუმეობის სადგური (წილკანი), მეფუტკრეობის საცდელი ბაზა (მუხური, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი);

- მცენარეთა სასელექციო ჯიშთა გამოცდა, (სადემონსტრაციო ნაკვეთები 24 მუნიციპალიტეტში)

- მეცხოველეობის სანაშენე სადგური (განთიადი, დმანისი);

- შინაური ცხოველების და ფრინველების საცდელი ბაზა (კრწანისი);

- ფუნქციონირებს რისკის შეფასების სამსახური.

5. აკადემიკოს ჯ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე საანგარიშო პერიოდში განხილული იყო 14 საკითხი, რომელთა შორის აღსანიშნავია:

5.1. ვეტერინარიაში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ;

5.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის განვითარების ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ;

5.3. კონკურენტული უპირატესობისა და მართვის თანამედროვე მექანიზმების შესახებ აგრარულ პოლიტიკაში;

5.4. მიწის რესურსების სამართლებრივი ბაზისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შესახებ

5.5. საქართველოში მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ევროპის უნივერსიტეტიდან მოწვეულნი იყვნენ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები და სტუდენტები, რომლებიც გაეცნენ

ჩვენი აკადემიის მიღწევებსა და საქმიანობას, სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის მუზეუმი, დაესწრნენ საბჭოს სხდომას.

საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო საბჭოს წევრებთან ერთად 22 დეკემბერს მოეწყო გასვლითი-სამეცნიერო ექსპედიცია კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში.

გაკეთდა სამეცნიერო საბჭოს მიერ 2023 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. მომზადდა 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

6. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; აკადემიის პრეზიდიუმის წევრი; ექსპერტი მეცხოველეობის დარგში; ეროვნული კოორდინატორი მეცხოველეობის მიმართულებით; სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის „აგრარული საქართველო“ - ს სამეცნიერო საბჭოს წევრი; აქტიურად არის ჩართული პრეზიდიუმის მუშაობაში.

7. აკადემიკოს გუგუშვილის წინადადებები.

ქვეყანაში მწვავედ დგას ზოვეტერინარული პროფილის კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი. ფერმერების უმეტესობა დაბალი კვალიფიკაციისაა. მცირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველთა სულადობა. მატულობს როგორც ინვაზიური, ასევე ინფექციური დაავადებების რაოდენობა.

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელ პირობად მიმაჩნია, საქართველოს მეცხოველეობის და ვეტერინარიის უმაღლესი განათლების სასწავლებლის, ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის აღდგენა. სხვა შემთხვევაში კრიზისი გარდაუვალია.

აკადემიკოსი გურამ ტყემალაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტში გურამ ტყემალაძის ხელმძღვანელობით **1. სრულდება ფუნდამენტური კვლევითი ხასიათის პროექტი:** „ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ფუნქციური (პროფილაქტიკურ-პრევენციული) დანიშნულების ახალი სურსათის, მათ შორის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება - ინოვაციური, უნარჩუნო ტექნოლოგიების დამუშავებისა და განვითარების გზით“.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში - მაგისტრატურა - სასურსათო წარმოების ბიოქიმია, მცენარეთა ბიოქიმია;

ბაკალავრიატი - ბიოქიმიის საფუძვლები, მცენარეთა ბიოქიმიის პრინციპები, სტრუქტურები და რეაქციები ბიოქიმიურ პროცესებში (სალექციო კურსი); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. მახაშვილი ქ.ა., ტყემალაძე გ.შ., ხეჩინაშვილი ზ., დოჭვირი ბ.მ. ამერიკული ოფციონის მოდელირება რთული პროცენტით.// საქართველოს საინჟინრო სიახლენი (GEN), 2023, #1, გვ. 36-40. DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0287>. ISSN 1512-0287

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

4.1. გურამ ტყემალაძე - ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. მეორე განახლებული გამოცემა. ISBN 978-9941-28-971-2; თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023, 778 გვ.

ლექსიკონი მოიცავს ხუთი ათასზე მეტ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, გავრცელებულ და გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულს, ე.წ. სალექსიკონო სტატიას. თითოეულ სიტყვას, ტერმინს, ცნებას, ნაერთსა თუ პროცესს, განმარტების გარდა, ახლავს კონკრეტული მაგალითები ცოცხალ ორგანიზმებში მათი როლისა და მნიშვნელობის, აგრეთვე პრაქტიკული გამოყენების შესახებ. ენციკლოპედია, პირველ გამოცემასთან შედარებით, ორი ათასი ლექსიკური ერთეულითა და, შესაბამისად, ახალი ფერადი საილუსტრაციო მასალით არის გამდიდრებული. ენციკლოპედიურ ლექსიკონს დართული აქვს ნაშრომში ნახსენებ ავტორთა ჩამონათვალი, დაბადების თარიღები, ეროვნება, სპეციალობა და პროფესიული მოღვაწეობის სფერო, მოკლე ცნობები მათი ძირითადი შრომებისა და საერთაშორისო აღიარების შესახებ.

4.2. გ. ტყემალაძე - ბიოქიმიის საფუძვლები. მეორე განახლებული გამოცემა. ISBN 978-9941-28-987-3. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023, 778 გვ.

პროფესორ გურამ ტყემალაძის სახელმძღვანელო წარმოადგენს მეორე, გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემას. სახელმძღვანელოში ბიოქიმიის ტრადიციულ საკითხებთან – უჯრედის სტრუქტურული ორგანიზაცია და ენერგეტიკა; ამინომჟავების, ცილების, ფერმენტების, ვიტამინების, ნახშირწყლების, ლიპიდების, ჰორმონების, ნუკლეინის მჟავებისა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური მეორეული მეტაბოლიტების (ალკალოიდების, ანტიბიოტიკების, ტერპენების, ფენოლური ნაერთებისა და სხვა ქიმიურად მონათესავე ოჯახების) ცვლის, რეგულაციისა და ბიოსინთეზთან – ერთად განხილული და გაანალიზებულია ბიომექანიკისა და ფოტოსინთეზის მოლეკულური საფუძვლები. ყურადღება გამახვილებულია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გლობალური დათბობა და მცენარეთა ენერგეტიკულ-ფოტოსინთეზურ შესაძლებლობათა და მათი ბიოლოგიური პოტენციალის გაზრდა. სახელმძღვანელოში განახლებული სახით წარმოდგენილია ალბათობისა და სტატისტიკის ელემენტები, ბიოქიმიის განვითარების ქრონოლოგია. დამატებულია ორგანულ ნაერთთა კლასიფიკაციისა და ნომენკლატურის წარმოების ძირითადი წესები, დაავადებათა ლექსიკონი და მრავალი სხვადასხვა სახის საცნობარო მასალა.

სახელმძღვანელო გამდიდრებულია ფერადი ილუსტრაციებით: სურათებით, დიაგრამებითა და ცხრილებით. სახელმძღვანელო დაწერილია გამართული ქართული ენითა და თანამედროვე ტერმინოლოგიით. სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-ახალგაზრდობას, ისე პროფესორ-მასწავლებლებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და ბიოქიმიით დაინტერესებულ ყველა მსურველს.

5. დაცული სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

სამაგისტრო ნაშრომი: გვანცა მიროტაძე - „ხაჭოს წარმოება მოცვისა და თუთიის ბადაგის დამატებით“ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრეინინგებში მონაწილეობა.

6.1. დემეტრაშვილი მარინე, მახაშვილი ქეთევანი, სორდია ელენე, მამალაძე მზია, ტყემალაძე გურამი - საქართველოს მცენარეთა მრავალფეროვნება და გამოყენების პერსპექტივები ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტების წარმოებაში.- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, 04-06 ოქტომბერი, თბილისი, 2023, გვ. 50-54. ISBN 978-9941-8-5843-7

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

სსმმ აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მოამბე“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

8. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურები, წოდებები და ა.შ.

ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 15.07.23.

აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

1. საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა თემა: „ცხოველთა ინფექციური დაავადებები საქართველოში და მათი პრევენცია“ - თემის ხელმძღვანელი;

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სავეტერინარო მედიცინის სპეციალობის IV კურსზე კითხულობს საგნებს:

2.1. ინფექციური დაავადებები;

2.2. ფრინველის დაავადებები;

2.3. ფუტკრის დაავადებები;

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. ლ. ციცქიშვილი, ლ. მაკარაძე, თ. ყურაშვილი, ნ. მილაშვილი, ზ. მაკარაძე, ე. სანაია - ძაღლის დიოფილარიოზი სამხრეთ კავკასიაში და მისი პათომორფოლოგია. სოკრატეს ლექციები. მე-8 საერთაშორისო მინი სიმპოზიუმი, ნაწილი II, ლუბლიანა, 21 იანვარი, 2023 წ. (<https://doi.org/10.55.295/psl.2023.118>)

3.2. მ. ლომინეიშვილი, ლ. ციცქიშვილი, თ. ყურაშვილი, ლ. მაკარაძე, ი. გეგუჩაძე - სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში „მეგრული წითელი“ ჯიშის მრპ-ის პოპულაციაში ბრუცელოზის გავრცელება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

3.3. ლ. მაკარაძე, ლ. ციცქიშვილი, თ. ყურაშვილი, ზ. მაკარაძე, ნ. მილაშვილი - პირუტყვის ბრონქული და შუასაყრის ლიმფური კვანძების ტუბერკულოზის პათომორფოლოგია. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევისა და თურქეთის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მეცხოველეობის I საერთაშორისო კონფერენციის მასალები (აზერბაიჯანი, ქ. განჯა 20-21 ოქტომბერი, 2023 წ.)

4. გამოქვეყნებული წიგნები:

4.1. თ. ყურაშვილი, ლ. ციცქიშვილი, კ. ყურაშვილი - ცხოველთა ინფექციური დაავადებები (საქართველოში არარეგისტრირებული) 187 გვ.

ნაშრომში მოკლედაა მოთხრობილი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გავრცელებული ჩვენი ქვეყნისათვის უცხო ცხოველთა ინფექციურ დაავადებებზე, მათ აღმძვრელებზე, სიმპტომებზე, დიაგნოსტიკაზე და საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.

4.2. თ. ყურაშვილი - ცხოველთა ფიზიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლები - 232 გვ.

ნაშრომში მოცემულია შინაური და გარეული ცხოველების და ფრინველების ფიზიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლები. წიგნი განკუთვნილია სავეტერინარო მედიცინის და ზოოტექნიკური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი ვეტერინარი ექიმების, ცხოველთა მფლობელების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

5. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

5.1. სოკრატეს ლექციები. მე-8 საერთაშორისო მინი სიმპოზიუმი, ნაწილი II, ლუბლიანა, 21 იანვარი, 2023 წ.

5.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ სსმმ აკადემია, თბილისი, 04-06 ოქტომბერი 2023 წ.

5.3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევისა და თურქეთის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მეცხოველეობის I საერთაშორისო კონფერენცია. აზერბაიჯანი, ქ. განჯა 20-21 ოქტომბერი, 2023 წ.

6. მოხსენებები:

6.1. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში „მეგრული წითელი“ ჯიშის მრკ-ის პოპულაციაში ბრუცელოზის გავრცელება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

6.2. ძაღლის დიოფილარიოზი სამხრეთ კავკასიაში და მისი პათომორფოლოგია.

6.3. პირუტყვის ბრონქული და შუასაყრის ლიმფური კვანძების ტუბერკულოზის პათომორფოლოგია.

7. სამეცნიერო საგრანტო პროექტები:

7.1. რუსთაველის მეცნიერებათა ეროვნული ფონდი #FR-22-6780 - ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოს ტუბერკულოზის მაღალი რისკის რეგიონებში (მონაწილე).

8. პრეზიდენტის წევრად არჩეული იქნა 2023 წლის ოქტომბერში;

9. მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილებაში გაკეთებულია ორი მოხსენება:

9.1. ცხოველთა ინფექციური დაავადებები საქართველოში და მათი პრევენცია (ნახევარი წლის ანგარიში);

9.2. მწერების, როგორც ინფექციური აგენტების გადამტანების შესახებ;

10. საზოგადოებრივი საქმიანობა:

10.1. საქართველოს ვეტერინარ ექიმთა ასოციაცია - წევრი;

10.2. საქართველოს მემამულეთა კავშირი - ვიცე პრეზიდენტი;

10.3. ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგია - წევრი;

10.4. ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგია - წევრი;

10.5. „შალომ კლუბის“ (ისრაელის საელჩო, მაშავი) - წევრი;

10.6. სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭო - წევრი;

10.7. საქართველოს ენციკლოპედია - მრჩეველი;

10.8. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამები, დოქტორანტის ხელმძღვანელი;

10.9. მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, წიგნის, ბროშურის, რეკომენდაციის რეცენზენტი და რედაქტორი;

10.10. სსმმ აკადემიის ეროვნული კოორდინატორი ვეტერინარიაში;

11. ჯილდოები:

11.1. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო - საერთო საქმეში შეტანილი წვლილისა და ერთგულებისთვის - მაძლობის წერილი;

11.2. სსმმ აკადემია - დამსახურებული სამეცნიერო მოღვაწეობისათვის - დიპლომი;

12. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

12.1. თანამშრომლობა ასოციაცია „ელკანასთან“;

12.2. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის სამეცნიერო კონსულტანტი;

13. წინადადებები:

13.1. განყოფილებაში მეტი ყურადღება დაეთმოს ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას და სათანადო რეკომენდაციების მომზადებას და პრაქტიკაში დანერგვას;

13.2. გაფართოვდეს მუშაობა საგანმანათლებლო მიმართულებით, დაეხმაროს ახალგაზრდებს კვალიფიკაციის ამაღლებაში და პრაქტიკული ჩვევების დაუფლებაში;

13.3. დაამყაროს ურთიერთობები რეგიონალურ და რაიონულ საკონსულტაციო ცენტრებთან და გაუწიოს მათ თეორიული და პრაქტიკული დახმარება.

3.3. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) (აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე გარდაიცვალა 17 თებერვალს) და 2 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: რევაზ მახარობლიძე, ალექსანდრე დიდებულისძე, ჯემალ კაციტაძე, ზაურ ფუტყარაძე.

სტიპენდიატები: ტექნიკის დოქტორები: მამუკა ბენაშვილი, გიორგი ქუთელია.

განყოფილებაში 2023 წელს ჩატარდა 8 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 24 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 20 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულისძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 20 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. მოტობლოკის ბაზაზე ბაზოს წარმომქმნელი და მულჩსაფარი ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო კომბინირებული აგრეგატის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სტიპენდიატი, ტექნიკის დოქტორი გიორგი ქუთელია.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 1 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მიერ 2022 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ებანოიძე.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 16 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ

აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 11 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენა (ფარული კენჭისყრა).

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 19 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. კახეთის სოფლის მეურნეობის სივრცითი განვითარების პრიორიტეტები გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაგალითზე. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე; 2. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორის მამუკა ბენაშვილის მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მერვე სხდომა ჩატარდა 15 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლისძე.

აღსანიშნავია, რომ აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 4-6 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“.

აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით 26 დეკემბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა მიძღვნილი აკადემიკოს შალვა კერესელიძის 110 წლისთავისადმი. მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მისალმების შემდეგ მან ისაუბრა აკადემიკოს შალვა კერესელიძის მიერ გაწეულ უდიდეს ღვაწლზე სამამულო სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში. აკადემიკოს შალვა კერესელიძის ბიოგრაფიულ მონაცემებზე ფართო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი რევაზ მახარობლისძე, რომელმაც თავის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო შ. კერესელიძის მიერ ჩატარებულ ურთულეს სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქციო-ტექნოლოგიური სამუშაოების განხილვას. აკად. რ. მახარობლისძემ ასევე ისაუბრა შ. კერესელიძის ნოვატორულ და ორიგინალურ შეხედულებებსა და მიმართულებებზე. შ. კერესელიძის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე ისაუბრეს ასევე, აკადემიკოსებმა: ა. დიდებულისძემ, ნ. ჭითანავამ, ჯ. კაციტაძემ, გ. ალექსიძემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებმა: ნ. ებანოიძემ და ზ. მახარობლისძემ, ტექნიკის დოქტორმა თ. ნადირაშვილმა.

3.3.1. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე

1. **სამეცნიერო თემის დასახელება.** საანგარიშო წლის განმავლობაში მუშაობდა ორ თემაზე:

1.1. **თემა:** „საქართველოს მუნიციპალიტეტებში სოფლად მდგრადი განვითარების სივრცით-ტერიტორიული ასპექტები“. თემის მიზანი: საქართველოში კონკრეტული მუნიციპალიტეტების ან სოფლების კლასტერების მდგრადი განვითარების დაგეგმვა ითვალისწინებს მათი განსხვავებული ტიპების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას. ამ დროს გადამწყვეტია შესაბამის ტერიტორიებზე აგრარული დარგის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლებლობების და რისკების დადგენა და იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრავენ ამ ტერიტორიების განვითარებას. დადგენილი იქნება სოფლად მდგრადობის მაჩვენებლების ეფექტიანი სივრცითი გათანაბრების მექანიზმები მთლიანად ქვეყნის განვითარების ტემპების და ვექტორის შენარჩუნების პირობებში (სოფლის მეურნეობის ნაწილის შემსრულებელი).

პრეზენტაციები ჩაატარა გურჯაანში (ორჯერ), ხოლო საველე სამუშაოები ველისციხეში, ატენის ხეობაში და თრიალეთის ქედზე.

1.2. **თემა:** „ელექტრომაგნიტური ვიბროამძრავებით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამუშავება“.

თემის მიზანი: სპეციალური ერთფაზა და სამფაზა ელექტრომაგნიტური წინსვლით-უკუქცევითი და კუთხით რხევითი ვიბრაციული ამძრავებით აღჭურვილი დამხარისხებელი და სატრანსპორტო მანქანების დამუშავება, ელექტრომექანიკურ ვიბროაგზნებებში ენერგიის გარდაქმნის პროცესის შესწავლა, ვიბროამძრავის მართვისა და დაცვის სქემების დამუშავება და ელექტრომაგნიტური ვიბროამძრავის დინამიკური და ენერგეტიკული მაჩვენებლების სრულყოფა (თანახელმძღვანელი გ.ჯავახიშვილთან ერთად).

2. **მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.** მოწვეულ პროფესორად მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, არის უნივერსიტეტის საინჟინრო სადოქტორო საბჭოს წევრი, ერთი დოქტორანტის (ბ.იმნაძე) სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3. **გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:**

3.1. Theoretical Principles of Electromagnetic Oscillation Motor with Asymmetrical Stator. “Bulletin of the Georgian National Academy of Sciences”, vol 17, # 2, 2023. – pages 35-42.

ასიმეტრიულსტატორიანი ელექტრომაგნიტური კუთხით რხევადი ძრავის თეორიული პრინციპები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტომი 17, # 2, 2023, გვ. 37-42 (თანაავტორი გ. ჯავახიშვილი).

3.2. წინასიტყვაობა მონოგრაფიისა: ზვიადაძე ე., კერესელიძე ნ., ზივზივაძე ლ., კულატაძეშვილი ნ., თარაშვილი თ., კობახიძე მ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2023. - გვ. 10-12 (თანაავტორი: ო.კაჭარავა)

3.3. საქართველოში თანამედროვე აგრობიოტექნოლოგიების გავრცელების ეკოლოგიური პრობლემები. საერთაშორისო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, თბილისი, 2023, გვ. 54 – 59.

3.4. სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობის კონცეფცია და საქართველო. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2023. – გვ. 188-192 (თანაავტორი გ.ჯაფარიძე).

3.5. კუთხით რხევითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორის მუშაობის პრინციპი. ჟურნალი „ენერგია“, სერია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, # 3(107), თბილისი, 2023. გვ. 63 - 67 (თანაავტორი გ.ჯავახიშვილი).

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

4.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, 2023 წლის 04-06 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო

4.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა: „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი - შედეგები და სიახლეები“, ღვინის ეროვნული სააგენტო, 2023 წელი 10-13 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო

4.3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ბუნებრივი რესურსები და კურორტები, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორები“, 2023 წლის 27-28 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო.

4.4. IV საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, 2023 წლის 20-22 ნოემბერი, თბილისი, საქართველო.

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

5.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს პროექტში: „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარება (შპს „სტუდია 21“- გურჯაანი, 2023. – 440 გვ შეასრულა სოფლის მეურნეობის ნაწილი.

5.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს პროექტში: „გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარება (შპს „არტსტუდიო პროექტი“, ეტაპი 1: არსებული მდგომარეობა. თბილისი, 2023. – 77 გვერდი; შეასრულა სოფლის მეურნეობის ნაწილი, გვერდები 53-70.

6. აკადემიის პრეზიდენტი მუშაობაში მონაწილეობა.

როგორც აკადემიის პრეზიდენტის წევრი, ა.წ. ივნისიდან მონაწილეობდა სხდომებში.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა:

არის მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის (MAAH, ქალაქი მინსკი, ადრე - კიევი) ეროვნული ბუნებრივი საგანმშრომლო სამეცნიერო საბჭოს თანათავმჯდომარე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე და საკანონმდებლო და ეთიკის კომისიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის წევრი და ივნისის ჩათვლით იყო ამ აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის აღმასრულებელი მდივანი, იყო ენციკლოპედია „საქართველოს“ კონსულტანტი,

8. გამოგონება, პატენტი

კუთხით რხევითი რვაპოლუსიანი ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანა. საქართველოს პატენტი, დადებითი დასკვნა # 16203 განაცხადზე, გამოქვეყნებულია „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“, # 20 (623), 2023, გვ. 7 (თანაავტორი გ.ჯავახიშვილი).

9. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

9.1. როგორც აკადემიის პრეზიდიუმის წევრი მონაწილეობდა სხდომებში, განსახილველად გატანილი ჰქონდა 5 საკითხი.

9.2. ხელმძღვანელობდა აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიის მუშაობას; საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 13 სხდომა (დაწვრილებით იხილეთ კომისიის ანგარიშში).

9.3. არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის საგრანტო კომიტეტის წევრი.

9.4. როგორც აკადემიის სამეცნიერო საბჭოში წევრი მონაწილეობდა საბჭოს სხდომებში.

9.5. ჩაატარა სამი უნივერსიტეტის აგრარული პროფილის ფაკულტეტების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებაში.

10. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების თემატიკა, რომელთა გამართვაც გასურთ აკადემიაში.

10.1. სასურველია აკადემიამ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად დაიწყოს დოკუმენტი: „საქართველოში აგრარული მეცნიერებების 2025-2030 წლებში განვითარების სტრატეგია“ შემუშავება.

10.2. აკადემიაში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივებისა და სტრატეგიული დოკუმენტების ღია განხილვები.

აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე

1. სამეცნიერო-კვლევითი თემა: „ახალი მასალებისა და ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის“, გეგმიური; სამეცნიერო ხელმძღვანელი.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში კითხულობს საგნებს: მასალათმცოდნეობა, საწარმოო პროცესები, აღნიშნულ საგნებში კითხულობს ლექციებსა და ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო სტატია:

3.1. მსგავსობითობისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით რკინა-ნიკელის ელექტროლიტური საფარის სისალის გამოკვლევა, სოფია, სამეცნიერო ჟურნალი “Mechanization in Agriculture”, №2 6 2023 წ.

სტატიაში მიღებულია აღდგენის პროცესის დამახასიათებელი მსგავსობითობის კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებით გამოკვლეულია რკინა-ნიკელის ელექტროლიტური საფარის სისალე. მიღებულია ადეკვატური მათემატიკური მოდელი.

3.2. რკინა-ნიკელის ელექტროლიტური საფარის მექანიკური თვისებების გამოკვლევა, მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომათა კრებული, ვარნა, 2023.

სტატიაში დამუშავებულია მეთოდოლოგია აკად. ჯ.კაციტაძის გამოგონების დონეზე მიღებული რკინა-ნიკელის ელექტროლიტური საფარის მექანიკური თვისებებისა გამოკვლევისათვის ექსტრემალური ექსპერიმენტების დაგეგმვის თეორიის გამოყენებით.

3.3. მცირე მექანიზაციისათვის საჭირო ახალი კომბინირებული აგრეგატი და მისი პარამეტრების გამოკვლევა, იმპაქტფაქტორიანი გამოცემა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის “მოამბე”, ტ.17, თბილისი, 2023

სტატიაში წარმოდგენილია აკად. ჯ. კაციტაძის მიერ პატენტის დონეზე მიღებული და დამზადებული მცირე მექანიზაციისათვის განკუთვნილი კომბინირებული აგრეგატის პარამეტრების გამოკვლევა მსგავსობისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

მონაწილეობა მიიღო XI საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონგრესის მუშაობაში, რომელიც ჩატარდა ქ. ვარნაში (ბულგარეთი) 2022 წლის 23...26 ივნისს. გამოვიდა მოხსენებით - “Study of the hardness of iron-nickel electrolytic coatings“. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 140-ზე მეტი მეცნიერი.

იყო აღნიშნული კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ასევე პირადად ხელმძღვანელობდა მანქანების სერვისის სექციას.

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარადგინა ფუნდამენტური საგრანტო პროექტი თემაზე “სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშებისა და მისი გაზრდის რესურსდამოზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“. პროექტმა გაიარა მკაცრი ექსპერტიზა ევროპის სამეცნიერო ფონდში და გაიმარჯვა, რაც ჩვენი აკადემიისათვის სასახელოა.

6. მოხსენებები:

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმზე და აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის შესახებ.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა:

არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის “Mechanization in Agriculture” და ასევე ჟურნალების „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, “აგრარული საქართველო“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომლებიც ტარდება 2024 წელს ბოროვეცსა და ვარნაში.

8. ჯილდოები:

არის ღირსების ორდენის კავალერი, სომხეთის ნაციონალური უნივერსიტეტის საპტიო პროფესორი და დაჯილდოვებულია ამავე უმაღლესი სასწავლებლის ოქროს მედლით.

მონოგრაფიამ (აკადემიკოს ზაურ ფუტკარაძესთან ერთად) „თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენება ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციისათვის მანქანების საიმედოობის გაზრდის მიზნით“ გაიმარჯვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და ცნობილი იქნა აგროინჟინერიის დარგში 2023 წლის საუკეთესო მეცნიერულ შრომად.

9. არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი .

10. მიაჩნია რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან საჭიროა ჩამოყალიბდეს ერქსპერტთა საბჭო გამოჩენილი მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით საქართველოს მთავრობამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცენ საკანონმდებლო დოკუმენტები მიწის კოდექსის, აგროსაინჟინრო სპეციალობისათვის კოდის მინიჭებისა და ექსტენსიის სამსახურის შესახებ.

11. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების თემატიკა, რომელთა გამართვაც გასურთ აკადემიაში.

აგროსაინჟინრო განყოფილებაზე წარმოვადგენ ანგარიშს 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო - პედაგოგიურ მუშაობის შესახებ და მოხსენებას “ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენების პრობლემები საქართველოში“.

აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

1. ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი თემების შესრულებაში:

1.1. სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაცია ცვალებადი მასის გათვალისწინებით;

1.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემების და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში.

მონაწილეობდა საგანმანათლებლო საქმიანობაში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. კითხულობს ლექციებს შემდეგ საგნებში:

2.1. შესავალი სპეციალობაში;

2.2. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ავტომატიზაციის საფუძვლები

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. ნიადაგის დამუშავების დარგში კვლევითი სიახლეები - საერთაშორისო კონფერენცია, 2023 წლის დეკემბერი;

3.2. მაღალკლირენსიანი თვითმავალი შასის სავალი ნაწილი - საერთაშორისო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონცეფცია და გამოყენების პერსპექტივები“, 2023 წელი.

3.3. ერთწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის პერსპექტივები - სამეცნიერო კონფერენცია: სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონცეფცია და გამოყენების პერსპექტივები“, 2023 წ.

3.4. მეცხოველეობის ელექტრომექანიზაციის პერსპექტივები - სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონცეფცია და გამოყენების პერსპექტივები“, 2023 წ.

3.5. საქართველოს აგროსაინჟინრო სექტორის სტაბილიზაციის და განვითარების პრიორიტეტები - საერთაშორისო კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ტექნოლოგიები ევროპაში და პერსპექტივები“ თბილისი, 2022 წელი

4. გამოქვეყნებული წიგნები:

მონოგრაფია „მცირე მექანიზაციის (ხელის) მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“ - გამომცემლობა „ლამბერტი“, გერმანია, ინგლისურ ენაზე (თანაავტორი ზ. ფუტკარაძე), 2020 წელი.

ნაშრომში მოცემულია მცირე მექანიზაციის ხელის მანქანებში დინამიკური პროცესების თეორიის საფუძვლები. განსახილველი მანქანები კლასიფიცირებულია დინამიკური ნიშნის მიხედვით. განისაზღვრება მოძრაობის პარამეტრები და დინამიკური დატვირთვები ამძრავის დაყვანილი ინერციის მომენტის, მუშა ორგანოზე მოქმედი დატვირთვების, ძრავის მექანიკური მახასიათებლის და ექსპლუატაციის ტიპური რეჟიმების გათვალისწინებით.

წიგნი გათვალისწინებულია სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. ლონდონში გამართული კონფერენცია ნიადაგის დამუშავების საკითხებზე, 2022 წლის დეკემბერში.

5.2. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ 04-06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო (მოხსენების დასახელება მოცემულია ანგარიში მე-3 პუნქტში)

6. მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში, როგორც მისი წევრი.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:

7.1. არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „მექანიკის პრობლემების“ რედკოლეგიის წევრი.

8. ჯილდოები:

8.1. აკადემიის პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვებულია ფულადი პრემიით გერმანიაში, გამომცემლობა „ლამბერტის“, მიერ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „მცირე მექანიზაციის ხელის მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“.

9. მომზადებული აქვს გამოსაცემად სახელმძღვანელო (ლექციების კურსი) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ავტომატიზაციის საფუძვლები“.

10. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდენტის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების თემატიკა, რომელთა გამართვაც გასურთ აკადემიაში.

ქვეყნის მასშტაბით საინოვაციო პოლიტიკის გატარებისათვის ყველაზე დიდ გართულებას იწვევს მექანიზაციის მიმართულებით მომუშავე სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების გაუქმება.

ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მდიდარი გამოცდილება, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შედის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრები, რომელთა რეკომენდაციებით ხვდება სოფლის მეურნეობის მართვა.

ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში ინოვაციისადმი სისტემური ზემოქმედებისათვის, კერძოდ, სამეცნიერო - ტექნიკური ფუნქციების შესასრულებლად აუცილებლად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს აგროსაინჟინრო სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი (რამდენიმე საინჟინრო სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ორგანიზაციების გაერთიანება), რომელიც შეასრულებს სამეცნიერო კვლევების, მანქანების დაპროექტების, დამზადების, გამოცდის და სამუშაოების ნორმირების ფუნქციებს. ცენტრის რეკომენდაციით მოხდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებების გადაიარაღება მაღალი ტექნოლოგიების თანდათანობით ათვისებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი ტექნოლოგიით ოპერაციულ) კომპლექსურ მექანიზაციის დონეზეც რომ გადავიარადეთ, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ იქნება კონკურენტუნარიანი საკუთარ ბაზარზეც კი და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი დაფინანსება ეფექტს არ მოგვცემს.

ცენტრის საპროექტო ქვედანაყოფის ფუნქცია იქნება საქართველოსათვის სპეციფიკური კულტურების (ჩაი, ციტრუსები და ა. შ.) და სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, რომელთა დამზადება მოხდება ცენტრის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანაში. სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფი დაამუშავებს აღნიშნული მანქანების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდიკას, პერიოდულად მოამზადებს მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიას და მანქანათა სისტემას გამოსაცემად სამამულო და მსოფლიო მეცნიერების მიღწევების დონეზე. მოახდენს სამეცნიერო ტექნიკურ პროგნოზირებას. ცენტრის საგამოცდო ქვედანაყოფი ჩაატარებს ადგილზე შექმნილი და საზღვარგარეთიდან შემოსატანი მანქანების წინასწარ გამოცდას და რეგიონების მიხედვით მაღალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის საჭირო სამუშაოებს, ასევე მექანიზებული სამუშაოების ნორმირებას მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების სახეობებს, კულტურების და რეგიონების მიხედვით.

ცენტრის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანაში შესაძლებელია კოოპერაციის საწყისებზე ვაწარმოოთ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და განვახორციელოთ ტექნიკის რემონტი.

სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შექმნა მიზანშეწონილია მოვახდინოთ ყოფილი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის შენობის ბაზაზე, სადაც ჯერ კიდევ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნის შენობა საწარმოო საქმიანობისათვის.

ქვემოთ მოცემულია მექანიზაციის სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის სფერო:

- კონკურენტუნარიანი ტექნიკის, მექანიზაციის და მასალების ნიმუშების, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და სხვა სახის მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნა;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრინციპულად ახალი გზების გამოვლენა-გამოყენებადი კვლევების ჩატარება სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებით. ახალი თაობის მექანიზაციის ენერგეტიკულ და ტექნიკური საშუალებების დამუშავება;
- ცენტრის პროფილის მიხედვით მეცნიერების მსოფლიო მიღწევების შესწავლა განზოგადოება და მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის ხელშეწყობა;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური ნომენკლატურისა და რაოდენობის მეცნიერული დასაბუთება კულტურების მოვლა-მოყვანის მაღალი ტექნოლოგიების ათვისების გათვალისწინებით;

- საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით და რეკომენდაციების მიცემა;

- სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისათვის სამუშაოების ნორმირება მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების სახეობების, კულტურების და რეგიონების მიხედვით.

- მექანიზაციის სპეციფიკური დარგებისათვის (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, სამთო მიწათმოქმედება) ახალი თაობის ენერგო-ტექნიკური საშუალებების დამუშავება და სერიული წარმოება.

- კოოპერაციის პრინციპებზე ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება და უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების ტექნიკური მოვლისა და რემონტის ჩატარება.

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ასევე სახელმწიფო მართვის სხვა ორგანოების დავალებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო პროგრამები, საინოვაციო პროექტების, ასევე ნორმატიული სამართლებრივი სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება ცენტრის პროფილის მიხედვით.

- მაღალი კვალიფიკაციის კადრების, მაგისტრების და დოქტორების მომზადებაში მონაწილეობა;

- სამეცნიერო კადრების და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში.

აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე

1. სამეცნიერო კვლევითი თემა:

1.1 „მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“;

კვლევის პერიოდში გაგრძელდა მუშაობა თემაზე: „მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

-„აგრეგატის ნიადაგზე ზემოქმედების, გამოყენების სფეროს, აგრეგატის დასაშვები წონის და ექსპლუატაციის დადგენა.“

-აჭარაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის კოეფიციენტის ანალიზის საფუძველზე მეცნიერული რეკომენდაციების დამუშავება ტექნიკის რაციონალური შერჩევისათვის;

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: აჭარის მაღალმთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ძირითადად გამოიყენება მცირე მექანიზაციის საშუალებები. საანგარიშო პერიოდში და მანამდე ადგილობრივი ბიზნესისა და სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამებით, რომელიც გულისხმობს თანადაფინანსებას, ხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ტექნიკითა და ტექნიკური საშუალებებით. გამოიკვეთა საჭიროება ჩატარდეს მეცნიერული კვლევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის და მისი რაციონალურად გამოყენების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად მოხდა პრობლემის მეცნიერული გააზრება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფისა და მათი ეფექტურად გამოყენების საჭიროებაზე.

1.2 აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ჩართულობით 2020 წლიდან რეგიონში ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი პროექტი „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამა „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“.

სამეცნიერო კვლევებში ჩართული არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წამყვანი მეცნიერები. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და ხორციელდება შემდეგი სამეცნიერო თემები:

ა) აკადემიკოსი გ. ალექსიძე, ასოცირებული პროფესორი, გ. ჩხუბაძე;

„აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ - დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“

ბ) აკადემიკოსი რ. ჯაბნიძე, პროფესორი შ. ლამპარაძე, ასოც. პროფესორი ნ. ბერიძე

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.“

გ) აკადემიკოსი ლ. დოლიძე, პროფესორი მერაბ მამულაძის და აკადემიური დოქტორი არჩილ ძირკვაძე „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“.

დ) გ. თხილაიშვილი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ. ჯაბნიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“

ე) აკადემიკოსი გ. პაპუნძიძე, აკადემიური დოქტორი მ. არძენაძე

„აჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევა, მათი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა სტაბილური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღების მიზნით.“

ვ) აკადემიკოსი რ. მახარობლიძე, აკად. დოქტორი ს. ბერიძე

„მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება, სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავება.“

ზ) აკადემიკოსი ჯ. კაციტაძე, აკადემიური დოქტორი რ. მარგალიტაძე

„ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის დამუშავება, თეორიული კვლევა და რეკომენდაციები“

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

2.1 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციების კურსს ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან შემდეგ დისციპლინებში:

ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები; საქონელმცოდნეობა და სტანდარტიზაცია;

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები:

3.1. J. Katsitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia, International Scientific Journal “Mechanization in Agriculture”, VARNA, BULGARIA, 2023 - “Application of the methods of theories of similarity and planning of multifactorial“

3.2. J. Katsitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia, International Scientific Journal “Mechanization in Agriculture”, VARNA, BULGARIA, 2023 - „Study of the strength of iron-nickel electrolytic coating“.

4. დაცული სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები:

4.1 აკად. ზაურ ფუტყარაძე არის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის ხელმძღვანელი.

5. კონგრესში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა:

5.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი: XI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS “AGRICULTURE” სამეცნიერო თემა: “Study of the strength of iron-nickel electrolytic coating“, VARNA, BULGARIA, 2023; გადაეცა დიპლომი; 28.06 – 01.07 2023,

5.2. ბელორუსიის ეროვნული აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის ვიდეო კონფერენცია, მიძღვნილი აგრარულ პრობლემებთან დაკავშირებით, 16 ნოემბერი, 2023წ.

6. სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1. აკად. ზაურ ფუტყარაძემ გაიმარჯვა საგრანტო პროექტში - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ფუნდამენტური კვლევები.

„თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“

პროექტის კოორდინატორი. პროექტის ძირითადი მიმართულება: ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია;

6.2 აკად. ზაურ ფუტყარაძე აგრარულ სფეროში 2023 წლის საუკეთესო ნაშრომისათვის „მანქანების საიმედოობის გასაზრდელად ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციისათვის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენება“ დაჯილდოებულია დიპლომით და ფულადი პრემიით.

7. აკად. ზაურ ფუტყარაძე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა:

8.1. აკად. ზაურ ფუტყარაძე არის სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველო“-სამეცნიერო საბჭოს წევრი;

8.2. Член научного совета Международная ассоциация академий наук, Национальная академия наук Беларусь, г. Минск, пр. Независимости 66, Беларусь;

8.3. არჩეულია აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმართველობის კომიტეტის საბჭოს წევრად;

9. აკად. ზაურ ფუტყარაძემ 2023 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო განყოფილებისა და პრეზიდიუმის სხდომაზე წარადგინა მოხსენება აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ანგარიში 2022 წელს გაწეული

მუშაობის, სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესახებ.

9.1 „მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“.

9.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“

10. აკად. ზაურ ფუტყარაძის მიერ მომზადდა რეცენზია, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის 2022 წლის ანგარიშზე:

პროგრამის ხელმძღვანელი: ტ.მ.დ, პროფ. ნუგზარ ებანოიძე, პროგრამის კონსულტანტი: ს.მ.მ.ა. აკადემიკოსი, ტ.მ.დ, პროფ. რევაზ მახარობლიძე;

11. აკად. ზაურ ფუტყარაძე არჩეულია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორად და დარგობრივი ჯგუფის ხელმძღვანელად

12. აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე წარმოადგენს ანგარიშს აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

აკადემიის სტიპენდიატი მამუკა ბენაშვილი

1. **თემის დასახელება** - საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური აღჭურვილობის დონის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზების დასახვა.

თემის მიზანია შეფასდეს სოფლის მეურნეობაში არსებული ტექნოლოგიური აღჭურვილობის დონე და განისაზღვროს გზები, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური დონე.

2. **მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:**

2023 წლის განმავლობაში საქართველოს აგრარულ და თავისუფალ უნივერსიტეტში ჩატარებული იქნა სალექციო კურსები საგნებში: საკურსო პროექტი 1, საკურსო პროექტი 2, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. აღნიშნული საგნებისათვის განახლდა სილაბუსი და სასწავლო რესურსები.

2023 წელს ჩატარებული იქნა ლექციები ქალაქ დმანისში არსებულ შვეიცარიულ აგრარულ კოლეჯში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე. კურსი მოიცავდა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას.

2023 წელს პროფესორ მ. ბენაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა და მიენიჭა მას აკრედიტაცია.

მიმდინარე წლის განმავლობაში ასევე შემუშავებული იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწავლების პროგრამა ფერმერებისათვის და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე პრატიკოსებისათვის. დამუშავდა სასწავლო რესურსები.

2023 წელს მონაწილეობა მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში. როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტმა მონაწილეობა მივიღე 20-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში. აქედან 10-მდე პროგრამაზე გახლდათ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. მის მიერ კომისიის ექსპერტებთან ერთად განხორციელდა პროგრამების შესაბამისობის დადგენა უმაღლესი განათლების სტანდარტებთან მიმართებაში და მომზადებული იქნა დასკვნები. დასკვნებში ასახულია პროგრამების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები და რჩევები.

2023 წელს მ. ბენაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის სტუდენტებმა მოამზადეს სტუდენტური პროექტები, რომელიც წარმოადგინეს იულიხის (გერმანია) კვლევითი ცენტრის წინაშე. გამარჯვებული პროექტის ავტორი - ლაშა ლომსაძე მივლინებული იქნა გერმანიაში.

აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქუთელია

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით).

1.1. თემა: „ახალი მოწყობილობებისა და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დამუშავება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდისა და ეფექტიანად გამოყენების მიზნით“.

თემის ხელმძღვანელთან, აკადემიკოს ჯემალ კაციტაძესთან ერთადერთად გამოქვეყნებულია 1-ი სამეცნიერო ნაშრომი (2023 წ) უცხოურ კონფერენციის შრომათა კრებულსა და სამეცნიერო ჟურნალში:

- Application of the methods of theories of similarity and planning of multifactorial experiments to study the hardness of iron-nickel coatings.

აგრეთვე წარდგენილია საპროექტო წინადადება ფუნდამენტური გრანტების კონკურსში:

- „სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“.

1.2. თემა: მოტობლოკის ბაზაზე ბაზოს წარმომქმნელი და მულჩსაფარი ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო კომბინირებული აგრეგატი. თემის ხელმძღვანელი: გიორგი ქუთელია.

თემის ირგვლივ ჩატარებულია სამეცნიერო კვლევითი საქმიანბები, გეგმა გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია 3-ი სამეცნიერო (2023 წ), უცხოურ და ადგილობრივ (ციტირებისა და იფაქტვაქტორის მქონე ჟურნალში (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 17, №3).

- Combined unit of small mechanization, experimental calculations and its advantages;

- მცირე მექანიზაციისათვის საჭირო ახალი კომბინირებული აგრეგატი და მისი პარამეტრების გამოკვლევა მსგავსობისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით.

- Technical means of small mechanization +1.

ასევე მომზადდა და დაიბეჭდა მონოგრაფია სახელწოდებით: „მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები სოფლის მეურნეობაში და მათი საიმედოობის გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება“.

18 - დეკემბერს ჩატარდა აღნიშნული თემის დასკვნითი პრეზენტაცია, სადაც დამსწრე საზოგადოება გაეცნო 2-ი წლის განმავლობაში განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით შედეგებს, რითიც პროექტი დასრულდა.

განვლილი პერიოდის განმავლობაში დამუშავდა და მოდერნიზებუ იქნა ექსპერიმენტული ნიმუშები, აგრეთვე მოდერნიზებულ იქნა რკინის საბურავები. (სურ. 1-2).



სურ.1



სურ.2

1.3. თემა: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში, აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის თემატური პროექტები: (2023 წელი).

“სამთო პირობებში მარცვლეული კულტურების მოყვანის თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გავრცელება და მათი ბიოენერგეტიკული შეფასება სიმინდის და ქერის მაგალითზე”.

პროექტების ხელმძღვანელი: ტმდ. პროფ. ოთარ ქარჩავა, ერთ-ერთი შემსრულებელი - გიორგი ქუთელია.

თემის ირგვლივ ჩატარებულია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობები, გეგმა გრაფიკის შესაბამისად. დამუშავებულია ვრცელი ანგარიში, რომელიც შევა აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის 2023 წლის ანგარიშში. აგრეთვე გამოქვეყნებულია 1-ი სამეცნიერო სატატია.

- ნიადაგის ნულოვანი დამუშავების (No-till) სათესი აგრეგატის საჭირო სიმძლავრის პროგნოზირება სამთო პირობებში.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

2.1. მცირე მექანიზაციისათვის საჭირო ახალი კომბინირებული აგრეგატი და მისი პარამეტრების გამოკვლევა მსგავსობისა და განზომილებათა თეორიის გამოყენებით. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 17, №3. ავტორები: ჯემალ კაციტაძე*, ოთარ. ქარჩავა**, გიორგი ქუთელია**;

2.2. Application of the methods of theories of similarity and planning of multifactorial experiments to study the hardness of ironnickel coatings. International Scientific Journal Mechanization in agriculture & Conserving of the resources. Authors: Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Giorgi Kutelia.;

2.3. Application of the methods of theories of similarity and planning of multifactorial experiments to study the hardness of ironnickel coatings. XI საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ავტორები: ჯემალ კაციტაძე, ზაურ ფუტყარაძე, გიორგი ქუთელია.;

2.4. Combined unit of small mechanization, experimental calculations and its advantages. XI საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ავტორები: გიორგი ქუთელია, ოთარ ქარჩავა, ვლადიმერ მირუაშვილი, ავთო წვერიკმაზაშვილი;

2.5. Combined unit of small mechanization, experimental calculations and its advantages. International Scientific Journal Mechanization in agriculture & Conserving of the resources. Authors: Giorgi Kutelia, Otar Karchava, Vladimir Miruashvili, Avto Tsverikmazashvili;

2.6. Technical means of small mechanization +1. Annals of Agrarian Science, Vol. 20, No. 3. Authors: G. Kutelia, O. Karchava, V. Miruashvili.

2.6. ნიადაგის ნულოვანი დამუშავების (Notill) სათესი აგრეგატის საჭირო სიმძლავრის პროგნოზირება სამთო პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული. სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები. ავტორები: ოთარ ქარჩავა, დიმიტრი კოსტაროვი, გიორგი ქუთელია.

3. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

3.1. „მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები სოფლის მეურნეობაში და მათი საიმედოობის გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება“. 2023 წელი. ავტორი: გიორგი ქუთელია. რედაქტორი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

მონოგრაფიაში განხილულია მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, ნიადაგის დამუშავებისა და მოსავლის აღები მანქანა-აგრეგატები.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე (მოქმედი პატენტი GE P 2021 7299 B) დაყრდნობით შემოთავაზებულია ახალი კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აგრეგატი.

გაკეთებულია მცირე მექანიზაციის ტექნიკის დეტალების კლასიფიკაცია კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური ერთგვაროვნობის მიხედვით.

გამოყენებულია მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების, კვლევისა და ცვეთადი დეტალების აღდგენის თანამედროვე ხერხები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პასიური და აქტიური მუშა ორგანოების აღდგენისათვის, რომელიც წარმოდგენილია გუთნის სახნისის მაგალითზე.

4. მონაწილეობა საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში.

4.1. XI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS AGRICULTURAL MACHINERY. Combined unit of small mechanization, experimental calculations and its advantages. 28.06 – 01.07.2023. წ. ვარნა, ბულგარეთი.

4.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები. ნიადაგის ნულოვანი დამუშავების (No-till) სათესი აგრეგატის საჭირო სიმძლავრის პროგნოზირება სამთო პირობებში. 04-06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო.

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი:

➤ 21.12.2023-ში დასრულებული. (2021-2023): ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი [YS-21-342]. “მოტობლოკის ბაზაზე ბაზოს წარმომქმნელი და მულჩსაფარი ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო კომბინირებული აგრეგატი”, მასპინძელი დაწესებულება: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. პროექტის

ხელმძღვანელი - ინჟინერიის დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის, უფროსი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი. გიორგი ქუთელია, მენტორი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის ლექტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაცია CNFA-ს ექსპერტი ოთარ ქარჩავა, კონსულტანტი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

➤ 2023 -ის მდგომარეობით წარდგენილი და დაფინანსებული. ფუნდამენტური გრანტი: „სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“. მასპინძელი დაწესებულება: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. პროექტის ხელმძღვანელი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე. კოორდინატორი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე. ძირითადი პერსონალი - ახალგაზრდა მეცნიერი, ინჟინერიის დოქტორი გიორგი ქუთელია, ძირითადი პერსონალი - აგროინჟინერიის დოქტორი ივანე კაპანაძე.

6. აგროინოვაციების კომისიის სხდომებში სისტემატიური მონაწილეობა:

6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიის 2023 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე წარდგენილი თემა: მოტობლოკის ბაზაზე ბაზოს წარმომქმნელი და მულჩსაფარი ინოვაციური აგრეგატის შესახებ.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების სხდომებში - სისტემატიური მონაწილეობა.

8. მიუთითეთ სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

8.1. XI International Scientific Congress on AGRICULTURAL MACHINERY 2023. INTERNATIONAL PROGRAMME COMMITTEE. Dr. Giorgi Kutelia, Scientific-Research Center of Agriculture of Georgia, Georgia. <https://www.agrimachinery.net/Committees.html> .

8.2. НАЦИОНАЛЬНЫЙ АГРАРНЫЙ УНИВЕРСИТЕТ АРМЕНИИ. Научный журнал НАУА “Агронаука и технологии”. Редакционная коллегия. Гиорги Кутелиа. <https://anau.am/ru/scientific-journal/editorial-board/>

9. გამოგონება, პატენტი

დასახელება: საწველი აპარატი (№ P 2023 7576 B). პატენტმფლობელი: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; ვლადიმერ მირუაშვილი; გიორგი ქუთელია; რუსუდან ბარკალაია; გიული გოგოლი. გამომგონებელი: ვლადიმერ მირუაშვილი; გიორგი ქუთელია; რუსუდან ბარკალაია; გიული გოგოლი.

3.4. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 6 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 2 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: ლაშა დოლიძე, გიორგი გაგოშიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გივი ჯაფარიძე, გურამ ალექსიძე, ანატოლი გიორგაძე.

სტიპენდიატები: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე; სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი.

განყოფილებაში 2023 წელს ჩატარდა 11 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 26 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი რ. ჩაგელიშვილი; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე. 2. ინფორმაცია აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 22 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს - ლაშა დოლიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აჭარის ნაძვნარი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზების და ტყის ტიპების მიხედვით სატყეო - სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკის შესახებ. **მომხსენებელი:** ა (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, დოქტორი რეზო ვასაძე.

მესამე სხდომა ჩატარდა 21 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გიორგი გაგოშიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობის და 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე. 3. სამეგრელოს და აჭარის რეგიონების ბზის კორომებში ბუნებრივი განახლების და სუქსეციური პროცესების შესწავლის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 20 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. ქ. თბილისის ტყის ბიომასის და ნახშირბადის დაგროვების პოტენციალის შეფასების შესახებ. **მომხსენებლები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე; სატყეო ექსპერტი კობა ჩიბურდანიძე.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 19 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ტყის ტიპების მიხედვით დასავლეთ საქართველოს წიფლნარების ბუნებრივი განახლების შესახებ. **მომხსენებელი:** დოქტორი ნატო კობახიძე.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 5 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ვერხვის სწრაფ მოზარდი პლანტაციის მნიშვნელობისა და გაშენების სქემების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 13 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

მერვე სხდომა ჩატარდა 7 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში შემოსული ნაშრომის რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენა (ფარული კენჭისყრა)

მეცხრე სხდომა ჩატარდა 18 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია 2022 წელს ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მიერ გაწეული სამეცნიერო - საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

მეათე სხდომა ჩატარდა 20 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. აჭარის ნამდნარი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამოძწევი მიზნების და სატყეო - სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკის შესახებ. **მომხსენებელი:** ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, დოქტორი რეზო ვასაძე.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 12 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე. 2. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიანტის ზვიად ტიგინაშვილის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 3. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიანტის გიორგი ქავთარაძის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

2 მარტს - ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. ბიოლოგიის დოქტორმა - მედეა ბურჯანაძემ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „პირველი

ქართული მიკრობიოლოგიური პრეპარატი - ბოვერ - ჯი (Bover – Ge) მავნე მწერების კონტროლისათვის”. მოხსენებელმა ხაზი გაუსვა პირველი ქართული მიკრობიოლოგიური პრეპარატის მნიშვნელობას მავნე მწერების კონტროლის პროცესში, მიმოიხილა პრეპარატ - ბოვერ - ჯის (Bover – Ge) შექმნის ტექნოლოგიური ციკლი და მისი გამოყენების მეთოდები;

21 მარტს - ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა, რომელზეც ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსმა, დოქტორმა რეზო ვასაძემ, წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „აჭარა - თურქეთის მერქნიანი მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა”. აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრისპირა ტყის ტერიტორიებზე, კორომებში ფართოდ არის გავრცელებული მავნებელ - დაავადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ტყის ეკოსისტემათა საერთო სანიტარულ მდგომარეობაზე, რის გამოც აუცილებელია განხორციელდეს გავრცელებული მავნებელ - დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

5 მაისს - კონფერენცია ვ. გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“ .

6 მაისს - გასვლითი სემინარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მარიამჯვარში, ქართული სატყეო მეცნიერებისა და განათლების ფუძემდებლების აკად. ვასილ გულისაშვილისა და პროფესორ სოლომონ ქურდიანის ხსოვნის პატივსაცემად.

5 ივნისს - გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა, ბიოლოგიის დოქტორმა არჩილ სუპატაშვილმა, წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „თბილისსა და მის შემოგარენში ფიჭვების მდგომარეობა და მათი ხმობის მიზეზები” არჩილ სუპატაშვილმა მიმოიხილა, თბილისსა და მის შემოგარენში ფიჭვების მდგომარეობა და მათი ხმობის მიზეზები, აღნიშნა, რომ აუცილებელია საქართველოში შეიქმნას ბიოლოგიური ლაბორატორიები, სასარგებლო მწერების (ენტოფაგების - აგენტების) ხელოვნური გამრავლებისათვის, რათა თავიდან აცილებული იქნას ფიჭვების ხმობა.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო, აკადემიის მიერ 4-6 ოქტომბერს ორგანიზებულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“.

3.4.1. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით):

1.1. თემა: „ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“. (თემის შემსრულებელი);

1.2. თემა: „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ბუხის (*Buxus colchica*) კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“ – (თემის კონსულტანტი);

1.3. თემა: „სახეობათა ცვლის პროცესის დინამიკა მდინარე იორის ჭაღის ტყეებში, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“ – (ხელმძღვანელი) კვლევები გაგრძელდება 2024 – 2025 წ.წ.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

2.1. „საქართველოს ტყის სამკურნალო ბუჩქოვანი მცენარეების მავნებლები“- კრებული- „მეცნიერთა ნაციონალური ასოციაცია (HAY)”N62, ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი N 68, სანკტ-პეტერბურგი, გამომც., ‘ლოგიკა’, 2023 წ, მე 2-ე ნაწილი, გვ. 24-28;

2.2. გაგოშიძე გ., კაპანაძე ი. - ქვემო ქართლის რეგიონის ტყე-მცენარეულობა და მათი გავრცელების კანონზომიერებანი - ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“, შრომათა კრებული

3. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

3.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

3.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი;

3.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის სადისერტაციო საბჭოს წევრი;

3.4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი;

3.5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;

3.6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „სიცოცხლის ხე/დრევეო ჟიცია“ (საქართველო-პოლონეთი) თანადამფუძნებელი და გამგეობის ხელმძღვანელი;

3.7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე;

3.8. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;

4. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

4.1. აკადემიკოს გ. გაგოშიძის ხელმძღვანელობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე მომზადდა და დაცული იქნა შემდეგი სადოქტორო ნაშრომი: - „ქართული მუხის (*Quercus iberica* stev.) კორომების სამეურნეო მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები ქვემო ქართლის პირობებში“ (2023 წ.), ავტორი: იაკობ კაპანაძე

4.2. საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წლიური ანგარიშების რეცენზირება.

5. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე

5.1. ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანების გავრცელების თავისებურებანი კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე. (საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფარგლებში).

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

1. 2023 წელს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობდა შემდეგი თემატიკის ფარგლებში: **1.1. თემა:** „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“. (2023-2027 წ. წ.); პროექტის მიმართულება - სატყეო საქმე; (თემის ხელმძღვანელი);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით პროექტის ფარგლებში კვლევები განხორციელდა მაღალმთიანი აჭარის (შუახევის, ხულოს სატყეო უბნები) ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში;

1.2. თემა: ტყის ეკოსისტემების დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციები წიფლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელში (თემის ხელმძღვანელი);

კვლევები განხორციელდა მდინარე ცხენისწყალის აუზში, წიფლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელში (წიფლნარი, წიფლნარ - რცხილნარი ტყის ეკოსისტემები)

1.3. თემა: „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ზღვის კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“. (თემის შემსრულებელი).

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

2.1. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე - აჭარის სოჭნარი ტყის ეკოსისტემების ძირითად ფორმაციებში ბუნებრივი განახლების თანამედროვე მდგომარეობა. - (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, bulletin, N. 1; 2023 წ.; (49), გვ. 99 - 101.);

2.2. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე - ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებზე მოქმედი ფაქტორები (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, bulletin, N. 1; ; 2023 წ.; (49), გვ. 92 - 98.);

2.3. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე - ფიჭვის (Pinus) გაშენების ძირითადი მიმართულებები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები; 04 - 06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო. გვ. 185 - 188;

2.4. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე - მუხის (Quercus) კულტურის გაშენების მეთოდები საქართველოში (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, 04 - 06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო. გვ. 183 - 185;

2.5. მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში ბუნებრივი განახლებისა და აღმონაცენ - მოზარდის ფორმირების თავისებურებების შესწავლა (მონოგრაფია. თანაავტორები: გ. ჯაფარიძე, ა. ძირკვაძე, მ. მამულაძე) გამომც. „პოლიგრაფი“, ISBN 978 - 9941 - 8 - 5317 - 3) ; თბილისი, 2023 წ. გვ. 80.;

2.6. გ. ჯაფარიძე, გ. ქავთარაძე, ლ. დოლიძე, რ. ჩაგელიშვილი - აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის საეტაპო როლი საქართველოში სატყეო მეცნიერების განვითარებაში - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“;

2.7. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე - ტყის ეკოსისტემების დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციები წიფლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელში - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“;

2.8. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე, მ. სამადაშვილი - კახეთის ზომიერად მშრალი ეკოტოპის (subsicum) ქართული მუხის (*Quercus iberica* Stev.) ტყის ტიპები - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“;

2.9. გ. ჯაფარიძე, ლ. დოლიძე - ტყის ხანძრები საქართველოში - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“.

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“. თბილისი, (05.05. 2023.)

3.2. The UEAA “Best Abstracts Scientific Competition for 2023” – „Formation of Foci of Fires of Different Groups and Intensity in Forest Ecosystems and the Study of Factors Influencing the Spreading Processes“. G. Japaridze¹, L. Dolidze Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia.

3.3. საერთაშორისო კონფერენცია “ორგანული სოფლის მეურნეობა და აგროეკოლოგია” თბილისი, 23.06.2023. (მონაწილე). კონფერენციის მხარდამჭერები - დანიის განვითარების სააგენტო (DANIDA), HEKS – EPER (შვეიცარია), აგროეკოლოგიის ფონდი (AGROECOLOGY FUND), BROT FÜR DIE WELT (გერმანია);

3.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, 04 – 06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო. (კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მომხსენებელი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილის სერთიფიკატი- MG –ISE-19 – 196.);

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი;

4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;

- 4.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორი სატყეო საქმის მიმართულებით;
- 4.4. არასამთავრობო ორგანიზაცია “მეტყევეთა საზოგადოება” ერთ - ერთი დამფუძნებელი და წევრი;
- 4.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო დარგის ექსპერტი;
- 4.6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების შემსწავლელი კომისიის წევრი;
- 4.7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული “მოამბე” - ს სარედაქციო - სამეცნიერო საბჭოს წევრი.

5. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

- 5.1. რეცენზია - 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ;
- 5.2. რეცენზია - 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის მიერ;
- 5.3. რეცენზია - 2022 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, შესრულებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ;
- 5.4. რეცენზია 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის (აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტი) მიერ (28. 04. 2023);
- 5.5. აგრარულ სფეროში 2023 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ნაშრომისათვის: „საქართველოში განვითარებული ტყის ხანძრები და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დიპლომი; საფუძველი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2023 წლის 28 ივლისის სხდომის გადაწყვეტილება);

6. პრაქტიკული მონაწილეობა თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში, მოხსენება - პრეზენტაციები

- 6.1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (წევრი, პირველი სხდომა 07 მარტი 2023 წ.);
- 6.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების 2023 წლის 21 მარტის სხდომა ეროვნული კოორდინატორების მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;
- 6.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით ორგანიზებული გასვლითი სემინარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მარიაძეჯვარში. (07. 05.2023);
- 6.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული გარემოს დაცვის

მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. მოხსენება თემაზე: „თბილისსა და მის შემოგარენში ფიჭვების მდგომარეობა და მათი ხმოვის მიზეზები“. (05.06.2023.);

6.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა თემაზე: „მცენარეთა მოლეკულური გენეტიკა“ სამეცნიერო დისკუსია ავსტრიის ფედერალური სატყეო - სამეცნიერო ტრეინინგ - ცენტრის ხელმძღვანელთან პროფ. ბერტოლდ ჰაინცესთან. თბილისი, 13.06.2023.

7. წინადადებები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდენტის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა რომელთა გამართვაც აგრეთვე მიზანშეწონილია აკადემიაში.

7.1 „საქართველოს სატყეო სექტორის მდგრადი განვითარების და მართვის მექანიზმის ოპტიმიზაცია“.

საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფორმატში.

აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი

1.1. თემის დასახელება: „საქართველოს ტყის ძირითადი სახეობების დაცვითი ფუნქციების მნიშვნელობა“. ხელმძღვანელი.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

2.1. გ. ჯაფარიძე, გ. ქავთარაძე, ლ. დოლიძე, რ. ჩაგელიშვილი - აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის საეტაპო როლი საქართველოში სატყეო მეცნიერების განვითარებაში - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“;

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრეინინგებში მონაწილეობა.

3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით ორგანიზებული გასვლითი სემინარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მარიამჯვარში. 07. 05.2023; (ონლაინ რეჟიმში);

4. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

4.1. რეცენზია - 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ; (თანარეცენზენტი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივნი, ლაშა დოლიძე);

4.2. რეცენზია - 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის მიერ; (თანარეცენზენტი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივნი, ლაშა დოლიძე);

4.3. რეცენზია - აგრარულ სფეროში 2023 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ნაშრომისათვის: „საქართველოში განვითარებული ტყის ხანძრები და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები“.

5. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც ასევე სასურველი იქნება აკადემიაში.

5.1 მრგვალი მაგიდა - „საქართველოს სატყეო დარგში, სატყეო მეურნეობების სრულყოფილად აღდგენის შესახებ“.

აკადემიის სტიპენდიატი ზვიად ტიგინაშვილი

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით).

1.1. „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ბუხის (*Buxus colchica*) კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“, 2021-2022-2023წ.წ, ხელმძღვანელი.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

2017 წლის ოქტომბრიდან - დღემდე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, ჯერ მოწვეული და შემდეგ აფელირებული პედაგოგი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;

მიმდინარე 2023 წელს წაკითხული აქვს ლექციები შემდეგ დისციპლინებში:

ბაკალავრიატი:

სატყეო ტაქსაცია, ტყეთმომწყობა, დენდრომეტრია, დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმი, საველე პრაქტიკა.

მაგისტრატურა:

ტყის ფონდის აღრიცხვა შეფასება ტაქსაციის თანამედროვე მეთოდებით, საველე პრაქტიკა სატყეო საქმეში.

დოქტორანტურა:

სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. ვაჩნაძე გ., ტიგინაშვილი ზ., წერეთელი გ., აფციაური ბ.- „საქართველოს ძირითადი ტყის შემქმნელი სახეობების ბიომასის მოცულობითი კონვერსიული კოეფიციენტები“- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, თბილისი, სსმმა 4-6 ოქტომბერი, 2023. გვ. 59-62;

3.2. ტიგინაშვილი ზ., ვაჩნაძე გ., წერეთელი გ., აფციაური ბ. - საქართველოს წაბლის ტყეების ბიომასისა და ნახშირბადის მარაგები ხნოვანების ჯგუფებისა და ხის ფრაქციების მიხედვით - შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“.

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში (შიფრი SP-22-1223) გამოქვეყნდა მონოგრაფია - „საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომასაში დეპონირებული ნახშირბადის მარაგები“. 250 გვ. ISBN 978-9941-8-5980-9

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ავტორების მიერ 2009-2018 წლებში საქართველოს ტყის ეკოსისტემებში ბიომასისა და ნახშირბადის მარაგების ოდენობაზე ჩატარებული კვლევის შედეგები, დამატებით შევსებული და კორექტირებულია 2020-2022 წლის ახალი მონაცემებით. ასევე განხილულია საკითხი კლიმატის ცვლილების პროცესის შერბილების საქმეში ტყის როლის შესახებ. მოტანილია კვლევის მონაცემები შეზოჭილი ნახშირბადის მარაგების შესახებ, როგორც ტყის მთავარი და დაქვემდებარებული სართულის მიწისზედა და მიწისქვედა ბიომასაში, ასევე ტყის ცოცხალ ბიომასაში, მკვდარ მასაში და ნიადაგში.

მონოგრაფია განკუთვნილია სატყეო დარგის წარმომადგენლების, ეკოლოგიისა და საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

5. სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

5.1. გიორგი ჯინჭარაძის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. დაცვა შედგება 2024 წლის ზაფხულის თვეებში.

5.2. არის 10 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, აქედან ხუთის დაცვა მოხდა 2020-2022 წ.წ., 2-ის 2023 წელს, 2 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მოხდება მიმდინარე 2024 წლის საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს.

ყველა ნაშრომი მუშავდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა მარიამჯვრის ნაკრძალსა და ცივ-გომბორის ადკვეთილში გაიარეს სასწავლო საველე პრაქტიკები.

6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

6.1. 2023 წლის 7-9 ნოემბერს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაცული ტერიტორიების პირველი საერთაშორისო სამიტი ჩატარდა. ღონისძიებას მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან 100-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. ბორჯომის სამიტი პირველი პრეცედენტია საქართველოს დაცული ტერიტორიების ისტორიაში, სადაც, მსოფლიოს წამყვანი ეროვნული პარკებისა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, შესაძლებელი გახდა ეროვნული პარკების წარმატებული მართვის პრაქტიკის გაცნობა, განხილვა და გამოცდილების გაზიარება. სამიტის ფარგლებში გაიმართა პანელურ დისკუსიები, თემატურ სემინარები და პრეზენტაციები. სპიკერებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საერთაშორისო მოდელები, ეროვნულ პარკებში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები, ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის გზები და სხვა.

6.2. Erasmus + გრანტის №2788 (სტრატეგიული ჩარჩოს შეცვლა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური განათლების დანერგვის უზრუნველსაყოფად) პროექტის ფარგლებში განხორციელდა მივლინება 29.11-01.12 ჩათვლით სასწავლო ვიზიტით ნოვი-სადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე (University of Novi Sad Faculty of Economics) და ნოვი სადის ბიზნეს აკადემიის უნივერსიტეტში, კომერციისა და მართლმსაჯულების იურიდიული ფაკულტეტზე (University Business Academy in Novi Sad Faculty of Law for Commerce and Judiciary in Novi Sad), ქალაქ ნოვი-სადში (სერბეთი).

29.11.23 - ნოვი-სადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ვიზიტის ფარგლებში პროექტის კოორდინატორის (Prof. Dr. Mirko Savić Project Coordinator) მიერ წარმოდგენილ იქნა პრეზენტაცია და მიმოხილულ იქნა პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. ჩატარებული პრეზენტაციის საფუძველზე გაიმართა დისკუსია. განხორციელდა დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება და რისკების ანალიზი. 30.11.23-01.12.23 - ნოვი სადის ბიზნეს აკადემიის უნივერსიტეტი, კომერციისა და მართლმსაჯულების იურიდიული ფაკულტეტზე ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან და დეკანის მოადგილესთან. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ლექციები: დუალური სწავლება სერბეთში, სწავლების მოდელები სერბეთში, უმაღლესი განათლების მართვა და მომავალი განვითარება სერბეთში. წარმოდგენილი იყო ნოვი-სადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის და ბელგრადის გამოყენებითი კვლევების ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის სკოლის პროგრამების კურიკულუმები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და განხილულ იქნა მაგალითები.

7. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

7.1. დასრულებული:

საგრანტო პროექტი ფუნდამენტური კვლევებისათვის 2019 - „კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული ტყის ეკოსისტემაზე (model PICUS v1.5)“. ხელმძღვანელი - ბიოლოგიის დოქტორი გიორგი ვაჩნაძე. პროექტი დასრულდა 2023 წლის დეკემბერში;

2022 წლის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები - „საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომასაში დეპონირებული ნახშირბადის მარაგები“ (შიფრი SP-22-1223) ხელმძღვანელი გიორგი ვაჩნაძე. პროექტი დასრულდა 2023 წლის დეკემბერში.

8. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურები, წოდებები და ა.შ

6 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გადაეცა ვ. გულისაშვილის ჯილდო „ტყის ქომაგი“.

5 დეკემბერს ნიადაგის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადმოემცა აკადემიკოს თენგიზ (გიზო) ურუშაძის სახელობის „საპატიო სიგელი“.

9. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

2023 წლის განმავლობაში, მონაწილეობა აქვს მიღებული სსმმა-ს გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში, ამასთანავე იყო მომხსენებელი შემდეგ ღონისძიებებში:

21 მარტი ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სსმმა-ის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სხდომა: „სამეგრელოს და აჭარის რეგიონების ბზის კორომებში ბუნებრივი განახლების და სუქსეციური პროცესების შესწავლის შესახებ“;

5 მაისი აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებული კონფერენცია, თემა: „საქართველოს წაბლის ტყეების ბიომასისა და ნახშირბადის მარაგები ხნოვანების ჯგუფებისა და ხის ფრაქციების მიხედვით“;

6 მაისს, სსმმა-ის ინიციატივით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარჯაჭერით, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის მშობლიურ მხარეში გაიმართა მისი დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებული საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ეროვნული სატყეო სააგენტოდან, დაცული ტერიტორიების სააგენტოდან, სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და აკადემიური დაწესებულებებიდან, ასევე ესწრებოდნენ მეტყევეთა ყველა თაობის წარმომადგენლები.

4-6 ოქტომბერი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები, თემა: „საქართველოს ძირითადი ტყის შემქმნელი სახეობების ბიომასის მოცულობითი კონვერსიული კოეფიციენტები“.

10. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე

2024 წელს სრულდება 100 წელი პირველი ტყეთმოწყობის ჩატარებიდან, რომელიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის სოლომონ ქურდიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა, ქართველი ტაქსატორების მიერ. სასურველია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოეწყოს მრგვალი მაგიდა ან ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია.

აკადემიის სტიპენდიატი გიორგი ქავთარაძე

1. გეგმიური საკვლევი თემები:

თემა 1.1. „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების დამუშავება“ (აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით).

ცნობილია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია მერქანზე, როგორც ენერგეტიკულ რესურსზე დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა ამ დრომდე გადაუწყვეტელია მნიშვნელოვანი საკითხები, რომელმაც ქვეყანაში უნდა შექმნას მერქნულ ენერგეტიკულ რესურსზე მოთხოვნა-მიწოდების სისტემური მიდგომის დამკვიდრების საფუძვლები.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას, რომელიც უნდა გახდეს პროცესის სწორი მიმართულებით განვითარების საფუძველი, სჭირდება მაღალ პროფესიულ და მეცნიერულ დონეზე ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება, რაც არის ამ კვლევის მიზანი.

საკითხის შესწავლა დაიწყო 2021 წლის ბოლოს. 2022 წლის 6 ივნისის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების მიერ ორგანიზებულ, გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ გაფართოებულ ღონისძიებაზე გაკეთდა მოხსენება კვლევის შუალედური შედეგების შესახებ. კვლევის საბოლოო, სრულყოფილი ანგარიში მომზადებისთვის საჭიროდ ჩაითვალა ქვეყანაში ჩატარებული ტყის პირველი ეროვნული ინვენტარიზაციის მონაცემების გათვალისწინება, რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა 2023 წლის დეკემბერში. ამჟამად მიმდინარეობს თემის სრულყოფა, რომლის წარდგენა დაგეგმილია მიმდინარე წლის მაისის თვეში.

თემა 2. 2. საქართველოს სატყეო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანების შესრულების მდგომარეობის ანალიზი (სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი)

2014 წლიდან მიმდინარეობს საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმირების პროცესი. მიღებულია ახალი ტყის კოდექსი, ასევე არსებობს პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტები, სადაც არის გაწერილი სტრატეგიული ხედვები და ამოცანები, რომლის განხორციელება დიდწილად განაპირობებს რეფორმის წარმატებულ პროცესს.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც მოიცავს სატყეო საკითხებსაც, შემუშავებული იყო 2020-2021 წლამდე ვადით, შესაბამისად ამჟამად საჭიროა ამ დოკუმენტების განახლება მომავალი ხუთი წლის პერიოდისთვის. ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში საჭირო და აქტუალურია გათვალისწინებულ იქნას მოქმედი სტრატეგიული დოკუმენტების მიზნების და ამოცანების შესრულების მდგომარეობა, გამოწვევები, რომელიც გამოიკვეთა შესრულების პროცესში და სხვა.

შესაბამისად კვლევის მიზანი იყო ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ანალიზი და შეფასება, როგორც არის:

1. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021;
2. 2014-2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა;
3. ევროკავშირთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში (9. სატყეო საგზაო რუკა).

კვლევისთვის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა აღნიშნულ სტრატეგიულ გეგმებში არსებული ამოცანების შესრულების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის და დოკუმენტების მოძიება და ანალიზი. შესრულების ხარვეზების გამოვლენა და მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების დადგენა. საბოლოოდ რეკომენდაციების დამუშავება, რომელიც გადაეცემა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს.

აღნიშნული თემის დამუშავება დასკვნით ეტაპზეა, რომლის შედეგების შესახებ საბოლოო ანგარიში მომზადებული იქნება 2024 წლის პირველ ნახევარში.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

უძღვება სატყეო საქმის სპეციალობის შემდეგ სასწავლო კურსებს:

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე - დაცული ტერიტორიები (ძირითადი), ტყის მონიტორინგი და ექსპერტიზა (არჩევითი);

მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე - სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ძირითადი); ტყის სერტიფიცირება (ძირითადი).

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები

3.1. Kavtaradze, G., Basilidze, L., Pergl, J., Avoiani, E., Vahalik, P., Aptsiauri, B., ... & Kobakhidze, N. (2023). Distribution and environmental impact of alien woody species in lowland riparian forest habitats: Case study in the protected areas of Georgia, South Caucasus. *J. For. Sci.*, 69, 401-414.

3.2. ქავთარაძე გ., ჩიბურდანიძე კ., გოგინაშვილი ნ., კობახიძე ნ., (2023). ფერმერულ მეურნეობაში პავლოვნიას (*Paulownia elongata*) მოკლე როტაციის პლანტაციის პროდუქტიულობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ შრომათა კრებული, 146-153.

3.3. ქავთარაძე, გ., ბასილიძე, ლ., ავოიანი, ე., მანველიძე, ზ., აფციაური, ბ., გოგინაშვილი, ნ., ბაჩილავა, მ., კობახიძე, ნ. (2023). უცხო მერქნიან მცენარეთა ინვაზია საქართველოს დაცული

ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, თბილისი (მონოგრაფიული სახელმძღვანელო).

3.4. ჯაფარიძე, გ., ქავთარაძე, გ., დოლიძე, ლ., გაგოშიძე, გ. (2023). აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის საეტაპო როლი საქართველოში სატყეო მეცნიერების განვითარებაში. აკად. ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული. სსმმა, თბილისი;

3.5. Giorgi Kavtaradze*, Giorgi Vachnadze, Koba Chiburdanidze, Zviad Tiginashvili, Elizaveta Avoiani, Niko Karsimashvili, Diana beria. (2023). „Growth and Carbon Sequestration Potential of Tbilisi City Forest Under Climate Change Conditions (South Caucasus)“. Annals of Agrarian Science. Volume 21. №1.

4. სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ამჟამად ხელმძღვანელობს ორ მაგისტრანტს და ორ დოქტორანტს:

4.1. მაგისტრანტი: გიორგი ცაბაძე - თემა: საქართველოს ძირითადი ტყის შემქმნელი წიწვოვანი სახეობების (*Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Pinus hamata*) ბიომასისა და ნახშირბადის მარაგების ცვლილება (2005-2020წწ) (თანახელმძღვანელი: ბესარიონ აფციაური)

4.2. მაგისტრანტი: ნიკო გუგუტიშვილი - თემა: უცხო მერქნიან მცენარეთა სახეობების გავრცელება თბილისის შემოგარენის ტყის ჰაბიტატებში (თანახელმძღვანელი: ნანი გოგინაშვილი)

4.3. დოქტორანტი: მარგალიტა ბაჩილავა - თემა: „სწრაფმზარდი მერქნიანი მცენარეების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები“ (თანახელმძღვანელი: ნანი გოგინაშვილი)

4.4. დოქტორანტი: დიანა ბერია - თემა: „კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება ტყის ეკოსისტემაზე (თბილისის ტყეების მაგალითზე)“ (თანახელმძღვანელი: მანფრედ ლექსერი, ბოკუს უნივერსიტეტის პროფესორი, ავსტრია)

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა

5.1. სართაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, სსმმა, 4-6 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო - „ფერმერულ მეურნეობაში პავლოვნიას (*Paulownia elongata*) მოკლე როტაციის პლანტაციის პროდუქტიულობა“.

5.2. ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სსმმა, 5 მაისი, 2023, თბილისი, საქართველო - „აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის საეტაპო როლი საქართველოში სატყეო მეცნიერების განვითარებაში“;

5.3. Technical University of Dresden/Conference on CEE & C-Asia forest policy study- Germany, Dresden, October 5, 2023 – „Forest policy of Georgia“;

5.3. FAO/Regional Conference on Forest Genetic Resources - Central Asia, May 2, 2023, Online/Participated as National Focal Point – „The country's progress in the development of the forest genetic resources policy of Georgia“;

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა

6.1. „უცხო, პოტენციურად ინვაზიური მერქნიანი მცენარეების შესწავლა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე“- შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი/გრანტი #R-18-3569, 2019 -2023, სამეცნიერო ხელმძღვანელი

6.2. „კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული ტყის ეკოსისტემაზე (model PICUS v1.5)“ - შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი/გრანტი #R-18-21111, 2019 -2023, კოორდინატორი

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, აკადემიის პრეზიდიუმის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა

2009 წლიდან - ა(ა)იპ „მეტყვეთა ასოციაცია“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი.

2013 წლიდან - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრი;

2016 წლიდან:

(1)სამეცნიერო ჟურნალების: „აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“-ს და „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომათა კრებულის“ სარეცენზიო საბჭოების წევრი;

(2) მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს, გარემოს დაცვის, დაცული ტერიტორიების და ტყის მდგრადი მართვის კომისიის თავმჯდომარე.

2018 წლიდან:

(1)FAO-ს ტყის გენეტიკური რესურსების პროგრამის ეროვნული საკონტაქტო პირი (NFPs);

(2) საქართველოში სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ჯგუფის წევრი/ექსპერტი (AFOLU სექტორი), რომელიც ხორციელდება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში.

2019/06-დან - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი.

2020/01-დან - საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

2022/01-დან - ოქსფორდის ინოვაციების ცენტრი-Aether Limited/ „მხარდაჭერა საქართველოს სატყეო სექტორის MRV სისტემის განვითარებისთვის“ ადგილობრივი სატყეო ექსპერტი.

2022/05-2022/12 - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

2022/12 წლიდან - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე.

8. სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, ამავე აკადემიის გარემოს დაცვის და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანთან, აკადემიკოს ლაშა დოლიძესთან ერთად დამუშავდა სატყეო პოლიტიკის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარება - მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებები (2023-2030 წწ.)“.

3.5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 წევრი (აკადემიკოსი) და ორი სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: ზურაბ ცქიტიშვილი, გურამ პაპუნძე, თემურ რევიშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ედიშერ კვესიტაძე.

სტიპენდიატები: ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი, ტექნიკის დოქტორი ეკატერინა კაციტაძე.

განყოფილებაში 2023 წელს ჩატარდა 11 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 25 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მომხსენებლები: აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 21 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს გურამ პაპუნძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 10 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს თემურ რევიშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 3. რძის ამჟრელი ფერმენტების შესწავლის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 18 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ფრთალაქიანი დროზოფილა - *Drosophila suzukii* -ს ფიტოსანიტარული „რისკის შეფასების ანგარიშის განხილვა“. **მომხსენებლები:** 1) რისკის შეფასების ანგარიშის ასპექტები - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; 2) ფრთალაქიანი დროზოფილა - *Drosophila suzukii* -ს ფიტოსანიტარული რისკის შეფასების ორგანიზაციული საკითხები - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი მაია მეტრეველი; 3) ფრთალაქიანი დროზოფილა - *Drosophila suzukii* - ს ფიტოსანიტარული რისკის შეფასებისათვის ინიცირების დამთავრებული პროექტის პრეზენტაცია - სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ ჩუბინიშვილი; 4) ფრთალაქიანი დროზოფილა - *Drosophila suzukii* -ს რისკის შეფასების პრეზენტაცია - აიპპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ყანჩაველის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ბიოლოგიური კონტროლის უფროსი მეცნიერ თანამშრომლები: ბიოლოგიის დოქტორი მანანა კახაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი ირინე რიჟამაძე; 5) ფრთალაქიანი დროზოფილა - *Drosophila suzukii* -ს რისკის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი მაია მეტრეველი; 6) ფრთალაქიანი დროზოფილა - *Drosophila suzukii* -ს ფიტოსანიტარული რისკის მინიმიზირების ზომები - სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ ჩუბინიშვილი; 7) დისკუსია და შეფასებები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 24 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის მიერ 2022 წელს შესრულებული სამეცნიერო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციების განხილვა. **მომხსენებლები:** სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების-კვლევის სამსახურის თანამშრომლები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ჟღენტი, ტექნიკის დოქტორი ეკატერინა კაციტაძე, ტექნიკის დოქტორი ზაირა შაფათავა, ტექნიკის დოქტორი ნაზი მელანაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბასილაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი ერნა კალანდია.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 16 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 1 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში შემოსული ნაშრომის რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენა (ფარული კენჭისყრა)

მერვე სხდომა ჩატარდა 9 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. „საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების“ რისკის შეფასების ინიცირება. **მომხსენებელი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი; 2. „საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების“ რისკის შეფასება. **მომხსენებელი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ლეილა ტაბატაძე; 3. „საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების“ რისკის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციები. **მომხსენებელი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ელენე ნინიძე; 4. სურსათის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება **მომხსენებელი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ელენე ნინიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 11 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორ ეკატერინა კაციტაძის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ქიმიის დოქტორ დარეჯან დულაშვილის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეთათ სხდომა ჩატარდა 18 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 25 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. განსახილველი საკითხი: სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული „რისკის შეფასების ანგარიშის“ მოსმენა. 1.1. სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული „რისკის შეფასების ინიცირების“ შესრულებული პროექტის წარდგენა. **მომხსენებელი:** სურსათის ეროვნული სააგენტოს არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსი მარიამ გორდამე; 1.2. სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული „რისკის შეფასების“ სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა. **მომხსენებლები:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მიმართულების დოქტორანტები: ანი ქირია; ნინო თვარამე; მერაბ სეფაშვილი; 1.3. სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების საფუძველზე ცენტრის მიერ შემუშავებული „რისკის მინიმიზირების რეკომენდაციები“. **მომხსენებელი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი ზურაბ ქუჩუკაშვილი; 2. დისკუსია; 3. შეჯამება.

გარდა ზემოაღნიშნულისა განყოფილების მიერ წლის განმავლობაში ჩატარებულია მნიშვნელოვანი აქტივობები, კერძოდ:

15 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მიერ ჩატარებული იქნა საკონსულტაციო შეხვედრა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრებთან თემაზე: „სურსათის უვნებლობის სისტემის მთავარი პრინციპის, რისკის ანალიზის მეცნიერული კომპონენტის, რისკის შეფასების კვლევის მეთოდოლოგიები“. შეხვედრას ესწრებოდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი ზურაბ ქუჩუკაშვილი და ამავე ფაკულტეტის მაგისტრები.

4-6 ოქტომბერს განყოფილების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“.

24 ოქტომბერს განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა რისკის ანალიზის საკითხების შესახებ. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ როგორც აკადემიის ხელმძღვანელობა და აპარატის თანამშრომლები, ასევე სურსათის ეროვნული სააგენტოს,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციისა და სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტების წარმომადგენლები, FAO-ს წარმომადგენლები საქართველოში. მრგვალ მაგიდაზე თემიდან გამოდინარე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოხსენებები გააკეთეს: სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა: ვასილ კვერნაძემ, მარიამ ჩუბინიშვილმა, დავით გოდერძიშვილმა, FAO-ს პოლიტიკის უფროსმა მრჩეველმა ჯუმბერ მარუაშვილმა და აკადემიის სტიპენდიატმა დარეჯან დუღაშვილმა. მრგვალი მაგიდის დასასრულს გაიმართა დისკუსია. დისკუსია შეაჯამა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ზ. ცქიტიშვილმა.

ყოველივე განხილული ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა მეტად ნაყოფიერი და წარმატებული იყო.

3.5.1. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

თემა 1.1. : „უგლუტენო პურის გაუმჯობესებული საგემოვნო და რეოლოგიური თვისებები“

თემა 1.2. „ახალი სპეციფიკური პროტეოლიზური ფერმენტების მიღება და მათი გამოყენება რძის პროდუქტების საგემოვნო თვისებების გაუმჯობესების მიზნით“.

თემა 1.3. „მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქციის შექმნა მათთვის ფუნქციური დანიშნულების გაუმჯობესების მიზნით“

თემა 1.4. „სხვადასხვა რძის შემადგენელი ფერმენტების მოქმედების მექანიზმები“.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგს ფაკულტეტი - „სასურსათო პროდუქტების ბიოქიმიური ანალიზი“.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. მატყლის ღებვა ბუნებრივი საღებავებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, 2023

3.2. Optimizing of nutrient media for *Penicillium candidum* 5-1 to increase the biosynthesis of casein-specific protease. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 17, no. 2, 2023, 129-134.

3.3. EXPLORING CASEIN-SPECIFIC PROTEASE: PURIFICATION, PROPERTIES AND MILK CURDLING CONFIRMATION, Paris Congress on Agriculture and animal husbandry, June 29-30 2023, Paris.

3.4. Effect of Proteolytic Enzymes on Ehrlich carcinoma growth. Works of GTU. 262-269. 2023.

3.5. The potential of using Georgian red grapes to obtain herbal synbiotic drinks, 44th World Congress of Vine and Wine. Spain 2023.

3.6. Ninua, T., Khobelia, T., Museliani, K., Kvesitadze, E., & Buachidze, T. Study of proteins with protease activity from some plants growing in Georgia and preparation of highly active preparations. *Annals of Agrarian Science*, 17, 213.

3.7. მიკროსკოპული სოკოების გავლენა ერლიხის კარცინომის ზრდაზე, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი მოამბე

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

4.1. დედამიწის ეკოლოგიური და სასურსათო პოტენციალი, 2023

5. სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა:

5.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ერლიხის კანცერომის განვითარების პროცესში ბიოინჟინრული მეთოდებით მიღებული პროტეოლიზური ფერმენტების და მათი ინჰიბიტორების მოქმედების შესწავლა“

6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

6.1. EXPLORING CASEIN-SPECIFIC PROTEASE: PURIFICATION, PROPERTIES AND MILK CURDLING CONFIRMATION, Paris Congress on Agriculture and animal husbandry, June 29-30 2023, Paris.

6.2. Effect of Proteolytic Enzymes on Ehrlich Carcinoma growth. International scientific and methodical conference dedicated to the 90th anniversary of Academician G. Tsintsadze on the topic: Chemistry-achievements and prospects. Tbilisi, Georgia. 2023.

7. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა.

2023 წლის 22 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრის ტექნოლოგიურ განყოფილების წევრებთან სადაც განხილულ იქნა მომავალი წლის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები.

8. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე

8.1. ტოქსიკური და სხვადასხვა პათოგენური ნივთიერებების ანალიზური და დიაგნოსტიკური მეთოდების შემუშავება.

8.2. სადედე კოლექციების შექმნა და წარმოება.

აკადემიკოსი გურამ პაპუნძე

აკადემიკოსი გურამ პაპუნძე 2023 წლის საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო სამუშაოებს ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის, საქართველოს ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს, აგრარული დარგობრივი კომისიის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამოქმედო პროგრამის

ფარგლებში. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრზე“ გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის აგროსერვისის განვითარება რეგიონში“ ქვეპროგრამის ა (ა) იპ აგროსერვის ცენტრის „სანერგე და საჩითილე მეურნეობებში“ ნერგისა და ჩითილის წარმოების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

პროექტი აჭარაში არსებული ენდემური და ინტროდუცირებული მცენარეული ნედლეულის (სუბტროპიკული და კონტინენტალური ხეხილოვანი კულტურები, ვაზი, ტყის ნაყოფთა მომცემი და სამკურნალო მცენარეები) წარმოება გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია.

მეცნიერების დარგი - სასურსათო ტექნოლოგია
სამეცნიერო მიმართულება - აგრარული მეცნიერება, ინჟინერია და ტექნოლოგიები, საკვები და სასმელი პროდუქტები.

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2018-2025 წ.წ.

პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები:

ეტაპი 1 - სუბტროპიკული და სხვა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით საერთო და ფუნქციონალური დანიშნულების სხვადასხვა სახის კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის რეკომენდაციების მომზადება.

ქვეეტაპი 1-1 - ტოპინამბურის ტუბერებიდან და გადამუშავების თანმდევი ნარჩენებიდან ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების და ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების მიღების ტექნოლოგია.

კვლევის მიზანია-აჭარის რეგიონში გავრცელებული ტოპინამბურის ტუბერების ხარისხობრივი, ფიტო-ქიმიური შედგენილობის დადგენა, ფქვილის მიღება და მიღებული ფქვილის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლის შესწავლა.

ტოპინამბურის ტუბერებიდან მიღებულ მთავარ პროდუქტს ფქვილი წარმოადგენს, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საკვები დანამატი სხვადასხვა ასორტიმენტის ფუნქციონალური დანიშნულების საკვები პროდუქტების დასამზადებლად.

ტოპინამბურის ტუბერების ხარისხობრივი და ფიტო-ქიმიური მაჩვენებლები

ნიმუში	ნივთიერება მშ %	ტენიანობა	საერთო ნაცარი	ხსნადი პექტინი %	პროტოპექტინი %	საერთო პექტინი %	საერთო ფლავანოიდები	ნედლეულის ინულინი მასაში %	ინულინი მშრალ მასაში %
ტოპინამბურის ტუბერები	17,1	79,2	5.67	0,5	1,1	1,6	7,1	17,1	70,5

ტოპინამბურის ტუბერებიდან ფქვილი მიიღება შემდეგი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით: ტუბერების რეცხვა-ინსპექცია, კანის მოცილება-რეცხვა, დაქუცმაცება-შრობა კონვექციური ტიპის საშრობ დანადგარში 50-60 C-ის პირობებში არა უმეტეს 10% ტენიანობის შემცველობამდე-დაფქვა-ჰერმეტიკულ ჭურჭელში-დაფასოება.

ტოპინამბურის ფქვილის ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა მშრალ მასაზე გადანგარიშებით %-ში.

	ტენიანობა %	ნაცარი %	ცილა %	ცხიმო %	უჯრედანა %	ფენოლური ნაერთი %	პექტინი %	საერთო მჟავიანობა %	ინულინი %	გლიკემური ინდექსი %
ტოპინამბურის ტუბერები	7,2	5,5	4,7	2,2	7,5	7,2	8,8	6,0	70,2	13,15

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფქვილი ხასიათდება შემდეგი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით 100 გრ ფქვილი შეიცავს ტენიანობა 7,2 %; ნაცარი 3,5%; ცილა 4,7 %; პექტინი 11%; ფენოლური ნაერთები 7,2; პოლოფრუქტოზული ტიპის პოლისაქარიდის ინულინი 50-70 % ; ფქვილი შეიცავს განსაკუთრებით დაბალანსებულ ელემენტებს, 18 ამინომჟავას, ყველა შეუცვლელ ამინომჟავას- ვალინი, არგინინი, ჰისტიდინი, ლიზინი, იზოლეიცინი. მეთიონინი, ტრიფტოგანი, თერეონინი, ფენილალანინი.

ტიპონამბურის ფქვილის გამოყენება აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას; აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას; ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში; აჩქარებს ტოქსინების და შლაკების გამოდევნას ორგანიზმიდან; აძლიერებს იმუნურ სისტემას; ასუფთავებს ორგანიზმს მძიმე მეტალებისა და რადიონუკლიდებისაგან; ხელს უწყობს გონებრივი და ფიზიკური აქტივობის ამაღლებას.

ეტაპი 1.2 ადგილობრივი ნედლეულიდან ფუნქციონალური დანიშნულების ფიტო ჩაის ტექნოლოგია

მეცნიერების დარგი: სასურსათო ტექნოლოგია

სამეცნიერო მიმართულება: ინჟინერია და ტექნოლოგია-საკვები და სასმელი პროდუქტები;

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2019-2025 წ. წ.

კვლევის მიზანი: ჩაის ფოთლიდან და ადგილობრივი ნედლეულიდან ფიტო ჩაის და ჩაის ექსტრაქტის კომპოზიციების დამზადება ფუნქციონალური მატონიზირებული სასმელებისათვის.

კვლევის შედეგები:

ფიტო ჩაის მიმართულებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ითვალისწინებს:

1. ჩაის ფოთლიდან დამზადებული შავი და მწვანე ჩაის საფუძველზე ადგილობრივი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით ფუნქციონალური ფიტო ჩაის ახალი ასორტიმენტის დამზადება და კვლევა.
2. ჩაის ფოთლიდან მწვანე ჩაის ტექნოლოგიის მიღებული ექსტრაქტის კვლევა სტაბილიზაცია, ფუნქციონალური მატონიზირებული სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქტის დამზადება.

ეტაპი 2. ციტრუსოვანთა (მანდარინის) არასტანდარტული ნაყოფის და საწარმოო ნარჩენების - მეორადი ნედლეულის კომპლექსური გადამამუშავების ტექნოლოგიის შემუშავება კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებისათვის.

ქვეეტაპი 2.1. მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის გადამამუშავების უნარჩენო და ნაკლებად ნარჩენიანი ტექნოლოგიების დამუშავება.

ეტაპი 3. აჭარაში გავრცელებული ენდემური და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების მოძიება, შერჩევა, მათი გენოფონდის შენარჩუნებისა და აგრობიოლოგიური ტექნოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლის მიზნით საკოლექციო ნარგავების გაშენება.

აღნიშნული თემატიკით დაგეგმილი სამუშაოები შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების განყოფილებაში მიმდინარეობს საკმაოდ დიდი ხანია. ჩატარებულია არა ერთი საექსპედიციო სამუშაოები, რომელიც განხორციელდა აჭარის, სამცხე-ჯავახეთის და თურქეთის ტერიტორიებზე; მოძიებული იქნა არა ერთი ვაზის ენდემური ჯიშში შეგროვილი გენეტიკური ნიშან-თვისებებით, გამოყვანილია მწვანე ნერგები, რომელიც გაშენებული იქნა მწვანე კონცხის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. ვაზის სანამყენე მასალის ნაწილი გადაეცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრს და ჯილაურას საკოლექციო მეურნეობას.

ნამყენი ნერგები საკოლექციო ნაკვეთის მოსაწყობად გადავეცით უნივერსიტეტის ქობულეთის მცენარეთა იმუნიტეტის და ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტს.

ეტაპი 4. მანდარინის ნაყოფის მოკრეფის წინა პერიოდში დამუშავება სხვადასხვა სახის ბიოპრეპარატების საშუალებით მათი შენახვის უნარიანობის გაზრდის მიზნით.

შერჩეული იქნა რამდენიმე ბიოპრეპარატი ინსექტოფუნგიციდი, უკრაინული წარმოების გაუფსონი, ბაქტოციდი CK, ბიტოქსი ბაცილინი, რომლებითაც დამუშავებულ იქნა მანდარინის ნაყოფი მოკრეფის წინ 10 დღით ადრე და აღნიშნული ნაყოფი შევინახეთ ჩვეულებრივ პირობებში. ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ასეთი დამუშავების შედეგად შენახული ნაყოფის შენახვის უნარიანობა იქრდება 60 დღით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონით ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2023 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

მიმართულება: სასურსათო ტექნოლოგია

თემის დასახელება: აჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ნიშან-თვისებების შესწავლა სტაბიური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროექტების მიღების მიზნით.

შემსრულებლები: გურამ პაპუნძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; მერაბ არძენაძე - ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი.

2023 წლის სრული ანგარიშ 12 გვერდზე წარმოდგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრში.

2023 წელს ჩვენს მიერ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსოდ წარდგენილი იქნა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეურნეო გრანტების კონკურსის საპროექტო წინადადება.

პროექტის სახელწოდება „სუბტროპიკული ნედლეულის გადამუშავების ნარჩენებიდან მრავალფუნქციური ბიოდანამატები ფუნქციური პროდუქტებისათვის.

წარდგენილმა პროექტმა მიიღო დადებითი შეფასება და გაიმარჯვა, პროექტის საქართველოს ხელმძღვანელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერ საბჭოს თავმჯდომარე გურამ პაპუნძე. პროექტის კოორდინატორი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი იამზე ჩხარტიშვილი. შემსრულებლები: სოფიო პაპუნძე, ნინო სეიდიშვილი, დოდო აბულაძე, დიანა გეგეშიძე.

პროექტის სრული დაფინანსება შეადგენს 239600 ლარს. პროექტის ხანგრძლივობა სამი წელი.

აკადემიკოს გურამ პაპუნიძეს 2023 წელს თანაავტორობით გამოქვეყნებული აქვს სტატია: ველურად მზარდი მოცვის ფოთლის სხვდასხვა ტიპის ჩაის მინერალური ელემენტების შემცველობა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 17, გვ. 118-123, 2023წ. ISSN – 0132-1447.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში თანაავტორობით სტატია „თბური დამუშავების გავლენა ხურმის ღვინისა და მისგან მიღებული სპირტის მახასიათებლები“ გადაცემულია დასაბეჭდად.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 08 ნოემბრის ბ-94233108 ბრძანებით გურამ პაპუნიძეს მიენიჭა ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდება „საპატიო ქედელი“.

აკადემიკოსი თემურ რევიშვილი

1. თემის / პრობლემის დასახელება

თემა 1.1. ჩაის, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული ხეხილოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება და სრულყოფა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით (ხელმძღვანელი);

თემა 1.2. ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და დანადგარების კვლევა, დამუშავება და სრულყოფა (ხელმძღვანელი).

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

2.1. „New Energy saving machine technology of green tea“. XI International Scientific Congress “Agricultural Machinery” Proceedings, vol. 1/10, June 2023, Varna, Bulgaria (28.06 – 01.07. 2023), 44 – 46 (თანაავტორობით).

ნაშრომში მოცემულია მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი სამანქანო ტექნოლოგიის პირობებში ნედლეულის საფიქსაციო, შემშრობი, საგრეხი, დოლური მაფორმირებელ - საშრობი დანადგარების მუშაობის პრინციპი, ტექნოლოგიური და ტექნიკური პარამეტრები; მწვანე ჩაის წარმოების პროცესში ფიქსაციის მეთოდების და დანადგარების ტექნოლოგიური დონის შესწავლის შედეგებითი მონაცემები; მზა პროდუქციის საცდელი ნიმუშების ორგანოლექტიკური და მწვანე პიგმენტების (ქლოროფილები) მაჩვენებლები. ნაჩვენებია, ნედლეულის ფიქსაციის პროცესში ერთეულ მზა ჩაიზე ელექტროენერგიის დანახარჯის და თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობა. ჩაის ფოთლის ფიქსაციის და შრობა-ფორმირებისთვის ენერგოდამზოგი მოწყობილობების

გამოყენება უზრუნველყოფს ელექტროენერგიის და ლითონტევადობის შემცირებას და წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

2.2. „მწვანე ჩაის (*Camelia sinensis* (L) O. Kuntze) ახალი ტექნოლოგია“.. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ შრომების კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2023, გვ. 321-325. (თანაავტორობით).

მწვანე ჩაი მზადდება *Camelia sinensis* (L) O. Kuntze-ს ნაზი დუყებისა და ფოთლებისგან სპეციალური ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით: ფიქსაცია, შემრობა-დაყოვნება, გრეხა და შრობა-ფორმირება. თბური პროცესები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მწვანე ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში. მთავარი ტექნოლოგიური პროცესია ფიქსაცია. ნაშრომში მოცემულია მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი ტექნოლოგიის და პარამეტრების კვლევის შედეგები. სექტორის წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია შემოთავაზებულ ენერგოდამზოგ ინოვაციურ საფიქსაციო დანადგარს (საქართველოს პატენტი 7427 B 2022), და მის ბაზაზე შემუშავებულ მწვანე ჩაის ახალ ტექნოლოგიას. ენერგიის წყაროდ გამოყენებულია ინდუქციის მეთოდით წარმოქმნილი თბური ენერგია რაც მნიშვნელოვნად ზრდის ენერგიის გარდაქმნის სიჩქარეს და თბური ენერგიის გამოყენების ეფექტურობას, მცირდება ელექტროენერგიის დანახარჯები და პროდუქციის თვითღირებულება.

2.3. New Energy-saving Technology of Green Tea. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მომხმ“ , ტ. 17, # 4, 2023, 111-117 (თანაავტორობით).

ნაშრომში განზოგადოებულია მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი ტექნოლოგიის და პარამეტრების რეალურ გარემოში შემუშავების, კვლევის და ტესტირების შედეგები. ნაჩვენებია, რომ ახალი თაობის საფიქსაციო დანადგარის და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში 10-ჯერ მცირდება ელექტროენერგიის დანახარჯები და მინიმუმ 1 ლარით მზა პროდუქტის თვითღირებულება. მაღალეფექტური თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდის (HPLC) გამოყენებით საცდელი მწვანე ჩაის ექსტრაქტებში 5 კატეხინის კვლევის შედეგებით ნაჩვენებია ახალი ტექნოლოგიით დამზადებულ პროდუქტში საერთო კატეხინების და მთავარი კატეხინის - ეპიგალოკატეხინ გალატის მაღალი შემცველობა. ატომური აბსორბციული სპექტრომეტრის გამოყენებით (AAS 6 000) გამოყენებით ტოქსიკური ელემენტების : ტყვია (Pb), დარიშხანი (As), კადმიუმი (Cd), ვერცხლისწყალი (Hg), სპილენძი (Cu), აგრეთვე: თუთია (Zn), მანგანუმი (Mn), რკინა (Fe). კვლევის შედეგებით დადასტურებულია ქართული ჩაის უსაფრთხოების მაღალი ხარისხი დადგენილი ნორმების მიხედვით.

3. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

3.1. „ჩაის კულტურა საქართველოში (წარსული, აწმყო, მომავალი)“. თბილისი, 2023, 56 გვ. (ქართულ-ინგლისურ ენოვანი, თანაავტორობით);

ნაშრომში მოცემულია ჩაის ინდუსტრიის საფუძვლები საქართველოში. წარმოების სტრუქტურა, საქართველოს პოზიცია ჩაის გლობალურ ბიზნესში და საბაზრო პოზიცია, ხარისხობრივი მაჩვენებლები, ტექნოლოგიური კომპონენტები, კვლევა და განვითარება.

3.2. „მწვანე ჩაის ახალი სამანქანო ტექნოლოგიის შემუშავება და რეალურ გარემოში ტესტირება“. თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა, ანასეული, 2023. 36 გვ. (პრაქტიკული სახელმძღვანელო, თანაავტორობით)

პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მოყვანილია: „ტექნოლოგიური ინსტრუქცია - მწვანე ჩაის წარმოების ენერგოდამზოგი სამანქანო ტექნოლოგია“; „საწარმოს შიდა

სტანდარტი - დაუფასოებელი მწვანე ჩაი“; „ტექნოლოგიური დანადგარების ექსპლოატაციის წესები“ და მეჩაიე ფერმერებისთვის და მეწარმეებისთვის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა - „ჩაის წარმოება და დეგუსტაცია (ტიტესტერია)“.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა:

4. 1. XI International Scientific Congress “Agricultural Machinery”, Varna, Bulgaria (28.06 – 01.07. 2023), New Energy saving machine technology of green tea (თანაავტორობით).

4. 2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“. საქართველო, თბილისი, 4 – 6 ნოემბერი, 2023. მწვანე ჩაის (*Camelia sinensis* (L) O. Kuntze) ახალი ტექნოლოგია (თანაავტორობით)..

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

5.1. “მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი სამანქანო ტექნოლოგიის შემუშავება და რეალურ გარემოში ტესტირება“. შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისთვის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი (2022-2023) (თანახელმძღვანელი).

6. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე მოხსენება - „ჩაის კულტურა საქართველოში (წარსული, აწმყო, მომავალი)“.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადისერტაციო საბოს წევრი;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრი;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო სამეცნიერო საბჭოს წევრი;

- International Agricultural Journal - ის სარედაქციო საბჭოს წევრი;

8. გამოგონება, პატენტი:

8.1. „მოგრებილი ჩაის ფოთლის მაფორმირებელ - საშრობი დანადგარი“ (განაცხადი AU 2023 16196, 22.03. 2023). გამოგონებაზე პატენტის გაცემის შესახებ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება (სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი # 19 (622), 10.10.2023) (თანაავტორობით).

შემუშავებულია ახალი თაობის ჩაის ფოთლის მაფორმირებელ-საშრობი დანადგარი, რომელშიც ენერგიის წყაროდ გამოყენებულია ინდუქციის მეთოდით წარმოქმნილი თბური ენერგია (ინვერტორული ტექნოლოგია), რაც მნიშვნელოვნად ზრდის ენერგოეფექტიანობას. დოლური ტიპის მაფორმირებელ-საშრობი დანადგარის კონსტრუქცია უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტის სასაქონლო სახის გაუმჯობესებას.

9. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

9. 1. პრეზენტაცია / სემინარი

2023 წლის 26 ოქტომბერს ქ. ოზურგეთში, ანასეულში, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში და მისი ორგანიზებით, ა(ა)იპ ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაის“ და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, ჩატარდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი

კვლევებისთვის სამეცნიერო გრანტით „მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი სამანქანო ტექნოლოგიის შემუშავება და რეალურ გარემოში ტესტირება“ მიღებული შედეგების პრეზენტაცია/სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ჩაის სექტორში დასაქმებული კომპანიების და ფერმერული მეურნეობების, სახელმწიფო სტრუქტურების და აკადემიური წრეების 40 - მა წარმომადგენელმა. პრეზენტაციის ფარგლებში ტესტირებული იქნა მწვანე ჩაის ახალი სამანქანო ტექნოლოგია. ღონისძიებაში მონაწილე, ჩაის სექტორში დასაქმებული კომპანიების და ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებს გადაეცათ მწვანე ჩაის ახალი ენერგოდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიის ინსტრუქცია, საწარმოს შიდა სტანდარტი, ტექნოლოგიური დანადგარების ექსპლუატაციის წესები და მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა - „ჩაის წარმოება და დეგუსტაცია (ტიტესტერია)“. ღონისძიება გაშუქდა რეგიონული მედიასაშუალებებით და სოციალური ქსელით..

9.2. საცდელი დანერგვა:

საცდელ-საწარმოო პირობებში ჩატარდა ინსტიტუტში შემუშავებული და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) დაფინანსებული პროექტის - "პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში ფაზა 2" (ახორციელებდა ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტი) ფინანსური მხარდაჭერით დამზადებული შრომატევადი საწარმოო პროცესების მცირე სამექნიზაციო ინოვაციური ტექნიკური საშუალების - „ჩაის პლანტაციის რიგთაშორისების დამმუშავებელი, და ბუჩქის ვარჯიდან გამოსული ტოტების ამღები (მომცილებელი) დანადგარის“ ექსპერიმენტული ნიმუშის და ტექნოლოგიური პროცესის რეალურ გარემოში გამოცდა შპს „ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის“ კუთვნილ პლანტაციაში, დამუშავდა 5 ჰა ფართობი.

აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ავტორობით და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს (თანამშრომლების) თანაავტორობით შემუშავებული რისკის შეფასების ინიცირების დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით შესრულებული პროექტების საფუძველზე, ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებული და შესაფასებელ რისკების დასახელებათა ჩამონათვალი (2023წ).

წარმოდგენილი ჩამონათვალიდან (1-2-3 საკითხი) განხილულია აკადემიაში 2023 წელს.

- 1) ფრთალაქიანი დროზოფილას ფიტოსანიტარიული რისკის შეფასება;
- 2) საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების რისკის შეფასება;
- 3) სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით გამოწვეული რისკის შეფასება;
- 4) საქართველოში ცხვრის კატარული ცხელების (Bluetongue Virus (BTV)) შემოჭრის რისკის შეფასება; **(შემოსულია განსახილველად, განიხილება 2024 წლის 2 თებერვალს)**
- 5) ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) საქართველოში შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული რისკის შეფასება; **(რისკის შეფასება და რეკომენდაციები შემუშავებულია, ველოდებით ცენტრს)**

6) საქართველოში მაღაქიტის მწვანის, ლეუკო მაღაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასება; (მიმდინარეობს რისკის შეფასება)

7) 2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის პროდუქტების მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასება. (აფლატოქსინის M1-ის...მიმართ წარმოდგენილია მხოლოდ ინიცირების პროექტი, აღსანიშნავია, რომ ორი თვეა მიმდინარეობს ბიუროკრატიული პროცესი რისკის შეფასების დაწყების ნებართვასთან დაკავშირებით)

რადგან აღნიშნული ფორმა გულისხმობს აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის (და არა განყოფილების) აქტივობების მოსმენას, ზემოთ ჩამოთვლილი თემების იმპლემენტაცია მისი აქტიური ჩართულობით და კოორდინაციით მიმდინარეობდა, რაც დადასტურებულია რისკის შეფასების ანგარიშში არსებული ოქმებით.

აღნიშნული ჩართულობის და კოორდინაციის მიღმა, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის საქმიანობა უკავშირდება, კანონით გათვალისწინებულ, (სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის) „რისკის ანალიზის“ უწყვეტი, გამჭირვალე და დოკუმენტირებული სისტემის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბატონ ოთარ შამუგიას სახელზე აკადემიიდან მის მიერ გაგზავნილ წერილში და თანდართულ (1-2-3-4-5-6-) დანართებში.

ამასთან ერთად 2023 წლის 1-კვარტალში (იანვარ- თებერვალი) ს. ს. მ. აკადემიის სტიპენდიანტ დოქტორ დარეჯან დულაშვილთან ერთად, ჩატარებული სემინარზე მიღებული ცოდნის საფუძველზე, ჩამოყალიბდა რისკის შემფასებელთა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, რომლებმაც (პირობითად-პირველმა ჯგუფმა.) განახორციელეს სუდანის რისკის შეფასების პროექტი, მეორე ჯგუფი მუშაობს „მწვანე მაღაქიტის“ რისკის შეფასების პროექტზე.... და ელოდებიან ნებართვას აფლატოქსინის M1 რისკის შეფასების პროექტის შესასრულებლად.

გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

1. ლევან მუმლაძე, ლევან უჯმაჯურიძე, მაია მეტრეველი, ზურაბ ცქიტიშვილი - „უცხო ინვაზიური სახეობები საქართველოში - მოკლე სიტუაციური ანალიზი და პერსპექტივები“ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები; 04 – 06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო.

აკადემიის სტიპენდიანტი დარეჯან დულაშვილი

1. სამუშაო კვლევითი თემები (გეგმიური, დავალებით)

თემა 1.1. „სურსათთან შეხებაში მყოფი პოლიმერული მასალების და მათი ნარჩენების საფრთხეების რანჟირება საქართველოში სურსათის უვნებლობისა და ცირკულარული ეკონომიკის საზღვრებში“, რომელიც განხორციელდება 2022-2024 წლებში და წამოადგენს აღნიშნული თემის შუალედრ სტადიას.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა და დაიგეგმა:

- განხორციელდა საქართველოში გამოყენებული (წარმოებული, იმპორტირებული) სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება,
- შემდგომ შეისწავლა და სტატისტიკური დამუშავება, ასევე მათთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და გარემოს საფრთხეების რანჟირებისა და შეფასების მიზნით - რაც მოიცავს საფრთხეების კატეგორიზაციას/კლასიფიკაციას და სხვადასხვა პოლიმერების შედარებას.

- აღნიშნული შეგროვილი მონაცემებიდან გამომდინარე განხორციელდა საფრთხეების იდენტიფიცირება და დახასიათება (ადგილობრივი და საერთაშორისო უახლესი სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე).

- განხორციელდება სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებიდან გამომდინარე სურსათისმიერი საფრთხეების ექსპოზიციის სცენარების დამუშავება, მოდელების დიზაინის შეიქმნა, და შესაბამისი კონცეპტუალური მოდელების შედგენა და საფრთხეების რანჟირება.

თემა 1.2. „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“ - მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;

თემა 1.3. „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების კომპლექსური გასუფთავების შესწავლა ნახშირბადოვანი ნანომასალის გამოყენებით ნარჩენების მართვის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ - დამხმარე პერსონალი;

თემა 1.4. „ისტორიულ-არქიტექტორული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის შენარჩუნების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავება კლიმატის ცვლილების პირობებში“ - დამხმარე პერსონალი.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

2.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის განყოფილებისა და „გლობალური კარიერა და კავშირების“ მიერ დოქტორ დ. დუღაშვილის უშუალო ჩართულობით ორგანიზებული იქნა, მომზადდა და განხორციელდა სასწავლო კურსი - „ტრენინგი სურსათის უვნებლობის ჯაჭვის რისკის შეფასებაზე / Training on Food Chain Risk Assessment“. USDA (Food for Progress Programme)-ის მხარდაჭერით Land O'Lakes Venture37 / Land O'Lakes International Development Georgia-ს მიერ განხორციელებული - "ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მეცხოველეობაში (SQIL)" პროგრამის ფარგლებში.

აკადემიკოს-მდივან ზურაბ ცქიტიშვილთან ერთად მონაწილეობას ღებულობს, როგორც ლექტორი - სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების/მეთოდოლოგიების საკითხებში.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. ძებისაშვილი ნ., დუღაშვილი დ., სურამელაშვილი ე., „პოლიპროპილენის ნარჩენებისაგან ახალი ნახშირბადოვანი მასალის მიღება ჰორიზონტალური ტიპის რეაქტორის გამოყენებით და მისი სორბციული უნარის შესწავლა ამონიუმის აზოტის მაგალითზე“, doi.org/10.36073/1512-0902-2023-133-106-111, სტუ-ის ჰმი-ის სამეცნ. რეფ. შრ. კრებ. -2023 - ტ.133. - გვ.106-111;

3.2. ნ. ძებისაშვილი, გ. ტატიშვილი, დ. დუღაშვილი, „ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების დამუშავება მუნიციპალური მყარი ნარჩენების პოლიმერული ფრაქციისგან მიღებული ნახშირბადის მასალით“, „Chemical Problems“, ISSN (2221-8688), online version index of 2522-1655, ჩაბარებულია დასაბეჭდად.

3.3. ნათელა ძებისაშვილი, დარეჯან დუღაშვილი, პოლიმერული ნარჩენებიდან მიღებული ნახშირბადის მასალის სორბციის პოტენციალის შესწავლა (თბილისის ნაგავსაყრელის

გამონაჟონის ზოგიერთი დამაბინძურებლის მაგალითზე), Advanced Topics in Polymer Chemistry and Materials Science: Current Strategies and Future Prospects of Nanomedicine (ISBN: 9781774919385, Hardback/ebook), Apple Academic Press. ჩაბარებულია დასაბეჭდად.

3.4. ნათელა ძებისაშვილი, დარეჯან დუღაშვილი, „პოლიმერული ნარჩენებისგან ნახშირბადოვანი მასალის სორბციის პოტენციალის შესწავლა (თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების ზოგიერთი დამაბინძურებლის მაგალითზე)“, მე-8 საერთაშორისო კავკასიური სიმპოზიუმის „პოლიმერებისა და მოწინავე მასალების შესახებ“ კრებული, 2023, გვ. 14.

3.5. ნ. ძებისაშვილი, დ. დუღაშვილი, „ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების ავარიული (გაუთვალისწინებელი) ჩაშვების ზემოქმედების შეფასება ჰიდროლოგიურ ობიექტებზე“. 2nd International Scientific Conference “Science, Education, Innovations and Chemical Technologies From Idea to Implementation”-ის კრებული, 2023.

3.6. ნათელა ძებისაშვილი, დარეჯან დუღაშვილი, “ჩამდინარე წყლების ეკობიოტოქსიკოლოგიის ალტერნატიული შერბილების შესწავლა”, საერთაშორისო კონფერენციის Agriculture & Food კრებული, 2023, ISSN 1314-8591, # 11;

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა:

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის განყოფილებისა და „გლობალური კარიერა და კავშირების“ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსი - „ტრენინგი სურსათის უვნებლობის ჯაჭვის რისკის შეფასებაზე / Training on Food Chain Risk Assessment“. USDA (Food for Progress Programme)-ის მხარდაჭერით Land O'Lakes Venture37 / Land O'Lakes International Development Georgia-ს მიერ განხორციელებული - "ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მეცხოველეობაში (SQIL)" პროგრამის ფარგლებში. ემონაწილეობდი როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი და ტრენერი.

4.2. სამუშაო შეხვედრა/სემინარი: „ევროკავშირის რეგულაცია ოფიციალური კონტროლის შესახებ 2017/625-ისა და მისი შესაძლო დანერგვის შესახებ საქართველოში“. ემონაწილეობდი როგორც ორგანიზატორი/კოორდინატორი.

4.3. მე-8 საერთაშორისო კავკასიური სიმპოზიუმი პოლიმერებისა და მოწინავე მასალების შესახებ, საქართველო, თბილისი 2023, 1-3 აგვისტო. ნათელა ძებისაშვილი, დარეჯან დუღაშვილი, მოხსენება თემაზე: „პოლიმერული ნარჩენებისგან ნახშირბადოვანი მასალის სორბციის პოტენციალის შესწავლა (თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების ზოგიერთი დამაბინძურებლის მაგალითზე)“. https://icsp8.tsu.ge/data/file_db/icsp8/abstract_icsp8.pdf

4.4. 2nd International Scientific Conference “Science, Education, Innovations and Chemical Technologies From Idea to Implementation” 2023. თბილისი, საქართველო, 23-25 ოქტომბერი, 2023 წ. ნ. ძებისაშვილი, დ. დუღაშვილი, მოხსენება თემაზე: „ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების ავარიული (გაუთვალისწინებელი) ჩაშვების ზემოქმედების შეფასება ჰიდროლოგიურ ობიექტებზე“. <https://conference23iice.ge/>

4.5. საერთაშორისო კონფერენცია Agriculture & Food, 2023 წლის 14-17 აგვისტო, ბურგასი, ბულგარეთი. ნათელა ძებისაშვილი, დარეჯან დუღაშვილი, მოხსენება თემაზე: “ჩამდინარე წყლების ეკობიოტოქსიკოლოგიის ალტერნატიული შერბილების შესწავლა”.

4.6. მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე მდგრად ნარჩენების მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2023 - 12th IconSWM-CE 2022 & IPLA Global Forum 2022 (13th International Conference on Sustainable Waste Management & Circular Economy & IPLA Global Forum 2023 - 13 IconSWM-CE; IPLA Global Forum); 2023 წლის 29 ნოემბერი - 2 დეკემბერი მუმბაი, ინდოეთი (ონლაინ ვირტუალურ Zoom-პლატფორმაზე).

ელიზავეტა ცხაკაია, ნათელა ძეგისაშვილი, ზურაბ სამხარაძე, ლელა კვინიკაძე, დარეჯან დუღაშვილი, სადჰან კ. გჰოში, მოხსენება თემაზე: „მწვანე ნახშირბადის მასალების სორბციული თვისებები ჩამდინარე წყლების გასაწმენდად“

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

5.1. მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევა STEM-22-1751 „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“, როგორც მკვლევარი - ძირითადი პერსონალი;

5.2. ფუნდამენტური კვლევა FR-21-12546, „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების კომპლექსური გასუფთავების შესწავლა ნახშირბადოვანი ნანომასალის გამოყენებით ნარჩენების მართვის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“, როგორც დამხმარე პერსონალი;

5.3. ფუნდამენტური კვლევა FR--23-8279 „ისტორიულ-არქიტექტორული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის შენარჩუნების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავება კლიმატის ცვლილების პირობებში“, როგორც დამხმარე პერსონალი.

6. 2023 წლის განმავლობაში ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხრიდან პროექტის კოორდინატორის სტატუსით დოქტ. დ. დუღაშვილი მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტში „საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში“ (GCP/GEO/022/EC)

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CzDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მიერ.

პროექტს ახორციელებენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA).

პროექტის ფარგლებში დოქტორ დ. დუღაშვილის მონაწილეობითა და კოორდინირებით/ორგანიზებით 2023 წლის განმავლობაში შემუშავდა:

- პოლიტიკის დოკუმენტი - „საქართველოში სურსათის/აგროლაბორატორიების განვითარების კონცეფცია“ (MEPA).

- „საქართველოს სურსათის/აგრო ლაბორატორიების საჭიროებების შეფასება“ (GeLab).

ასევე, 2025 წლის ბოლომდე დოქტ. დ. დუღაშვილის ჩართულობით, კოორდინირებითა და ორგანიზებით მიმდინარეობს შემდეგი აქტივობები:

- საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა მცენარეთა დაცვის სფეროში რეფერენს ლაბორატორი(ებ)ის (SLA) საექსპერტო და ტექნიკური მხარჭერა.

- საქართველოს სურსათის/აგროლაბორატორიების განვითარების მხარდაჭერა.

- საქართველოს მცენარეთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

- საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში ოფიციალური კონტროლის სისტემის დანერგვა ევრო რეგულაციების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც 2023 წელს დოქტორ დ. დუღაშვილის უშუალო კოორდინირებითა და ორგანიზებით ჩატარდა „სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის რეგულაცია ოფიციალური კონტროლის შესახებ 2017/625-ისა და მისი შესაძლო დანერგვის შესახებ საქართველოში“.

7. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდენტის სხდომებზე

7.1. „სურსათთან შეხებაში მყოფი პოლიმერული მასალების და მათი ნარჩენების საფრთხეების რაწირება საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის საზღვრებში.“

აკადემიის სტიპენდიატი ეკატერინა კაციტაძე

1. სამუშაო კვლევითი თემები (გეგმიური, დავალებით)

თემა 1.1. „დადებითი ფიზიოლოგიური ეფექტის მქონე ნივთიერებებით მდიდარი მცენარეული ნედლეულის გამოყენებით თანამედროვე ტენდენციის პროდუქტების მიღების პროცესის გამოკვლევა და ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება“ (თემის ხელმძღვანელი)

თემის მიზანია: ბუნებრივად ჯანსაღი, დიეტური და პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტების, მათ შორის სასმელების მიღების ახალი ტექნოლოგიების დამუშავება შაქრის (საქაროზა), ხელოვნური არომატიზატორების, საღებავების და კონსერვანტების გამოყენების გარეშე. მათი გემოვნებითი და პროფილაქტიკური თვისებების დადგენა.

უკანასკნელ ათწლეულში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღ კვებას, რამაც ადეკვატურად გაზარდა მოთხოვნა ორგანიზმისთვის სასარგებლო კომპონენტებით მდიდარ პროდუქტებზე. ჯანმოს (WHO-2012) ევროპის რეგიონის სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავდა სურსათის და ჯანსაღი კვების ეროვნული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს კვებასთან ასოცირებული არაგადამდები დაავადებების შემცირებას, რაც შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხო, ჯანმრთელი და მდგრადი საკვების(სასმელის) მოხმარებით.

ამჟამად, საქართველოში თანამედროვე მიმართულების პროდუქტები ფაქტობრივად არ იწარმოება და საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება - მოთხოვნის შესაბამისი პროდუქტების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება.

გასათვალისწინებელია WHO და EU მოთხოვნები ჯანსაღ კვებასთან მიმართებაში. ყურადღებას იმსახურებს ევროპაში არსებული ტენდენციები - ხილის მეტი და შაქრის ნაკლები შემცველობა პროდუქტში (მურაბა, ჯემი, კომპოტი და სხვ.). ნატურალურად ჯანსაღი პროდუქტების, მათ შორის ისეთი სასმელების მოხმარება, რომლებიც მიღებულია ხელოვნური არომატიზატორების, საღებავების, კონსერვანტების და შაქრის (საქაროზა) გარეშე.

თემა 1.2. „ყურძნისეული წარმოშობის ახალი სინბიოტიკური და პრობიოტიკული სასმელების მიღება, მათი ფუნქციური პოტენციალის შეფასება და ოპტიმიზაცია“.

თემის მიზანია - ქართული ყურძნის ჯიშების გამოყენებით ახალი მცენარეული სინბიოტიკური და პრობიოტიკული სასმელების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება ჯანმრთელობისთვის რელევანტური, მაღალი ხარისხობრივი, პრობიოტიკების სიცოცხლისუნარიანობისა და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით.

სასწავლო კურსები :

- „ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგია“ (2022-2023 სასწავლო წლის II სემესტრი, სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსი);
- „კვების საწარმოთა დაპროექტების საფუძვლები“ (2023-2024 სასწავლო წლის I სემესტრი, სასურსათო ტექნოლოგიების სპეციალობის ბაკალავრები, აღდგენითი კურსი).

სამაგისტრო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელობა:

მაგისტრანტი - ნინო ტოკლიკიშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი.

სამაგისტრო თემა - „საფერავის წვენის პოტენციალის შესწავლა ფერმენტირებული სასმელების მისაღებად.“

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

დამუშავდა 2 თეზისი და შესაბამისად მომზადდა 2 საპოსტერო მოხსენება ვაზისა და ღვინის 44-ე მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად; ესპანეთი, ქ. კადისი, 5-9 ივნისი, 2023 წ; 44th World Congress of Vine and Wine “Viticulture and information technologie”

3.1. Ekaterina Katsitadze¹, Edisher Kvesitadze², Levan Ujmajuridze³, Kristine Museliani⁴, Tamar Turmanidze⁵ - „The potential of using Georgian red grapes to obtain plant synbiotic beverages „ 44th WORLD CONGRESS OF VINE AND WINE, BOOK OF ABSTRACTS. p.827-829 , June 2023

ე.კაციტაძე, ე.კვესიტაძე, ლ.უჯმაჯურიძე, ქ.მუსელიანი, თ.თურმანიძე - „ქართული წითელი ყურძნის გამოყენების პოტენციალი მცენარეული სინბიოტიკური სასმელების მისაღებად“; ვაზისა და ღვინის 44-ე მსოფლიო კონგრესის შრომათა კრებული, გვ.827-829, ივნისი, 2023

3.2. Ekaterina Katsitadze¹, Nazi melanashvili², Zaira Shapatava, David Chichua – „The technology of grape jam without the use of sugar „ 44th WORLD CONGRESS OF VINE AND WINE, BOOK OF ABSTRACTS ,p.829-832; June 2023

ე.კაციტაძე, ნ.მელანაშვილი, ზ.შაფათავა, დ.ჩიჩუა - „ყურძნის მურაბის ტექნოლოგია შაქრის გამოყენების გარეშე“ ვაზისა და ღვინის 44-ე მსოფლიო კონგრესის შრომათა კრებული, გვ. 829-832, ივნისი, 2023.

დამუშავდა 2 სტატია სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალში „აგრარული საქართველო“ გამოსაქვეყნებლად:

3.3.ეკატერინა კაციტაძე - „მცენარეული ფერმენტირებული პროდუქტები-რძემჟავა პროდუქტების საუკეთესო ალტერნატივა“ სამეცნიერო საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველო“, გვ. 25-27, N 9, სექტემბერი, 2023 წ.

3.4. ეკატერინა კაციტაძე - „ზეთისხილი და მისი გადამუშავების პროდუქტები“ - გაცემულია გამოსაქვეყნებლად.

3.5 მომზადდა პრაქტიკული ბროშურა-რეკომენდაცია ფერმერებისთვის - „ხილ-კენკრის ბიოქიმიური ძმრები და მათი გამოყენება გადამუშავების ტექნოლოგიაში“; ს/მ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 2023 წ.

ნაშრომში განხილულია ექსპერიმენტების ფარგლებში დაბალკონდიციური ნედლეულიდან დამზადებული ვაშლის, ბროწეულისა და მინიკივის ნატურალური ძმრების მიღების ხერხები, მათი სასარგებლო თვისებები და გამოყენება დიფერენცირებულად ყაბაყის ხიზილალას, ხილ-კენკრის მარინადისა და პამიდვრის კეტჩუპის ტექნოლოგიაში, აღწერილია აღნიშნული პროდუქტების რეცეპტურები და ტექნოლოგიური ინსტრუქცია.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო ღონისძიებებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა:

4.1 ტრენინგი თემაზე „სურსათის უვნებლობის საფრთხეები და პრევენციული ზომები მათი კონტროლის მიზნით“/„FOOD SAFETY HAZARDS AND PREVENTIVE MEASURES FOR THEIR CONTROL - FAO, FAOGE, afnor Groupe, ოქტომბერი, 2023 წ

5. სამეცნიერო საზოგადოების, საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, სარედაქციო საბჭოს და სხვ. წევრობა:

- 5.1 სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- 5.2 აგრარული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი (გამომცემლობა „სამშობლო“);
- 5.3 გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ტრენერი პირველადი პროდუქტების შენახვა-გადამუშავების მიმართულებით;
- 5.4 სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს და ინოვაციების კომისიის წევრი.

6. საანგარიშო წელს განხორციელებული სამეცნიერო კვლევები:

6.1. ყურძნის ფუნქციური პროდუქტების მიღების მიმართულებით; კერძოდ, შემუშავდა თანამედროვე მოთხოვნების მურაბების (საფერავის მურაბა ჟოლოს წვენიტ, საფერავის მურაბა კომშის წვენიტ, ჩხავერის მურაბა ჟოლოს წვენიტ, ჩხავერის მურაბა კომშის წვენიტ) ტექნოლოგია, სადაც კომბინაციაში დიფერენცირებულად გამოყენებულია ჟოლოს და კომშის წვენები.

მიღებული მურაბები შეიცავს მეტ ყურძენს და ნაკლებ თავისუფალ შაქარს, რაც განაპირობებს შედარებით მაღალ ხარისხს. შემცირებულია კალორიულობა არსებულ კლასიკურ ტექნოლოგიასთან შედარებით - შაქრის შემცვლელად ჩართულია ყურძნის დეიონიზირებული კონცენტრატი. ჟოლოს და კომშის წვენთან კომპოზიცია საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს მიღებული პროდუქტების გემოვნებითი თვისებები, ასევე ფიზიოლოგიური ღირსება.

6.2. ყურძნის წვენების უალკოჰოლო ფერმენტაციის მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავდა სელექციურად შერჩეული პრობიოტიკული შტამების (*Saccharomyces* გვარის საფუვრები, *Acetobacter* გვარის ძმარმჟავა ბაქტერიები), ხოლო პრებიოტიკული კომპონენტის სახით - კანისა და წიპწის მშრალი ექსტრაქტის გავლენის შესწავლას წითელი ყურძნის წვენის ფერმენტაციის პროცესზე.

პრობიოტიკული შტამების ყურძნის წვენში შეტანამ და სუბსტრატის კანისა და წიპწის მშრალი ექსტრაქტით გამდიდრებამ განაპირობა მიკროორგანიზმების აქტიური გამრავლება და წვენის ფერმენტაცია. ფერმენტაციის 6 დღიანი პერიოდის განმავლობაში არსებული ვარიანტებიდან ოპტიმალურ ტემპერატურად დაფიქსირდა 25 °C, რა დროსაც გაუმჯობესდა სასმელის კვებითი და ორგანოლექტიკური მახასიათებლები და შემცირდა არასასურველი ნაერთების წარმოქმნა. გამოვლინდა, რომ ფერმენტაციის პროცესში გაიზარდა ბიოაქტიური ნაერთების რაოდენობრივი და თვისობრივი შემცველობა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სასმელის ანტიოქსიდანტური სტატუსი.

ყურძნის ფერმენტირებულ წვენში დაფიქსირდა მჟავიანობის მატება, გლუკოზა საწყის მონაცემთან შედარებით შემცირდა 34 %-ით, ხოლო ჯამური ფენოლების მაჩვენებელი გაიზარდა 3-ჯერ, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ფუნქციური თვისებების თვალსაზრისით.

ამასთან, განისაზღვრა ყურძნის ფერმენტირებული წვენის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები - აღინიშნა სასმელის სენსორული მაჩვენებლების გაუმჯობესება, სასიამოვნო მომჟავო და ოდნავ მოტკბო გემო, გამაგრებელი და მატონიზირებელი ეფექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის გამონაწენები არის გადამუშავების ნარჩენი და ქმნის ეკონომიკურ/ეკოლოგიურ პრობლემებს. მოცემულ კვლევებში იგი გამოიყენება როგორც ფუნქციური ინგრედიენტი მცენარეული სინბიოტიკური სასმელების მისაღებად.

კვლევამ აჩვენა, რომ ფერმენტირებული საფერავის წვენი გამდიდრებული კანისა და წიპწის მშრალი ექსტრაქტით წარმოადგენს პოტენციურ სინბიოტიკურ სასმელს

მისაღები ხარისხობრივი/ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით და პრობიოტიკების სიცოცხლისუნარიანობით.

გათვალისწინებულია ექსპერიმენტების გაგრძელება ამ მიმართულებით და ფერმენტაციის პროცესის დადებითი ეფექტის გამოვლენა ანტიოქსიდანტურ აქტივობასა და მეტაბოლურ პროცესებზე.

3.6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი - აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებული არიან აკადემიის 6 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 1 სტიპენდიატი:

აკადემიკოსები: რევაზ ასათიანი, გივი ჯაფარიძე, ნოდარ ჭითანავა, ომარ ქეშელაშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნაპოლეონ ქარქაშაძე.

სტიპენდიატი: ეკონომიკის დოქტორი ნატო ჯაბნიძე

განყოფილებაში 2023 წელს სულ ჩატარდა 8 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 18 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი; სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე. 2. აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 23 თებერვალს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

მესამე სხდომა ჩატარდა 24 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიის სტიპენდიატის ნატო ჯაბნიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 15 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში შემოსული ნაშრომის შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის არჩევნები.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 6 ივლისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენ კონკურსში ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში შემოსული ნაშრომების რეცენზირების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოვლენა (ფარული კენჭისყრა).

მეექვსე სხდომა ჩატარდა 26 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები. (კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური მიდგომები) **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 29 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს მელიორაციის კორპორაციულ მმართველობაზე გადასვლის საკითხებისათვის. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

მერვე სხდომა ჩატარდა 14 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

გარდა ამისა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით **2023 წლის 7 მაისს** გაიმართა მრგვალი მაგიდა, თემაზე: „**ეკოპროდუქტების ბაზრის განვითარების ასპექტები საქართველოში**“. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, ეკონომიკის დოქტორი ნატო ჯაბნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ს/მ დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის აპარატის მუშაკები.

სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ მოხსენებისათვის „ეკოპროდუქტების ბაზრის განვითარების ასპექტები საქართველოში“ სიტყვა გადაცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატს, ეკონომიკის დოქტორ ნატო ჯაბნიძეს. ნატო ჯაბნიძემ აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკოპროდუქტების ბაზრის განვითარებას საქართველოში. საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია.

სხდომა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ, რომელმაც მაღლობა გადაუხადა მომხსენებელს და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის.

3.6.1. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

1. საკვლევი თემის დასახელება. საქართველოს მელიორაციის პრობლემები და განვითარების პერსექტივები. შესაბამისად, საქართველოს მელიორაციის განვითარება - მოდერნიზაციის პროგრამის მომზადების ფარგლებში განისაზღვრა 2023 წლისთვის დასამუშავებელი თემა: „საქართველოს მელიორაციის მმართველობის რეფორმა“.

აკადემიკოსი რევაზ ასათიანი აგრძელებს მუშაობას პროგრამაზე “საქართველოს მელიორაციის განვითარება/სტრატეგია”, რომელშიც განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა: მელიორირებულ მიწებზე სასოფლო - სამეურნეო წარმოების პარამეტრები, სამელიორაციო სისტემების და მელიორირებული მიწების არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები, ძირითადი სარწყავი სისტემების არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები საქართველოს რეგიონების მიხედვით, დამშრობი სისტემების (შემკრები კოლექტორები, წყალშემკრები მაგისტრალური არხები) არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში; გარემოს დაცვის ღონისძიებები, საექსპლუატაციო - ტექნიკური ბაზა, დარგის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, კაპიტალური დაბანდებები და ინვესტიციები და სხვა.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები:

2.1. სოფლისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი მოდერნიზაციის 5 მაკრო პრიორიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“, თბილისი, 2023, N1-2;

2.2. საქართველოს მელიორაციის ინსტიტუციური მოწყობის ისტორიული წინამძღვრები, საერთაშორისო მოდელები და განვითარების მიმართულებები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“, თბილისი, 2023, N1-2;

2.3. საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები, შპს „პოლიგრაფი“, მონოგრაფია, თბილისი, 2023 (თანაავტორობით);

2.4. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და განვითარების ბოლო ათწლეულის ტენდენციები, მონოგრაფია, თბილისი, საქართველოს პარლამენტი, 2023 (თანაავტორობით);

3. რეკომენდაციები და რედაქტირება. აკადემიკოსმა რ. ასათიანმა დამატებით, კიდევ ერთხელ გაუწია რედაქტირება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ მომზადებულ წინადადებებს კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისთვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - მოდერნიზაციის შესახებ. ასევე, დახვეწა საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამის მოდელი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

4. აკადემიის პრეზიდიუმისა და დარგობრივი განყოფილების მუშაობაში მონაწილეობა.

აკადემიკოსი რ. ასათიანი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებში, აგრეთვე აკადემიის მიერ მოწყობილ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში, აკადემიის დარგობრივი განყოფილების სხდომებსა და სხვა სახის შეხვედრებში;

- მონაწილეობა მიიღო ასევე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მოწყობილ რამდენიმე შეხვედრასა და დისკუსიაში;

- აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გააკეთა მოხსენება - პრეზენტაცია თემაზე: საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ოთხი პრიორიტეტი;

- განყოფილების სხდომაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: „შპს საქართველოს მელიორაციის“ კორპორაციულ მართვაზე გადასვლის საკითხისათვის.

- მონაწილეობა მიიღო აკადემიის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომის მუშაობაში 7 მარტს სოფელ წილკანში თემაზე: „ეკოპროდუქტების ბაზრის განვითარების ასპექტები საქართველოში“;

- მოამზადა რეცენზია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორთა კოლექტივის: ალექსანდრე სიჭინავას, ანზორ მესხიშვილისა და დალი სეხნიაშვილის მიერ აგრარულ სფეროში 2023 წლის საუკეთესო ნაშრომისათვის კონკურსში წარმოდგენილ მონოგრაფიაზე: „მიწის რეფორმა საქართველოში - სახელმწიფო მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები“;

5. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურები, წოდებები და ა.შ

5.1. აკადემიკოსი რევაზ ასათიანი დაჯილდოებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დიპლომით 2023 წლის საუკეთესო ნაშრომისათვის (თანაავტორობით): საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები, შპს „პოლიგრაფი“, მონოგრაფია, თბილისი, 2023;

6. სამეცნიერო საზოგადოების, საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, სარედაქციო საბჭოს და სხვ. წევრობა:

6.1 ივნისის თვეში აკადემიკოსი რევაზ ასათიანი არჩეული იქნა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივნად.

7. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

7.1. შპს „საქართველოს მელიორაცია“ - ში, აკადემიკოს რ. ასათიანის - „შპს საქართველოს მელიორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ჩატარდა 25 სხდომა და განხილული იქნა 60 - მდე სხვადასხვა სახის საკითხი.

7.2. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - აკად რ. ასათიანის ხელმძღვანელობით შემუშავებული და ფონდს სამოქმედოდ გადაცემული იქნა გრანტით დაფინანსებული თეორიული და გამოყენებითი კვლევების პროექტების სამეცნიერო მონიტორინგის და ეფექტიანობის შეფასების რეკომენდაციები.

აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი

1. სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ ხელმძღვანელი

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

კითხულობს ლექციებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში:

1. აგრარული ეკონომიკა - ტანამედროვე ტენდენციები
2. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება და აგრარული პოლიტიკის სტრატეგია.
3. მიწის მმართველობა
4. სოფლის განვითარების პოლიტიკა.

2023 წელს 2 დოქტორანტმა მისი ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (რეგიონის აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის; ღვინის უნარჩენო წარმოება საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე)

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. პ.კოლუაშვილი, ნ.ჩიხლაძე - აგრარული პოლიტიკის ფორმირების რეგიონული გამოწვევები საქართველოში. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.01>-ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“, ტ. 18, 2(26), 2023 წელი, საქართველო, თბილისი, 6გვ.

თანამედროვე მსოფლიო შევიდა შეუქცევადი ცვლილებების და გლობალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის განხორციელების გადაუდებელ ფაზაში. დღევანდელ ვითარებაში აქტუალური ხდება სახელმწიფოს მიერ შექმნილი გონივრული, თანმიმდევრული, მოქნილი და კრიზისულ ვითარებებში ადაპტირებადი ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიული დოქტრინა, რომელშიც სათანადო როლი და ფუნქცია განისაზღვრება ქვეყნის რეგიონული და აგრარული პოლიტიკისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია მის მთავარ მიზნად კონკურენტული პროდუქციის შექმნას განიხილავს, თუმცა ერთიანი სამოქმედო გეგმა და დღეს სამინისტროს ხელთ არსებული სერვის-პროგრამები არ ტოვებს განცდას, რომ ჩვენ გააზრებული გვაქვს ყველა პრობლემა-გამოწვევა, რაც სხვა და სხვა ეტაპზე, საფეხურზე თუ ფაზაში ბუნებრივად იქმნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია რეგიონებში განსაკუთრებულ სიმაღლეზე ავიყვანოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მასტიმულირებელი პოლიტიკა.

3.2. პ. კოდუაშვილი, გ. თალაკვაძე - ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება და მისი კავშირი გლობალური ინტეგრალური რესურსების პოტენციალთან, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 1, 2023 წელი, საქართველო, თბილისი, თსუ, 9 გვ.

სტატიაში გაანალიზებულია როგორ ყალიბდება მსოფლიოს განვითარების სრულიად ახალი დღის წესრიგი, ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს კაცობრიობის განვითარების თვისებრივად განსხვავებულ, უპრეცედენტო ეტაპის საწყის სტადიასთან. განხილულია ამ მოვლენის, მიზეზები, გამოწვევები და გამოტანილია დასკვნა თუ როგორ მიიღწევა ეკონომიკების „მოქნილობის“ გაუმჯობესება და ძირითადი ამოცანების - ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და წინსვლითი განვითარების უზრუნველყოფი პირობების შექმნა.

3.3. პ. კოდუაშვილი, ი.არჩვაძე - საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. DOI: 10.56079, ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2, 2023 წელი, საქართველო, თბილისი, თსუ, 10 გვ.

სტატიაში ავტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სასურსათო უსაფრთხოებას. ხაზს უსვამენ სახელმწიფოებრივი მდგრადობისა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონეთა შორის მაღალ კორელაციას, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს. გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის, ზოგადად კი ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა და გაკეთებულია დასკვნა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან გაცილებით მეტ ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და ფინანსური მხარდაჭერის და უზრუნველყოფაში.

3.4. პ. კოდუაშვილი, ი. არჩვაძე, გ. თალაკვაძე - საქართველოს მთიანეთი - ქვეყნის სტრატეგიული განვითარების არსებითი კომპონენტი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 3, 2023 წელი, საქართველო, თბილისი, თსუ, 29გვ.

სტატიაში ავტორების მიერ ჩამოყალიბებულია აზრი, რომ ეკონომიკის მდგრადი და დინამიკური განვითარებისათვის ქვეყანამ მის ხელთ არსებული ყველა რესურსი (ინტელექტუალური, ფიზიკური, ფინანსური, ბუნებრივი) რაც შეიძლება რაციონალურად და კომპლექსურად უნდა გამოიყენოს და, რომ ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორს. წინა პლანზე წამოწეულია პრობლემა უფუნქციოდ დარჩენილი მთა, რაც არგუმენტირებულ მიზეზად არის აღქმული, როგორც - სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის განმსაზღვრელი ფაქტორი.

სტატიაში დასახულია საქართველოს მთიანეთის ეფექტიანი განვითარების აუცილებელი ღონისძიებები, გაკეთებულია სათანადო და მნიშვნელოვანი დასკვნები.

3.5. პ. კოდუაშვილი, დ.მამუკელაშვილი - ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების რეფორმის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. DOI: 10.36172/EKONOMISTI, ჟურნალი „ეკონომისტი“ N1, 2023 წელი, საქართველო, თბილისი, 10გვ.

აუცილებელია ფუნდამენტურად განსხვავებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის, ანუ მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მეურნეების ინტერესების დაცვაზე, ქვეყნის განვითარებაში მათი პრიორიტული როლის აღიარებაზე და ისეთი მოდელების შექმნაზე, რომელიც გახსნის პიროვნების თავისუფალი განვითარების ყველა შესაძლებლობას. გამძაფრებულ სოციალურ პრობლემებთან პირდაპირ კავშირში მყოფი ეს პრობლემა ვერ მოაგვარა საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რაც მნიშვნელოვანწილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის დაბალეფექტიანობისა და, ზოგადად, წარუმატებლობის მიზეზი.

3.6. პ. კოდუაშვილი, ი. არჩვაძე - სურსათის წარმოების რეგიონული და დარგობრივი ორიენტირები. DOI: 10.36172/EKONOMISTI, ჟურნალი „ეკონომისტი“ N3, 2023 წელი, საქართველო, თბილისი, 12გვ.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მრავალი კომპონენტიდან ერთერთ უმნიშვნელოვანესს სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს. მის უზრუნველყოფაში პოლიტიკურ და რესურსულ პოტენციალთან ერთად სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს რეგიონული ასპექტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, წარმოების სპეციალიზაციას და კულტურას, შესაბამისი პროფილისა და გამოცდილების მქონე საკმარისი რაოდენობის საწარმოო ძალების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - სამუშაო ძალას, ამ უკანასკნელის დაინტერესების, მოტივაციის, ადგილზე მოზიდვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფას. მასვე უკავშირდება აგრეთვე როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი რეგიონების მიხედვით სხვადასხვა სოციალური ძალების, ინდივიდუალური და კორპორაციული ინტერესების დაბალანსების პრობლემა. ნებისმიერი სახელისუფლებო პოლიტიკის, კონცეფციის თუ პროგრამის წარმატება დამოკიდებულია ზემოხსენებულ ინტერესთა როგორც ვერტიკალურ (სახელმწიფო - კორპორაცია - ინდივიდი), ისე ჰორიზონტალურ (ცენტრი - რეგიონი) დაბალანსებაზე. ამასთან, სწორედ რეგიონის დონეზე ვლინდება სახელისუფლებო გადაწყვეტილების მართებულობა, რაციონალურობა და ეფექტიანობა. ამ მიმართულებით, მიუხედავად ბოლო წლებში საქართველოში აშკარა წინგადადგმული ნაბიჯებისა, შეინიშნება სისტემური ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ვითარებას, რომლითაც, ერთი მხრივ, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება ჯერაც საკმაოდ მოწყვლადია საგარეო რისკებისა და გამოწვევებისადმი და მეორე მხრივ, განაპირობებს სოფლის მეურნეობისათვის არაპრესტიჟული „ეკონომისტი“, „Ekonomisti“ #3, 2023 165 ეკონომიკის ყველაზე „სუსტი რგოლის“ სტატუსის აღმნიშვნელი სტიგმის შენარჩუნებას.

3.7. პ.კოდუაშვილი, ს.არჩვაძე, მ.დოლიძე, დ.გალეგაშვილი - შეგვიძლია მეტი ხორბალი და ხარისხიანი პური ვაწარმოოთ! ISSN 1987-8729, ჟურნალი „აგრარული საქართველო“, N5 (128), მაისი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო, 4-8 გვ.

3.8. პ.კოდუაშვილი, გ.თალაკვაძე- განზრახულობათა და გარემოებათა ბალანსი - ქვეყნის ეფექტიანი მართვის საფუძველია, ISSN 1987-8729, ჟურნალი „აგრარული საქართველო“, N8 (131), აგვისტო, 2023 წელი, თბილისი, საქართველო, 4-5 გვ.

3.9.Koghuashvili P., Chechelashvili M., Babunashvili T. (პ.კოდუაშვილი, მ.ჩეჩელაშვილი, თ.ბაბუნაშვილი), Cluster as a Means of Increasing Innovation in the Region, DOI: <http://doi.org/10.5281/zenodo.8184236>, ISSN 3572-2436. GIF-5.992, Annali d'Italia N45, Florence, Italy; 2023, pp 15-21.

ინოვაციური აქტივობის გაზრდისკენ მიმართული კლასტერული მიდგომის აქტიური გამოყენება გაზრდის შიდა მწარმოებლების კონკურენტუნარიანობას და დააჩქარებს საქართველოს რეგიონების მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. საშინაო და საგარეო გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ კლასტერების გავრცელება ყველა მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ეფექტური მაღალტექნოლოგიური წარმოება ეფუძნება სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო, ინოვაციური და საწარმოო საწარმოების ინტეგრაციას.

3.10. Koguashvili P., Mamukelashvili D., Chechelashvili M. (პ.კოლუაშვილი, დ.მამუკელაშვილი, მ.ჩეჩელაშვილი), Inclusive Entrepreneurial Development Reform Ain Directions in Georgia (ინკლუზიური მეწარმეობის განვითარების რეფორმა საქართველოში) DOI: <http://doi.org/10.5281/zenodo.8184236>, ISSN 3572-2436. GIF-5.992, Annali d'Italia N49. Florence, Italy, 2023.

აუცილებელია ძირეულად განსხვავებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონების მოსახლეობის უმეტესი ნაწილის, ანუ მცირე და დაბალშემოსავლიანი მეურნეობების ინტერესების დაცვაზე, მათი პრიორიტეტული როლის აღიარებაზე ქვეყნის განვითარებასა და შექმნაზე. განვითარების ისეთი მოდელების შექმნაზე, რომლებიც ყველანაირ შესაძლებლობას გაუხსნის თავისუფალ განვითარებას. საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა ეს პრობლემა, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული გამწვავებული სოციალური პრობლემების მოგვარებასთან, რაც დიდწილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის დაბალი ეფექტურობისა და ზოგადად, წარუმატებლობის მიზეზი.

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

4.1. პ.კოლუაშვილი, ნ.ჩიხლაძე - თეოლოგიურ-ეკონომიკური ნარკვევები, ISBN 978-9941-493-95-9 (მონოგრაფია), თბილისი, გამომცემლობა „საარი“, 2023 წელი, 223 გვ.

წიგნში წარმოდგენილია მართლმადიდებლური თეოლოგიის საკითხების გააზრება ეკონომიკურ ჭრილში. იგი მოიცავს ავტორთა მიერ ამ პრობლემებზე საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილ მოხსენებებს. ამ თვალსაზრისით, ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული მიმართულებით ავტორთა მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ერთგვარ რეზიუმირებას. მონოგრაფიაში ვრცლადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა რესურსების შეზღუდულობის პრობლემა თეოლოგიურ-ეკონომიკური კუთხით, ბიბლიის შეგონება და ქართული რეალობა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემები და სხვ.

4.2. პ.კოლუაშვილი, რ.ასათიანი - საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები, ISBN 978-9941-8-51544 (მონოგრაფია), თბილისი, შპს „პოლიგრაფი“, 2023 წელი, 154 გვ.

4.3. პ.კოლუაშვილი, ჯ.ფანჭულიძე - მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი, ISBN 978-9941-28-914-9 (სახელმძღვანელო), თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2023 წელი, 234 გვ.

მიწის, როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და განსაკუთრებული რესურსის სწორად მართვისათვის, ამ დარგში არსებული საკანონმდებლო ბაზის ათვისების, მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების პრინციპების ცოდნისათვის აუცილებელია თანამედროვე სპეციალისტის აღზრდა.

სახელმძღვანელო - „მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი“- შედგენილია უცხოური და სამამულო ლიტერატურის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად და პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. საქართველოში იბეჭდება პირველად და

განკუთვნილია ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, აგრონომიულის, საინჟინრო გეოდეზიის, სატყეო და მელიორაციის სპეციალობების სტუდენტებისათვის. იგი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოხელეებს, მიწის მართვის სპეციალისტებს, იურისტებს, ეკოლოგებს.

სახელმძღვანელო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დარგისათვის მომავალი სპეციალისტების მომზადების საქმეში.

4.4. **პ.კოლუაშვილი - Contemporary Business Challenges in a Globalized World: Research, Study, Examination** (თანამედროვე ბიზნეს გამოწვევები გლობალიზებულ სამყაროში: კვლევა, შესწავლა, გამოცდა), (კოლექტიური მონოგრაფია), ტომი 4, ზაარბრიუკენი, ზაარლანდი, გერმანია, 200 გვ.

ნაშრომი ეძღვნება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარების ვარიანტებს, რაც, ავტორების აზრით, მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ავტორები აღნიშნავენ, რომ უფლებამოსილების განაწილება ცენტრსა და რეგიონებს შორის ზრდის ამ უკანასკნელის როლსა და პასუხისმგებლობას სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრაში. ნაშრომში აღნიშნულია, რომ რეგიონულ დონეზე გადასაჭრელი ამოცანები დამოკიდებულია კონკრეტულ რეგიონში არსებული საკვები პროდუქტებზე და მათ შესაძლებლობებზე. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ შესაძლებლობების რეალიზაციის საფუძველი უნდა ხდებოდეს ეროვნულ დონეზე სურსათის წარმოების სტიმულირებით, მისი შესყიდვისათვის აუცილებელი სახსრების დაგროვებით და აგრეთვე სურსათის დაზღვევისა და მობილიზაციის მარაგის შექმნის გზით.

5. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

5.1. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თსუ თბილისი, საქართველო, 2023 წელი - მოხსენება თემაზე: წმ.პავლე მოციქულის შრომითი მოღვაწეობის და შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ (პ.კოლუაშვილი, ნ.ჩიხლაძე)

ნაშრომში ორი ასპექტით არის განხილული წმინდა მოციქულ პავლეს შრომისადმი დამოკიდებულება, შრომითი მოღვაწეობა - ჩვეულებრივი, ადამიანური შრომა, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ხარჯვა მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში, შრომითი დიდაქტიკა, პატიოსანი და ღვთივსათნო შრომის აუცილებლობა და მისიონერული შრომა, უფლისგან დალოცვილი საქმიანობა ღვთის სიტყვის გასავრცელებლად, რომელიც სწორ დაგეგმვას, ფუნქციათა განაწილებას, მონიტორინგს და მენეჯმენტს უკავშირდება. წმ. პავლე მოციქულის თოთხმეტ ეპისტოლეს, რომელსაც ძირითადად ეყრდნობა ნაშრომი, ახალ აღმაშენებელ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათში სიღრმისეულადაა გადმოცემული ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები, რის გამოც არცთუ იშვიათად „მეორე სახარებასაც“ უწოდებენ.

5.2. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“, 7-8 ოქტომბერი, 2023 წელი - მოხსენება თემაზე: მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის, სტრატეგია, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ქვაკუთხედი (პ.კოლუაშვილი, ი.არჩვაძე).

სტატიაში განხილულია თანამედროვე პირობებში მარცვლეულით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემები, მისი გამწვავების მიზეზები და დაძლევის გზები. სურსათის, კერძოდ, მარცვლეულის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად მზარდი გამოყენების გამო ხაზგასმულია მარცვლეულით, პირველ რიგში, ხორბლით

თვითუზრუნველყოფის დონისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების დონეთა შორის კავშირი, აღნიშნული პრობლემის აქტუალობა თანამედროვე საქართველოსათვის, მარცვლეულით მომარაგების გაურესების ნეგატიური გავლენა საქართველოში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და მოსახლეობის რძისა და ხორცპროდუქტებით უზრუნველყოფაში. მარცვლეულის წარმოებისა და მოხმარების მწვავე დეფიციტის რისკ-ფაქტორი საქართველოსათვის დაკავშირებულია აღნიშნული რესურსის შევსების პროცესის ძირითადად ერთ გარე წყაროზე დამოკიდებულებასთან. სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა მიჩნეულია ქართული სოფლის გადარჩენის, მიგრაციის შეჩერების ფაქტორად და ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფას გარემოებად. ამასთან, მარცვლეულის წარმოების არსებითი გადიდება დაკავშირებულია მისი წარმოების მატერიალურ-ეკონომიკური სტიმულირების ყველა არსებული ბერკეტისა და საშუალების გამოყენებასთან. შემოთავაზებულია მარცვლეულის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „მარცვლის - მხარდაჭერა და მის საფუძველზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიებისა და ბიოსტიმულატორების გამოყენებით უახლოეს წლებში ხორბლისა და სიმინდის ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის არსებითი ზრდა, ადგილობრივი წარმოების მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის დონის 60-65%-მდე გაზრდა, აგრეთვე სურსათის სტრატეგიული ფონდის ფორმირება.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე

აკადემიკოსი ნ. ქარქაშაძე აგრძელებდა მუშაობას მონოგრაფიისათვის - ციკლიდან „მსოფლიოს სოფლის მეურნეობა.“ 2023 წლისათვის კონკრეტულად დამუშავდა საქართველოს უშუალო მეზობლის, თურქეთის რესპუბლიკის მიერ გატარებული რეფორმების ეფექტურობა - საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიისათვის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი თურქეთი 21-ე საუკუნის დასაწყისში გახდა მსოფლიო მნიშვნელობის საკურორტო-ტურისტული ქვეყანა, რომლის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ბოლო 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 11,5 პროცენტიდან 22,8 პროცენტამდე. ყოველივე ეს მიღწეული იქნა იმ მიზნობრივი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000 წლის შემდგომ პერიოდში. ჩვენს მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი იმ მიზნობრივი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000 წლის შემდგომ პერიოდში. შესწავლილი იქნა ისეთი ტურისტულ-საკურორტო ინდუსტრიის გიგანტის საქმიანობა, როგორიცაა „ანტალიის ტურისტული კომპლექსის საკვები პროდუქტების მომარაგების საკითხები მას შემდეგ, რაც ტურისტული კომპლექსის სურსათით მომარაგება შესაძლებელი გახდა საკუთარი წარმოების კომპლექსთან მიერთების შემდეგ“. სასოფლო-სამეურნეო წარმოებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ანტალიის ტურისტული კომპლექსის წმინდა მოგება.

დღეისათვის ანტალიის ტურისტული კომპლექსი ფლობს საწარმო მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს შავი ზღვის სანაპირო სივრცის თითქმის მთელ პერიმეტრზე, აქვთ სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებისათვის უახლესი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი

საწარმოები, ყველა ტიპის (მ.შ აგრარული პროფილიც) კვალიფიციური კადრების მომზადების შესახებ.

კომპლექსური საქმიანობის შედეგებით ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ თავდაპირველად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკუთარმა წარმოებამ, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება საწყის ეტაპზე გაზარდა 3-5 %-ით, სამაგიეროდ კურორტის წმინდა მოგება თითქმის სამჯერ გაიზარდა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა რეფორმებმა, რომლებიც დაიწყო 21-ე საუკუნის დასაწყისში და გულისხმობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკუთარ წარმოებას - გაამართლა. განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა მიწათსარგებლობის რეფორმა და მიერთებული აგრო-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურული ქვედანაყოფის რეფორმა.

აკად. ნ. ქარქაშაძის დაკვირვებით ეკონომიკურ კვლევაში იკვეთება ახალი მიმართულება - „საკურორტო-ტურისტული ეკონომიკის“ სახით. აღნიშნული პროექტების განხორციელება საქართველოშიც არის შესაძლებელი, კერძოდ - ბორჯომ-ბაკურიანის, წყალტუბოსა და შავი ზღვის აუზის კურორტებზე.

აღსანიშნავია, რომ შესაბამის კვალიფიციურ კადრებს, განსაკუთრებით აგრარულ საკითხებში დღეს ქვეყანა აღარ ამზადებს, ვინაიდან სამი აგრარული მიმართულების უნივერსიტეტის ფუნქციონირება წინა ხელისუფლებამ გააუქმა!

აკად. ნ. ქარქაშაძის მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე ირანის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხები. ირანი 21-ე საუკუნის ქვეყნად ითვლება, რომელმაც (მიუხედავად საერთაშორისო სანქციებისა) ქვეყანაში დანერგა უახლესი ტექნოლოგიები, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში. დღეისთვის ქვეყანამ შეძლო მოსახლეობის (90 მილიონი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საკვებ პროდუქტებზე საკუთარი წარმოებით მაშინ, როდესაც მისი ტერიტორიის (ერთი მილიონი კვ.კმ) მხოლოდ 3-3,5%-ია ვარგისი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი მტკნარი წყლით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 34%-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ შეძლო და მოიძია თავის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების უზარმაზარი მარაგი, რომელმაც მთლიანად გადაწყვიტა ქვეყნის მოსახლეობის მტკნარი წყლით მომარაგება და ამასთან, შექმნა სარწყავი სისტემის ისეთი ქსელი, რომელმაც ქვეყანას საშუალება მისცა მთლიანად დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე და ხილის გარკვეული ნაწილი (ჩირის სახით) გაეტანა მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყნის სტრატეგიული პროდუქციის 52-54% იწარმოება ე.წ ტერასულ მეურნეობაში. მათ შეძლეს ამ მეთოდის ავტომატიზაცია (სარწყავი წყლის მიწოდება, პროდუქტის ტრანსპორტირება და ა.შ), რამაც ხელი შეუწყო ახალი საცხოვრებელი სივრცეების შექმნას, რაც ტერიტორიის ათვისებისთვის აუცილებელია.

აქვე, საჭიროა აღინიშნოს ის, რომ საქართველოშიც კარგად იყო განვითარებული ტერასული მეურნეობა (სამცხე-ჯავახეთის რაიონში). სულხან-საბა ორბელიანის ინფორმაციით წარმოებული პროდუქციის „უდიდესი ნაწილი“ სამცხე-ჯავახეთში მიიღებოდა ტერასებზე.

დღეს ამ მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოშია. ალბათ, საჭირო იქნება, ადგილზე თუ გავეცნობით ირანის ტერასულ მეურნეობას და ინდუსტრიულ საფუძველზე ამ მეთოდს დავნერგავთ საქართველოშიც.

სავარაუდოდ აღნიშნული შრომა 2024 წლის პირველი ნახევრისთვის მზად იქნება დასასტამბად.

აკად. ნ. ქარქაშაძის აზრით აკად. ნოდარ ჭითანავას ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემა, რომელიც ეხება ქვეყნის მიწის რესურსების შესწავლას (დღევანდელ მდგომარეობას, გამოყენების კოეფიციენტს, რელიეფურ განლაგებას და ა.შ) დიდ სამსახურს

გაუწევს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორს და მნიშვნელოვან წილს შეიტანს მის მდგრადობაში.

აკად. ნ. ქარქაშაძე ონლაინ რეჟიმში აქტიურად იყო ჩართული აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში, რომლის ხელმძღვანელიც დაარსების დღიდან არის. მიმდინარე წელს ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს 9 სხდომა სადაც განხილული იყო 14 საკითხი

განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნავია:

1. ვეტერინარიაში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის განვითარების ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ;
3. კონკურენტული უპირატესობისა და მართვის თანამედროვე მექანიზმების შესახებ აგრარულ პოლიტიკაში;
4. მიწის რესურსების სამართლებრივი ბაზისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შესახებ
5. საქართველოში მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ევროპის უნივერსიტეტიდან მოწვეულნი იყვნენ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები და სტუდენტები, რომლებიც გაეცნენ ჩვენი აკადემიის მიღწევების და საქმიანობას, სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის მუზეუმი, დაესწრნენ საბჭოს სხდომას, სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო საბჭოს წევრებთან ერთად მოეწყო გასვლითი-სამეცნიერო ექსპედიცია კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში, კონტაქტები დამყარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, სამ უმაღლეს სასწავლებლებთან, ჩატარდა საჯარო ლექციები კერძოდ: ევროპის, ტექნიკურ და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტებში. მოეწყო შეხვედრა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებთან შეხვედრაზე საუბარი იყო სამეცნიერო საქმიანობაზე და აგრარულ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

მომზადდა სამეცნიერო საბჭოს მუშაობის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის მიხედვით.

საბჭოს მუშაობა რამდენიმეჯერ იქნა განხილული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე და იგი დადებითად შეფასდა. აღსანიშნავია აკად. ე. გუგუშვილის ნაყოფიერი მუშაობა (იგი მუდმივ კონტაქტში იმყოფება ჩემთან). ეგრეთვე წამყვანი სპეციალისტის, ქ. ჭიპაშვილის ნაყოფიერი საქმიანობა.

აკად. ნ. ქარქაშაძე მადლობას უხდის აკადემიკოსებს: ნ. ჭითანავას, ჯ. კაციტაძეს, თ. ყურაშვილს და სხვებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

აკადემიკოსი ომარ ქეშალაშვილი

1. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, თეზისები):

სულ გამოქვეყნებულია 1062 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 229 წიგნი, აქედან, 53 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 136 ბროშურა, 27 მინიატურული პოპულარული წიგნი, 5

დარგობრივ-თემატური ატლასი, 33 გამოცემულია საზღვარგარეთ. გამოქვეყნებულია 275 საგაზეთო სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომი.

სულ სამეცნიერო და სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომთა რაოდენობა შეადგენს 1337 (1993 წლამდე გამოქვეყნებულია 278, 2005 წლამდე 329, 2010 წლამდე 440, 2015 წლამდე 605, 2019 წლამდე 908, 2020 წლამდე 1010, 2021 წლამდე 1040, 2022 წლამდე 1051, 2023 წლამდე 1062 სამეცნიერო ნაშრომი)

2023 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.

2. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა და საკითხების მომზადება:

აკადემიკოსი ო. ქეშელაშვილი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო რეფერირებული შრომათა კრებულ „მოამბის 2023 წლის 1-ლი და მე-2 ნომრების გამოცემას;

3. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა, სხვა საქმიანობა:

3.1. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიების დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი;

3.2. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულის -“მოამბე“-ს პასუხისმგებელი რედაქტორი;

3.3. აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი;

3.4. გამომცემლობა “აგროს“ ხელმძღვანელი;

3.5. აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ფონდის ხელმძღვანელი;

3.6. ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი.

4. სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:

4.1. საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

5. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების სხდომამ და პრეზიდიუმმა:

5.1. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულ-“მოამბის“ გამოცემის შესახებ.

აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა

1. 2023 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში დაასრულა კვლევა თემაზე: „მიწათმოწყობა - მიწის რესურსების მართვის სისტემაში“.

ნაშრომში გაანალიზებულია მიწათმოწყობის განსაკუთრებული როლი მიწის რეფორმების განხორციელებაში. ნაჩვენებია, რომ მიწათმოწყობა, როგორც სისტემა ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. მიწის რესურსების აღრიცხვა მოწესრიგებული არ არის, მიწის დეგრადაციის პროცესი მონიტორინგის გარეშე დარჩა, მიწის კატეგორიების შეცვლის პროცესი მკაცრ რეგულირებას საჭიროებს. შემოთავაზებულია მიწის რესურსების ინვენტარიზაციის ჩატარებისა და მის საფუძველზე მიწათმოწყობის გენერალური სქემის

დამუშავების რეკომენდაცია. გენერალური სქემა საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

2.1. მიწის რესურსების მართვის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ასპექტები.

სტატიაში გაანალიზებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების თავისებურებანი, ტენდენციები. ნაჩვენებია, რომ პრობლემა მწვავეა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. ამასთან სახელმწიფო სტრუქტურები, ბიზნესი, მიწის მფლობელებიც სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მიწის ფართობების გამოყენებას. პრობლემის კვლევისას გამოყენებულია მეთოდოლოგიური სიახლე - მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები განხილულია, როგორც ინტეგრირებული სისტემა, მათი შემადგენელი ნაწილების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგანპირობებულების დონით. ასევე მიწა, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, განხილულია სხვა ძირითადი ფაქტორების ურთიერთქმედების სისტემაში.

შემოთავაზებულია მიწის რესურსების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციები, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტა, მიწის რესურსების მართვაში პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის, მიწათმოწყობის, კოოპერაციის განვითარების, სახელმწიფო პროტექციონიზმის პრინციპების გამოყენების და სხვა საკითხები. რეკომენდებულია, რომ 2030 წლამდე პერიოდისათვის შედგეს საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება-მოდერნიზაციის სახელმწიფო პროგრამა.

2.2. სახელმწიფო-მეცნიერების პარტნიორობა-რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად მართვის წინაპირობა“.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და ქვეყნის მდგრადი განვითარების საფუძველია. მათ არარაციონალურად და არაეფექტიანად ვიყენებთ. რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი კომპეტენტური სახელმწიფოებრივი რეგულირების მიღმა დარჩა.

მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესი განხილულია, როგორც ინტეგრირებული სისტემა. თანამედროვე პირობებში პრინციპული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო-ბიზნესის პარტნიორული ურთიერთობების სწორად გაცნობიერებას. ნაჩვენებია, რომ განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა საბაზრო პრინციპებზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემა არაეფექტიანად ფუნქციონირებს, სახელმწიფოს, საზოგადოების, მეცნიერებისა და ბიზნესის წინაშე ლოგიკურად დადგა მისი ეფექტიან საბაზრო ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნის ამოცანა. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, სახელმწიფო-მეცნიერების პარტნიორობის ეფექტიანობაზე. დასაბუთებულია გარდაქმნის შემდგომი ინტენსიფიკაციის აუცილებლობა, ახალი გამოწვევების საგანგებო ადეკვატურ ღონისძიებათა შემუშავება, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე ჩამოყალიბებული მართვის სისტემები.

იმისათვის, რომ დავძლიოთ ეკონომიკის განვითარებაში არასებული მდგომარეობა, შემოთავაზებულია „გარღვევის სტრატეგიის - მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელის შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული მოდელი დაეფუძნება სტრატეგიული მიზნისა და მისი მიღწევის მთავარი რგოლის შერჩევის პრინციპს, რესურსების კონცენტრაციას, თანამედროვე მენეჯმენტის ფუნქციების რაციონალურად გამოყენებას, პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის (მართვის) პრინციპებს.

სტრატეგიულ მიზნად მიჩნეულია თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე ეფექტიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირება. მიზნის მიღწევის საშუალებად - მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, ასევე ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება.

3. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

3.1. მონაწილეობა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული თემატიკის განსაზღვრაში.

3.2. მონაწილეობა მემორანდუმით გათვალისწინებული თემების დამუშავებაში.

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო - კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ

2023 წელს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, როგორც მკვლევარი და ხელმძღვანელი აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე კვლავ აგრძელებს მუშაობას სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, აგრეთვე საქართველოს სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარება - მოდერნიზაციის ძირითად მიმართულებებზე (2023-2030 წ. წ.).

სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარების ზემოაღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს - სატყეო სექტორის სტრატეგიული მიმართულებების სრულყოფას. კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება სატყეო სექტორის მარეგულირებელი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ტყის კოდექსის მუდმივი სრულყოფა; თვითმყოფადი ბუნებრივი და კლიმატური გარემოს, მათ შორის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება.

აკადემიკოს გ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით აკადემიის მიერ შემუშავებული იქნა:

- კანონპროექტი: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლში: “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტატუსი, ფუნქციები, ამოცანები და წევრის ანაზღაურება” - ნაწილობრივი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით (წარდგენილია საქართველოს პარლამენტში);

მომზადებული იქნა:

- საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება – მოდერნიზაცია - 2030 წლამდე პერიოდისათვის, სახელმწიფო პროგრამის შემუშავების კონცეპტუალური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური საკითხები;
- სატყეო სექტორის განვითარება-მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებების პროექტი (2023-2030);
- მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები (სახელმწიფო-მეცნიერების პარტნიორობა ქვეყნის მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი).

როგორც მეცნიერ-მკვლევარს, 2023 წელს გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო სტატია, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებზე მოქმედი ფაქტორები (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე);
- ფიჭვის (Pinus) და მუხის (Quercus) გაშენების ძირითადი მიმართულებები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ - შრომათა კრებული;
- გ. ჯაფარიძე, გ. ალექსიძე, ო. ქეშელაშვილი, ა. გიორგაძე, ი. სარჯველაძე - სამოვრული შენახვის გავლენა პირუტყვის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე);
- გ. ჯაფარიძე, ა. დიდებულისძე - სოფლის მეურნეობის მულტიფუნქციურობის კონცეფცია და საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სასოფლო -სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ - შრომათა კრებული;
- გ. ჯაფარიძე, რ. ვასაძე, რ. დავითაძე - კოლხური ბზის თანამედროვე მდგომარეობა აჭარაში
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ - შრომათა კრებული;
- გ. ჯაფარიძე, გ. ალექსიძე, ო. ქეშელაშვილი - ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის როლი მისი რეალიზაციის მიმართულებით. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“;
- ტყის ეკოსისტემების დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციები წიფლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელში - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“;
- კახეთის ზომიერად მშრალი ეკოტოპის (subsiccum) ქართული მუხის (Quercus iberica Stev.) ტყის ტიპები - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ვასილ გულისაშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“.

გამოქვეყნებული აქვს 1 მონოგრაფია:

- გ.ჯაფარიძე - მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში ბუნებრივი განახლებისა და აღმონაცენ - მოზარდის ფორმირების თავისებურებების შესწავლა (თანაავტორები: ლ. დოლიძე ა. ძირკვაძე, მ. მამულაძე) გამომც. „პოლიგრაფი“, ISBN 978 – 9941 – 8 – 5317 – 3); თბილისი, 2023 წ. გვ. 80.;

როგორც მეცნიერ - მკვლევარს, 2023 წელს წარდგენილი აქვს საგრანტო პროექტები:

- The UEAA “Best Abstracts Scientific Competition for 2023” - „Formation of Foci of Fires of Different Groups and Intensity in Forest Ecosystems and the Study of Factors Influencing the Spreading Processes“. G. Japaridze. Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia.

მონაწილეობასღებულობდა:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ ვ. გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებულ სამეცნიერო კონფერენციაში: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“ (05.05.2023 წ.);

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში: „სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“, 04 – 06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო. (საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე);

როგორც აკადემიის პრეზიდენტი და მკვლევარი, ორგანიზაციას უწევდა და პრაქტიკულად მონაწილეობდა აკადემიის მიერ ორგანიზებულ თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში:

- „ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი მრგვალი მაგიდა – „პირველი ქართული მიკრობიოლოგიური პრეპარატი (Bover – Ge) მავნე მწერების კონტროლისათვის“ (3-მარტი, 2023 წ.):

- „ტყის ზუმაკთა საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: „აჭარა - თურქეთის მერქნიანი მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა“ (21-მარტი, 2023 წ.):

- „გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური მრგვალი მაგიდა. თემა: „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შესახებ“; (2023 წლის 5 ივნისი),

„აგრარულ სფეროში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ (თემატური სხდომა);

„საქართველოში მიწათმოწყობის ორგანიზაციის პრობლემების შესახებ“ (თემატური სხდომა);

„საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები“ (კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური მიდგომები); (თემატური სხდომა);

„საქართველოს მელიორაციის კორპორაციულ მმართველობაზე გადასვლის საკითხის შესახებ“ (თემატური სხდომა).

ხელმძღვანელობდა კვლევებს:

- „ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე“;

- „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი ეფექტურად გამოყენების რეკომენდაციები“;

როგორც ხელმძღვანელი, მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, „სატყეო საქმის“ მიმართულების სადოქტორო - საგანმანათლებლო პროგრამებს და „სატყეო საქმის“

მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში.

ხელმძღვანელობს აკადემიის დეპარტამენტების და აკადემიის აპარატის მუშაობის ძირითადი მიმართულებების დაგეგმვას და კოორდინაციას, პრეზიდენტებზე და საერთო კრებებზე განსახილველი ძირითადი საკითხების და საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციების მომზადება - ჩატარებას, აკადემიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების, ინსტრუქციების, ბროშურების და სხვა სამეცნიერო-საინფორმაციო მასალების შედგენა - გამოცემას და სხვა.

როგორც მთავარი რედაქტორი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მომავლის“ მუშაობის ორგანიზაციაში, ხელმძღვანელობს აკადემიის ყოველკვარტალურ სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის „აკადემიის მაცნეს“ საქმიანობის წარმართვას, რომლის საშუალებით სისტემატურად შუქდება აკადემიაში ჩატარებული ღონისძიებები, აკადემიის პრეზიდენტის სხდომებზე განხილული ძირითადი საკითხები, მოწინავე გამოცდილება და ტექნოლოგიები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან უცხოეთის წამყვან მეცნიერებათა აკადემიებთან თანამშრომლობის საკითხების განხილვას, ასევე აგრარული მიმართულებების უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმების პრაქტიკული განხორციელების საქმეს.

აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე არის ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის „აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები“ რედაქციის წევრი.

როგორც აკადემიის პრეზიდენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის საქმიანობას.

2023 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაფორმდა აკადემიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ფონდ „განვითარება და გარემოს“ შორის;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და მოლდოვას ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტს შორის;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ლატვიის მეცნიერებათა აკადემიას შორის;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კამიანეც-პოდოლსკის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის.

აკადემიის შესაბამის დეპარტამენტებთან და სამეცნიერო განყოფილებებთან ერთობლივად შემუშავებული იქნა აკადემიის 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა და ძირითადი ღონისძიებები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდენტის მიერ.

აკადემიკოს გ. ჯაფარიძეს 2024 წელს აკადემიის პრეზიდენტის სხდომებზე სხვა ძირითად საკითხებთან ერთად მიზანშეწონილად მიაჩნია განხილული იქნას საკითხები:

- აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და აგრარული პროფილის შესაბამის უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- საქართველოს ტყეების მართვისა და კონტროლის მექანიზმის ოპტიმიზაციის საქმეში სატყეო მეურნეობების აღდგენისა და მათი პოტენციალის ეფექტურად რეალიზაციის აუცილებლობის შესახებ;

- საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის შესახებ;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს მუშაობის ძირითადი მიმართულებების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებისა და სწავლული მდივნების საშტატო ერთეულების შემოღების შესახებ;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, სტიპენდიატების და აპარატის თანამშრომლებისათვის სარგოს გაზრდის შესახებ.

აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაბნიძე

1. თემის დასახელება

თემა 1.1. „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“.

თემის აქტუალობა: ეკომეგობრული პროდუქციის განვითარებაში, განვითარების და მდგრადობის ასპექტების ინტეგრირება ბოლო წლებია აქტუალურია და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ჯანსაღი კვება ძირითადად ორ ელემენტს მოიცავს - სრულფასოვნება და უსაფრთხოება. საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებთანაა დაკავშირებული და განპირობებულია პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან. ასევე კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას. ევროკავშირის და მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ეს მოთხოვნები შესაბამისი კანონმდებლობით დაარეგულირა.

ბოლო პერიოდში, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით აჭარის მეურნეობებმა ქიმიური სასუქის დიდი რაოდენობით გამოყენება დაიწყეს, თუმცა მათ გვერდით ჩნდება, როგორც მცირე და საშუალო ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ბაზრისთვისაც პროდუქციის შექმნას, რომელიც შედარებით სუფთაა და აკმაყოფილებს ეკო-პროდუქტებისადმი წამოყენებულ მოთხოვნას.

კვლევის მიზანი და ამოცანა - აჭარის ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებაზე ძირითადი დარგების შესაბამისად მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი დამუშავება.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს გამოვიკვლიოთ, თუ როგორ აერთიანებენ მეურნეობები გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ ასპექტებს პროდუქტის წარმოებაში. მიღებული პირველადი შედეგების (რაოდენობრივი და თვისებრივი) ანალიზი განხორციელდება SPSS სტატისტიკურ პროგრამაში. პროექტის განმავლობაში კითხვარში მონაწილეობას ერთდროულად მიიღებს ხუთივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და კითხვარი განმეორდება ყველა მომდევნო წელს, რათა შესწავლილი იქნეს დინამიკა და პროგნოზირების მეთოდით განისაზღვროს სამომავლო ტენდენციები.

მოკლე ანოტაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი - ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენს, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას. სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეიქმნება ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით.

თემა 1.2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური შეფასება, პერსპექტიული ამოცანებისა და პროგნოზული პრიორიტეტების განსაზღვრა“.

თემის აქტუალობა: თემის აქტუალობა განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მემცენარეობის ძირითადი დარგების შესწავლით და რეგიონში მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრით.

კვლევის მიზანი: შესწავლილი იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში ფერმერთა მიერ წამყვანი დარგების მოშენების შესახებ (ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები) არსებული მდგომარეობა.

კვლევის ამოცანა: აჭარის აგრარული პროდუქციის წარმოებაზე მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და საკონფერენციო მასალები:

2.1. ნატო ჯაბნიძე, ნათია წიკლაშვილი, ია მესხიძე-**ეკოპროდუქტების წარმოების პერსპექტივები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.** Modern World is Facing New Challenges" Institute of Economic Research and Development (Georgia)

2023 წელი 02 აპრილი კვიპროსი.

ანოტაცია: ფერმერული მეურნეობა საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებთანაა და უკავშირდება პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებას. ჯანსაღი კვება ორ ელემენტს მოიცავს-სრულფასოვნება და უსაფრთხოება, ასევე კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას. შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბაზრების სურსათით მომარაგებასა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას: - აუცილებელია მეწარმეთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა აქტიური კომუნიკაცია რეგულაციების, გადაწყვეტილებების, დახმარებებისა თუ სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის დროულად მიღების გამო.

2.2. ნატო ჯაბნიძე ია მესხიძე - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საგადასახადო შეღავათები და მართვის ხელშეწყობის საკითხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მაგალითზე“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 2023 წელი 20- 21 ოქტომბერი.

ანოტაცია: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი დღეს ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი მიმწოდებელია. მისი შექმნა გარდა მცირე რესურსების გაერთანებისა, ასევე განპირობებულია მიწოდების არხის გაფართოებით, რადგან ბაზრისთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროდუქციის უწყვეტი თუ არა, გრძელვადიანი მიწოდების პირობა მაინც. ჩვენს მიერ დამუშავებულია გარკვეული პრობლემები და შემუშავებულია შესაბამისი წინადადებები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს კოოპერატივების გაძლიერებას და ისეთი მეწარმის შექმნას, რომელსაც პრეტენზია ექნება ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლების, საექსპორტო პოტენციალის შექმნის. ამისათვის აუცილებელია დარგის სუბსიდირების, საგადასახადო შეღავათებისა და მართვის საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომა.

2.3. ნათია წიკლაშვილი, ნატო ჯაბნიძე, თამილა თურმანიძე, თამარ ბერიძე- „ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და მისი ეფექტიანობის შეფასება“. ECONOMIC SCIENCE FOR RURAL DEVELOPMENT 24th International Scientific Conference იელგავა. ლატვია 2023 10-12/05

ანოტაცია: თანამედროვე გლობალურ და ინოვაციურ სამყაროში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად აუცილებელი ფაქტორია სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენება. ეს კი შეუძლებელია ადამიანური კაპიტალის, თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის გარეშე. ასევე შეუძლებელია რადიკალური საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელებისა და განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების გაზრდის გარეშე. განვითარებული ქვეყნების ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, აღმოჩნდა, რომ გრძელვადიან პერიოდში განათლებაზე გაწეულ დანახარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შედეგად, მაღალგანვითარებული ადამიანური კაპიტალის არსებობის პირობებში, იზრდება მწარმოებლურობა და მომგებიანობა.

2.4. გ. თხილაიშვილი, ნ. ჯაბნიძე - მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის განვითარების პერსპექტივები აჭარის ტურიზმის სექტორში. - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია. 2023. ბათუმი, საქართველო.

ანოტაცია: აჭარის ეკონომიკა ტრადიციულად ეფუძნება ტურიზმს, სოფლის მეურნეობას და მცირე მრეწველობას. თუმცა, ბოლოდროინდელმა მცდელობებმა დივერსიფიკაციისა და მოდერნიზაციისთვის ახალი ჰორიზონტები გახსნა ეკონომიკური ზრდისთვის. საქართველოში ეკოტურიზმის გამვითარების მნიშვნელობის კვლევა მიზნად ისახავს ყველა იმ უპირატესობის კიდევ ერთხელ ხაზგასმას, რომელიც მცირე ზომის, მაგრამ საოცრად მდიდარ და მრავალფეროვან საქართველოს გააჩნია ამ დარგის განვითარებისთვის. ასევე იმ პრობლემების ანალიზს, რომელიც ტვირთად აწევს არა მარტო ბუნებრივ გარემოს, არამედ ეკონომიკურ განვითარებასაც. რაც ხელს უშლის არა მარტო ჩვენი და ბუნების სრულფასოვან თანაარსებობას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

3.1. აგრძელებს მუშაობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ;

3.2. აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად.

3.3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსს: კორპორაციული მენეჯმენტი; სამეწარმეო გარემოს რეგულირება; ოპერაციული მენეჯმენტი;

3.4. გააკეთა რეცენზია-გამოხმაურება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის შორენა თვალაძე სადოქტორო ნაშრომზე;

3.5. დოქტორანტი სალომე სულაბერიძე თემა: აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები გურიის რეგიონში.

4. საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა:

4.1. მერაბ თავდგირიძე - საბაკალავრო ნაშრომი - აპარტამენტების მართვის თანამედროვე გამოწვევები (აჭარის ა.რ. ის მაგალითზე);

4.2. ნიკა დუმბაძე - სამაგისტრო- მომხმარებლის მართვის თანამედროვე გამოწვევები სარესტორნო ბიზნესში (აჭარის ა.რ. ის მაგალითზე).

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა

5.1. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) მიერ დაფინანსებული რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტის (RSMEDP) ფარგლებში - გრანტის რეგიონალური კოორდინატორი.

6. მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებში, კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრი;

6.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრი: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 2023 წელი 20- 21 ოქტომბერი;

6.3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოს წევრად;

6.4. არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრის ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილების გამგედ;

6.5. საორგანიზაციო კომიტეტის წევრი - მდგრადი სატრანსპორტო სისტემა და საზღვაო ლოგისტიკა“ ISTSML 2022 VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი № 38, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი;

6.6. ტრენინგი: „როგორ გავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსებში/კომპონენტებში სწავლის შედეგები ვალიდურად. როგორ იყოს სწავლის შედეგები გაზომვადი“;

6.7. ტრენინგი: „როგორ მოვამზადოთ საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად“.

თავი 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებდა დებულებით განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე, წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს 10 სხდომა.

I გასვლითი სხდომა - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის გაცნობის მიზნით (ოქმი №1, 2023 წლის 7 თებერვალი)

II გასვლითი სხდომა - ევროპის უნივერსიტეტში, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის გაცნობის მიზნით (ოქმი №2, 2023 წლის 8 თებერვალი)

III სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

1. ვეტერინარიაში გამოყენებული სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

მომხსენებლები: ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები: მაია კერესელიძე, ნინო მილაშვილი.

2. სამთო პირობების გათვალისწინებით აგრარული სფეროს ტექნიკური შეიარაღების პროგნოზირების შესახებ.

მომხსენებელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ქარჩავა (ოქმი №3, 2023 წლის 28 თებერვალი).

IV სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნოე ხოზრევანიძე.

2. ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების და მათი სტაციონალურად გამოყენების შესახებ.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ სარჯველაძე. (ოქმი №4, 2023 წლის 21 აპრილი)

V სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

1. კონკურენტული უპირატესობისა და მართვის თანამედროვე მექანიზმების შესახებ აგრარულ პოლიტიკაში.

მომხსენებელი: ეკონომიკის დოქტორი გოჩა ცოფურაშვილი

2. საქართველოში პურ-პროდუქტების სურსათის უსაფრთხოებისა და უვნებლობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მალხაზ დოლიძე (ოქმი №5, 2023 წლის 23 მაისი)

VI სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

1. შინაური ცხოველების მიერ გარემოს დაბინძურების საკითხები და რეკომენდაციები.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ნაირა მამუკელაშვილი

2. საქართველოში რძის პროდუქტების (მაწონი, რძე, ყველი) დამზადებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ერნა კალანდია (ოქმი №6, 2023 წლის 23 ივნისი)

VII სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

მიწის რესურსების სამართლებრივი ბაზისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მომხსენებელი: საქ. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, ეკონომიკის დოქტორი ივერი ახალბედაშვილი.

საქართველოში მეფუტკრეობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: საქართველოს მეფუტკრეობის ასოციაციის პრეზიდენტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი რამაზ თავართქილაძე. (ოქმი №7, 2023 წლის 21 ივლისი)

VIII სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

1. ინფორმაცია შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგიისა და მექანიზაციის შესახებ.

მომხსენებელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი რეზო რუსეიშვილი.

2. სოფლის მეურნეობაში ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო, ტენშემაკავებელი ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შესახებ.

მომხსენებელი: ტექნიკის დოქტორი თამაზ ნადირაშვილი. (ოქმი №8, 2023 წლის 20 ოქტომბერი)

IX სხდომა - მოსმენილი იქნა მოხსენებები:

1. საქართველოში ჩაის კულტურის (წარსული, აწმყო, მომავალი) შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი თემურ რევიშვილი.

საქართველოში მეჩაიეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებელი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ებანოიძე (ოქმი №9, 2023 წლის 21 ნოემბერი)

X გასვლითი სამეცნიერო - ექსპედიცია კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში. (ოქმი №10, 2023 წლის 22 დეკემბერი)

თავი 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის 2023 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს აკადემიის პრეზიდიუმის 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე. კომისიის შექმნის მიზანი იყო აგრარულ სფეროში მომუშავე მეცნიერთა, სპეციალისტთა და ფერმერთა სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზის ჩატარება და მათი კომერციალიზაციის პერსპექტივების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 13 სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. 25 იანვარს შედგა კომისიის # 1(33) სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „სუპერმარკეტ „აგროჰაბ“-ის გადამამუშავებელი საწარმოს როლი ინოვაციური პროდუქტების შექმნაში“ გამოვიდა „აგროჰაბ“-ის ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი, ექსპერტი ცინული ნაცვლიშვილი.
2. 15 თებერვალს შედგა კომისიის # 2(34) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველოში მომზადებული მოხსენება: „საქართველოს ვენახების კადასტრის აგების გზები და შედეგები“ (ავტორები: სოფლის მეურნეობის დოქტორი, მთავარი სპეციალისტი ირმა მდინარაძე და სამმართველოს უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი დავით მაღრაძე).
3. 15 მარტს შედგა კომისიის # 3 (35) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა, სოფლის მეურნეობის დოქტორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტის. დოქტორ ნოდარ სტეფანიშვილის მოხსენება თემაზე: “მეთუთეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.
4. 19 აპრილს შედგა კომისიის # 4 (36) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა ეკონომიკის დოქტორის, აიპ „ჯორჯიან გაპი“-ს დამფუძნებლის გოჩა ცოფურაშვილისა და ინჟინერიის დოქტორის, აიპ „მწვანე პარტნიორობა მშვიდობისათვის“ თავმჯდომარის ალექსი ნონიადის მოხსენებები თემაზე: „სოფლის განვითარების პროგრამულ-კონცეპტუალური მოდელი: საპილოტე თემა - „სოფლის საძოვარი“.
5. 17 მაისს შედგა კომისიის #5(37) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა მეცნიერებათა კანდიდატის, ტელეკომპანია “საფერავის“ ხელმძღვანელის, მეწარმე დიმიტრი კოსტაროვის მოხსენება თემაზე: „ინოვაციები, როგორც წარმოების ფაქტორი და მათი როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში“.
6. 14 ივნისს შედგა კომისიის # 6 (38) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის წყლის სამმართველოს ხელმძღვანელის მარიამ მაკაროვას მოხსენება თემაზე: „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე ინფორმაცია“.
7. 5 ივლისს შედგა კომისიის #7 (39) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი მიშელაძის მოხსენება საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის შესახებ.
8. 19 ივლისს შედგა კომისიის #8 (40) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა ფსიქოლოგიის დოქტორის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ალექსანდრე რუსეცკის მოხსენება თემაზე: „სოფლის მეურნეობის სისტემაში არსებული კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის შესაძლებლობები“.
9. 20 სექტემბერს შედგა კომისიის #9 (41) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ეკონომიკის დოქტორის, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორის, დოქტორ ნინო ლობჯანიძის მოხსენება თემაზე: „ქართული მინერალური წყლების ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობები“.
10. 18 ოქტომბერს შედგა კომისიის #10(42) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ეთერ ხარაიშვილის მოხსენება თემაზე: „ციფრული ტრანსფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში: ტენდენციები და გამოწვევები“.

11. 31 ოქტომბერს შედგა კომისიის #11 (43) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის მეცხოველეობის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელის გვანცა ბეჟანიშვილის მოხსენება: „მსხვილფეხა მეცხოველეობის განვითარების პროგრამა“.

12. 10 ნოემბერს შედგა კომისიის #12 (44) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის ალექსანდრე დიდებულის მოხსენება თემაზე: სოფლის მეურნეობის სივრცით-ტერიტორიული განვითარების პრიორიტეტები (კახეთის მაგალითზე).

13. 20 დეკემბერს შედგა კომისიის #13 (45) სხდომა, რომელზეც განხილული იყო ინჟინერიის დოქტორის, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის გიორგი ქუთელიას მოხსენება თემაზე: მოტობლოკის ბაზაზე ბაზოს წარმომქნელი და მულჩსაფარი კომბინირებული აგრეგატი.



თავი 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2023 წელს შესრულებული მუშაობის მოკლე ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს დებულების შესაბამისად.

საბჭოს დამფუძნებელი სხდომა ჩატარდა 2022 წლის 11 ნოემბერს. 2023 წლის თებერვლის თვიდან საბჭო შეუდგა თავის საქმიანობას და 28 თებერვალს ჩაატარა **პირველი სხდომა**, რომელზეც არჩეული იქნენ საბჭოს თავმჯდომარე (სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე) და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი). სხდომაზე ასევე მოსმენილი იქნა მოხსენება თემაზე: თემაზე: "ტრიტიკალეს ბიოლოგიური და ქიმიური მახასიათებლები და პურის ტექნოლოგიაში მისი გამოყენების პერსპექტივები". **მომხსენებელი:** დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი.

მეორე სხდომა გაიმართა 2023 წლის 30 მარტს, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები: 1. „საერთაშორისო სტანდარტები მეცხოველეობაში და მათი დანერგვის გამოწვევები საქართველოში“. **მომხსენებელი:** დოქტორი თამარ ნოზაძე; 2. „საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“. **მომხსენებელი:** დოქტორი შორენა კუპრეიშვილი.

მესამე სხდომა გაიმართა 2023 წლის 26 აპრილს, რომელზეც გეგმის მიხედვით მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. „მიკობაქტერიების ზეგავლენა ცხოველების ჯანმრთელობაზე, ზოგიერთი ვექტორული დაავადებების გავრცელების დინამიკა საქართველოში (ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ნოდულარული დერმატიტი)“ **მომხსენებელი:** დოქტორი ვლადიმერ ბარათაშვილი, 2. ნატურალური სოფლის მეურნეობა (იაპონური და სამხრეთ კორეის საუკეთესო პრაქტიკა), **მომხსენებელი:** მაგისტრი ალექსანდრე საკანდელიძე.

მეოთხე სხდომა გაიმართა 2023 წლის 28 ივნისს, რომელზეც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. "საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორებისა და კომბაინების რაოდენობა და საჭიროება", **მომხსენებელი:** დოქტორი ხვიჩა გოჭოშვილი; 2. "ტყის მოდელირება და მდგრადი სარგებლობის პრობლემები", **მომხსენებელი:** დოქტორანტი ვასილ მეტრეველი.

მეხუთე სხდომა გაიმართა 2023 წლის 27 ივლისს, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები: 1. "ჰაბიტატის დეგრადაციისა და კლიმატის ცვლილების გავლენა მცენარის თესლწარმოქმნის პროცესებზე", **მომხსენებელი:** დოქტორი ნატალია ტოგონიძე; 2. "საქართველოს ნიადაგების მონიტორინგის სისტემა: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები", **მომხსენებელი:** დოქტორი გიორგი ღამბაშიძე.

მეექვსე სხდომა გაიმართა 2023 წლის 10 ოქტომბერს, რომელზეც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. „ვაზის ქართული ჯიშების თერმოთერაპია და ინ-ვიტრო გამრავლება“, **მომხსენებელი:** დოქტორი თეკლე ზაკალაშვილი; 2. „ხილის შენახვის ახლი ტექნოლოგიები“, **მომხსენებელი:** დოქტორი თამარ თურმანიძე.

მეშვიდე სხდომა გაიმართა 2023 წლის 31 ოქტომბერს, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები: 1. „საქართველოში მებარეშუმეობის აქტუალობა და გამოწვევები“,

მომხსენებელი: დოქტორი ირინე ჩარგეიშვილი; 2. „რეოლოგიური მახასიათებლების გაზომვის მნიშვნელობა სურსათში“, **მომხსენებელი:** დოქტორი ჟუჟა ხაჭაპურიძე.

მერვე სხდომა გაიმართა 2023 წლის 30 ნოემბერს, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები: 1. „კენკროვანი კულტურების ბიზნესის ეფექტიანობის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები ახლად ჩამოყალიბებულ ფერმერულ მეურნეობებში“, **მომხსენებელი:** დოქტორი ლაშა ჩიბურდანიძე; 2. „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის (IPM) მეთოდების გამოყენება ბოსტნეულ კულტურებში“, **მომხსენებელი:** დოქტორი თათია ხოსიტაშვილი.

მეცხრე სხდომა გაიმართა 2023 წლის 25 დეკემბერს, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენებები: 1. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის სტიპენდიატი, დოქტორი გიორგი ქავთარაძე. 2. აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე წარსადგენი სარეკომენდაციო წინადადებების განხილვის და დამტკიცების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის სტიპენდიატი, დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

გარდა ზემოაღნიშნულისა 2023 წლის 13 ივნისს საბჭოს ინიციატივით მოეწყო რიგგარეშე გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოწვეული იყო ავსტრიის ტყეების, ბუნებრივი საფრთხეებისა და ლანდშაფტის ფედერალური კვლევითი და ტრენინგ ცენტრის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ბერტოლდ ჰაინზე. სტუმარსა და ქართველ მეტყევე მეცნიერებს შორის გაიმართა საქმიანი საუბარი ტყეებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებსა, და მათი გადაჭრის რაციონალურ გზებზე.



თავი 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2023 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

7.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

7.1.1. მევენახეობის და მეღვინეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები აკადემიკოსები ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან უჯმაჯურიძე და გურამ პაპუნაძე)

ეროვნულ კოორდინატორების გარდა, ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ზურაბ ტყემალაძე - დოქტორი, ირმა მდინარაძე - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, დავით მაღრაძე - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობის კადასტრის სამმართველოს უფროსი, დოქტორი, თეიმურაზ ორთოიძე - საუ-ის მევენახეობის და მეღვინ. ინსტიტუტის მთავარი მეცნ. მუშაკი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დავით აბზიანიძე - სააქციო საზოგადოება სარაჯიშვილის მთავარი ტექნოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, ბონდო კალანდაძე ს.ს.სარაჯიშვილის კონსულტანტ-ექსპერტი, თეიმურაზ გონჯილაშვილი - ქინძმარაულის ღვინის მარნის მთავარი მეღვინე-ტექნოლოგი, დოქტორი, მურმან ქურიძე - საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე, დოქტორი ნინო ჩხარტიშვილი, სტუ-ს მევენახეობა-მეღვინეობის დეპარტამენტის უფროსის მ/შ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეგიონებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, დოქტორი მარიამ ხომასურიძე - ღვინის სკოლის “ქართული ღვინის გილდია”-ს დირექტორი, სტუ-ს აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერიგის ფაკულტეტის პროფესორი, დოქტორი, ზურაბ მიქელაძე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის მემბრანული და აგრ. ტექნოლოგიების განყ. უფროსი, დოქტორი. ასევე, დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის მემბრანული და აგრ. ტექნოლოგიების განყოფილების 4 წევრი: უფროსი, დოქტორი ზურაბ მიქელაძე, მერაბ არძენაძე- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, დოქტორი, იამზე ჩხარტიშვილი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, დოქტორი და თემურ გორგილაძე- აგრონომი.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს მრავალი სამეცნიერო სტატია, მ.შ. ინგლისურ ენაზე:

- Ujmajuridze L. and oth. Neglected cultivars for the Mtskheta-Mtianeti region: ampelography, phenology, and agro-climatology. Journal of Grapevine Research - Vitis, vol. 62, No.2, Germany, 2023. – pp. 75-84.

- Kikvadze M., Maghradze D and oth. Presence of symptoms caused by parasitic species described in grapevine herbaria from Georgia, Spain and the UK. Munibe, Cienc. Nant, 71, 2023. - 16 pages.
- Maghradze D., Bitsadze N. and oth. Preliminary Field Studies of Resistance of Georgian rapevine Germplasm to Powdery Mildew (*Erysiphe Necator*), 2023. 22-nd GiESCO International Meeting, Cornell University, Ithaca, USA, 2023.

ასევე, ჯგუფის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

ჯგუფის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მევენახეობა - მეღვინეობის მიმართულებით სამეცნიერო - კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების სამუშაოები.

ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი საანგარიშო წელი ვენახების გაშენებით დაიწყო ყვარელსა (შპს „ხარება“) და გურჯაანში. მისი ინიციატივით შეიქმნა ვაზის მსხვლეღთა სასწავლო ბრიგადები ახალგაზრდებისთვის კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოს ვენახებში სამუშაოდ. შედეგად ვენახის 1500 ჰა ფართობზე ყურძნის მოსავალი 5-7 ტ აღწევდა. ის განაგებდა თანამშრომლობას შპს „ხარებასა“ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის, თბილისში, აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის უცხოელ სტუმართათვის მისი თაოსნობით მოეწყო მიღება, რომელიც ჩატარდა ყვარლის საამაყო ღვინის საცავ „გვირაბში“. ბატონი ნოდარი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქვეყანაში ვენახების გაშენების უზრუნველყოფას ჯანსაღი სარგავი მასალით, რაც დღეს წარმოადგენს პრობლემას. მისი აზრით, სახელმწიფოს მხარდაჭერა ესაჭიროება მევენახე ნერგის მეწარმეებს, როგორცაა საგარეჯოელი ზურაბ მჭედლიშვილი, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებს 2,0 მლნ ნერგს, მ.შ. ე.წ. მწვანე-მოზარდ ნერგს. გრძელდებოდა ასევე მუშაობა ქართული ვაზის გენოფონდის მოძიებისა და გამდიდრების ფარგლებში.

ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი გ. პაპუნძე თანამშრომლობს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქობულეთის აგროსერვის ცენტრთან, სადაც მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის უნიკალური საღვინე და სასუფრე ჯიშის ნერგების გამოყვანა და გავრცელება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გრძელდება გურია-აჭარის რეგიონში გავრცელებული ვაზის უნიკალური ჯიშებიდან - ჩხავერი, ალადასტური, ცოლიკაური, საწური სხვა გაუმჯობესებული ხარისხის სუფრის, ნახევრად ტკბილი და ლიქიორული ტიპის ღვინოების საცდელი ღვინოების ნიმუშების დამზადება და მისი ქიმიური და ორგანოლექტიკური შესწავლა. აღნიშნულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში არიან ჩართულნი ზურაბ მიქელაძე, იამზე ჩხარტიშვილი, მერაბ არძენაძე, სოფიო პაპუნძე და სხვ.

დ. მაღრაძე როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი ხელმძღვანელობდა ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებს: 1. მევენახეობა ენოლოგია 2. აგრონომია, ხოლო საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოებში იყო სამი ინგლისურენოვანი კურსის ლექტორი: 1. მევენახეობა და ვენახის მენეჯმენტის სისტემები; 2. მსოფლიო მევენახეობის რეგიონები; 3. ვენახის გაშენება და მოვლა, იყო ერთი დოქტორანტისა და სამი მაგისტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე კითხულობდა ლექციებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში როგორც საქართველოში სამეცნიერო ხელმძღვანელი მონაწილეობდა ევროკავშირის ჰორიზონტის მარია კიურის პროექტის „ბუნებრივი მიკროფლორის ურთიერთემოქმედებები მეღვინეობასთან ასოცირებულ ეკოსისტემებში,

როგორც ინოვაციური საშუალება“ (წამყვანი ორგანიზაცია: მილანის უნივერსიტეტი) შესრულებაში.

ნაყოფიერ სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ ჯგუფის წევრები, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ ხარისხის მართვის დირექტორი, მთავარი ტექნოლოგი დავით აბზიანიძე, ასევე საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი მურმან ქურიძე.

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის დარგის აღორძინების საქმეში აქტიურ საქმიანობას ეწევიან დარგობრივ კოორდინატორთა ჯგუფის წევრები ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ხოსიტაშვილი, ასევე მნიშვნელოვანია კოორდინატორთა საბჭოს წევრის ცნობილი მეღვინე სპეციალისტის, საქართველოს დამსახურებული მეღვინის ბონდო კალანდაძის ნაყოფიერი საქმიანობა მელვინეობისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიის სრულყოფის მიმართულებით.

ჯგუფი თავისი მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ იყენებს მასმედიის საშუალებებს, მიმდინარეობს მოლაპარაკება აჭარის განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან და ბათუმ ლაზეთის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრისთან, რათა გამოინახოს შესაბამისი დაფინანსების წყარო, რათა მომავალი წლის ადრე გაზაფხულზე ჩატარდეს აჭარა-გურიის რეგიონში ოჯახში დამზადებული და მეწარმეების მიერ დამზადებული ღვინოების ფესტივალი. გამარჯვებული მეწარმეები სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და მედლებით.

ჯგუფის წევრები დ.მალრაძე და ი.მდინარაძე ღვინის ეროვნული სააგენტოს ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელების ჩარჩოებში ამ პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს აწარმოებდნენ გურიაში, სამეგრელოში, იმერეთსა და აჭარაში. პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარებისთვის, რადგან რთველის პროცესის გამარტივებასა და ყურძნისეული პროდუქტების მიკვლევადობას უზრუნველყოფს.

7.1.2. მეხილეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ 6 წევრი: ვაჟა კვალიაშვილი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი; ზვიად ბობოქაშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ელენე მაღლაკელიძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ვანო კაკაშვილი - მაგისტრი; ლაშა ციგრიაშვილი - ბაკალავრი; მარიკა ვახტანგაშვილი - მაგისტრი - რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საპატრიარქოს ნინოწმინდის კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში, ასევე მიზნობრივ გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

ჯგუფის წევრთა მიერ გამოქვეყნდა სულ 5 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. ორი - ინგლისურ ენაზე. მათ მონაწილეობა მიიღეს 5 სამეცნიერო კონფერენციაში

ჯგუფის წევრები სიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კლევითი ცენტრის, მეხილეობის კვლევის სამსახურში მუშაობენ 2 პროექტზე:

პროექტი: 1. ხეხილის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თავისებურებების კვლევა და სამრეწველო სორტიმენტის გაუმჯობესება.

პროექტი: 2. ხეხილის სხვა-ფორმირებების ინოვაციური ტექნოლოგიების სრულყოფა-შემუშავება.

ვ.კვალიაშვილი კოორდინაციას უწევს პროექტებს და ჩართულია კვლევების შეფასებაში. დამოუკიდებლად მუშაობს ვაზის და ხეხილის სელექციაში - ახალი ჯიშების მისაღებად; ზ.ბობოქაშვილი ხელმძღვანელობს პროექტს და პასუხისმგებელია შესწავლილი ჯიშების შერჩევაზე, საუკეთესო ჯიშების გამოვლენასა და დანერგვაზე, გენოფონდის მოძიებასა და კონსერვაციაზე; ე. მაღლაკელიძე ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და მონაწილეობს მის შესრულებაში, აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას, ადგენს პროექტის მიმდინარე და დასკვნით სამეცნიერო ანგარიშებს; ვ.კაკაშვილი პასუხისმგებელია საკოლექციო ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე;

ლ. ციგრაიშვილი მონაწილეობს პროექტებით გათვალისწინებულ მეცნიერულ კვლევაში, პასუხისმგებელია საკოლექციო ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე და გამოვლენილი საუკეთესო ჯიშების გავრცელებაზე.

მ. ვახტანგაშვილი პასუხისმგებელია ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებაზე და კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებაზე.

ზ. ბობოქაშვილი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს მეხილეობაში ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

ჯგუფის წევრებს აქვთ პირადი კონტაქტები მეხილეობის ისეთი წამყვანი ცენტრების სამეცნიერო პერსონალთან, როგორიცაა დევისის უნივერსიტეტი (აშშ), ვაგენინგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), იულიუს კუნის ინსტიტუტი (დრეზდენი, გერმანია), მილანის უნივერსიტეტი (იტალია) და სხვ.

ჩატარებულია შემდეგი სახის სასწავლო-პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები ფერმერებისთვის:

1. ალუბლის/ბლის კულტურის სხვა-ფორმირება (სიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით) 40 მსმენელი, აპრილი, 2023;

2. ნუშის წარმოების ტექნოლოგია - გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. მაისი, 2023;

3. ლურჯი მოცვის წარმოების ტექნოლოგია. - იქვე, ივნისი, 2023;

4. მეხილეობა მოსწავლეებისთვის - იქვე, ივნისი, 2023;

ჩატარებულია საველე ღია დღეები ჯიდაურას ხეხილის საკოლექციო ბაღებში - სტუდენტების, ფერმერების, სკოლის მოსწავლეების და საკონსულტაციო სამსახურების სპეციალისტებისთვის - სულ 10 დღე

ტარდება სისტემატური განახლება ფერმერთა ვებ რესურსისა „აგროკავკასია“ <https://agrokvkaz.ge/dargebi/mebageoba/vashlis-movla-moghvanis-sakhelmdzghvanelo-da-vashlis-jishebi.html>, რომლისთვისაც 20 ათასზე მეტი წლიური ნახვა აქვს მეხილეობის კვლევის სამსახურის სპეციალისტების მიერ მომზადებულ საცნობარო მასალებს.

7.1.3 ჩაისა და ციტრუსების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები აკადემიკოსები ვალერიან ცანავა და როლანდ კოპალიანი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა 4 წევრი: სმმა აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი, პროფესორი სანიკიძე ჯულიეტა, ასოცირებული პროფესორები ყიფიანი ნინო და კილაძე რამაზი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში და გამოაქვეყნეს 2 სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობა მიიღეს ერთ სამეცნიერო კონფერენციაში

ნ.ყიფიანი და ჯ.სანიკიძე მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტში: „სელექციური მეთოდების გამოყენებითა და ახალი ტექნოლოგიების ინტეგრირებული მართვით გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე ციტრუსოვანთა ახალი ფორმების მიღება და გამორჩევა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის” (ხელმძღვანელი რ.კოპალიანი. წინა წლებში მიღებული და გამორჩეული შედარებით ყინვაგამძლე ციტრუსოვანთა (ლიმონი, მანდარინი, გრეიპფრუტი) ფორმებზე ჩატარებული იქნა ბიომეტრიული გაზომვები, იწარმოებოდა მორფოლოგიური დაკვირვებები ვეგეტაციისა და მოსვენების პერიოდში. მომზადდა შორეული ჰიბრიდიზაციისათვის საწყისი კომპონენტები (ციტრუსოვანთა (ლიმონი, მანდარინი, გრეიპფრუტი) ფორმების შეჯვარების პროცესისათვის. ნიშან-თვისებების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული იქნა შორეული ჰიბრიდიზაცია, ხდებოდა ჰიბრიდული ნაყოფების გამონასკვის პროცენტის დადგენა და სათანადო პირობებში შენახვა.

რ. კილაძე ატარებდა კვლევას თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსის გამწვანება-განაშენიანების აგროტექნოლოგიურ საფუძვლებზე, რომლის კვლევის მიზანია დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში ინტროდუცირებული ზოგიერთი დეკორატიულ-მერქნიანი მცენარის ზრდა-განვითარების თავისებურებების შესწავლა ლაგოდების ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში და ამით ამ რეგიონის გამწვანებისათვის მცენარეთა ახალი, პერსპექტიული ასორტიმენტის შეთავაზება.საკვლევი თემის ფარგლებში დასახული ამოცანებიდან გამომდინარე 2023 წელს ჯგუფის მიერ მიმდინარეობდა საკვლევი მცენარეებზე (ცრუ ქაფურის ხე, ევკალიპტის ორი სახეობა) დაკვირვება, კერძოდ ისწავლებოდა მათი ფენოლოგია და კლიმატურ-ნიადაგურ პირობებთან ადაპტირების ხარისხი. განხორციელდა რეგიონში არსებული ერთ-ერთი აგროტურისტული ფირმის სასოფლო - სამეურნეო მიმართულებებისა და აგროტურისტული პოტენციალის კვლევა, მისი გამწვანება-განაშენიანების საკითხების შესწავლა, პერსპექტიული დეკორატიული სახეობების შერჩევა და გამწვანებაში გამოყენების ფორმების შემუშავება. მცენარეთა ბიომეტრულმა კვლევამ აჩვენა, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტში ევკალიპტები კარგად ეგუებიან კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებს, მხოლოდ ინტენსიური ზრდა-განვითარებისათვის მოითხოვენ პერიოდულ მორწყვას.

გარდა აღნიშნულისა შესწავლილი იქნა „მერქნიან მცენარეთა კვლევის შედეგები ქ. ქუთაისში“, არსებული ხებუჩქოვანთა ასორტიმენტი, დადგინდა სახეობრივი შემადგენლობა, ჩატარდა ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგი, რის შედეგადაც გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ დარგვის შემდეგ ამ მცენარეების მიმართ არ განხორციელებულა არავითარი აგროტექნიკური ღონისძიებები (შემობარვები, სხვა-ფორმირებები, მინერალური გამოკვება, მცენარეთა გამოკვება და სხვ.) დაუშვებლად იქნა მიჩნეული მოსახლეობის მიერ თვითნებურად გარე სივრცეების გამწვანება, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებს.

ჯ. სანიკიძე როგორც ემერეტუს პროფესორი ხელმძღვანელობს და კონსულტაციას უწევს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში; ნ.ყიფიანი ასოცირებული პროფესორი აგრარული ფაკულტეტის აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომიის“ ფარგლებში ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას; რ.კილაძე ასოცირებული პროფესორი აგრარული ფაკულტეტის ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო პროგრამა „აგრონომიის“ფარგლებში ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას რამდენიმე სასწავლო კურსის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ რ.კილაძე მონაწილეობდა საქართველოში კენიიდან 8 ბაობაბის ჩამოტანაში და მათ დარგვაში. მცენარეებმა ყოველგვარი კონტეინერების, ფესვებზე ნიადაგის და სტიმულიატორების გარეშე შეინარჩუნეს სიცოცხლისუნარიანობა და გახარების მაღალ იმედს იძლევიან. დარგვის ადგილზე გახდა აუცილებელი ნიადაგ-გრუნტის შექმნა, რომ იგი ყოფილიყო მსგავსი აფრიკაში არსებულისა, კერძოდ, შედარებით ფაშარი, სტრუქტურულად სილნარ-ქვიშნარი, საკმაოდ ნაყოფიერი, რისთვისაც საჭირო შეიქნა ტორფ-კომპოსტის და ზედმეტი წყლის მოცილების მიზნით ე. წ. „პემზის“ დამატება. გრძელდება ბაობაბებზე ფენოლოგიური დაკვირვება და ბიომეტრიული მონაცემების აღება. მის მიერ ქ. ქუთაისის მერიაში შეტანილია წინადადებები, რომელთა გადაწყვეტა ქალაქში მოხსნის ეკოლოგიური, ლანდშაფტური დიზაინის და გამწვანების განხრით ზოგიერთ პრობლემას. მის მიერ 25 ძირი 2-3 მეტრიანი მცენარეები დაირგო საჭადრაკო კლუბი „მაია“-ს და ფეხბურთის ფედერაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიის გასამწვანებლად;

ნინო ყიფიანი აწსუ-ს აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრში სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოწვეული სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს და ფერმერებს ჩაუტარა სადემონსტრაციო-პრაქტიკული სამუშაო დღე და გაეწია რეკომენდაციები სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობის საკითხებში.

7.1.4. მინდვრის კულტურების მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი პროფესორი ცოტნე სამადაშვილი)

ჯგუფში იყო 11 წევრი: მცენიერებათა დოქტორები ც.სამადაშვილი, თამარ კაჭარავა, თინათინ დარსაველიძე, აგროჰოლდინგი ფირმა “ლომთაგორა“-ს გენერალური დირექტორი, ტექნიკის დოქტორი კახა ლაშხი, დოქტორები გულნარი ჩხუტიაშვილი, ადოლი ტყემელაშვილი, ზეინაბ სარალიძე, ქეთევან მჭედლიშვილი, ელენე მოთიაშვილი-სიჭინავა, თინათინ ეპიტაშვილი, ირმა ირემაშვილი, რომლებიც მუშაობდნენ აკადემიაში, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში და აგრარულ უნივერსიტეტში.

2.ჯგუფის წევრების მიერ გამოქვეყნდა ორი სახელმძღვანელო:

- თ. კაჭარავა, თ.ეპიტაშვილი, ვ. ლლიღვაშვილი. სასარგებლო მცენარეთა ბიორესურსები, მათი წარმოება და მდგრადი გამოყენების ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევები;
- ც. სამადაშვილი. ტრიტიკალეს სელექცია საქართველოში და მისი გამოყენების პერსპექტივები.

ასევე, გუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 26 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. მაღალრეიტინგულ ჟურნალშიც:

- Kvesitadze E., Lobzhanidze M., Ghlighvashvili V., Epitashvili T, Kacharava T. Colouring of Wool by Natural Dyes. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 17, # 1; 2023. - pp. 118-122.
- Effect of heat treatment on juice yield from cherry laurel fruits. World Journal of Engineering Research and Technology. World Journal of Engineering Research and Technology (WJERT) Vol. 9, Issue 5, 2023. - pp. 92-96.

მარცვლეულ კულტურების მიმართულებით მომზადებული და გამოცემულია ორი პრაქტიკული რეკომენდაცია, ერთი ხორბლის და მეორე ჰიბრიდული სიმიდის კულტურაზე.

ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 10 სამეცნიერო კონფერენციაში, მ.შ. უკრაინაში.

პროფ. თ.კაჭარავა სტუ-ში ხელმძღვანელობდა პროექტს: „სასარგებლო ანუ სამკურნალო, არომატული, თაფლოვან, საღებარი, სანელებელ და შხამიანი მცენარეების ბიომრავალფეროვნება, მონიტორინგი, მოვლა - მოყვანის ტექნოლოგიები, ფიტოგენეტიკური რესურსის გაუმჯობესება და კონსერვაცია, ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევები, მდგრადი გამოყენების პერსპექტივები“. სტუ-ს ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელმა ცენტრმა 2023 წელს გამოსცა ნაშრომი „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“, რომელშიც 32 გვერდზე შეტანილია სამკურნალო მცენარეთა ბიორესურსები და მათი გამოყენება.

საჩვენებელი ღონისძიებები ფერმერებისათვის ჩატარდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დედოფლისწყაროს, წილკნის და ახალციხის ბაზებზე, ხოლო ლომთაგორის მეურნეობაში - მარცვლოვანი კულტურების ელიტური თესლის წარმოებაზე.

რეგიონებისთვის ჯგუფის წევრებმა (ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, ლ. ქირიკაშვილი, ფ. ბეგოიძე, გ. წერეთელი, ზ. სალარიძე) ჩატარეს ონლაინ ტრენინგები თავთავიან (ხორბლი, ქერი, შვრია) და ფეტვნიარ (სიმინდის, ღომი) კულტურებზე. სისტემატურად მიმდინარეობდა ფერმერებთან პრაქტიკული კონსულტაციები ონლაინ რეჟიმში, რომელთა ჩარჩოებში დასავლეთ საქართველოში დაინტერესებულ ფერმერებს გაეწიათ დახმარება მარცვლოვანი კულტურების მოყვანაზე.

გრძელდება თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან CIMMYT, ICARDA, რომლის ჩარჩოებში საქართველოში დარეგისტრირდა უცხოეთის სანერგეებიდან გამორჩეული ხორბლის რვა და ტრიტიკალეს ერთი ახალი ჯიში. ICARDA-ს დახმარებით გამორჩეული ტრიტიკალეს ახალი პერსპექტიული ფორმა და დამზადებულია 900 კგ სათესლე მასალა (ც. სამადაშვილი).

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში (მცხეთა-მთიანეთი, სვანეთი) სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში აღდგენის, პოპულარიზაციისა და გაცნობის მიზნით მოეწყო ერთწლოვანი კულტურების (თავთავიანი, მარცვლოვანი, კარტოფილი) სადემონსტრაციო ნაკვეთები (ნ. ჩხუტიაშვილი, დ. წიკლაური).

გაგრძელდა სამუშაოები ხორბლისა და ქერის სავალდებულო სერთიფიცირების მიმართულებით (ქ. მჭედლიშვილი); მარცვლოვანი კულტურების სერთიფიცირების საკითხის ასათვისებლად ფერმერებისათვის ტრენინგებს ატარებდა სხვადასხვა რეგიონებში.

7.1.5. ბოსტნეული კულტურების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები პროფესორები ვალერი სუხიშვილი და ნატო კაკაბაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ 6 წევრი (დოქტორები: ვალერი სუხიშვილი, ნატო კაკაბაძე, პაშა ვაჩეიშვილი, დავით ჩაჩანიძე, გოდერძი გოდერძიშვილი, ნანა ალავერდაშვილი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებში, საგანმანათლებლო პროცესში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

ჯგუფის წევრების მიერ გამოქვეყნებული იყო სულ 3 შრომა, მ.შ. 2 ინგლისურ ენაზე, მათ მონაწილეობა მიიღეს 3 საერთაშორისო კონფერენციაში.

ნ.კაკაბაძის მუშაობა ეხებოდა კარტოფილის, პარკოსანი და ბაღჩეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების კვლევას, ჯიშთა გამოცდას, სელექციურ მიღწევათა პოპულარიზაციას.

ვ. სუხიშვილი მონაწილეობს რეგიონში ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ახალი ჯიშების ინტროდუქციაში, ხელს უწყობს ახალი წიგნებისა და ბროშურების გამოცემის საქმეს მებოსტნეობის მიმართულებით.

პ.ვაჩეიშვილი მუშაობდა საპარკე და სამარცვლე პარკოსან კულტურებზე, მათ სელექციაზე და პირველად მეთესლეობაზე, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებზე.

დ. ჩაჩანიძე ატარებდა ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდას სხვადასვა ბოსტნეულ კულტურებზე და პესტიციდების გამოუყენებლად ზრდის ეკოლოგიურად უსაფრთხო ბოსტნეულის პროდუქციის წარმოებას ბიოსასუქების: ორგანიკა, ფიტოკატანა, ბიოკატანა და სხვ. გამოყენებით, ატარებს ტრენინგებს ბიომიმართულებით ფერმერთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად.

ნ. ალავერდაშვილი მუშაობდა ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდგომ დამუშავებაზე შიდა ქართლის რეგიონში.

გ. გოდერძიშვილი კონსულტაციას უწევდა, როგორც ჯგუფის წევრებს, ისე მებოსტნე ფერმერებს, როგორც ბიოლოგიური მეთოდებით, ისე ქიმიური პრეპარატების გამოყენებით ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღებაში.

ნ. კაკაბაძე ატარებდა ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტის სტატუსი და როგორც ექსპერტმა რეცენზირება გაუწია ქუთაისის ა.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ანგარიშს, არის რეცენზირებული, ელექტრონული სამეცნიერო საწარმოო ჟურნალი „აგროეკონფო“-ს რედკოლეგიის წევრი, რომელიც გამოდის მ.ლომონოსოვის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

7.1.6. მცენარეთა დაცვის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი დოქტორი შაქრო ყანჩაველი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 10 წევრი: გურამ ალექსიძე - აკადემიკოსი; შაქრო ყანჩაველი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; ზურაბ ხიდემელი - ბიოლოგიის დოქტორი; ნინო ლომიძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი; რუსუდან კეშელავა - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; ესმა ორჯონიკიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; მათე მათიაშვილი - ბიოლოგიის დოქტორი; გოდერძი გოდერძიშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; თინათინ გოგიშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ქეთევან პავლიაშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კვლევებსა და საგანმანათლებლო პროცესში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

ჯგუფის წევრებმა საანგარიშო პერიოდში გამოაქვეყნეს 9 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. ერთი ცნობარი ინგლისურ ენაზე: Aleksidze G. Grape Pest Management in Georgia. Textbook. Georgian Academy of Agricultural Sciences. Publishing house “Agro”, Tbilisi, 2023. - 157 p.,

ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში.

აკადემიკოსი გ. ალექსიძე იკვლევდა აჭარაში გავრცელებული ლურჯი მოცვის ძირითად მავნებლებსა და დაავადებებს, მათ ბიოეკოლოგიურ თავისებურებებსა და მათთან ბრძოლის ინტეგრირებულ ღონისძიებებს.

მეცნიერებათა დოქტორი შ. ყანჩაველი ატარებდა კენკროვანი კულტურების ფიტოსანიტარულ კვლევას, შესწავლილ იქნა მათი ბიოლოგიური და სამეურნეო - ტექნოლოგიური თავისებურებები; გამოვლენილია ახალი პათოგენური სოკოები, შესწავლილია მათ მიერ გამოწვეული დაავადებები, შემუშავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა, სადაც გაზრდილია ბიოლოგიური მეთოდის ხვედრითი წილი. დადგენილია მათი ჩატარების დრო და ამ უკანასკნელის ოპტიმალური პარამეტრები.

აკად. გურამ ალექსიძე - სტუ-ში კითხულობდა ლექციებს საგნებში: მცენარეთა ინტეგრირებულ დაცვა; Grapevine pests and diseases and integrated pest management; ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები; ბიოტექნოლოგია მცენარეთა დაცვაში.

აკად. გ.ალექსიძე მონაწილეობდა პროექტში: „აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება“ (2023-2027).

შ. ყანჩაველმა რეცენზირება ჩაუტარა ერთ სადისერტაციო ნაშრომს, როგორც ქ.თბილისის მერიის ექსპერტი გამწვანების დარგში, გამოიკვლია მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარული მდგომარეობა და დასახა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის აკად. გ. ალექსიძემ შეიმუშავა რეკომენდაციები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისათვის.

შ. ყანჩაველი რეგულარულად უტარდებდა კონსულტაციები შინამეურნეებსა და ფერმერებს მცენარეთა დაცვის საკითხებზე.

7.1.7. მიწათმოქმედების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები დოქტორი ნიკოლოზ კიკნაველიძე და მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ბოლღაშვილი).

ჯგუფში იყო სულ 4 წევრი (მეცნიერებათა დოქტორი ვანო ზედგინიძე და გიორგი ბოლღაშვილი, დოქტორები ნიკოლოზ კიკნაველიძე და ვარლამ რუხაძე), რომლებიც მუშაობას ატარებდნენ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინაციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთისა და სიღნაღის სამსახურებში, შპს “ლოჯისტიკის კომპანიის”, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციური მიღწევების ჯიშთა გამოცდის კომისიაში, აგრეთვე ფერმერულ მეურნეობაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი).

საანგარიშო პერდიოში ერთწლიანი მარცვლეული კულტურების მიმართულებით ჯგუფის წევრები ატარებდნენ ფერმერებთან შეხვედრებს, კონსულტაციებს, ლექციებსა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას, ეძლეოდათ ახსნა-განმარტებები მათთვის საინტერესო თემებზე, სულ ჯამში ჩატარდა 180-მდე ასეთი ღონისძიება. სისტემატიური შეხვედრები ჰქონდათ სოფლის მეურნეობის სისტემაში შემავალი უწყებების წარმომადგენლებთან (სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, მელიორაცია, სურსათის ეროვნული სააგენტო, ლაბორატორია და ა.შ). საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტომ მარცვლეული კულტურების მწარმოებელ ფერმერებზე გასცა უპროცენტო აგროკრედიტები და ჯგუფის წევრები ეხმარებოდნენ ფერმერებს განაცხადების მომზადებაში, აღნიშნული საკითხი გამჭვირვალე რომ გამხდარიყო მათთვის.

7.1.8. სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი და დოქტორი მაია მელაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი: ზაურ ჩანქსელიანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მაია მელაძე - სოფლის მეურნეობის დოქტორი, გიორგი მელაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მარიკა ტატიშვილი - ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, გიორგი წინწკალაძე - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 13 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. 6 ინგლისურ ენაზე; მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოიცა სტატიები:

- Meladze M., Ujmajuridze L. and oth. Neglected cultivars for the Mtskheta-Mtianeti region: ampelography, phenology, and agro-climatology. Journal of Grapevine Research - Vitis, vol. 62, No.2, Germany, 2023. – pp. 75-84.
- Tsintskaladze G., Burdjanadze M. and oth. Anionic-Form Zeolite Material and Possibility of Its Use in Agriculture. Textbook: Apple Academic Press, New York, In book: Advanced Polymer Structures Chemistry for Engineering Applications, Part 4: Sustainable and Green Chemistry, Chapter 32, 2023. - p.14.

ჯგუფის წევრები 9 მოსხენებით წარსდგნენ საერთაშორისო კონფერენციებზე, მ.შ. თურქეთსა და უკრაინაში.

კვლევები ტარდებოდა შემდეგი მიმართულებებით:

ზ. ჩანქსელიანი - ნიადაგის ნაყოფიერების მდგომარეობის განსაზღვრაზე აგრო და ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. კერძოდ, ნიადაგის ანალიზის საშუალებით მასში მძიმე მეტალების და რადიონუკლიდების შემცველობის მიხედვით ამ ნიადაგებზე რეკომენდაციების გაცემა ზეპირი და წერილობითი სახით. ასევე უშუალოდ ფერმერებთან შეხვედრების სახით.

მ. მელაძის კვლევები ემდგნებოდა აგროკლიმატური რესურსების სრულყოფილ შეფასებას და მათ ეფექტიანად გამოყენებას, აგროკულტურების გაადგილების ხელსაყრელ აგროკლიმატურ ზონირებას, არსებული აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდების გაუმჯობესებასა და გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვლილების ტენდენციების გათვალისწინებით, აგროკულტურების გავრცელების აგროეკოლოგიური ზონების ტრანსფორმაციის გამოვლენას.

გ. მელაძე იკვლევდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგრომეტეოროლოგიურ მომსახურებას, კერძოდ, აგროკლიმატური რესურსების სრულყოფილ შეფასებას, კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლის ფორმირების საფუძველზე, მათ დარაიონებას; კულტურების ძირითადი ფაზებისა და მოსავლის აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდების შემუშავებას თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე; გლობალური დათბობის პირობებში, შემუშავებული სცენარების საფუძველზე, აგროკულტურების მოწყვლადობის შეფასებას.

მ. ტატიშვილის ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების დინამიკის და კლიმატური თავისებურებების შესწავლა, დედამიწის სადამკვირვებლო მისიის თანამგზავრების ინფორმაციის გამოყენება ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების და მწვანე საფარის მონიტორინგისთვის (NDVI), ატმოსფეროს პერიოდული ოსცილაციების გავლენა ამინდზე და კლიმატზე, აგრეთვე ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NBS) შეფასება კატასტროფების რისკის საშემცირებლად (DRR).

გ. წინწკალაძე თსუ-ს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში იკვლევდა ცეოლითების ანიონური ფორმების გამოყენების პერსპექტივებს.

ჯგუფის წევრები ჩართულნი იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში. ზ.ჩანქსელიანი თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტ სოფიკო მათიაშვილის მეცნიერული ხელმძღვანელია.

მ. ტატიშვილი, მ. მელაძე, გ. მელაძე, მონაწილეობდნენ პროექტში: „ამინდის და კლიმატის შესწავლა ანსამბლური მეთოდის გამოყენებით მთის მდგრადი განვითარებისათვის. საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი. შ.რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდი. № SP23-917, ხოლო გ.წინწკალაძე - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის FR-22-10840 სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ზ. ჩანქსელიანი მუშაობდა გორის მუნიციპალიტეტის ძევერის სანერგე მეურნეობაში, კონსულტაციას ატარებს მინერალური სასუქების შეტანაში სარწყავი წყლის გამოყენებით ხეხილის სანერგეში.

7.1.9. აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 7 წევრი:

რეზო ჯაბნიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კოორდინატორი; შოთა ლამპარაძე - ბსუ-ს პროფესორი; კოორდინატორის მოადგილე; მამუკა თურმანიძე - დოქტორანტი (მდივანი); ნოდარ ბერიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი; გულადი თხილაიშვილი-ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი; გურამ ჩხუბაძე - ბსუ-ს უფროსი მასწავლებელი. სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი; ნანა ჯაბნიძე - ბსუ-ს მეცნიერი თანამშრომელი; სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

ჯგუფის წევრთა მიერ გამოქვეყნებული იქნა 2 სამეცნიერო ნაშრომი, აგრეთვე რეკომენდაცია: „კენკროვანი კულტურების (ჟოლო,ლურჯი მოცვი) მოვლა - მოყვანის აგროტექნოლოგია“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემია).

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია 2 მოხსენება.

სამეცნიერო მუშაობა მოიცავდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ხუთ-ხუთ მცენარეზე ვატარებდითფენოლოგიურ დაკვირვებებს და ბიოქიმიურ გამოკვლევებს, კერძოდ: ისწავლებოდა ყურძნისშეთვალვისა და სრულ სიმწიფეში შესვლის პერიოდი, აღრიცხული იქნა მოსავალი ცალკეულიძირებიდან და განისაზღვრა ტექნიკური და ბიოქიმიური მაჩვენებლები - ბსუს-ს აგრარული დამემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში.

საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა ტარდება ბსუ-ში, სადაც ჯგუფის წევრები კითხულობდნენ ლექციების კურსებს: „მეჩაიეობა“, „სუბტროპიკული

კულტურები“, აგრონომიულ სპეციალობაზე ხელმძღვანელობდნენ ბაკალავრების და მაგისტრანტების მუშაობას მათ ნაშრომებზე.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა მოიცავდა ორ პოზიციას - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბოსტნეული და ბაღეული კულტურების კვლევის სამსახურის წლიური ანგარიშის რეცენზირებასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ ჰამლეტ სანიკიძის ნაშრომის რეცენზირებას.

სახელისუფლებო სტრუქტურებში მუშაობაში მონაწილეობის თვალსაზრისით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ადრემწიფადი ჯიშების, ყინვებისაგან დაზიანებული მცენარეების აღდგენა-განახლების შესახებ.

აკადემიკოსი რ.ჯაბნიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოსმსოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად იყო ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“-კონსულტანტი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრებმა მუშაობის შედეგების გასავრცელებლად შეისწავლეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი.

7.1.10. მიწათსარგებლობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი პროფესორი ანზორ მესხიშვილი).

საკოორდინაციო ჯგუფში იყო 6 წევრი - პროფესორი ანზორ მესხიშვილი, იურისტი რიმა ლომოური, შ.პ.ს. “თბილისი-90”-ს დირექტორი ალექსანდრე დათიაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე, უძრავი ქონების შეფასების ექსპერტი გელა ყალიჩავა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნოდარ სტეფნაძე.

გამომცემლობამ „ივერიონი“ გამოსცა პროფ. ა. მესხიშვილის მონოგრაფიები: „ბახმარო - საქართველოს მომავალი“, „მიწა სახელმწიფოს მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე“ (თანაავტორები პროფესორები ალექსანდრე სიჭინავა და დალი სეხნიაშვილი) და „ქართული მიწის სამართალი“.

2023 წლის განმავლობაში ა.მესხიშვილმა ჟურნალში „აგრარული საქართველო“ გამოქვეყნდა სტატიები: “საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები“, “მიწის საკითხი მიწათმფლობელობის ქართული წესით უნდა გადავწყვიტოთ“. გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“, გამოქვეყნდა სამი სტატია: „მერამდენედ და როდემდე ვარეგისტრიროთ ერთი და იგივე მიწა“, „საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები“, “საქართველო გაიღვიძე გამოფხიზლდი“. სტატიები მიწათსარგებლობის საკითხებზე ქვეყნდებოდა გაზეთებში „რეზონანსი“, „ბორჯომი“ და “ლიტერატული მესხეთი“. 2023 წლის აგვისტოში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი საბჭოს სხდომაზე, ასევე წალვერში წაკითხული იქნა მოხსენებები მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის პრობლემებზე.

7.1.11. საკვებწარმოების მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი პროფესორი იოსებ სარჯველაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 3 წევრი: იოსებ სარჯველაძე - ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჯემალ ჯინჭარაძე - პროფესორი, სოსო მედოიძე - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტი, აგრონომი. ჯგუფის წევრების მიერ სულ გამოქვეყნებულია 8 შრომა, მ.შ. 3 სახელმძღვანელო და 3 რეკომენდაცია, მიიღეს მონაწილეობა ერთ სამეცნიერო კონფერენციაში. გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აუცილებელია აღინიშნოს გერმანიაში გამოცემული სტატია:

- Sarjveladze I., Kacharava T., Eptashvili T. Rational Use of Subalpine Natural Pastures in the Central Caucasus of Georgia. Journal: "Foundations and Trends in Modern Learning", Vol. 5, issue 1, 2023. – pp.

ასევე, გამოქვეყნებულია რამდენიმე, დარგისთვის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო:

- სარჯველაძე ი., ქვარცხავა გ. მემცენარეობა (კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია).
- გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 2023. – 291 გვ.
- სარჯველაძე ი., ზაზაშვილი ნ., ჭიჭაყუა მ. სარეველა და შხამიანი ბალახების მავნეობა მეცხოველეობაში. გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2023. – 179 გვ.
- სარჯველაძე ი., ქილიფთარი ც., ბარკალაია რ. და სხვ. პროხის ქართული მთის ჯიში და სამთო ტრადიციული ტექნოლოგიები. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 2023. – 230 გვ.

ფერმერებსა და შინამეურნეთათვის ინტერესს წარმოადგენს აკადემიის „მოამბის“ 2023 წლის # 1-ში, გვ. 107 – 134 გამოქვეყნებული რეკომენდაციები: „ფერმისპირა საკვები თესლბრუნვა და მისი როლი ცხოველთა სრულფასოვან კვებაში“ (ი.სარჯველაძე, ლ.ბაიდაური, ს.მედოიძე, ჯ.ლოლაძე), „მრავალწლოვანი საკვები ბალახები“ (გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ა. გიორგაძე, ი.სარჯველაძე), „სადოვრული შენახვის გავლენა პირუტყვის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე“ (გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ო. ქეშელაშვილი, ა. გიორგაძე, ი. სარჯველაძე).

ჯგუფის წევრები ი. სარჯველაძე და ს. მედოიძე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს ასრულებდნენ მთის სათიბ-სადოვრების ზედაპირული გაუმჯობესების საკითხებზე ცდები ტარდება სამეცნიერ-კვლევითი ცენტრის ბაზაზე დმანისის მუნიციპალიტეტის ბაშკიჩეთის ტერიტორიაზე. ი.სარჯველაძემ და ს.მედოიძემ კონსულტაცია გაუწიეს ფერმერ სოსო შარიქაძეს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) საკვები ბალახების მეთესლეობის ფართობის მოწყობის საკითხებზე.

7.2. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

7.2.1. გარემოს დაცვისა და მეტყვეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორები აკადემიკოსები ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გიორგი გაგოშიძე)

დარგობრივი ჯგუფში შედიოდა აკადემიის 4 წევრი და 2 სტიპენდიატი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკოსები გივი ჯაფარიძე (აკადემიის პრეზიდენტი), ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გიორგი გაგოშიძე, აკადემიის სტიპენდიატები გიორგი ქავთარაძე და ზვიად ტიგინაშვილი. ჯგუფის წევრებად

აგრეთვე ირიცხებოდნენ მერაბ დვალი - არასამთავრობო ორგანიზაცია: „საქართველოს მეტყვევთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი, მერაბ მაჭავარიანი - ეროვნული სატყეო სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობათა და პროექტების კოორდინატორი, მეცნიერებათა დოქტორი, არჩილ სუპატაშვილი - საუ-ს ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების. უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი, ბესარიონ ლობჯანიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს მეტყვევ ექსპერტი, დოქტორი, ნატო კობახიძე - საუ-ს სადოქტორო სკოლის კოორდინატორი, პროფესორი, დოქტორი, რეზო ვასაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, დოქტორი, პროფესორი, ზურაბ მანველიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მდგრადი განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, მეცნ. დოქტორი.

ჯგუფის წევრებმა მიმართულების თემატიკით გამოაქვეყნეს 17 სამეცნიერო სტატია, 9 მოხსენებით მიიღეს მონაწილეობა 4 სამეცნიერო კონფერენციაში. მათი მუშაობა ძირითადად მიმართული იყო სატყეო დარგის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტაზე, სატყეო პოლიტიკის და საკანონმდებლო რეფორმების განხორციელებისა და მათი შედეგების ანალიზის საფუძველზე, რისთვისაც ტარდებოდა:

- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო დაწესებულებების ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების კოორდინაცია;
- მიმდინარე და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზა და სატყეო სფეროში მათი რაციონალური გამოყენების ხელისშეწყობა;
- სატყეო-სამეცნიერო სტრუქტურებში დასაბუთებულ მომზადებული რეკომენდაციების ანალიზი და მათი მეცნიერულად დასაბუთებული შეფასების უზრუნველყოფა;
- სატყეო და მონათესავე სფეროში მოღვაწე პედაგოგიური პერსონალის, პრაქტიკოსი მუშაკებისა და მეწარმეებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადება-გადამზადებისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით, შესაბამისი სამეცნიერო, სასწავლო-საინფორმაციო პროგრამების შედგენა-აპრობაცია და პრაქტიკული რეალიზაცია;
- ქვეყანაში სატყეო დარგის ოპტიმიზაციის, შეუფერხებელი და უწყვეტი განვითარების მიზნით მაღალეფექტიანი და ქმედითუნარიანი ინოვაციური გარემოს ფორმირება;
- განყოფილების სხდომების ფორმატში სამეცნიერო მოხსენებების მოსმენა;
- დარგში არსებული პრობლემების, უახლესი მიღწევებისა და ინოვაციური პროექტების ირგვლივ-აკადემიის პრეზიდენტი, სამეცნიერო საბჭოსა და საერთო კრებაზე წარსადგენი თემატიკის მომზადება, განხილვა და მათში მოცემული ძირითადი დებულებებისა და დასკვნების საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებში მოსმენისათვის რეკომენდირება.

აკადემიკოსი გ. გაგოშიძე იყო ჩართული როგორც პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში, იყო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსა და სარედაქციო საბჭოს წევრი;

გ. ქავთარაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ.გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, კითხულობდა ლექციებს როგორც ასოცირებული პროფესორი, უძღვება შემდეგ სასწავლო კურსებს: ბაკალავრიატის საფეხურზე - დაცული ტერიტორიები (ძირითადი), ტყის მონიტორინგი და ექსპერტიზა (არჩევითი); მაგისტრატურის საფეხურზე - სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა; ტყის

სერტიფიცირება (ძირითადები), იყო ორი მაგისტრანტისა და ორი დოქტორანტის ხელმძღვანელი.

ზ. ტიგინაშვილი იყო სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ლექციებს კითხულობდა საგნებში: სატყეო ტექსაცია, ტყეთმოწყობა, დენდრომეტრია, დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმი (ბაკალავრიატი), ტყის ფონდის აღრიცხვა შეფასება ტექსაციის თანამედროვე მეთოდებით (მაგისტრატურა), სატყეო რესურსების ეფექტიანი გამოყენება (დოქტორანტურა).

აკადემიკოსი ლ. დოლიძე მონაწილეობდა პროექტში: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“ (2023-2027 წ. წ.), რომელიც ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით (2023 - 2027 წ.წ.), ხოლო აკადემიის სტიპენდიატი გ. ქავთარაძე მონაწილეობდა შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორ გრანტში: „უცხო, პოტენციურად ინვაზიური მერქნიანი მცენარეების შესწავლა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე“ (#R-18-3569, 2019 -2023 წწ როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი და „კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება თბილისის მუნიციპალიტეტის და ურბანული ტყის ეკოსისტემაზე (model PICUS v1.5)“ (#R-18-21111, 2019 -2023 წწ) როგორც კოორდინატორი; ამავე პროექტში როგორც შემსრულებელი მონაწილეობდა ზ.ტიგინაშვილი.

ჯგუფის წევრები თვლიან, რომ დარგის განვითარების დასაჩქარებლად საჭიროა სამუშაოების ჩატარება შემდეგი ხუთი მიმართულებით:

მიმართულება 1 - მდგრადი მართვის გზით ტყის დანაკარგის შემცირება და დეგრადაციის თავიდან აცილება და კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს ტყეების შემარბილებელი წვლილის გაზრდა;

მიმართულება 2 - სატყეო სექტორის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება, სოციალური და ეკოლოგიური სარგებელის, მათ შორის ტყეზე დამოკიდებული მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება;

მიმართულება 3 - დაცული ტყეების და მდგრადად მართული სხვა ტერიტორიების ფართობის და ამ ფართობებიდან ტყის პროდუქტების წილის მნიშვნელოვანი გაზრდა;

მიმართულება 4 - ტყის მდგრადი მართვის განსახორციელებლად ახალი და დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების მნიშვნელოვნად გაზრდა ყველა წყაროდან და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

მიმართულება 5 - ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებით თანამშრომლობის, კოორდინაციისა და შეთანხმებულობის გაღრმავება, ინსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება.

7.3. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

7.3.1. მეცხოველეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა 9 წევრი: აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, მარინე ბარვენაშვილი - აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, თენგიზ ფირცხელაიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის კონსულტანტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ამროსი ჭკუასელი - საუ-ის და სტუს-ის პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, გივი ბასილაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის კონსულტანტი, საუ-ის სრული პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, გიული გოგოლი -საუ-ის და სტუს-ს პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ზაზა ლაშხი - შპს „ლაშარელა“-ს გენერალური დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, თამაზ ედიშერაშვილი - კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რუსუდან ბარკალაია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კვლევებში, ასევე საგანმანათლებლო პროცესში, საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს ნაშრომი, მ.შ. მონოგრაფიები:

- ც. ქილიფთარი, რ. ბარკალაია, გ. გოგოლი, რ. მიტიჩაშვილი, ი. სარჯველაძე, თ. ფირცხელაიშვილი, თ. ჟღენტი, ე. კალანდია და სხვ. ძროხის ქართული მთის ჯიში და სამთო ტრადიციული ტექნოლოგიები. გამომც. „მწიგნობარი“, თბილისი, 2023. - 230 გვ.
- თ. ფირცხელაიშვილი და სხვ. ძროხის ქართული მთის ჯიში და სამთო ტრადიციული ტექნოლოგიები. გამომც. „მწიგნობარი“, 2023. - 230 გვ.

ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 15 სამეცნიერო ნაშრომი, მ. შ. ინგლისურ ენაზე:

- Holhtein Bred Livestock in Georgia, XIV International Scientific Agriculture Symposium “Agrosum-2023“, Book of Proceedings, Johorina, 2023. – pp - 1120-1126
- Adaptation- acclimatization issues of introduced Holhtein Cattle in Georgia. World Journal of Advanced Research and Reviews, Vol.19, Issue 2, 2023. – pp. 1358-1362
- Synthesis of boron chelates and their usage in broiler feeding. World Journal of Advanced Research and reviews (WJARAI), Coden, USA, Vol. 90, Issue 12, June 2023. – pp. 19- 27.

ასევე, ჟურნალ „აგრარულ საქართველოში“ გამოცემულია წარმოებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები: ბოცვრის, მოვლა, კვება, შენახვის შესახებ (აკად. ჯ. გუგუშვილი).

ჯგუფის წევრები შვიდი მოხსენებით, მ.შ. თურქეთში, გამოვიდნენ სამეცნიერო კონფერენციებზე, მიღებულია საქართველოს ორი პატენტი:

- ა. ჭკუასელი, ვლ. ელისაშვილი, თ. ხარძიანი. სპორაწარმომქნელი პრობიოტიკების წარმოების ხერხი და მათი გამოყენება მეფრინველეობაში. AP 2022-08-31;
- ვ. მირუაშვილი, გ. ქუთელია, რ. ბარკალაია, გ. გოგოლი. პატენტი: P 2023 7576 B საწველი აპარატი.

პროფ. გ. გოგოლი მუშაობდა საქართველოს მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის აღდგენისთვის მარეგულირებელი დირექტივების და რეგულაციების შედგენა-აპრობაციაზე, აგრეთვე დარგების მიხედვით სანაშენე მეურნეობების/ფერმების გამოვლენის და რეგისტრაციის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებაზე; ის ევროპის

უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებთან კითხულობდა ლექციებს და ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობას მეცხოველეობის საგანში, მონაწილეობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული „მერვეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის პროგრამის“ შედგენაში.

პროფ. ა. ჭკუასელის კვლევები მიმართულება იყო: მეცხოველეობის არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესება, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა ან/და არსებულის ადაპტირება ადგილობრივი პირობებისადმი და მათი შემდგომი კომერციალიზაცია. მისი ხელმძღვანელობით საანგარიშო წელს დაცული იქნა ორი სადოქტორო დისერტაცია:

- ანტიბიოტიკების შემცვლელი სპორაწარმოქმნილი *Bacillus*-ის ადგილობრივი წარმოების, ახალი პრობიოტიკების გავლენა ბროილერის პროდუქტიულობაზე (რეზო ლაფაჩი);
- ხელატური ნაერთების ქრომის, ბორისა და მოლიბდენის გამოყენება ბროილერის კვებაში (გიორგი ჩაგელიშვილი).

პროფ. ა. ჭკუასელი ჩართული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში „სამედიცინო სოკოების მიცელიალური ბიომასის წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება ანტიბიოტიკების ალტერნატივად გამოსაყენებლად და ბროილერის ქათმის პროდუქტიულობის გამოსაზრდელად“ (2023-2025 წწ) ძირითად შემსრულებლებლად, ასევე იყო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების მენტორი (2023-2025 წწ).

პროფ. ა. ჭკუასელი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის III-კურსზე მიჰყავდა სალექციო კურსი ცხოველთა კვების საგანში.

დოქტორ თ. ფირცხალაიშვილის სამეცნიერო აქტიურობა მოიცავდა მეცხოველეობის გამოყენებაში მონაწილეობას პირუტყვის შემფასებელი ჟიურის წევრის სტატუსით, 7 საცდელი ფერმის მონიტორინგს, ფერმერებისთვის პირუტყვის და ფრინველის მოშენებისათვის რეკომენდაციის მიცემას.

7.3.2. ვეტერინარიის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი)

ჯგუფში ირიცხებოდა 10 წევრი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი (ეროვნული კოორდინატორი), ლევან მაკარაძე - ახალციხის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ვეტ. მეცნ. დოქტორი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჯამბულ მაღლაკელიძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სამმართველოს მთ. სპეციალისტი, მერაბ ნათიძე - ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორი; დემნა ხელაია - სეს-ის ვეტდეპარტამენტის უფროსი, ლევან ციციშვილი - ბერიტაშვილის სახ. ინსტიტუტის ვეტ. სპეციალისტი, მაია კერესელიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, სულიკო ბერიძე - აჭარის რეგიონის კოორდინატორი.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 8 სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობა მიიღეს 9 სამეცნიერო კონფერენციაში.

მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი მონაწილეობდა აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) საერთაშორისო პროექტში „ვექტორული დაავადებების ზედამხედველობა საქართველოში, თურქეთსა და აზერბაიჯანში“.

ლ.ციციშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ვეტერინარიის სამაგისტო-საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობდა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგანტო პროექტში „ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოს ტუბერკულოზის მაღალი რისკის რეგიონებში“ # FR-22-6780.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრებს მუდმივი კავშირი ჰქონთ რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებთან, ვეტერინარ სპეციალისტებთან და ცხოველთა მეპატრონეებთან, განიხილავდნენ წარმოდგენილ მოთხოვნებს, ხშირ შემთხვევაში პირადად ხვდებოდა დაინტერესებულ პირებს, ან ადგილზე უწევდა კონსულტაციებს და პრაქტიკულ დახმარებას.

ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება ცხოველთა დაავადებები, რომელთა პრევენციის მიზნით ვეტერინარი სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებს. მიმდინარე წელს ცხელმა დღეებმა დიდი პრობლემები შეუქმნა ცხოველთა მეპატრონეებს. მკვეთრად დაქვეითდა პროდუქტიულობა, კახეთსა და ქვემო ქართლში გახშირდა ქვეყნისათვის ახალი დაავადების „სამ დღიანი ცხელების“ გამოვლინება. ცხოველთა მეპატრონეებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები ცხოველთა აღნიშნული დაავადების დიაგნოსტიკაში და საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაში.

გვალვამ რიგი რეგიონების სათიბ-სამოვრებზე შეაჩერა ბალახის ზრდა, შედეგად ცხოველები ვერ იღებდნენ საჭირო რაოდენობით მწვანე მასას, თიბვის სეზონზე კი შეუძლებელი გახდა უხეში საკვების დამზადება და ზამთრის მარაგის უზრუნველყოფა. ზამთარში პრობლემების თავიდან ასაცილებლად მეცხოველეებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები, პირველ რიგში ნაძვის და ჩალის შემზადებაზე კვების წინ.

ცხოველთა სადგომებზე დაკვირვებამ კვლავ დაგვანახა, რომ მათი უმრავლესობა ვერ პასუხობს ელემენტარულ მოთხოვნებს ცხოველები მუდმივად განიცდიან დისკომფორტს.

ცხოველებზე მაღალი და დაბალი ტემპერატურის, ტენიანობის, ორპირი ქარების და მავნე აირების ზემოქმედებით მათ დაქვეითებული აქვთ რეზისტენტობა, შედეგად ხშირია დაავადებები და სიკვდილიანობა (განსაკუთრებით მოზარდებში), შემცირებულია წონამატი და პროდუქტიულობა.

ჩამოთვლილი პრობლემების ფონზე მრავალ მეცხვარეობის ფერმაში ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა ჰელმინთოზური დაავადებები. აღნიშნულ პრობლემებზე მომზადებული იქნა რეკომენდაციები, პრევენტაციები და ლექციები. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან ერთად ზუსტდებოდა სამოქმედო გეგმები და პირადად, ან წერილობით გადაეცემდა ადგილობრივ სპეციალისტებს ან ცხოველთა მეპატრონეებს. პრევენტაციის დროს მოსახლეობას ურიგდებოდა წიგნები, ბროშურები და პლაკატები. წლის მეორე ნახევარში გაძლიერდება მუშაობა ცხოველთა გამოზამთრებისათვის მზადების მიმართულებით.

7.3.3. მეაბრეშუმეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი დოქტორი ნარგიზა ბარამიძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 წევრი - ნარგიზა ბარამიძე (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტროს ს/კ ცენტრის მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების კვლევის დეპარტ. უფროსი სპეციალისტი, სოფ. მეურნ. დოქტორი), თინათინ დალაღიშვილი (სოფლ. მეურნ. დოქტორი), ზოია წყარუაშვილი (საუ-ის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი. სოფ. მეურნ. დოქტორი), მაია ხუციშვილი - საუ-ის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი, სოფ. მეურნ. დოქტორი და ირაკლი გუჯაბიძე - აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის ლაბ. ხელმძღვანელი.

ჯგუფის წევრებმა საანგარიშო პერიოდში გამოაქვეყნეს ერთი სამეცნიერო წერილი. ირაკლი გუჯაბიძე აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე ატარებდა ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებს საგანში- მეაბრეშუმეობა.

ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს უცხოეთის დოქტორანტთა სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირება: უზბეკეთიდან (ვალიევი), ტაჯიკეთიდან (სალიმჯანოვის), აზერბაიჯანიდან (მამედოვა), აგრეთვე ინდოეთიდან.

ჯგუფის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა 17-18 ივლისს უზბეკეთისა და საქართველოს პრემიერ მინისტრების შეხვედრაზე თბილისში ხელმოწერილი დოკუმენტის: „უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 2023-2024 წლებში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის. ერთობლივი პრაქტიკული ქმედებების გეგმაში („საგზაო რუკა“) პირველ პუნქტად ღონისძიებები ერთობლივი ქართულ-უზბეკური აბრეშუმის საწარმოს შექმნისა და ზოგადად მეაბრეშუმეობაში დახმარების შესახებ.

7 დეკემბერს შედგა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ახმეტის მუნიციპალიტეტისა და კავკასიის ალიანსების პროგრამა 2-ის ერთობლივი აბრეშუმის მრჩეველთა კომიტეტის საქმიანი შეხვედრა მეაბრეშუმეობის საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ ნარგიზ ბარამიძე და ირაკლი გუჯაბიძე. შეხვედრაზე განიხილებოდა საკითხი ახმეტის პარკსაშრობის ბაზაზე მეაბრეშუმეობის კოლეჯის გახსნის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ ყველა ეს საკითხი მეაბრეშუმეობისათვის დადებითად გადაწყდება.

აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომაზე მოხსენებით: „თუთის აბრეშუმხვევას გენოფონდის განვითარება“ გამოვიდა ნარგიზ ბარამიძე, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 2015 წელს აგრარული უნივერსიტეტიდან ცენტრის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიაში გადმოტანილი იქნა თუთის აბრეშუმხვევას გენოფონდი 65 ჯიშით. ადრე საკოლექციო ჯიშები იკვებებოდა ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ სადგურში, მაგრამ სადგურის გაუქმების შემდეგ საჭიროდ ჩაითვა, რომ ქართული წარმოშობის ჯიშები არ დაგვეკარგა და გადმოგვეტანა თბილისში, იმ პირობებში, როდესაც თუთის მცენარეები მთლიანად ამოძირკვეული და საკოლექციო ჯიშებს თანამედროვე ქართულ ჯიშებთან ერთად ვკვებავდით ძირითადად ჩვენი სახსრებით შეძენილი თუთის ფოთლით. მან აღნიშნა, რომ 2018 წელს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე აშენდა მეაბრეშუმეობის ლაბორატორია, სადაც ამჟამად მიმდინარეობს თუთის აბრეშუმხვევას გენოფონდის შენარჩუნება, მაგრამ, სამწუხაროდ, თუთის ფოთოლი არ არის საკმარისი, ხოლო სოფელში ნაყიდი თუთის ფოთლის აბრეშუმის ჭიის საკვებად გამოყენება საშიშია, რადგან მცენარეები იწამლება მავნებლების საწინააღმდეგო ხსნარებით, რამაც შეიძლება გენოფონდის არსებობას საფრთხე შეუქმნას.

დღეს გენოფონდში დაცულია ხალხური სელექციით გამოყვანილი ჯიშები, ასევე მეცნიერული სელექციით მიღებული ჯიშები: თბილნიიშ-3, ქართლი, ივერია, თბილისური, დიღომის ოჯახი 8 ჯიშის რაოდენობით, მზიურის ოჯახი 8 ჯიშის რაოდენობით, იბერია, ლაზური, მიმდინარეობს ახალი ჯიშების გამოყვანა და დარეგისტრირდება „საქპატენტი“.

მნიშვნელოვანია ვ.სტრუნიკოვისა და ა.ძნელაძის მიერ მიღებული გრენის ფაზაში ნიშანდებული ჯიში ტაო 2, რომელიც საკმაოდ ხანდაზმულია და მიმდინარეობს მუშაობა მის გაუმჯობესებაზე. გაგვაჩნია იაპონური, ჩინური, პოლონური, აზერბაიჯანული, უზბეკური ჯიშებიც, რომლებიც კარგად შეეგუენ ჩვენს კლიმატურ პირობებს. მნიშვნელოვანია ასევე 2017 წელს ჩვენი მეცნიერის მ. ხუციშვილის მიერ იაპონიიდან ჩამოტანილი კრიოკონსერვაციით მიღებული ყვითელპარკიანი ჯიში, რომელიც კარგად შეეგუა ჩვენს პირობებს და გამოიყენება ფერადპარკიანი უძველესი ხალხური სელექციით მიღებული ჯიშების სისხლის განახლებისათვის. მზიურებისა და დიდმურების ჯგუფის თანამედროვე ქართულ ჯიშებს ახასიათებთ ბიოტექნოლოგიური მაჩვენებლები, რომლებიც მეაბრეშუმეობის საერთაშორისო კომისიის მიერ დაწესებული აბრეშუმის პარკის სტანდარტის მაჩვენებლებზე უკეთესია, მაგ. პარკის ძაფის სიგრძეა 2000 მ-ის ზევით, ხოლო აბრეშუმიაანობა 24-25%. მზიურების ძაფისაგან დამზადებულმა ქსოვილმა “კრეკ-შიფონი” 1998 წელს ესპანეთში საერთაშორისო გამოფენაზე პლატინის ვარსკვლავი მიიღო, ხოლო 2018 წელს დარგობრივი ჯგუფის წევრების მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე ქართულ აბრეშუმს მიენიჭა არამარტერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი.

7.3.4. მეფუტკრეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული ეროვნული კოორდინატორები რამაზ თავართქილაძე და დოქტორი მაია ფეიქრიშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ ოთხი წევრი (რ.თავართქილაძე, მ.ფეიქრიშვილი, ბორის წითლიძე, ლიზა ბალიაშვილი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე რ.თავართქილაძემ 2023 წლის 20 ივლისს წაიკითხა მოხსენება: „საქართველოში მეფუტკრეობის მდგომარეობა და სამომავლო ამოცანები“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი არის მეფუტკრეობის საერთაშორისო ორგანიზაცია „აპიმონდია“-ს სრულუფლებიანი წევრი და აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებში. 2023 წელს აპიმონდიას წარედგინა საქართველოს ორი მეცნიერმუშაკის: გოგი მაძღარაშვილის და ალექსანდრე შეყილაძის ნაშრომები: „ნოვაციები მეფუტკრეობის განვითარებისათვის“.

კავშირი აქტიურადაა ჩართული ქვეყანაში მეფუტკრეობის განვითარების მიზნით საკონსულტაციო პრაქტიკული და საორგანიზაციო საქმიანობაში. გვაქვს სისტემატიური კავშირები ყველა რეგიონის ფერმერებთან. ვაკვირდებოდით და ვსწავლობდით დასავლეთ საქართველოში ფაროსანას გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიმდინარეობას. საწყის პერიოდში აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ უარყოფითი გავლენა იქონია მეფუტკრეობის განვითარებაზე. ჩვენი აქტიური ჩართულობით სურსათის უვნებლობის სამსახურთან მიღწეული იქნა შეთანხმება მეფუტკრეობის დაცვის მიზნით ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები ჩატარებულიყო ღამის საათებში, რითაც აცილებული იქნა ფაროსანას საწინააღმდეგო პესტიციდებით ფუტკრის ოჯახების განადგურება. აღნიშნულმა დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა, რაც დღემდე გრძელდება.

7.4. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი რევაზ მახაროზლიძე

7.4.1. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 8 წევრი: ზაურ ფუტყარაძე- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ოთარ ქარჩავა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ჩართული იყო თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის და ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციის CNFA-ს, რომელიც დაფინანსებული იყო USAID-ის მიერ, ამის გარდა OSHE Georgia - შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაციის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში; სოსო თავბერიძე - ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ფადიკო აბუსელიძე-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი; რომან მარგალიტაძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი; იოსებ აბულაძე- აჭარის არ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის დირექტორის მოადგილე; ზაზა მახარობლიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 12 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. 9 - ინგლისურ ენაზე მაღალრეიტინგულ გამოცემებში:

- Kacitadze J., Z. Phutkaradze, G. Kutelia. Application of the methods of theories of similarity and planning of multifactorial experiments to study the hardness of iron-nickel coatings. Agricultural Machinery, 2023.
 - Mamuladze M., S. Tavberidze. Dynamic Processes of a Hand-Held Motorized Mower During the Start of the Mowing Process. International Journal of Advanced Research (IJAR), # 7 London UK, 2023.
 - Mamuladze M., M. Lejava, F. Abuselidze. Investigation of Vibration in Diesel-Fueled Motoblocks in the Case of Supplying Different Types of the Fuel Mixture. RS Global, 1(79), 1-6 Poland, 2023.
 - Mamuladze M., Abuselidze F., Lejava M. In sprayers Possibilities of using air motors Possibilities of using pneumomotors in sprinklers. AMA, Agricultural Mechanization in Asia, Africa and Latin America, Volume 54, Issue 02, Tokyo, Japan, 2023. -pp. 119-126.
 - Mamuladze M. In Tea Picking Machines, the Prospect of Using a New Cutting Machine. RS Global, 1(79), 1-8 Poland, 2023.
 - Karchava O. Ecological and Economic Priorities of Growing Vegetable Crops on Plastic Mulch. Proceedings of I International Scientific and Practical Conference Boston, USA 5-7 February 2023.
 - Karchava O. Combined Unit of small mechanization experimental calculations and advantages. International scientific journal – Mechanization in Agriculture. & conserving of the resources.. Issue 3 2023. Sofia. Bulgaria
 - Maxaroblidze Z., Study of the Traction Characteristics of Tractor at Operation on the Slope. Problems of Mechanics. Tbilisi, 2023, № 1(90), pp.15-18.
 - Maxaroblidze Z. Designing an experiment to research a tea cultivator. Science and innovation of Modern World. Proceedings of VI international Scientific and Practical Conference London. United Kingdom 23-25 February 2023.
- ჯგუფის წევრებმა მიიღეს ერთი პატენტი გამოგონებებზე,
- ვლადიმერ მირუაშვილი; გიორგი ქუთელია; რუსუდან ბარკალაია; გიული გოგოლი. საწველი აპარატი. საქართველოს პატენტი P 2023 7576 B.

ასევე, „საქპატენტში“ შეტანილია ორი განაცხადი:

- სასარგებლო მოდელზე - ზ. მახარობლიძე, ვ. მარგველაშვილი, ს. შარაშენიძე, რ.ფარცხალაძე. ჩაის რიგთაშორის ნიადაგდამამშავებელი კულტივატორი. განაცხადის ნომერი AU 2023 16198.
- გამოგონებაზე - ზ.მახარობლიძე, ვ. მარგველაშვილი, ს. შარაშენიძე, რ.ფარცხალაძე. თვითმავალი შასის სავალი ნაწილი. განაცხადის ნომერი AP 2023 16321.

შვიდი მოხსენებით გამოვიდნენ საერთაშორისო კონფერენციებზე, მ.შ. ბულგარეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრთა მიერ დამუშავდა ცვალებადი მოდების განის უნივერსალური ბაზოწარმომქმნელი მანქანისა და ჩაის პლანტაციების რიგთაშორის ნიადაგდამამშავებელი კულტივატორის, მაღალკლირენსიანი თვითმავალი შასის სავალი სისტემის და მასზე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საკიდი სისტემის ახალი კონსტრუქციები. შესწავლილია რეზინის თითის მჭრელი აპარატის ურთიერთქმედება ღეროსთან, რაც იძლევა საშუალებას მაღალი ხარისხის ჩაის ფოთლის მოსავლის მიღების შესაძლებლობას მცირე კონტურიან ფერდობებზე მცირე სიმძლავრის ძრავების გამოყენებით. განხილული იყო როტორის ტიპის პნევმოდრავების გამოყენების პერსპექტივა პორტატულ შემასხურებლებში. დამუშავდა პნევმატური ძრავების მათემატიკური მოდელი, ნიჩბების ზომები, ჰაერის გაზრდის რაოდენობა, როტორის ბრუნვის დროს ბრუნვის მომენტის მნიშვნელობა და ძრავის სიმძლავრე. გამოკვლეულია შიგაწვის ძრავაში ხუთი სხვადასხვა ბრუნთა რიცხვის შემთხვევაში, დიზელის საწვავის ვიზრაციაზე დამოკიდებულება, რამაც აჩვენა რომ საწვავი და ძრავას ბრუნთა რიცხვი წარმოადგენს ერთადერთ რისკ ფაქტორს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ისო 5349-2(2004) საერთაშორისო სტანდარტთან. შესწავლილია ხელის მოტორიზებული სათიბელას დინამიური დატვირთვა სათიბელას მუშაობისას, რათა თიბვის პროცესი შესრულდეს ხარისხიანად და ნაკლები დანაკარგებით. ჩატარებულია აგრარული სფეროს ტექნიკური შეიარაღების პროგნოზირება მექანიზებული სამუშაოების ენერგეტიკული შეფასების საფუძველზე სამთო პირობების გათვალისწინებით, შესრულებულია ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავების ტექნოლოგიების კვლევები საქართველოს პირობებში, ჩატარებულია მემცენარეობის პროდუქციის წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების კვლევები ეკოლოგიური მიმართულებით.

ჯგუფის 6 წევრი (ზაურ ფუტკარაძე, მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე, ფადიკო აბუსელიძე, რომან მარგალიტაძე, ოთარ ქარჩავა) საპროფესორო საქმიანობას ეწეოდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებსა და კავკასიის უნივერსიტეტში. იოსებ აბულაძე არის აჭარის არ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის დირექტორის მოადგილე.

ზ. ფუტკარაძე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში, პროექტის: „თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“ კოორდინატორი, ო. ქარჩავა იყო შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის პროექტის: „მოტობლოკზე დამონტაჟებული ბაზოწარმომქმნელი და მულჩსაფარი ინოვაციური დანადგარი“ კონსულტანტი, USAID/AP პროექტის ექსპერტი, შეასრულა 4 პროექტისთვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ტენდერის ჩატარება, გამარჯვებულის გამოვლენა.

ზ. ფუტკარაძემ მოამზადა რეცენზია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის 2022 წლის ანგარიშზე, ხოლო ო. ქარჩავა- ჩართული იყო OSHE Georgia - შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაციის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში, სისტემატურად მონაწილეობდა ტელევიზია „საფერავი TV“-ს გადაცემებში თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გავრცელების მიმართულებით.

7.4.2. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი პროფესორი თამაზ ბიჭიაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ ცხრა წევრი - მეცნიერებათა დოქტორები ალექსანდრე დიდებულისძე, გელა ჯავახიშვილი, ნუგზარ ბერიძე, მეცნიერებათა კანდიდატები თამაზ ბიჭიაშვილი, ეკა რურუა და ჯიმშერ სირაძე, აკადემიური დოქტორი ედიშერ მიდელაშვილი, ინჟინრები გელა ნატროშვილი და ჯაბა ჯამაგაძე რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 8 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. ერთი ინგლისურ ენაზე მაღალრეიტინგულ ჟურნალში:

- **Didebulidze A., Javakhishvili G. Theoretical Principles of Electromagnetic Oscillation Motor with Asymmetrical Stator.** Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol 17, # 2, 2023. – pages 35-42.

ჯგუფის წევრებმა მიიღეს ორი პატენტი შემდეგ გამოგონებაზე:

- ფიტოტესტერი. საქართველოს პატენტი 7540 B, საპატენტო განაცხადი AP 2023 15983, პრიორიტეტი 2022 წლის 21 ივნისიდან, გამოქვეყნებულია საქპატენტის ბიულეტენი # 9, 2023. გამომგონებელი: თ.ბიჭიაშვილი;
- კუთხით რხევითი რვაპოლუსიანი ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანა. საქართველოს პატენტი, საპატენტო განაცხადი AP 2023 16203 A, პრიორიტეტი 2023 წლის 3 აპრილიდან. გამოქვეყნებულია საქპატენტის ბიულეტენი #20, 2023, გამომგონებლები გ.ჯავახიშვილი და ა. დიდებულისძე.

ფიტოტესტერზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეტანილი იყო განაცხადი საიდენტიფიკაციო ნომრით #118549/3, განმცხადებელი: თამაზ ბიჭიაშვილი, სოფელი მუხრანი, მცხეთა და 2023 წლის 2 ივნისს ნიშანი შეტანილია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრ „საქპატენტის“ რეესტრში.



ასევე ჯგუფის წევრები 5 მოხსენებით გამოვიდნენ ოთხ სამეცნიერო კონფერენციაზე. ჯგუფის წევრები ალ. დიდებულისძე და გ.ჯავახიშვილი აგრძელებდნენ მუშაობას კუთხით რხევადი და უკუქცევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორების და ამ ვიბრატორებით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალი კონსტრუქციების შესაქმნელად, აგრეთვე მათი მუშაობის რეჟიმების შესასწავლად. დამუშავებული კონსტრუქციები მუშაობენ მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ რეზონანსთან მიახლოებულ

რეჟიმში, შესაბამისად ხასიათდებიან ენერგიის მინიმალური დანახარჯებით და აგრეთვე გაზრდილი საიმედოობით.

თ.ბიჭიაშვილი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მუშაობს მემცენარეობაში ექსპერიმენტთა ავტომატიზაციის საკითხებზე. ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების მაგისტრანტებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა 10 არხიანი პორტატული/მობილური საინფორმაციო-გამზომი სისტემა „ფიტომონიტორი“-ს სენსორებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფაზე; ფიტოტესტერის გამოყენებით დამუშავდა ვაზის სამყნობი კომპონენტების ვარგისიანობის შეფასების, მცენარის ნამყენი ნერგის ცხოველქმედების განმსაზღვრელი და მცენარეთა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდები. აღსანიშნავია, რომ მცენარიდან ბიოფიზიკური და ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაციის გზით ინფორმაციის მიღება ხორციელდება დაკვირვების ობიექტის ბიოლოგიური მთლიანობის დარღვევის გარეშე.

ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს, კითხულობდნენ ლექციებს, ატარებდნენ სემინარებს და უძღვებოდნენ ლაბორატორულ სამუშაოებსა და საკურსო პროექტებს.

პროფესორი გ. ჯავახიშვილი საქართველოს უნივერსიტეტის (სუ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში კითხულობდა ლექციებს საგნებში: „წრედთა თეორია“, „ელექტროტექნიკური მასალები“, „შრომის უსაფრთხოება“, „ტექნიკური წერა“, მოამზადა აღნიშნულ საგნებში სილაბუსები და სალექციო კურსები. ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე როგორც მოწვეული პროფესორი კითხულობდა ლექციებს საგანში: „ელექტრომომხმარების ტექნოლოგიები“.

პროფესორი ნ.ბერიძე არის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხოლო 2022 წლიდან - ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის დირექტორი.

პროფესორი თ. ბიჭიაშვილი საუ-ს ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებთან კითხულობს ლექციებს საგნებში: „საინჟინრო გაზომვები და სენსორები“, „ზოგადი ფიზიკა“, ხოლო მაგისტრანტებთან საგნებში: „საინჟინრო გაზომვის თანამედროვე მეთოდები“ და „კვლევის მეთოდოლოგია“

საუ-ს ასოცირებული პროფესორი ე.რურუა კითხულობდა ლექციებს და ატარებდა სემინარებს ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის და მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის საგნებში „ელექტრული წრედები“ (ორი ნაწილი) და „ელექტრომექანიკა“.

საუ-ს ასოცირებული პროფესორი აკადემიური დოქტორი ედიშერ მიდელაშვილი 2019 წლიდან ერთდროულად არის თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კითხულობს ლექციებს საგნებში: „ელექტრული წრედები“ და „ელექტრომექანიკა“. პარალელურად არის სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის "ელექტრიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი. მონაწილეობას ღებულობდა 2023 სასწავლო წლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აგრომექანიზაცია" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შერჩევის, პროგრამის ავტორიზაციის პროცესში.

გ. ნატროშვილი არის საუ-ს ელექტრო და ელექტრონული ინჟინერიის ლაბორატორიის უფროსი, აგრეთვე საათობრივი ანაზღაურების წესით ატარებს

მეცადინეობებს საგნებში: „ელექტრული წრედების თეორია“, „ანალოგური და ციფრული წრედები“, „ელექტროტექნიკური მასალები“.

თ. ბიჭიაშვილმა პროექტით „ფიტოტესტერის კომერციალიზაციის მოდელის შერჩევა და დანერგვა“ 2023 წლის ოქტომბერში გაიმარჯვა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს კონკურსში „ინოვაციების გრანტები რეგიონებისათვის-მცხეთა მთიანეთი“ და მოიპოვა საგრანტო დაფინანსება.

თ. ბიჭიაშვილი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის, ბიოსამედიცინო ინჟინერიის, ფიზიკის, ბიოფიზიკის და ენერგეტიკის მიმართულებით.

ა.დიდებულიძე არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის საგრანტო კომიტეტის წევრი.

ნ. ბერიძე 2007 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს.

ე. რურუა მუშაობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსად.

ჯგუფის წევრი, ჯ. ჯამაგიძე დასაქმებულია ს.ს „თელასში“, ტექნიკური დანაკარგების გამოთვლის პროგრამის (ტდგ-3) და ელექტრონული ჟურნალის წარმოების კონტროლისა და აღრიცხვის ჯგუფის უფროსად. მის უფლება-მოვალეობებში შედის სს „თელასის“, 0,4/6/10/35/110კვ-ის ძაბვის ქსელში რეჟიმების და ელექტროენერგიის ტექნიკური დანაკარგების პარამეტრების გაანგარიშება და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) მიერ დამტკიცებული «მომსახურების კომერციული ხარისხის წესების» მიხედვით ელექტრონული ჟურნალის წარმოება.

7.4.3. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (ეროვნული კოორდინატორი პროფესორი ედუარდ კუხალაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები ედუარდ კუხალაშვილი, აკად. გივი გავარდაშვილი, ტექნიკის დოქტორები შორენა კუპრეიშვილი აგროინჟინერიის დოქტორები თამუნა სუპატაშვილი და გიორგი ნატროშვილი.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 14 სამეცნიერო სტატია, მ.შ. 11 ინგლისურ ენაზე, მონაწილეობა მიიღეს 4 საერთაშორისო კონფერენციაში.

საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო გეგმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგროინჟინერიის სისტემების მმართველ და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების კოორდინაციის გაძლიერებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, აგროინჟინერიაში იგი ორიენტირებულია ინოვაციური მეთოდოლოგიის და მეთოდების დანერგვაზე, ლანდშაფტური ინფრასტრუქტურის მდგრადობის თეორიული მოდელების დაზუსტებაზე, აგროინჟინერიის პროგრამების შექმნაში აკადემიის როლის ამაღლებაზე.

სოფლის მეურნეობაში ირიგაციული წყალხარჯვა სარწყავ ფართობზე მისაწოდებელი წყლის პარამეტრებსა და ნიადაგის მახასიათებლებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, სარწყავ მიწათმოქმედებაში მცენარის ზრდა-განვითარება ნიადაგიდან წყლის თავისუფლად აღებასა და წყლის დანაკარგების გარეშე, სარწყავი ნორმით, სტაბილურად უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული.

საანგარიშო პერიოდში ფილტრაციულ-კარსული პროცესების ძირითადი განმსაზღვრელი პარამეტრების შეფასების მიზნით, რომელზედაც კორელიზებულია ნიადაგის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილაკების გადაადგილება, მიღებულია თეორიული კავშირი საწყის გრადიენტსა და წყალშევსების ხარისხს შორის. ასეთივე სახის დამოკიდებულებაა მიღებული ფილტრაციის კოეფიციენტთან კავშირში. დადგენილია არანიუტონურობის გავლენა სარწყავი წყლის ჰიდრავლიკურ წინააღმდეგობაზე და წყალჟონვადობის მახასიათებელზე.

სირთულიდან გამომდინარე და მორწყვის პროცესთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით, ნიადაგების სრული გაჯერებისა და ჰაერაციის ზონაში ჰიდროლოგიისა და ჰიდრავლიკის ინოვაციურ მოდელებზე დაყრდნობით აპრობირებულია სარწყავ ფართობზე დანაკარგების გარეშე – ეროზიის გამორიცხვით წყლის განაწილების მოდელები, გამოყვანილია ფართობების თანაბრად გატენიანების საანგარიშო დამოკიდებულები წყლის გადინების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სარწყავ ფართობზე წყლის თანაბარი ინტენსიობით განაწილების მიზნით წყალშთანთქმის თანაბარი ჩაჟონვის პრინციპზე დაყრდნობით, მისაწოდებელი წყლის სიღრმის სიმკვრივის და ჰიდრავლიკაში აპრობირებული არანიუტონური სითხეების სიჩქარის მოდელის გათვალისწინებით განსაზღვრულია ფართობის დასაწყისში მისაწოდებელი ხარჯის, ნაკადის გადინების სიგრძისა და დროის, საანგარიშო დამოკიდებულებები. დადგენილია კავშირები სარწყავი ზოლების ზომებისა და სარწყავი ნაკადის პოტენციალს შორის სარწყავი ნორმისა და მორწყვის ხანგრძლივობასთან კავშირში.

შეფასებულია ფართობზე სარწყავი წყლის თავისუფალი ზედაპირის ფორმირების სახე ხარჯთან, დროსთან, წყალჟონვადი ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებელთან. დაზუსტებულია ნიადაგის ფორებში ბმული წყლის არსებობის შესაძლებლობები და გავლენა სარწყავ მახასიათებელზე. ნიადაგში არსებული ბმული წყლის გავლენის გათვალისწინებით შეფასებულია ფართობზე სარწყავი წყლის გადაადგილებისა და მის ტანში მიგრაციის შესაძლებლობები, ნიადაგის ეროზიული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დაზუსტებულია სარწყავი წყლის ხარჯის ზღვრები;

ნიადაგ-გრუნტის ჰიდროფილურობიდან გამომდინარე და სხვადასხვა რიგით მიკრო და მაკრო ზომის ნაწილაკების ხვედრით ზედაპირზე ფორმირებული წყლის სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებით გამოყვანილია წყალჟონვადობის და ფილტრაციული მაჩვენებლების ახალი საანგარიშო ფორმულები რეოლოგიური ინდექსების გათვალისწინებით.

ექსპერიმენტული კვლევა საცდელ ფართობზე არსებული ნიადაგების კომპლექსურ შესწავლაზე იყო ორიენტირებული, რაც ნიადაგში მიმდინარე პროცესების სპეციფიკურობას ითვალისწინებდა რწყვის პროცესზე. ამ მიზნით მოხდა შერჩეული ფართობის სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის მოწესრიგება და საკვლევი სიდიდეების შესწავლის მიზნით შერჩეულ იქნა სპეციალური ჭრილები, ნიმუშების მორფომეტრიის, წყალჟონვადობის მახასიათებლების მაკომპრომენტირებული მასალები სურათების სახითაა მოცემული.

შესწავლილ იქნა საცდელი პოლიგონის ნიადაგების ზღვრული წყალტევადობა, რწყვის პროცესის რეგულირება მიმდინარეობდა ფერტიგაციითა და კვლებში მიშვებით,

ნიადაგის მოცულობითი წონის განსაზღვრა, მაქსიმალური მოლეკულური ტენის განსაზღვრა, ფილტრაციის სიჩქარის, ზღვრული წყალტევადობის გრანულომეტრიული შედგენილობა განხორციელდა სტანდარტული მეთოდებით როგორც საველე, ისე ლაბორატორიულ პირობებში.

ლაბორატორიული კვლევები ეძღვნებოდა ნიადაგის მახასიათებლების გავლენას ნაკადის მოძრაობასა და ჰიდრავლიკურ წინააღმდეგობაზე. კვლევა განხორციელდა 5 სახეობის ნიადაგზე, რომელთა მახასიათებელ პარამეტრად შერჩულ იქნა ტენის შემადგენელი ნაწილაკის დიამეტრი. ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის შესწავლა განხორციელდა ფილტრაციის სიჩქარის საშუალო ზედაპირული ფართობის სხვადასხვა მნიშვნელობებზე.

გრაფიკებიდან მიღებული დამოკიდებულებების საფუძველზე მათი გარდაქმნებითა და გამარტივებებით სარწყავი ნაკადის ფართობზე მოძრაობის დროს გამოყვანილი იქნა ჰიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის საანგარიშო დამოკიდებულება.

ჯგუფის ხუთივე წევრი ჩართული იყო საპროფესორო საქმიანობაში. ე. კუხალაშვილი არის – აგრარული უნივერსიტეტის და სტუ-ს პროფესორი; გავარდაშვილი – სტუ-ს პროფესორი; შ.კუპრეიშვილი – სტუ-ს საბაკალავრო პროგრამის „ბუნებრივი საფრთხეები, მდგადი გარემო და დაცვა“ პროგრამის ხელმძღვანელი, თ.სუპატაშვილი და გ.ნატროშვილი – სტუ-ს ასისტენტ პროფესორები.

ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი გარანტის: „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟი“ AR-18-1244 (ხელმძღვანელი – პროფ. ე. კუხალაშვილი) შესრულებაში.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირების მიმართულებით ჯგუფის წევრები იყვნენ სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული რეცენზენტები.

საკოორდინაციო ჯგუფის ძალისხმევით განხორციელდა საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება გარემოს საკითხებთან დაკავშირებით (საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე აკად. გ. გავარდაშვილი), კონფერენცია მიმდინარეობდა ა/წ 31 მაისდან 4 ივნისის ჩათვლით დუშეთის მუნიციპალიტეტში.

7.5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

7.5.1 სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულების ეროვნული კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსები ნუგზარ ბალათურია, თემურ რევიშვილი)

დარგობრივ ჯგუფში ორი კოორდინატორის (აკადემიკოსები თემურ რევიშვილი და ნუგზარ ბალათურია) გარდა შედიოდა კიდევ 9 წევრი: ედიშერ კვესიტაძე - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, სტუ-ის პროფესორი და ფაკულტეტის დეკანი, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი, მარინე ხოსიტაშვილი - სტუ-ს კვების მრეწველობის ინსტ. სამეცნ.საბჭოს თავ-მარე, ი.გოგებაშვილის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნ.მეცნ.დოქტ, თემურ ღვინიაშვილი - ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, გიორგი გრიგორაშვილი - სტუ-ის კვების მრეწვ.ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი, სტუ-ის პროფესორი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი, ქეთევან კინწურაშვილი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწ. უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დეკანი,

სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, ლია კოტორაშვილი, სტუ-ს კვების მრეწველობის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ტექნ. დოქტ., გაგა ბუიშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტექნ. დოქტ. მედეა ორმოცაძე, სტუ-ის კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივანი, ტექნ.დოქტორი ომარ კაჭარავა - საქ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი.

დარგობრივი ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს 11 სამეცნიერო სტატია, მ.შ. ინგლისურ ენაზე:

- Revishvili T. and oth. New Energy-saving Technology of Green Tea. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 17, # 4, 2023. – pp 111-117;
- Revishvili T. and oth. New Energy saving machine technology of green tea. XI International Scientific Congress “Agricultural Machinery” Proceedings, vol. 1/10, June 2023, Varna, Bulgaria. – pp. 44 – 46.

ასევე, ჯგუფის ჭევრებმა მონაწილეობა მიიღეს 7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში.

ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისთვის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის (2022-2023 ერთი სამეცნიერო საგრანტო პროექტის: „მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი სამანქანო ტექნოლოგიის შემუშავება და რეალურ გარემოში ტესტირება“ შესრულებაში, რომლის თანახელმძღვანელი იყო აკად. თ.რევიშვილი.

აკად. თ.რევიშვილი იყო ერთი გამოგონების: მოგრეხილი ჩაის ფოთლის მაფორმირებელ - საშრობი დანადგარი (განაცხადი AU 2023 16196, 22.03. 2023) თანაავტორი. გამოგონებაზე პატენტის გაცემის შესახებ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება (სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი # 19 (622), 10.10.2023)

ჯგუფის წევრებმა შეასრულეს შემდეგი სამუშაოები:

1.კომპანია „ბლუბერი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) გაეწია ტექნოლოგიური ხასიათის დახმარება აქტინიდიის (კივი) დაბალკონდიციური ნაყოფის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის შემუშავებაში. ლაბორატორიულ პირობებში მიღებულ იქნა დამატებითი ღირებულების მქონე სასურსათო პროდუქტები.

2. საინჟინრო-ტექნოლოგიური ხასიათის საკონსულტაციო დახმარება გაეწია შპს „ექსპოფრუიტს“ (ქობულეთის მუნიციპალიტეტი), სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მონაწილეობის მისაღებად. კომპანიას გადაეცა საწყისი მონაცემები მანდარინის ნაყოფის დაკლიბრება-დახარისხების მაღალეფექტური დანადგარის დანადგარის დამზადებასა და დაბალკონდიციური ნაყოფის კომპლექსური, მცირენაწიანი გადამუშავების ტექნოლოგიური შემუშავებაზე.

3. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, თანადაფინანსების პრინციპით, კონკურსში გამარჯვებულ ინდ. მეწარმისთვის „თამარ ლლონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) „მაღალხარისხოვანი მწვანე ჩაის წარმოების ენერგოდამზოგი ინოვაციური სამანქანო ტექნოლოგიის“ დამზადებისა და გამართვისთვის შპს „მეტალტექნიკა 2020“-ს (სასურსათო მანქანათმშენებლობის კომპანია, ქ. ოზურგეთი) გადაეცა შესაბამისი ტექნოლოგიური და ტექნიკური დოკუმენტაცია.

4. ჩაის მწარმოებელ და ექსპორტიორ კომპანიას შპს „ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) გაეწია დახმარება ჩაის პლანტაციის რიგთაშორის დამმუშავებელი და ბუჩქის სასხლავი მცირე სამექანიზაციო მობილური

ინოვაციური ექსპერიმენტული ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიური პროცესის რეალურ პირობებში ათვისებაში.

7.5.2. სურსათის უვნებლობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი)

ჯგუფში მუშაობდა 5 წევრი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი - ეროვნული კოორდინატორი, აკადემიის სტიპენდიატი დარეჯან დულაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი, მერაბ ჟღენტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამსახურის უფროსი, სოფ. მეურნ. მეცნიერებათა დოქტორი, მაკა მდინარაძე - ამავე ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი სპეციალისტი და აკადემიის სტიპენდიატი ეკა კაციტაძე - ცენტრის მთავარი სპეციალისტი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

რადგან, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის პოლიტიკა არ მოიცავს სურსათის უვნებლობის სფეროში, რისკის ანალიზის სამეცნიერო კომპონენტის, ქიმიური და მიკრობიოლოგიური რისკების შეფასების მეცნიერული მეთოდოლოგიების შესწავლის მიზნით განათლების მიღებას (დღემდე ჩატარებულ კონკურსებში არ იდენტიფიცირდება მეცნიერი), რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით, მეცნიერებაზე დაფუძნებული პრევენციული ზომების შემუშავება-გატარებისათვის, მიმდინარე წლის იანვარში, აკადემიის სტიპენდიატ დოქტორ დარეჯან დულაშვილთან ერთად, ჩვენი აკადემიის მხარში დგომით (სასწავლო ოთახი, საჭირო ინვენტარი და სხვა, სხვაგვარად გაგვიჭირდებოდა.) დავამთავრეთ, 2022 წლის ნოემბრის თვეში დაწყებული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის 32 სტუდენტისათვის სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის ანალიზის სამეცნიერო კომპონენტის, ქიმიური და მიკრობიოლოგიური რისკების შეფასების, მეცნიერული მეთოდოლოგიების საბაზისო სწავლების სამ თვიანი სემინარი. სემინარის მონაწილე შვიდმა მაგისტრანტმა მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა, „რისკის შეფასების ორგანოს“ (ცენტრი) მიერ, რისკის შეფასების ორი პროექტის გამოცხადებულ კონკურსში.

თავი 8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2013 წლიდან ფუნქციონირებს „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი“.

ცენტრში გაერთიანებული არიან ამ დარგში მომუშავე მეცნიერები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ ვაზის, ხეხილის, სუბტროპიკული, ბოსტნეული, პარკოსანი კულტურების, საკვები ბალახების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების დაცვისა და შესწავლის ხაზით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის მიზანია საქართველოს გარემოს დაცვა, საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების და სასოფლო – სამეურნეო და გარეული ცხოველებისა და ფრინველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა; მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიების, გაცვლის და მათი დაცვის მიმართულებით შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში მასალის შენახვა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება; გარემოს დაცვის ქმედითი ღონისძიებების შემუშავება; საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ექსპედიციების მოწყობა; მოპოვებული მასალების დამუშავება და მეცნიერული ანალიზის გაკეთება; შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება და საზოგადოების ინფორმირება, სემინარების მოწყობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ცენტრის თანამშრომლების მიერ წლების განმავლობაში ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების და სასოფლო – სამეურნეო ცხოველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა;
- მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიება, შესწავლა/დამუშავება და მათი დაცვა შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში (კორეის ბიომრავალფეროვნების ცენტრის გენბანკი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა კანონპროექტი „კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენარჩუნებისა და მათი გამოყენების შესახებ“, რომელიც განხილვის პროცესშია და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოში მოღვაწე თესლის ბანკების წარმომადგენლებს.

2023 წელს ცენტრის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენარჩუნების და აგრობიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ✓ გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა თემაზე: „თბილისისა და მის შემოგარენში ფიჭვების მდგომარეობა და მათი ხმობის მიზეზები“;
- ✓ დედამიწის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა;
- ✓ ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარი;
- ✓ ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების

საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ 29-30 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო მოლდოვას რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში „ცხოველთა გენეტიკური ფონდების მართვა - პრობლემები, გადაწყვეტილებები, პერსპექტივები“. იგი პლენარულ სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით „საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ცხოველთა გენეტიკური რესურსები.“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მიმდინარე წლის 4-6 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ჩატარებულ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“.

თავი 9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

წლების განმავლობაში აკადემია თანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან: CGIAR – სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (აშშ); ICARDA - მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (იორდანია); CIMMYT - ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (მექსიკა); ICRISAT – ნახევრად არიდული ტროპიკული კულტურების საერთაშორისო საეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); BIOVERSITY INTERNATIONAL - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (იტალია); ACIRO - მსოფლიო მებოსტნეობის ცენტრი (ტაივანი); CACAARI - ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); IFPRI სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ); BACSA - შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაცია (ბულგარეთი), CIP - კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (პერუ); ჩინეთისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; ბელორუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ვავილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი).

აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის 43 ხელშეკრულება (მემორანდუმი) მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებთან და ინსტიტუტებთან.

აკადემია ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციას “CACAARI”, რომელშიც ამ

რეგიონის 8 ქვეყანაა გაერთიანებული; აკადემია ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმთან „CGIAR“, რომლის შემადგენლობაშიც შედის მსოფლიოს 16 საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ექვსთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ერთობლივ კვლევებზე. 1998 წლიდან აკადემია არის სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ ფორუმის „GFAR“ აქტიური წევრი.

ნაყოფიერია აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა: უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; უკრაინის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (უკრაინა); ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან (უკრაინა); ვინიცის, პოდოლსკის, ოდესის და ბელაიაცერკოვის სახელმწიფო ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტებთან (უკრაინა); ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მეცნიერებათა აკადემიასთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტთან ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; საქართველოს ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევით ცენტრთან; ჟურნალ „ახალ აგრარულ საქართველოსთან“; ტელევიზია "საფერავი ტვ"-თან.

2023 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2023 წლის 03 თებერვალს;
2. ფონდ „განვითარება და გარემოსთან“ 2023 წლის 06 ივლისს;
3. მოლდოვას ზოოტექნიკის და ვეტერინარული მედიცინის ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტთან 2023 წლის 29 სექტემბერს;
4. ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან 2023 წლის 2023 წლის 05 ოქტომბერს;
5. უკრაინის კამიანეც-პოდოლსკის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტთან 2023 წლის 2023 წლის 05 ოქტომბერს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის



2023 წლის 3 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის

ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, პრეზიდიუმის მრჩეველი და სამეცნიერო მიმართულებების კონსულტანტი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან - ხელმძღვანელები და დეპარტამენტის უფროსები: მინისტრი ბატონი ოთარ შამუგია, მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნი გიორგი ხანიშვილი, მინისტრის მოადგილე ბ-ნი სოლომონ პავლიაშვილი, მინისტრის მოადგილე ბ-ნი აპოლონ კაკაბაძე, სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი თენგიზ კალანდაძე, პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის ხელმძღვანელი ქ-ნი ეკატერინე ზვიადაძე, მინისტრის მრჩეველი ბატონი ომარ კაჭარავა.

შეხვედრა წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. მისალმება.

მინისტრი ოთარ შამუგია;

აკადემიის პრეზიდენტი. აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განხილვა და გაფორმება.

მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ძირითადი მიზნები და ამოცანები.

მომხსენებელი: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

4. საქართველოს დასავლეთ რეგიონებში მცენარეთა მავნებლის „ფაროსანას“ წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების დანერგვის შესაძლებლობის შესახებ აკადემიის ინფორმაცია.

მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა-აკადემიისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაფართოება და გააქტიურება, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის წარმოების დღევანდელი პრობლემებიდან გამომდინარე.

მომხსენებელი: მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი.





შეხვედრის დასასრულს გაიმართა მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონია.

2023 წლის 6 ივლისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ფონდ „განვითარება და გარემო“ -ს შორის.



საზეიმო სხდომა, რომელიც მიემდგვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ფონდ „განვითარება და გარემო“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, რომელმაც მისალმების შემდეგ ფართოდ ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ფონდ „განვითარება და გარემო“ - ს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის

გაფორმების მიზანზე. აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ გააზრებული იქნეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ტყესთან მიმართებაში, რასთან დაკავშირებითაც აკადემიამ გარკვეულწილად თავისი სიტყვა უნდა თქვას. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აკადემიის წევრებს, პრაქტიკოს-მეტყველებს და საკითხის მცოდნე პირებს საშუალებას მისცემს აქტიურად ჩაერთონ ფონდ „განვითარება და გარემო“ -ს მიერ გამოცემული ჟურნალის „ველური ბუნება“ თემატიკაში, მეცნიერული კუთხით გააძლიერონ იგი და ამდენად კიდევ უფრო მეტად გაზარდონ მისი მნიშვნელობა. საზეიმო სხდომაზე სიტყვით

გამოვიდნენ ფონდ „განვითარება და გარემო“-ს აღმასრულებელი დირექტორი, ბატონი გოჩა კობერიძე და ფონდის თავმჯდომარე, ბატონი თეიმურაზ ტყემალაძე. ბატონმა გოჩა კობერიძემ ისაუბრა ფონდის მიერ შესრულებულ და სამომავლოდ შესასრულებელ პროექტებზე. რაც შეეხება ბატონ თეიმურაზ ტყემალაძეს, მან მსმენელთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უკანასკნელ პერიოდში გარემოს დაცვასა და ტყესთან დაკავშირებით ქვეყანაში არაერთი პრობლემა გაჩნდა: ჰაერის დაბინძურება, ბრაკონიერობა, ხე-ტყის უკანონო ჭრები, ყოველივე ნეგატიურად ისახება ქვეყნის კეთილდღეობაზე. ამ მხრივ აუცილებელია გამკაცრდეს თითოეული ღონისძიება, რომელიც დაგვიცავს მსგავსი ტიპის უარყოფითი მოვლენებისაგან.

სხდომის მსვლელობისას მემორანდუმთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოხატეს აკადემიკოსებმა: ნ. ჭითანავამ, გ. ალექსიძემ, გ. მარგველაშვილმა, ზ. ცქიტიშვილმა, რ. ასათიანმა, დოქტორმა გ. ქავთარაძემ. მათ გამოთქვეს აქტიური ჩართულობის მზაობა აკადემიისა და ფონდის ერთობლივ საქმიანობაში.



სხდომის დასასრულს გაფორმდა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ფონდ „განვითარება და გარემო“-ს შორის. აკადემიის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, ხოლო ფონდ „განვითარება და გარემო“-ს მხრიდან, ფონდის თავმჯდომარემ, ბატონმა თეიმურაზ ტყემალაძემ.

თავი 10. სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საზეიმო შეხვედრები

ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია



2023 წლის 5 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა დიდი ქართველე მეცნიერის, სამთო მეტყევეობის ფუძემდებლის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ, აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სტიპენდიატები: ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე და მარიამჯვრის

სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, ასევე მოწვეული სტუმრები: წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები, სოფლის მეურნეობის დოქტორები ნატო კობახიძე და ალექსანდრე აფციაური, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, ბიოლოგიის დოქტორები: მედეა ბურჯანაძე და არჩილ სუპატაშვილი, მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის დოქტორი გიული წერეთელი, დოქტორანტები: ნატალია ხარაბაძე და გიორგი ჯინჭარაძე და აგრარული უნივერსიტეტის და ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის მიმართულების სტუდენტები.

კონფერენცია გახსნა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ მან ისაუბრა ვ. გულისაშვილის მიერ საქართველოში სატყეო მეცნიერების განვითარებისათვის გაწეულ უდიდეს ღვაწლზე, მის მიერ დაარსებული სატყეო ინსტიტუტის მნიშვნელობასა და საქმიანობაზე. აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე ასევე შეეხო საქართველოს ტყეების არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს, ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა თაობის ჩართულობის აუცილებლობაზე სატყეო მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგნენ: ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, სატყეო საქმის დოქტორი გ. ქავთარაძე; წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე; მარიმაჯვრის დაცული ტერიტორიის დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი და ვ. გულისაშვილი სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი მედეა ბურჯანაძე. დოქტორმა გ. ქავთარაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკადემიკოს ვ. გულისაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები, ისაუბრა მის კვლევებზე, სატყეო დარგის მიმართულებით გამოცემულ სახელმძღვანელოებსა და ფუნდამენტურ ნაშრომებზე. აღინიშნა, რომ ვ. გულისაშვილის სახელმძღვანელოებზე, რომელთა შორისა: მცენარეთა ეკოლოგია, ზოგადი მეტყვეობა, ბუნების დაცვის საფუძვლები და სხვა, არაერთი მეტყვევ-სპეციალისტი აღიზარდა და მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა. ვ. გულისაშვილი იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი, როგორც მისი თანამედროვენი აღწერდნენ „ბუნების დაუღალავი მკვლევარ-მოგზაური, ვისაც ფეხით ჰქონდა შემოვლილი ამიერ და იმიერ კავკასიის ტყეები.“

სოფლის მეურნეობის დოქტორის რეზო ვასაძის მოხსენების თემა გახლდათ: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა“. თავის მოხსენებაში იგი შეეხო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ტყის ზოლში



გავრცელებულ მავნებელ-დაავადებებს, აღწერა მათი ზემოქმედებით ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა. საუბარი წარიმართა აჭარასა და ართვინის პროვინციებში გავრცელებული ტყეების არსებულ მდგომარეობაზე. ყურადღება

გამახვილდა ისეთ მავნებლებზე, როგორებიცაა ნაძვის მბეჭდავი და კენწეროს ქერქიჭამიები, პათოგენური სოკო ე. წ. ბზის სიღამწვერე, ბზის ალურა და სხვა, მათ მიერ გამოწვეულ ზარალზე და ამ მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე. დოქტორმა რ. ვასაძემ ასევე ისაუბრა საჭმელი წაბლის მავნებლებზე, რომელთა შორის გამოყო მეტად საშიში მავნებელი აზიური წაბლის ბუზი. აღნიშნა, რომ ჩვენდა სასიხარულოდ, ეს მწერი აჭარაში არ არის დაფიქსირებული.

მარიამჯვრის დაცული ტერიტორიის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა ზვიად ტიგინაშვილმა ისაუბრა მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალზე, აკადემიკოს ვ. გულისაშვილის როლზე მის დაარსებაში. ხაზი გაუსვა მარიამჯვრის ნაკრძალის ბიომრავალფეროვნებას და მისი დაცვის აუცილებლობას. მცენარეებიდან გამოყო ისეთი სახეობები, როგორებიცაა: სოსნოვსკის ფიჭვი, ჭალის მუხა, უთხოვარი, საღსაღაჯი, რცხილა, ჯაგრცხილა და სხვ. რაც შეეხება ფაუნის წარმომადგენლებს, აღნიშნა, რომ აქ გვხვდება: ევროპული შველი, მგელი, ტყის კატა, ტყის კვერნა, ჩვეულებრივი მელა, მაჩვი, გარეული ღორი, მურა დათვი, ტურა, კოლხური ხოხობი, დურაჯი, კაკაბი, ბექობის არწივი და სხვ. დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა მსმენელებს მოუთხრო ასევე ნაკრძალის ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამართალდარღვევების სახეებზე და მათი აღკვეთის ღონისძიებებზე, ტყეების სანიტარულ მდგომარეობაზე, მართვაზე და სხვ.

ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი მედეა ბურჯანაძე აუდიტორიის წინაშე წარსდგა პრეზენტაციით: „წაბლის ქერქის კიბო *Cryphonectria parasitica* და მის წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდის დანერგვა საქართველოში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს წაბლნარებში ხმოზა მრავალი ათეული წელია მიმდინარეობს, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ისეთმა დაავადებამ, როგორიცაა წაბლის ქერქის კიბო. დაავადების გამომწვევი სოკო აზიანებს ქერქს, რომელზედაც ზოგჯერ წარმოიქმნება კიბოს ნეკროზები. სოკო იწვევს ტოტების მასობრივი ხმობას, წვერხმელობას და ფოთლების ჭკნობას. სოკოს გავრცელება ხდება მწერების, ფრინველების, ქარისა და წვიმის საშუალებით. შვეიცარიელ, მაკედონელ და ხორვატ კოლეგებთან თანამშრომლობით, საქართველოში ჩატარდა წაბლნარების პათოლოგიების გამოკვლევები, რომლის მიზანი იყო, როგორც დაავადების გავრცელების დადგენა, ასევე ამ დაავადების წინააღმდეგ ბიოკონტროლისათვის სოკოს ჰიპოვირულენტური შტამების გამოვლენა. გამოკვლევები ჩატარდა ქვეყნის 14 რაიონში. საქართველოსა და შვეიცარიაში ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა გამოავლინა *C. Parasitica* - ს პოპულაციური მრავალფეროვნება, ხოლო შვეიცარიაში ჩატარებულმა გენეტიკურმა ანალიზმა კი - გენეტიკური მრავალფეროვნება და ჰიპოვირულენტური შტამების არსებობა საქართველოში. გამოვლენილი იქნა ქართული ყველაზე აქტიური ჰიპოვირულენტური შტამები CHV-1, რომელიც ინახება შვეიცარიაში ტყის თოვლისა და ლანდშაფტის ფედერალურ ინსტიტუტში (WSL). საქართველოდან გაგზავნილი 664 *C. parasitica* იზოლატიდან, 62 იზოლატი დადებითად დადასტურდა CHV-1-ზე. საყურადღებოა, რომ CHV-1 შტამებიდან შესაძლებელია დამზადდეს ბიოლოგიური პრეპარატი, რომელიც გამოყენებული იქნება წაბლის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მოხსენების ბოლოს პროფესორმა მ. ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს წაბლნარების გაჯანსაღების მიზნით, საჭიროა სამუშაოების გაგრძელება, რაც საჭიროებს დამატებით ფინანსური რესურსების მოძიებას და ახალგაზრდა კადრების მოზიდვას.



კონფერენციის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული, როგორც სატყეო დარგის მეცნიერები, ასევე სტუდენტები. წარმოდგენილი მოხსენებების ირგვლივ დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზედაც მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

კონფერენციაზე აღინიშნა, ისიც რომ ვ. გულისაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სატყეო დარგის მეცნიერებმა ყვავილების გვირგვინით შეამკეს აკადემიკოს ვ. გულისაშვილის საფლავი.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მობრძანებისა და კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისათვის.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მოლდოვაში

2023 წლის 29/30 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციის "ცხოველთა გენეტიკური ფონდების მართვა, პრობლემები, გადაწყვეტილებები, პერსპექტივები" მუშაობაში, რომელიც გაიმართა მოლდოვას რესპუბლიკაში. იგი მოხსენებით გამოვიდა პლენარულ სხდომაზე.



კონფერენცია გახსნა მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ბორის გაინამ.

ლონისძიების ორგანიზატორები იყვნენ მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ინსტიტუტი ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის სიცოცხლის მეცნიერებათა დეპარტამენტი, მოლდოვას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო და მოლდოვას კვლევისა და განვითარების ეროვნული სააგენტო.

კონფერენცია გახსნა მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ბორის გაინამ. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა

ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ოლეგ მაშნერი.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ზოოინჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ინსტიტუტს შორის.

საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია - „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები



მიმდინარე წლის 4-6 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (MG-ISE-23-923) ჩატარდა საერთაშორისო - სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“. კონფერენციის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი წარმოდგენილი იყო - 5 ქვეყნის

(საქართველო, საფრანგეთი, ლატვია, უკრაინა, რუმინეთი), მეცნიერთა შემადგენლობით.

კონფერენციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი იური ნოზაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი აპოლონ კაკაბაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ბატონი ზაზა მარუაშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, ბატონი ივერი ახალბედაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე, საქართველოს საპატრიარქოს სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, ბატონი ბაკურ გულუა, ასევე უცხოელი და ქართველი მეცნიერები.

4 ოქტომბერს კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან ისაუბრა კონფერენციის თემის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ დღეს მთელ მსოფლიოში მეტად მწვავედ დგას როგორც ზოგადად ბიომრავალფეროვნების, ასევე სასოფლო-



სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სისტემების მდგრადობის, სასურსათო სუვერენიტეტის, ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ნედლეულით მომარაგებისა და შემოსავლების ზრდის ხელშემწყობია. შემდეგ ბატონმა გივი ჯაფარიძემ სიტყვა მისალმებისათვის გადასცა ქართველ და უცხოელ სტუმრებს. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ და კონფერენციის მუშაობაში წარმატება უსურვეს ბატონებმა: როინ მეტრეველმა, იური ნოზაძემ, ზაზა მარუაშვილმა, ივერი ახალბედაშვილმა, ლევან უჯმაჯურიძემ, უცხოელ სტუმართაგან: საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის ყოფილმა პრეზიდენტმა, პროფესორმა მიშელ ტიბიერმა, ლატვიის სოფლის მეურნეობის და სატყეო მეცნიერებების აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა ბაიბა რივზამ, რუმინეთის ქ. სუჩავას გენბანკის დირექტორმა, დოქტორმა სილვია სტრაჯერუმ, უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სელექცია-გენეტიკის ლაბორატორიის უფროსმა, უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ელიზავეტა ფედოროვიჩმა.

მისალმებების შემდეგ, კონფერენციის მუშაობის პროგრამის შესაბამისად გაიმართა პლენარული სხდომა, რომელზეც მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორი მიშელ ტიბიერი. მისი მოხსენების თემა გახლდათ: „განსაკუთრებული აქცენტი ფრანგული პირუტყვის ჯიშებზე, რომლებსაც გადაშენება ემუქრებათ“; პროფესორი ბაიბა რივზა მსმენელთა წინაშე წარსდგა მოხსენებით: „ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი გადაწყვეტილებების შესწავლა: მიკრობული ინოვაციების ინტეგრირება სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივაციაში ლატვიაში“; აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება ეხებოდა „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიომრავალფეროვნებას საქართველოში“; პროფესორმა ელიზავეტა ფედოროვიჩმა ისაუბრა თემაზე: „მეთოდოლოგიური ასპექტები სასოფლო-სამეურნეო ცხოველების გენეტიკური რესურსების კონსერვაციის მეთოდოლოგიაში უკრაინაში“, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ კი წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება“.



მოკლე შესვენების შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა სამუშაოდ გადაინაცვლეს შესაბამის სექციებში. მუშაობა წარიმართა 2 სექციაში. **I სექციას - სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ბიომრავალფეროვნება** ხელმძღვანელობდა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა

მარგველაშვილი, **II სექციას - სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ბიომრავალფეროვნება** კი - აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. სექციების მუშაობის დასრულების შემდეგ გაიმართა შემაჯამებელი დისკუსია, რომელზეც აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა და აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს სექციების მუშაობის შედეგები. აღინიშნა, რომ სექციებზე წარმოდგენილი თითოეული მოხსენება დამსწრე საზოგადოების მხრიდან დიდ ინტერესს იწვევდა და მეტად პრობლემატურ საკითხებს ეხებოდა. წარმოდგენილ მოხსენებებს შორის ყურადღება მიიპყრო რუმინეთის დელეგაციის წარმომადგენელის ანდრა-საბინა ნიკულაუ-ვალეანუს ნაშრომმა, რომელმაც იგი პოსტერის სახით წარმოადგინა. არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ უკრაინის დელეგაციის წარმომადგენლის, პროფესორ ტატიანა სუპროვიჩის მოხსენებაც, რომელიც ეხებოდა ძროხის BOLA-DRB3 გენის ბიომრავალფეროვნებას.

5 ოქტომბერს სექციებმა მუშაობა დილის 10 საათიდან გააგრძელეს. მუშაობის დასრულების შემდეგ გაიმართა შემაჯამებელი დისკუსია. აღინიშნა, რომ სულ 2 დღის განმავლობაში **I სექციაში - სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ბიომრავალფეროვნება** მოსმენილი იქნა 17 მოხსენება, ხოლო **II სექციაში - სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ბიომრავალფეროვნება** - 12 მოხსენება. ამის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ნათლად იყო წარმოჩენილი კონფერენციის მიზანი და ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა და კონფერენცია დახურა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თითოეულ მონაწილეს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის და წარმატება უსურვა შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

კონფერენციის მონაწილეებმა, კონფერენციის ორგანიზატორებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, რის შემდეგ მოწვეული უცხოელი სტუმრებისათვის მოეწყო თემატური ექსკურსია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე. ადგილზე სტუმრებს დახვდნენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე და კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები.



აკადემიკოსმა ლ. უჯმაჯურიძემ სტუმრებს მოუთხრო ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნების შესახებ. ვაზის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ადგილზე ქართველი კაცის ყოფაში. აღნიშნა, რომ ქართული ვაზის ჯიშების რაოდენობა 500-ს აჭარბებს. შემდეგ სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს რთველში. მასპინძლებმა უცხოელ სტუმრებს ანახეს ჩურჩხელის ამოვლების პროცესი. თითოეულ მათგანს საშუალება მიეცა თავად დაემზადებინათ ეს ნუგბარი. სტუმრებმა ყურძნის გარდა დააგემოვნეს ჯილაურას ბაზაზე მოყვანილი ხილი და ქართული ღვინოები.

7 ოქტომბერს კონფერენციის უცხოელი სტუმრებისათვის მოეწყო ექსკურსია ბოდბის დედათა მონასტერში და ყვარლის ღვინის გვირაბში, რომლის სპონსორიც გახლდათ კომპანია ხარება, აღნიშნული კომპანია წლების განმავლობაში მხარს უჭერს აკადემიის მიერ ჩატარებულ საერთაშორისო ღონისძიებებს. ყვარლის გვირაბში სტუმრებს მეგზურობა გაუწია გიდმა, რომელმაც დაწვრილებით მოუთხრო მათ მისი შექმნის ისტორია და ამჟამად გვირაბის მფლობელის კომპანია „ხარების“ შესახებ. სტუმრები გვირაბის დათვალიერების შემდეგ ქვევრის გახსნის ცერემონიალის მომსწრეები გახდნენ. მათ დააგემოვნეს ქვევრის ღვინო და თიხის ფიალებითაც დასაჩუქრდნენ. ღვინის გვირაბის გარე ტერიტორიაზე სტუმრები გაეცნენ შოთის პურის გამოცხობის პროცესს და თავადაც ჩააკრეს პური თონეში.



ასევე ამოავლეს ჩურჩხელები, რის შემდეგ კომპანია „ხარებამ“ მათ საზეიმო ვახშამი მოუწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის მუშაობაში უშუალო მონაწილეობა მიიღო 200-მდე მეცნიერ-მკვლევარმა, დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა კრებული, რომელშიც გაშუქდა

100 სამეცნიერო სტატია. მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო ჩანთები, საწერ-კალმები, ბლოკნოტები, სამეცნიერო შრომათა კრებულები და სერტიფიკატები. კონფერენციის სამივე დღე გაშუქებული იქნა საფერავი ტვ-ს მიერ.

11 თებერვალი - მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე



მიმდინარე წლის 13 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღეს. სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოს გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, აკადემიკოსი

ანატოლი გიორგაძე, მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნები: დოქტორი მარინე ბარვენაშვილი და აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის ბრძანდებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსი ზაზა მარუაშვილი, მეცნიერების დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ხუციშვილი და აგრარულ დარგში მოღვაწე მეცნიერ-აგრარიკოსი ქალბატონები.

სხდომა გახსნა და აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან მოკლედ მიმოიხილა მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღის დაარსების მიზანი. აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა დარგში არაერთი მეცნიერი ქალბატონი მოღვაწეობს, რომელთა შორის მრავლად არიან წარმატებული მეცნიერი აგრარიკოსი-ქალბატონები. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აგრარული მეცნიერების და შესაბამისად დარგის განვითარებაში, რის გამოც აღნიშნული ქალბატონების შრომა და ღვაწლი მეტად საგულისხმო და დასაფასებელია. შემდეგ ბატონმა გურამმა სიტყვა გადასცა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლულ მდივანს, დოქტორ მარინე ბარვენაშვილს, რომელიც დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით: „**საქართველოს აგრარული დარგის გამოჩენილი მეცნიერი ქალები**“.

დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა მიმოიხილა აგრარულ დარგში მოღვაწე წარსულის და თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერი ქალბატონების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ამსახველი მნიშვნელოვანი ეპიზოდები, მ. შ. ქსენია ბახტაძის, რომელიც



გახლდათ პირველი ქართველი აკადემიკოსი ქალბატონი. მის მიერ გამოყვანილი ჩაის 19 ჯიშიდან, "ქართული სელექციური ჩაი №1"-ს, და "ქართული სელექციური ჩაი №2"-ს, შექმნისათვის 1948 წელს ქალბატონ ქსენია ბახტაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. ქვეყნის წინაშე

არანაკლები დამსახურება მიუძღოდა ქალბატონ რუსუდან ხუბუტიასაც, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა ეხებოდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასარეველიანობის პრობლემას, აგროცენოზის ფორმირების კანონზომიერებებს, სარეველების მავნეობის, ბიოეკოლოგიის ასპექტებს. ქალბატონი რუსუდანი გახლდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ/კორესპონდენტი.

რაც შეეხება დღევანდელობას, მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსზე, ქალბატონ გოგოლა მარგველაშვილზე, რომელიც ამავდროულად გახლავთ აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. სპეციალობით აგროქიმიკოსი, იგი საქართველოს ისტორიაში ამ დარგში ერთადერთი ქართველი აკადემიკოსი ქალია. საყურადღებოა ისიც, რომ აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი ითვლება აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების ეფექტური გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავების ქართული სამეცნიერო სკოლის ხელმძღვანელად. შემდეგ დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა ისაუბრა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ლამარა ჯიქიას, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაირა ქაფიაშვილის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მზალო ლოზჟანიძისა და სოფლის მეურნეობის დოქტორის ნატალია დიაკოვას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, მათ ღვაწლზე აგრარული მეცნიერების განვითარების საქმეში.

მომხსენების დასასრულს დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა დარბაზში მყოფ მეცნიერ-ქალბატონებს კიდევ ერთხელ მიულოცა მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე, უსურვა დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და წარმატება სამეცნიერო საქმიანობაში.



დოქტორ მ. ბარვენაშვილის მოხსენების შემდეგ, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ სიტყვა გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ზაზა მარუაშვილს. ბატონმა ზაზამ დარბაზში მყოფ ქალბატონებს მიულოცა ღირსშესანიშნავი თარიღი და წინსვლა უსურვა თავიანთ დარგებში. შემდეგ ისაუბრა ქართველ მეცნიერ ქალბატონებზე, მათ როლზე ქვეყანაში მეცნიერების განვითარების მიმართულებით, ასევე ქვეყნის მასშტაბით ზემოაღნიშნულ თარიღთან ჩატარებულ ღონისძიებებზე და აქტივობებზე. ბატონმა ზაზამ იმედი გამოთქვა, რომ მეცნიერი ქალი-აგარარკოსები კვლევაც ჩვეული შემართებითა და ენთუზიაზმით გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და საკუთარ სიტყვას იტყვიან როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ასევე მომავალი თაობის განათლების კუთხით.

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ბოლოს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ აგრარულ დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის აკადემიის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა 19 წარმატებული ქალბატონი, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულმა ქალბატონებმა მადლობა გადაუხადეს აკადემიის პრეზიდენტს ესოდენ დიდი დაფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც დიდ შემართებით გააგრძელებენ შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

3 მარტი - ველური ბუნების მსოფლიო დღე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში 2023 წლის 2 მარტს აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ

აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნები: აკადემიკოსი ლაშა დოლიძე და სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სტიპენდიატი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, ასევე მოწვეული სტუმრები: ბიოლოგიის დოქტორები: პროფესორი მედეა ბურჯანაძე და არჩილ სუპატაშვილი, დოქტორანტი ნატალია ხარაბაძე.

სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან აღნიშნა, რომ ველურ ბუნებაზე ზრუნვა თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში ადამიანის ხშირდ გაუაზრებელი მოქმედების გამო ყოველწლიურად ცხოველთა მრავალი სახეობების გადაშენება ფიქსირდება. საქართველო, თავისი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანაა. მას გაფრთხილება სჭირდება, რადგან სხვა შემთხვევაში შეიძლება გამოუსწორებელი ფაქტის წინაშე დავდეთ. აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ ასევე ისაუბრა იმ ტრადიციებზე, რომელიც ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებთან დაკავშირებით, უკვე წლებია დამკვიდრდა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში. შემდეგ მან სიტყვა გადასცა ბიოლოგიის დოქტორს, პროფესორ მედეა ბურჯანაძეს, რომელიც აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით: „პირველი ქართული მიკრობიოლოგიური პრეპარატი ბოვერ-ჯი (Bover-Ge) მავნე მწერების კონტროლისათვის“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პრეპარატი შექმნილია ენტომოპათოგენური სოკოს *Beauveria bassiana*-ს ადგილობრივი შტამის საფუძველზე. ახალი ბიოპესტიციდის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც მიაწვდის ინფორმაციას ფერმერებსა და დაინტერესებულ პირებს. ბიოპესტიციდი ბოვერ-ჯი იაფია ვიდრე შემოტანილი მსგავსი ტიპის პრეპარატები, ადაპტირებულია ადგილობრივ პირობებთან, ეფექტურია მავნე მწერების წინააღმდეგ (წარმატებით მოქმედებს შემთხვევათა 70-90%-ში), ახასიათებს ხანგრძლივი პესტიციდური მოქმედება სასოფლო-სამეურნეო, დეკორატიული, სატყეო, სათბურის, წყლის, ადამიანის და დაავადების გადამტანი მწერების წინააღმდეგ მიწისზედა და ნიადაგში მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ. იგი უსაფრთხოა, უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა და ორგანული პროდუქციის წარმოებას, არ არის ტოქსიკური, უსაფრთხოა ადამიანისა და გარემოსათვის, არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები.



მომხსენებამ მსმენელთა მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც ქალბატონმა მედეამ ამომწურავი პასუხები გასცა.

სხდომა შეაჯამა აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას დიდი მადლობა გადაუხადა მობრძანებისა და სხდომის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის.

21 მარტი - ტყის საერთაშორისო დღე

მიმდინარე წლის 21 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა **ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარი**.



სემინარს ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრები: აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის სტიპენდიატები: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი; აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ქეთევან ჭიპაშვილი და მარიკა მოსაშვილი;

მოწვეული სტუმრები: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი; აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები, ბიოლოგიის დოქტორები: არჩილ სუპატაშვილი და მედეა ბურჯანაძე; ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, დოქტორი რეზო ვასაძე.

სემინარი გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ,

რომელმაც მოკლე მისალმების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა ტყის საერთაშორისო დღის დაარსების წინაპირობა. აღნიშნა, რომ ტყის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალური ასამბლეის 23 - ე კონგრესზე დაარსდა. გაეროს ყველა წევრი-ქვეყანა და მათ შორის საქართველოც ამ დღეს ახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს, რომლის მიზანიც არის ტყის ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნება. შემდეგ აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ სიტყვა გადაცა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორს, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსს, დოქტორ რეზო ვასაძეს, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „აჭარა თურქეთის მერქნიანი მცენარეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა“.

დოქტორმა რეზო ვასაძემ ისაუბრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრისპირა (ართვინის, შავშეთი) ტყის ტერიტორიებზე. აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიებზე წარმოდგენილია სხვადასხვა ხნოვანების, სიხშირისა და წარმადობის ტყეები, რომელიც განლაგებულია სხვადასხვა ექსპოზიციის საშუალო, მაღალი და მკვეთრი დაქანების ფერდობებზე, ზღვის დონიდან სახვადასხვა სიმაღლეზე. ტყისშემქმნელი ზოგიერთი სახეობის სანიტარული მდგომარეობა, ზოგიერთ ადგილებში მავნებელ დაავადებების ზემოქმედებით რთულ მდგომარეობაშია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა წიწვოვნებიდან ნაძვი და ფოთლოვნებიდან ჩვეულებრივი საჭმელი წაბლი. კორომებში გავრცელებულ მავნებელ - დაავადებების აღმოფხვრის მიზნით, აჭარის სატყეო სააგენტოსა და ართვინის სატყეო მეურნეობის სამხარეო სამმართველოს შორის, გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ხშირად ხდება შეხვედრები, ტყეების დათვალიერება, ლაბორატორიულ პირობებში სხვადასხვა მიმართულებით მავნებელ-დაავადებების გამოკვლევა, იდენტიფიკაცია, ინფორმაციის გაცვლა, ენტომოფაგი მწერების გამოყვანა და ა. შ.

დოქტორ რეზო ვასაძის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელთა მხრიდან. დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხები გასცა.



სემინარი შეაჯამა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო მოხსენებისათვის, დამსწრე საზოგადოებას კი მობრძანებისა და სემინარის მუშაობაში აქტიური ჩართულობისათვის. აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას და მათი გადაჭრისათვის რაციონალური გზების მოძიებას.

22 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, 2023 წლის 20 აპრილს, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა დედამიწის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის

სტიპენდიატები: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე და სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ქეთევან ჭიპაშვილი, ლარისა ჩაიკა და მარიკა მოსაშვილი, ასევე მოწვეული სტუმრები: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრები: ილიას უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, მეტყევე, ეკოლოგი ვასილ მეტრეველი და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარი სპეციალისტი, ეკონომისტი ბაგრატ რაზმაძე.

სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ, მან ისაუბრა დედამიწის საერთაშორისო დღის დაარსების ისტორიაზე, მის მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ამ დღეს მსოფლიოს გარშემო იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები და რომ იგი



ყოველწლიური ღონისძიებაა და 22 აპრილს აღინიშნება. დღესდღეობით დედამიწის საერთაშორისო დღეს 193 მეტ ქვეყანაში ზეიმობენ. შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის „ჭალის ტყის ცვლილებების ანალიზი სატელიტური სურათების გამოყენებით ჭაჭუნას მაგალითზე“ გადასცა მეტყევე-ეკოლოგ ვასილ მეტრეველს.

ვასილ მეტრეველმა აღნიშნა, რომ ზოგადად ჭალის ტყეები, ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ეკოსისტემა მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ისინი ძირითადად დაბლობებზე და ადვილად მისადგომ ადგილებზე მდებარეობს. გარდა ხე-ტყის მოხმარებისა, ტუგაის ტიპის ჭალის ტყეებს უდიდეს ზიანს აყენებს საქონლის მოვება, რადგან ის ესაზღვრება ნახევარ უდაბნოებსა და სტეპებს, რომლებიც ძირითად რესურსს წარმოადგენს, საძოვრების თვალსაზრისით. შემდეგ ისაუბრა ძირითადი თემის ირგვლივ, კერძოდ, ჩატარებული კვლევის მიზნებზე, რომელშიც შედიოდა: მდინარე ივრის ჭალის ტყეების აღწერა და მდგომარეობის შეფასება, მათი ბუნებრივი საზღვრების განსაზღვრა, შედარება დღევანდელ საზღვრებთან და ცვლილებების მიზეზების დადგენა. ასევე, იმის გარკვევა, შეამცირა თუ არა, კონკრეტულად დალის წყალსაცავმა ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაზე არსებულ ჭალის ტყეების ფართობი. იქონია თუ არა გავლენა, იქ არსებული ფლორისტული შემადგენლობის ცვლილებებზე. აღნიშნულის დასადგენად მოხდა დალის წყალსაცავის ზედა და ქვედა ნაწილში არსებული ტყეების მდგომარეობის შეფასება-შედარება, დროის 40 წლიან მონაკვეთში ტყის ფართობების დათვლა 10 წლიანი ინტერვალებით, ცვლილებების გამოვლენა და სხვ. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ 40 წლიან მონაკვეთში ჭალის ტყის ფართობები ჭაჭუნის ალკვეთილის ტერიტორიაზე საგრძნობლად შემცირდა, შეიცვალა ფლორისტული შემადგენლობაც, შესაბამისად დალის წყალსაცავმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, რაც ნათლად აისახა არსებულ ეკოსისტემაზე.

მოხსენების დასრულების შემდეგ წარმოდგენილი თემის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დოქტორებმა: გ. ქავთარაძემ, ნ. გოგინაშვილმა, ზ. ტიგინაშვილმა. დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც ვ. მეტრეველმა ამომწურავი პასუხები გასცა.

სხდომა შეაჯამა აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო პრეზენტაციისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას, მობრძანებისა და სხდომის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის. აღნიშნა, რომ მსგავსი

შეხვედრები ხელს შეუწყობს საქართველოს ჭალის ტყეებთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვა-გადაწყვეტას.

ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2023 წლის 27 აპრილს გაიმართა ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა თემაზე: ვეტერინარია დღეს, მიღწევები, გამოწვევები. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ქეთევან ჭიპაშვილი და ლარისა ჩაიკა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორები: დავით გოდერძიშვილი და მაია კერესელიძე, ვეტერინარიის დოქტორები მარინა ჭიკაიძე, ირაკლი თათრიშვილი, ალექსანდრე ყურაშვილი, ნუნუ ომარაშვილი, აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი დავით ბოსტაშვილი, საქართველოს ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი ლალი ვაშაკიძე და ვეტერინარი ექიმი ანნა ბოჭორიშვილი.



მრგვალი მაგიდა გახსნა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ისაუბრა ვეტერინარიის მნიშვნელობაზე, მის დღევანდელ მდგომარეობაზე, პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დარგის სპეციალისტთა დეფიციტზე, ამ პროფესიისადმი ახალგაზრდების დაბალ ინტერესზე. შემდეგ სიტყვა გადასცა სურსათის ეროვნული სააგენტოს

ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორს დავით გოდერძიშვილს, რომელიც მსმენელთა წინაშე წარსდგა მოხსენებით: ვეტერინარია დღეს, მიღწევები, გამოწვევები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეს ვეტერინარიის დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს ხუთი მიმართულებით, ესაა: ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა, ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია, ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია, ცხოველთა გადაადგილების კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი. მნიშვნელოვანია, რომ ვეტერინარული დეპარტამენტის თაოსნობით ქვეყანაში ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილების მიზნით ყოველწლიურად სახელმწიფოს დაფინანსებით ტარდება სხვადასხვა მანიპულაციები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ისეთი საშიში დაავადებების მხრივ, როგორიც თურქულია, საქართველო მე-3 საფეხურზე დგას, მე-4 საფეხურის შემდეგ მოდის თურქულისგან სრულიად გათავისუფლება, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივი პროდუქცია გაიტანოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შემდეგ საუბარი წარმართა ზოგადად ეპიზოოტურ დაავადებებზე, რომლებიც ორ ჯგუფადაა დაყოფილი.

პირველ ჯგუფში შედის სწრაფ შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები (15) რა დროსაც ტარდება შედარებით მკაცრი შეზღუდვები ექსპორტთან/ტრანზიტთან დაკავშირებით 1-3 წელი, ხოლო მეორე ჯგუფში - აგრეგირებულ შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები (208), რა დროსაც მოთხოვნები არის შედარებით ნაკლებად მკაცრი, შეზღუდვები ექსპორტთან/ტრანზიტთან დაკავშირებით რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე გრძელდება. დოქტორი დ. გოდერძიშვილი ასევე შეეხო ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საკითხებს, ცხოველთა გადაადგილებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს, მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველთა ექსპორტს ვეტერინარული კონტროლსა და სხვ.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. მსმენელთა მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც ბატონმა დავითმა ამომწურავი პასუხები გასცა.



მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ჯემალ გუგუშვილმა, მრგვალი მაგიდის დღის წესრიგის თანახმად სიტყვა გადასცა აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილს, რომელმაც განავრცო მისი წინამორბედის მოხსენება. ბატონმა თენგიზმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ვეტერინარ ექიმთა კადრების სიმცირეზე. აღნიშნა, რომ რაიონებში ძირითადად 65 წელს გადაცილებული სპეციალისტები მუშაობენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სამსახურებში ხელშეკრულებით არიან გაფორმებულები. დასაქმებული სპეციალისტები, რომელთა ხელფასიც დიდ თანხას არ შეადგენს, დასაქმების გამო ვერ ღებულობენ კუთვნილ პენსიას, მაშინ როდესაც პენსიონერ ექიმებსა და მასწავლებლებს ხელფასთან ერთად პენსიაც ერიცხებათ. აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა გამოხატა დამსწრე საზოგადოების სურვილი, რათა აკადემიიდან წერილი გაიგზავნოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში თხოვნით, რომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა გაეწიოთ პენსიონერ ვეტექიმებს, რათა მათ ხელფასთან ერთად პენსიაც დაერიცხოთ.

მრგვალი მაგიდის დასასრულს აკადემიკოსმა ჯ. გუგუშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისა და მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღე

მიმდინარე წლის 5 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა



აკადემიის საკონფერენციო დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა თემაზე: „თბილისსა და მის შემოგარენში ფიჭვების მდგომარეობა და მათი ხმობის მიზეზები“ - მომხსენებელი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის

ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი არჩილ სუპატაშვილი.

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების წევრები: განყოფილების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, განყოფილების სტიპენდიატები: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ. შ., სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, სსიპ სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი, ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე, აკადემიის აპარატის მუშაკები და მოწვეული სტუმრები.

დოქტორ არჩილ სუპატაშვილმა, დაწვრილებით მიმოიხილა, თბილისსა და მის შემოგარენში ფიჭვების მდგომარეობა და მათი ხმობის მიზეზები. მან აღნიშნა, რომ მოცემულ არეალში ფიჭვების ხმობა ძირითადად გამოწვეულია ფიჭვის დიდი მებაღის (ლაფნიჭამია - *Tomicus piniperda* L.) მავნებლობით. ხოჭოები შეიჭრებიან რა ფიჭვის ყლორტებში, მათ გამოუჭამენ გულს, გამოცარიელებული ყლორტების ძირში შეიმჩნევა ნალრღნი ღეროზე და ფისის „ძაბრები“. ყლორტები მტვრევადია. ზეზემდგომი ხეების ღეროების ქვედა ნაწილში შეჭრისას ხოჭოები ღრმა ხვრელებს აკეთებენ და იწყება ხეების მასობრივი დაზიანება, რასაც ხშირ შემთხვევაში ხეების ხმობა მოყვება. ზიანი მოაქვს, როგორც ხოჭოს, ასევე მატლს. არანაკლები ზიანი მოაქვს ფიჭვის პატარა მებაღესაც. შედარებისთვის მომხსენებელმა განიხილა ფიჭვების მდგომარეობა დაცული ტერიტორიების თუშეთის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე (ომალო). აღინიშნა, რომ აქ უმთავრესად ფიჭვებს ანადგურებდა ფიჭვის პატარა მებაღე (ლაფნიჭამია - *Tomicus minor* Hart). ფიჭვის პატარა მებაღის ბიოლოგიიდან გამომდინარე, ფიჭვის მთავარი ღეროდან გამოფრენის შემდეგ, დამატებითი კვების მიზნით, ის შეიჭრება ახალ ყლორტებში, რის შედეგადაც ყლორტები ხმება (ამითაა გამოწვეული წიწვების მასობრივად ფერის შეცვლა) და ძლიერი ქარის შემდეგ ტყდება ანუ იკრიჭება. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ორივე მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩატარდეს ამორჩევითი სანიტარიული ჭრები; მოიჭრას ყველა გამხმარი ხე და გამოტანილი იქნეს ტყიდან ჭრის არსებული წესების დაცვით, ასევე მნიშვნელოვანია საჭერი ხეების მოწყობა და შემდეგ მოჭრა, გაქერქვა და გამოტანა. მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად შესაძლებელია ფერომონების გამოყენებაც.

ბიოლოგიის დოქტორმა ა. სუპატაშვილმა ფიჭვების ხმობის ერთ-ერთი ფაქტორად - გლობალური დათბობაც დაასახელა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მომავალში ფიჭვების ხმობის თავიდან ასაცილებლად საპრევენციო ღონისძიებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ მიმართულებით მაღალი რეზისტენტობის მქონე მცენარეთა შერჩევა. სხდომის ბოლოს გაიმართა დისკუსია. მომხსენებლის მიმართ დაისვა არაერთი შეკითხვა, რაზედაც ბატონმა არჩილმა ამომწურავი პასუხები გასცა.

მრგვალი მაგიდა შეაჯამა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებულ აქტუალური საკითხების განხილვა-გადაწყვეტას.

2023 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა თემაზე:

FAO/WHO/CAC/GL 62 სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზი

კონცეპტუალური ასპექტები

(სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სფერო)

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის პრეზიდენტის



მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივნი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრები, აკადემიის აპარატის თანამშრომლები; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, ბატონი ნოდარ ხატიაშვილი, ამავე ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი მაია მეტრეველი და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის უფროსი მერაბ ჟღენტი, აღნიშნული სამსახურების მეცნიერ-თანამშრომლები; სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ხარისხის მართვისა და აღიარების სამმართველოს უფროსი კახა სოხაძე; სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დეპარტამენტების პასუხისმგებელი პირები.

სხდომაზე მოხსენებით, „სურსათის უვნებლობის რისკის ანალიზის კონცეპტუალური ასპექტები,“ გამოვიდა, აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ზურაბ ცქიტიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მსოფლიოში გარემოს სწრაფი და მკვეთრი ცვლილების, გლობალური ბაზრების, საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების, მრავალი დასახელების სურსათის წარმოების ტექნოლოგიებში სწრაფად ცვლადი ტენდენციების და მოხმარების ახალი ჩვევების წინააღმდეგ, რომლებიც წარმოქმნიან „აღმოცენებად რისკებს,“ სურსათის უვნებლობის სისტემის ოფიციალური პირები სისტემატურად იყენებენ რისკის ანალიზს, როგორც „ბასრ იარაღს“, რისკის შეფასებით განსაზღვრული რისკის პროპორციული, მინიმუმირების ზომების გასატარებლად. მან ყურადღება გაამახვილა CAC/GL62-ის მიერ განსაზღვრულ რისკის ანალიზის მომცველი სამი განსხვავებული



კომპონენტის: რისკის შეფასების, რისკის მართვისა და რისკის კომუნიკაციის, მჭიდრო ურთიერთკავშირის პრინციპის მნიშვნელობაზე. მან ხაზი გაუსვა FAO-ს და WHO-ს მიერ შემუშავებულ რისკის ანალიზის იმ კონცეპტუალურ ასპექტს, რაც უკავშირდება სურსათის უვნებლობის რეგულატორების მიერ სურსათის უვნებლობის ეროვნულ სისტემებში (რომლის პირველად აუდიტორიას სურსათის უვნებლობის ოფიციალური პირები წარმოადგენენ), რისკის ანალიზის აღქმისა და გამოყენების გაუმჯობესების ტენდენციას. აღნიშნა FAO-ს პოლიტიკის უფროსი მრჩეველი-ჯუმბერ მარუაშვილის ნაყოფიერ ჩართულობაზე, საქართველოში რისკის ანალიზის კომპონენტების, რისკის შეფასების და რისკის მართვის, თანამედროვე მეთოდების სასემინარო სწავლების ორგანიზების საკითხებში (ევროპელი ექსპერტების მოხილიზება).



2) „რისკის შეფასების ინიცირების პროცედურები“ (პროექტის ავტორი აკადემია), როგორც რისკის შეფასების საწყისი წერტილის სისტემური მექანიზმი და მის საფუძველზე განხორციელებული პროექტები, წარმოადგინეს:

- სურსათის უვნებლობა - ვასილ კვერნაძე (სურსათის ეროვნული სააგენტო)

1 სუდანის ჯგუფის საღებავებით დაბინძურებული სხვადასხვა კატეგორიის სურსათის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასების ინიცირება

1. საქართველოში მალაქიტის მწვანის, ლეუკო მალაქიტის მწვანის და ლეუკო კრისტალ იისფერის ნარჩენების შემცველი თევზის მოხმარებით განპირობებული ადამიანის ჯანმრთელობის რისკის შეფასების ინიცირება

- მცენარეთა დაცვა/ფიტოსანიტარია - მარიამ ჩუბინიშვილი (სურსათის ეროვნული სააგენტო)

1. ფრთალაქიანი დროზოფილას - *Drosophila suzukii*-ს რისკის შეფასების ინიცირება

2. ლაქებიანი ჭიჭინობელას - *Lycorma delicatula* (Hemiptera: Fulgoridae) რისკის შეფასების ინიცირება

- ვეტერინარია - ელენე ნინიძე (სურსათის ეროვნული სააგენტო)

1. საქართველოში გარეული და მიუსაფარი ცხოველებიდან შინაური ცხოველების ცოფით ინფიცირების რისკის შეფასების ინიცირება

2. ბლუთანგის (ლურჯი ენა, ცხვრის კატარული ცხელება) დაავადების საქართველოში შემოჭრა-გავრცელების რისკის შეფასების ინიცირება

3) სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სამეცნიერო მეთოდოლოგიები

დარეჯან დულაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი)

4) მიმდინარე პერიოდში, რისკის შეფასების, ინსპექტირებისა და კონტროლის მიმართულებით FAO-მ საქმიანობის შესახებ-FAO-ს პოლიტიკის უფროსი მრჩეველი-ჯუმბერ მარუაშვილი



ბოლოს გაიმართა დისკუსია...დისკუსიის შედეგ აკადემიკოს მდივანმა ზურაბ ცქიტიშვილმა დადებითად შეაფასა მიმდინარე პერიოდში, ცენტრის და სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებული პროექტები და ასევე ძალზე დადებითად დაახასიათა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2023 წ.11 აგვისტოს სამუშაო შეხვედრაზე, აკადემიის მიერ წარდგენილი, „უწყვეტი,

გამჭირვალე და დოკუმენტირებული რისკის ანალიზის უზრუნველყოფი ღონისძიებების“ პროექტის მხარდაჭერა.

მრგვალი მაგიდის მონაწილეები გაეცნენ იტალიის ჯანდაცვის კვლევის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონი ალბერტო მანტოვანის მიმართვას აკადემიაში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეთათვის.

მოგესალმებით,

„მე მქონდა შესაძლებლობა მემუშავა საქართველოს რისკის შემფასებლებთან, რისკის მმართველებთან და აკადემიის წევრებთან ჩემი მისიის დროს, თემაზე „საქართველოში სურსათის ჯაჭვებში ქიმიური საფრთხის შეფასება და ანალიზი“ FAO-ს პროგრამის „სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა“ ENPARD IV ფარგლებში. (თბილისი, 2023 წლის მარტი და ივნისი-ივლისი).

ქართველ ექსპერტთა ჯგუფი შთამბეჭდავი სისწრაფითა და ენერგიით მუშაობდა ამ საკითხების პოტენციურ გადაჭრაზე, ცდილობდა გარკვევას როგორ მოერგებოდა საერთაშორისო ორგანოების (FAO, JECFA, EFSA) ზოგადი რეკომენდაციები საქართველოს რესურსებს, საჭიროებებსა და ინსტიტუციურ ჩარჩოებს სურსათის უვნებლობის ეფექტური სისტემის შესაქმნელად.

გისურვებთ წინსვლას“.

10 ნოემბერი - მეცნიერების მსოფლიო დღე

2023 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მეცნიერების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.



სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, აგრარული დარგის წამყვანი და ახალგაზრდა სპეციალისტები, მეცნიერები. სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

მოკლე მისალმების შემდეგ, ბატონმა გ. ალექსიძემ მიმოიხილა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიული ფაქტები, ისაუბრა აგრარული დარგში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერებზე და მათ ღვაწლზე ქვეყანაში აგრარული მეცნიერებისა და აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით. შემდეგ გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო და მადლობის სიგელებით დაჯილდოების ცერემონიალი. დაჯილდოებულმა პირებმა მადლობა გადაუხადეს აკადემიას დაფასებისა და აღიარებისათვის და აღუთქვეს, რომ კიდევ მეტი შემართებითა და მოტივაციით გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.



საზეიმო სხდომის დღის წესრიგის შესაბამისად აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ა. დიდებულისძემ აუდიტორიას წარუდგინა მოხსენება თემაზე: „სოფლის მეურნეობის სივრცით - ტერიტორიული განვითარების პრიორიტეტები (კახეთის მაგალითზე)“. მოხსენების ირგვლივ დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზედაც აკადემიკოსმა ა. დიდებულისძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

მეცნიერების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის დასასრულს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე საზოგადოებას ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, უსურვა წარმატება და წინსვლა სამეცნიერო საქმიანობაში.

მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი გადაეცათ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, ბატონ აპოლონ კაკაბაძეს - გარემოს დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების მთავრ მეცნიერ თანამშრომელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი მელაძეს - კლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორს დავით გოდერძიშვილს - ვეტერინარიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსს, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორს დემნა ხელაიას - ვეტერინარიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვეტერინარიის კვლევის სამსახურის უფროსს, ბიოლოგიის დოქტორს ლევან ციციშვილს - ვეტერინარიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ლევან მაკარაძეს - ვეტერინარიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
7. ფონდ „განვითარება და გარემო“-ს თავმჯდომარეს - თეიმურაზ ტყემალაძეს - გარემოს დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის
8. ფონდ „განვითარება და გარემოს“ მთავარ კოორდინატორს - იოსებ ტყემალაძეს - გარემოს დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის
9. ფონდ „განვითარება და გარემოს“ აღმასრულებელ დირექტორს, ჟურნალის „ველური ბუნება“ მთავარ რედაქტორს - გოჩა კობერიძეს - გარემოს დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.
10. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, სოფლის მეურნეობის დოქტორს მალხაზ სამადაშვილს - სატყეო დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
11. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორს, სოფლის მეურნეობის დოქტორს ალექსანდრე აფციაურს - სატყეო დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
12. აჭარის ა/რ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ეკოლოგიურ ექსპერტს, სოფლის მეურნეობის დოქტორს არჩილ ძირკვაძეს - სატყეო დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
13. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, აგრარულ მეცნიერებათა დოქტორ მარიამ ჩუბინიშვილს - მცენარეთა დაცვის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს, ბიოლოგიის დოქტორს ზურაბ ლიპარტიას - მცენარეთა დაცვის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის

15. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორს, ბიოლოგიის დოქტორს ზურაბ ქუჩუკაშვილს - გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
16. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილეს, აგრარულ მეცნიერებათა დოქტორს გიორგი იაკობაშვილს - მცენარეთა დაცვის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
17. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, სამართლის დოქტორს, პროფესორ ზაზა მარუაშვილს - განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის
18. აგრარული უნივერსიტეტის პროფესორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს ცოტნე სამადაშვილს - მემარცვლეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
19. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს ეთერ ხარაიშვილს - ეკონომიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
20. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს ზაირა შაფათავას სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
21. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოლეკულური მარკირების ლაბორატორიის უფროსს, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორს კახა ბიჭვინაშვილს - გენეტიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის
22. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის ლაბორატორიის უფროსს ბიოლოგიის დოქტორს ივეტა მეგრელიშვილს - მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის.
23. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახურის უფროსს, სოფლის მეურნეობის დოქტორს ზვიად ბობოქაშვილს - მეხილეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის.
24. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ეკოფიზიოლოგიის სამსახურის უფროსს, სოფლის მეურნეობის დოქტორს თემურ ორთოიძეს - მცენარეთა ეკოფიზიოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის.
25. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის უფროსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს მერაბ ჟღენტს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის.
26. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტს, სოფლის მეურნეობის დოქტორს გულნარი ჩხუტიაშვილს მემარცვლეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის

მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მადლობის სიგელი გადაეცათ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს ვასილ ბასილაძეს - ვეტერინარიის დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის
2. FAO-ს პოლიტიკის უფროს მრჩეველს ჯუმბერ მარუაშვილს - მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მიმართულების დოქტორანტს მერაბ სეფაშვილს - ქიმიური რისკების შეფასების პროცესში რისკის ანალიზის მეცნიერული კომპონენტის - რისკის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებისათვის.

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მიმართულების დოქტორანტს ანი ქირიას - ქიმიური რისკების შეფასების პროცესში რისკის ანალიზის მეცნიერული კომპონენტის - რისკის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებისათვის.

5 დეკემბერი - ნიადაგების მსოფლიო დღე

2023 წლის 5 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა ნიადაგების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; აკადემიკოსები: ზაურ ჩანქსელიანი და ედიშერ კვესიტაძე; აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი და ამავე საბჭოს წევრი, დოქტორი ირინე ჩარგეიშვილი; აკადემიის სტიპენდიატები, დოქტორი ეკატერინა კაციტაძე და დოქტორი გიორგი ქუთელია; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები: დოქტორი გიორგი ორმოცაძე და დოქტორი გიორგი გვენცაძე, ასევე აკადემიის აპარატის თანამშრომლები.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით



მიმართა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან აღნიშნა, რომ ნიადაგების დაცვა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია, ამიტომაც FAO-ს კონფერენციის თხოვნით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2013 წლის ივნისში 68-ე სესიაზე 5 დეკემბერი დააკანონა როგორც ნიადაგების მსოფლიო დღე. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სოფლის




მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დაწესდა 5 დეკემბერს ნიადაგების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება. ამ დღეს მიეძღვნა არაერთი კონფერენცია, სემინარი თუ მრგვალი მაგიდა. წელსაც აკადემია არ ღალატობს ჩვეულ ტრადიციას და მრგვალი მაგიდის ფორმატში აღნიშნავს ამ მნიშვნელოვან თარიღს. შემდეგ ბატონმა გურამმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული

საკითხები: აკადემიკოს ზ. ჩანქსელიანის მოხსენება თემაზე: „ნიადაგის როლი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში“ და დოქტორ გიორგი ორმოცაძის მოხსენება: „ნიადაგის ფუნქციები ბიოსფეროში და ეკოსისტემებში“.

აკადემიკოსმა ზაურ ჩანქსელიანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ზოგადად მდგრადი განვითარება აუცილებელი პირობაა ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერი დარგის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. მდგრადობას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში, რადგანაც კვების პროდუქტები განსაკუთრებული სახის პროდუქციას წარმოადგენენ, რომლის წარმოების დონე გარანტირებული და შესაბამისად მდგრადი უნდა იყოს. სოფლის მეურნეობის დარგების მდგომარეობა, მათი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოების მდგრადობაზე გაძლიერებული კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ როგორც პრიორიტეტულსა და სტრატეგიულს. სოფლის მეურნეობის დარგების მდგომარეობა დიდ წილად ნიადაგების მდგრადობაზეა დამოკიდებული. როგორც ცნობილია, ნიადაგები წარმოადგენენ ძირითად საფუძველს სურსათის წარმოების და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ეკოსისტემური მომსახურებისათვის. ნიადაგების მდგრადი მართვა ხელს უწყობს სურსათის წარმოების ზრდას, საკვები პროდუქტების ყუათიანობის გაუმჯობესებას, ასევე კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების შემსუბუქებასა და ადაპტაციას. „მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებაში მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიოპროდუქტების წარმოება. ის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ალტერნატიული, მოწინავე მზარდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სისტემაა, რომელიც გამოირჩევა ქიმიური სასუქების, პესტიციდების, გენმოდირებული ორგანიზმების გამოყენებას. ის კანონით რეგულირდება და მეურნეობის მართვისა და სურსათის წარმოების მეთოდებით მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება“ - განაცხადა აკადემიკოსმა ზ. ჩანქსელიანმა. მოხსენების ბოლოს ბატონმა ზ. ჩანქსელიანმა, ხაზგასმით აღნიშნა რომ უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გახშირდა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პროგრამების შემუშავება, როგორც სასურსათო დამოუკიდებლობის მიღწევის საუკეთესო საშუალება.

დოქტორმა გიორგი ორმოცაძემ თავისი მოხსენება შემდეგი სიტყვებით დაიწყო „ყველაფერი რაც ეხება ბიოსფეროს, უპირველესად ეხება მიწის ნიადაგურ საფარს“- რითაც აუწყა აუდიტორიას, რომ ნიადაგს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. „ნიადაგი არის უმნიშვნელოვანესი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსი, რომელიც საფუძვლად უდევს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოებას; მსოფლიოში სურსათის 95%-მდე იწარმოება ნიადაგზე; ნიადაგი ფილტრავს და ასუფთავებს წელიწადში ათეულობით ათას კუბურ კილომეტრ წყალს, იგი წარმოადგენს ნახშირბადის ყველაზე მსხვილ მიწიერ რეზერვუარს, ამავე დროს, ხელს უწყობს ნახშირორჟანგის და სხვა სასათბურე გაზების თანაბარზომიერი გაფრქვევის რეგულირებას. ნიადაგების გლობალურ მრავალწახნაგოვან ფუნქციებს შორის პირველი და მთავარია დედამიწაზე სიცოცხლის უზრუნველყოფა. ნიადაგების გარეშე ცოცხალი ორგანიზმების ბუნებრივი არსებობა შეუძლებელია“- აღნიშნა ბატონმა გიორგიმ. შემდეგ მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დედამიწის თანამედროვე ბიოსფერო განიცდის არამხოლოდ ცალკეული კომპონენტების



დეგრადირებას, არამედ მიიწევს საერთოდ ხარისხობრივი გარდაქმნისაკენ, რომლის შედეგების წინასწარმეტყველება ძნელია. ადამიანის ჩარევის შედეგად შეცვლილი ბიოსფეროს რიგმა მაჩვენებლებმა მიიღეს მისი ბუნებრივი ევოლუციით განვითარების საპირისპირო ხასიათი. განსაკუთრებით საგანგაშოა პლანეტის ცოცხალი ორგანიზმების, ნიადაგების და ლანდშაფტის გარდაქმნა მთლიანად. მოხსენების დასასრულს დოქტორმა გ. ორმოცაძემ მსმენელებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ბიოსფეროს შენარჩუნება და დაცვა, აგრეთვე გაქრობის პირას მყოფი ნიადაგების აღდგენა და მისი ნაყოფიერების ამაღლება წარმოადგენს კაცობრიობის კარდინალურ ამოცანას.

მრგვალი მაგიდაზე წარმოდგენილმა ორივე მოხსენებამ აუდიტორიის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა. დაისვა არაერთი შეკითხვა პრობლემატური საკითხების ირგვლივ, რომელზედაც მომხსენებლებმა ამომწურავი და კომპეტენტური პასუხები გასცეს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან მაღლობა გადაუხადა მომხსენებლებს საინტერესო მოხსენებებისათვის, ხოლო აუდიტორიას მობრძანებისა და მრგვალი მაგიდის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის.

აკადემიკოს შალვა კერესელიძის გახსენება

2023 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა მიძღვნილი აკადემიკოს შალვა კერესელიძის 110 წლისთავისადმი. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულაძე; პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; პრეზიდენტი მრჩეველი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა; აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის სტიპენდიატი, დოქტორი გიორგი ქუთელია. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: აკადემიკოსები: ჯემალ კაციტაძე, ლევან უჯმაჯურიძე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები: ზაზა მახარობლიძე და ნუგზარ ებანოიძე, ტექნიკის დოქტორები: ნიკო ჯავახიშვილი, თამაზ ნადირაშვილი და თენგიზ ცერცვაძე.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მისალმების შემდეგ მან



ისაუბრა აკადემიკოს შალვა კერესელიძის მიერ გაწეულ უდიდეს ღვაწლზე სამამულო სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მის საქმიანობაზე თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში ჩაის საკრეფი მანქანების წარმოების ათვისებასთან დაკავშირებით,

სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩაის მოვლა-მოყვანისა და ფოთლის კრეფის მანქანათა კომპლექსის სერიულ გამოშვებას. სწორედ ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ წარმოებაში დანერგვისათვის პროფესორ შ. კერესელიძეს მიენიჭა იმ დროისათვის მეტად პრესტიჟული ლენინური პრემია. აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე ასევე შეეხო შ. კერესელიძის პიროვნულ თვისებებს. აღინიშნა, რომ აკად. შალვა კერესელიძე იყო არამარტო დიდი მეცნიერი, არამედ მეტად კეთილშობილი, კაცთმოყვარე და ქვეყნისათვის თავდადებული პიროვნება.

აკადემიკოს შალვა კერესელიძის ბიოგრაფიულ მონაცემებზე ფართო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, რომელმაც თავის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო შ. კერესელიძის მიერ ჩატარებულ ურთულეს სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქციო-ტექნოლოგიური სამუშაოების განხილვას. აკად. რ. მახარობლიძემ ასევე ისაუბრა შ. კერესელიძის ნოვატორულ და ორიგინალურ შეხედულებებსა და მიმართულებებზე. ხაზი გაუსვა იმას, რომ შ. კერესელიძემ არა მარტო პირველმა დააყენა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციის პრობლემები და გვიჩვენა მათი პრაქტიკული განხორციელების გზები, არამედ გვიკარნახა სისტემური კვლევის ელემენტების ფართოდ გამოყენების აუცილებლობაც.

მრგვალ მაგიდაზე შ. კერესელიძის ავტობიოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები: ნ. ჭითანავა, რომელმაც ბატონი შალვა ქვეყნისათვის გაწეული მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობიდან გამომდინარე არაერთი თბილი სიტყვით მოიხსენია; გ. ალექსიძემ და ა. დიდებულიძემ აღნიშნეს, რომ ბატონი შალვას ცხოვრება იავარდით არ ყოფილა მოფენილი. მიუხედავად დიდი აღიარებისა, მას მრავალი სირთულის გადალახვა მოუწია, თუმცა არასდროს არ დაუყრია ფარ-ხმალი და მუდამ საკუთარი პრინციპების ერთგული დარჩენილა. აკადემიკოსმა ჯ. კაციტაძემ დამსწრე საზოგადოების ყურადღება შ. კერესელიძის პიროვნულ ღირსებებზე შეაჩერა და სიამაყით აღნიშნა, რომ მისი აღზრდილი იყო.

აკადემიკოსი შ. კერესელიძე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენეს ასევე მისმა ყოფილმა ასპირანტებმა, ბატონებმა: ნ. ებანოიძემ, ზ. მახარობლიძემ, თ. ნადირაშვილმა. მათ ბატონი შალვა დაახასიათეს როგორც საუკეთესო პედაგოგი და ახალგაზრდების დიდი გულშემატკივარი, რომელმაც ბევრ სტუდენტს გაუწოდა დახმარების ხელი და ბევრსაც მეცნიერებში გაუკაფა გზა.

მრგვალ მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის და აკადემიკოს შ. კერესელიძის გახსენებისათვის.

**თავი 11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ
2023 წელს გამოცხადებული აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო
ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომების
გამოსავლენი კონკურსის შედეგები**

2023 წლის 8 მაისს აკადემიამ თავისი წესდების II თავის მე-9 მუხლის თ) პუნქტის შესაბამისად გამოაცხადა კონკურსი აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად (განცხადება კონკურსის თაობაზე ატვირთული იყო აკადემიის ვებ გვერდზე). კონკურსი გამოცხადდა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების შესაბამისი დარგების მიხედვით. თითოეულ სამეცნიერო განყოფილებაზე გამოყოფილი იყო 2 პრემია. სულ შემოვიდა 10 ნაშრომი, რომლებიც გადაეცა სამეცნიერო განყოფილებებს. სამეცნიერო განყოფილებებმა ზემოაღნიშნული კონკურსის დებულების თანახმად გამოყვეს ექსპერტები რომლებმაც ერთი თვის ვადაში წარმოადგინეს რეცენზიები. ამის შემდეგ სამეცნიერო განყოფილებებში ჩატარდა ფარული კენჭისყრა. შედეგები დასამტკიცებად ეცნობა აკადემიის პრეზიდიუმს. ათივე ნაშრომმა მიიღო დადებითი შეფასება.

2023 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულები გახდნენ და პრემიები მიენიჭათ შემდეგი ნაშრომების ავტორებს:

აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება:

1. სასწავლო სახელმძღვანელო - „აგროქიმიის პრაქტიკუმი“

ავტორები: აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ძაძამია.

გამოცემის თარიღი: 2021 წ.

2. მონოგრაფია - „საქართველოს სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ბიომრავალფეროვნება“

ავტორი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კაჭარავა.

გამოცემის თარიღი: 2020 წ.

მცხოვრელობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება:

1. ცნობარი - „ცხოველთა ინფექციური დაავადებები“

ავტორები: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; ვეტერინარიის დოქტორი ლევან ციციშვილი.

გამოცემის თარიღი: 2022 წ.

აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება:

1. Dynamics and basis of calculation of optimum parameters of small tools an equipment – მონოგრაფია - „მცირე მექანიზაციის ხელის მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“.

ავტორები: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე.

გამოცემის თარიღი: 2020 წ.

2. Application of modern mathematical methods for optimizing technological processes to increase machine reliability- მონოგრაფია- „მანქანების საიმედოობის გასაზრდელად ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციისთვის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენება“.

ავტორები: აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე; აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე.

გამოცემის თარიღი: 2020 წ.

სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის განყოფილება:

1. მონოგრაფია - „ღვინო -ტექნოლოგია და ტექნოქიმიური კონტროლი“

ავტორი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი თემურ ღვინიაძე.

გამოცემის თარიღი: 2023 წ.

გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება:

1.მონოგრაფია: „საქართველოში განვითარებული ტყის ხანძრები და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები“.

ავტორი: აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

გამოცემის თარიღი: 2022 წ.

2. მონოგრაფია: „კლიმატის ცვლილება: აგროკლიმატური გამოწვევები და პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოში“.

ავტორები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მელაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია მელაძე.

გამოცემის თარიღი: 2020 წ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება:

1. მონოგრაფია: „მიწის რეფორმა საქართველოში - სახელმწიფო მონოპოლიიდან კერძო საკუთრებამდე: განხორციელების ეტაპები და მექანიზმები“

ავტორები: ეკონომიკის დოქტორი ალექსანდრე სიჭინავა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ანზორ მესხიშვილი, ეკონომიკის დოქტორი დალი სეხნიაშვილი.

გამოცემის თარიღი: 2022 წ.

2. მონოგრაფია: „საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები“.

ავტორები: აკადემიკოსი რევაზ ასათიანი; აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი.

გამოცემის თარიღი: 2022 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს კონკურსში გამარჯვებულ მეცნიერებს და უსურვებს წარმატებებს შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

თავი 12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად პროგრამით „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“ გათვალისწინებული 2023 წელს

შესრულებულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მცენარეთა დაცვა, მემცენარეობა, სატყეო, ეკონომიკა, მეცხოველეობა, მექანიზაცია და გადამუშავების ტექნოლოგია.

მცენარეთა დაცვის მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: გურამ ალექსიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

გურამ ჩხუბაძე - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თემა: აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ - დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

უკანასკნელ ხანებში აჭარის რეგიონში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ლურჯი მოცვის კულტურის დანერგვას, რომელსაც საბაზრო ღირებულების თვალსაზრისით კონკურენციას ვერ უწევს ვერც ერთი დღემდე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა და სწორედ მან უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. ლურჯი მოცვის გავრცელება-განვითარების განმაპირობებელ ფაქტორებს შორის მეტად მნიშვნელოვანია მასზე გავრცელებული მავნებელ-დაავადებები, რომლებიც ამცირებენ მის პროდუქტიულობას, ზოგჯერ კი მცენარეთა სრულ ხმობასაც იწვევენ. უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტად შეინიშნება აღნიშნული კულტურის ძლიერი დაზიანება მავნე ორგანიზმებით. მათი ერთი ნაწილი აბორიგენული წარმოშობისაა, რომლებიც ადგილობრივი ფლორიდან გადადიან ხსენებულ კულტურაზე და მის აგრესიულ მავნებლებად იქცევიან. მავნე ორგანიზმთა მეორე ნაწილი სპეციფიკურია და აზიანებენ მხოლოდ მოცემულ კულტურას.

ლურჯი მოცვის კულტურის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის საკითხები საკმაოდ რთულია, რადგან გამოყენებული პესტიციდების ნაირსახეობისა და მოქმედების არეალის მიუხედავად მავნებელ-დაავადებების მიერ მიყენებული ზიანი სულ უფრო მეტად იზრდება.. ამ თვალსაზრისით რატომ უნდა აჭარაც არ არის გამონაკლისი. ვინაიდან მოცემულ რეგიონში სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ხელშეწყობით ძალიან სწრაფად იზრდება ლურჯი მოცვის კულტურის ფართობები, თანდათანობით მატულობს მათზე მოქმედი მავნე ორგანიზმების უარყოფითი შედეგებიც. სწორედ ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლურჯ მოცვზე გავრცელებულ მავნე ორგანიზმების გამოვლენას, აღნიშნულ მავნებლების თაობაზე მოსახლეობის მაქსიმალურ ინფორმირებულობას, მათი გავრცელების არეალების შესწავლას და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით ეფექტური ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვას.

აჭარაში სპეციალური მიზანმიმართული კვლევა ლურჯი მოცვის მავნებელ დაავადებებზე ჯერ არ ჩატარებულა. ამიტომ უცნობია ჩვენს პირობებში ამ კულტურაზე გავრცელებული მავნე ორგანიზმები და მათი სახეობრივი შემადგენლობა. არ არის დადგენილი დომინანტი, უფრო მეტად საშიში მავნე სახეობები და არ არის შემუშავებული მათთან ბრძოლის ღონისძიებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ლურჯი მოცვის კულტურის მავნებელ დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს აჭარის რეგიონისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები: აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში ლურჯ მოცვზე გავრცელებული მავნებლების და დაავადებების გამოვლენა, მათი გამომწვევი ორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლა, დომინანტი მავნე სახეობების

დადგენა, მათი ბიოლოგიური თავისებურების შესწავლა და მათთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება. კვლევის მიზანია აგრეთვე ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ ფარგლებში ზემოთ აღნიშნული მავნებელ-დაავადებების შესახებ დოკუმენტის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ მცენარეთა დაცვას და ფიტოსანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სამინისტროს თანამშრომლებს ასევე რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის შესრულება გათვალისწინებულია 2023 -2027 წლებში, მიმდინარე წელს კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

1. ლურჯ მოცვზე გავრცელებული მავნებლების და დაავადებების გამოვლენა;
2. მათი გამომწვევი ორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლა;
4. დომინანტი მავნე სახეობების გამოყოფა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები: კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აჭარის დაბლობ და მაღალმთიან რეგიონში ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული მავნებლები და დაავადებები.

საანგარიშო პერიოდში ლურჯი მოცვის მავნებლების შეგროვება ჩატარდა მარშრუტული გამოკვლევების მეთოდით. რომლის დროსაც ხდებოდა მცენარეთა ვიზუალური დათვალიერება და მავნებლებით დაზიანებული ნაწილების აღება. ნიადაგში ბინადარი მავნებლების გამოვლენისათვის გამოიყენებოდა ნიადაგის გათხრის მეთოდი, მფრინავი და მოხტუნავე მწერების შეგროვებისათვის ვიყენებდით მწერსაჭერი ბადით „გათიბვის“ მეთოდს, შეგროვებულ მასალას ვინახავდით ბამბის ფენებზე, ვამონტირებდით ენტომოლოგიურ ქინძისთავებზე, ვაკონსერვებდით სპირტის არეში და ა. შ. დაავადებული ორგანოების საჭერბარიუმო მასალას ვინახავდით სპეციალურად მომზადებულ ქაღალდის კონვერტებში, რომელზედაც აღვნიშნავდით შეგროვების ადგილსა და დროს.

ლაბორატორიულ პირობებში ბინოკულარული მიკროსკოპის ქვეშ აღიწერებოდა მავნებლების მორფოლოგიური აგებულება (უღვაშების ფორმა, ზომა, ფრთების კონსისტენცია, დამარღვის ფორმები, პირის ოპგანოების ტიპები და ა. შ.) და შესაბამისი სარკვევი ტაბულების გამოყენებით დგინდებოდა მწერების სახეობა.

პათოგენური სოკოების დიაგნოსტიკების დროს გამოიყენებოდა, მაკროსკოპული და მიკროსკოპული ანალიზები, ტენიანი კამერების მეთოდი: აუცილებლობის შემთხვევაში სოკოები გამოიყოფოდა სუფთა კულტურაში. მაკროსკოპული ანალიზის დროს აღინიშნებოდა დაავადების გამოვლენის ხასიათი /ფიფქი, მეჭეჭები, სიმსივნეები, ლაქები, ტოტების ხმოზა, მცენარეთა ჭკნოზა და სხვა/, ლაქების ზომები, კონფიგურაცია, ფერი და სხვა ნიშნები. მიკროსკოპული ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა - სპორების, ნაყოფსხეულების ზომას, ფორმას და, ა. შ., როგორც ტაქსონომიისა და დიაგნოსტიკის მეტად მნიშვნელოვან ნიშნებს.



შპს გორგიას ლურჯი მოცვის ბაღის
დათვალიერება



ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის და
სოფელ გვარას შერჩეულ ნაკვეთებზე ლურჯი

მოცვის ნარგაობის დათვალიერება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის და სოფელ გვარას შერჩეულ ნაკვეთებზე ლურჯი მოცვის ნარგაობის დათვალიერება.

დაავადების გამომწვევი სოკოების და მავნებლების იდენტიფიკაცია ჩატარდება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის მცენარეთა დაცვის ლაბორატორიაში.

მიმდინარე წელს აჭარის შავიზღვისპირა სუბტროპიკულ ზონაში საკვლევ ობიექტად შერჩეული იქნა ორი ნაკვეთი. ერთი ნაკვეთი მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, ხოლო მეორე ნაკვეთი სოფელ გვარაში.

ცეცხლაურის ნაკვეთი გაშენებულია დაახლოებით 7 ჰექტარზე და ეკუთვნის შპს გორგიას. დარგულია 7 სხვადასხვა ჯიში, მოცემული პლანტაცია რეგიონში ყველაზე ასაკოვანია. ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული იქნა ერთი საადრეო ჯიში ონეილი და ერთი საშუალო სიმწიფის პერიოდის ჯიში ლეგასი.

სოფელ გვარაში შერჩეული იქნა მერაბ ბოლქვაძის ნაკვეთი. პლანტაცია გაშენებულია 12 ჰა-ზე ყველაზე ძველი ნარგაობა 2016 წელსაა გაშენებული, ხოლო ახალი ნაკვეთები დარგულია 2019-2020 წლებში. საკვლევად შერჩეული იქნა საადრეო ჯიშებიდან ნიუჰანოვერი, ხოლო საშუალო პერიოდის მსხმოიარე ჯიშებიდან ლეგასი.

მცენიერული სიახლე. პირველად საქართველოში ტარდება მიზანმიმართლი კვლევა ლურჯი მოცვის მავნებლებისა და დაავადებების გამოსავლენად. პირველად საქართველოში აღნიშნულია ლურჯი მოცვის მასიურ დაზიანება ამერიკული თეთრი პეპელას და ბურტყლა ბუგრის და ატმის ბუგრის მატლების მიერ. გამოყოფილია დომინანტი შედარებით უფრო მეტად საშიში მავნებლები და დაავადებები.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ლურჯი მოცვის მავნებლები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მარშრუტული გამომკვლევები ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის და სოფელ გვარას შერჩეულ ნაკვეთებზე. ვათვალიერებდით აგრეთვე სხვა ფერმერულ მეურნეობებში გაშენებულ მოცვის ნარგაობას. კვლევის პროცესში ჩვენს მიერ დაფიქსირდა შემდეგი მავნებლები.

ამერიკული თეთრი პეპელა (*Hiphantria cunea* Druru). – პეპლის ფრთები თოვლივით თეთრია. ზოგიერთ ეგზემპლარს ფრთებზე შავი ან ყავისფერი ლაქა აქვს. მამალის ულვაშები ფრთისებრია, დედალს ძაფისებრი. პეპელა გაშლილი ფრთებით 5 სმ-ს აღწევს.

მატლი 35 მმ-მდეა. თავი და ფეხები ბრწყინავი შავია. სხეული დორსალური მხრიდან ხავერდისებრ-ყავისებრია, შავი მეჭეჭებით, რომელზედაც წვრილი და მსხვილი ბეწვების კონაა.

ჭუპრი 10-12 მმ სიგრძისაა. დაჭუპრების პირველ დღეს ისინი ლიმონისებრ-ყვითელი ფერის არიან. გამოფრენის წინ პეპლები იძენენ მუქ-ყავისფერ შეფერილობას.



სურ. 1. ამერიკული თეთრი პეპელას მატლები და დაზიანებული მოცვის ფოთლები

იაპონური ცვილისებური ცრუფარიანა (*Ceroplastes Japonicus* Green). გამოვლენილი იქნა სოფ. ცეხლაურის და გვარას საკვლევად შერჩეულ ნაკვეთებზე. მავნებელი ლურჯი მოცვის მცენარეს უზიანებს ყლორტებს, ტოტებს და ზოგჯერ მასიური გავრცელების შემთხვევაში ღეროსაც კი. აღნიშნული მავნებელი გარდა იმისა, რომ მცენარეს წუწნით აზიანებს ასევე მის გამონაყოფზე სახლდება საპროფიტული სოკოები, რაც კიდევ ერთ დამატებით პრობლემას უქმნის მცენარეებს. ცვილისებური ცრუფარიანას ძირითადი მკვებავი მცენარეა ჩაი, ასევე აღსანიშნავია, რომ ის პოლიფაგია და მცენარის მრავალ სახეობას აზიანებს, მათ შორის აღინიშნა ლურჯ მოცვზეც.

მავნებლის გავრცელება აღინიშნა ზრდასრულ ნარგაობაზე. ახალგაზრდა ნარგაობაზე თითქმის არ შეინიშნება. ამიტომ შესაძლებელია მავნებელი მოცემულ ტერიტორიაზე ჩაის ყოფილი პლანტაციების ფართობებიდან გადავიდა.



სურ. 2. ლურჯი მოცვის მუხრნეობაში აღებულ ნიმუშზე დაფიქსირებული ცრუფარიანას ფოტოები

ატმის ბუგრი (*Myzodes oersicae* Sulz.). დამფუძნებელი ბუგრის სხეული ღია-მომწვანოა. გვხვდება ვარდისფერი ბუგრებიც. ულვაშები ყვითელია, შვიდნაწევრიანი. თვალები ცილინდრული ფორმისაა, ფერად შავი ან წითელია. მისი სხეულის სიგრძე 1,5-2,5 მმ-ია. გამავრცელებელი დედალი ბუგრის თავი მურაა, მკერდი და ულვაშები მოშავოა, ხოლო მუცელი ყვითელი, მუქი მწვანე ზოლებით. ასევე აქვს ყვითელია კუდი და საწვწე მილები, მისი სხეულის სიგრძე 1,4 მმ-ია.

ფრთიანი მამლის ულვაშები და მკერდი შავია, მუცელი კი ღია-მწვანეა, გარდიგარდმო ზოლებით. სხეულის სიგრძე 1,9 მმ-მდეა.



სურ. 3. უფრთო ატმის ბუგრი (*Eriosoma lanigerum*).

გარდა მცენარეთა დაზიანებისა, ვირუსულ დაავადებასაც ავრცელებს. იგი სახლობს ატამზე, გარგარზე, ალუბალზე, ლედვზე, მსხალზე, თამბაქოზე და სხვა კულტურებზე. ლულჯ მოცვზე აღინიშნა ფოთლებზე, იწვევს მის სიხუჭუჭეს და საკმაოდ დიდი ზიანიც მოაქვს.

ბურტყლა ბუგრი (*Eriosoma lanigerum*). უფრო პართოგენეზური ბუგრი მურა ფერისაა. ზურგის მხარე, განსაკუთრებით შუა ზურგიდან დაფარულია თეთრი ცვილოვანი ბურტყლით. სხეულის სიგრძე 2 მმ-მდე აღწევს. ბუგრის სხეულის ღრუ ამოვსებულია წითელი სითხით, რისთვისაც მავნებელს სისხლიან ბუგრს უწოდებენ.

ბურტყლა ბუგრი წუწნით აზიანებს მოცვის ყლორტებს, ტოტებსა და შტამბს. წვენი ამოწუწნის დროს ჭრილობაში შედის ბუგრის ნერწყვი, რაც იწვევს ჭრილობასთან წვენი მოწოლას, უჯრედების დეფორმაციას, კოჭრების წარმოშობას და კანის დახეთქვას. საშიში მავნებელია, განსაკუთრებით ახალგაზრდა ნარგაობისათვის. საქართველოში ეს მავნებელი აღნიშნული იყო ვაშლის კულტურაზე. შესაძლებელია იგი ვაშლის კულტურიდან გადმოვიდა მოცვზე.



სურ.4. ბურტყლა ბუგრი (*Eriosoma lanigerum*).

ჭრიჭინა - ზრდასრული მწერის იმაგო ღია-ჩალისფერი ან მოყვითალო-მომწვანოა, სხეულზე ბევრად გრძელი ულვაშები აქვს. მამლის წინა ფრთები გამჭვირვალე და ბოლოში განიერია, ხოლო მდედრისა - ვიწრო.

აზიანებს მოცვის ყლორტებს. მავნებელი ყლორტის გულში ათავსებს კვერცხებს, კვერცხიდან გამოჩეკილი თეთრი ფერის მატლები ღრღნის ყლორტის გულს. აგრეთვე მერქნის კედლებსაც, სადაც ყლორტი ხშირ შემთხვევაში ტყდება. საერთოდ კვერცხჩადებული ყლორტები ჭკნება და ხმება.

ტარდება აღნიშნული მავნებლის სახეობრივი კუთვნილების დაზუსტება.



სურ. 5. ჭრიჭინას ზრდასრული ფორმა და დაზიანებული ყლორტი

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ლურჯი მოცვის დაავადებები

ფომოპსისი (*Phomopsis vaccinii* Schear.). პიკნიდიუმები ტოტებზე გაფანტულია. დაფარულია ეპიდერმისით, მუქი მურაა, სფეროსებრი-ოდნავ ჩაზნექილი, მომრგვალო პორუსით, 180-240 მკმ დიამეტრში. კონიდიუმტარები ძაფისებრია, უფერული.

კონიდიუმები ღინჯისებრი, ორივე ბოლოებზე წამახვილებული, უფერული, ორი ცხიმის წვეთით, ერთუჯრედიანი, 7,2-9,6 X 2,9-3,5 მკმ.

ფომოპსისით ავადდება ლურჯი მოცვის ფოთლები და ყლორტები. მცენარის ყლორტის წვეროზე არსებული ფოთლები წითლდება, იხვევა და ჭკნება. ყლორტებზე ჩნდება მონაცისფრო ლაქები. როცა ლაქები იეგვლივ შემორკალავს, ყლორტს, მის



სურ. 6. ფომოპსისით დაავადებული ლურჯი მოცვის ყლორტები

ზემოთ განლაგებული ყლორტის ნაწილი მთლიანად ხმება. დაავადების ინტენსიური განვითარების დროს ახალგაზრდა მცენარეები მთლიანად ხმება

ჟანგა - დაავადებას იწვევს სოკო *Thekopsora minima* ავადდება ფოთლები, რომელზედაც წარმოიქმნება მუქი-მურა ლაქები. დაავადებული ფოთლები ყვითლდება და ნაადრევად ცვივა.

ფოთლის ქვედა მხარეზე წარმოიქმნება მეჭეჭები, რომელიც გამოვსებულია მოყვითალო-ნარინჯისებრი სპორებით - ურედოსპორებით.

დროთა განმავლობაში მცენარეები სუსტდება და იძლევა მნიშვნელოვნად ნაკლებ სასაქონლო ღირებულების ნაყოფს. უარესდება საყვავილე კვირტების ჩასახვა მომავალი სეზონისათვის (ზოგჯერ ფოთლების 30 % ცვივა). დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდა დაავადებული მცენარეების დაღუპვაც.



სურ. 7. ჟანგათი დაავადებული მოცვის
თოოოოი

ქლოროზი. ნერგების ფოთლები კარგავს თავის კლასიკურ მწვანე ფერს და ყვითლდება. მისი გამომწვევი მიზეზი უცნობია შეიძლება ეს იყოს ფიზიოლოგიური მოვლენა ან გამოწვეული იყოს ნიადაგში საკვები ელემენტების, უმთავრესად რკინის ნაკლებობით.. რკინის ნაკლებობით გამოწვეული ქლოროზი აფერხებს ფოტოსინთეზს, ამიტომ ქლოროფილის ნაკლებობის გამო ფოთლები ყვითლდება.



სურ.8. ქლოროზით დაავადებული ლურჯი მოცვის ნერგები

იგი ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ნიადაგის არასაკმარის მ:ჟავიანობით. თუ ნიადაგი არასაკმარისად მჟავაა ის ძნელად ითვისებს სასარგებლო ნივთიერებებს თუნდაც ეს ნივთიერებები საკმარისად იყოს ნიადაგში.

გარდა აღნიშნულისა საანგარიშო პერიოდში შეგროვებულია ლურჯი მოცვის ყლორტების ჭკნობის, ფოთლების ლაქიანობის, საჭერბარიუმო მასალები, რომელსაც პათოგენური სოკოები იწვევენ. გრძელდება ლაბორატორიული გამოკვლები მათი სახეობრივი შემადგენლობის გასარკვევად. შედეგები მოხსენიებული იქნება შემდგომ ანგარიშებში.

ლურჯი მოცვის დომინანტი მავნებელ-დაავადებები ლურჯი მოცვის შედარებით მავნე, ფართოდ გავრცელებული და დომინანტი მავნებელ დაავადებათა გამოყოფისათვის ვაკვირდებით მათ გავრცელებას, განვითარების ინტენსივობას და მავნეობას ბუნებრივ პირობებში (მოცვის აგროცენოზებში). ჩატარებული კვლევების მიმდინარე ეტაპზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი დომინანტი მავნებლები და დაავადებები.

ამერიკული თეთრი პეპელა (*Hiphantria cunea* Druru). ეს მავნებელი პოლიფაგია და აზიანებს 250-ზე მეტი სახეობის და ჯიშის მცენარეს. მავნებლის მატლები აბლაბუდას ქსელით ახვევს მცენარის ფოთლებს და აკეთებს ბუდეებს, რომლებშიც შედის მატლების კოლონიები, უმცროსი ხნოვანების მატლები ჯერ ფოთლის სკელეტაციას იწვევენ, ხოლო შემდეგ ფოთოლს მთლიანად ჭამენ. ბუდეში მწვანე მასის შექმასთან ერთად ისინი სულ უფრო მეტად აფართოებენ თავის ბუდეს ახალ ახალი ტოტების აბლაბუდაში გახვევით. მატლების განვითარება 45–50 დღე გრძელდება და ხშირად მცენარეთა სრულ დეფოლიაციასაც იწვევენ. ირღვევა ფიტოცინთები, მცირდება მოსავლის როგორც რაოდენობა ისე ხარისხი.

ატმის ბუგრი (*Myzodes oersicae* Sulz.). იგი სახლობს ატამზე, გარგარზე, ალუბალზე, ლელვზე, მსხალზე, თამბაქოზე და სხვა კულტურებზე. ლულჯ მოცვზე აღინიშნა ფოთლებზე, იწვევს მის სიხუჭუჭეს და საკმაოდ დიდი ზიანიც მოაქვს. გარდა მცენარეთა დაზიანებისა, ვირუსულ დაავადებებსაც ავრცელებს.

ფომოპსისი (*Phomopsis vaccinii* Schear.). ფომოპსისით ავადდება ლურჯი მოცვის ფოთლები და ყლორტები. მცენარის ყლორტის წვეროზე არსებული ფოთლები წითლდება, იხვევა და ჭკნება. ყლორტებზე ჩნდება მონაცისფრო ლაქები. როცა ლაქები ირგვლივ

შემორკალავს, ყლორტს, მის ზემოთ განლაგებული ყლორტის ნაწილი მთლიანად ხმება. დაავადების ინტენსიური განვითარების დროს ახალგაზრდა მცენარეები იღუპებიან.

დასკვნები

1. ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აჭარაში, როგორც დაბლობ ისე მაღლობ რაიონებში ფართოდაა გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებლები და დაავადებები;
2. ლურჯ მოცვს დიდ ზიანს აყენებს ისეთი ნაირჟამია მავნებლები როგორიცაა: ამერიკული თეთრი პეპელა, ატმის ბუგრი, ბურტყლა ბუგრი და სხვა;
3. ლურჯ მოცვზე განვითარებული დაავადებებიდან თავისი მავნეობით გამოირჩევა ფომოპსისი, რომელიც იწვევს ფოთლების ლაქიანობას, ყლორტების ჭკნობას და მცენარეთა ხმობას;
4. ლურჯი მოცვის დომინანტ, შედარებით საშიშ მავნებლებს და დაავადებებს მიეკუთვნება: ამერიკული ერი პეპელა, ატმის ბუგრი, ბურტყლა ბუგრი და დაავადება - ფომოპსისი.

8. გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ალექსიძე - მცენარეთა დაცვა. თბილისი, 2014. 310 გვ.
2. გ. ალექსიძე- ინვაზიური დაავადებები საქართველოში. თბილისი. 2020. 42 გვ.
3. ო. შაინიძე - ფიტოპათოლოგია. ბათუმი. 2018. 614 გვ.
4. მ. ლობჯანიძე, ზ. ტყეშელაშვილი - სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითადი მავნებლები და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი, I ნაწილი, თბილისი, 2009. 64 გვ.

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

მემცენარეობის მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: რეზო ჯაბნიძე -საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

შოთა ლამპარაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ნოდარი ბერიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

თემა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.

სახალხო მეურნეობის ეკონომიკაში მევენახეობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში, დღესაც, მოსახლეობის მატერია-ლური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული ღონის ამადლების ძირითადი წყაროა.

ჩვენი ქვეყნის ხელშემწყობი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ვაზის ჯიშების სიუხვე სრულ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობის ფართოდ განვითარებისთვის.

საქართველოში გავრცელებული ვაზის 500-ზე მეტი ჯიშიდან, 80-მდე აჭარაშია, რომელთაგანაც მრავალი ჯიში ხასიათდება ძვირფასი სამეურნეო და ტექნოლოგიური ნიშან-თვისებებით. ახლო წარსულში, აჭარის შიდა მთიანი რაიონების ეკონომიკაში მევენახეობამ მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო, დღეს ამ დარგის წინსვლა შეფერხებულია, თუმცა ამჟამად ნათლად იკვეთება მისი შემდგომი აღმავლობის პერსპექტივები.

მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ ამ ბოლო პერიოდში აჭარაში, ა(ა)იპ „აგროსერვისის ცენტრის“ გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო საწარმო მეურნეობაში გაშენდა ვაზის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშები (სულ 23 ჯიში), რითაც კიდევ უფრო გამდიდრდა აჭარაში არსებული ვაზის ჯიშების გენოფონდი.

დღეს წესრიგში დადგა ზემოთ აღნიშნულ მეურნეობაში გაშენებული ვაზის ჯიშების მორფო-ბიოლოგიური, სამეურნეო თავისებურებების და ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა, მათგან ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატური პირობებისადმი უკეთ შეგუებული, სტაბილურად მსხმოიარე, ნაყოფის კარგი ხარისხის მქონე და მავნებელ დაავადებათა მიმართ შედარებით გამძლე პერსპექტიული ფორმებისა და ჯიშების გამორჩევა.

სწორედ, აღნიშნული პრობლემების შესწავლისა და შეძლებისამებრ გადაჭრის მიზნით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ და მეცნიერთა ჯგუფს (რ. ჯაბინძე, შ. ლამპარაძე, ნ. ბერიძე) შორის, 2023 წლის 3 იანვარს გაფორმდა N87 შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მემცენარეობის დარგში სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებასა და ანგარიშების წარდგენას.

ჩვენი კვლევის ამოცანას შეადგენდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-საწარმო მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების მორფოლო-გიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა, საუკეთესო ფორმების გამორჩევა და რეკომენდაციების მომზადება ფერმერულ მეურნეობებში შემდგომში დანერგვის მიზნით.

თავდაპირველად, საცდელი საქმის მეთოდიკიდან გამომდინარე, ვაზის თითოეული ჯიშიდან შერჩეული და გამოყოფილი იქნა თითოეული ჯიშიდან ხუთ-ხუთი მცენარე, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანაბრად იყო განვითარებული. თითოეული მცენარე დაინომრა, გაუკეთდა სათანადო ეტიკეტი და ჩატარდა გასხვლა-ფორმირება.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან, ცალკეული ჯიშების მიხედვით, ისწავლებოდა ფენოლოგიური ფაზები: ვაზის ტირილის (წვენთა მოძრაობა) დაწყება-დამთავრება, კვირტების დაბერვა, კვირტების გაშლა (ზრდის დაწყება), ყვავილობის დასაწყისი, მასიური ყვავილობა, ყვავილობის დასასრული, მარცვლის გამონასკვის პერიოდი, მარცვლის შეთვალვის დასაწყისი, სრულ სიმწიფეში შესვლა, ყლორტის ზრდის დამთავრება, ფოთოლცვენის დასაწყისი და დასაწყისი

ბიომეტრიული მაჩვენებლებიდან განსაზღვრული იქნა: ვაზის შტამბის სიმაღლე და დიამეტრი, მომწიფებული რქის სიმაღლე, ფოთლის სიგრძე და სიგანე. აღრიცხული იქნა მოსავალი ცალკეული ჯიშების მიხედვით და განისაზღვრა ტექნიკური და ბიოქიმიური მაჩვენებლები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ბიოქიმიურ ლაბორატორიაში.

ასევე ისწავლებოდა ცალკეული ჯიშების გამძლეობა და იმუნიტეტის უნარი მავნებლებისა და დაავადებების მიმართ.

ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ფენოლოგიურ ფაზებზე ჩატარებული დაკვირვებების მასალები მოცემულია N 1 ცხრილში.

#	ჯიშების დასახელება	ვაზის ტირილის დაწყება და დამთავრება	კვირების გაშლა (ზრდის დაწყება)	ყვავილობის დასაწყისი და დასასრული	ყვავილობის ხანგრძლივობა (დღეები)	შეთვალვადობა	სრულ სიმწიფეში შესვლა	ყლორტის ზრდის დამთავრება	ფოთიოლ-ცვენის დასასრული
1	კარდინალი	25.02-22.03	27.03	28.05-09.06	13	ივლისის 1-ლი დეკადა	ივლისის მე-3 დეკადის დასასრული	სექტემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
2	კრიმსონ სიდლერი	01.03-24.03	30.03	01.06-12.06	12	სექტემბრის 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	დეკემბრის 1-ლი დეკადა
3	დონ მარიანო	04.03-28.03	29.03	არ ყვავილობს	-	-	-	ოქტომბრის მე-2 დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა
4	ალფონსო ლავალე	01.03-25.03	30.03	30.05-12.06	14	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
5	პრიმა	27.02-24.03	28.03	29.05-11.06	14	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
6	იტალია	28.02-25.03	29.03	30.05-11.06	13	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	ოქტომბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
7	დათიერი	03.03-26.03	30.03	01.06-12.06	12	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
8	ალედო	28.02-26.03	29.03	31.05-11.06	12	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
9	ქართული საადრეო	01.03-24.03	29.03	31.05-12.06	13	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
10	საბას პერლი (მარგალიტი)	28.02-21.03	29.03	26.05-06.06	12	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის 1-ლი დეკადა
11	სულთანინი	02.03-25.03	30.03	02.06-13.06	12	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
12	ჩხავერი	10.03-05.04	11.04	08.06-20.06	13	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის 1-ლი დეკადა
13	ოჯალეში	09.03-04.04	09.04	06.06-17.06	12	ოქტომბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა	დეკემბრის 1-ლი დეკადა
14	კრაზუნა	07.03-31.03	06.04	04.06-14.06	11	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის 1-ლი დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა

15	ცოლიკაური	07.03-30.03	08.04	06.06-17.06	12	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
16	ციცხა	07.03-31.03	08.04	07.06-17.06	11	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
17	კლარჯული	05.03-30.03	06.04	04.06-15.06	12	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
18	ქაქუტურა	06.03-30.03	05.04	01.06-13.06	13	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
19	წულუკიძის თეთრა	04.03-30.03	07.04	05.06-16.06	12	სექტემბრის 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
20	უსახელოური	06.03-01.04	08.04	06.06-17.06	12	ოქტომბრის 1-ლი დეკადა	ოქტომბრის მე-3 დეკადა	ნოემბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
21	ალექსანდრო-ული	06.03-01.04	08.04	06.06-16.06	11	სექტემბრის მე-3 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის 1-ლი დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა
22	შავი მუსკატი	05.03-30.03	06.04	04.06-15.06	12	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-2 დეკადა
23	თეთრი მუსკატი	06.03-30.03	05.04	01.06-13.06	13	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	ოქტომბრის მე-2 დეკადა	ნოემბრის მე-3 დეკადა

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების საცდელი მცენარეები ზრდა-განვითარების ფენოლოგიურ ფაზებს განსხვავებულ ვადებში გადიან, რაც მათი ინდივიდუალური განვითარებითა და ბიოლოგიური თავისებურებებით არის განპირობებული.



ყველაზე ადრე ტირილს იწყებს და ამთავრებს ჯიში - კარდინალი (25.02-22.03), შემდეგ - პრიმა (27.02-24.03), საბას პერლი (28.02-21.03), იტალია (28.02-25.03) და ალედო (28.02-26.03).

1 მარტიდან 5 მარტის ჩათვლით, ტირილს იწყებს და 30 მარტამდე ამთავრებს ვაზის შემდეგი ჯიშები: ქართული საადრეო (01.03-24.03), ალფონსო ლავალე (01.03-25.03), სულთანინი (02.03-25.03), დათიერი (03.03-26.03), წულუკიძის თეთრა (04.03-30.03), შავი მუსკატი (05.03-30.03) და კლარჯული (05.03-30.03).

6 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით, ტირილს იწყებს და 2 აპრილს ამთავრებს ქაქუთურა (06.03-30.03), თეთრი მუსკატი (06.03-30.03), ალექსანდროული (06.03-01.04), ცოლიკაური (07.03-30.03), ციცქა (07.03-31.03), კრახუნა (07.03-31.03) და უსახელოური (07.03-02.04).

კვირტების გაშლას ადრე იწყებს ვაზის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: კარდინალი (27.03), პრიმა (28.03), იტალია (29.03), ალედო (29.03), ქართული საადრეო (29.03), საბას პერლი (29.03) და სულფანი (30.03).

ყველაზე გვიან კი, 5 პრილიდან 11 აპრილამდე კვირტების გაშლას იწყებს თეთრი მუსკატი (05.04), ქაქუთურა (05.04), თეთრი მუსკატი (05.04), კრახუნა (06.04), შავი მუსკატი (06.04), კლარჯული (06.04), წულუკიძის თეთრა (07.04), ცოლიკაური (08.04), ციცქა (08.04), უსახელოური (08.04), ალექსანდროული (08.04), ოჯალეში (09.04) და ჩხავერი (11.04).

ყვავილობას ყველაზე ადრე იწყებს და ამთავრებს საბას პერლი (26.05-06.06), კარდინალი (28.05-09.06), პრიმა (29.05-11.06), იტალია (30.05-11.06) და ალფონსო ლავალი (30.05-12.06).

ყვავილობას მოგვიანებით იწყებს და ამთავრებს ისეთი ჯიშები, როგორიცაა: კრიმსონ სიდლესი (01.06-12.06), დათიერი (01.06-12.06), სულთანინი (02.06-13.06), კრახუნა (04.06-14.06) და შავი მუსკატი (04.06-15.06).

ყველაზე გვიან ყვავილობას იწყებს და ამთავრებს წულუკიძის თეთრა (05.06-16.06), ოჯალეში (06.06-17.06), ცოლიკაური (06.06-17.06), უსახელოური (06.06-17.06), ალექსანდროული (06.06-16.06), ციცქა (07.06-17.06) და ჩხავერი (08.06-20.06).

დანარჩენ ჯიშებში აღნიშნული მაჩვენებლების ცვალებადობა უმნიშვნელოა, რაც განპირობებულია მათი ბიოლოგიური თავისებურებებით.

რაც შეეხება ჯიშებს შორის ყვავილობას, ხანგრძლივობა - 11-14 დღეა, სხვაობა კი უმნიშვნელოა და 3 დღეს შეადგენს.

ასევე სხვადასხვა პერიოდში იწყება ყურძნის შეთვალევა და სრულ სიმწიფეში შესვლა. ამ ნიშნის მიხედვით, ჯიშები იყოფა ოთხ ჯგუფად: სუპერსაადრეო, საადრეო, საშუალო და საგვიანო.

სუპერსაადრეო ჯიშებს მიეკუთვნება: კარდინალი, პრიმა და საბას პერლი, რომლებიც სრულ სიმწიფეში შედიან ივლისის მესამე დეკადიდან - აგვისტოს პირველ დეკადაში.

საადრეო ჯიშებს მიეკუთვნება: ალფონსო ლავალი და ქართული საადრეო, რომლებიც სრულ სიმწიფეში შედის აგვისტოს მე-2 და მე-3 დეკადაში.

საშუალო პერიოდის მომწიფების ჯიშებს მიეკუთვნება: კრიმსონ სიდლესი, იტალია, დათიერი, ალედო, სულთანინი, წულუკიძის თეთრა, შავი მუსკატი და თეთრი მუსკატი, რომლებიც სრულ სიმწიფეში შედიან სექტემბრის მე-2 დეკადასა და მე-3 დეკადაში.

საგვიანო მომწიფების პერიოდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება: კრახუნა, ცოლი-კაური, ციცქა, კლარჯული, უსახელოური და ალექსანდროული, რომლებიც სრულ სიმწიფეში შედიან ოქტომბრის მე-2 და მე-3 დეკადაში.

კიდევ უფრო საგვიანო მომწიფების პერიოდის ჯიშებს მიეკუთვნება ჩხავერი და ოჯალეში, რომლებიც მე-2 და მე-3 დეკადაში მწიფდებიან.

ვაზის საცდელი ჯიშები ასევე განსხვავებულ ვადებში ამთავრებს ყლორტის ზრდას. სექტემბრის მე-3 დეკადაში ზრდას ამთავრებს: კარდინალი, პრიმა, ქართული საადრეო და საბას პერლი, ოქტომბრის მე-2 დეკადაში კი - სულთანინი, კრახუნა, ქაქუთურა, წულუკიძის თეთრა, შავი მუსკატი და თეთრი მუსკატი.

ოქტომბრის მე-3 დეკადაში ამთავრებენ: კრიმსონ სიდლესი, დათიერი, ალედო, ცოლიკაური და ციცქა.

კიდევ უფრო მოგვიანებით (ნოემბრის 1-ლი და მე-2 დეკადა) ამთავრებენ ვაზის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: კლარჯული, უსახელოური, ალექსანდროული და ოჯალეში.

ყველაზე გვიან ყლორტის ზრდას ამთავრებს ჩხავერი (ნოემბრის მე-3 დეკადა), რაც იმით აიხსნება, რომ აღნიშნული ჯიშში ყველა ჯიშთან შედარებით საგვიანოა.

ვაზის ზრდა-განვითარების ფაზებიდან, ბოლო ფაზა - ფოთოლცვენაა, რის შემდეგაც მცენარეები გადადიან ზამთრის მოსვენების პერიოდში. ცალკეული ჯიშების მიხედვით, ფოთოლცვენა იწყება ოქტომბრის მე-3 დეკადიდან და გრძელდება დეკემბრის მე-2 დეკადის ბოლომდე.

ასე, მაგალითად: ოქტომბრის მე-3 დეკადაში ფოთოლცვენას იწყებს ვაზის შემდეგი ჯიშები: კარდინალი, პრიმა, ქართული საადრეო და ამთავრებენ ნოემბრის მე-2 დეკადაში.

ნოემბრის პირველ დეკადაში ფოთოლცვენას იწყებს: ალფონსო ლავალიე, და-თიერი, ალედო, სულთანინი, კრაზუნა, ქაქუთურა, წულუკიძის თეთრა და შავი მუსკატი და ამთავრებენ ნოემბრის მე-2 დეკადაში.

ნოემბრის მე-2 დეკადაში ფოთოლცვენას იწყებენ და მე-3 დეკადაში ამთავრებენ ვაზის შემდეგი ჯიშები: იტალია, ცოლიკაური, ციცქა, კლარჯული, უსახელოური, ალექსანდროული და თეთრი მუსკატი.

ნოემბრის მე-3 დეკადაში ფოთოლცვენას იწყებს და დეკემბრის პირველ დეკადაში ამთავრებს - ოჯალეში, ხოლო ყველაზე უფრო საგვიანო ჯიშში კი იწყებს დეკემბრის პირველ დეკადაში და ამთავრებს დეკემბრის მე-2 დეკადაში.

როგორც დაკვირვებებმა გვიჩვენა, ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების მცენარეები ზრდა-განვითარების ფენოლოგიურ ფაზებს განსხვავებულ ვადებში გადაიან, რაც მათი ბიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული.

N 2 ცხრილში მოცემულია ვაზის სხვადასხვა ჯიშის ბიომეტრიული მაჩვენებლები.

ცხრილი N2

ვაზის სხვადასხვა ჯიშის ბიომეტრიული მაჩვენებლები(2023 წელი)

N	ჯიშების დასახელება	ვაზის საშუალო სიმაღლე	შტამბის სიმაღლე (სმ)	შტამბის დიამეტრი (სმ)	მომწიფებული რქის სიმახო (სმ)	ფოთლის სიგრძე (სმ)	ფოთლის სიგანე (სმ)
1	კარდინალი	2.2	56	3.6	1.4	14	18
2	კრიმსონ სიდლესი	2.0	72	4.0	1.5	15	19
3	დონ მარიანო	2.1	69	4.7	1.8	16	20
4	ალფონსო ლავალე	2.3	66	4.8	2.1	17	21
5	პრიმა	2.0	65	4.4	1.7	15	19
6	იტალია	2.1	63	4.2	1.6	16	21
7	დათიერი	2.2	69	4.8	2.2	18	22
8	ალედო	2.0	70	4.5	1.9	16	20

9	ქართული საადრეო	1.9	55	3.7	1.3	14	17
10	საბას პერლი	2.0	54	3.6	1.5	16	21
11	სულთანინი	2.1	68	4.5	2.0	15	20
12	ჩხავერი	2.0	60	3.9	1.5	17	21
13	ოჯალეში	2.1	57	3.6	1.3	16	20
14	კრაზუნა	2.0	61	4.1	1.5	16	21
15	ცოლიკაური	2.1	73	4.0	1.6	17	19
16	ციცქა	2.0	72	4.3	1.7	17	20
17	კლარჯული	2.1	59	3.9	1.5	15	18
18	ქაქუთურა	2.0	57	3.6	1.4	14	18
19	წულუკიძის თეთრა	1.9	58	3.7	1.4	13	19
20	უსახელოური	2.4	54	3.4	1.2	14	16
21	ალექსანდროული	2.5	56	3.6	1.4	14	17
22	შავი მუსკატი	2.2	58	3.7	1.3	15	18
23	თეთრი მუსკატი	2.3	55	3.6	1.2	14	17

როგორც ცხრილიდან ჩანს, ინტროდუცირებული და ადგილობრივი ვაზის ჯიშე-ბის საშუალო სიმაღლე 1,9 მეტრიდან 2,4 მეტრამდე მერყეობს, შტამბის დიამეტრი კი 3,4 სანტიმეტრიდან 4,8 სანტიმეტრამდე. ყველაზე ძლიერი ზრდით გამოირჩევა შემდეგი ჯიშები: ალექსანდროული (2,5 მ), უსახელოური (2,4 მ) და ალფონსო ლავალე (2,3 მ). საშუალო ზრდა ახასიათებს შემდეგ ჯიშებს: კარდინალი (2,2 მ), დათიერი (2,2 მ), შავი მუსკატი (2,2 მ), იტალია (2,1 მ), სულთანინი (2,1 მ), ოჯალეში (2,1 მ), ცოლიკაური (2,1 მ) და კლარჯული (2,1 მ). შედარებით სუსტი ზრდა ახასიათებს ისეთ ჯიშებს, როგორიცაა: კრიმსონ სიდლესი (2,0 მ), პრიმა (2,0 მ), ალედო (2,0), საბას პერლი (2,0 მ), ჩხავერი (2,0 მ), კრაზუნა (2,0 მ), ციცქა (2,0 მ) და ქაქუთურა (2,0 მ). კიდევ უფრო სუსტად მზარდია - ქართული საადრეო (1,0 მ) და წულუკიძის თეთრა (1,9 მ), რაც განპირობებულია მათი ბიოლოგიური თავისებურებებით.

ვაზის ჯიშები ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან შტამბის სიმაღლითა და დიამეტრით. ყველაზე მაღალი შტამბი აქვს შემდეგ ჯიშებს: ცოლიკაური (73 სმ), ციცქა (72 სმ), კრიმსონ სიდლესი (72 სმ) და ალედო (70 სმ). საშუალო სიმაღლის შტამბი აქვს: დონ მარიანო (69 სმ), დათიერი (69 სმ), სულთანინი (69 სმ), კრაზუნა (61 სმ) და ჩხავერი (60 სმ).

შედარებით დაბალშტამბიანი ჯიშებია: კლარჯული (59 სმ), წულუკიძის თეთრა (59 სმ), შავი მუსკატი (58 სმ), ოჯალეში (57 სმ), ქაქუთურა (57 სმ), ალექსანდროული (56 სმ) და თეთრი მუსკატი (55 სმ).

შტამბის დიამეტრით გამოირჩევა შემდეგი ჯიშები: ალფონსო ლავალე (4,8 სმ), დათიერი (4,8 სმ), დონ მარიანო (4,7 სმ), ალედო (4,5 სმ) და სულთანინი (4,5 სმ). კიდევ უფრო ნაკლები დიამეტრის შტამბი აქვს შემდეგ ჯიშებს: პრიმა (4,4 სმ), ციცქა (4,3 სმ), იტალია (4,2 სმ), კრაზუნა (4,1 სმ) და ცოლიკაური (4,0 სმ).

შედარებით წვრილი შტამბი აქვს შემდეგ ჯიშებს: ჩხავერი (3,9 სმ), კლარჯული (3,9 სმ), ქართული საადრეო (3,7 სმ), წულუკიძის თეთრა (3,7 სმ), შავი მუსკატი (3,7 სმ),

კარდინალი (3,6 სმ), საბას პერლი (3,6 სმ), ოჯალეში (3,6 სმ), ქაქუთურა (3,6 სმ), ალექსანდროული (3,6 სმ) და თეთრი მუსკატი (3,6 სმ).

მომწიფებული რქის სიმსხოთი გამოირჩევა შემდეგი ჯიშები: დათიერი (2,2 სმ), ალფონსო ლავალე (2,1 სმ), სულთანინი (2,0 სმ).

კიდევ უფრო წვრილი რქა ახასიათებს შემდეგ ჯიშებს: დონ მარიანო (1,8 სმ), პრიმა (1,7 სმ), ციცქა (1,7 სმ), იტალია (1,6 სმ), ცოლიკაური (1,6 სმ), კრიმსონ სიდლერი (1,5 სმ), საბას პერლი (1,5 სმ), ჩხავერი (1,5 სმ), კრაზუნა (1,5 სმ) და კლარჯული (1,5 სმ).

ყველაზე უფრო წვრილ რქას ივითარებს შემდეგი ჯიშები: ქართული საადრეო (1,3 სმ), ოჯალეში (1,3 სმ), შავი მუსკატი (1,3 სმ), უსახელოური (1,2 სმ) და თეთრი მუსკატი (1,2 სმ). დანარჩენი ჯიშების მომწიფებული რქის სიმსხო კი უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ასევე განსხვავდებიან ვაზის ჯიშები ფოთლის სიგრძითა და სიგანით. ყველაზე ფართო ფოთლებს ივითარებს შემდეგი ჯიშები: დათიერი (22 სმ), იტალია (21 სმ), ჩხავერი (21 სმ), კრაზუნა (21 სმ), ალფონსო ლავალე (21 სმ), ალედო (20 სმ), სულ-თანინი (20 სმ), ოჯალეში (20 სმ) და ციცქა (20 სმ).

შედარებით პატარა ფოთლები აქვს შემდეგ ჯიშებს: კრიმსონ სიდლესი (19 სმ), პრიმა (19 სმ), ცოლიკაური (19 სმ), წულუკიძის თეთრა (19 სმ), კარდინალი (18 სმ), კლარჯული (18 სმ), ქაქუთურა (18 სმ) და შავი მუსკატი (18 სმ).

უფრო პატარა ზომის ფოთლები აქვს შემდეგ ჯიშებს: ქართული საადრეო (17 სმ), ალექსანდროული (17 სმ), თეთრი მუსკატი (17 სმ), საბას პერლი (16 სმ) და უსახე-ლოური (16 სმ).

N 3 ცხრილში მოცემულია ვაზის სხვადასხვა ჯიშის ტექნიკური მახასიათებლები და მოსავლიანობა.

ცხრილი N3

ვაზის სხვადასხვა ჯიშის ტექნიკური მახასიათებლები და მოსავლიანობა (2023 წელი)

N	ჯიშების დასახელება	მტევნის სიგრძე (სმ)	მტევნის სიგანე (სმ)	მტევნის საშუალო წონა (გრ)	მარცვლის საშუალო წონა (გრ)	მოსავლიანობა 1 ძირზე (კგ)	მოსავლიანობა 1 ჰექტარზე (ტ)
1	კარდინალი	23.0	12.5	266	6.8	2.6	7.0
2	კრიმსონ სიდლესი	17.5	8.5	168	3.6	1.9	5.1
3	დონ მარიანო	16.0	8.0	161	3.2	1.5	4.1
4	ალფონსო ლავალე	16.9	12.8	330	3.5	2.4	6.5
5	პრიმა	18.0	12.3	174	3.3	2.8	7.6
6	იტალია	19.5	12.0	364	6.4	3.4	9.2
7	დათიერი	21.5	10.6	222	3.8	2.2	5.9

8	ალეღო	20.3	14.5	352	2.9	2.3	6.2
9	ქართული საადრეო	17.6	8.4	209	2.0	3.2	8.6
10	საბას პერლი	13.6	8.6	149	2.1	2.3	6.2
11	სულთანინი	14.2	7.8	120	1.5	2.2	5.9
12	ჩხავერი	14.0	9.0	132	1.2	2.8	7.6
13	ოჯალეში	14.1	10.3	125	2.1	2.5	6.7
14	კრაზუნა	15.5	12.0	345	3.1	2.7	7.3
15	ცოლიკაური	22.0	9.5	332	3.2	3.5	9.4
16	ციცქა	16.8	10.0	259	2.9	2.6	7.0
17	კლარჯული	17.0	12.0	301	3.3	2.4	6.5
18	ქაქუთურა	15.0	9.0	145	2.0	2.3	6.2
19	წულუკიძის თეთრა	15.8	10.2	168	2.2	2.5	6.7
20	უსახელოური	12.4	7.9	198	2.4	2.2	5.9
21	ალექსანდროული	13.8	10.6	142	2.8	2.4	6.5
22	შავი მუსკატი	25.5	12.0	320	4.6	2.5	6.7
23	თეთრი მუსკატი	21.8	7.7	234	3.0	2.1	5.7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვაზის ინტროდუცირებული და ადგი-ლობრივი ჯიშები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ტექნიკური მაჩვენებლებით, ასევე მოსავლიანობით, რაც მათი ბიოლოგიური თავისებურებებით არის განპირობებული.

ყველაზე უფრო დიდი ზომის მტევნებს ივითარებს შემდეგი ჯიშები: იტალია (364 გ), ალეღო (352 გ), კრაზუნა (345 გ), ცოლიკაური (332 გ), შავი მუსკატი (320 გ) და კლარჯული (301 გ). შედარებით პატარა ზომის მტევნებს ივითარებს შემდეგი ჯიშები: კარდინალი (266 გ), ციცქა (259 გ), თეთრი მუსკატი (234 გ), დათიერი (222 გ) და ქართული საადრეო (209 გ).

კიდევ უფრო პატარა ზომის მტევნებს ივითარებს შემდეგი ჯიშები: სულთანინი (120 გ), ოჯალეში (125 გ), ჩხავერი (132 გ), ალექსანდროული (142 გ), ქაქუთურა (145 გ), საბას პერლი (149 გ), დონ მარიანო (161 გ), კრიმსონ სიდლესი (168 გ) და პრიმა (174 გ).

მარცვლის საშუალო წონის მიხედვით გამოირჩევა შემდეგი ჯიშები: კარდინალი (6,8 გ) და იტალია (6,4 გ), შემდეგ კი დათიერი (3,8 გ), კრიმსონ სიდლესი (3,6 გ), ალფონსო ლავალე (3,5 გ), პრიმა (3,3 გ), კლარჯული (3,3 გ), ცოლიკაური (3,2 გ) და კრაზუნა (3,1 გ).

შედარებით პატარა მარცვალს ივითარებს ალეღო (2,9 გ), ციცქა (2,9 გ), ალექსანდროული (2,8 გ), უსახელოური (2,4 გ), წულუკიძის თეთრა (2,2 გ), საბას პერლი (2,1 გ), ოჯალეში (2,1 გ) და ქართული საადრეო (2,0).

ჯიშის სამეურნეო მაჩვენებლებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი მოსავლიანობა. ჩამოთვლილი ჯიშებიდან ყველაზე უფრო მეტ მოსავალს იძლევა ჯიშები: ცოლიკაური, იტალია და ქართული საადრეო, რომელთა მაჩვენებლები 1 ძირ ხეზე და 1 ჰექტარზე შესაბამისად უდრის 3,5 კილოგრამს - 9,4 ტონას, 3,4 კილოგრამს - 9,2 ტონას და 3,2 კილოგრამს - 8,6 ტონას, რაც აჭარის ზღვისპირა ზოლში მეტად მაღალ მაჩვენებლად ითვლება. ასევე მაღალმოსავლიან ჯიშებად ითვლება შემდეგი ჯიშები: პრიმა (2,8 კგ-7,6 ტ),

ჩხავერი (2,8 კგ-7,6 ტ), კრახუნა (2,7 კგ-7,3 ტ), კარდინალი (2,6 კგ-7,0 ტ) და ციცქა (2,6 კგ-7,0 ტ).

მოსავლიანობით საშუალო ადგილი უჭირავს შემდეგ ჯიშებს: წულუკიძის თეთრა (2,5 კგ-6,7 ტ), შავი მუსკატი (2,5 კგ-6,7 ტ), ოჯალეში (2,5 კგ-6,7 ტ), ალფონსო ლავალე (2,4 კგ-6,5 ტ), კლარჯული (2,4 კგ-6,5 ტ), ალექსანდროული (2,4 კგ-6,5 ტ), ალედო (2,3 კგ-6,2 ტ), საბას პერილი (2,3 კგ-6,2 ტ) და ქაქუთურა (2,3 კგ-6,2 ტ).

ყველაზე უფრო დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება ჯიშები, როგორცაა: დონ მარიანო (1,5 კგ-4,1 ტ), კრიმსონ სიდლესი (1,9 კგ-5,1 ტ), თეთრი მუსკატი (2,1 კგ-5,7 ტ), უსახელოური (2,2 კგ-5,9 ტ), სულთანინი (2,2 კგ-5,9 ტ) და დათიერი (2,2 კგ-5,9 ტ).

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ასევე ნაყოფის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით, კერძოდ კი - აქტიური მჟავიანობის, ტიტრული მჟავიანობისა და მშრალი ნივთიერების შემცველობის მიხედვით.

ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების ნაყოფის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები (2023 წელი)

N	ჯიშების დასახელება	აქტიური მჟავიანობა, pH	ტიტრული მჟავიანობა	მშრალი ნივთიერება, %
1	კარდინალი	3.47	0.56	16.1
2	კრიმსონ სიდლესი	3.87	0.52	14.8
3	ალფონსო ლავალე	3.85	0.43	20.2
4	პრიმა	3.47	0.56	16.3
5	იტალია	3.87	0.69	16.2
6	დათიერი	3.9	0.52	21.0
7	ალედო	3.72	0.39	17,6
8	ქართული საადრეო	3.41	0.78	16.9
9	საბას პერილი	3.31	0.63	19.1
10	სულთანინი	3,98	0,75	21,8
11	ჩხავერი	3.02	0.78	20.8
12	ოჯალეში	3.13	0.75	20.6
13	კრახუნა	3.35	0.90	16.0
14	ცოლიკაური	3.15	0.62	19.0
15	ციცქა	3.22	0.85	16.3
16	კლარჯული	2.98	0.99	17.5
17	ქაქუთურა	3.09	0.73	18.4
18	წულუკიძის თეთრა	3.28	0.61	20.0
19	უსახელოური	3.52	0.55	18.3
20	ალექსანდროული	3.58	0.53	19.2
21	შავი მუსკატი	3.95	0.55	15.6
22	თეთრი მუსკატი	3.85	0.54	15.5

კვლევები ტარდებოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიაში მთავარი მეცნიერ თანამშრომლის დარეჯან ჩიქოვანის ხელმძღვანელობით (ფოტომასალა თან ერთვის).

მშრალი ნივთიერების შემცველობის მხრივ, ვაზის საცდელი ჯიშებიდან ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს შემდეგ ჯიშებს: სულთანინი (21,8%), დათიერი (21,0%), ჩხავერი (20,8%), ოჯალეში 20,6%), ალფონსო ლავალე (20,2%) და წულუკიძის თეთრა (20%),

შემდეგ კი მოდის ჯიშები: ალექსანდროული (19,2%), საბას პერლი (19,1%) და ცოლიკაური (19,0%).

16,3%-დან 18,4%-მდე მერყეობს მშრალი ნივთიერების შემცველობა ვაზის ისეთ ჯიშებში, როგორიცაა: პრიმა (16,3%), ქართული საადრეო (16,9%), კლარჯული (17,5%), ალედო (17,6%), უსახელოური (18,3%) და ქაქუთურა (18,4%).

ყველაზე უფრო ნაკლებ მშრალ ნივთიერებას შეიცავს კრიმსონ სიდლესი (14,8%), თეთრი მუსკატი (15,5%) და შავი მუსკატი (15,6%).

რაც შეეხება მეტად პერსპექტიულ და უხვმსხმოიარე ჯიშებს - კარდინალსა და იტალიას, ამ მხრივ მათი მაჩვენებლები შესაბამისად, შეადგენს 16,1 და 16,2 პროცენტს.

ამგვარად, ჩვენს მიერ ჩატარებული ერთწლიანი კვლევის შედეგების გაანალიზებამ საშუალება მოგვცა, რომ გავგვეკეთებინა მეტად მოკრძალებული დასკვნები, კერძოდ:

- ზემოთ აღნიშნული ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი პერს-პექტიული ჯიშების შედარებითმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ისინი, როგორც ბიოლოგიური თავისებურებების, ასევე სამეურნეო ძვირფასი ნიშნების მიხედვით მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.
- ყურძნის მომწიფების მიხედვით, შეიძლება ისინი სამ ჯგუფად დაიყოს: სუპერ-საადრეო, საადრეო, საშუალო, საგვიანო და ძლიერ საგვიანო ჯიშებად. სუპერ-საადრეო ჯიშს მიეკუთვნება კარდინალი და საბას პერლი, რომლებიც სრულ სიმწიფეშია ივლისის მესამე დეკადაში.

საადრეო ჯიშებს მიეკუთვნება ჯიშები: პრიმა, ალფონსო ლავალე და ქართული საადრეო, რომლებიც სრულ სიმწიფეშია აგვისტოს პირველ და მესამე დეკადაში. საშუალო პერიოდის მომწიფების ჯიშებს მიეკუთვნება: იტალია, დათიერი, ალედო, სულთანინი, წულუკიძის თეთრა, შავი მუსკატი და თეთრი მუსკატი, რომლებიც სრულ სიმწიფეშია სექტემბრის პირველი დეკადიდან მესამე დეკადის ბოლომდე.

საგვიანო ჯიშები, როგორიცაა: კრაზუნა, ცოლიკაური, ციცქა, კლარჯული, ქაქუთურა, უსახელოური და ალექსანდროული, სრულ სიმწიფეშია ოქტომბრის პირველი დეკადიდან მესამე დეკადის ბოლომდე.

უფრო საგვიანო ჯიშებია ოჯალეში და ჩხავერი, რომლებიც სრულ სიმწიფეშია ნოემბრის პირველ და მესამე დეკადაში.

რაც შეეხება მოსავლიანობას, 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით, მაჩვენებლები გამოავლინა შემდეგმა ჯიშებმა: ცოლიკაური (9,4 ტ), იტალია (9,2 ტ) და ქართული საადრეო (8,6 ტ); დაბალი მაჩვენებლები გამოავლინა ჯიშებმა: დონ მარიანო (4,1 ტ), კრიმსონ სიდლესი (5,1 ტ), თეთრი მუსკატი (5,7 ტ), უსახელოური (5,9 ტ) და დათიერი (5,9 ტ). დანარჩენ ჯიშებს კი ამ მხრივ შუალედური ადგილი უჭირავს მაღალ-მოსავლიან და დაბალმოსავლიან ვაზის ჯიშებს შორის.

მშრალი ნივთიერების შემცველობის მხრივ გამოირჩევა შემდეგი ჯიშები: სულთანინი (21,8%), დათიერი (21%), ოჯალეში (20,6%), ჩხავერი (20,8%) და ალფონსო ლავალე (20,2%).

ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოავლინა შემდეგმა ჯიშებმა: კრიმსონ სიდლესი (14,8%), თეთრი მუსკატი (15,5%) და შავი მუსკატი (15,6%), დანარჩენ ჯიშებს კი შუალედური ადგილი უჭირავს.

ამრიგად, ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშებიდან, კვლევების დამთავრების შემდეგ, სავსებით შესაძლებელი იქნება, რომ გამოვარჩიოთ ისეთი ჯიშები, რომლებიც იქნება უხვმოსავლიანი, მავნებელ-დაავადებების მიმართ უფრო მედეგი და ჩვენს ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან შეგუებული.



აკადემიკოსი რ. ჯაბნიძე

სატყეო საქმის მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: დოლიძე ლაშა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი;

მერაბ მამულაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი;

არჩილ ძირკვაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

თემა: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით
მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი
სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების
რეკომენდაციების შემუშავება“.

2023 წელს შესასრულებელი სამუშაოების გეგმის თანახმად IV კვარტალში
განხორციელდა 2023 წლის სამეცნიერო ანგარიშის გაფორმება, მზადდება სამეცნიერო
სტატია პუბლიკაციისათვის.

თანამედროვე პირობებში, აჭარის ა/რ ტყის რესურსების კომპლექსური გამოყენების ერთ - ერთ გამოწვევას წარმოადგენს არამერქნული რესურსების კომპლექსური, ეფექტური, ინტეგრირებული გამოყენება. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სამკურნალო, კულინარიული, ინსექტციური და სხვა სახის დანიშნულებით მათი გამოყენება.

ადამიანი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ცდილობდა მისთვის სასარგებლო მცენარეების გამორჩევას. საქართველოში პირველი სამკურნალო წიგნი კარაბადინის სახელით არის ცნობილი, მათგან აღსანიშნავია: ქანანელის “უსწორო კარაბადინი” (მე -11 საუკუნე), ხოჯა ყოფილის თარგმნილი „წიგნი სააქიმო“, (მე - 13 საუკუნე), ზაზა ფანასკერტელ - ციციშვილის “სამკურნალო წიგნი” (მე - 14 საუკუნე), დავით ბაგრატიონის “იადიგარ დაუდი“ (მე - 16 საუკუნე) და სხვ.

თანამედროვე მედიცინაში დადგენილია, რომ მცენარეული სამკურნალო საშუალებები სინთეზურთან შედარებით უმეტეს შემთხვევებში ავადმყოფზე უფრო რბილად, კომფორტულად მოქმედებს (Votchall V., 1970).

მცენარეული სამკურნალო საშუალებების ხვედრითმა წილმა, ამჟამად მსოფლიოში გულისსხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობაში თითქმის 80 – 85 % მიაღწია (F. Durberg, 2018); მცენარეული სამკურნალო ნივთიერებებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფარმაკოლოგიურად ისეთი აქტიური ნივთიერებები, როგორიცაა ნახშირწყლები, გლიკოზიდები, ეთეროვანი ზეთი, ვიტამინები, ალკალოიდები, ტანინები, ფლავონები, ფერმენტები და სხვ. (შ. ხიდაშელი, 1969, 1980; ვ. პაპუნძიძე, 1980; ა. გამერმანი, 1976; A. Bassler, 2005; და სხვ.).

უკანასკნელი კვლევების თანახმად (K.Chopra, 2020; A. Shretter, 2021; C. Needon, 2021) მცენარეული რესურსებიდან მსოფლიოს სამედიცინო მრეწველობაში დანერგილი პრეპარატებიდან აღსანიშნავია: დიკუმარინი, პიუცედინი, ელეუტერო - კოკა და სხვ.).

მედიცინაში გამოიყენება ტყის შემქმნელი მრავალი სახეობის სამკურნალო ნედლეული. სოჭის წიწვები, ქერქი და ახალგაზრდა ტოტები გამოიყენება სინთეზური ქაფურის მისაღებად. ს. სიდნევა (1962) მიუთითებს, რომ ქაფური სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის აღმგზნები, ინფექციური სხვა დაავადებების დროს გულის მოქმედების გამამძლიერებელი საშუალება; ნ. მაშკოვსკი (1967) აღნიშნავს, რომ პრეპარატი პანაბინი, რომელიც მიიღება აღმოსავლეთის ნაძვის წიწვებიდან გამოყოფილი ეთერზეთის გამოყენებით მნიშვნელოვნად ზღუდავს პათოგენური ბაქტერიების განვითარებას ორგანიზმში.

უკანასკნელ ათწლეულებში მრავალი სამკურნალო მცენარის რესურსი სხვადასხვა მიზეზის გამო მათი ტრადიციული დამზადების რაიონებში თითქმის ამოიწურა. ამიტომაც ასე აქტუალური ახალი სამრეწველო მასივების გამოვლენა. ამისათვის აუცილებელია როგორც ადგილობრივი ფლორის ცოდნა, ასევე სამკურნალო მცენარეული ნედლეულის პერიოდული ინვენტარიზაცია და მცენარეების კულტივირება. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების დროს ყველა სპეციალისტი ვალდებულია შეასრულოს ბუნების დაცვის უმთავრესი ღონისძიებები, რაც ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ხანგრძლივი ექსპლუატაციის საწინდარია.

სამკურნალო მცენარეების მაღალხარისხოვნება და სპეციფიკური თავისებურებები, მათი რთული და ნაირგვარი ქიმიური შედგენილობა და სამკურნალო ვარგისიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არა მარტო მცენარის სახეობაზე, არამედ მათი გავრცელების ადგილმდებარეობაზე, მათი შეგროვების ხერხებზე.

სამკურნალო მცენარის მაღალხარისხოვნება დამოკიდებულია აგრეთვე რიგ ფაქტორებზე, რომლებშიც მნიშვნელოვანი ეტაპებია: დამზადების ვადებისა და წესების დაცვა, სწორი პირველადი გადამუშავება, შრობის რეჟიმის, დაფასოების, შენახვის

პირობების და ვარგისიანობის ვადების კონტროლი. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია თვით მცენარის ბიოლოგიური თავისებურებები და ვეგეტაციის პერიოდები, რაზეც, ფაქტობრივად, დამოკიდებულია ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ბიოსინთეზი და დაგროვების დინამიკა.

სამკურნალო მცენარეები წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ფარმაცევტული მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის თითქმის ნახევარს. წამლის დასამზადებლად გამოიყენება მხოლოდ მაღალხარისხოვანი მცენარე და მისი ნაწილები.

სამკურნალო მცენარეების გამოყენება, გარდა მათში არსებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი თერაპიული ეფექტურობისა, საინტერესოა იმითაც, რომ მათი გამოყენებით არ ხდება გარემოს დანაგვიანება. გარდა ამისა, უკანასკნელი წლების მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ სინთეტური მასალები თავისი ხარისხით ხშირად მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ბუნებრივს, მცენარეული წარმოშობისას.

ცნობილია, რომ საქართველოს ფლორა უმაღლეს მცენარეთა ანუ ყვავილოვანთა ოთხი ათასზე მეტ სახეობას ითვლის. ჩვენს ქვეყანაში ვხდებით როგორც მშრალ ქსეროფილურ, ნახევრად უდაბნოების და სტეპურ, ასევე ტენიან, სუბტროპიკული კოლხური ტყის და მდელოს მცენარეულობას, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი სამკურნალო მცენარეებს უკავია.

საქართველოში სამკურნალო მცენარეების მოძიების და მათი ბუნებრივი მარაგების განსაზღვრისათვის ორგანიზებულმა მრავალრიცხოვანმა ექსპედიციებმა, მრავალი ახალი სამკურნალო მცენარე გამოავლინა.

აჭარის რეგიონში სამკურნალო მცენარეები ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ მედიცინაში მათი მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული. ბევრი მათგანი დავიწყებას მიეცა და მცირე რაოდენობით მხოლოდ ხალხურ მედიცინაში თუ გამოიყენება.

სამკურნალო მცენარეების უმეტესი ნაწილი შესწავლილია, ნაწილი კი - გამოკვლევას და შესწავლას მოითხოვს. გასათვალისწინებელია ის, რომ სამკურნალო მცენარეებით დაკავებული ბუნებრივი ლანდშაფტი და სახეობრივი შემადგენლობა სწრაფად იცვლება. ამის გამო, ამა თუ იმ სამკურნალო მცენარის შესწავლა და ნედლეულის მარაგის დაზუსტება მეტად გაძნელებულია, საჭიროა მათი რესურსების გადამოწმება და ხელმეორედ შესწავლა.

დღეისათვის სამკურნალო მცენარეების პოპულარობა ძალზე დიდია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი მცენარეების ძებნა, მოქმედი ნივთიერებების დადგენა და მათი გამოყენება. ეს საშუალებები უსაფრთხოა და მათი საოჯახო პირობებში დამზადება-მოხმარებაც შეიძლება.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ მაღალმთიანი აჭარის (შუახევის, ხულოს სატყეო უბნები) სოჭის, ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელში შერჩეული იქნა სოჭნარი ტყის ეკოსისტემების ძირითად ფორმაციები (სოჭნარები, სოჭნარ - ნაძვნარები, სოჭნარ - წიფლნარები, წიფლნარ - სოჭნარები, ნაძვნარ - სოჭნარები). კერძოდ, კვლევის ობიექტებად შეირჩა შუახევის მუნიციპალიტეტში ოლიდაურის და ჭვანას სატყეო უბნები, ხულოს მუნიციპალიტეტში - ზეგანის, ხიხადირის და ღორჯომის სატყეო უბნები;

აჭარის მცენარეულობა დასავლეთ ამიერკავკასიის ტყის მცენარეული ოლქის ნაწილია. აჭარის ზღვის სანაპირო ზონის მცენარეულობა რთული ვერტიკალური სარტყელიანობით ხასიათდება, ხოლო შიდა მთიან აჭარაში შედარებით მკვეთრად არის გამოხატული მცენარეულობის ვერტიკალური ზონალობა (შ. ხიდაშელი, ვ. პაპუნძიძე, 1976).

ტყის ეკოსისტემებში, ბუნებრივად გავრცელებული ხე-მცენარეებიდან აჭარის სუბტროპიკული სარტყელისათვის დამახასიათებელია შემდეგი სახეობები: მუხები (*Quercus imeretina* Stev., *Q. Hartwissiana* S.), ძელქვა (*Zelkova carpinifolia* Dipp), წაბლი

ჩვეულებრივი (*Castanea sativa* Mill.), რცხილა (*Carpinus caucasica* A.Grossh.), იფანი (*Fraxinus excelsior* L.), აღმოსავლეთის წიფელი (*Fagus orientalis* L.), ნეკერჩხლები (*Acer campestre* L., *A.laetum* C.M.M.), ბზა (*Buxus colchica* pojark), კეთილშობილი დაფნა (*Laurus nobilis* L.), ბუჩქებიდან: შქერი (*Rhododendron ponticum* L.), უნგერნის შქერი (*Rhododendron Ungerni* Trauty.), კოლხური ჭყორი (*Ilex colchica* pojark), წყავი (*Laurocerasus officinalis* Roem), კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos* L.), დიდგულა (*Sambucus nigra* L.), თხილი (*Corylus avellana* L.) და სხვ., ლიანებიდან აღსანიშნავია: სურო (*Hedera colchica* C.koch., *H.chelix* L.), ღვედკეცი (*Periploca graeca* L.), ეკალდიჭი (*Smilax excelsa* L.) და სხვ.

ტყის ეკოსისტემებში მარადმწვანე ქვეტყის ძლიერ განვითარების გამო ბალახეული საფარი წარმოდგენილია შედარებით სუსტად (ვ. გულისაშვილი, 1964). სუბტროპიკული ტყის ეკოსისტემებისათვის უმეტესად დამახასიათებელია შემდეგი ბალახეული საფარი: ბერსელა, ჩადუნა, მჭადა, მთის პიტნა და სხვ.

აჭარის სუბტროპიკულ რეგიონში აკლიმატიზებული სახეობებიდან აღსანიშნავია: ევკალიპტი, კრიპტომერია, კვიპაროსი, თეთრი აკაცია, ფიჭვი, ლირიოდენდრონი და სხვ.

ზღვის დონიდან 450 - 500 მ.- დან 1000 მ. სიმაღლემდე გამოიყოფა წაბლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელი. აღნიშნული სარტყელისათვის დამახასიათებელია ზომიერად ტენიანი ჰავა. ეს სარტყელი ძირითადად მოიცავს მდინარე აჭარისწყალისა და მისი შენაკადების ქვემო წელის ხეობათა გაყოლებას და მთების ქვედა ნაწილის ტყის ეკოსისტემებს. აღნიშნულ სარტყელში ძირითადად გავრცელებულია ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* Mill.), რომელთანაც შერეულია რცხილა, წიფელი, ცაცხვი და სხვ. სახეობები; ქვეტყეში გვხვდება - შქერი, წყავი. (ჯაფარიძე გ., დოლიძე ლ., მამულაძე მ., ძირკვაძე ა., 2020)



ზღვის დონიდან 1000 მ.- დან 1600 მ. სიმაღლემდე გამოიყოფა წიფლის (*Fagus orientalis* L.) ბუნებრივი გავრცელების სარტყელი. აღნიშნული სარტყელის ქვედა ნაწილში წიფელი შერეულია წაბლთან, ცაცხვთან, რცხილასთან; ქვეტყე წარმოდგენილია: შქერით, ჭანჭყატით, დიდგულათი, ჭყორით და სხვ.

სარტყელის ზედა ნაწილში წიფელი შერეულია: ნაძვთან, სოჭთან, ფიჭვთან და სხვ; ქვეტყეში გვხვდება: ჭყორი, წყავი, მოცვი, შქერი; ბალახეული საფარიდან აღსანიშნავია: მთის პიტნა, ტყის წიწმატი, ქრისტესბეჭედა და სხვ.

ზღვის დონიდან 1600 მ. - დან 2000 მ. სიმაღლემდე გამოიყოფა ნაძვნარ - სოჭნარი (სურ. 1) ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია აღმოსავლეთის ნაძვისა (*Picea orientalis* L.) და კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana* S.) ტყის ეკოსისტემებით. აღნიშნულ სახეობებთან შერეულია: წიფელი, მაღალმთის ნეკერჩხალი, მთის თელა, მთის ბოკვი, სამხრეთი რუმბის ფერდობებზე, იშვიათად - ფიჭვი; ქვეტყეში გვხვდება: ჭნავი, იმერეთის ხეშავი და სხვ; ბალახოვანი საფარიდან აღსანიშნავია: უჟმურა, ჩიტისთვალა, ჩადუნა, ხარისშუბლა და სხვ.

ზღვის დონიდან 2000 მ. - დან 2200 მ. სიმაღლემდე (ალპურ სარტყელამდე) აჭარაში წარმოდგენილია მაღალი მთის სუბალპური მეჩხერების ზონა, ე. წ. "ბრძოლის სარტყელი". ტყის სახეობებიდან გვხვდება: წიფელი, ნაძვი, სოჭი, მაღალმთის ნეკერჩხალი, არყი; ბუჩქებიდან: დეკა, მოცვი, ჭნავი, იელი; ბალახეული საფარიდან აღსანიშნავია: ნაღველა, მთის პიტნა, ხარისშუბლა, ტყის ნემსიწვერა და სხვ.

სუბალპური მეჩხერი ტყის ეკოსისტემები წარმოადგენენ გარდამავალ ფორმაციას მცენარეულობასა და ალპებს შორის (ი. აბაშიძე, 1962).

ზღვის დონიდან 2200 მ. - ს ზემოდ მთების თხემები დაფარულია კორდებით, ალპური ნაირბალახოვანი მცენარეულობით.

სოჭის ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელისათვის დამახასიათებელია მერქნიან მცენარეთა შემდეგი ასოციაციები:

სოჭნარ - წიფლნარი შქერის ქვეტყით (*Abieto - Fagetum rhododendrosum*), წიფლნარი ხარისშუბლას საფარით (*Fagetum seneciosum*), სოჭნარ - სოჭნარი ხარისშუბლას საფარით (*Abieto - Fagetum senecio - sum*), სოჭნარი წყავის ქვეტყით (*Abietum laurocerasosum*), ნაძვნარ - სოჭნარი წყავის ქვეტყით (*Piceto - Abietum laurocerasosum*), სოჭნარი შქერის ქვეტყით (*Abietum rhododendrosum*), ნაძვნარ - სოჭნარი შქერის ქვეტყით (*Piceeto - Abietum rhododendrosum*), წიფლნარ - სოჭნარი შქერის ქვეტყით (*Fageto - Abietum rhododendrosum*), სოჭნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Abietum arctostaphylosum*), წიფლნარ - სოჭნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Fageto - Abietum arctostaphylosum*), სოჭნარი მაღალბალახოვანი საფარით (*Abietum altherbosum*), სოჭნარი ხარისშუბლას საფარით (*Abietum seneciosum*), სოჭნარი მთის წივანას საფარით (*Abietum festucosum*), ნაძვნარ - სოჭნარი მთის წივანას საფარით (*Piceeto - Abietum festucosum*), წიფლნარ - სოჭნარი მთის წივანას საფარით (*Fageto - Abietum festucosum*), ნაძვნარი შქერის და წყავის ქვეტყით (*Piceetum rhododendroso laurocerasosum*), ნაძვნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Piceetum arctostaphylosum*), ნაძვნარი მთის წივანას საფარით (*Piceetum festucosum*), ნაძვნარი მაღალბალახიან - გვიმრიანი (*Piceetum altherboso - filicicosum*), სოჭნარ - ნაძვნარი ქრისტესბეჭედას საფარით (*Abieto - Piceetum saniculosum*).

ქვეტყე წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: პონტოური შქერით *Pontian rhododendron - Rhododendron ponticum*), ჭყორით (*Colchic (Black Sea) holly - Ilex colchica*), ხემაგვარი მოცვით (*Caucasian whortleberry - Vaccinium arctostaphylos*) და სხვ. ლიანებიდან ძირითადად გვხვდება კოლხური სურო (*Colchis ivy - Hedera colchica*). ბალახოვნებიდან გავრცელებული სახეობებია: ქრისტესბეჭედა (*Sanicle - Sanicula europae*), წბილა (*Festuca montana*), ტყის ჩიტისთვალა (*Bedstraw - Asperula odorata*), ვერონიკა (*Speedwell - Veronica peduncularis*), პრენანტესი (*Lettuce - Prenanthes purpurea*), ნარი (*Cirsium - Cirsium hypoleucum*), ნაღველა (*Gentian - Gentiana schistocalyx*), დათვიშხალა (*blue sow thistles Cicerbita caliciifolia*), მრგვალფოთოლა ენდრონიკა (*Rundblatt - Labkraut - Galium rotundifolium*), მეკენძალა (*Goatsbeard - Aruncus vulgaris*), სამტატა (*Pyrethrum - Pyrethrum macrophyllum*), მუხველა (*wood sorrel - Oxalis acetosella*), სვინტრი (*Solomon's seal - Polygonatum polyanthemum*), კესანე (*wood forget-me-not - Myosotis sylvatica*), ქვატეხია (*Rockfoils - Saxifraga*

cymbalaria), თავეცითელა (Ragworts *Senecio propinquus*), ჩუა (Figworts *Scrophylaria chrisantha*) და სხვ.

სატყეო უბნებში შესწავლილი იქნა შემდეგი მცენარეები: კავკასიური სოჭი - *ABIES NORDMANNIANA* (STEV). SPASH.; აღმოსავლური ნაძვი - *PICEA ORIENTALIS* L.; მარბუჭი - *ALCHEMILLIA OXYSEPALA* IUZ.; კაკალი - *IUGLANS REGIA* L.; ქრისტესბეჭედა - *SANICULA EUROPEA* Y.; პონტოური შქერი - *RHODODENDRON PONTICUM* L.; ტყის ჩიტისთვალა - *ASPERULA ODORATA* L.; ხარისშუბლა - *SENECIO PLATYPHYLLOIDES* SOMM. et. LEV.; წყავი - *LAUROCERASUS OFFICINALIS* ROEM.; ჩვეულებრივი მოცვი - *VACCINIUM MIRTILLUS* L.; თავშავა - *ORIGANUM VULGARE* L.; ვირისტერფა - *TUSSILAGO FARFARA* L.; ფარსმანდუკი - *ACHILLEA MILLEFOLIUM* L.; მარწყვი - *FRAGARIA VESCA* L.; კუნელი - *CRATAEGUS SANGUINEA* PALE ;

მოგვყავს კვლევის ობიექტებზე გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის ბოტანიკური, სამკურნალო და სხვ. სასარგებლო თვისებების მოკლე დახასიათება:

კავკასიური სოჭი - *ABIES NORDMANNIANA* (STEV). SPASH.

კავკასიური სოჭი განეკუთვნება ფიჭვისებთა ოჯახს, იგი სიმაღლეში აღწევს 60 – 70 მეტრს (ი. აბაშიძე, 1959), საშუალო დიამეტრი 2,0 – 2,5 მეტრია. სოჭის ქერქი მდიდარია ფისით და მთრიმლავი ნივთიერებებით, ტოტზე განლაგებული წიწვები თეთრ ზოლიანია. ტყისპირა, ღია ადგილებში სოჭი მსხმოიარობას იწყებს 40 – 45 წლის, ხოლო უშუალოდ კორომში 60 – 70 წლის ასაკში.

სოჭის თესლი მწიფდება სექტემბერ - ოქტომბერში, ამ დროს ხდება გირჩის დაშლა (გახსნა) და თესლის მიმოხვევა. 1000 ცალი თესლის წონა საშუალოდ 60 – 70 გრამია. სოჭის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 500 წელია.



**სურ. 2. სოჭნარი - კურორტ ბეშუმის მიმდებარე ტერიტორია
2. 10. 2023 წ.**

აჭარის ფლორისტულ რეგიონში გავრცელებულია ზღვის დონიდან 1600 მ. - დან 2000 მ. სიმაღლემდე, იზრდება მდინარე აჭარისწყალისა და მისი შენაკადების ხეობებში, ქმნის როგორც წმინდა, ასევე შერეული შემადგენლობის (სოჭნარ - ნაძვნარი, სოჭნარ - წიფლნარი) ტყის ეკოსისტემებს. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენენ ძირითადად

სოჭის წიწვები, ქერქი და კვირტები (მათი შეგროვება რეკომენდებულია ზაფხულის განმავლობაში), მათგან მიღებული ეთერზეთით მზადდება სინთეზური ქაფური, რომელიც ფართოდ გამოიყენება მიოზიტის, ნევრიტის და სახსრების რევმატიზმის დროს. სოჭის კვირტების და ახალი წიწვების ნახარში კი წარმოადგენს ვიტამინიზებულ, საერთო ტონუსის ასამაღლებელ საშუალებას. ნახარში მზადდება შემდეგნაირად: 100 – 150 გრამ წიწვს (შესაძლებელია კვირტის გამოყენებაც) უნდა დაესხას 1,5 ლიტრი ადუღებული წყალი და აუცილებელია მისი გაგრილება 8 – 12 საათის განმავლობაში. ნახარშის მიღება რეკომენდებულია 2 – 3 დღის განმავლობაში, მცირე ულუფის სახით. სოჭის ფისისაგან აგრეთვე შესაძლებელია დამზადდეს მალამო, რომელიც რეკომენდებულია გამოყენებული იქნას, როგორც ჭრილობების შეხორცების ერთ - ერთი მასტიმულირებელი საშუალება.

ჩვენს მიერ კვლევები ჩატარდა შუახევისა და ხულოს სატყეო მეურნეობების ტყის უბნებში:

ოლადაურის სატყეო „ჩირუხის მიმდებარე ტყის უბანი: კვ. 26. (GPS კოორდინატები: X – 282637; Y – 4595190); კვ. 27. (GPS კოორდინატები: X – 283901; Y – 4595836); კვ. 51. (GPS კოორდინატები: X – 279643; Y – 4601015); კვ. 14. (GPS კოორდინატები: X – 281638; Y – 4601313); კვ. 6. (GPS კოორდინატები: X – 274273; Y – 4600246); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 25 %-ის დამზადება.

ჭვანის სატყეო: კვ. 66. (GPS კოორდინატები: X – 266771; Y – 4619735); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 20 %-ის დამზადება.

ზეგანის სატყეო: გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტყის უბანი კვ. 37. (GPS კოორდინატები: X – 282813; Y – 4619735); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 25 %-ის დამზადება.

ხიხადირის სატყეო: კვ. 4. (GPS კოორდინატები: X – 288339; Y – 4606995); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 20 %-ის დამზადება.

ღორჯომის სატყეო: კვ. 44. (GPS კოორდინატები: X – 276705; Y – 4624112); კვ. 7. (GPS კოორდინატები: X – 283950; Y – 4628416); კვ. 8. (GPS კოორდინატები: X – 285829; Y – 4628895); კვ. 5. (GPS კოორდინატები: X – 290553; Y – 4628962); კვ. 3. (GPS კოორდინატები: X – 288704; Y – 4629692); კვ. 4. (GPS კოორდინატები: X – 289234; Y – 46296245). რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 25 %-ის დამზადება.

აღმოსავლური ნაძვი - PICEA ORIENTALIS L.

აღმოსავლური ნაძვი განეკუთვნება ფიჭვისებრთა ოჯახს. იგი 60 მეტრამდე სიმაღლის ხეა, დიამეტრში აღწევს 2 მეტრს, ახასიათებს ღია ნაცრისფერი ქერქი, წიწვები ოთხწახნაგოვანია 10 მმ - მდე სიგრძით, რომლებიც განლაგებულია მორიგეობით ყლორტის მთელ სიგრძეზე. მამრობითი გირჩი განლაგებულია ყლორტის ქვედა ნაწილში, მდედრობითი კი ყლორტების ზედა ნაწილში. ზრდასრული გირჩი თითისტარისებრ - ცილინდრული ფორმისაა. აღმოსავლური ნაძვი მეზოფიტი სახეობაა, იზრდება ტენით კარგად უზრუნველყოფილ ნოყიერ ნიადაგებზე; აჭარის ფლორისტულ რეგიონში განსაკუთრებით კარგი ზრდით ხასიათდება ზღვის დონიდან 1600 – 1800 მ. სიმაღლეზე.

სამკურნალო ნედლეულია წიწვები, ყლორტები და გირჩები, რომლებიც შეიცავენ ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ვიტამინ C - ს (4 % - მდე), რკინას, სპილენძს და სხვ. რეკომენდებულია წიწვების, ყლორტების და გირჩების, შეგროვება განხორციელდეს ზაფხულში.

სამკურნალო ნედლეულისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება სასუნთქი გზების კატარისას, ნაძვის გირჩის ნახარში რეკომენდებულია გამოყენებული იქნას ანგიინის, ტონზილიტის, ლარინგიტის სამკურნალოდ. ვიტამინ C - ს უკმარისობისას

რეკომენდებულია დამზადდეს ნაყენი შემდეგნაირად: 40 გრ. მოცულობის წიწვს უნდა დაესხას ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, დუღილი აუცილებელია გაგრძელდეს კიდევ 20 – 25 წუთის განმავლობაში; მიღებული ნაყენი რეკომენდებულია მიღებული იქნას დღის განმავლობაში 2 – 3 ჯერ.

გარდა ზემო აღნიშნულისა, ნაძვის მერქანი გამოიყენება მშენებლობაში, საავეჯო და ცელულოზა - ქაღალდის წარმოებაში და სხვ. ნაძვის ფისისგან აგრეთვე შესაძლებელია კოლოფანის, სკიპიდარის წარმოება.



სურ. 3. აღმოსავლური ნაძვი - გირჩით

ოლადაურის სატყეო: კვ. 1. (GPS კოორდინატები: X – 271690; Y – 4601610); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 20 %-ის დამზადება.

შუახევის სატყეო: კვ. 10. (GPS კოორდინატები: X – 263255; Y – 4602752); კვ. 11. (GPS კოორდინატები: X – 263804; Y – 4604177); კვ. 44. (GPS კოორდინატები: X – 264698; Y – 4611274); კვ. 53. (GPS კოორდინატები: X – 261829; Y – 4610065); კვ. 42. (GPS კოორდინატები: X – 261832; Y – 4611807); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 25 %-ის დამზადება.

ზეგანის სატყეო: კვ. 21. (GPS კოორდინატები: X – 287794; Y – 4608834); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 25 %-ის დამზადება.

ხიხაძირის სატყეო: კვ. 3. (GPS კოორდინატები: X – 286690; Y – 4608834); კვ. 2. (GPS კოორდინატები: X – 287794; Y – 4607060); კვ. 4. (GPS კოორდინატები: X – 288339; Y – 4606995); კვ. 6. (GPS კოორდინატები: X – 290412; Y – 4607585); კვ. 53. (GPS კოორდინატები: X – 282036; Y – 4606167); კვ. 4. (GPS კოორდინატები: X – 289234; Y – 46296245); კვ. 54. (GPS კოორდინატები: X – 285752; Y – 4605585) რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 20 %-ის დამზადება.


მარმუჭი - *ALCHEMILLIA OXYSEPALA* IUZ.

მარმუჭი განეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს. იგი მრავალწლიანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები სიგრძით 10 – 12 სმ.-ია, ნაყოფი კაკლოვანი, ყვავილობს მაის - ივლისში, ნაყოფი ძირითადად მწიფდება აგვისტო - სექტემბერში.

აჭარის ფლორისტულ რეგიონში მარმუჭი გავრცელებულია სოჭნარი ტყის ზედა ნაწილში, აგრეთვე სუბალპურ სარტყელში (აჭარა - იმერეთის და არსიანის ქედები).

სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ბალახი, რომელიც შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, C ვიტამინს. ბალახი რეკომენდებულია შეგროვდეს მარმუჭის ვეგეტაციის პერიოდში, შემდგომ კი გამოშრეს ჩრდილში;

მარმუჭის ბალახის ნაყენი გამოიყენება როგორც კუჭის აშლილობისა და შემკვრელი და ნაწლავების ანთების დროს ანთების საწინააღმდეგო



სურ. 4. მარმუჭი - *ALCHEMILLIA OXYSEPALA* IUZ.

საშუალება. ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: 2 ჩაის კოვზ გამომშრალ, წვრილად დაჭრილ ბალახს უნდა დაესხას 0,400 გრ. ადუღებული წყალი. ნახარშის გაგრილების შემდეგ, ნაყენი რეკომენდებულია მიღებული იქნას დღეში ერთი სუფრის კოვზის ოდენობით.

ოლადაურის სატყეო „ჩირუხის“ მიმდებარე ტყის უბანი: კვ. 51. (GPS კოორდინატები: X – 279643; Y – 4601015); კვ. 14. (GPS კოორდინატები: X – 281638; Y – 4601313); კვ. 6. (GPS კოორდინატები: X – 274273; Y – 4600246); დამზადება არ არის რეკომენდებული ბიოლოგიური რესურსის სიმცირის გამო.

ღორჯომის სატყეო: კვ. 10. (GPS კოორდინატები: X – 287219; Y – 4627991); კვ. 12. (GPS კოორდინატები: X – 289283; Y – 4627861); დამზადება არ არის რეკომენდებული ბიოლოგიური რესურსის სიმცირის გამო.

კაკლის ხე (კაკალი) – *JUGLANS REGIA* L.

კაკალი განეკუთვნება კაკლისებრთა ოჯახს. იგი 20 – 35 მეტრი სიმაღლის ხეა, კარგად განვითარებული გუმბათისებური ვარჯით. ტოტებზე მორიგეობით განლაგებული კენტფრთართული ფოთლები გრძელყუნწიანია, 7 – 9 ელიფსური ფორმის ფოთოლაკებით. ნაყოფი ცრუ კურკიანია, მომრგვალო - ელიფსური ფორმით.

კაკალი ყვავის აპრილ - მაისში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო - სექტემბერში. აჭარის ფლორისტულ რეგიონში კაკალი გვხვდება ბარშიც და მთაშიც.

კაკლის მერქანი უმვირფასესი საავეჯო ნედლეულია. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფოთლები, ნაყოფი. კაკლის გული შეიცავს 50 – 70 % ზეთებს, 12 – 21 % ცილოვან ნივთიერებებს (ვიტამინი B და პროვიტამინი A); კაკლის გულისგან მზადდება ნაირგვარი კულინარიული ნაწარმი (ხალვა, მურაბა, კანფეტი და სხვ.); კაკლის ფოთოლი მდიდარია ასკორბინის მჟავით და კაროტინით; წენგო გამოიყენება ტყავის გასათრიმლად, ქსოვილების, მატყლის ხალიჩების მოყავისფროდ შესაღებად.



სურ. 5. კაკლის ხე – *JUGLANS REGIA L*
სოფ. ზამლეთი, 4.08.2023 წ.

კაკლის ფოთლებისა და წენგოს ნახარში ხალხურ მედიცინაში გამოიყენება კუჭისა და გინეკოლოგიური დაავადებების, თირკმლებისა და საშარდე ბუშტის, სტომატიტისა და ანგინის სამკურნალოდ. წენგოს ფხვნილისგან მზადდება სისხლდენის შემაჩერებელი პრეპარატი “იუგლონი”. ლიმფოიდური ჯირკვლების ანთებისას, კანის დაავადებებისას, ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ მზადდება ნაყენი: ერთი სუფრის კოვზ ხმელ, წვრილად დაჭრილ კაკლის ფოთოლს უნდა დაესხას ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი (24 საათის სამკურნალო დოზა). ნაყენის გაგრილების შემდეგ შესაძლებელია მისი მიღება.

ხიხაძირის სატყეო, სოფ. ჩაოს მიმდებარე ტერიტორია. კვ. 54. (GPS კოორდინატები: X – 285752; Y – 4605585); კვ. 56. (GPS კოორდინატები: X – 288087; Y – 4605095); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო: კვ. 25. (GPS კოორდინატები: X – 286344; Y – 4595641);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ჭვანის სატყეო: კვ. 25. (GPS კოორდინატები: X – 264495; Y – 4623878);

კვ. 7. (GPS კოორდინატები: X – 274788; Y – 4624763); კვ. 8. (GPS კოორდინატები: X – 275606; Y – 4630540);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო: კვ. 10. (GPS კოორდინატები: X – 287219; Y – 4627991); კვ. 11. (GPS კოორდინატები: X – 288337; Y – 4627048); კვ. 12. (GPS კოორდინატები: X – 289283; Y – 4627861); კვ. 30. (GPS კოორდინატები: X – 299205; Y – 4625939); კვ. 31. (GPS კოორდინატები: X – 280566; Y – 4625857);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 %-ის დამზადება.

ქრისტესბეჭედა - *SANICULA EUROPEA Y.*

ქრისტესბეჭედა მიეკუთვნება ქოლგოსანთა ოჯახს. იგი მრავალწლიანი მცენარეა, ახასიათებს სწორმდგომი ღერო, სიმაღლით 40 – 80 სანტიმეტრია. ღეროზე განლაგებული

ფოთლები დაკნინებულია, ხოლო ღეროს ძირში შეჯგუფული ფოთლების ფორმა მომრგვალოა.



სურ. 6. ქრისტესბეჭედა - *SANICULA EUROPEA* Y
ლოდიბირი - 25. 06. 2023 წ.

ქრისტესბეჭედა ყვავის მაის - ივნისში, ყვავილები თეთრი ფერისაა. აჭარის ფლორისტულ რეგიონში ქრისტესბეჭედა გავრცელებულია უმთავრესად ნაძვნარი, წიფლნარი, სოჭნარ - ნაძვნარი ტყის ზედა ნაწილში, ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე.

სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ქრისტესბეჭედას ნორჩი ყლორტები, რომლებიც შეიცავენ გლიკოზიდებს, ლორწოს, ფლავონოიდებს. ყლორტები რეკომენდებულია შეგროვდეს ყვავილობის პერიოდში და შეგროვების შემდეგ კარგად გამოშრეს. მზადდება ნაყენი, რომელიც გამოიყენება ხველებისას და ფილტვებიდან სისხლის ღებინების დროს. სამკურნალო ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: კარგად გამომშრალ მცენარის ყლორტებს აუცილებელია დაესხას წყალი (შეფარდება 1:10). ნაყენი მიიღება დღეში 3 - ჯერ.

ზეგანის სატყეო: კვ. 3. (GPS კოორდინატები: X – 289970; Y – 4601431); კვ. 6. (GPS კოორდინატები: X – 288989; Y – 4612680); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 %-ის დამზადება.

ღორჯომის სატყეო: კვ. 10. (GPS კოორდინატები: X – 287219; Y – 4627991); კვ. 11. (GPS კოორდინატები: X – 288337; Y – 4627048); კვ. 12. (GPS კოორდინატები: X – 289283; Y – 4627861); კვ. 30. (GPS კოორდინატები: X – 299205; Y – 4625939); კვ. 31. (GPS კოორდინატები: X – 280566; Y – 4625857); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 %-ის დამზადება.

შუახევის სატყეო, სოფელ ნენიის მიმდებარე ტყის ეკოსისტემა. კვ. 14. (GPS კოორდინატები: X – 264302; Y – 4601471); კვ. 16. (GPS კოორდინატები: X – 267886; Y – 4601639); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 %-ის დამზადება.

შქერი - *RHODODENDRON PONTICUM* L.

შქერი მიეკუთვნება მანანასებრთა ოჯახს. იგი მარადმწვანე ბუჩქი ან 3 - 8 მეტრამდე სიმაღლის ხეა. შქერს ახასიათებს მოყავისფრო ქერქი. ყლორტები საშუალოდ 8 - 25 სმ სიგრძისაა და 5 - 6 სმ სიგანის, ფორმით წაგრძელებულ - ელიფსურია, მუქი - მწვანე ქერქით.

კოლოფა ნაყოფის სიგრძე ხშირად 1,0 – 1,5 სანტიმეტრია, 1000 ცალი თესლის წონა საშუალოდ 0,7 – 1,0 გრამია. შქერი ყვავის ივლისში, მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყრით, აგრეთვე გადაწვენითაც. აჭარის ფლორისტულ რეგიონში გავრცელებულია ზღვის დონიდან 2200 მეტრამდე, სადაც ქმნის ხშირ, ზოგჯერ გაუვალ რაყებს.

სამედიცინო პრაქტიკაში შქერის ფოთლების ნაყენი და მისგან მიღებული პრეპარატი გულზე ფუტკარას ჯგუფის გლიკოზიდებისებურად მოქმედებს, ადიდებს გულის კუმშვის ძალას და გულის რიტმს ანელებს.



სურ. 7. შქერი - *RHODODENDRON PONTICUM*
ჩირუხი 15.07. 2023 წ.

შქერის ნედლი ფოთლები აგრეთვე გამოიყენება აღზნებული ნერვული სისტემის დასამშვიდებლად, რევმატიზმის, ნიკრისის ქარის დროს, როგორც ეფექტური შარდმდენი საშუალება.

ნახარში მზადდება შემდეგნაირად: 200 - 300 გრამ ნედლ ფოთოლს რეკომენდებულია დაესხას 2,5 ლიტრი ადულებული წყალი. ნახარში ინახება 18 - 24 საათის განმავლობაში. მიიღება მცირე (20 - 40 მგ.) ულუფის სახით, დღეში ერთხელ.



**სურ. 8. *RHODODENDRON PONTICUM* - ყვავილობის დროს
სამსმელო, 3. 05. 2023 წ.**

ოლადაურის სატყეო, სოფელ გორხანაულის მიმდებარე ტერიტორია, კვ. 37. (GPS კოორდინატები: X – 271935; Y – 4605149); წინაველას ფერდობი, მთა ღომას საზაფხულო იალაღების მოპირდაპირედ; შუახევის სატყეო, კვ. 6. (GPS კოორდინატები: X – 259440; Y – 4605469); სოფელ ჩაოს მიმდებარე ტერიტორია, ხიხაძირის სატყეო, კვ. 53. (GPS კოორდინატები: X – 282036; Y – 4606167); კვ. 54. (GPS კოორდინატები: X – 285752; Y – 4605585); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანის სატყეო, სოფელ ტბეთის („ქვის სასროლია“) მიმდებარე ტერიტორია, კვ. 63. (GPS კოორდინატები: X – 284414; Y – 4618830); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, კვ. 7. (GPS კოორდინატები: X – 295496; Y – 4612860); კვ 21. (GPS კოორდინატები: X – 287794; Y – 4608834); კვ. 18. (GPS კოორდინატები: X – 289507; Y – 4609521);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ტყის ჩიტისთვალა - *ASPERULA ODORATA* L.

ტყის ჩიტისთვალა განეკუთვნება ენდროსებრთა ოჯახს. იგი მრავალწლიანი 10 – 50 სმ სიმაღლის, სწორმდგომი, ოთხწახნაგოვანდეროიანი ბალახოვანი მცენარეა. 4 – 6 სმ სიგრძის ლანცეტა ფორმის ფოთლები ღეროზე განლაგებულია რგოლებად; ყვავილი თეთრი ფერისაა (ხმოვისას შავდება), ნაყოფი მოკლე კაუჭებიან გარსშია მოთავსებული.



სურ. 9. ტყის ჩიტისთვალა - *ASPERULA ODORATA L.*
სარიჩაირი, 10.08. 2023 წ.

აჭარის ფლორისტულ რეგიონში ტყის ჩიტისთვალა გავრცელებულია ტყის თითქმის ყველა სარტყელში, ხოლო წიფლნარი ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელში იგი ძირითადად წიფლნარი ტყის ეკოსისტემების საშუალო (0,5 – 0,7) და მაღალი (0,8) სიხშირის კორომებშია გავრცელებული.

ტყის ჩიტისთვალას სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ბალახი, რომელიც რეკომენდებულია შეგროვდეს ზაფხულის პერიოდში, ნედლეული უნდა გამოშრეს ჩრდილის პირობებში.

ტყის ჩიტისთვალას მიწისზედა ნაწილები შეიცავს ფლავონოიდებს, ასკორბინის მჟავას, ეთერზეთებს, გლიკოზიდ ასპერულოზიდს, კუმარინს და სხვ.

აჭარაში, ადგილობრივი მოსახლეობა ტყის ჩიტისთვალას ნაყენს იყენებს უძილობის დროს, ასევე როგორც ოფლმდენ და შარდმდენ საშუალებად. ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: 2 ჩაის ჭიქა კარგად გარეცხილ ტყის ჩიტისთვალას ბალახს უნდა დაესხას ერთი ჭიქა ცივი წყალი. ნაყენი უნდა დაიდგას გრილ სათავსოში 12 – 14 საათის განმავლობაში. მიიღება სუფრის კოვზით, მცირე ულუფების სახით დღის განმავლობაში. ნაყენის მიღების დროს საჭიროა სიფრთხილე, დიდი დოზით მიღება იწვევს პირღებინებას, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას.

შუახევის სატყეო, კვ. 10. (GPS კოორდინატები: X – 263255; Y – 4602752);

კვ. 11. (GPS კოორდინატები: X – 263804; Y – 4602752); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 20. (GPS კოორდინატები: X – 287877; Y – 4598595); კვ. 33. (GPS კოორდინატები: X – 294956; Y – 4598498); კვ. 7. (GPS კოორდინატები: X – 291862; Y – 4607694); კვ. 8. (GPS კოორდინატები: X – 291758; Y – 4606275); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ზეგანის სატეო, კვ.4. (GPS კოორდინატები: X – 285682; Y – 4611742); კვ 5. (GPS კოორდინატები: X – 287167; Y – 4612652); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 10 % დამზადება.

ხიხაძრის სატყეო, კვ.20. (GPS კოორდინატები: X – 287877; Y – 4598595); კვ 34. (GPS კოორდინატები: X – 266487; Y – 464603667); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხარისშუბლა - *SENECIO PLATYPHYLLOIDES* SOMM.ET LEV.

ხარისშუბლა განეკუთვნება ასტრასებრთა ოჯახს. იგი მრავალწლიანი, წიადაგში ჰორიზონტალურად განფენილი, გრძელ ფესვურიანი მცენარეა. ფოთლები 25 – 30 სმ - ის სიგანისაა, ღეროზე მორიგეობით არის განლაგებული. ყვავილი ყვითელი ფერისაა, შეკრებილია კალათა ყვავილედებად, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან კენწრულ ფარისებრ ყვავილედებს. ხარისშუბლას ნაყოფი თესლურაა, ყვავილობს ივლის - სექტემბერში, ნაყოფი კი მწიფდება ნოემბერში.



სურ. 10. ხარიშხლა - *Senecio Rhombifolius* - ის ყვავილი



სურ. 11. გასაშრობად გაფენილი ხარიშხლა - *Senecio Rhombifolius*
სოფ. ხიჭაური, 16. 07 2023 წ.

აჭარის ფლორისტულ რეგიონში ხარისშულა გავრცელებულია ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, გვხვდება ტყის პირებზე, მინდვრებში და მაღალბალახეულობაში; 2500 მეტრამდე სიმაღლეზე ქმნის კარგად განვითარებულ რაყებს.

ხარისშულაში ბევრია ალკალოიდები (პლატიფილინი, სენეციფილინი, ნეოპლატიფილინი, სარაცინი და სხვ.); პრეპარატი „პლატიფილინის ჰოდროარტრატი“ მზადდებოდა ბათუმის ქიმიურ - ფარმაცევტულ ქარხანაში, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სტენოკარდიის, სისხლძარღვთა სპაზმების და ჰიპერტონიის დროს.

შუახევის სატყეო, სოფელ ტბეთის მიმდებარე ტერიტორია, კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 266488; Y - 4603677); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჭვანას სატყეო, კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 274788; Y - 4624763); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 275606; Y - 4630540); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 273173; Y - 4627557); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 1. (GPS - კოორდინატები: X - 280275; Y - 4598772); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 275999; Y - 498983); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204; Y - 4597836); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 284096; Y - 4597089); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 284919; Y - 4596276); კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286344; Y - 4555641); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 285501; Y - 4549640); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 287171; Y - 4594446); კვ. 48. (GPS - კოორდინატები: X - 278222; Y - 4602607); კვ. 49. (GPS - კოორდინატები: X - 278811; Y - 4601991); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 16. (GPS - კოორდინატები: X - 277395; Y - 4626496); კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 279505; Y - 462539); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 280566; Y - 4625857); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 282019; Y - 4625740); კვ. 34. (GPS - კოორდინატები: X - 288300; Y - 4624226); კვ. 35. (GPS - კოორდინატები: X - 289580; Y - 4623920); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 276105; Y - 4623644); კვ. 38. (GPS - კოორდინატები: X - 275641; Y - 4622740); კვ. 39. (GPS - კოორდინატები: X - 275049; Y - 4621490); კვ. 40. (GPS - კოორდინატები: X - 274411; Y - 4621368); კვ. 41. (GPS - კოორდინატები: X - 273332; Y - 4619771); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 2. (GPS - კოორდინატები: X - 285525; Y - 4607966); კვ. 3. (GPS - კოორდინატები: X - 286690; Y - 4607061); კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 288339; Y - 44606995); კვ. 5. (GPS - კოორდინატები: X - 289080; Y - 4607701); კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 290412; Y - 4607585); კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 291862; Y - 4607694); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 278956; Y - 4604743); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 279909; Y - 4604376); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 280209; Y - 4603595); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 280956; Y - 4602946); კვ. 17. (GPS - კოორდინატები: X - 283881; Y - 4602151); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 286876; Y - 4600969); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 13. (GPS - კოორდინატები: X - 288032; Y - 4611364); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156; Y - 4611117); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 290044; Y - 4611064); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 287794; Y - 4608834); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 289507; Y - 4609521); კვ. 23. (GPS - კოორდინატები: X - 289018; Y - 4608855); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.



სურ. 12. გოდერძის უღელტეხილი, „ფესვნარები,
18. 08. 2023 წ.

წყავი - LAUROCERASUS OFFICINALIS ROEM.

წყავი განეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს. იგი მარადმწვანე ბუჩქი (სიმაღლე 1 – 3 მეტრი) ან მცირეტანიანი ხეა, სიმაღლით 7 – 9 მეტრი, მუქი - რუხი ფერის ქერქით. ყლორტებზე მორიგეობით განლაგებულია მოკლეყუნწიანი, ტყავისებური, პრიალა ფოთლები წაგრძელებულ - ელიფსური ფორმის, სიგრძით 5 – 20 სმ, ნაყოფი კურკიანი, მომრგვალებული, მოწითალო - მუქი ან შავი ფერის, წვნიანი ნაყოფით, 1000 ცალი თესლის წონა საშუალოდ 100 – 11- გრამია, ნაყოფი მწიფდება ივლისის ბოლოს - აგვისტოს დასაწყისში.

აჭარის ფლორისტულ რეგიონში წყავი გავრცელებულია ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში; წყავი ძირითადად ვრცელდება მარადმწვანე ქვეტყის სახით.



სურ. 13. წყავი - LAUROCERASUS OFFICINALIS ROEM
ჩირუხი, 25. 08. 2023 წ.

წყავის ფოთოლი შეიცავს ეთერზეთებს, ტანინებს. წყავის ნედლი ფოთლისგან მზადდება ე. წ. "წყავის წყალი", რომელიც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად ითვლება; გარდა ამისა იგი გამოიყენება ნაწლავებისა და ღვიძლის ფუნქციის პრობლემებისას; წყავის წვნიანი ნაყოფის მიღება რეკომენდებულია გულის დაავადებების დროს.

ჭვანას სატყეო, სოფ. ტბეთის მიმდებარე ტერიტორია, კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 267140; Y - 4624763); კვ. 29. (GPS - კოორდინატები: X - 268279; Y - 4624933); კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 260881; Y - 4615121); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 1. (GPS - კოორდინატები: X - 285566; Y - 4609308);


რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ოლადაურის სატყეო, კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 275443; Y - 4601040); კვ. 5. (GPS - კოორდინატები: X - 276481; Y - 4600147); კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 277561; Y - 4598677); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 275999; Y - 4598983); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 277561; Y - 4598677); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 278519; Y - 4599388); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 279576; Y - 4597106); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 281374; Y - 4597060); კვ. 37. (GPS - კოორდინატები: X - 271935; Y - 4605149); კვ. 38. (GPS - კოორდინატები: X - 273837; Y - 4604270); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

შუახევის სატყეო, კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 259440; Y - 4605469); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 265292; Y - 4605897); კვ. 7. (GPS - კოორდინატები: X - 268486; Y - 4600598); კვ. 29. (GPS - კოორდინატები: X - 269662; Y - 4600109); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 269056; Y - 4603513); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ჩვეულებრივი მოცვი - VACCINIUM MYRTILLUS L.

ჩვეულებრივი მოცვი განეკუთვნება მანანასებრთა ოჯახს. იგი 15 - 40 სმ სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქია, ახასიათებს ჰორიზონტალურად განლაგებული ფესვთა სისტემა, ფოთლები ზომით 15 - 25 მმ ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული. ქოთნისებრ გვირგვინიანი ყვავილები ვარდისფერია. ნაყოფი კენკრაა, მოწითალო, იისფერი ხორცოვანი რბილობით და 1 მმ - მდე სიგრძის კვერცხისებრი თესლებით.



სურ. 14. მთის მოცვი - *Vaccinium myrtillus*
დიოკნისი, ნაილევი, 28. 08. 2023 წ.

ჩვეულებრივი მოცვი ყვავილობს მაის - ივნისში, ნაყოფი მწიფდება ივლის - აგვისტოში. აჭარის ფლორისტულ რეგიონში ჩვეულებრივი მოცვი ძირითადად გავრცელებულია ტყის ზედა, სუბალპურ და ალპურ სარტყელში, არყის ტანბრეცილებში, კავკასიური როდოდენდრონის რაყებში, ხავსიან სუბალპურ მდელოებზე.

ჩვეულებრივი მოცვის სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფოთლები და მწიფე ნაყოფი. მოცვის სამკურნალო ნედლეულის ქიმიური შემადგენლობა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია: მოცვის ნაყოფი შეიცავს 77 % - მდე მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავას, 6 % - მდე შაქარს, 75 % - მდე ვიტამინ C - ს; ფოთლები მდიდარია არბუთინით, გლიკოზიდებით.

ჩვეულებრივი მოცვი სამკურნალოდ გამოიყენება ისეთი დაავადებების დროს როგორიცაა: ყელის ტკივილი, ჰემოროიდული სისხლდენა, თირკმლების კენჭოვანი დაავადებები, ნიკრისის ქარი და სხვ. ჩვეულებრივი მოცვის ახალი კენკრის ნახარშს იყენებენ ნაწლავის მწვავე კატარის და დიზენტერიის დროს. სამკურნალო ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: 3 ჩაის კოვზ კენკრას აუცილებელია დაესხას 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, შემდგომ ნაყენი უნდა გაგრილდეს 4 საათის განმავლობაში. მიიღება ერთი მეოთხედი ჩაის ჭიქა 5 – 6 ჯერ დღე - ღამის განმავლობაში.

კისელის მოსამზადებლად 1 სუფრის კოვზი კენკრა აუცილებელია მოიხარშოს 1,5 ჩაის ჭიქა წყალში, უნდა დაემატოს 1 ჩაის ჭიქა სახამებელი და შაქარი. მიიღება 0,5 ჭიქა დღეში 3 - ჯერ.

ჩვეულებრივი მოცვის ნაყოფი გამოიყენება აგრეთვე სიროფების, მურაბების, ხილ - კენკროვანთა ღვინის, ნაყენების და ლიქიორების დასამზადებლად.

ჭკანას სატყეო, სოფ. ტბეთის მიმდებარე ტერიტორია, კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 286511; Y - 4618733); მთა ღომას საზაფხულო იალელების მოპირდაპირედ, კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 273725; Y - 4630655);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 2. (GPS - კოორდინატები: X - 290497; Y - 4616189); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 294968; Y - 4610085); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 288032; Y - 4611364); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156; Y - 4611117);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ღორჯომის სატყეო, კვ. 1. (GPS - კოორდინატები: X - 286914; Y - 4629693); კვ. 3. (GPS - კოორდინატები: X - 288704; Y - 4629692); კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 289234; Y - 4629242); კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 291517; Y - 4629298); კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 285222; Y - 4628039); კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 287219; Y - 4627991); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 289283; Y - 4627991); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 290189; Y - 4626982); კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 291962; Y - 4627308); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 286686; Y - 4625755); კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 279205; Y - 4625939); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხადირის სატყეო, კვ. 9. (GPS - კოორდინატები: X - 293179; Y - 4605399); კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 295726; Y - 4603502); კვ. 17. (GPS - კოორდინატები: X - 283881; Y - 4602151); კვ. 18. (GPS - კოორდინატები: X - 286876; Y - 4600969); კვ. 19. (GPS - კოორდინატები: X - 287788; Y - 4600104); კვ. 20. (GPS - კოორდინატები: X - 287877; Y - 4598595); კვ. 21. (GPS - კოორდინატები: X - 288598; Y - 4699304); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 292306; Y - 4600553); კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 296590; Y - 4602866); კვ. 26. (GPS - კოორდინატები: X - 296417; Y - 4602012); კვ. 29. (GPS - კოორდინატები: X - 296059; Y - 4599491);

შუახევის სატყეო, კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 266050; Y - 4608488); კვ. 12. (GPS - კოორდინატები: X - 265292; Y - 4605897); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 265600; Y - 4604737); კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 268486; Y - 4600598); კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 266487; Y - 4603667);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

თავშავა - *ORIGANUM VULGARE L.*

თავშავა განეკუთვნება ტუჩოსანთა ოჯახს. იგი 30 – 60 სანტიმეტრის სიმაღლის, სურნელოვანი, მრავალწლიანი ბალახია მხოხავი ფესვურით. ღერო მოწითალო ფერისაა, მასზე განლაგებულია მოგრძო კვერცხისებრი, ყუნწიანი ფოთლები. ყვავილები წითელი ფერისაა, ორტუჩიანია, ნაყოფი შედგება ყვავილის ჯამში მოთავსებული ოთხი კაკლისაგან, თითოეული კაკლის სიმაღლე 0,5 – 0,1 მმ - ია. თავშავა ყვავილობს ივლის - სექტემბერში.

აჭარის ფლორისტულ რეგიონში თავშავა ძირითადად გავრცელებულია არყნარი და ფიჭვნარი ტყის ეკოსისტემის ბუნებრივ და ხელოვნურ ყალთალებში, ტყის პირებში, ბუჩქნარებში. თავშავას საჰექტრო მოსავალი ფიჭვნარებში საშუალოდ 7,8 – 8,2 კილოგრამს შეადგენს, მრავლდება თესლით, ფესურის დანაყოფით, ღეროს კალმებით. გაშენებული პლანტაციის გამოყენება რეკომენდებულია დაიწყოს მისი გაშენებიდან 3 – 5 წლის შემდეგ. თავშავას ბალახი რეკომენდებულია გამოყენებული იქნას მეფუტკრეების მიერ ჩრჩილისა და ჭიანჭველების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავშავას ფოთლები აგრეთვე გამოიყენება საკაზმ - სანელებლად კარტოფილის, მუხუდოს, ხორცის კერძების და ძეხვის წარმოებისას, აგრეთვე სურნელოვანი არომატის ჩაის ნაყენის მისაღებად, ეთერზეთები კი გამოიყენება ლიქიორისა და ლუდის წარმოებაში. ეთერზეთების გარდა თავშავას ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს და C ვიტამინს. ფიტონციდების შემცველობის გამო თავშავას გააჩნია აგრეთვე საკმაოდ მაღალი ანტიმიკრობული აქტივობა.



სურ. 15. თავშავა - *ORIGANUM VULGARE L*

მთა თეთრობი, 11. 08. 2023 წ.

თავშავას სამკურნალო პრეპარატები დამამშვიდებელ ზემოქმედებას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. აჭარაში თავშავას “ისხანბალახს” ეძახიან; თავშავასგან შესაძლებელია დამზადდეს სამკურნალო ნაყენი, კერძოდ: 2 ჩაის ჭიქა წვრილად დაჭრილ

თავშავას ნედლეულს უნდა დაესხას ერთი ჩაის ჭიქა მდულარე წყალი; ნაყენი უნდა გაგრილდეს 3 – 4 საათის განმავლობაში, უნდა გადაიწუროს. მიიღება ერთი სუფრის კოვზი დღეში 3 - ჯერ.

შუახევის სატყეო, კვ. 54. (GPS - კოორდინატები: X - 263496; Y - 4610497); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 265600; Y - 4604737); კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 268486; Y - 4600598); კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 266487; Y - 4603667);

ზეგანის სატყეო, 6. (GPS - კოორდინატები: X - 288989; Y - 4612680); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 294384; Y - 4611630); კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 296591; Y - 4611251); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156; Y - 4611117);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.



სურ. 16. თავშავა - *ORIGANUM VULGARE L* –
მთა სარიჩირი, 9. 08. 2023 წ

ვირისტერფა - *TUSSILAGO FARFARA L.*

ვირისტერფა განეკუთვნება რთულყვავილოვანთა ოჯახს. იგი დატოტვილფესურიანი მრავალწლიანი მცენარეა. ფოთლები გრძელყუნწიანია, მათი ფირფიტის დიამეტრი 15 – 25 სანტიმეტრია. ყვავილები ოქროსფერია, ყვავილობს ადრე გაზაფხულზე (თებერვალი - მარტი), ნაყოფი მწიფდება აპრილ - მაისში. მრავლდება როგორც თესლით, ასევე ვეგეტატიურად.

აჭარის ფლორისტულ რეგიონში ვირისტერფა კარგად არის გავრცელებული ტყიანი ზონის ქვედა ნაწილიდან სუბალპური ზონის ჩათვლით, გვხვდება ნამეწყრალ ფართობებზე, ქმნის მცირე და საშუალო ზომის რაყებს.

ვირისტერფას სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენენ ყვავილები, რომელთა შეგროვება რეკომენდებულია მარტის თვეში. შეგროვებული ნედლეული აუცილებელია კარგად გამოშრეს და განიავდეს. ვირისტერფას ყვავილები შეიცავს 2,5 – 3 % - მდე გლიკოზიდებს, სიტოსტერინს, ორგანულ მჟავებს, საპონინებს, ეთერზეთებს და სხვ.

ვირისტერფა წარმოადგენს ეფექტურ ამოსახველებელ საშუალებას ბრონქიტის, ლარინგიტის და ფილტვების აბსცესის დროს. სამკურნალო ნაყენი მზადდება შემდეგნაირად: ერთ სუფრის კოვზ გამხმარ და დაქუცმაცებულ ვირისტერფას ყვავილს უნდა დაესხას ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. ნაყენი უნდა გაგრილდეს 4 – 5 საათის განმავლობაში. მიიღება დღეში 3 - ჯერ.



გარდა ამისა, თმის ცვენისას, უხვეპერტლიანობისას, კვირაში 3 - ჯერ რეკომენდებულია თავის დაბანა ჭინჭრისა და ვირისტერფას ფოთლების ნახარშით. კომპონენტთა შერევის რაოდენობა თანაბარია.

შუახვევის სატყეო კვ. 44. (GPS - კოორდინატები: X - 264698; Y - 4611274); კვ. 53. (GPS - კოორდინატები: X - 261829; Y - 4610065);

კვ. 54. (GPS - კოორდინატები: X - 263496; Y - 4610497); კვ. 13. (GPS - კოორდინატები: X - 265600; Y - 4604737); კვ. 28. (GPS - კოორდინატები: X - 268486; Y - 4600598); კვ. 71. (GPS - კოორდინატები: X - 266487; Y - 4603667);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ზეგანის სატყეო კვ. 4. (GPS - კოორდინატები: X - 285682; Y - 4611742); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ფარსმანდუკი - ACHILLEA MILLEFOLIUM L

ფარსმანდუკი განეკუთვნება ასტრასებრთა ოჯახს. იგი 70 – 120 სმ - მდე სიმაღლის სწორმდგომდეროიანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები ღეროს ზრდა ნაწილში მჯდომარეა. კენწრული ყვავილედის შედგება თეთრი ფერის ყვავილებისაგან. ფარსმანდუკი ყვავილობს ივნის - სექტემბერში, ნაყოფი მწიფდება ივლის - სექტემბერში. აჭარის ფლორისტულ რეგიონში ფარსმანდუკი გავრცელებულია ზღვისპირა დაბლობებიდან მთის ზედა სარტყელამდე. ფიჭვნარ ტყის ეკოსისტემებში იგი ძირითადად გავრცელებულია 0,1 – 0,2 სიხშირის ჭრაგავლილ, გამეჩხერებულ, დეგრადირებულ კორომებში.

ფარსმანდუკის სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ყვავილები, რომლებიც რეკომენდებულია დამზადდეს ყვავილობის დასაწყისში. ყვავილთან ერთად რეკომენდებულია ასევე ღეროს დამზადებაც (15 სანტიმეტრამდე სიგრძით). სამკურნალო ნედლეული აუცილებელია კარგად გამოშრეს. გამხმარი და გამომშრალი სამკურნალო ნედლეულის გამოყენების ვადაა არაუმეტეს 5 წლისა.

ფარსმანდუკი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ვიტამინებით, კერძოდ ფარსმანდუკის ფოთლები შეიცავს ალკალოიდ ახილენს, ყვავილედის მდიდარია ეთერზეთებით, მთრიმლაკე ნივთიერებებით, ინულინით, ვიტამინებით (C, B) და სხვ.



სურ. 18. ფარსმანდუკი - *ACHILLEA MILLEFOLIUM L*



სურ. 19. ფარსმანდუკი - *ACHILLEA MILLEFOLIUM L*,
ბოძაურის იაილა, 11. 08. 2023 წ.

ფარსმანდუკის სამკურნალო ნედლეული გამოიყენება, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, სპაზმების საწინააღმდეგო საშუალება. მას იყენებენ აგრეთვე ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას, კუჭის წყლულის, გასტრიტის, რევმატიზმის სამკურნალოდ.

ფარსმანდუკის სამკურნალო ნედლეულისგან მზადდება ნაყენი: ერთ სუფრის კოვზ ნედლეულს უნდა დაესხას ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. ნაყენი უნდა გაჩერდეს 5 საათის განმავლობაში, შემდეგ უნდა გაიწუროს დოლბანდში. მიიღება ერთი სუფრის კოვზი დღეში 7 - ჯერ.

ზეგანის სატყეო კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 288989; Y - 4612680);

კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 294384; Y - 4611630); კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 296591; Y - 4611251); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

მარწყვი - FRAGARIA VESCA L.

მარწყვი 30 სმ - მდე სიმაღლის მრავალწლიანი ბალახია. იგი ვარდისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ყვავის თეთრი ფერის ყვავილებით მაის - ივნისში. ნაყოფი მწიფდება ივნის - ივლისში, აჭარის ფლორისტულ რეგიონში ვრცელდება ზღვის დონიდან სუბალპებამდე, გვხვდება დაბალი სიხშირის (0,3 – 0,4) ტყის ეკოსისტემებში, სოჭნარებში, ნამცნარებსა და წიფლნარებში, ბუნებრივ თუ ხელოვნურ ყალთალებში, ტყისპირებში.



სურ. 20. მარწყვი - *FRAGARIA VESCA L*
მთა მაჭარელათი, 09. 08. 2023 წ.

მარწყვი თავლოვან მცენარეთა რიგს განეკუთვნება. სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენება ნაყოფი და ღერო - ფოთოლი. ნედლეული გროვდება ივნის - ივლისში. მარწყვის ფოთლების ნახარში გამოიყენება პირის ღრუში უსიამოვნო სუნის მოსასპობად, აგრეთვე მისი გამოყენება რეკომენდებულია კუჭნაწლავის ანთებისას, შარდმდენად, სახსრებში მარილების დაგროვების საწინააღმდეგოდ.

ნახარშის მოსამზადებლად ერთ სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ ხმელ (გამომშრალ) ფოთოლს უნდა დაესხას ერთი ჭიქა წყალი და 20 – 25 წუთის განმავლობაში წამოდუღდეს დაბალ ცეცხლზე. ნახარშის გაგრილების შემდეგ რეკომენდებულია მისი მიღება დღეში რამდენიმე ულუფის სახით.

შუახევის სატყეო, კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 263255; Y - 4602752); კვ. 11. (GPS - კოორდინატები: X - 263804; Y - 4604177); კვ. 44. (GPS - კოორდინატები: X - 264698; Y - 4611274); კვ. 53. (GPS - კოორდინატები: X - 261829; Y - 4610065);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 5 % დამზადება.

ზეგანის სატყეო, 6. (GPS - კოორდინატები: X - 288989; Y - 4612680); კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 294384; Y - 4611630); კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 296591; Y - 4611251); კვ. 14. (GPS - კოორდინატები: X - 289156; Y - 4611117);

ოლადაურის სატყეო, კვ. 15. (GPS - კოორდინატები: X - 279576; Y - 4567106); კვ. 22. (GPS - კოორდინატები: X - 285204; Y - 4597836); კვ. 24. (GPS - კოორდინატები: X - 285204; Y - 4597836); კვ. 25. (GPS - კოორდინატები: X - 286344; Y - 4595641); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 285501; Y - 4594964); კვ. 32. (GPS - კოორდინატები: X - 287171; Y -

4594446); კვ. 33. (GPS - კოორდინატები: X - 286226; Y - 4591802); კვ. 55. (GPS - კოორდინატები: X - 281590; Y - 4600091);

რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ხიხაძირის სატყეო, კვ. 30. (GPS - კოორდინატები: X - 292240; Y - 4599279); კვ. 31. (GPS - კოორდინატები: X - 292242; Y - 4598280); კვ. 36. (GPS - კოორდინატები: X - 276046; Y - 4608968); კვ. 50. (GPS - კოორდინატები: X - 277748; Y - 4607575);

არ არის რეკომენდირებული დამზადება ბიოლოგიური რესურსის სიმცირის გამო.

კუნელი - CRATAEGUS SANGUINEA PALE.

კუნელი განეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს. იგი მაღალი ბუჩქია ან 3 – 4 მ სიმაღლის ხეა. კუნელის ყლორტები დაფარულია მოწითალო ქერქით, ფოთლები უკუკვერცხისებურია, ნაპირებში დაკბილულია. ყვავილები ფარისებრ ყვავილედებშია განთავსებული. ნაყოფი მომრგვალო ფორმისაა, კაშკაშა წითელი ფერისაა, რბილობი ფხვიერია, 3 – 4 მაგარი თესლით.

კუნელის სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენენ: ნაყოფი და ყვავილები, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარნი არიან ფლავონიდებით. კუნელის სამკურნალო ნედლეულისგან მზადდება პრეპარატი “კარდიოვალენისი”, რომელიც გამოიყენება როგორც გულის კუნთის მატონიზირებელი საშუალება.



სურ. 21. კუნელი - CRATAEGUS SANGUINEA PALE.
სოფ. დიოვნისი, 3. 12. 2023 წ.

კუნელის ნაყოფში მრავლადაა შაქრები, სახამებელი, ორგანული მჟავები, პექტინები. კუნელი იხმარება კომპოტის, კისელის, მარმელადის დასამზადებლად. კუნელისგან მზადდება სამკურნალო ნაყენი, რომელიც გამოიყენება უძილობისა და მაღალი არტერიული წნევის დროს.

ოლადაურის სატყეო კვ. 57. (GPS - კოორდინატები: X - 283989; Y - 4598597); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

ზეგანის სატყეო კვ. 6. (GPS - კოორდინატები: X - 288989; Y - 4612680);

კვ. 8. (GPS - კოორდინატები: X - 294384; Y - 4611630); კვ. 10. (GPS - კოორდინატები: X - 296591; Y - 4611251); კვ. 16. (GPS - კოორდინატები: X - 290723; Y - 4610769); რეკომენდებულია საერთო რაოდენობის 15 % დამზადება.

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

ეკონომიკის მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: ნატო ჯაბნიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

გულადი თხილაიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

თემა: „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“

ეკომეგობრული პროდუქციის განვითარებაში, განვითარების და მდგრადობის ასპექტების ინტეგრირება ბოლო წლებია აქტუალურია და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი - ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენს, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას.

აჭარის სოფლის მეურნეობაში ძირითადად წარმოდგენილია ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამამუშავება, დასაწყობება და რეალიზაცია ჯერ კიდევ ხდება ტრადიციული მეთოდებით.

მოგეხსენებათ, ჯანსაღი კვება ძირითადად ორ ელემენტს მოიცავს - სრულფასოვნება და უსაფრთხოება. საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებთანაა დაკავშირებული და განპირობებულია პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან. ასევე კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას. ევროკავშირის და მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ეს მოთხოვნები შესაბამისი კანონმდებლობით დაარეგულირა.

ბოლო პერიოდში, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით აჭარის მეურნეობებმა ქიმიური სასუქის დიდი რაოდენობით გამოყენება დაიწყეს, თუმცა მათ გვერდით ჩნდება, როგორც მცირე და საშუალო ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ბაზრისთვისაც პროდუქციის შექმნას, რომელიც შედარებით სუფთაა და აკმაყოფილებს ეკო-პროდუქტებისადმი წამოყენებულ მოთხოვნას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას საკვლევ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობა და მათი დანერგვა. თანამედროვე მკვლევარებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმაღლესი

მენეჯმენტის ვალდებულება და კორპორატიული გარემოსდაცვითი მხარდაჭერის პოლიტიკა ხელს შეუწყობს ეკო-მეგობრული პროდუქტის განვითარების სტრატეგიებს. თავის მხრივ, ასეთი სტრატეგიების მიღება დადებითად მოქმედებს ფირმების პროდუქტის განვითარების ეფექტურობაზე. ეს ეფექტი სუსტდება, როდესაც ბიზნესის გარემო ძალზე რთული გამოწვევების წინაშე დგება, როგორცაა საბჭოთა მემკვიდრეობა, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, ბოლო 30 წლებში რეგიონში მიმდინარე მოვლენები და ა.შ.,¹

საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე ეკონომიკის სამეცნიერო გუნდის მიერ წარმოდგენილი საკითხი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“-ს სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა ანკეტა-კითხვარი სადაც 2023 წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებს აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი) ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლები.

კვლევის მზიანია - აჭარის ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებაზე ძირითადი დარგების შესაბამისად მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი დამუშავება.

ჩვენი კვლევის ამოცანას წარმოადგენს გამოვიკვლიოთ, თუ როგორ აერთიანებენ მეურნეობები გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ ასპექტებს პროდუქტის წარმოებაში. მიღებული პირველადი შედეგების (რაოდენობრივი და თვისებრივი) ანალიზი განხორციელდება SPSS სტატისტიკურ პროგრამაში. პროექტის განმავლობაში კითხვარში მონაწილეობას ერთდროულად მიიღებს ხუთივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და კითხვარი განმეორდება ყველა მომდევნო წელს, რათა შესწავლილი იქნეს დინამიკა და პროგნოზირების მეთოდით განისაზღვროს სამომავლო ტენდენციები.

თანამედროვე გლობალურ და ინოვაციურ სამყაროში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად აუცილებელი ფაქტორია სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენება. ეს კი შეუძლებელია ადამიანური კაპიტალის, თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის გარეშე.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება მისი საქმიანობის ყველა სფერო. მეცნიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიის, მედიცინისა და სხვა დარგების წინსვლა მოითხოვს ადამიანური კაპიტალის შესაბამის განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები სხვადასხვა (განსაკუთრებით ტურიზმისა და აგრარული) დარგის მიხედვით და მათი ეფექტიანობის კვლევა.

ამჟამად, ქვეყნის აგრარულ სექტორში დაბალია შრომის ნაყოფიერების დონე. არარაციონალურად გამოიყენება წარმოების ფაქტორები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფლად ადამიანური კაპიტალის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ, რაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებთან. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავსახეთ ამოცანები:

1. გამოვიკვლიოთ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგის - სოფლის მეურნეობისა სფეროში მოღვაწე დამსაქმებულებისა და დასაქმებულების დამოკიდებულება პროფესიული ზრდის ღონისძიებების (ტრენინგ/სემინარები) მიმართ;

¹ <https://link.springer.com/article/10.1007/s11747-015-0470-5>

2. მოვახდინოთ პრობლემების იდენტიფიცირება და დავსახოთ შესაძლო გამოსწორების გზები;

3. გამოვკვეთოთ ამ მიმართულებით სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ სტატისტიკური ანალიზისა და თვისებრივი კვლევის მეთოდები

კვლევის ობიექტია: ადამიანისეული კაპიტალის ინდექსის კომპონენტები და განათლება/ პროფესიული უნარები.

ჩვენი კვლევის მეცნიერული სიახლეა საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმართულებით დამსაქმებელთა და დასაქმებულთა კვლევის მასალების კრიტიკული ანალიზი და მის საფუძველზე ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებსა და შემოსავლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა.

ადამიანები ეწევიან გარკვეულ შრომით დანახარჯებს იმისათვის, რომ მომავალში მიღებულ იქნას გარკვეული შემოსავლები. დანახარჯები, რომლებიც განსაზღვრავს მომავალ ფულად და მატერიალურ შემოსავალს, ფასდება, როგორც ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში. ასეთი სახის ინვესტიციებს მიეკუთვნება დანახარჯები განათლებაზე, სამედიცინო მომსახურებასა და ჯანდაცვაზე, კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორგანიზაციის დონეზე, სამუშაოს ძიებასა და მიგრაციაზე.

გამოკითხეთ 88 დამსაქმებელი/ფირმა. გამოკითხულთა 65% ზედა რგოლის მენეჯერი იყო, 35% კი უშუალოდ მფლობელი. მრავალფეროვანი იყო გამოკითხულ კომპანიების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. გამოკითხულ კომპანიათა 70% წლიური შემოსავლის მიხედვით, 500000 ლარზე მეტს იღებს, 25% -100000 ლარზე მეტს, ხოლო 5% - 100000-500000 ლარამდე.

წარმოდგენილი კომპანიების 50% მცირე საწარმო სტატუსს ფლობს, 30 % საშუალოს და 20 % მსხვილს. აბსოლუტური უმრავლესობა სთავაზობს პერსონალს კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ტრენინგ სემინარებს. მათგან 45% ყოველთვიური სიხშირით, 35%- 6 თვეში ერთხელ, 15% -წელიწადში ერთხელ, მხოლოდ 5% არ ატარებს დასაქმებულებისთვის ტრენინგებს. დამსაქმებელთა 70% თვითონ აფინანსებს ტრენინგებს, 20%-ს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია და ფონდი, ხოლო 10%-ს თვითონ დასაქმებული. დამსაქმებლები ამ კითხვის დროს გამორიცხავენ სახელმწიფოს, როგორც დამფინანსებლის როლს.

კომპანიების მიხედვით განსხვავებულია ერთი თანამშრომლის დატრენინგებისთვის წლის განმავლობაში გაწეული დანახარჯი. მხოლოდ 20% ხარჯავს 900 ლარზე მეტს, 25% - 300 დან 600 ლარამდე, 10%- 600 დან 900 ლარამდე და 45% საშუალოდ 300 ლარს ხარჯავს. პასუხები, როგორც ჩანს განპირობებულია კომპანიების სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმითა და დასაქმებულთა რაოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული დამსაქმებლები განსხვავებულ მიდგომებს აფიქსირებენ ტრენინგებზე გაწეული დანახარჯების ოდენობასა და პერიოდულობის შესახებ, ერთხმად (გამოკითხულთა 100%) საჭიროდ მიიჩნევენ დასაქმებულთა დატრენინგებას კომპეტენციების ამაღლების მიზნით.

გამოკითხულები კომენტარებში გამოყოფენ დასაქმებულთა ტრენინგებს მიმართულებების მიხედვით. გამოიკვეთა, რომ დამსაქმებულებისთვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ, ვიწრო პროფესიული უნარების გაუმჯობესება (კერძოდ, მომსახურების სერვისის, სასტუმროს ოპერირების საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით) არამედ ზოგადი უნარების ჩამოყალიბება (მართვის, პრობლემების ოპერატიული მოგვარების, კომუნიკაციის გაუმჯობესების, კომპანიის ზოგადი სტანდარტებისა და პროცედურების მიმართულებით). კომენტარებში ასევე მითითებული იქნა, რომ

თანამშრომლებს სტაჟირებას უტარებენ საზღვარგარეთ წლის სხვადასხვა პერიოდში. დასაქმებულთა დიდი ნაწილი თვლის, რომ დანახარჯების გაწევა თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით ყოველთვის დადებითი შედეგის მომტანია და პირდაპირ აისახება, როგორც უშუალოდ მომსახურების ხარისხზე და ფორმებზე, ასევე კომპანიის შემოსავლების ზრდაზე.

დასაქმებულთა დამოკიდებულება პროფესიულ ტრენინგებთან მიმართებაში ცალსახად დადებითი უნდა იყოს და არც მათი ეკონომიკური თუ სოციალური ეფექტი უნდა იყოს სადაო. თუმცა დასაქმებულებთან ჩატარებულმა კვლევამ განსხვავებული შედეგები აჩვენა.

კვლევის დროს ჩვენი ინტერესის საგანი იყო გამოკითხულთა დასაქმების სფერო, ასაკი; სქესი; სტატუსი; კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა; ასევე დავსვით კითხვები :

რამდენად ხშირად ესწრებით ტრენინგებს? ვინ აფინანსებს ტრენინგებს? დაგეხმარათ თუ არა განვლილი პროფესიული ტრენინგები კარიერულ წინსვლაში და როგორ? დაგეხმარათ თუ არა განვლილი ტრენინგები თქვენი შრომის პროდუქტიულობის ამაღლებაში (გთხოვთ, გააკეთოთ კომენტარი); საჭიროდ მიგაჩნიათ ტრენინგები?

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოკითხულთა 55% ტურიზმის სექტორს მიეკუთვნება, 45% კი სოფლის მეურნეობას. გამოკითხულთა 41% ერთი წელია დასაქმებულია, 43% 1-5 წელია, ხოლო 14,9% 5 წელზე მეტია დასაქმებულია. გამოკითხულთა ასაკობრივი მაჩვენებელი კი ასე გადანაწილდა: 91 % 20-29 წლისაა, 4,5 %-30-39 წლის, 4,5% კი 40-49 წლამდე. დასაქმებულთა 12 % მსხვილ ბიზნესს მიეკუთვნება, 34% საშუალო ბიზნესს, 54% მცირე ბიზნესს.

შეკითხვაზე „როგორ უზრუნველყოფს კომპანია თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების შესაძლებლობას?“ რესპოდენტებს ჰქონდათ საშუალება რამდენიმე პასუხი აერჩიათ ერთდროულად. რესპოდენტთა 18 % ფიქრობს რომ, კომპანია საერთოდ არ ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გამოკითხულთა 52% პასუხობს, რომ კომპანიის მიერ მუდმივად იგეგმება შიდა ტრენინგები, პროფესიული თუ სხვა კომპეტენციების ამაღლების მიზნით. 10 % აღნიშნავს რომ, კომპანია აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ დამატებითი სასწავლო შვებულება და ისარგებლონ მოსამზადებელი კურსებისა და გამოცდების დაფინანსებით. 16,4 % პასუხობს რომ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, კომპანია აძლევს შესაძლებლობას, გაემგზავრონ და იმუშაონ საზღვარგარეთ კომპანიის ფილიალებში.

ჩვენთვის საინტერესო იყო, თუ როგორ ცდილობდნენ კომპანიები დასაქმებულების მოტივაციის ამაღლებას. რესპოდენტებს ჰქონდათ საშუალება რამდენიმე პასუხი აერჩიეთ ერთდროულად. გამოკითხვის შედეგები საკმაოდ საინტერესოა 67,2 % ფიქრობს, რომ ორგანიზაცია უქმნის სასიამოვნო სამუშაო გარემოს. 37,3% აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია გეგმავს რიგ აქტივობებს/შეხვედრებს, კორპორაციული სულისკვეთების ჩამოყალიბებისთვის, მათ შორის არასამუშაო გარემოში. 40,3 % ფიქრობს, რომ ორგანიზაცია სათანადოდ აფასებს და ახალისებს დასაქმებულთა მიერ მიღწეულ შედეგებს. 13,4 % აღნიშნავს, რომ კომპანია საერთოდ არ ზრუნავს დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებისათვის.

ტრენინგებზე დასწრების სიხშირის მიხედვით, პასუხები ასე გადანაწილდა: 33 %-ყოველ ერთ თვეში, 30% ყოველ 6 თვეში, 25%- წელიწადში ერთხელ, ხოლო, 12%-ს ტრენინგი არასდროს არ გაუვლია. 57% შემთხვევაში დამსაქმებელი უფინანსებდა ტრენინგებს, რაც დადებითად არის შესაფასებელი. 18%-მა აღნიშნა რომ საერთაშორისო ორგანიზაციები/ ფონდი აფინანსებდა ტრენინგებს, 9 % სახელმწიფო უფინანსებდა, ხოლო 16 % საკუთარი სახსრებით აფინანსებდა ტრენინგებს.

რესპოდენტთა 40,3% მზად არის ტრენინგებში გადაიხადოს 300 ლარამდე, 32,8%-გადაიხდის 300- და 600 ლარამდე, ხოლო 3 %-მა უპასუხა, რომ 600-დან 900 ლარამდე შეეძლო გადაეხადა. 23,9% ფიქრობს რომ ტრენინგებში თანხას არ გადაიხდის.

ჩვენთვის საინტერესო იყო შრომის პროდუქტიულობის ამაღლებასა და შემოსავლის ზრდაში დაეხმარა თუ არა მათ ტრენინგები. აღმოჩნდა, რომ 66%-ის შემთხვევაში დაეხმარა, 28,4% შემთხვევაში მეტ-ნაკლებად. 4,5% კი თვლის, რომ არ დაეხმარა.

მიუხედავად განსხვავებული დამოკიდებულებებისა, დიდი უმრავლესობა (86,6%) მიიჩნევს, რომ პროფესიული და კარიერული ზრდისთვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და განვითარების ტრენინგ-კურსების საჭიროება ძალიან მაღალია.

რესპოდენტებს ასევე შეეძლოთ კომენტარების დატოვება, ძალიან საინტერესო იყო, განსაკუთრებით რამდენიმე მათგანი.

- „ვფიქრობ ადამიანური კაპიტალისა და მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ტრენინგების ჩატარება“

- „ტრენინგების განმავლობაში დაგროვებული ცოდნა/უნარები გვეხმარება მომავალ კარიერულ განვითარებაში და რაც მთავარია, გაცილებით გამოცდილ, პროფესიონალ ადამიანებთან და ტრენერებთან კომუნიკაცია გვამღებს მოტივაციას, კიდევ მრავალი წარმატებული ნაბიჯი გადავდგათ იმ სფეროში, სადაც ვართ დასაქმებულნი“

- „კარგი იქნება თუ გააქტიურდება სამოტივაციო აქტივობები, რაც აამაღლებს პერსონალის შრომის უნარიანობას“.

ამგვარად, ჩატარებულმა კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ამ მიმართულებით არის სერიოზული პრობლემები. კერძოდ, დამსაქმებლთა ნაწილი საჭიროდ არ მიიჩნევს დანახარჯების გაწევას დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას მიზნით. და რომ არა საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული და დასაქმებულთა თვითდაფინანსება (20%+10%) დასაქმებულთა 1/3 ვერ აიმაღლებდა კვალიფიკაციას. მიუღებელია დასაქმებულთა 24%-ის აზრი, რომ არ უნდა გადაიხადოს საფასური საკუთარი პროფესიული ზრდისთვის. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული დაბალი სოციალური ფონი და დასაქმებულთა შრომის დაბალი ანაზღაურება, რაც ხშირ შემთხვევაში ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისაც ძლივს ყოფნის. აგრარული მიმართულებით დამსაქმებელი (ფერმერი) ხშირ შემთხვევაში თავად არის დასაქმებულიც, ურჩევია მან გაიაროს ტრენინგ-კურსები, ვიდრე დროებით/სეზონურად დაქირავებულებზე გაწიოს დანახარჯი და შემდეგში თვითონ გაუზიაროს სიახლეები დანარჩენებს. ზოგადად სოფლად მცხოვრებთა სწრაფვა პროფესიული ზრდისა და ინოვაციებისკენ ნაკლებია. შესაბამისად მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური მეთოდების ნაცვლად ურჩევია ტრადიციული მიდგომების გამოყენება.

კვლევის შედეგებიდან კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია დამსაქმებლების მხრიდან თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიმართულებით გაწეულ ინვესტიციას აქვს ეკონომიკური და სოციალური ეფექტი. ზრდის დასაქმებულის პროდუქტიულობას, რაც დადებითად აისახება როგორც კომპანიის ასევე დასაქმებულის ანაზღაურებაზე, ყველაფერი ერთად კი მაკროეკონომიკურ ეფექტზე- ეკონომიკურ ზრდაზე გადის.


მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა მიმართ სახელმწიფოს აქვს პასიური როლი განათლების ინვესტირებაში, რეალურად, განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები გასამმაგდა 2010-19 წლების განმავლობაში და 1.8 მლრდ ლარს მიაღწია. შედეგად, განათლების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზრდა 11.9%-მდე იმავე

პერიოდში. 2019 წელს განათლებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან, დაფინანსების ნახევარი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურს მოხმარდა, 7.5% უმაღლესს და მხოლოდ 2.8% პროფესიულ განათლებას. დანარჩენი ხარჯები განკუთვნილი იყო სკოლამდელი განათლების (15.3%), ინფრასტრუქტურული პროექტების (14.7%), მეცნიერების ხელშეწყობისა (3.4%) და სხვა დამხმარე პროგრამებისთვის (6.5%).

საქართველოში სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე მშპ-სთან მიმართებით 2.8%-დან 3.6%-მდე გაიზარდა 2010-19 წლებში. ამ პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, ეს ინდიკატორი დაბალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სადაც განათლების ხარჯები მშპ-ს 5%-ზე მეტია. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად განათლებაზე დანახარჯები მშპ-ს 6%-მდე გაიზარდა 2022 წლიდან, განათლების სისტემის ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. (დიაგრამა N1)

ინკლუზიური განათლების ხარჯები, (რაც გულისხმობს სსსმ პირების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში) ჯამური დანახარჯი ინკლუზიურ განათლებაზე საშუალო წლიურად 33%-ით იზრდებოდა რვა წლის განმავლობაში და 27 მლნ. ლარს მიაღწია 2021 წელს, ხოლო 2022 წელს 35 მლნ. ლარამდეა გაზრდილი (მთლიანი ხარჯის 1.5%)

დიაგრამა 1 დანახარჯი განათლებაზე (მლრდ. ლარი) 2011-2023*



ინვესტიციების დარგების თუ ინვესტიციური მიხედვით განაწილება ცალკეული პროექტების ხორციელდება. განაწილების ეკონომიკური და არაეკონომიკური ხელსაყრელი გარემო პირობები, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა

და ამოცანები პირველ რიგში წარმოადგენს ინვესტიციების ეფექტიანობის ფაქტორებს.

მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, მაკროეკონომიკურ დონეზე ინვესტიციების საერთო ეფექტიანობის ფაქტორებში მხედველობაშია მისაღები სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკოლოგიური ეფექტიანობის განმსაზღვრელი პირობები (მოსახლეობის შემოსავლები, ცხოვრების დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება და სხვ.)

ზოგადად, ინვესტიციების ეფექტიანობის ფაქტორებზე მსჯელობისას გამოიყოფა მათი ტრადიციული სახეები, ესენია: – ინოვაციური პროცესი ანუ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება; – ინვესტიციური პროცესის მართვისა და ორგანიზაციის დონე, თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების გამოყენება; კადრების კვალიფიკაცია; ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის მოქმედება; ბუნებრივი პირობები; აღნიშნული ფაქტორების გამოყენების ხასიათი და ხარისხი (დონე, მასშტაბები) განსაზღვრავს ინვესტიციური რესურსების ეფექტიანობას ცალკეული პროექტების თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით.


კადრების კვალიფიკაცია უშუალოდ დაკავშირებულია – მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესთან და მართვის გაუმჯობესებასთან. ცხადია, თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიას ვერ გამოიყენებენ, მართვისა და ორგანიზაციის პროგრესულ მეთოდებს ვერ აითვისებენ სათანადო კვალიფიკაციის არმქონე კადრები – მუშები, სპეციალისტები (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი). საერთოდ ყველა დარგში, შეიმჩნევა მუშაკთა კვალიფიკაციის - „მორალური ცვეთა“ (არსებული ცოდნის დაძველება). აქედან

გამომდინარე, ახალი კადრების მომზადება თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების კვალობაზე განუწყვეტლივ ყურადღებას მოითხოვს.


სახელმწიფო რეგულირების მექანიზმს რაც შეეხება, იგი ძირითადად დამხმარე როლს ასრულებს ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. მისი როლი უფრო მეტი და წონადია ინვესტიციების სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკოლოგიური ეფექტის ამაღლების თვალსაზრისით. აქ სათანადო მეთოდების, განსაკუთრებით ექსპერტული შეფასების მეთოდის საფუძველზე ხდება საინვესტიციო პროექტების შერჩევა. სახელმწიფოს პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს აღნიშნულ სფეროებში ინვესტიციების მიმართულებები, რაც უნდა მოხდეს საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად, ანუ სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი უმეტეს შემთხვევაში მრეწველობისკენაა მიმართული, განსაკუთრებით მცირეა დაბანდებები სოფლის მეურნეობაში. იგივე უნდა ითქვას მომსახურების სფეროს დარგებზეც. ინვესტიციების ასეთი სტრუქტურა ხელს ვერ შეუწყობს ეკონომიკის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას, თვით ინვესტიციების საბოლოო შედეგის ზრდას ქვეყნის მასშტაბით, ამიტომ იგი გაუმჯობესებას მოითხოვს.

დანართი: კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური შედეგები

თქვენი საქმიანობის სფერო:
21 პასუხი




აირჩიეთ, რომელი სტატუსი შეესაბამება თქვენს სამუშაოს:
21 პასუხი




თქვენი კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:

21 პასუხი




თქვენი კომპანიის საშუალო წლიური შემოსავალი:

21 პასუხი




თქვენს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა:

21 პასუხი




რამდენად სთავაზობთ დასაქმებულებს ტრენინგ-სემინარებს?

21 პასუხი




ვინ აფინანსებს ტრენინგებს?

21 პასუხი



საშუალოდ, ერთი თანამშრომლის დატრენინგებისთვის გაწეული წლიური დანახარჯი:

21 პასუხი



რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ, დასაქმებულთა დატრენინგება, კომპეტენციების ამაღლების მიზნით?


21 პასუხი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის რეგიონი, რომელიც ხასიათდება მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, მრავალფეროვანი ლანდშაფტით და მზარდი ეკონომიკით, აჭარას გააჩნია მნიშვნელოვან შესაძლებლობა საექსპორტო პოტენციალის გაფართოებისთვის.

ჩვენ მიერ განხორციელდა პირველადი ინფორმაციის მოპოვება წინასწარ დაგეგმილი ანკეტა-კითხვარის მეშვეობით. კვლევა ჩატარდა 2023 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში და მონაწილეობა მიიღო 211-მა რესპოდენტმა (მეურნეობის მფლობელმა).


211 responses



დიაგრამა N1. გენდერული ბალანსი

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა გენდერული ბალანსი სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში. დიაგრამა N1-ში 136 (65%) მამაკაცითაა წარმოდგენილი, ხოლო ქალბატონების რაოდენობა შეადგენს 75 (34%) რესპოდენტს.


211 responses



დიაგრამა N2. ასაკობრივი ჯგუფი

დიაგრამა N2-ში გამოკითხვაში ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ყველა ასაკის წარმომადგენელი მონაწილეობს. 15-20 წლამდე 2.4%, 21-30 წელი 13.7%, 31-40 წ. 25.1%, 41-50 წ. 23.7%, 51-60 წ. 19-9%, 61-70 წ. 11.8%, ხოლო 71 წ. და მეტი 3.3%. დადებითია ის გარემოება, რომ 31-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტი მეურნეობის მფლობელი მონაწილეობს და ჯამურად 50% შეადგენს.


211 responses



დიაგრამა N3. მეურნეობის მდებარეობა მუნიციპალიტეტის მიხედვით

დიაგრამა N3-ში წარმოდგენილია მეურნეობის მდებარეობა მუნიციპალიტეტის მიხედვით, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხულოს (49.3%), ჭედისა (19.9%) და ხელვაჩაურის (19%) წარმომადგენლებმა. ხოლო ქობულეთის და შუახევის მეურნეობების მფლობელები 5-6%-ით არის წარმოდგენილი.

211 responses



დიაგრამა N4. მეურნეობის დაჯგუფება შემოსავლის კატეგორიის მიხედვით

შემოსავლების მიხედვით დიაგრამა N4-ში ძირითადად მცირე მეურნეობების შეადგენს (44.1%-ს), შემდეგ, საშუალო (25.6%) და საოჯახო (თვითუზრუნველყოფი) (29.9%) მეურნეობებითაა წარმოდგენილი.


211 responses



დიაგრამა N5. მეურნეობის მფლობელთა განათლების დონე (საფეხური)

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა მეურნეობის მფლობელთა განათლების საფეხური (დონე), რადგანაც ის პირდაპირპროპორციულად აისახება მათ საქმიანობაზე. დიაგრამა N5-ში 69 (32.7%) რესპოდენტს საშუალო განათლება აქვს მიღებული, 61 (28.9%)-ს პროფესიული ან მოკლევადიანი ტრენინგი აქვს განვილი, ბაკალავრის საფეხურის დამთავრებული აქვს 48 (22.7%) რესპოდენტს, ხოლო მაგისტრატურა 30 (14.2%). სადოქტორო განათლების მქონე რესპოდენტი მხოლოდ ერთი მათგანი აღმოჩნდა.


211 responses



დიაგრამა N6. მეურნეობის მფლობელთა ცოდნის, განათლების და კომპეტენციის თვითშეფასება

დიაგრამა N6-ში ვეცადეთ რესპოდენტებს შეეფასებინათ თავიანთი კომპეტენცია და განათლების დონე თავიანთ მეურნეობის საქმიანობაში. მთლიანობაში 55 (26.1%) რესპოდენტი ხუთი ქულით აფასებს თავის კომპეტენციას, 85 (40.3%) ოთხი ქულით, 56 (26.5%) მათგანი საშუალოდ ანუ 3 ქულით, ხოლო 14 (6.6%) ორი ქულით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მაგისტრატურის და სადოქტორო საფეხურის მქონე რესპოდენტები ხუთი ქულიდან საშუალოდ 3.8 ქულით აფასებენ თავიანთ კომპეტენციას.

211 responses



დიაგრამა N7. მეურნეობის მფლობელთა განაწილება სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით.

საქმიანობის სფეროს მიხედვით დიაგრამა N7-ში თითქმის თანაბრად 46-52% არის განაწილებული რესპოდენტები. ხოლო 3 (1.4%) მომსახურების მიმართულებით არის წარმოდგენილი.


ცხრილი N1.

მეურნეობის მფლობელთა წარმოების ძირითადი მიმართულება
(მუნიციპალიტეტის მიხედვით)

მუნიციპალიტეტი	ძირითადად წარმოებული პროდუქცია
ხულო	კარტოფილი, ბოსტნეული, ხეხილი, მეცხოველეობა, რძის პროდუქტები, კაკალი, სიმინდი, სალათის ფოთლები,
შუახევი	სიმინდი, კარტოფილი, რძის პროდუქტები,
ქედა	სიმინდი, კარტოფილი, რძის პროდუქტები, ღვინის წარმოება. ხეხილი.
ხელვაჩაური	ციტრუსი, ცხვარი, რძის პროდუქტები, ბაღჩეული, თამბაქო, კენკროვანები, კარტოფილი, ღვინის წარმოება.
ქობულეთი	ციტრუსი, თხილი, ფერმა, რძის პროდუქტები.


ცხრილი N1-ში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების მიხედვით ძირითადი წარმოების (მომსახურების) მიმართულებები.

209 responses




დიაგრამა N8. მეურნეობის მფლობელთა მიერ პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის დონე

აღნიშნულ კითხვაზე რესპოდენტს ქონდა საშუალება აერჩია 1-ზე მეტი პასუხი, შესაბამისად ჯამური პროცენტი აჭარბებს 100-ს. დიაგრამა N8-ში რესპოდენტთა 86.6% თავისი წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო 30% საოჯახო მოხმარებისთვის ქმნის პროდუქციას. საერთო წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 2.4-3% მზადდება საექსპორტოდ.



დიაგრამა N9. მეურნეობის მფლობელთა წარმოებული პროდუქციის მოთხოვნის დონე შიდა ან გარე ბაზარზე


დიაგრამა N9-ში 120 (56%) რესპოდენტს მიაჩნია, რომ ძალიან მოთხოვნიდა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე. 86 (40%) გამოკითხული მიიჩნევს, რომ საშუალოდ მოთხოვნიდა შიდა ბაზარზე. მინიმალური შეფასებით არის წარმოდგენილი მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტის პოტენციალი, მხოლოდ 5-6% მიაჩნია, რომ მათი პროდუქცია მოთხოვნიდა გარე ბაზარზე საექსპორტოდ.



დიაგრამა N10. მეურნეობის მფლობელთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია

დიაგრამა N10-ში ჩანს მეურნეობის მფლობელთა მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლები, რაც ძირითადად გულისხმობს თვითრეალიზაციას ან ადგილზე გადამყიდველისთვის მიცემას. ყურადღებას აქცევს აღნიშნული დამოკიდებულებები მეურნეობების მფლობელებისგან, რადგანაც, ისინი ვერ ხედავენ მათი პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ რადგანაც მცირე რაოდენობით აწარმოებენ პროდუქციას ისინი ძირითადად თანამშრომლობენ ექსპორტიორ კომპანიებთან, აბარებენ საბითუმო ფასში პროდუქციას და ექსპორტიორს გააქვს სხვადასხვა ქვეყანაში. 8 (4.5%) რესპოდენტი ახორციელებს ძირითადად ექსპორტს აღნიშნულ ქვეყნებში: უკრაინა, დსთ-ს ქვეყნებში, რუსეთი, გერმანია, ბრაზილია, ჰოლანდია, აზერბაიჯანი, ევროპა, სომხეთი.

211 responses



დიაგრამა N11. ეკო-მეგობრულ პროდუქციის ცნობადობის დონე


დიაგრამა N11-ში გვანტერესებდა გაგვეგო ეკო-მეგობრულ პროდუქციის ცნობადობის შესახებ. 74 (35.1%) რესპოდენტს მიაჩნია, რომ ძალიან კარგად ფლობს ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ ინფორმაციას, ზოგადი წარმოდგენა აქვს 90 (42.7%)-ს, ხოლო არასდროს მსმენია აღნიშულის შესახებ 47 (22.3%) რესპოდენტს.

211 responses



დიაგრამა N12. რამდენად მიჩნიათ მეურნეობის მფლობელებს, რომ მათი პროდუქცია არის ეკო-მეგობრული


დიაგრამა N12-ში დასმულია კონტრკითხვა, რითაც ვაზუსტებთ ნამდვილად იცის თუ არა ეკო-მეგობრული პროდუქციის წარმოების შესახებ, რაც ურთიერთგამომრიცხავი შედეგით არის წარმოდგენილი, ანუ დიაგრამა N11-ში თითქოს 36%-მა ძალიან კარგად იცის ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ, მაგრამ 45.5%-ს მიაჩნია, რომ მათ არა მარტო იციან არამედ აწარმოებენ კიდევ ეკო-მეგობრულ პროდუქციას. ნაწილობრივ ეკო-მეგობრული შემოხაზა 42.7%-მა, ხოლო არა ეკო-მეგობრული 11.4%-მა.




დიაგრამა N13. მეურნეობის მფლობელთა სამომავლო ეკო-მეგობრული პროდუქტის წარმოების სურვილი

დიაგრამა N13-ც რევერსიული (კონტრკითხვა) და აზუსტებს რესპოდენტთა ცნობადობის დაბალ დონეს, რადგანაც ამ ნაწილში 56% მიიჩნევს, რომ ისინი გეგმავენ ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებას, ანუ ჯერ არ აქვთ განხორციელებული ეკომეგობრული პროდუქციის წარმოება.

დიაგრამა N14. მეურნეობის მფლობელთა პასუხის დაზუსტება, (მათი აზრით რომელი კატეგორიის პროდუქციას აწარმოებენ) ჩვენი კითხვარი კვლავაც აზუსტებს შემდეგი კონტრკითხვით ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების შესახებ ინფორმაციას. დიაგრამა N14-ში დასმულ კითხვაზე, „რომელი კატეგორიის პროდუქციას აწარმოებთ?“ მხოლოდ 28 (13.3%)-მა რესპოდენტმა შეუსაბამა მისი პროდუქციის წარმოება ეკო-მეგობრულ პროდუქციას. შესაბამისად ჩვენი აზრით სწორედ 14%-ზე დაბალია რეალური ცნობადობა აღნიშნულ საკითხის შესახებ.





დიაგრამა N15. მეურნეობის მფლობელებს მიგაჩნიათ თუ არა, რომ გესაჭიროებათ ტრენინგი, სტაჟირება და კონსულტაციები, რომელიც აამაღლებს ცნობადობას ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ

მე-15 დიაგრამა, მე-14 დიაგრამის მსგავსად კონტრკითხვით ადასტურებს ჩვენს შეხედულებას, სადაც რესპოდენტთა 89.1% მიაჩნია, რომ ესაჭიროება ტრენინგი, რაც რეალურია და იმის მაჩვენებელია, რომ მათ არ აქვთ სრული ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე და ესაჭიროებათ ცნობადობის ამაღლება.


ცხრილი N2. ბოლო წლებში შეცვლილი ტრადიციული მეურნეობის სახე

მუნიციპალიტეტი	ტრადიციული მეურნეობა	შეცვლილი მეურნეობა
ხულო	კარტოფილი სიმინდი ერთწლიანი	კაკალი, ჟოლო, ხეხილი, მწვანელი ხეხილი. ჟოლო, ბოსტნეული, მრავალწლიანი
შუახევი	სიმინდი მცირე მეურნეობა	თხილი, საშუალო მეურნეობა
ქედა	მანდარინი სიმინდი თამბაქო	მოცვი თხილი, თამბაქო ბოსტნეული
ხელვაჩაური	ციტრუსი (მანდარინი) მოცვი ქათმის ჯიშები ბულგარული წიწაკა სიმინდი	ლურჯი მოცვი, თხილი, ბოსტნეული, ხურმა ნიგოზი ხოხობი თამბაქო თხილი
ქობულეთი	ციტრუსი (მანდარინი) მეღორეობა	თხილი მსხვილფეხა პირუტყვი

მუნიციპალიტეტების მიხედვით ტრადიციული საქმიანობის (სახის) ჩანაცვლება განახორციელა 37% მეურნეობის მფლობელმა (ცხრილი N2). ხოლო 63%-ს არ ჩაუწევია ტრადიციული მეურნეობის სახე.


P.S. დიაგრამა N1 და დიაგრამა N2 კითხვით გვაინტერესებდა გაგვეგო მეურნეობების მფლობელები რამდენად კმაყოფილი არიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მუნიციპალიტეტში ექსტენციონისტები და ეკონომისტები მიმართვის შემთხვევაში გაწეული მხარდაჭერის ხარისხი. ორივე შედეგი იდენტურია და 74% რესპოდენტი ხუთი ქულით აფასებს მათ მხარდაჭერას, ხოლო 24% ოთხი ქულით, ჯამში 99% მათგანი დადებითად აფასებს სამინისტროს და ექსტენციონისტები / ეკონომისტების საქმიანობას.

211 responses



P.S. დიაგრამა N1: აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში, რამდენად ეფექტიანად და ოპერატიულად გაწვდით თქვენთვის საჭირო ინფორმაციას ან/და გიწევთ მხარდაჭერას?

211 responses



P.S. დიაგრამა N2: თქვენი მიმართვის შემთხვევაში, რამდენად ეფექტიანად და ოპერატიულად გაწვდით თქვენთვის საჭირო ინფორმაციას ან/და გიწევთ მხარდაჭერას მუნიციპალიტეტში ექსტენციონისტები და ეკონომისტები

დასკვნა

აჭარის ეკონომიკა ტრადიციულად ეფუძნება სოფლის მეურნეობას, ტურიზმს და მცირე მრეწველობას. თუმცა, ბოლოდროინდელმა მცდელობებმა დივერსიფიკაციისა და მოდერნიზაციისთვის ახალი ჰორიზონტები გახსნა ეკონომიკური ზრდისთვის. როდესაც რეგიონი ცდილობს გააფართოვოს თავისი საექსპორტო ბაზარი, რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს:

ბუნებრივი რესურსები: აჭარა არ გააჩნია ნაყოფიერი ნიადაგი, თუმცა არსებულის გამოყენება შესაძლებელია სოფლის მეურნეობისა და მეზღვაობისთვის. გარდა ამისა, მისი ტყეები იძლევა ხის და არამერქნული ტყის პროდუქტების შესაძლებლობებს.

გამოწვევები: მიუხედავად იმისა, რომ აჭარას აქვს რამდენიმე უპირატესობა, მას ასევე აქვს გარკვეული გამოწვევები ექსპორტის გაფართოების გზაზე:

ინფრასტრუქტურის განვითარება: ინვესტიციები ტრანსპორტში, ლოჯისტიკაში და საწარმოო ობიექტებში აუცილებელია საექსპორტო საქმიანობის გასაადვილებლად და საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

ბაზრის წვდომა: საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა მოითხოვს სავაჭრო რეგულაციების ნავიგაციას და ეფექტური სადისტრიბუციო ქსელების შექმნას.

ხარისხის უზრუნველყოფა: პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა გადამწყვეტია უცხოელ მომხმარებლებთან ნდობის შესაქმნელად.

წარმატების სტრატეგიები: საექსპორტო პოტენციალის გამოსაყენებლად აჭარას შეუძლია განიხილოს შემდეგი სტრატეგიები:

დივერსიფიკაცია: საექსპორტო პროდუქტების სპექტრის განვითარება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ტრადიციული ხელნაკეთობები, ადგილობრივი ქსოვილები და გადამუშავებული საკვები, სხვადასხვა ბაზრისთვის.

ექსპორტის ხელშეწყობა: თანამშრომლობა სამთავრობო უწყებებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან და ექსპორტის ხელშემწყობ ორგანოებთან აჭარის პროდუქციის შესახებ ინფორმირებულობის შესაქმნელად და საექსპორტო ბაზრებზე წვდომისთვის.

ხარისხის კონტროლი: მკაცრი ხარისხის კონტროლის ზომები და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, გააზრდის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას უცხოურ ბაზარზე.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციისთვის და მდგრადი სამომხმარებლო საქონლის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ძირითადი ხუთი საუკეთესო პრაქტიკა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისთვის:

1. **მასალების მდგრადი მოპოვება:** მასალების მდგრადი მოპოვება ქმნის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების საფუძველს. ეკოლოგიურად სუფთა მასალების შერჩევა გადამწყვეტია პროდუქტის მთლიანი ეკოლოგიური ზემოქმედების შესამცირებლად. მნიშვნელოვანია გამოყენებული იქნას ნახშირბადის დაბალი შემცველობის ნედლეული, რეციკლირებული და განახლებადი ნედლეული. გამოყენებული უნდა იქნას ნედლეული, რომლებიც დაკავშირებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით ტყეების გაჩეხვასთან ან წყლის გადაჭარბებულ გამოყენებასთან.

2. **ენერგოეფექტური წარმოების პროცესი:** ეკოლოგიურად სუფთა საქონლის წარმოებისთვის ენერგოეფექტური წარმოების პროცესები მნიშვნელოვანია სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად და ბუნებრივი რესურსების შესანარჩუნებლად. ასევე მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა, როგორცაა მზის, ქარის ან ჰიდროელექტროენერგია.

3. **პროდუქტის დიზაინი:** მნიშვნელოვანია პროდუქციის შექმნა დიდი დროის გამოყენების მიზნით, რომელიც არის ეკოლოგიურად სუფთა წარმოების ქვაკუთხედი, რადგან ის ამცირებს ხშირი ჩანაცვლების საჭიროებას და ზოგავს რესურსებს. პროდუქტის დიზაინში უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამძლეობას და ხანგრძლივობას.

4. **ნარჩენების შემცირება და გადამუშავება:** ნარჩენების შემცირებისა და გადამუშავების ეფექტური სტრატეგიები წარმოების პროცესებში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკოლოგიურად სუფთა წარმოებას. რაც გულისხმობს ნარჩენების მინიმიზაციის სტრატეგიების და ეფექტიანი წარმოების პრინციპების გათვალისწინებას.

5. **ეკოლოგიურად სუფთა შეფუთვა:** შეფუთვას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება და ის არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რადგანაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნარჩენების შემცირებაში და მინიმუმამდე ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას. შესაძლებელია მინიმალისტური შეფუთვა, რომელიც იყენებს მინიმალურ მასალებს და შესაფუთ ნედლეულში პრიორიტეტული გადამუშავება და ბიოდეგრადირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2023
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/70/soflis-meurneoba-da-sasursato-usaftrtkhoeba>
2. მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ
<http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo190207.pdf>
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო <https://mepa.gov.ge/Ge/Reports>
4. ჯაბნიძე რ. სუბტროპიკული კულტურები. ბათუმი 2021
5. ლელა ჯახაია. აგრარული სექტორის ეკონომიკური პრობლემები და მისი დაძლევის პერსპექტივები (აჭარის მაგალითზე). დისერტაცია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი 2018
https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9997_1.pdf
6. Food and Agriculture Organization of the UN <http://www.fao.org/faostat/en/#compare>
7. საქართველოს მთავრობა http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=424
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
<http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=4>

მეცხოველეობის მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: რევაზ მახარობლიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
სულიკო ბერიძე - აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

თემა: „მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება, სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავება.“

თემის აქტუალობა. პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ-სადოვრების პროდუქტიულობის ამაღლებას და მეცხოველეობის საკვები ბაზის მკვეთრად განმტკიცებას, რაც მიიღწევა აჭარის რეგიონში სათიბ-სადოვრების ეროზიული მოვლენების განხილვის, ნიადაგში წყლისა და საჰაერო რეჟიმების გაუმჯობესების გზების დადგენის, აჭარის სათიბები-სადოვრებზე წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირების, მათ რაციონალური გამოყენების გზების დადგენის გზით და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებით.

2023 წელს თემატური გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო შემდეგი სახის კვლევითი სამუშაოების შესრულება:

- აჭარის ნიადაგურ-კლიმატური და რელიეფური თავისებურებების აღწერა; (I- კვარტალი)
- აჭარის სათიბ-სადოვრების შესწავლა და მათი ნაყოფიერების ამაღლების განსაზღვრა. (II- კვარტალი)

- აჭარის რეგიონში ნალექების ინტენსივობის რაოდენობის განსაზღვრა, კლიმატისა და ჰავის გავლენა სამოვარ-სავარგულების ნაყოფიერებაზე. (III- კვარტალი)
- აჭარის რეგიონში გავრცელებული ძროხის ჯიშები, სანაშენე საქმიანობა და მისი ანალიზი (IV-კვარტალი)

1. აჭარის ნიადაგურ-კლიმატური და რელიეფური თავისებურებების აღწერა.

აჭარის რელიეფი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. მისი უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია მთისწინებით, დაბალი და მაღალი მთებით, რომლებიც ძლიერ დანაწევრებულია მდინარეებისა და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადების ხეობებით. დაბლობები ზღვის სანაპირო ზოლშია და მასზე მოდის მთელი ტერიტორიის 5% ანუ 153 კმ². გორაკ-ბორცვებსა და წინამთებზე მოდის 15%, დაბალ და მაღალ მთებზე 80%. აჭარის რელიეფის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მას გააჩნია ამფითეატრისებური ამალღება შავი ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთისკენ, მთების მიმართულებით. გორაკ-ბორცვები ძირითადად გავრცელებულია ზღვის სანაპირო დაბლობების აღმოსავლეთ მხრიდან.

ფერდობების მიკრორელიეფი საკმაოდ ცვალებადი და მრავალფეროვანია. ფართობები, რომლებიც გამოყენებულია სათესად და მრავალწლიანი კულტურებისათვის, ასევე სათიბები და მდელოები იკვთებიან ხევებით, გორაკებითა და ნაკადულებით, ტყითა და ბუჩქნარებით, რომლებიც ყველა ერთად ქმნის დასამუშავებელი ნაკვეთების მცირეკონტურიანობას.

რელიეფური დახრილობისა და ნაკვეთების მცირეკონტურიანობიდან გამომდინარე თანამედროვე ნიადაგდამამუშავებელი ტექნიკა საკმაოდ კარგად იმუშავებს ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი 1 ჰექტარზე მეტია და დახრილობის კუთხე არ აღემატება 8–10°. თუმცა არის შემთხვევები როცა მობილური სახნავი ტექნიკის გამოყენება ხდება მაღალი (12–15°) დახრილობის მქონე ფართობებზე. ეს მეტწილად იწვევს ტექნიკის გადაბრუნების საშიშროებას და რაც მთავარია ტექნიკაზე დატვირთვებისა და წონის არათანაბარ გადანაწილებას. აღმართზე მოძრაობის დროს, რაც მეტია დახრილობა, მით მეტი დატვირთვა მოდის ტრაქტორის უკანა ღერძზე, ეს კი, თავისთავად იწვევს ტექნიკის არასასურველ ზეგავლენას ნიადაგზე (გამკვრივება) და სავალი დეტალების ხშირ დეფორმაციებს და მწყობრიდან გამოსვლას.

რელიეფი გარკვეულწილად გავლენას ახდენს სითბოსა და ნალექების განაწილებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ნიადაგწარმოქმნასთან. მოვაკებული რელიეფის პირობებში გამოფიტვის ქერქი და ნიადაგი უფრო დიდი სისქისაა, ვიდრე მთის ფერდობებზე. რელიეფი განსაზღვრავს ავტომორფულ და ფიდრომორფულ ნიადაგების ფორმირებას.

აჭარის ჰავა

ჰავა აჭარის ტერიტორიაზე მრავალფეროვნებით და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მისი ანალოგი არ გვხდება მთელ კავკასიაში. ყოველი აღნიშნული განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მზის რადიაციის რეჟიმზე, ჰაერის მასების ცირკულაციური პროცესები, შავი ზღვის გავლენა და სხვა.

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით აჭარა უფრო სამხრეთით მდებარეობს და ამის გამო სითბოს მეტი რაოდენობით ღებულობს, განსაკუთრებით ზამთარში. მზის რადიაციის წლიური ჯამი მთიან რეგიონში 120–130, ხოლო ზღვისპირა რაიონებში 150–155 კ.კალ. სამ²-ს შეადგენს. მზის ნათების ხანგრძლივობა აღმოსავლეთ საქართველოში წელიწადში 2000 საათი და მეტია, ხოლო აჭარის პირობებში 1800–1900 საათი.

აჭარის ჰავაზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვა. ზამთარში ზღვის წყლის

ტემპერატურა 5–7⁰–ით თბილია, ვიდრე მიმდებარე ხმელეთზე ჰაერის ტემპერატურა. ეს როგორც მ. კორძაძის მიუთითებს განპირობებულია ბოსფორის სრუტიდან აჭარის სანაპიროსაკენ შემოსული თბილი დინება.

ქობულეთი–ჩაქვის ქედი წარმოადგენს კლიმატგამყოფს ზღვისპირა მხარისა და შიგამთიან აჭარას შორის. აღნიშნული ქედი დასავლეთიდან აკავებს თბილ და ნოტიო ჰაერის მასებს, ხოლო აღმოსავლეთიდან ზღვისპირა მხარეში არ ატარებს ცივი ჰაერის მასებს.

ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების რაოდენობა ზღვის სანაპიროდან მთების მიმართულებით კლებულობს, მონაცემები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 1

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და ნალექების წლიური ჯამი

#	პუნქტები	სიმაღლე ზღვის დონიდან	საშუალო წლიური ტემპერატურა	ნალექების წლიური ჯამი
1	ჩაქვი	34	14,1	2788
2	ბათუმი	3	14,4	2589
3	ქედა	275	12,7	1652
4	ფურტიო	618	10,9	1034
5	ხულო (ცენტრი)	950	10,1	1299
6	ხულო (პუნქტი-2)	2000	5,0	–

შ. ფალავანდიშვილი და მ. კორძაძის თავიანთ კვლევებით ჰაერის ტემპერატურული რეჟიმისა და დატენიანების ხარისხის მიხედვით შიგამთიან აჭარის ტერიტორიაზე გამოყოფენ შემდეგ კლიმატურ ზონებს:

- შიგამთიანი აჭარის დასავლეთი ნაწილი 600 მ სიმაღლემდე, ნოტიო კლიმატი, თბილი ზამთრით და ცხელი შედარებით მშრალი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1500–1900 მმ;

- 600 მ–დან 1100–1200 მ სიმაღლემდე, ზამთარი ზომიერად თბილია, ზაფხული ზომიერად მშრალი, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000–1400 მმ;

- 1200–დან 1500–1600 მ სიმაღლემდე. ზამთარი ზომიერად ცივი, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0⁰ და –3⁰ –ია. თოვლის საბურველი დევს 3–4 თვეს, ზაფხული ზომიერად თბილი.

- 1600–დან 2100 მ–მდე ზამთარი ცივი და ხანგ

- რძლივი, იანვრის საშუალო ტემპერატურა – 4– 5⁰. ზაფხული გრილია.

მცენარეული საფარი

რელიეფური და კლიმატური პირობების გამო აჭარის მცენარეულობა გამოირჩევა დიდი რაოდენობით და სახეობათა სიმდიდრით. ბოტანიკურ–გეოგრაფიული დარაიონების მიხედვით აკადემიკოსი ვ. პაპუნძე აჭარის ტერიტორიაზე გამოყოფს ბათუმის და ხულოს უბნებს. ბათუმის უბანი მოიცავს ზღვისპირა აჭარას და გურიას, სადაც გავრცელებულია კოლხური ტიპის ტყე. ტყეში დომინატობს წიფელი და წაბლი სხვა ჯიშებთან ერთად. ხულოს ბოტანიკურ–გეოგრაფიული უბანი ტერიტორიულად დიდი არ არის და მოიცავს მდინარე აჭარისწყალის აუზს, რომელიც ხასიათდება ხმელთაშუაზღვისპირა ზოლის

კლიმატური ელემენტებით. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე ბათუმის უბანში. დამახასიათებელია ჭოროხის მუხა, რომელიც ძალიან ახლოსაა ქართულ მუხასთან.

მცენარეთა საფრის ვერტიკალური ზონალობის განაწილებაში დიდი განსხვავებაა ბათუმის და ხულოს უბნებს შორის. სოჭნარ–ნადვნარი ტყის ზონა (1500–1900 მ) და საერთოდ წიწვოვანი ტყე ზღვისპირა რაიონში არ გვხვდება. თბილი კლიმატური პირობების გამო მ. მემიადის გამოკვლევებით წიფლის ტყე ვრცელდება 2100 მეტრამდე ზღვის დონიდან.

მცენარეული საფარი დიდ გავლენას ახდენს ქანების გამოფიტვაზე და ნიადაგ წარმოქმნის პროცესზე. უმაღლესი მცენარეების დასახლებით ქანების გამოფიტვის პროდუქტებზე საფუძველი ეყრება ნივთიერებათა ბიოლოგიურ ბრუნვას და ნიადაგის ორგანული ნაწილის წარმოქმნას. ნიადაგის ორგანული ნაწილი ანუ ჰუმუსი წარმოადგენს ნიადაგის ნაყოფიერების განმსაზღვრელ ფაქტორს. მცენარეთა სახეობების მიხედვით მათ ქვეშ შესაბამისი ტიპის ნიადაგები ფორმირდება

2. აჭარის სათიბ-სადოვრების და მათი ნაყოფიერების ამაღლების შესწავლა.

აჭარის სათიბ-სადოვრების შესწავლისათვის და მათი ნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭირო ხდება იმ აუცილებელი პირობების გათვალისწინება, რომლებიც რეკომენდებული და დამტკიცებულია საზღვარგარეთის მოწინავე აგრარულ ქვეყნებში სათიბ-სადოვრების წარმატებულად გამოყენებისა და მათი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

მოვლის, გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენების პირობებში უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ-სადოვართან შედარებით უფრო მეტ, გაცილებით მაღალი ხარისხისა და ნაკლები თვითღირებულების მწვანე მასის მიღებას. კულტურული სათიბ-სადოვარი ეს არის ბუნებრივი ან ნათესი საკვები სავარგული, რომელიც სათანადო სადოვრული საკვები, ან ბაგაზე მიტანილი ახლად გათიბული მწვანე მასა თითქმის მთლიანად არის დაბალანსებული უმნიშვნელოვანესი საყუათო ნივთიერებებით და ყველაზე უფრო სრულად აკმაყოფილებს ცხოველის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული სადოვრის ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება სადოვრად გამოყენებისას დაახლოებით 3-ჯერ იაფია, ვიდრე თივის საკვები ერთეული და ორჯერ იაფი, ვიდრე ბაგაზე მიცემული მწვანე ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება.

კულტურული სადოვრისა და სათიბის შექმნისათვის გამოიყენება სამი ძირითადი ხერხი:

1. იმ ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესება, რომლებიც ნიადაგობრივი პირობებისა და ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობის მიხედვით შესაძლებელია გარდავქმნათ კულტურულ სადოვრად ან სათიბად კორდის მოსპობისა და ბალახნარევის თესვის გარეშე.

2. ნათესი სადოვრის ან სათიბის შექმნა ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესებით, დაჩქარებული გამდებლობის ან წინამორბედი კულტურების თესვით. ცალკეულ შემთხვევაში, ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობებიდან და სამეურნეო მოთხოვნილებიდან გამომდინარე შესაძლებელია კულტურული სათიბ-სადოვრების შექმნა სახნავ მიწებზე.

3. კულტურული სადოვრის ან სათიბის შესაქმნელად მრავალწლოვანი ბალახების ძველი ნათესების, ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესების გამოყენება.

კულტურული სამოვრის ან სათიბის შექმნის ხერხის შერჩევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული ადგილსამყოფელის ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებით, გავითვალისწინოთ ბუნებრივი საკვები სავარგულის ბალახნარის ტიპი, მოსავლიანობა, აგრეთვე ფერმერის სამეურნეო შესაძლებლობები და მიზნები.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის პირობებში უპირატესობა უნდა მიეცეს ნათესი სარწყავი სათიბების შექმნას, მათ შორის განმარილებულ მიწებზე; კოლხეთის დაბლობზე მეტად პერსპექტიულია ნათესი სათიბების შექმნა მელიორირებულ ფართობებზე.

ეს ცხადია, არ გამორიცხავს ამ ზონებში წვრილი ფერმერებისათვის კულტურული სამოვრის შექმნას, როგორც მეცხოველეობის მეტად იაფი პროდუქციის წარმოების ერთ-ერთ საშუალებას, ანდა ყველა შემთხვევაში ნათესი ბალახნარის კომბინირებულ გამოყენებას სათიბად და სამოვრად.

საქართველოს მთიან რეგიონებში უფრო გამოიყენება კულტურული სათიბ-სამოვრების შექმნის პირველი ორი ხერხი, ხოლო მთავარი კავკასიონის ფერდობებზე კულტურული სამოვრების მოწყობა უმთავრესად მხოლოდ ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებათა ხერხებით არის შესაძლებელი.

ნათესი კულტურული სამოვრის ბალახნარი სასურველია ჩამოყალიბდეს პარკოსანი, მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი მრავალწლოვანი ბალახების ნარევის დათესვით.

თივის დამზადებისათვის აუცილებელია მარცვლოვანი და პარკოსანი ბალახების ნარევის თესვა: აღმოსავლეთ საქართველოში მიზანშეწონილია ლურჯი იონჯას, სათითურას, მდელოს წივანასა და უფხო შვრიელას თესვა; დასავლეთ საქართველოში ლურჯი იონჯას, წითელი სამყურას, კურდღლისფრჩხილას, მაღალი კოინდარის, მდელოს ტიმოთელას, სათითურას; მთიან რეგიონებში – მდელოს (წითელი) სამყურას, ამიერკავკასიის ესპარცეტის, სათითურას, უფხო შვრიელას თესვა.

კულტურული სამოვრის სწორი გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ნაკვეთმორიგეობითი მოვების შემოღება.

საქართველოს ველის ზონის ვაციწვერიან სამოვრების გამოვება ძროხეულის მიერ მიზანშეწონილია დაიწყოს მაშინ, როდესაც ბალახნარის სიმაღლე 10-12 სმ მიაღწევს, ნათესი სარწყავი კულტურული სამოვრის - 15-20 სმ, სუბალპური ზონის მარცვლოვან-ნაირბალახოვან და მარცვლოვან-პარკოსნიან სამოვრების 8-12 სმ, სუბალპური მაღალბალახეულობის - 18-22 სმ, ავშნიანი ნახევრადუდაბნოს გაზაფხულის ეფემერეტუმის - 6-8 სმ, მშრალი ველის კაპუეტიათი, უროიანი და ველის წივანიანი სამოვრების - 8-10 სმ, ალპური ზონის დაბალბალახეულობისა ცხვრის მიერ - 4-6 სმ და ა.შ.

გაზაფხულზე მოვების დაწყების ვადა შესაძლებელია განვსაზღვროთ ინდიკატორი მცენარეების ყვავილობის მიხედვითაც. ასე, სუბალპურ სამოვრებზე კავკასიური ბაიას ყვავილობის დასაწყისი შესაძლოა მივიჩნიოთ ბალახნარის გამოვების დაწყების მომენტად, ხოლო ვაციწვერიან და ველის წივანიან სამოვრებზე კი ტიტების ან გამობერილი გლერძას ყვავილობა.

საქართველოს ნახევრადუდაბნოს და ველის ზონის, გაზაფხულის და შემოდგომის ეფემერეტუმი 2-3 სმ; ზამთრის მანძილზე ავშნის 3-6 სმ, წითელწვერასი 10 სმ, სხვა ნახევრადბუჩქებისა (ხურხუმო, ჩარანი) – ძირითადად ერთწლიანი ყლორტის გამოვება ხდება;

ველის ზონის ვაციწვერიანი, ველის წივანიანი, უროიანი და სხვა მსგავსი დაჯგუფების, აგრეთვე მთის შუა ზონის მთა-მდელოს, მთა-ველის სამოვრებისათვის - 4-6 სმ;

სუბალპური და ალპური ზონის უმეტესი ტიპის ნაირბალახოვან-მარცვლოვანი სამოვრებისათვის 3-6 სმ;

მთის შუა და სუბალპური ზონის ფართოფოთლოვანი დაჯგუფებების და მაღალ-ბალახეულობისათვის 6-7 სმ; ნათესი მრავალწლოვანი ბალახებისათვის 6-7 სმ, სარგებლობის ბოლო ორ წელს კი 2-3 სმ; ბალახნარში იონჯას საკმაო რაოდენობით მონაწილეობისას გამოვების სიმაღლე არ უნდა იყოს 8-10 სმ-ზე დაბალი.

სეზონის მანძილზე საძოვრის გამოყენების ოპტიმალური ჯერადობა პირველ და მეორე გამოვებას შორის 20-25 დღეს, მეორე და მესამე გამოვებას შორის 35-40 დღეს შეადგენს. ნათესი სარწყავი საძოვრის ბალახნარის გამოვებას შორის დასვენების პერიოდი მნიშვნელოვნად მცირეა და ციკლების მიხედვით 14-25 დღეს არ აღემატება.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ნათესი კულტურული საძოვარი შესაძლებელია გაიძოვოს 5-8-ჯერ, ტყისა და ტყე-ველის ბუნებრივი საძოვრები 2-4-ჯერ, მთის შუა ზონაში 3-4-ჯერ, სუბალპებში – 2-3-ჯერ, ალპებში 1-2-ჯერ.

აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრად უდაბნოს და მშრალი ველის ზამთრის საძოვრებზე ზამთრის საკვების ძირითადი მარაგის, უმთავრესად ნახევრადბუჩქების (ავშანი, ხურხუმი, ჩარანი, წითელწვერა და სხვ.) ერთწლიანი ყლორტების, უროს, ვაციწვერას და ზოგიერთი სხვა ბალახის ხმელი მასის გამოყენება ჩვეულებრივ ერთხელ ხდება, ხოლო ეფემერეტუმი, რომლის განვითარება ნალექების მოსვლასთან არის დაკავშირებული, ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით გაიძოვება ხოლმე.

ველისა და მთის ქვედა ზონის ბუნებრივი საკვები სავარგულები, ძირითადად ვაციწვერიანი, უროიანი და ველის წივანიანი სხვადასხვა დაჯგუფებები, ზაფხულის მანძილზე, წლის კლიმატური პირობებისაგან გამომდინარე საძოვრად გამოიყენება 1-3-ჯერ.

საძოვრის დატვირთვის დასადგენად შესაძლებელია ვისარგებლოთ შემდეგი საორიენტაციო მონაცემებით:

ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს საძოვრული სეზონის განმავლობაში (საშუალო 150-180 დღე) ესაჭიროება ნათესი ან გაკულტურებულ ბუნებრივ ურწყავ საძოვარზე, დასავლეთ საქართველოში დაბლობ ზონაში 0,2-0,3, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავ კულტურულ საძოვარზე 0,25-0,35 ჰა, მთის შუა ზონის ურწყავ პირობებში 0,5-0,7 ჰა, სუბალპურ საძოვრებზე 0,5-0,6 ჰა, ალპებში 0,9-1,3 ჰა, ნახევრად უდაბნოს ზამთრის საძოვრებზე მცენარეულობის ტიპის მიხედვით 2,0-4,0 ჰა, ვაციწვერიან-ველის წივანიან საძოვრებზე 1,0-1,5 ჰა და ა.შ.

სამეცნიერო დაწესებულების მიერ რეკომენდირებულია (საორიენტაციო) ტყე-ველის ზონაში გამოიყოს ერთი სული ზრდასრული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის 0,4-0,5 ჰა ურწყავი საძოვარი, მოზარდისათვის - 0,2, ცხვრისათვის - 0,07-0,08, ცხენისათვის - 0,25-0,3 ჰა.

ნორმალური ზრდა - განვითარების ერთ ფურს, პროდუქტიულობისაგან დამოკიდებით დღე-ღამეში საშუალოდ ესაჭიროება 40-75 კგ მწვანე საკვები, 1 წელზე უხნეს დეკეულს ან მოზვერს 30-40 კგ, ერთ წლამდე ასაკისას - 15-25 კგ, ცხვარს 6-7 კგ, ბატკანს 2-3 კგ მწვანე მასა საშუალოდ 72-78% საერთო წყლის შემცველობით.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის საძოვრებზე ნახევრად უდაბნოსა და მშრალი ველის გვალვიან პირობებში, საკვების სიმშრალის გამო, ცხვარს გაცილებით ნაკლები (2,5-5,0 კგ) საძოვრული ბალახი ესაჭიროება.

კულტურული საძოვრებიდან წლების განმავლობაში მყარი და მაღალი მოსავლის მისაღებად აუცილებელია მოვლის ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა სასუქების შეტანა, გაუძოვარი ბალახების წათიბვა, ნაკელის მოსწორება, სარეველების, მღრნელებისა და ჰელმინთების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

გაუმოვარი ბალახების წათიბვა უნდა მოხდეს ზაფხულის განმავლობაში 1-2-ჯერ, არა უმეტეს 7-10 სმ სიმაღლეზე, ჩვეულებრივი სათიბი მანქანით. ნაკელის მოსწორება ხდება მე-2 ან მე-3 გამოვების შემდეგ და სეზონის ბოლოს ფარცხით. მეტად მნიშვნელოვანია კოლბოხების დაშლა, რომელიც შესაძლებელია ჩატარდეს ასევე ფარცხის გამოყენებით, ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით.

სათიბ - საძოვრების არსებული მდგომარეობა აჭარაში. წვნიან საკვებთა ჯგუფიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საძოვარს, რომლის სწორი გამოყენება მყარი საკვები ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საძოვარი არის ბუნებრივი და ხელოვნური. აჭარაში უფრო მეტად გამოყენებული არის ბუნებრივი საძოვარი, რომელთა ფართობი 37759 ჰექტარია. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს აქვთ 27386 ჰა საძოვარი, რაც მოიცავს მაღალმთიან/ზაფხულის საძოვრებს. ქედას, ხელვაჩაურსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ 10373 ჰა დაბალი ზონის საზაფხულო საძოვრები.

პირუტყვის 81% ხულოდან და 71% შუახევიდან გადადის თავიანთი მუნიციპალიტეტების ზაფხულის საძოვრებზე (ბეშუმში, ალმე, დიდაჭარა, თეთრობი, ზორტიყელი, სარიჩაირი, ჩირუხი, საბერწია, სანალია, ღომა, მერიაკელი, კარტიანი, ნაცარა), პირუტყვის 50% ქედის მუნიციპალიტეტიდან გადადის შუახევის და ხულოს/ზაფხულის საძოვრებზე (კესავრი, სარიჩაირი), ხელვაჩაურიდან 20 % გადადის ბეშუმში და ადიგენში. ქობულეთის პირუტყვის 8 % გადაინაცვლებს ბახმაროში.

საძოვრები არ არის რეგისტრირებული და არ არსებობს საძოვრების მართვის სისტემა. საძოვრების მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მორიგეობით მოვებას. ნაკვეთმორიგეობით მოვება სადა მოვების ტექნიკის დაცვის დროს თითოეულ ჰექტარს გაცილებით მეტი პირუტყვის გამოკვება შეუძლია, ვიდრე თავისუფალი მიწებით მოვებას. მიწებითი მოვების საძოვარი უყარათოდ გამოიყენება, ბალახის საკმაოდ დიდი ნაწილი ფეხქვეშ ითელება და საძოვრის სრულად, თანმიმდევრულად გამოყენება შეუძლებელია.

საძოვრეობის მორიგეობით გამოყენება 30-35%-მდე ადიდება მწვანე მასის მოსავალს, 25%-მდე წველაობას და 20-25 %-მდე ცხოველთა განსაძოვრის და ტვირთვის ნორმას.

საძოვრებისა და სათიბების მოსავლიანობის გაზრდაში უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს ადგილობრივი და მინერალური სასუქების გამოყენება, სადაც შესაძლებელია საძოვრების გადახვნა, ბელტების დაშლა- დამუშავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი მდელო-საძოვრული ბალახის თესვა, საჭიროებისამებრ მორწყვა და სხვა, რაც არ ხდება ნაწილობრივ იმის გამო, რომ არის დაბალი ცნობიერება და უნდობლობა საძოვრებიდან ეკონომიკური სარგებლის შესახებ.

3. აჭარის რეგიონში ნალექების ინტენსივობის რაოდენობის განსაზღვრა, კლიმატისა და ჰავის გავლენა საძოვარ-სავარგულების ნაყოფიერებაზე.

აჭარის ზღვისპირეთში სუბტროპიკული ჰავაა. აქ თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. შავი ზღვის სანაპირო ზოლი ჭარბტენიანია, ვიდრე აჭარის მაღალმთიანი რაიონები. მაღალმთიანი რაიონები დიდთოვლიანობით გამოირჩევა, რომელიც ზოგჯერ რამოდენიმე მეტრს აღწევს. სწორედ ამიტომ ზაფხულში ტემპერატურა უფრო დაბალია $22 - 24^{\circ} C$ დაბლობში და $17 - 21^{\circ} C$ მაღლობში. ხოლო, ზამთრში ბათუმში ტემპერატურა $4 - 6^{\circ} C$, როცა მაღალმთიან რაიონებში $3 - 2^{\circ} C$ აღწევს.

ბათუმის ბუნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავითაა გამორჩეული. იცის თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა $15^{\circ} C$, იანვარში - $7^{\circ} C$, აგვისტოში - $22^{\circ} C$. ნალექები - 2.560 მმ წელიწადში. შეფარდებითი სინოტივე - 81%. ხშირია კოკისპირული წვიმა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება.

ზღვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ნაპირთან 17⁰ -ია. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ზღვის ბრიზები, რის გამოც სიცხე ნაკლებად შეიგრძნობა. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნებრივი ტბა, რომელიც ამჟამად ბათუმის 6 მაისის პარკის ნაწილია. ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

აჭარისათვის დამახასიათებელია სუბტროპიკული ჰავა, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით, თუმცა ბათუმის ხშირი სტუმარია კოკისპირული წვიმა. შავი ზღვის სანაპირო უფრო ჭარბტენიანია, ვიდრე აჭარის მაღალმთიანი რაიონები, რომლებიც უხვ თოვლიანობით გამოირჩევა, თუმცა ბათუმში იშვიათად თოვს და თოვლიც მალევე დნება. ზაფხულში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დაბლობში 22-24 C, ხოლო მაღალმთიანეთში 17-21 C შეადგენს, ხოლო ზამთარში ბათუმში ტემპერატურა 4-6 C, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 3-2 C აღწევს. სწორედ აჭარაშია ევროპის ნალექების პოლუსი - მთა მტირალა, სადაც წლიურად 4000 მმ-მდე ნალექი მოდის. აჭარის კლიმატი იმდენად უნიკალურია, რომ ერთ სივრცეში, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში თავმოყრილია სხვადასხვა კლიმატური და ლანდშაფტური ზონის მცენარეთა სახეობები ღმოსავლეთ აზიისა და ჰიმალაის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის, სამხრეთ და რდილოეთ ამერიკის, მექსიკის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ამიერკავკასიიდან.

ჰავა აჭარის ტერიტორიაზე მრავალფეროვნებით და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მისი ანალოგი არ გვხდება მთელ კავკასიაში. ყოველი აღნიშნული განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: გეოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მზის რადიაციის რეჟიმზე, ჰაერის მასების ცირკულაციური პროცესები, შავი ზღვის გავლენა და სხვა.

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით აჭარა უფრო სამხრეთით მდებარეობს და ამის გამო სითბოს მეტი რაოდენობით ღებულობს, განსაკუთრებით ზამთარში. მზის რადიაციის წლიური ჯამი მთიან რეგიონში 120-130, ხოლო ზღვისპირა რაიონებში 150-155 კ.კალ. სამ²-ს შეადგენს. მზის ნათების ხანგრძლივობა აღმოსავლეთ საქართველოში წელიწადში 2000 საათი და მეტია, ხოლო აჭარის პირობებში 1800-1900 საათი.

აჭარის ჰავაზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვა. ზამთარში ზღვის წყლის ტემპერატურა 5-7⁰-ით თბილია, ვიდრე მიმდებარე ხმელეთზე ჰაერის ტემპერატურა. ეს როგორც მ. კორმახია მიუთითებს განპირობებულია ბოსფორის სრუტიდან აჭარის სანაპიროსაკენ შემოსული თბილი დინება.

ქობულეთი-ჩაქვის ქედი წარმოადგენს კლიმატგამყოფს ზღვისპირა მხარისა და შიგამთიან აჭარას შორის. აღნიშნული ქედი დასავლეთიდან აკავებს თბილ და ნოტიო ჰაერის მასებს, ხოლო აღმოსავლეთიდან ზღვისპირა მხარეში არ ატარებს ცივი ჰაერის მასებს.

ჰაერის ტემპერატურისა და ნალექების რაოდენობა ზღვის სანაპიროდან მთების მიმართულებით კლებულობს, მონაცემები მოცემულია ცხრილში.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და ნალექების წლიური ჯამი

#	პუნქტები	სიმაღლე ზღვის დონიდან	საშუალო წლიური ტემპერატურა	ნალექების წლიური ჯამი
1	ჩაქვი	34	14,1	2788
2	ბათუმი	3	14,4	2589
3	ქედა	275	12,7	1652
4	ფურტო	618	10,9	1034
5	ხულო (ცენტრი)	950	10,1	1299
6	ხულო (პუნქტი-2)	2000	5,0	1342

შ. ფალავანდიშვილი და მ. კორმახია თავიანთ კვლევებით ჰაერის ტემპერატურული რეჟიმისა და დატენიანების ხარისხის მიხედვით შიგამთიან აჭარის ტერიტორიაზე გამოყოფენ შემდეგ კლიმატურ ზონებს:

- შიგამთიანი აჭარის დასავლეთი ნაწილი 600 მ სიმაღლემდე, ნოტიო კლიმატი, თბილი ზამთრით და ცხელი შედარებით მშრალი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1500–1900 მმ;

- 600 მ–დან 1100–1200 მ სიმაღლემდე, ზამთარი ზომიერად თბილია, ზაფხული ზომიერად მშრალი, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000–1400 მმ;

- 1200–დან 1500–1600 მ სიმაღლემდე. ზამთარი ზომიერად ცივი, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0° და -3° C –ია. თოვლის საბურველი დევს 3–4 თვეს, ზაფხული ზომიერად თბილი.

- 1600–დან 2100 მ–მდე ზამთარი ცივი და ხანგრძლივი, იანვრის საშუალო ტემპერატურა $-4-5^{\circ}$ C . ზაფხული გრილია.

საქართველო მზის რადიაციის რეჟიმით სუბტროპიკულ ზონაშია. ატმოსფერული ცირკულაციის ხასიათის და მასთან დაკავშირებული ამინდის პირობების მიხედვით მის ტერიტორიას ყოფენ 2 ცირკულაციურ ჰავის ოლქად და ერთ ქვეოლქად. ესენია:

1. ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ჰავის ოლქი

2. სუბტროპიკული კონტინენტური ჰავიდან ზღვის ჰავაზე გარდამავალი ოლქი (და ამ ოლქში შემავალი წინა აზიის მთიანეთის მშრალი სუბტროპიკული ჰავიდან ზომიერად ნოტიო ჰავაზე გარდამავალი ქვეოლქი).

პირველი ოლქი მოიცავს დასავლეთ საქართველოს და ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის მკაფიოდ გამოხატული თვისებებით. დაბალი ნაწილი ძირითადად გამოირჩევა რბილი ზამთრით, შედარებით გრილი ზაფხულით, ტემპერატურის ზომიერი ამპლიტუდით, უხვი ნალექებით და მაღალი სინოტივით. მეორე ოლქი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ახასიათებს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. აქ ზამთარი უფრო ცივია, ვიდრე პირველ ოლქში, მოდის შედარებით მცირე ნალექები. ამ ოლქის ქვეოლქი მოიცავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ცენტრალურ სტეპურ ნაწილს. აქ ჰავა უფრო კონტინენტურია, ზაფხული - ცხელი, ზამთარი ცივი და ატმოსფერული ნალექები რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე იმავე სიმაღლეზე მდებარე საქართველოს სხვა ადგილებში. რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიურ ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ დიდ სხვადასხვაობას იწვევს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა.

აჭარის რეგიონი განეკუთვნება კოლხეთის დაბლობის კლიმატურ ზონას, იგი ხასიათდება ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. შავი ზღვის გავლენას ყველაზე მეტად ეს რაიონი განიცდის, ამიტომ აქ არ იცის ცივი ზამთარი. ზაფხულიც შედარებით გრილია, ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ მხარეში კავკასიონის გავლენით პირდაპირ ვერ შემოდის ჩრდილოეთ ცივი ჰაერის მასები.

გ. მელაძე ჩატარებული კვლევების საფუძველზე ადგენს, რომ სუბტროპიკული კულტურების ზრდა განვითარებისათვის ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყოველ წელიწადში უნდა შეადგენდეს 3200⁰ -ზე მეტს,

ცხრილ. 2-ში მოყვანილი მონაცემები აღებულია შ. ფალავანდიშვილის მიხედვით და წარმოადგენს აჭარაში ადრე არსებული მეტეოსადგუების მიერ დაფიქსირებულ წლიურ საშუალო ტემპერატურულ მაჩვენებლებს.

ცხრილი 2

#	ადგილ მდებარეობა	სიმაღლე ზ.დ.	წლიური საშ. ტემპერატურა	წლის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი
1	ცეცხლაური	82	13,9	4121
2	ალამბარი	192	14,0	3991
3	ჩაქვი	30	14,1	4228
4	მახინჯაური	15	13,8	4126
5	ახალშენი	150	13,5	4303
6	ჭარნალი	310	14,1	4047
7	ჩაქვისთავი	315	12,8	3754

საშუალო წლიური ტემპერატურა 13-15 °C, იანვრის 2-7 °C, ივლის-აგვისტოს 22-23 °C, აბსოლუტურ მინიმალური ტემპერატურა -9-27 °C, მაქსიმალური 40-43 °C. სავეგეტაციო პერიოდში 10 °C-ზე მეტ ტემპერატურათა ჯამი 4200-4500 °C, რაც წლის განმავლობაში რამდენიმე მოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა ზამთარში გაბატონებულია აღმოსავლეთის, ზაფხულში - დასავლეთის ქარი, კარგად არის განვითარებული ბრიზები და ფიონები.

პირველი ოლქი მოიცავს დასავლეთ საქართველოს და ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის მკაფიოდ გამოხატული თვისებებით. დაბალი ნაწილი ძირითადად გამოირჩევა რბილი ზამთრით, შედარებით გრილი ზაფხულით, ტემპერატურის ზომიერი ამპლიტუდით, უხვი ნალექებით და მაღალი სინოტივით. მეორე ოლქი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ახასიათებს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. აქ ზამთარი უფრო ცივია, ვიდრე პირველ ოლქში, მოდის შედარებით მცირე ნალექები. ამ ოლქის ქვეოლქი მოიცავს საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ცენტრალურ სტეპურ ნაწილს. აქ ჰავა უფრო კონტინენტურია, ზაფხული - ცხელი, ზამთარი ცივი და ატმოსფერული ნალექები რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე იმავე სიმაღლეზე მდებარე საქართველოს სხვა ადგილებში. რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიურ ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ დიდ სხვადასხვაობას იწვევს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა.

აჭარის რეგიონი განეკუთვნება კოლხეთის დაბლობის კლიმატურ ზონას, იგი ხასიათდება ჭარბად ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. შავი ზღვის გავლენას ყველაზე მეტად ეს რაიონი განიცდის, ამიტომ აქ არ იცის ცივი ზამთარი. ზაფხულიც შედარებით გრილია,

ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ მხარეში კავკასიონის გავლენით პირდაპირ ვერ შემოდის ჩრდილოეთ ცივი ჰაერის მასები.

გ. მელაძე ჩატარებული კვლევების საფუძველზე ადგენს, რომ სუბტროპიკული კულტურების ზრდა განვითარებისათვის ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ყოველ წელიწადში უნდა შეადგენდეს 3200°C -ზე მეტს,

საშუალო წლიური ტემპერატურა $13-15^{\circ}\text{C}$, იანვრის $2-7^{\circ}\text{C}$, ივლის-აგვისტოს $22-23^{\circ}\text{C}$, აბსოლუტურ მინიმალური ტემპერატურა $-9-27^{\circ}\text{C}$, მაქსიმალური $40-43^{\circ}\text{C}$. სავეგეტაციო პერიოდში 10°C -ზე მეტ ტემპერატურათა ჯამი $4200-4500^{\circ}\text{C}$, რაც წლის განმავლობაში რამდენიმე მოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ზამთარში გაბატონებულია აღმოსავლეთის, ზაფხულში - დასავლეთის ქარი, კარგად არის განვითარებული ბრიზები და ფიონები.

ნალექები. ჰაერის ტემპერატურის შემდეგ კლიმატის მთავარ ელემენტს წარმოადგენს ატმოსფერული ნალექები. მათგან მნიშვნელოვანია ვერტიკალური ნალექები, რომელიც გვევლინება დედამიწაზე წვიმის, თოვლის, ხორხოშელას. სეტყვის და სხვათა სახით ორთქლის კონდენსაციით დედამიწის ზედაპირზე (ნიადაგზე და მცენარეთა საფარში) ნამის, თრთვილის ჭირხლის, სველი და მყარი ნაფრქვევის, ლიპ-ყინულის და სხვათა სახით.

აჭარის ზღვისპირა მხარე მთელ კავკასიაში ხასიათდება უხვი ატმოსფერული ნალექებით, რომელიც გამოწვეულია გაბატონებული დასავლეთის ქარებით, რელიეფით და შავი ზღვის სიახლოვით აჭარა-გურიის ქედის განტოტება ქობულეთ-ჩაქვის ქედი ზღვის სანაპიროს არმიის მსგავსად შემორკალავს აღმოსავლეთიდან აღნიშნული ქედის პერპენდიკულარულადაა მიმართული შავი ზღვიდან დასავლეთის გაბატონებული ნოტიო ჰაერის მიმართ. ამიტომაც, რომ სანაპიროსთან ახლოს მთების გავლენით დაბლობზე მეტი ნალექები მოდის, ვიდრე სადაც მთები შორსაა სანაპიროდან. ასევე ნალექების რაოდენობა მეტია სიმაღლის მატებასთან ერთად, განსაკუთრებით დასავლეთის ფერდობზე, ვიდრე აღმოსავლეთ ფერდობზე.

წელიწადის სეზონების მიხედვით ყველაზე მეტი ნალექები მოდის შემოდგომაზე, მაქსიმუმია სექტემბერში სექტემბერში 22 მეტეოროლოგიური სადგურიდან მხოლოდ მახოში მოდის 297 მმ ნალექი და ჯიხანჯურში 286 მმ, დანარჩენ დაკვირვების სადგურზე ნალექების მოსვლის რაოდენობა 306- მმ-ს შეადგენს, ხოლო მტირალაზე 495 მმ-ია. მცირე რაოდენობის ნალექები მოდის გაზაფხულზე, განსაკუთრებით მარტში და მისი რაოდენობა 80-118 შორის მერყეობს ნალექების მცირე რაოდენობა მოდის აპრილში (105-133 მმ), მაგრამ მეტი, მაისთან შედარებით. ზაფხულის თვეებს შორის შედარებით მცირე რაოდენობის ნალექები მოდის ივნისში,

აპრილ-მაისში მცირე ატმოსფერული ნალექების მოსვლის შედეგად ნიადაგში იქმნება ტენის გარკვეული დეფიციტი და ამ პერიოდს ემთხვევა ციტრუსების, ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების ყვავილობისა და ვეგეტაციის დაწყება მაღალი ტემპერატურის გამო ადგილი აქვს ნიადაგის და მცენარეების ზედაპირიდან ტენის ინტენსიურ აორთქლებას ყოველივე აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ტენის რეჟიმზე.

წელიწადში აჭარაში 1400-3000 მმ ნალექი მოდის. ნალექიანია უმთავრესად ზამთარი და შემოდგომა. თოვლის მდგრადი საფარი იშვიათად ჩნდება. ზღვის სიახლოვისა და ხშირი დასავლეთის ქარების გავლენით მთელი წლის განმავლობაში დიდია ღრუბლიანობა და ტენიანობა, დანესტიანების კოეფიციენტი 4,0 სჭარბობს, შეფარდებითი სინოტივე 70-80 % შეადგენს. ელჭექი და სეტყვა მთელი წლის განმავლობაში იცის.

აჭარაში ნალექების წლიური რაოდენობა მმ-ში

#	ადგილ მდებარეობა	სიმაღლე ზ.დ.	XI –III - თვეები	IV-X - თვეები	წლიური
1	ცეცხლაური	82	977	1253	2230
2	ალამბარი	192	1003	1287	2290
3	ჩაქვი	30	1182	1439	2621
4	მახინჯაური	15	1176	1434	2610
5	ახალშენი	150	1177	1423	2600
6	ჭარნალი	310	1206	1459	2665
7	ჩაქვისთავი	315	1164	1413	2577

აჭარის ტერიტორიის სიმაღლის მიუხედავად კლიმატი გარკვეული მრავალფეროვნებით ხასიათდება. კლიმატის საფუძველს წარმოადგენს ამინდის მრავალწლიანი რეჟიმი მოცემულ მხარეში. ამინდი ცვალებადია, ხოლო კლიმატი შედარებით უცვლელია.

ამინდი დამოკიდებულია ატმოსფეროს ქვედა ფენაში მიმდინარე პროცესებზე, რომელსაც განსაზღვრავს მეტეოლოგიური პროცესები, როგორიცაა: მზის რადიაცია, დედამიწის და ატმოსფეროს სითბური გამოსხივება, ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურა. ატმოსფერული პროცესები, ქარი, აორთქლება, ნალექი და სხვა. აღნიშნული მეტეოლოგიური ელემენტები განსხვავებული მნიშვნელობისაა და მასთან დაკავშირებული მოვლენები განსაზღვრავენ ამა თუ იმ ტიპის ამინდის ფორმებს, რომელიც წარმოადგენს კლიმატის საფუძველს.

აჭარის კლიმატის თავისებურებანი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატი განპირობებულია შემდეგი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორებით: მზის რედაქციის რეჟიმით, ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციური პროცესებით, რელიეფის ზედაპირის თავისებურებანით, შავი ზღვის გავლენით. ანთროპოგენური ფაქტორის სამეურნეო საქმიანობით და სხვა. აჭარის ტერიტორიაზე სამხრეთული მდებარეობა საქართველოს სხვა რეგიონებთან განსხვავებით დიდ გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებასთან. იგი ყველაზე მთავარი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორია.

აჭარის ტერიტორიის სიმაღლის გამო მზის ნათების ხანგრძლივობა დიდად არ იცვლება ზღვისპირა მხარესა და შიგა აჭარას შორის მზის ნათების ხანგრძლივობას ძირითადად განსაზღვრავს ღრუბლიანობის რაოდენობა. და საერთოდ ღრუბლიანობით საქართველოში გამოირჩევა ზღვის სანაპირო და წელიწადში 64% შეადგენს. ამის გამო მზის ნათების ხანგრძლივობა 1900-2000 საათია წელიწადში. მზე ზაფხულობით ანათებს 8-9 საათს, ზამთრის თვეებში კი 3.5-4.0 საათს. დედამიწა მზიდან დაშორებულია 150,000,000 კმ-ით და მისგან დედამიწაზე მოხვედრილი ყველა სხივი ერთმანეთის პარალელურია, რომელიც ცნობილია „პირდაპირი რადიაციის“ სახელწოდებით. სხივების ნაწილი სხვადასხვა ნაწილაკების ზეგავლენით ატმოსფეროში გაიბნევა და დედამიწაზე გვევლინება გაბნეული რადიაციის სახით. პირდაპირი და გაბნეული რადიაციის ჯამი ჯამური რადიაციაა, რომელსაც ზოგჯერ სუმატულ რადიაციასაც უწოდებენ. უმთავრესად დასავლეთიდან იჭრება, როდესაც აზორის ანტიციკლონიდან გამოყოფილი მაღალი წნევის ბირთვები მოძრაობენ აღმოსავლეთის მიმართულებით შუა აზიისაკენ, რადგან აქ წნევა დაბალია.

აღნიშნული ჰაერის მასები ნოტიოა შავი ზღვის ზედაპირზე გავლისას უფრო ტენიანდება და გარკვეულად თბება. რომლის დაბრკოლებას წარმოადგენს ქობულეთ-ჩაქვის ქედი. ამის გამო ქედის დასავლეთი კალთები მეტ სითბოს და ტენს ღებულობს, ვიდრე აღმოსავლეთი კალთები ანუ შიგა აჭარა.

ჩრდილოეთიდან წამოსული ცივი ჰაერის მასები დასავლეთ საქართველოში ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან იჭრება, მაგრამ მისი გავლენა ამინდის მსვლელობაზე აჭარის პირობებში საგრძნობი არ არის.

შიგა აჭარა სამი მხრიდან ჩაკეტილია მაღალი მთებით, ხოლო დასავლეთითაა საშუალო სიმაღლის მთები (ქობულეთი-ჩაქვის). ამიტომ არსიანის ქედი შიგა აჭარაში აღმოსავლეთიდან - წლის ცივ პერიოდში ხელს უშლის ცივი ჰაერის მასების შემოჭრას. რის გამო მესხეთი ზამთარში გაცილებით ცივია, ვიდრე შიგა აჭარა. მასების შემოჭრას რის გამო მესხეთი ზამთარში გაცილებით ცივია, ვიდრე შიგა აჭარა. სამხრეთიდან ტროპიკული თბილი ჰაერის მასების შემოსვლა აჭარის ტერიტორიაზე წლის ყველა სეზონზე იწვევს ჰაერის ტემპერატურის მომატებას. ზამთარში ტროპიკულ ჰაერის მასებს მოაქვს სითბო და ჰაერის ტემპერატურა იზრდება, მოვბში თოვლი ინტენსიური დნობას იწყებს. ასეთი პროცესი აღინიშნება თებერვლის თვეში და მოსახლეობა მოკლე საფხულს უწოდებს. ზაფხულში ტროპიკული ჰაერის მასების შემოჭრის დროს ჰაერის ტემპერატურა ზღვის სანაპირო რაიონში 430 (ჰარნალი) აღწევს. ხოლო შიგა აჭარაში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა ზაფხულში ქედაში (256 მეტრი ზ.დ.) 42 გრადუსია, ფურტიოში (565 მეტრი ზ.დ.) 41 -ია, ხულოში (923 მეტრი ზ.დ.) 390-ია.

აჭარა-გურიის და სამხრეთიდან შავშეთის შიგა აჭარა ზღვისპირა მხარეს უკავშირდება აჭარისწყლისა და ჭოროხის ძალზე ვიწრო გამოსასვლელით. მათ შორის არსებული საშუალო სიმაღლის ქობულეთ-ჩაქვის ქედი წარმოადგენს კლიმატგამყოფს.

შიგა აჭარის პირობებში და განსაკუთრებით ზღვისპირა აჭარაში დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობები მეტ-ნაკლებად განიცდიან შავი ზღვის თბილი და ტენიანი ჰაერის მასების გავლენას. მასების V შემოჭრა ძლიერია და მთელ საქართველოს მოიცავს ამ დროს ჰავის ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროზე ნულს. ქვევით ეცემა.

რელიეფის ზედაპირის თავისებურებანი ჰავის მრავალფე როვნების ერთ-ერთი ფაქტორია აჭარის ტერიტორიაზე. რელიეფის თავისებურებაში იგულისხმება ადგილის სიმაღლის სხვადასხვაობა ზღვის დონიდან, რელიეფის ძლიერი დანაწევრება მდინარეების და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით და სხვა. აღნიშნულის გამო განსხვავებულ მზის სხივოსნურ ენერგიას ღებულობენ მთის მწვერვალი, ფერდობები და მდინარეთა ხეობები.

შიგა აჭარას სამი მხრიდან აკრავს მაღალი მთები. როგორცაა: აღმოსავლეთიდან არსიანი ქედი, ჩრდილოეთიდან აჭარა-გურიის და სამხრეთიდან შავშეთის შიგა აჭარა ზღვისპირა მხარეს უკავშირდება აჭარისწყლისა და ჭოროხის ძალზე ვიწროგამოსასვლელით. მათ შორის არსებული საშუალო სიმაღლის ქობულეთ-ჩაქვის ქედი წარმოადგენს კლიმატგამყოფს. შიგა აჭარის პირობებში და განსაკუთრებით ზღვისპირა აჭარაში დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობები მეტ-ნაკლებად განიცდიან შავი ზღვის თბილი და ტენიანი ჰაერის მასების გავლენას.

აჭარის ზღვისპირა მხარე აღმოსავლეთიდან ცივი ჰაერისაგან დაცულია ქობულეთ-ჩაქვის ქედით, რაც აძლიერებს შავი ზღვის გავლენას. ასევე თბილია ზამთარი, განსაკუთრებით გორაკ-ბორცვებზე, ვიდრე ქობულეთის, ჩაქვის და კახაბრის დაბლობებზე, უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 300 დღეს აღწევს და 260 დღეზე ნაკლები არასდროს არ არის.

ჰაერის სინოტივე. აჭარის ზღვისპირა მხარეში აღინიშნება ჰაერის დიდი სინოტივე. საშუალო წლიური აბსოლუტური სინოტივე - 12,2-13,9 მმ შორის მერყეობს. მაღალი

სინოტივე აღინიშნება ივლის-აგვისტოში 20-22,9 მზ, მინიმუმი თებერვალში 6,4 მზ. დღე-ღამის განმავლობაში მაღალი აბსოლიუტრი სინოტივე აღინიშნება 13 საათზე საკმაოდ მაღალია ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე და იგი 78- 81% შეადგენს.

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დღე-ღამური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მაღალ ტენიანობას ადგილი აქვს ღამის პირველ და დილის შვიდ საათებს შორის შედარებით ნაკლებია შუადღის 13 საათზე, ხოლო 19 საათიდან ტენიანობა მატულობს.

აჭარის ტერიტორიაზე შეიძლება გამოვყოთ ჰავის შემდეგი ძირითადი ტიპები.

1. ჭარბად ნოტიო ჰავა, თბილი, რბილი ზამთრით, ხანგრძლივი და საკმაოდ ცხელი ზაფხულით. მოიცავს ზღვისპირა ვაკე-დაბლობებს და ბორცვიან ზონას 200-300 მეტრამდე ზღვის დონიდან.

2. ნოტიო ჰავა, თბილი ზამთრით, ხანგრძლივი და არა ცხელი ზაფხულით. მოიცავს ზღვისპირა მხარის მთისწინებს 300-დან 500-700 მეტრამდე ზღვის დონიდან

3. ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. მოიცავს ზღვისპირა მხარის მთა-ტყის ზონას 500-700 მეტრიდან 1700-1800 მეტრს. ზღვის დონიდან.

4. ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად თბილი ზამთრით და ცხელი, შედარებით მშრალი ზაფხულით, ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი. მოიცავს აჭარის მთიან ქვაბულს 600 მეტრამდე ზღვის დონიდან.

5. ზამთარი ზომიერად თბილი, ზაფხული ზომიერად მშრალი, თბილი და ხანგრძლივი. მოიცავს შიგა აჭარის მთა- ტყის ქვედა ზონას 600-1200 მეტრს ზღვის დონიდან.

6. საკმაოდ ნოტიო ჰავა, ზამთარი ზომიერად ცივი დაზაფხული ზომიერად თბილი, მოიცავს შიგა აჭარის მთა-ტყის ზედა ზონას 1200-1700-1800 მეტრ სიმაღლეს ზღვის დონიდან

7. ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი ხანგრძლივი ზამთრით და გრილი ზაფხულით. მოიცავს ზღვისპირა აჭარას და შიგა აჭარის სუბალპურ ზონას და ალპურ მდელოებს აჭარა-გურიის, არსიანის და შავშეთის ქედებზე.

4. რეგიონში გავრცელებული ჯიშები

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყოფა სარძეო, სახორცე და კომბინირებული მიმართულების ჯიშებად. აჭარაში მეცხოველეობა ადგილობრივი სარძეო და კომბინირებული მიმართულების ჯიშის პირუტყვითაა წარმოდგენილი, რომელიც საკმაოდ დაკნინებულია, რაც წარსულში გამოწვეული იყო როგორც პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და ხელოვნური განაყოფიერების სისტემის, ასევე ხალხური სელექციის მოშლით. აჭარის მოსახლეობა ადგილობრივთან ერთად ძველთაგანვე უპირატესობას ანიჭებდა მეგრულ ე.წ. კვარაცხელიას და კავკასიური წაბლა ჯიშის საქონელსაც. ხალხური სელექციით მიღებული მათი ნაჯვარი უკეთესი იყო და თავადაც გაუმჯობესებულ თაობებსი ძლეოდა.

ქართული მთის ძროხა - ეს ჯიში უძველესია, თუმცა იშვიათად გვხვდება. ძირითადად შემორჩენილია კავკასიონის ქედის ფერდობებსა და მთიან აჭარაში. ამ ჯიშის ცხოველები გამოირჩევიან შიმშილის, სიცვიისა და სხვა ცუდი გარემო პირობებისადმი ამტანობით, რძის მაღალი ცხიმოვანობით, ხორცის მაღალი კულინარული თვისებებით და განწველის კარგი უნარით. კუროს ცოცხალი მასა 250 კგ, ფურისა-180-220 კგ, წლიური წველადობა მოვლის პირობებიდან გამომდინარე მერყეობს 700 კგ-დან 1900 კგ-მდე (საშუალოდ 900-1200 კგ, ცხიმოვანობა 4,2 – 4,5 %.)

კავკასიური წაბლა - ეს ჯიში საქართველოსთან ერთად გამოიყვანეს სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში, ადგილობრივი ძროხის შეჯვარებით შვიცურ ჯიშთან. კავკასიურ წაბლა ჯიშში ხელსაყრელად არის შეხამებული ადგილობრივი ძროხის

გამძლეობა საქართველოს მთისა და ბარის პირობებისადმი შეგუებლობა და ცხიმოვანობა, შვიცური ჯიშის მაღალ ცოცხალ მასასა და წველადობასთან. ამ ჯიშის ცხოველები ფერად წაბლაა და ჰარმონიული აგებულებით გამოირჩევა. დაბადებიდან დეკეულების საშუალო მასა 28 კგ, მოზერებისა 30 კგ, კუროების მასა 700-750 კგ. აღნიშნული ჯიში კომბინირებული (სარძეო-სახორცე) მიმართულებისაა. საშუალო ცოცხალიმასა 345 კგ-ს, ნაკლავის გამოსავლიანობა 57-60%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

შვიცური - ეს ჯიში დაახლოებით 1000 წლის, შვეიცარიის მთებშია გამოყვანილი. ის სარძეო-სახორცე მიმართულებისაა და წაბლაფერით ხასიათდება, აქვს მაგარი პროპორციული აგებულება და აკლიმატიზაციის კარგი უნარი. კუროების ცოცხალი მასა 900 კგ, ფურისა-550 კგ, წველადობა-3600 კგ, ცხიმოვანობა-3,6 %. რიგ ქვეყნებში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდია.

შავჭრელი - ამ სახელწოდების მქონე ჯიში გამოყვანილი იქნა რუსეთში, იმავე ფერის ჰოლანდიურ ძროხასთან შეჯვარების გზით. ეს ჯიში შემოყვანილი იქნა საქართველოში, სადაც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. ფაქტიურად ის მეორე ადგილზეა კავკასიური წაბლას შემდეგ. სრულ ასაკოვანი კუროს მასა 880 კგ, ფურისა 550 კგ, წლიური წველადობა 4000 კგ, 3,6 % ცხიმის შემცველობით.

ველის წითელი - ჯიში მიღებულია უკრაინაში სხვადასხვა ჯიშების შეჯვარების შედეგად. ამ ჯიშის ძროხები ხასიათდებიან კარგად გამოხატული რძიანობის ნიშნებით, დიდი ამტანობით, ფერად წითელია. სრულ ასაკოვანი კუროს ცოცხალი მასა 800 კგ, ფურისა 520 კგ, წველადობა 3700 კგ, 3,7 % ცხიმოვანობით, ნაკლავის გამოსავალი 52-55 %.

ძროხის საერთო სულადობაში მაღალპროდუქტიული, ინტროდუცირებული სარძეო მიმართულების ჯიშების დაბალი ხვედრითი წილია. აჭარაში პირუტყვის დაახლოებით 50% წაბლა ჯიშისაა და გვხვდება ძირითადად ქობულეთში, ბათუმსა და ხელვაჩაურში, დანარჩენი კი აჭარის მთის ჯიშია, რომელიც გვხვდება ხულოში, შუახევსა და ქედაში. აჭარის მთის ჯიში ამორფული ტიპისაა და შეიძლება მოიცავდეს სხვა რეგიონალურ ჯიშებს, როგორიცაა ხევსურული, ოსური და სვანური. ეს არის ზოგადი დანიშნულების ჯიშები, რომლებსაც შესწევთ გადარჩენის, გამძლეობისა და საკვების საძიებლად შორ მანძილზე წასვლის უნარი. ამ ჯიშის მთავარი უპირატესობა რძის ცხიმოვანობაში გამოიხატება (4,4-4,5%), რაც 0,5%-ით მეტია სხვა ქართული ჯიშის ცხიმოვანობასთან შედარებით. მათი ჩლიქი და მუხლები ძლიერია, რაც აუცილებელია აჭარის მაღალმთიანი და ციცაბო რელიეფისათვის. აჭარის მთის პირუტყვის მთავარი ნაკლოვანებები მათი დაბალი პროდუქტიულობა და მწარმოებლობაა, რაც ნიშნავს ხორცის მცირე რაოდენობას. ასევე, პრობლემატურია გაუმჯობესებული ჯიშების სელექციის საკითხი.

რეგიონში სანაშენე საქმიანობა და მისი ანალიზი

აჭარაში, ისევე როგორც საქართველოში მეცხოველეობის პროდუქტიულობის დონე დაბალია. ამის მიზეზი სანაშენე საქმიანობის განუვითარებლობა, მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის საერთო ეროვნული პროგრამის არქონა, მოშლილი და გაუქმებული არსებული ფერმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უგულვებელყოფილი სათიბ-სადოვრების გაკულტურების ღონისძიებები და დამკვიდრებული მათი არასწორი ექსპლოატაცია, მწირი, არაბალანსირებული საკვები ბაზა, პირუტყვის შენახვის სტანდარტების გაუთვალისწინებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მექანიზაციის დეფიციტი.

წლების განმავლობაში თავმოყრილი პრობლემები თავის მხრივ პირუტყვის ჯიშობრივი დაკნინების, პროდუქტიულობის დაქვეითების, პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის საერთო მოცულობის ყოველწლიური შემცირების ტენდენციას იწვევს,

იზრდება ფურების უნაყოფობისა და ბერწიანობის პროცენტული მაჩვენებელი. ადგილობრივი ჯიშების ფურის საშუალო წველადობა 950-1100 ლიტრს (დღიური წველადობა-3,0-3,5 ლ), ხოლო ხორცის გამოსავლიანობა 45-50 %-ს არ აღემატება. სწორედ ამიტომ სამინისტრო განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხელოვნური განაყოფიერების მიმართულების მხარდაჭრაზე რეგიონში.

ხელოვნური განაყოფიერება არის სსასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენების და ხარისხობრივი გაუმჯობესების საკმაოდ ძველი და იმავდროულად, კარგად დამუშავებული და მეტად ეფექტური ბიოტექნოლოგიური მეთოდი. ხელოვნური განაყოფიერება შესაძლებლობას გვაძლევს შედარებით მოკლე დროში პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდისა. გარდა ამისა, ის ხელსუწყობს ცხოველთა დაავადებებისაგან დაცვას, რადგანაც ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებულ საქონელს გააჩნია ძლიერი იმუნიტეტი სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ და ადვილად უმკლავდება მას. ხელოვნური განაყოფიერება ხელს უწყობს ძროხის მოვლა-შენახვის პირობების გაუმჯობესებას. ბუნებრივი განაყოფიერების ნაკლოვანებები, ხელოვნურ განაყოფიერებასთან შედარებით, მდგომარეობს შემდეგში: 1. ინფექციური დაავადების თავიდან აცილება (ბრუცელიოზი, ტუბერკულოზი); 2. ვენერული დაავადებების გავრცელების საშიშროება; 3. მაკობის დაბალი მაჩვენებელია. 4. მწირია გენეტიკა. 5. არსებობს მოვლა-შენახვის სირთულე. 6. ახლო ნათესაური შეჯვარება არასახარბიელოა.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ მიერ პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონში“ ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნა ხელოვნური განაყოფიერების სადგურები, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით ფერმერებს სთავაზობენ ფურის ხელოვნურ განაყოფიერებას უცხოური, ჯიშიანი პირუტყვის ბიომასალით (სპერმით) ისეთებით, როგორიცაა შვიცის მერძეული, ჯერსის მერძეულ-მეხორცული და აბერდინ-ანგუსური მეხორცული ჯიშის პირუტყვი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სერვისის ამოქმედებიდან ხელოვნური განაყოფიერების შემდეგ რეგიონს 2895 ხბო შეემატა. მონაცემებით ირკვევა, რომ გამოსავლიანობა საშუალო მაჩვენებელს უახლოვდება. ხელოვნური განაყოფიერების გამოსავლიანობის კლებამ შეიძლება გამოიწვიოს პირუტყვის ბერწიანობა, ხბოს მოგების პროდუქტიულობის დაცემა და მეცხოველეობის დარგში დასაქმებული ფერმერების მხრიდან ხელოვნური განაყოფიერებისადმი ინტერესის კლება. ცხრილში მოყვანილი მონაცემებით დასტურდება რომ საერთო გამოსავლიანობა 60%-იან ნიშნულს უტოლდებადა ცოტა მეტია. ამასთან 2012 წლის შემდეგ შეინიშნებოდა სერვისის მოთხოვნაზე მკვეთრი მატება, ხოლო 2016 წლიდან ეს მაჩვენებელი 695 გამოძახებითაა შემცირებული. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთაშორისო მონაცემებით ხელოვნური განაყოფიერების შედეგი პირველჯერზე 60% შეადგენს, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევა შედეგად აღწევს 90%-ს. იმისათვის, რომ ჩვენი მაჩვენებლები გაუტოლდეს მოცემულ ნიშნულს უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი გარემოებები. კერძოდ, ხელოვნური განაყოფიერების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ახურების დაწყების წარმატებულ გამოვლენაზე და დათესვლისათვის დროის სწორად შერჩევაზე. ეს ყველაზე საპასუხისმგებლო და ძნელი ეტაპი წარმოებაში. ხშირად ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსები ეყრდნობიან ინფორმაციას რომელსაც ფლობენ ფერმერები, რომლებიც თავისუფლად შენახვის პირობებში თავისთავად მინიმალურ დროს ატარებენ პირუტყვთან. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფერმერებს ან ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსებს შეუძლიათ უშეცდომოდ გამოავლინონ ხურაობა მცდარია. საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხურვის ნიშნები ვიზუალური დაკვირვებით ყოველთვის არ ვლინდება, ამიტომაც ხურვის გამოვლენის

მცდელობებს ბუღალტერული-გამომცდელის ან სხვა ტექნიკის გარეშე მივყავართ ცდომილებამდე რაც თავისთავად გულისხმობს დათესვლისათვის არაოპტიმალური დროის შერჩევას, შედეგად კი ვღებულობთ გამოტოვებულ ხურვას და გაუნაყოფიერებელ პირუტყვს. ასევე ხელოვნურ განაყოფიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია ბუღალტერული-გამომცდელის მიმართულების გაძლიერება. რაც ადრე განხორციელდა Mercy corps-ის მიერ და აჭარის გარკვეულ სოფელში შემოყვანილი იქნას ბუღალტერული-გამომცდელი, თუმცა ამ მიდგომამ არ გაამართლა ვინაიდან მსგავსი სიდიდის და კვებისადმი მოთხოვნის ბუღალტერული-გამომცდელის შენახვა ჩვენი ფერმერების მიერ სრულყოფილად ვერ განხორციელდა. ამიტომ ეს მიმართულება შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას ძლიერ სანაშენე მეურნეობაში სადაც მისის შენახვისა და მოვლა პატრონობის შესაბამისი პირობები იქნება.

აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

მექანიზაციის მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: ჯემალ კაციტაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის
აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

რომან მარგალიტაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი

თემა: „ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის დამუშავება, თეორიული კვლევა და რეკომენდაციები“

თემის აქტუალობა

კვლევის პერიოდში დამუშავდება აჭარის მაღალმთიანი რეგიონისთვის სრულიად ახალი კონსტრუქციული შეთანაწყობის მქონე რესურსდამზოგი და ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული სამთაბარო აგრეგატი, რომელიც დაპანტეცებულია „საქპატენტში“ და მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიცავს ჩარჩოს, ჩიხელურ დგარებს მათზე დამაგრებული ქუსლით, სატეხით და გუთნის ფრთებით.

2023 წელს თემატური გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო შემდეგი სახის კვლევითი სამუშაოების შესრულება:

- შესასრულებელ სამუშაოთა მიმართულებების განსაზღვრა და გადასაწყვეტი პრობლემების დადგენა;

- რესურსდამზოგი და ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული სამთაბარო აგრეგატის დანიშნულების, გამოყენების სფეროსა და ექსპლუატაციის პირობების დადგენა, ეროზიის გამომწვევი მიზეზების დადგენა და ბრძოლის მეთოდები აჭარის რეგიონში“

- აგრეგატის დანიშნულების, გამოყენების სფეროსა და ექსპლუატაციის პირობების დადგენა

რელიეფური პირობების განსაზღვრა, აგრეგატის დანიშნულების, ნიადაგზე ზემოქმედების, გამოყენების სფეროს, აგრეგატის დსაშვები წონის და ექსპლუატაციის დადგენა.

- ნიადაგის რეაქცია ტექნიკის ზემოქმედებაზე. ნიადაგის ძირითადი და ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგიური მანქანების მოკლე დახასიათება და განვითარების ტენდენციები, დასკვნები

1. შესასრულებელ სამუშაოთა მიმართულებების განსაზღვრა და გადასაწყვეტი პრობლემების დადგენა

აჭარის რელიეფის თავისებურებანი აღწერილი აქვს შ. ფალავანდიშვილს და მ. ქემხაძეს, რომელთა მიხედვით, ეს თავისებურებები გამოწვეულია შინაგანი (ენდოგენური) და გარეგანი (ეგზოგენური) ძალების ერთობლივი მოქმედების შედეგად, რომელმაც გამოიწვია შავი ზღვის ქვაბულის დადაბლება და ზღვის უკან დახევა. სანაპირო ხაზის ცვალებადობა, რელიეფის მსხვილი ფორმების დაბლობების და სხვადასხვა სიმაღლის მთების წარმოქმნა.

აღნიშნული ორი პროცესის აქტიურობის შედეგად რელიეფი საკმაოდ რთულია და მრავალფეროვანი ფორმებით ხასიათდება. აჭარის ტერიტორიის ფართობი 2,9 ათას კმ², რაც საქართველოს ტერიტორიის 4,2%-ია.

აჭარის რელიეფი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. მისი უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია მთისწინებით, დაბალი და მაღალი მთებით, რომლებიც ძლიერ დანაწევრებულია მდინარეებისა და მისი მრავალრიცხოვანი შენაკადების ხეობებით. დაბლობები ზღვის სანაპირო ზოლშია და მასზე მოდის მთელი ტერიტორიის 5% ანუ 153 კმ². გორაკ-ბორცვებსა და წინამთებზე მოდის 15%, დაბალ და მაღალ მთებზე 80%. აჭარის რელიეფის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მას გააჩნია ამფითეატრისებური ამაღლება შავი ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთისკენ, მთების მიმართულებით. გორაკ-ბორცვები ძირითადად გავრცელებულია ზღვის სანაპირო დაბლობების აღმოსავლეთ მხრიდან.

ფერდობების მიკრორელიეფი საკმაოდ ცვალებადი და მრავალფეროვანია. ფართობები, რომლებიც გამოყენებულია სათესად და მრავალწლიანი კულტურებისათვის, ასევე სათიბები და მდელოები იკვეთებიან ხევებით, გორაკებითა და ნაკადულებით, ტყითა და ბუჩქნარებით, რომლებიც ყველა ერთად ქმნის დასამუშავებელი ნაკვეთების მცირეკონტურიანობას.

რელიეფური დახრილობისა და ნაკვეთების მცირეკონტურიანობიდან გამომდინარე თანამედროვე ნიადაგდამამუშავებელი ტექნიკა საკმაოდ კარგად იმუშავებს ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი 13ექტარზე მეტია და დახრილობის კუთხე არ აღემატება 8– 10⁰ თუმცა არის შემთხვევები როცა მობილური სახნავი ტექნიკის გამოყენება ხდება მაღალი (12– 15⁰) დახრილობის მქონე ფართობებზე. ეს მეტწილად იწვევს ტექნიკის გადაბრუნების საშიშროებას და რაც მთავარია ტექნიკაზე დატვირთვებისა და წონის არათანაბარ გადანაწილებას. აღმართზე მოძრაობის დროს, რაც მეტია დახრილობა, მით მეტი დატვირთვა მოდის ტრაქტორის უკანა ღერძზე, ეს კი, თავისთავად იწვევს ტექნიკის არასასურველ ზეგავლენას ნიადაგზე (გამკვრივება) და სავალი დეტალების ხშირ დეფორმაციებს და მწყობრიდან გამოსვლას.

რელიეფი გარკვეულწილად გავლენას ახდენს სითბოსა და ნალექების განაწილებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ნიადაგწარმოქმნასთან. მოვაკებული რელიეფის პირობებში გამოფიტვის ქერქი და ნიადაგი უფრო დიდი სისქისაა, ვიდრე მთის ფერდობებზე. რელიეფი განსაზღვრავს ავტომორფულ და ფიდრომორფულ ნიადაგების ფორმირებას.

აჭარის რეგიონი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, რელიეფით და ნიადაგობრივ-კლიმატური თავისებურებებით ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია საქართველოში, სადაც ჭარბობს მთიანი რელიეფი, დახრილი, ციცაბო დაქანების სავარგულები და მცირე კონტურიანი ნაკვეთები, რომლებიც მკვეთრად გამოხატული

ტალღოვანებით ხასიათდება, გარდა აღნიშნულისა რეგიონის უმეტეს ნაწილში მაღალია ნესტიანობა და მზის რადიაცია.

ზემოთაღნიშნული ფაქტორები ცხადია უარყოფითად მოქმედებს უცხოეთიდან შემოტანილ როგორც მობილურ, ასევე მცირე მექანიზაციის მანქანების საიმედოობაზე და იწვევს მათი ტექნიკური რესურსისა და მუშაუნარიანობის შემცირებას.

ტექნიკის მუშაუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე გარემოსა და დასამუშავებელ სასოფლო-სამეურნეო კულტურებში არსებული აბრაზიული ნაწილაკები და ასევე ნიშანცვლადი დინამიკური დატვირთვები, რომლებიც გამოწვეულია რელიეფის ტალღოვანებით და სავარგულების მცირე კონტურულობით.

აღნიშნული ფაქტორები თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუშაობის ეფექტურობაზე მცირდება მწარმოებლურობა და სიმძლავრე, იზრდება საწვავისა და საპოხი მასალების ხარჯი, რთულდება ტექნიკის მართვადობა და მდგრადობა, იზრდება დატვირთვები მანქანის გაშვებისა და გაჩერების დროს და საბოლოო ანგარიშით, მცირდება მანქანების აგრეგატების, კვანძებისა და დეტალების რესურსი და გამოყენების ვადები.

ამ მიმართულებით აჭარის რეგიონში მრავალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებია ჩატარებული, მაგრამ ყველა მათგანი მიმდევნილია ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუშაობის შესწავლისათვის და თითქმის არ არის გამოკვლეული ევროკავშირის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში დამზადებული ტექნიკის საიმედოობის მაჩვენებლები ჩვენი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით.

ტექნიკის გამოყენების ერთ-ერთ მთავარ და გადამჭრელ ფაქტორებს მიეკუთვნება ისეთი სახის გარემო პირობები, როგორიცაა: რელიეფი, ნიადაგი, ჰავა და მცენარეული საფარი. რომელთა შესწავლას გადამწყვეტი როლი ენიჭება მისი გამოყენებისა და ექსპლუატაციის პირობებში.

აჭარაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება, რელიეფური და ნიადაგური კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, დაკავშირებულია გარკვეულ არახელსაყრელ ფაქტორებთან, კერძოდ:

- რელიეფური დახრილობისა და ნაკვეთების მცირეკონტურიანობიდან გამომდინარე თანამედროვე ნიადაგდამამუშავებელი ტექნიკა საკმაოდ კარგად იმუშავებს ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი საშუალოდ 13ექტარზე მეტია და დახრილობის კუთხე არ აღემატება 8-10°. თუმცა არის შემთხვევები როცა მობილური სახნავი ტექნიკის გამოყენება ხდება მაღალი (12-15°) დახრილობის მქონე ფართობებზე. ეს მეტწილად იწვევს ტექნიკის გადებრუნების საშიშროებას და რაც მთავარია ტექნიკაზე დატვირთვებისა და წონის არათანაბარ გადანაწილებას. აღმართზე მოძრაობის დროს, რაც მეტია დახრილობა, მით მეტი დატვირთვა მოდის ტრაქტორის უკანა ღერძზე, ეს კი, თავისთავად იწვევს ტექნიკის არასასურველ ზეგავლენას ნიადაგზე (გამკვრივება) და სავალი დეტალების ხშირ დეფორმაციებს და მწყობრიდან გამოსვლას.

- მობილური ტექნიკის გამოყენება მაღალმთიან რეგიონში ხასიათდება დაბალი რენტაბელობით და დაკავშირებულია ეკონომიკურ წაგებასთან, საქცევებზე ხშირი მანევრირება იწვევს საწვავის გადახარჯვას და საექსპლუატაციო დროის გაზრდას. ტექნიკის მოცდენას, თუ არ ჩავთლით ტექნიკის ხანგამძლეობის შემცირებას.

- მაღალმთიან რეგიონებში ნიადაგდამამუშავებელი ტექნიკიდან შერჩეული უნდა იქნეს სამთო მიწათმოქმედების ტექნიკური საშუალებები. შემოტანილი უნდა იქნას დაბალსიმძლავრეანი და ენერგოდამზოგი ტექნიკა, რომლის დიდი არჩევანი და ნომენკლატურა დღეისათვის თანამედროვე სატრაქტორო ბაზარზე საკმაო რაოდენობისაა.

– დიდი ყურადღება უნდა მიქცეს მაღალმთიან რეგიონში სახნავი და სხვა ნიადაგდამამუშავებელი ტექნიკის გამოყენების დროს 9–10 კვტ სიმძლავრის, მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებას.

2. რესურსდამზოგი და ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული სამთაბარო აგრეგატის დანიშნულების, გამოყენების სფეროსა და ექსპლუატაციის პირობების დადგენა, ეროზიის გამომწვევი მიზეზების დადგენა და ბრძოლის მეთოდები აჭარის რეგიონში“

ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური მეთოდები. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის, მისი ნაყოფიერების ამაღლებისა და მაღალი მოსავლის მიღებისათვის საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროზიის განვითარების ზონებში ნიადაგის დამუშავებასა და მათ სასოფლო-სამეურნეო ათვისებას.

ნიადაგის განივ-კონტურული დამუშავება. ზემოთ აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს ეროზიისაგან დაცვის ყველაზე მარტივ, მაგრამ მეტად ეფექტურ ღონისძიებას. ნიადაგის ასეთი წესით დამუშავება შესაძლებლობას იძლევა განვალაგოთ კვლები ფერდობის განივი ჰორიზონტალური მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნიადაგის ზედაპირულ ჩამონადენებს, ზრდის ნიადაგში ტენის მარაგს და შესაბამისად ამისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.



საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი ნიადაგის ფერდობის დაქანებით დამუშავების შემთხვევაში. ამ დროს დაქანების მიმართულებით მანქანა-იარაღის მოძრაობით იქმნება მრავალი კვალი, რომელთა საშუალებით წვიმის და მდნარი თოვლის წყალი დაუბრკოლებლად ჩამოედინება ნიადაგის ზედაპირზე, ეროზიული პროცესების განვითარებით იგი აუარესებს ნიადაგის ნაყოფიერებას და ამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

ფერდობებზე ნიადაგის განივკონტურულ დამუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საპასუხისმგებლო ოპერაციის ჩატარების დროს, როგორიცაა მზრალად ხვნა, რაც ნიადაგში ტენის დაგროვებასა და შენარჩუნებას უწყობს ხელს.

გამოკვლევები ცხადყოფს, 6-7⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ნიადაგის განივკონტურული დამუშავება მთლიანად ვერ უზრუნველყოფს ჩამონადენების მინიმუმამდე შემცირებას და საბოლოო ჯამში მკვეთრად ამცირებს მისი გამოყენების ეფექტურობას, ამიტომ ხვნის პარალელურად საჭიროა ხნულის დაბაზოება.

ფერდობზე ნიადაგის განივ-კონტურული დამუშავებისათვის წინასწარ უნდა მოხდეს ნაკვეთის აგეგმვა. ამ მიზნით, კონტურული ხაზის – ჰორიზონტალის მოსანიშნად,

მინდორში, ნიადაგში ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე დაშორებით, თარაზოს გამოყენებით ასობენ პალოებს წერტილებში, რომლებიც განლაგებულნი არიან ერთ სიმაღლეზე.



კონტურული ხაზის მონიშვნისას საჭიროა რიგი პრაქტიკული მოთხოვნების გათვალისწინება. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტიური ჰორიზონტალები არ მიემართებიან ერთმანეთის პარალელურად, რამდენადმე მნიშვნელოვან ადგილზეც კი, საჭიროა გარკვეული გადახრების დაშვება, რათა მივიღოთ პარალელური კვლების განსაზღვრული რაოდენობა. თესვისა და ნიადაგის დამუშავებისათვის, ჩვეულებრივ მცირე მანძილებზე დასაშვებია კონტურიდან კვლების 3%-მდე გადახრა. მცირე დაქანების მქონე ფართობებზე საჭიროა ერთ ან ორ კონტურულ ხაზებზე თვალყურის დევნება და ნიადაგის დამუშავება ამ ძირითადი ხაზების პარალელურად, ხოლო მინდვრის უფრო სწორი ნაწილების დამუშავება კონტურის ხაზების მიმართულებით. თითოეულ ფართობს გააჩნია გარკვეული თავისებურება მეზობელ ფართობთან შედარებით, საჭიროა გარკვეული გამოცდილება მოცემული საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის.

კონტურულად დამუშავება ნიშნავს არამართო კონტურების მიხედვით თესვას და რგვას, არამედ ხვნასა და რიგთაშორის დამუშავებასაც. მცენარეთა რიგები კონტურებზე ქმნიან წინააღმდეგობებს, მაგრამ თუკი ისინი განლაგებულნი არიან ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე დაშორებით (როგორც ეს ხდება სიმინდის ნათესებში), მათი ეფექტურობა მკვეთრად ეცემა მანამდე, სანამ კულტივაციის დროს არ წარმოიქმნება თხემები და ტერასები, რომლებიც ფაქტიურად ქმნიან ტევადობებს ნიადაგის ზედაპირზე გაჩერებული წყლისათვის. სწორედ ამის მიზეზია ის, რომ კონტურული დამუშავებისას თანაბარ პირობებში მყოფი სიმინდისა და სწორხაზობრივად განლაგებული მცენარეული ნათესები, ეროზიის შედეგად კარგავენ ნიადაგის თანაბარ რაოდენობას რიგთაშორის პროცესის გატარებამდე.

ნიადაგის პერიოდული ღრმა დამუშავება. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის საიმედო საშუალებაა ნიადაგის პერიოდული ღრმა დამუშავება. რაც უფრო ღრმად არის ნიადაგი დამუშავებული, მით უფრო მეტი რაოდენობით ატარებს დროის მცირე მონაკვეთში წყალს სიღრმეში და ამით მცირდება ეროზიის განვითარების პოტენციური საშიშროება.

ნიადაგის ღრმად დამუშავების ნიადაგდაცვითი ეფექტიანობა დამოკიდებულია მოსული ნალექების რაოდენობასა და ინტენსივობაზე, ნიადაგის სისქესა და მის მექანიკურ შედგენილობაზე, წყალგამტარობასა და ტენტევადობის უნარზე და სხვა. მცირე სისქის ნიადაგები, რომლებიც განვითარებულია ეროზიის მიმართ არამდგრად დედა ქანებზე (ლიოსისებრი თიხები, მერგელი, გაჯი და სხვა.). მიზანშეწონილია დამუშავდეს

ჩვეულებრივ სიღრმეზე ბელტის გადაბრუნებით, ხოლო შედარებით დიდი სისქის მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგები, მათი წყალგამტარობის გაუმჯობესების მიზნით, უმჯობესია დამუშავდეს 25-30 სმ სიღრმეზე ბელტის გადაბრუნებით, ან 2-3 წელიწადში ერთხელ 30-35 სმ სიღრმეზე ბელტის გადაბრუნებლად.



ნიადაგის ბელტის გადაბრუნებლად დამუშავება. აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

ნიადაგის ბრტყლადმჭრელით ბელტის გადაბრუნებლად დამუშავება საშუალებას იძლევა შევინარჩუნოთ წინამორბედი კულტურების (თავთავიანების, სიმინდის, მზესუმზირა და სხვა) მცენარეული ნარჩენების თითქმის 80%, რომელიც იცავს ნიადაგის ზედაპირს ძლიერი ქარებისა და წვიმის წვეთების მავნე გავლენისაგან.

ნიადაგის ბრტყლადმჭრელით ბელტის გადაბრუნებლად დამუშავება საჭიროა ჩატარდეს აჭარის მაღალმთიან ზონაში, სადაც ძლიერ ვლინდება ქარისმიერი ეროზიის საზიანო მოქმედება.

ნიადაგის მინიმალური დამუშავება. თანამედროვე მძიმე ტრაქტორებითა და მანქანა-იარაღებით ნიადაგის ხშირი დამუშავება იწვევს ნიადაგის გამკვრივებას, გამტკვრიანებას, ჰუმუსის სწრაფ მინერალიზაციას, ყოველივე ეს აუარესებს ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლებს.

უკანასკნელ წლებში, საზღვარგარეთის ქვეყნებში და ჩვენთან, ნიადაგის პოტენციური ნაყოფიერების ამაღლების, ეროზიისაგან დაცვისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების კარგ საშუალებად მიიჩნევა ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავება.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია ფაქტიურად არის ნიადაგდამცავი ტექნოლოგიის ერთ-ერთი კერძო სახე. თავისი არსით ნიადაგის მინიმალური დამუშავება ეს არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური ოპერაციების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკული, შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებას და ნიადაგის ნაყოფიერებისა და ფიზიკურ თვისებებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას. ნიადაგის მინიმალური დამუშავების მიმართულებებია: ღრმა ძირითადი, თესვისწინა, რიგთაშორისების დამუშავების რიცხვის შემცირება სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ მეთოდებთან შეხამების პირობებში;

რამდენიმე ტექნოლოგიური ოპერაციის შეერთება ერთ სამუშაო პროცესში კომბინირებული მანქანებისა და აგრეგატების გამოყენების გზით; საანულო მინდვრების მექანიკური დამუშავების შეცვლა ქიმიური დამუშავებით; მინდვრის მხოლოდ იმ მწკრივების დამუშავება, სადაც ხდება დათესვა რიგთაშორისების დამუშავების გარეშე.

ფერდობზე ნიადაგის თესვისწინა დამუშავება ეროზიული პროცესების შემცირებისა და მაღალი მოსავლის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფერდობ ადგილებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის წესს, მიმართულებას და ვადებს.

ფერდობებზე, ნიადაგის განივ-კონტურული ძირითადი დამუშავების შემთხვევაში, თესვისწინა დამუშავება დაქანების მიმართულებით უნდა ჩატარდეს, ხოლო თესვა განივ-კონტურული მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლოვანი კულტურების ჯვარედინი წესით თესვისას, თესვის ნორმის პირველი ნახევარი უნდა დაითესოს დაქანების მიმართულებით, ხოლო მეორე ნახევარი კი დაქანების განივ-კონტურული მიმართულებით. ამ პირობებში მცენარეებისაგან დაქანების საწინააღმდეგოდ შექმნილი ყოველი მწკრივი მნიშვნელოვნად ანელებს წყლის მოძრაობის სიჩქარესა და მის დამრღვევ ძალას.

ტერასების მოწყობა. დატერასება წარმოადგენს აგროტექნიკურ ღონისძიებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ნიადაგის დაცვა ეროზიისაგან 10-250-მდე დახრილობის მქონე ფერდობებისათვის (მათ შორის მიტოვებული მიწების ათვისებისათვის). მეტი დაქანების ფერდობებზე ძნელდება ტერასების მოსაწყობად ამჟამად გამოყენებული მანქანა-იარაღების მუშაობა და ირღვევა ტერასების მოწყობის ტექნოლოგია.

დასატერასებლად ვარგისი ფერდობების შერჩევისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ მასზე გასაშენებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური თვისებები, მისი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ნიადაგური და კლიმატური პირობები. ფერდობის დაქანება, სიმაღლე ზღვის დონიდან, ექსპოზიცია და სხვა.

ფერდობის დასატერასებლად შერჩევისას, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მეწყერული მოვლენების მიმართ მდგრადობას, თუ ფერდობი მეწყერსაშიშია, იგი ამ შემთხვევაში უვარგისია დასატერასებლად.

ფერდობის დასატერასებლად მომზადების შემდეგ (ცალკეული ბუჩქნარების ამოძირკვა, საჭიროების შემთხვევაში ნიადაგის ზედაპირის მოსწორება და სხვა) ეწყობა საფეხურებიანი ტერასები. ფერდობზე, რომლის დაქანება 12-15⁰-ს არ აღემატება, ეწყობა პლანტაჟირებულ-ხნული ტერასები, ხოლო 15-25⁰-ით დაქანების ფერდობებზე 3,5-5,5მ სიგანის გამონათხარ-დანაყარი ტერასები; ვაკისის ჰორიზონტალური, 3-4⁰-ით პირდაპირი და უკუდაქანებით. აღსანიშნავია, რომ ტენით უზრუნველყოფილ ზონებში ტერასების ვაკისების პირდაპირი და უკუდაქანებით მოწყობა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ვენახების რიგთაშორისებში ნიადაგის მანქანა-იარაღებით დამუშავების და ნიადაგის ზედაპირის ბუნებრივი ნიველირების შედეგად ტერასების ვაკისები დროთა განმავლობაში ჰორიზონტალურ მდგომარეობას იღებს.

პლანტაჟირებულ-ხნული დატერასება ხორციელდება ჩვეულებრივი გუთნებით, რაც ეკონომიკურად ყველაზე უფრო ხელსაყრელია. ამის გარდა, ამ წესით მოწყობილი ტერასები შეესაბამებია აგროტექნიკურ მოთხოვნებს. მათზე შენარჩუნებულია მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანისათვის აუცილებელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. მუშაობის ეს ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო დიდი დაქანების მქონე ფერდობებისათვის, თუკი ამის საშუალებას იძლევა ტრაქტორის განივი მდგრადობა.

პლანტაჟირებულ-ხნული ტერასები ეწყობა ფერდობის ქვედა ნაწილიდან დაქანების ჰორიზონტალური მიმართულებით საპლანტაჟე გუთნით, ხვნის ერთი მიმართულებით (უკან, უქმი სვლით), ბელტის ფერდობის დაქანებისაკენ გადაბრუნებით. ტერასის მოწყობა

მთავრდება 5-6 გავლის შემდეგ. პირველი გავლისას, ხვნის სიღრმე 25-30 სმ, მეორე გავლისას 35-40 სმ, დანარჩენი გავლისას ხვნის სიღრმე 50-60 სმ უნდა იყოს. ამის შემდეგ, გრეიდერის საშუალებით ფერდობის ზემო ნაწილიდან ხდება ტერასების ვაკისების მოსწორება და სასურველი ქანობის შექმნა.

გამონათხარ-დანაყარი ტერასები ეწყობა ბულდოზერით ან სპეც. ტერასიორის საშუალებით, ამ წესით ტერასების მოწყობისას, ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის მნიშვნელოვანი ნაწილი ინაცვლებს დანაყარი გვერდობის-ბერმის მხარეს; ამის გამო გამონათხარი კედლის მხარე უნაყოფო ფენამდე დადის. მოწყობილი ტერასების გამონათხარი კედლის დახრილობის კუთხე 55-60°-ს, ხოლო დანაყარი გვერდების – ბერმის 40-45°-ს არ უნდა აღემატებოდეს. იმის გათვალისწინებით, რომ გამონათხარ-დანაყარი ტერასების მოწყობის პროცესში, ვაკისის გამონათხარი ნაწილი გაშიშვლებულია ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენისაგან, ასეთი სახის ტერასები უნდა იყოს დანიშნული კულტურათა მხოლოდ ერთ რიგად განლაგებისათვის დანაყარ ნაწილზე. ტერასის მოწყობის პროცესი ნიადაგის ჰუმუსიანი ფენის გადატანით მცენარეთა დასარგავ ადგილებში, შედგება 3 ეტაპისაგან.

პირველ რიგში ეწყობა 3,0-3,5 მ სიგანის ვაკისი მოცემული განივი დახრილობით. ამის შემდეგ, ვაკისის ნათხარ ნაწილში გაჰყავთ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაყრელი ტრანშეა, მოჭრილი ფერდობის ქვედა ზოლიდან. აგრეგატი პირველ გავლას ანხორციელებს ბულდოზერული ტიპის დამაღრმავებელი ფრთით. A,B,C მონაკვეთიდან ფრთა ჭრის ნიადაგის ფენას და გადაადგილებს მას ქვემოთ ფერდობზე, ქმნის რა B,D საწყის ვაკისს. აგრეგატის შემობრუნების შემდეგ, მეორე გავლა ხდება აწეული ფრთით და დამაღრმავებელი ტრანშეის სათხრელით. ამასთან ერთად B1,X1 საწყისი ვაკისის ზედა საზღვრიდან DC მანძილზე გაჰყავთ ტრანშეა იმისათვის, რათა ფრთას შეექმნას გრუნტის თავისუფლად მოჭრის შესაძლებლობა ტერასიორის შემდგომი გატარებით. ტერასიორის ფრთაზე მოსული გარე დატვირთვის ასიმეტრიულობის მაქსიმალურად შემცირებისთვის ამ ტრანშეის ზედა კედელი უნდა იყოს განლაგებული საწყისი ვაკისიდან რაც შეიძლება ახლო DC მანძილზე.

აგრეგატის გავლათა ზემოთაღნიშნული თანმიმდევრობა უნდა განმეორდეს მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული ამოღების საჭირო სიღრმე. ამის შემდგომ, ტერასის ვაკისის ნათხარ ნაწილში გაჰყავთ მცენარეთა დასარგავი ტრანშეა. შემდეგ, ფერდობის ქვედა ნაწილიდან, რომელიც განკუთვ-ნილია ზედა მომიჯნავე ტერასისათვის, ტერასიორის ფრთით იჭრება და იყრება ქვედა ტერასზე ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენა. აგრეგატის უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის აღნიშნული ოპერაციის შესრულებისას, ნიადაგის ამოთხრა უნდა განხორციელდეს ამოსათხრელი ფერდოს ზედა საზღვრიდან E მანძილზე, რომლის დროსაც მიიღება B სიგანის ვაკისი, საკმარისი ტრაქტორის მდგრადი მოძრაობისათვის. ამის შემდეგ, აგრეგატი გადაადგილდება ქვედა ტერასზე და ასრულებს ბოლო გავლას, ჰყრის რა დასარგავ ტრანშეაში ტერასზე დაყრილ ნიადაგის ნაყოფიერ ფენას, ხოლო ტრანშეიდან ამოღებულ გრუნტს გადაადგილებს ვაკისზე და მიაყრის ფერდოს, რის შემდგომაც მიიღება ტერასის საბოლოო პროფილი.

წყალშემკრები კვლები. წყლისმიერი ეროზიის ძლიერი განვითარების ზონებში ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ზემოთაღნიშნულ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა დაქანების განივ-კონტურული მიმართულებით წყალშემკრები ანუ ეროზიული კვლების მოწყობა. კვლები შეიძლება მოეწყოს თესვის პარალელურად, სათესი აგრეგატის ერთ-ერთ განაპირა მხარეს, საოში გუთნის ერთი ტანის დამონტაჟებით ან თესვის შემდეგ ჩვეულებრივი ერთ ან ორტანიანი სატრაქტორო გუთნით. მათი ურთიერთდაშორების მანძილი დამოკიდებულია ფერდობის დაქანების სიდიდესა და

წყლისმიერი ეროზიის განვითარების სიძლიერეზე. რაც უფრო დიდია დაქანება და წყლისმიერი ეროზიის განვითარების პოტენციური საშიშროება, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მათ შორის მანძილი.

ფერდობის ტალღისებურ, უსწორმასწორო დაქანების პირობებში მიზანშეწონილია მოეწყოს ჭადრაკულად განლაგებული 5-7მ სიგრძის წყვეტილი კვლები. ხშირად მიმართავენ აგრეთვე დაჯვარედინებასაც. ამ შემთხვევაში კვლები გაჰყავთ ჯერ დაქანების, შემდგომ ამისა კი განივი მიმართულებით. კვლებს შორის ფართობი შეიძლება იყოს 10X15 და 5X10 მეტრი. რაც უფრო დიდია ეროზიის განვითარების საშიშროება, მით უფრო მცირე უნდა იყოს უჯრედების ფართობი.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა წყლის შემაკავებელი სხვადასხვა ხერხების (წყალშემკრები კვლები, დაღვარეულება და ა.შ.) ნაკლებად ეფექტურია.

უფრო ეფექტიანად ითვლება ზოლური დამუშავება და ვერტიკალური მულჩირებით დაღარვა, როცა ნიადაგში გაჭრილი ხვრელი სხვადასხვა ორგანული მასალებით (თივა, ფოთლები, ნაწვერალის ნარჩენები, ტორფი და ა.შ.) ივსება. ასეთი წესით დამუშავებული ფერდობის ზედაპირი კოკისპირული წვიმის დროსაც კი დიდხანს ინარჩუნებს წყლის შთანთქმისა და წყლის ინფილტრაციის უნარს.

გვალვის პერიოდში, მულჩირებული ღარი დაღვ-რეულებასთან კომპლექსში კარგად ასრულებს აგრეთვე დრენაჟის ფუნქციასაც.

აქედან გამომდინარე, აქტუალურია ეროზიის საწინა-აღმდეგო ამ ტექნოლოგიური პროცესისათვის სამანქანო ტექნოლოგიისა და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების დამუშავება.

3. კვლევის მიმართულებისა და ტექნიკის ნიადაგზე ზემოქმედების შემცირების ტექნიკური ღონისძიებანი.

აჭარის რელიეფის თავისებურებანი აღწერილი აქვს შ. ფალავანდიშვილს და მ. ქემხაძეს, რომელთა მიხედვით, ეს თავისებურებები გამოწვეულია შინაგანი (ენდოგენური) და გარეგანი (ეგზოგენური) ძალების ერთობლივი მოქმედების შედეგად, რომელმაც გამოიწვია შავი ზღვის ქვაბულის დადაბლება და ზღვის უკან დახევა.

აღნიშნული ორი პროცესის აქტიურობის შედეგად რელიეფი საკმაოდ რთულია და შესაბამისად რთულია ნიადაგობრივი სტრუქტურაც.

აჭარის რელიეფის უმეტესი ნაწილი წარმოადგენილია მთისწინებით, დაბალი და მაღალი მთებით, რომლებიც ძლიერ დანაწევრებულია მდინარეებითა და მათი ფერდობებზე ნაკადულების ხეობებით.

ფრელიეფური დახრილობისა და ნაკვეთების მცირეკონტურიანობიდან გამომდინარე თანაედროვე ნიადაგდამამუშავებელი ტექნიკა საკმაოდ კარგად იმუშავებს ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი 1 ჰექტარზე მეტია. ეს მეტწილად იწვევს ტექნიკის გადაბრუნების საშიშროებას და რაც მმთავარია ტექნიკაზე დატვირთვებისა და წონის არათანაბარ გადანაწილებას. აღმართზე მოძრაობის დროს, რაც მეტია დახრილობა, მით მეტი დატვირთვა მოდის ტრაქტორის უკანა ღერძზე, ეს კი, თავისთავად იწვევს ტექნიკის არასასურველ ზეგავლენას ნიადაგზე ერდობების მიკრორელიეფი საკმაოდ ცვალებადი და მრავალფეროვანია. ფერდობები, რომლებიც გამოყენებულია სათესად და მრავალწლიანი კულტურებისათვის, ასევე სათიბები და მდელოები იკვეთებიან ხევებით, გორაკებითა და ნაკადულებით, რომლებიც ყველა ერთად ქმნიან დასამუშავებელი ნაკვეთების მცირეკონტურიანობას (გამკვრივება, ტკეპნა) და სავალი დეტალების ხშირ დეფორმაციას და მწყობრიდან გამოსვლას.

რელიეფი გარკვეულწილად გავლენას ახდენს სითბოსა და ნალექების განაწილებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ნიადაგწარმოქმნასთან. მომავალ რელიეფის პირობებში გამოფიტვის ქერქი და ნიადაგი უფრო დიდი სისქისაა, ვიდრე მთის ფერდობებზე. რელიეფი განსაზღვრავს ავტომორფულ და ჰიდრომორფული ნიადაგების ფორმირებას.

ნებისმიერი აგრეგატის წევითი თვისებები, მათ შორის სამთაბარო ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატის სიმყარე და მართვა ვლინდება გარემოსა და მოძრავი მექანიზმის ურთიერთობაში. სახნავი აგრეგატისათვის გარემო არის გრუნტი, რომელთანაც ურთიერთმოქმედებს მოძრავი მექანიზმი. გრუნტის ზედა ფენას (0.2-1) მ ნიადაგი შეადგენს.

გრუნტის მექანიკური შემადგენლობა მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას აგრეგატის წევითი შექიდულობის თვისებებზე. საკმარისია ვთქვათ, რომ ტრაქტორის ერთი და იგივე მასისა და ზომისას, თიხი ან მყარ გრუნტზე შეუძლია განავითაროს წვევის ძალა 2-ჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ორგანული წარმოშობის გრუნტზე.

აჭარის მეტწილად მაღალმთიანეთში აგრეგატის და ტრაქტორის ამძრავი მექანიზმის და გრუნტის ურთიერთმოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენს ტენიანობა. ცხადია, რომ ერთი და იგივე გრუნტი, მაგ. თიხა, სხვა და სხვა ტენიანობისას შეიძლება იყოს მყარი ან პლასტიკური. ნიადაგის ფარდობითი ტენიანობა განისაზღვრება მოცემულ მოცულობაში მყოფი წყლის მასის, ნიადაგის მასასთან დამოკიდებულებით. ნიადაგის აბსოლუტური ტენიანობა განისაზღვრება მოცემულ მოცულობაში მყოფი წყლის მასის დამოკიდებულებით მშრალი ნივთიერების მასასთან.

სასოფლო - სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების სავალი სისტემის ნიადაგთან ჩაქიდულობა განპირობებულია მათი მუშაობის სიჩქარითა და ხარისხით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საყრდენი ზედაპირი არის რთული ბიოლოგიური გარემო, უძვირფასესი თვისებებით - ნოყიერებით, ე.ი. მოსავლის მიღების თვისებებით. თუ არ გავითვალისწინებთ ამ პირობებს და ნიადაგს განვიხილავთ როგორც გარემოს, მაშინ ასეთი მიდგომის შედეგი იქნება ნიადაგის სტრუქტურის დაშლა, ეროზია, სას. სამ. კულტურების მოსავლიანობის შემცირება და სხვ.

ნიადაგის სიმკრივე არის მახასიათებელი, რომელზეც დამოკიდებულია ფიზიკური პირობების კომპლექსი: წყლის, საჰაერო და თბური რეჟიმები ანუ ბიოლოგიური პირობები. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ნიადაგის დამუშავების სისტემაში, პირველ რიგში გათვალისწინებულია ნიადაგის სიმკრივის რეგულირება ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნების გათვალისწინებით.


დადგენილია რომ, მცენარეები მაღალ მოსავლიანობას აღწევენ ნიადაგის ოპტიმალური სიმკვრივისას, რომელიც სხვადასხვა ნიადაგებისათვის სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

ნახ. 3.1-ზე ნაჩვენებია კულტურების მოსავლიანობის დამოკიდებულება ნიადაგის სიმკრივესთან. სადაც ჩანს, რომ ნიადაგის სიმკრივის გაზრდა იწვევს მოსავლიანობის შემცირებას.

მოძრავი მექანიზმის მექანიკური მოქმედება ნიადაგზე შეიძლება განვიხილოთ როგორც, უარყოფითი ქმედება. რადგან ბუქსაობისას ხდება ნიადაგის სტრუქტურის ინტენსიური ნგრევა. ჩნდება ჩაღრმავებები, რომლებიც აფერხებენ ნიადაგის დამუშავებას, შემდგომი ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას, აუარესებენ სას.სამ. ტექნიკის მუშაობას, მცირდება სამუშაოს შესრულების ხარისხი, იზრდება ენერგიის (საწვავის) ხარჯები, მცირდება შრომის ნაყოფიერება. ნიადაგის დამუშავების წინააღმდეგ ყამირ ნიადაგებზე მუხლუხა ტრაქტორის კვალში არაგამკრივებული ნაკვეთის დამუშავების წინააღმდეგ შედარებით იზრდება 25%-ით, თვლიანის-40%-ით.

არაგამკრივებული ნაკვეთის წინაღობა პრაქტიკულად არ აღემატება მინდვრის სიმკრივის 10-15%. ეს დამოკიდებულება N-მკვეთრად იცვლება ნიადაგის მომზადების პროცესში (თესვის, მცენარეთა მოვლის, მოსავლის აღების და სხვ.) სხვადასხვა მანქანები ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლისას 5-15 ჯერ გაივლის ან ერთ და იგივე ნაკვეთში.


ამ მანქანების ამძრავი მექანიზმების კვალის ჯამობრივი ფართობი 2-ჯერ აღემატება ნაკვეთის ფართობს. ნაკვეთის ფართობის 10-12 % განიცდის მანქანის ზემოქმედებას 6-20 ჯერ, ხოლო მთლიანი ფართობის 65-80 % - 1-6-ჯერ.



ნახ 3.1 მოსავლიანობის დამოკიდებულება ნიადაგის სიმკვრივეზე

ნიადაგის სიმკვრივე. ნიადაგის სიმკვრივე - ეს არის მისი უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს მყარი სხეულის დაწოლით ჩაღრმავებას. ის კორელაციურ კავშირშია ნიადაგის წინააღმდეგობასთან, რომელიც წარმოიქმნება ნიადაგდამამუშავებელი მანქანებით დამუშავების დროს. ნიადაგის სიმკვრივის განსაზღვრა ხდება ნიადაგდამამუშავებელი მანქანების საექსპლუატაციო გამოცდის დროს. ამ მიზნით გამოიყენება სიმკვრივის მზომი, (ნახ.-.2), რომელშიც კონუსური ან ცილინდრული ფორმის ბუნიკის 6 ნიადაგში ჩაღრმავების დროს ერთდროულად ფიქსირდება დიაგრამაზე 3 დაწოლის მნიშვნელობა, რომელიც საჭიროა ნიადაგის წინააღმდეგობის გადასალახავად და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის სიმკვრივეზე და ტენიანობაზე.

ნიადაგის სიმკვრივე სტანდარტის მიხედვით საჭიროა განისაზღვროს კონუსური ფორმის ბუნიკის საშუალებით, რომელსაც აქვს შემდეგი პარამეტრები: მკრივი ნიადაგებისათვის - ფუძის ფართობი 100 მმ², წვეროს კუთხე 22-30°, ფხვიერი ნიადაგებისათვის შესაბამისად 200 მმ² და 30°. თუმცა ვ. ა. ჟელიგოვსკი და ი. ი. რევიაკინი თავაზობენ გამოყენებული იქნას ცილინდრული ბუნიკი. ამ დროს დიაგრამაზე (ნახ-3.2) ჩანს სამი დამახასიათებელი მონაკვეთი, რომლებიც შეესაბამება ნიადაგის დეფორმაციის სხვადასხვა სტადიას (ნახ. 3.3).




ნახ.3. 2 ი. რევიაკინის სიმკვრივის მზომი

ნიადაგის დეფორმაციის საწყისი ფაზა ხასიათდება ძალის F_1 თითქმის სწორხაზოვანი ზრდით (დიაგრამის OA მონაკვეთი), პატარა ხანგრძლივობით და ბუნის ჩაღრმავების უმნიშვნელო სიღრმით h_1 ნიადაგის წინააღმდეგობის გადასალახავად საჭირო ძალა,

$$F_1 = k\gamma_1$$

სადას k - არის ზამბარის სიხისტე, ნ/მმ;
 γ_1 - ზამბარის დეფორმაცია, მმ.

მეორე ფაზის ნიშნებია - ნიადაგის წინააღმდეგობის შენელებული ზრდა მასში ბუნის შემდგომი ჩაღრმავების მიმართ (მონაკვეთი AB) ბუნის წინ ძალზე გამკრივებული ნიადაგის კონუსური ფორმის წარმოქმნა, რომელიც ხსნის და ამკრივებს მის ქვედა ჰორიზონტებს. ამ ფაზის ბოლოს (წერტილი B) დამაბულობა აღწევს ნიადაგის დენადობის ზღვარს.



ნახ. 3.3 სიმკვრივის მზომი ზამბარის დეფორმაციის ცვლილების დიაგრამა ბუნის ჩაღრმავების სიღრმეზე

ნიადაგის დეფორმაციის მესამე ფაზა (მონაკვეთი BC) ხასიათდება ბუნის ჩაღრმავების სიღრმის უწყვეტი ზრდით F ძალის მუდმივი მნიშვნელობის დროს, ხნულის ფენის იწყება ხნულის ქვედა ფენა და ძალა F (დიაგრამის CD მონაკვეთი). დიაგრამის გათვალისწინებით ნიადაგის სიმკვრივე, პა,

$$P = \frac{F_1}{S} = \gamma_1 \frac{k}{S}$$

სადაც S - არის ბუნის ფართობი,

γ_1 - დიაგრამის ორდიატის საშუალო მნიშვნელობა **OAB** მონაკვეთზე, მმ.

ვ.ა. ჟელიგოვსკი თავაზობს ასევენი-ადაგზე დაწოლის ზღვრულიმნიშვნელობის და ნიადაგის მოცულობი-თიკუმშვის კოეფიციენტის განსაზღვრას. დაწოლის ზღვრული მნიშვნელობა გამოითვლება მაქსიმალური ორდინატის მიხედვით,

$$P = \gamma_{max} \frac{k}{s}$$

მოცულობითი კუმშვის კოეფიციენტი, ნ/მმ³, რომელიც ახასიათებს ნიადაგს წინააღმდეგობის ჩაღრმავებადმი დეფორმაციის პირველ ფაზის განმავლობაში, გამოითვლება ფორმულით:

$$q = \frac{F_1}{Sh_1} = \gamma_1 k$$

სადაც h_1 – არის ნიადაგის დეფორმაცია დიაგრამის პირდაპირი პროპორციულობის სღვრებში (მონაკვეთი OA), მმ.

აგრეგატის ზემოქმედება ნიადაგზე. მანქანის ძარის გასწვრი-ვიმოძრაობის დროს წარმოიქმნება როგორც მიმართული ისე მბრუნავი სივრცული გადაადგილება, რომლის დროსაც წარმოიქმნება ის ვერტიკალური ძალები, რომლებიც იწვევენ ნიადაგის საფარის დეფორმაციას, ასევე მხები წნევისაგან, საკუთრებით აძვრის და დამუხრუჭების დროს, რომელიც იწვევს გზის ზედა ფენების გადაადგილებას.

რთული მდგომარეობა იქმნება როცა მანქანა მოძრაობს რთულ რელიეურ ზონაში, მკვეთრი მოსახვევების დროს მანქანა განიცდის ბრუნვით მოძრაობას მისი ვერტიკალური ღერძის გარშემო. გზის ამ მონაკვეთ-ზეწარმოიქმნება გვერდითი ძალები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოქმედებენ როგორც მანქანაზე, ასევე მიწის საფარის ზედა ფენებზე და ეს ყველაფერი უარყოფით გავლენას ახდენენ მანქანის მდგრადობაზე.

თვლების ზემოქმედება მიწის საფართან განსაკუთრებით უარესდება მაშინ, როცა ნიადაგში ტენის გაზრდილი რაოდენობაა. უარესდება თვლების შეჭიდულება მიწათსან, მაღალ სიჩქარეებზე წარმოიქმნება ე.წ. აქვაპლინება ე.ი. ბუქსაობა და მანევრირების შედეგად წინათვლების ზემოთ აწეა უკანა თვლებთან შედარებით.

მანქანის ნიადაგთან ზემოქმედება მით უფრო მეტია ზედაპირთან, რაც მეტია წყლის რაოდენობა ნიადაგში და მოუწესრიგებელია ნაკვეთის სადრენაჟო სისტემა.

მანქანის მოძრაობის დროს, ნიადაგის ზედაპირზე, თვლის ნიადაგთან კონტაქტის ზონაში წარმოიქმნება ვერტიკალური, გასწრივი და დინამიკური ძალები, რომელთა მნიშვნელობა დამოკიდებულია მანქანის ტიპზე, თვლის სალტებზე, დატვირთვაზე, ამინდზე და სხვა.

გაჩერებულ თვალზე მოქმედებს მხოლოდ ერთი ძალა – მანქანის წონა. ავტომობილის თვლების თავისებურებას წარმოადგენს მისი ელასტიურობა. ვერტიკალური ძალის მოქმედებით თვალი დეფორმირდება, (ნახ 4) კონტაქტის ადგილზე თვლის რადიუსი ნაკლებია, ვიდრე სხვა ადგილებში, რომლებიც მიწას არ ეხებიან. თვლის შეხების ფართი S მიწის ტიპების მიხედვით მერყეობს 25-1000 სმ²-ის ფარგლებში. ერთი და იმავე მანქანებიათვის S -ის მნიშვნელობა დამოკიდებულია თვლის დატვირთვაზე:

$$S = \frac{G}{P}$$

სადაც G – თვალზე მოსული მანქანის წონაა, ნ;


P – წნევაა, პა.

P –ს მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო სამშაოების შესრულების დროს არ უნდა აღემატებოდეს 0,55 მპა, ხილი სავტომობილო გზებზე 0,65 მპა.

შეხების ანაღბეჭდების ფორმები განსხვავდებიან ელიფსური ფორმებით და პროტექტორის სიმაღლით. საშუალო დაწნევის ანგარიში ხდება პროტექტორის სიმაღლის მიხედვით, ხოლო მიწის საფარის მიხედვით P იანგარიშება ელიფსური ფართობის ტოლი წრის ფართობის D -ს მიხედვით.

$$D = 11,3\sqrt{G/0,1P}$$

მანქანების უმეტესი რაოდენობა აღჭურვილია ამძრავი და მიმყოლი თვლებით. ამ-ძრავ თვალზე მბრუნავი მომენტი $M_{მბრ}$ მიეწოდება ძრავისაგან.



ნახ.3.4 ნიადაგის ზედაპირზე მოქმედი ძალების სქემა

$$M_{კკ} = n_{კკ} n_{მთ} \mu$$

სადაც $M_{კკ}$ – ძრავის მუხლა ლილვიდან მინიჭებული ბრუნვის მომენტი;

$n_{კკ}$ – გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვი; $n_{მთ}$ – მთავარი გადაცემის რიცხვი;

μ – მთავარი გადაცემის მ.ქ.კ.

ბრუნავი მომენტის მოქმედება კონტაქტის ზონაში იწვევს ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულების წრიული ძალის წარმოქმნას (ნახ. 4) ძალა კი კონტაქტის ზონაში თავისთავად იწვევს მისი ტოლფასი ხახუნის ძალის წარმოქმნას. ამ დროს ვერტიკალური ძალის მოქმედებით წარმოიქმნება რეაქციის ძალა, რომელიც ვრცელდება –მანძილზე მანქანის მოძრაობის მიმართულებით. –ს მნიშვნელობები ტრაქტორებში და სატვირთო მანქანებში განისაზღვრება ზღვრებში (0.65-0.7), ხოლო მსუბუქ ავტომობილებში (0.5-0.55), სადაც G მანქანის საერთო წონაა.

ამძრავ თვალზე მოქმედებს წევის ძალა (ნახ 4) ჰორიზონტალური რეაქცია და მიმართულია მოძრაობის საწინააღმდეგოდ. რეაქციის ვერტიკალური ძალა ინაცვლებს მოძრაობის მიმართულებით.

მბრუნავი მომენტის $M_{მპ}$ განსაზღვრა შეიძლება წრიული ძალის და თვლის რადიუსის გათვალისწინებით

$$M_1 = P_k r_k$$

ამასთან

$$r_k = r \lambda$$

სადაც r - უდევორმაციო თვლის რადიუსია,

λ - თვლის რადიუსის შემცირების კოეფიციენტი ($\lambda = 0.93-0.96$).

მანქანის მოძრაობა სესაძლებელია თუ კმაყოფილდება პირობა $T > P$, ხახუნის ძალა აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას, როცა

$$T_{max} = F G_{შეჭ}$$

სადაც $G_{შეჭ}$ – ამძრავ თვალზე მოსული დატვირთვაა (შეჭიდულების წონა)

f – შეჭიდულების კოეფიციენტი.

შეჭიდულობის კოეფიციენტი f არის თვალზე მოსული წვეის ძალის ფარდობა შეჭიდულობის წონასთან.

განასხვავებენ შეჭიდულობის კოეფიციენტის სხვადასხვა მნიშვნელობებს: f – სრიალისა და ბუქსაობის გარეშე მოძრაობის დროს, f_1 – სრიალითა და ბუქსაობის დროს და f_2 – გვერდითი მოცურების დროს.

f -ს მნიშვნელობა საფარის, სიჩქარის და კლიმატური პირობების გათვალისწინებით მოცემულია ცხრილ (1)-ში

საფარის მდგომარეობა	მოძრაობის პირობები	60კმ/სთ სიჩქარის დროს
მშრალი, სუფთა	განსაკუთრებით სასურველი	0,7
სველი. ტალახიანი,	ნორმალური	0,5
მოყინული	არასასურველი	0,3

4. ნიადაგის რეაქცია ტექნიკის ზემოქმედებაზე. ნიადაგის ძირითადი და ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგიური მანქანების მოკლე დახასიათება და განვითარების ტენდენციები, დასკვნები

ნიადაგის რეაქცია ტექნიკის ზემოქმედებაზე. ნიადაგის ფიზიკური მდგომარეობა და მისი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მიზნით გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული ნიადაგს ზედაპირის სიმკვრივეზე.

სიმკვრივე არის ნიადაგის თვისება წინააღმდეგობა გაუწიოს ტექნიკის სავალ ნაწილს ნიადაგის ფენების დეფორმაციის გარეშე ზემოქმედების პერიოდში.

მიყენებული დატვირთვის თვალსაზრისით არჩევენ სამი სახის დეფორმაციას:

- როცა დატვირთვა უმნიშვნელოა, ნიადაგის ზედაპირი არ იშლება და ხდება ისეთი სახის დეფორმაცია, როცა ზემოქმედების დროს ჩაიზნოება და დატვირთვის შემდეგ უბრუნდება წინასწარ მდგომარეობას;

- როცა დატვირთვის ზრდის შემთხვევაში წარმოიქმნება მცირე ზომის დეფორმაციები, რომლის ჯამური ზღვარი ზოგჯერ აჭარბებს დასაშვებს და ნიადაგი განიცდის რღვევას;

- როცა მაღალი დატვირთვის დროს წარმოშობილი პლასტიკური დეფორმაციები მკვეთრად იზრდება, რომელიც იწვევს ნიადაგის ზედაპირის მთლიან დაშლას.

მანქანის თვალის ზემოქმედების დროს ნიადაგის ზედაპირის ფუძე აქტიური ზემოქმედების ზონაში განიცდის კუმშვას და იწვევს ნიადაგის ჩაღუნვას გარკვეული სიღრმის რადიუსით და წარმოშობს ე.წ. „ჩაღუნვის თევზს“.

ნიადაგის ზედაპირის ფუძეზე წარმოქმნილი ზემოქმედება დამოკიდებულია იმ ფართზე, რომელზედაც ნაწილდება დავირთვა. ნიადაგის ზედაპირის სიმკვრივის ზრდის შემთხვევაში იზრდება ზემოქმედების ფართი და შესაბამისად მცირდება დატვირთვა. ზამთრისა და ადრეული გაზაფხულის პერიოდში გაზრდილი ტენიანობის დროს, ნიადაგის ზედაპირი ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო დატვირთვას და მასზე მძიმე ტვირთიანი ტრაქტორების გავლის დროს შეიძლება მოხდეს მიწის ზედაპირული ფენის ჩავარდნა.


დატვირთვის შემთხვევაში ხდება ნიადაგის ზედაპირის შეკუმშვა და შევიწროება, ხოლო ქვედა ფენების პირიქით გაჭიმვა-გაფართოება. ამ ფაქტორების გამო, უმეტეს შემთხვევაში ხდება ნიადაგში ბზარების წარმოშობა.

ნიადაგის ძირითადი და ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგიური მანქანების მოკლე დახასიათება და განვითარების ტენდენციები. ნიადაგის დამუშავება – ყველაზე შრომატევადი ოპერაციაა სოფლის მეურნეობაში. მასზე მოდის ენერგო დანახარჯების 40%, შრომითი დახარჯების 25% და საწვავის დაახლოებით 30%. ნიადაგის დამუშავება ხორციელდება მისი ნაყოფიერების შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. დამუშავების სისტემა აუცილებელია ჩატარდეს, ამა თუ იმ კულტურისათვის, მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკულად აპრობირებული მეთოდების შესაბამისად.

დღეისათვის მრეწველობა და მანქანათმშენებლობა ნიადაგის ძირითადი დამუშავებისათვის უშვებს დაახლოებით 30-მდე საერთო დანიშნულების გუთნებს, 25 დასახელების სპეციალურ გუთნებს (ტყის, ბუჩქნარ-ჭაობის, საპლანტაჟე, სავენახე დასხვა). გუთნები მზადდება ცილინდრული, ხრახნული, ნახევრად ხრახნული, უფრო და ორიარუსიანი კორპუსით.

აგრეგატირების მიხედვით გუთნები იყოფიან: საკიდ, ნახევრადსაკიდ და მისაბმელ სახეობებად.

გუთნის ძირითად სამუშაო ორგანოებს წარმოადგენს კორპუსი, წინმხვნილი და საკვეთელი. გუთნის დამხმარე ორგანოებია: ჩარჩო მისაბმელით ან საკიდი მოწყობილობით, საყრდენი თვლები, მექანიზმი კორპუსის დაღრმავებისა და ამოღრმავებისათვის.



ნახ. 4.1 გუთნის სამუშაო ორგანოები: 1-დისკური დანა; 2-წინმხვნილი; 3-სახნისი; 4-ველის ფიცარი; 5- ნიადაგდამაღრმავებელი; 6- ფრთა; 7-დამაღრმავებელის დგარი; 8-კორპუსის დგარი; 9-გუთნის ჩარჩო.

გუთნების კონსტრუქციის შემდგომი სრულყოფისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- მოდების განის ავტომატურ რეგულირება, რომელიც უზრუნველყოფს ტრაქტორის რაციონალურ დატვირთვას, საწვავის ხარჯის შემცირებას, აგრეგატის მწარმოებლობის გაზრდას;

- გუთნის უკან და წინ დაკიდება, ამასთან დატვირთვის თანაბარი განაწილება ღერძებზე, რომელიც უზრუნველყოფს აგრეგატის მოძრაობის დროს ენერგოდანახარჯების შემცირებას;

- გუთნის მოდულური კონსტრუქციის შექმნა, როცა თვითეული კორპუსი მაგრდება ჩარჩოს ცალკეულ ნაწილზე და წარმოიქმნება სექცია (მოდული); მოდულებიდან შესაძლებელია აეწყოს სხვადასხვა მოდების განის მქონე გუთნები;

გამომდინარე იქედან, რომ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულია ჩვეულებრივი და ძლიერი ენერგოტევადი ტრაქტორები, შესაძლებელია ასევე მომხმარებლის შეკვეთით

დამზადებული იქნას 7 კმ/სთ და მაღალ სიჩქარეზე -9-12 კმ/სთ სიჩქარით მომუშავე გუთნები.

ჩვეულებრივი გუთანი მაღალი სიმძლავრის ტრაქტორთან 9-12 კმ/სთ სიჩქარით მუშაობის დროს, გრძელი ფრთისა და წევის ღერძთან დიდი კუთხით დაყენების შემთხვევაში მოახდენს ხნულის გადაყრას და ვერ შეძლებს აგროტექნიკური მოთხოვნების უზრუნველყოფას. ამიტომ, შესაძენი გუთნების შეკვეთის დროს უნდა გათვალისწინებული უნდა იქნას ნიდაგის მახასიათებლები და მეურნეობაში არსებული სატრაქტორო პარკი.

ჩქაროსნული გუთნები ხასიათდებიან წევის ღერძისა და სახნისებს შორის შედარებით მაღალი მახვილი კუთხით და დამოკლებული ფრთებით ამ შემთხვევაში ბელტი ამოზრუნდება ინერციის ძალით. ჩქაროსნული გუთნებით 7 კმ/სთ სიჩქარით ხვნის დროს ვერ ხერხდება ხარისხიანი ხვნის უზრუნველყოფა, ბელტის გადაზრუნება და სარეველების ნიადაგში ჩახვნა.

ახალი გუთნებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება: სამკორპუსიანი კომბინირებული საკიდი გუთანი **ПВН-3-35** და როტაციული **ПР-2,7**, რომლებიც გათვალისწინებულია მაღალი 1,4 და 3 კლასის სიმძლავრის თვლიან ტრაქტორებთან აგრეგატირებისთვის. აღნიშნული გუთნები აღჭურვილია აქტიური სამუშაო ორგანოებით, რომლებიც მოძრაობაში მოდიან ტრაქტორის ძალამრთმევი ლილვიდან.

გუთან **ПВН-3-35**-ზე ფრთის მაგივრად დამაგრებულია ფრთიანი როტორები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან ტრაქტორის ძალამრთმევი ლილვიდან, ისინი აქუცმაცებენ და აზრუნებენ ბელტს.

გუთან **ПР-2,7**-ზე აქტიურ სამუშაო ორგანოს წარმოადგენს ფრეზერული დოლი. ის ინტენსიურად აქუცმაცებს ბელტს, აზრუნებს მას მცენარეულ საფართან ერთად. მისი გამოყენება

გამომდინარე იქედან, რომ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულია ჩვეულებრივი და ძლიერი ენერგოტევადი ტრაქტორები, შესაძლებელია ასევე მომხმარებლის შეკვეთით დამზადებული იქნას 7 კმ/სთ და მაღალ სიჩქარეზე -9-12 კმ/სთ სიჩქარით მომუშავე გუთნები.

ჩვეულებრივი გუთანი მაღალი სიმძლავრის ტრაქტორთან 9-12 კმ/სთ სიჩქარით მუშაობის დროს, გრძელი ფრთისა და წევის ღერძთან დიდი კუთხით დაყენების შემთხვევაში მოახდენს ხნულის გადაყრას და ვერ შეძლებს აგროტექნიკური მოთხოვნების უზრუნველყოფას. ამიტომ, შესაძენი გუთნების შეკვეთის დროს უნდა გათვალისწინებული უნდა იქნას ნიდაგის მახასიათებლები და მეურნეობაში არსებული სატრაქტორო პარკი.

ჩქაროსნული გუთნები ხასიათდებიან წევის ღერძისა და სახნისებს შორის შედარებით მაღალი მახვილი კუთხით და დამოკლებული ფრთებით ამ შემთხვევაში ბელტი ამოზრუნდება ინერციის ძალით. ჩქაროსნული გუთნებით 7 კმ/სთ სიჩქარით ხვნის დროს ვერ ხერხდება ხარისხიანი ხვნის უზრუნველყოფა, ბელტის გადაზრუნება და სარეველების ნიადაგში ჩახვნა.

ახალი გუთნებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება: სამკორპუსიანი კომბინირებული საკიდი გუთანი **ПВН-3-35** და როტაციული **ПР-2,7**, რომლებიც გათვალისწინებულია მაღალი 1,4 და 3 კლასის სიმძლავრის თვლიან ტრაქტორებთან აგრეგატირებისთვის. აღნიშნული გუთნები აღჭურვილია აქტიური სამუშაო ორგანოებით, რომლებიც მოძრაობაში მოდიან ტრაქტორის ძალამრთმევი ლილვიდან.

გუთან **ПВН-3-35**-ზე ფრთის მაგივრად დამაგრებულია ფრთიანი როტორები, რომლებიც მოძრაობაში მოდიან ტრაქტორის ძალამრთმევი ლილვიდან, ისინი აქუცმაცებენ და აზრუნებენ ბელტს.

გუთან **PII-2,7**–ზე აქტიურ სამუშაო ორგანოს წარმოადგენს ფრეზერული დოლი. ის ინტენსიურად აქუცმაცებს ბელტს, აბრუნებს მას მცენარეულ საფართან ერთად. მისი გამოყენება რეკომენდებულია სხვადასხვა სახის ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად ნიადაგის მომზადებისათვის.

მიწათმოქმედების ნიადაგდამცავი სისტემის ათვისების დროს საჭიროა გამოყენებული იქნას ნიადაგის უფრო გუთნითდამუშავების ტექნოლოგია. ამისათვის გამოიყენება ნიადაგის ბრტყელმჭრელები **PII-3-100, KPII-250A** და სხვა.

სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ბრტყელმჭრელების გამოყენებით პრაქტიკულად ყველა კულტურის მოსავლიანობა იზრდება. ასეთი წესით დამუშავება ნაკლებად ენერგოტევადია (27-35%-ით), ვიდრე ფრთიანი გუთნებით. ამასთან საწვავის ხარჯი მცირდება 25%-ით. თუმცა აქვს უარყოფითი მხარეც – საჭიროა ბრტყელმჭრელების სამუშაოდ განსაკუთრებული მომზადება. სახნისების დაბლაგვების შემთხვევაში იცვლება ნიადაგის დამუშავების სიღრმე და ხარისხი, მოხვნის სიღრმე არათანაბარი ხდება, რის გამოც ირღვევა აგროტექნიკურ ღონისჭიებათა მოთხოვნები.

ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს ერთდროულად გამოიყენება ნიადაგის ზედაპირული დამუშავების მანქანები და იარაღები: დისკები, საგორავები. კულტივატორები, ფრეზები და სხვა. განსაკუთრებით მაღალმწარმოებლურია კომბინირებული ნიადაგდამამუშაველი აგრეგატები **AKII-5, AKII-2,5, AKP-3,6, PBK-7,2**, რომლებიც ერთდროულად ხუთამდე ტექნოლოგიურ პროცესს ერთდროულად ასრულებენ.

დასკვნები: აჭარის პირობებში ტექნიკის ნიადაგზე ზემოქმედების შემცირების ტექნიკური ღონისძიებანი.

დამუშავებლია და მუშავდება მეთოდები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას შევამციროთ ნიადაგზე მექანიკური მოქმედებებით გამოწვეული უარყოფითი გავლენები. შეგვიძლია გამოვყოფოთ ამ პრობლემების გადაწყვეტის სამი მიმართულება:

1. ტექნოლოგიური, რომელიც მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების ტექნოლოგიების გაუმჯობესებაში, რაც მოიცავს: ტექნიკის მინიმალურ მიმოსვლას ნაკვეთში, მანქანათა მიმოსვლის რაციონალური მარშრუტების შემუშავებას, კომბინირებული და ფართომოდების აგრეგატების გამოყენებას, ნიადაგის მინიმალურ დამუშავებას და სხვა. ეს ზომები ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში.

2. აგრონომიული, რომელიც ითვალისწინებს სასუქების შეტანას ნიადაგის გამკვრივების საწინააღმდეგო თვისებების ამაღლებისათვის, დამატებითი ოპერაციების შემოღებას გაფხვიერებისათვის.

3. კონსტრუქციული, რაც ითვალისწინებს ტრაქტორების და სას. სამ. მანქანების კონსტრუქციულ გაუმჯობესებას, რათა შემცირდეს ნიადაგზე ნეგატიური ზემოქმედება პოტენციური და ეფექტური ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით. ეს შესაძლებლობას იძლევა ნიადაგის დამუშავებისას ენერგიის დანახარჯების შემცირებისა, რომელიც დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია. კონსტრუქციული მიმართულება არის პრობლემის გადაჭრის ეფექტური საშუალება. ამ დროს შედარებით ადვილია შემსუბუქებული იქნას მექანიკური ზემოქმედება, ვიდრე აღმოიფხვრას შედეგები.

აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე

სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულების 2023 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

შემსრულებლები: გურამ პაპუნძიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

მერაბ არძენაძე - ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თემა: „აჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევა, მათი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა სტაბილური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღების მიზნით.“

ტყემალი (ლათ. *Prunus cerasifera*) - მრავალწლოვანი ხეხილოვანი მცენარეა ვარდისებრთა ოჯახის კურკოვანთა გვარისა. ზოგჯერ ხისმაგვარი ბუჩქია, ძლიერ დატოტვილი, ეკლიანი ან უეკლო. ფოთლები მონაცვლეობითია, ელიფსური, ოვალური ან კვერცხისებრი, 3-7×2-3,5 სმ, დაკბილული კიდეებით, ზემოდან ბუსუსების გარეშე და პრილა, ქვემოთ დამარღვული ბუსუსებიანი. ყვავილები არის ჰერმაფროდიტი და ჩნდება მარტ-მაისში ფოთლებზე ოდნავ ადრე, 2-2,5სმ სიგანის, დაახლოებით 1,5სმ სიგრძის ფოთლებზე. ნაყოფი მომრგვალო, მობრტყო-მომრგვალო ან კვერცხისებრი ფორმა აქვს. ის ხარობს არაკულტივირებულ ტერიტორიაზე. ქმნის სქელ ეკლოვან მასას, რომელიც შეიძლება ნაპოვნი იქნას გზებთან, არხებთან, წყალმარხ ადგილებში ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით. ფერად ყვითელი, წითელი და იისფერია, ზოგჯერ თითქმის შავი. ნაყოფი შეიძლება იყოს მრგვალი, წაგრძელებული, ბრტყელი, მახვილი ან მოხრილი, ღეროებით ან მის გარეშე. გემოვნებით ისინი ძირითადად მჟავა, ტკბილი ან მოტკბო. ნაყოფის ფერი მერყეობს შავიდან ლურჯამდე, მოლურჯო, მუქი წითელი, წითელი, მოწითალო, იისფერი, ვარდისფერი, ყვითელი და ღია ყვითელი. კურკები შეიძლება იყოს მრგვალი, წაგრძელებული, ბრტყელი, გლუვი ან დადარული ზედაპირით, ზოგჯერ აშკარა მახვილი გამონაზარდებით. რბილობი წვნიანი ან ნაკლაბად წვნიანი. კურკა ძნელად ან ადვილად ცილდება რბილობს. აღსანიშნავია, რომ ქართლური ტყემალების უმეტესი ნაწილი ადვილად ცილდება კურკა (1,2,3,4).

ტყემალი ხასიათდება გარემო პირობებთან კარგი შეგუების უნარით. იგი სინათლის, სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარეა. ნიადაგისადმი ნაკლებ მომთხოვნი, დაავადებებისადმი მედეგი, გვალვა- და ყინვაგამძლეა. გვხვდება ცალკეული ფორმები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი გვალვა და ზამთარგამძლეობით. კარგად განვითარებული, ძლიერი ფესვთა სისტემის გამო კარგად იტანს როგორც მშრალ, ასევე ტენიან ნიადაგებს. ტყემალი ყვავილობს ადრე და ახასიათებს ხანგრძლივი ყვავილობის პერიოდი, ამიტომ ხშირად ზიანდება გაზაფხულის გვიანი წაყინვებით. მოსავლიანობა ზრდასრული ხიდან 300 კგ-მდეა. მეხილეობაში იყენებენ ქლიავის, ატმისა და გარგარის საძირედ. ველურად და კულტურაში გავრცელებულია ბალკანეთში, შუა და მცირე აზიაში, ირანში, ამიერკავკასიაში და სხვა. საქართველოში უძველესი დროიდან თითქმის ყველგანაა გავრცელებული ზღვის დონიდან 1600-1800 მეტრამდე სიმაღლეზე.

საქართველოში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ტყემლის წარმოების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. თუ 2006 წელს ტყემლის წარმოება 24 000 ტონას აღწევდა, 2015 წელს მან შეადგინა მხოლოდ 12 000 ტონა (საქსტატი). შიდასახეობრივი მრავალფეროვნებით „პრუნუსი“ შეიძლება გახდეს ახალი ქვესახეობების მორფოლოგიური მახასიათებლების მიხედვით აღწერის საფუძველი, რაც ართულებს გვარის

სისტემატიზაციას. სირთულეები გამოწვეულია იმის გამო, რომ ეს სახეობები და ფორმები ტერიტორიულად არ არის გამიჯნული. ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს მათი ჰიბრიდიზაციისთვის. შესაბამისად, თვისებები, რომლებიც ამ ჯგუფის სისტემატიზაციის საფუძველს წარმოადგენს, არ არის სპეციფიკური კონკრეტული სახეობისთვის და ავლენს ტენდენციას სხვა სახეობის აღმოჩენისათვის. ტყემალის პოლიპლოიდური ფორმები არ არის სახეობათაშორისი ჰიბრიდები. ამ ფაქტს ადასტურებს მათ შორის არსებული მორფოლოგიური განსხვავება. ამავე დროს ისინი ჰგვანან დიპლოიდურ მცენარეებს, რომლებიც გამოირჩევიან პოლიმორფიზმით. გარდა ამისა, ტყემალის ამ პოლიპლოიდურ ფორმებს არ გააჩნიათ ამ გვარის სხვა სახეობის ნიშნები, აქვთ ნაყოფიერი მტკერი და მაღალპროდუქტიულია (1).

მოუმწიფებელი ნაყოფი გამოიყენება მჟავე სუპებში, მწიფე ნაყოფს მიირთმევენ ახალს ან იყენებენ უალკოჰოლო ან ფერმენტირებული და გამოხდილი ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად (5). ტყემლის ველური წითელი და ვარდისფერი ჯიშების ანთოციანების შემადგენლობისა, ფენოლური შემცველობა და ანტიოქსიდანტური აქტივობის კვლევებმა აჩვენა, რომ ის შეიძლება გადაიქცეს ჯანსაღი ხილის სასმელების წყაროდ მათი მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის გამო. ხილის კანი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რესურსი ბუნებრივი პიგმენტების დასამზადებლად (6). ამ სახეობას დიდი გენეტიკური მნიშვნელობა აქვს მეხილეობისათვის (7). გენეტიკურმა კვლევებმა გამოავლინა *Prunus cerasifera* Ehrh -ის გენოტიპები (8). გარდა ამისა, ეს გენოტიპები მდგრადია დაავადებებისა და ინფექციის გამოხატვის მიმართ. ამ მიზეზით, *Prunus cerasifera* Ehrh -ის ზოგიერთი ჯიში გამოიყენება, როგორც საძირე სხვა ხილის სახეობებისა და ჯიშების მცნობისათვის, როგორცაა ქლიავი, გარგარი და ატამი (9,10). მოძიებული იქნა ინფორმაცია საქართველოში ფართოდ გავრცელებული ტყემლის ჯიშების ქიმიური შედგენილობის შესახებ. ტყემლის შესწავლილი ჯიშები გამოირჩევიან, მშრალი ნივთიერებების (10.01-14.68%). შაქრების (3.55-7.0%). ასევე მოძიებული იქნა მონაცემები ტყემლის ჯიშების ნაყოფების დამწიფების შესახებ და დავაჯგუფეთ სიმწიფის ფაზის მიხედვით (საადრეო და საგვიანო).

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საველე ექსპედიცია ქედის მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფელში ტყემლის პერსპექტიული ჯიშების გამოვლენის მიზნით. მონიშნული იქნა ტყემლის ექვსი ფორმა და ჯიში. მოხდება აღნიშნულ მცენარეებზე პერიოდული დაკვირვება და შესაბამის პერიოდში მოხდება მათგან სანამყენე მასალის აღება შემდგომი კვლევების ჩატარების მიზნით. საძირე მასალის გამოყვანის მიზნით განხორციელდა ტყემლის თესლის ჩათესვა პოლიეთილენის პარკებში.

2. ექსპერიმენტული ნაწილი

2.1. ტყემლის სხვადასხვა ჯიშებისა და ფორმების ფენოლოგიური ფაზების შესწავლა

ფორმების აგრობიოლოგიური, ტექნოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები.

კვლევისათვის აღებული იქნა ტყემლის შვიდი ჯიშობრივი ფორმა. ოთხი ჯიში-ფორმა შერჩეული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის ერთი ფორმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში, ერთი ფორმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახინჯაურში, და ერთი ფორმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფერმერის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთში. მცენარეების შერჩეულ ფორმებს მინიჭებული აქვთ პირობითი დასახელებები, მანამ სანამ მოვახდენთ მათ იდენტიფიკაციას. ქედის მუნიციპალიტეტში მონიშნულ ფორმებს: №1-V, №2-V, №3-V, №4-V, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შერჩეულ ფორმას №5-L, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შერჩეულ ფორმ №6-X, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შერჩეულ ფორმას კი №7-Z.

საანგარიშო პერიოდში კვლევის დადგენილი მეთოდით გათვალისწინებული იყო

მცენარის ძირითადი ორგანოების (ხე, ყლორტი, ყვავილი, ფოთოლი) აღწერა. ფენოლოგიური ფაზების აღრიცხვა კვირტების გაშლა, ყვავილობა (დაწყება, მასიური, დასასრული), მიმდინარეობის კალენდარული ვადები.

ასევე შესწავლილ იქნა ჯიშის ბიომეტრული მახასიათებლები-აღრიცხა ხის სიმაღლე, სიგანე, შტამბის დიამეტრი.

შერჩეული ტყემლის ჯიშების ფენოფაზების კალენდარულ ვადებზე ჩატარებული დაკვირვების შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

ტყემლის ჯიშების ფენოფაზების კალენდარულ ვადებზე ჩატარებული დაკვირვების შედეგები

ტყემლის ფორმა	კვირტების დაბევა	ყვავილობა			
		დასაწყისი	ინტენსიური	დასასრული	ხანგრძლივობა, დღე
№1-V	20.02	10.03	13.03	19.03	9
№2-V	27.02	12.03	18.03	22.03	10
№3-V	21.02	11.03	15.03	23.03	12
№4-V	25.02	11.03	16.03	20.03	9
№5-L	16.02	05.03	10.03	13.03	8

ფენოფაზების მსვლელობაზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს მიერ შერჩეული ტყემლის ფორმები ვეგეტაციას იწყებს თებერვლის მესამე დეკადაში. ყვავილობა კი იწყება მარტის თვის პირველ დეკადაში. ინტენსიური ყვავილობის პერიოდი გრძელდება 8-დან 12-დღემდე, საშუალოდ 10 დღეა. ყველაზე ადრეული ვეგეტაცია აღინიშნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მონიშნული ჯიშის №5-L შემთხვევაში, ხოლო ყველაზე საგვიანო კი ტყემლის ფორმა №2-V. ყვავილობის საშუალო პერიოდი გრძელდება გრძელდება 5 მარტიდან 23 მარტამდე. უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეული ფორმებიდან მკვეთრი განსხვავებაა ყვავილობის კალენდარული დროის მიხედვით ადგილგანლაგების მიხედვით: №5-L (ლანჩხუთი) ტყემლის ფორმისათვის გრძელდება 5 მარტიდან 13 მარტამდე, ხოლო დანარჩენი ოთხი ფორმისათვის კი იწყება შედარებით გვიან (10.03) და შესაბამისად მთავრდება მოგვიანებით (23.03). ეს ჩვენი ვარაუდით გამოწვეულია შერჩეული მცენარეების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.

განხორციელდა შერჩეულ ტყემლის ფორმებზე ბიომეტრული დაკვირვებები. კვლევის მონაცემები მოცემულია ცხრილი2-ში.

ცხრილი 2.

ტყემლის სხვადასხვა ფორმების ხის ბიომეტრული პარამეტრები

ტყემლის დასახელება	ხის სიმაღლე (მ)	ვარჯის მოცულობა (მ³)	ვარჯის პროექცია (მ²)
№1-V	5,25	35,14	5,63
№2-V	3,95	29,52	4,04
№3-V	3,32	26,57	4,43
№4-V	3,95	26,60	4,78
№5-L	3,70	20,18	3,39

როგორც მონაცემების ანალიზმა აჩვენა (ცხრილი2) ყველაზე კომპაქტური ვარჯით (20,18 მ³) ხასიათდება ჯიში №5-L, ხოლო ყველაზე ფართო ვარჯით ჯიში №1-V (35, 14 მ³).

კვლევები და დაკვირვებები გრძელდება, რომლის ფარგლებში მოხდება შემდგომი ფენოლოგიური ფაზების შესწავლა: ნაყოფის მომწიფება (დაწყება, მასიური), ფოთოლცვენა (დასასრული); ნაყოფის პომოლოგიური აღწერა, მექანიკური ანალიზი და ძირითადი ბიოქიმიური მაჩვენებლების დადგენა.

2.1. ტყემლის ჯიშობრივი ფორმების ტექნოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლა

ექსპერიმენტისათვის ნაყოფები აღებული იქნა ტექნიკური სიმწიფის სტადიაში, მექანიკური და მიკრობიოლოგიური დაზიანებების გარეშე. თითოეული ჯიშის ნაოფებში განისაზღვრა შემდეგი ფიზიკო-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლები: ნაყოფის წონა, ნაყოფის მოცულობა, ნაყოფი ხვედრითი წონა, სიმაღლე და დიამეტრი, კურკის წილი ნაყოფის წონასთან მიმართებაში, რბილობისა და კანის წილი ნაყოფის საერთო წონაში, მშრალი ნივთიერებები რეფრაქტომეტრით, კორექტირებული მშრალი ნივთიერებები, მჟავიანობა ვაშლმჟავაზე გადაანგარიშებით, ინვერსიული შაქრები, საქაროზა, ხსნადი პექტინი, პროტოპექტინი, საერთო პექტინი. ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი კვლევის მეთოდები:

წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერების განსაზღვრა რეფრაქტომეტრით - გოსტი-51433-99; კორექტირებული Brix-ის განსაზღვრა-გოსტი-51 433-99. კორექტირებული Brix-ის განსაზღვრა ხდება წვენი მშრალი ნივთიერების მაჩვენებლისა და ტემპერატურის შესწორების კოეფიციენტის გათვალისწინებით და მას ემატება მჟავიანობის მაჩვენებლის შესწორების კოეფიციენტი.

ტიტრული მჟავიანობის (საერთო მჟავიანობის) განსაზღვრა-სტანდარტული მეთოდით (გატიტვრით); საერთო პექტინის განსაზღვრა კარბაზოლით სპექტრალური მეთოდით; (AOAC Official Method); შაქარ-მჟავური ინდექსი(raxio)-მისი განსაზღვრა ხდება გაანგარიშების მეთოდით. კორექტირებული წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერების brix % შემცველობის შეფარდებით ტიტრულ მჟავიანობასთან (%) მიიღება შაქარ-მჟავური ინდექსის მაჩვენებელი; ცდის შედეგები მოცემულია ცხრილი 3-ში.

ცხრილი 3

ტყემლის ნაყოფის ფიზიკური მახასიათებლები

ჯიშობრივი ფორმა	ფორმა	ფერი	გემო	ზომა (მმ)		მასა (გ)	მოცულობა (მლ)
				გრძივი ჭრალი	განივი ჭრალი		
№1-V, ქედა, სოფ. ვაიო	მომრგვალო, წვეროსკენ ოდნავ წაგრძელებული	მოწითალო, ოდნავ ვარდისფერი	მომჟავო-ტკბილი	27.4	25.6	10.4	10.0
№2-V, ქედა, სოფ.ვაიო	ოდნავ წაგრძელებული	მოწითალო-ვარდისფერი	მოტკბო-მომჟავო	31.24	28.49	13.46	13.46
№3-V, ქედა, სოფ ვაიო	მრგვალი, შესამჩნევი ღარით	მუქი ბორდოსფერი	მოტკბო-მომჟავო	35.9	32.7	18.7	19.0
№4-V, ქედა	კვერცხისებური	მუქი წითელი	მოტკბო	22.86	23,6	7.1	7.0
№5-L, ლანჩხუთი სოფ.სუფსა	ოვალური	მოშავო-მოლურჯო	მომჟავო-მოტკბო	29.9	26.9	12.83	12,4
№6-X, ხელვაჩაური, სოფ.მახინჯაური	მოგრძო	ბორდოსფერი	მოტკბო-მომჟავო	23.8	20.6	6.3	6,1

№7-Z, ზუგდიდი	მოგრძო- მომრგვალო	წითელი	მომჟავო- მოტკბო	26.4	27.4	10.2	10,0
---------------	----------------------	--------	--------------------	------	------	------	------

ცხრილი 4

ტყემლის სხვადასხვა ჯიშობრივი ფორმების ქიმიური მაჩვენებლები

ჯიშის დასახელება	შშრალი ნივთიერება რეფრაქტომეტრით, Brix, %	შშრალი ნივთიერება, კორექტირებული, Brix	მჟავიანობა (ვაშლმჟავაზე გადაანგარიშებით, %)	შაქრები, %			პექტინოვანი ნივთიერებები, %	თანაფარდობა Brix/მჟავიანობა
				საერთო	ინვერსიური	საქაროზა		
№1-V	10,50	11,22	3,10	5,87	4,45	1,42	1,69	
№2-V	11,30	12,01	2,71	5,63	1,15	4,42	0,98	
№3-V	12,20	13,00	2,53	3,50	1,00	0,98	0,83	
№4-V	10,45	11,12	2,53	6,74	4,20	2,54	1,02	
№5-L	12,93	13,18	2,63	8,25	6,10	2,15	0,98	
№6-X	11,14	11,92	2,78	7,35	5,25	2,10	1,22	
№7-Z	14,47	15,15	3,02	7,98	4,43	3,55	1,15	

საანგარიშო პერიოდში შერჩეული ჯიშობრივი ფორმის მცენარიდან აღებული იქნა ბიოლოგიური მასალა-სანამყენე კალმები. მოხდა წინასწარ გამოყვანილი საძირებზე მცნობა. მიმდინარეობს დაკვირვებები რომლის ფარგლებში მოხდება შემდგომი ფენოლოგიური ფაზების შესწავლა.

დასკვნები

- ლიტერატურული მონაცემებიდან გამომდინარე შეძლება ითქვას, რომ საქართველოში გავრცელებული ტყემლის (*Prunus cerasifera Ehrh*) ზოგიერთი ველური ფორმის და კულტურული ჯიშის ნაყოფის ტექნიკური და ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით, ნაყოფი არ პასუხობს პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს;

- ტყემლის შესწავლილი ჯიშები გამოირჩევიან, მშრალი ნივთიერებების (10.01-14.68), შაქრების (3.55-7.0%), ამავე დროს მჟავების (2.0-3.1%);

- ტყემლის ნაყოფის ზოგიერთი ველური ფორმის და კულტურული ჯიშის ყველა შემთხვევაში, რაოდენობრივად, ვაშლ მჟავა ჭარბობს შემცველობა საერთო რაოდენობის 60%-მდეა, ხოლო ლიმონის მჟავა უმნიშვნელო რაოდენობითაა (საერთო მასის 5%-მდე);

- ტყემლის ნაყოფის მოძიებული ჯიშების შემთხვევაში წითელნაყოფა მწვანე ფოთლიან ჯიშებში და ფორმებში გლუკოზა ნახშირწყლების შემცველობის 50%-ზე მეტია, ხოლო წითელ ფოთლიან ფორმებში საქაროზა 60%-მდეა. ტყემლის ნაყოფის წვენში შაქარ/მჟავა ინდექსი 4-ის ფარგლებშია.



№1-V



№4-V



№5-L



№6-Z



აკადემიკოსი გურამ პაპუნძე

ვიზიტები, საქმიანი შეხვედრები

სწავლულ ექსპერტთა რეესტრის პორტალის პროექტის განხილვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2023 წლის 2 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელზეც დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია „სწავლულ ექსპერტთა რეესტრის“ პორტალის შექმნის საკითხებთან დაკავშირებით. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნები: დოქტორი მარინე ბარვენაშვილი და აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა, დალი თარხნიშვილი, ქეთევან ჭიპაშვილი და მარიკა მოსაშვილი.

ინფორმაცია „სწავლულ ექსპერტთა რეესტრის“ პორტალის შექმნასთან დაკავშირებით აუდიტორიას მიაწოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილოსოფიის დოქტორმა ზურაბ ჯიბლაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, თითქმის ორი წელია მუშაობს წარმოდგენილი პორტალის შექმნაზე. უკვე მომზადებულია პირველი სამუშაო ვერსია, განისაზღვრა ძირითადი პარამეტრები, რომელი კრიტერიუმებითაც შეირჩევიან სწავლული ექსპერტები.

ბატონმა ზურაბმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში მომრავლდა ე. წ. „ექსპერტად“ წოდებული პირები, რომელთა პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია ხშირ შემთხვევაში გარკვეულ კითხვებს ბადებს. ამიტომ საჭირო გახდა ქვეყანაში შექმნილიყო ერთიანი ბაზა, სადაც თავს მოიყრიდნენ სხვადასხვა დარგის ქმედუნარიანი მეცნიერ-სპეციალისტები, რომელთა კომპეტენციაც ექვს არ გამოიწვევდა. შესაბამისად,



სწავლული ექსპერტად უნდა იწოდებოდეს სამეცნიერო ხარისხის და/ან სხვა სამეცნიერო წოდებების მქონე პირი, რომლის კომპეტენციაც დადასტურებული იქნება მისი სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის აღიარებული შედეგებით. რაც შეეხება სწავლულ ექსპერტთა რეესტრის მიზანს, ესაა სახელისუფლო ორგანოებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, ბიზნეს სექტორისთვის, კვლევითი დაწესებულებებისთვის

და გადაწყვეტილების მიმღები სხვა პირებისთვის, გამართული მექანიზმის უზრუნველყოფა, რათა მსურველებმა ადვილად მიიღონ ინფორმაცია, კონსულტაციები და შესაბამისი ექსპერტული მომსახურება, სწორი და ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. შემდეგ ბატონმა ზ. ჯიბლაძემ აუდიტორიას წარუდგინა „სწავლულ ექსპერტთა რეესტრის“ პორტალის სამუშაო ვერსია, ფილტრები (მიმართულება, დარგი, ქვედარგი, რეგიონი, უცხოეთი), რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ექსპერტის მოძიება სასურველი სფეროსა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

პრეზენტაციის ბოლოს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი „სწავლულ ექსპერტთა რეესტრის“ პორტალი ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამუშაო ვერსიაა და მასზე მომუშავე ჯგუფი სიამოვნებით გაითვალისწინებს შენიშვნებსა და სურვილებს.

„სწავლულ ექსპერტთა რეესტრის“ პორტალთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორმა, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ, აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რევაზ მახარობლიძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ შესრულებულია მეტად მნიშვნელოვანი, რთული და დიდი მოცულობის სამუშაოები, და რომ ის პარამეტრები, რომელი კრიტერიუმებითაც შეირჩევიან სწავლული ექსპერტები, საუკეთესოდ გამოავლენს დარგის ჭეშმარიტ პროფესიონალებს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ. მან თავისი და დამსწრე საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა ბატონ ზურაბ ჯიბლაძეს მოზრძანებისა და საინტერესო პრეზენტაციისათვის.

„სწავლულ ექსპერტთა რეესტრის“ პორტალი შეგიძლიათ იხილოთ ვებ.გვერდზე: rle.gtu.ge

სტუმრად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2023 წლის 11 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ ფონდ „განვითარება და გარემო“-ს მთავარი კოორდინატორი ბატონი იოსებ ტყემალაძე, თავმჯდომარე, ბატონი თეიმურაზ ტყემალაძე და აღმასრულებელი დირექტორი ბატონი გოჩა კობერიძე.

სტუმრებს უმასპინძლეს აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის



უფროსმა, დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა, აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა, სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორმა აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ, აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა

დოლიძემ, და აკადემიის საერთაშორისო პროგრამების, საგრანტო პროექტების კონსულტანტმა, პროფესორმა თამაზ ბაციკაძემ.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი გიორგი ქავთარაძე, თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, ბიოლოგიის დოქტორები: არჩილ სუპატაშვილი და მედეა ბურჯანაძე, სოფლის მეურნეობის დოქტორები: ნანა გოგინაშვილი და ზვიად ტიგინაშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი, სატყეო დარგის სპეციალისტები და სხვ.

ბატონებმა იოსებ ტყემალაძემ და თეიმურაზ ტყემალაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს აკადემიაში სტუმრობის მიზანი, რაც უკავშირდებოდა თბილისის ურბანული ტყის განაშენიანებასთან დაკავშირებული საკითხების დარგის სპეციალისტებისა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობას. მათ ისაუბრეს იმ მძიმე მდგომარეობაზე, რაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აღენიშნებოდა ქალაქის ტყის ლანდშაფტს. განსაკუთრებული ყურადღება ნარიყალას ქედის, მთაწმინდის ქედის ფერდობებსა და მათ მახლობელ ტერიტორიებზე გაამახვილეს. შემდეგ სიტყვა გადასცეს ბატონ გოჩა კობერიძეს, რომელმაც წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით აუდიტორიას მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია პრეზენტაციის - „მეტი ტყე“ სახით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფონდი „განვითარება და გარემო“ პროექტს „თბილისის ურბანული ტყე“ ახორციელებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერითა და სრული დაფინანსებით, რომელმაც აღნიშნულ პროექტში 22,0 მლნ ლარიანი ინვესტიცია ჩადო. პროექტი ხუთწლიანია (2020-2024 წ.წ.) და მოიცავს 677 ჰა ფართობის ტყის მასივით განაშენიანებას. თბილისის ურბანული ტყე მოიცავს ნარიყალას ქედის ჩრდილოეთ ფერდობს, მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებს, კუს ტბის, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის, ვაკის პარკის და ბულბულების ჭალის ტერიტორიებს. საწყის ეტაპზე მოხდა მწვანე ნარგავების შეფასება, საფრთხეების კლასიფიკაცია, დაიგეგმა ჩასატარებელი სამუშაოები-კვლევები, რომელიც ჩატარდა გეოლოგიის, ბიოლოგიის, ზოოლოგიის, ფიტო-სანიტარიის, ბოტანიკის, ჰიდროლოგიის, გარემოს დაცვის, ნიადაგის, ტყის, ლანდშაფტის, ურბანიზაციის, ტურიზმისა და ეკონომიკის მიმართულებით. მოგვიანებით მოიჭრა და განადგურდა დაავადებული, ხმელი და ზეხმელი ხეები, მოწესრიგდა ტერიტორია შემდგომი განაშენიანებისათვის, რისთვისაც შეირჩა სარგავი მცენარეები, მ. შ. ჰიმალაის კედარი, ქართული ნეკერჩხალი, ქვამუხა, იფანი, რცხილა და ა.შ. სულ დაირგო 120 000 ძირი ხე, თუმცა დარგვითი სამუშაოები კვლავაც გრძელდება. ტერიტორიაზე დაგეგმილია ხოხბის, კაკბისა და გნოლის რეინტროდუქცია, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს წლების წინ არსებული ბიოგეოცენოზის აღდგენას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე რეაბილიტირებულია 20 კმ-მდე სიგრძის სავალი ბილიკი, დამონტაჟებულია ძელსკამები, გადმოსახედები, ფრინველებზე დაკვირვების ქოხი, საპიკნიკეები.

ბატონმა გოჩა კობერიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ მსგავსი ტიპის სამუშაოების ჩატარება უახლოეს მომავალში დაგეგმილია ქალაქ ქუთაისში და ქალაქ რუსთავში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა: ნოდარ ჭითანავამ,



გურამ ალექსიძემ, რომლებიც მიესალმნენ ფონდის წამოწყებას დიდ ქალაქებში შეიქმნას ველურ ბუნებასთან მიახლოებული რეკრეაციული ზონები, სადაც ქალაქის მაცხოვრებლები და არამართო ისინი, შეძლებენ დაისვენონ, მოწყდნენ ყოველდღიურ რუტინას და შეიგრძნონ ადამიანისა და ბუნების ერთიანობა. გარდა ამისა ხაზი გაუსვეს იმასაც რომ პროექტი თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი კონკრეტული ქვეყნის მასშტაბებს და მან შეიძლება მოიცვას გაცილებით დიდი სივრცე. სიტყვით გამოვიდა ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, ნათია იორდანიშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ამცნო სააგენტოს წამოწყების ტყის დაცვის პოპულარიზაციის საქმეში ახალგაზრდა თაობის ჩართვის შესახებ.

შეხვედრა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ ქვეყანაში არაერთი სასიკეთო წამოწყება დააფინანსა, რომელთა შორისაა პროექტი „თბილისის ურბანული ტყეც“. მოიწონა და დადებითად შეაფასა ის შრომატევადი და რთული სამუშაოები, რომელიც ფონდმა „განვითარება და გარემომ“ შეასრულა პროექტის განხორციელების პერიოდში. შემდეგ სტუმრებს გააცნო აკადემიაში მოქმედი გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების საქმიანობა და გამოთქვა მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში დარგის მეცნიერების მხრიდან დახმარების გაწევის და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების გაცემის თაობაზე.

შეხვედრის ბოლოს, ორივე მხარემ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და ფონდმა „განვითარება და გარემომ“ გამოთქვა სურვილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

ავსტრიელი მეცნიერი სტუმრად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სამუშაო ვიზიტით ეწვია ავსტრიის ტყეების, ბუნებრივი საფრთხეებისა და ლანდშაფტის ფედერალური კვლევითი და ტრენინგ ცენტრის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ბერტოლდ ჰაინზე. შეხვედრა გაიმართა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში. სტუმარს დახვდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი და აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე. შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ: აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ. შ., სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, სსიპ სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი, სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის სპეციალისტები: მარგალიტა ბაჩილავა და ირინე თვაური, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა



საბჭოს წევრები, დოქტორები: თინათინ ეპიტაშვილი; ლაშა ჩიბურდანიძე; ირინე ჩარგეიშვილი; მარიამ ნოზაძე; ნატალია ტოგონიძე; მაგისტრები: ბაგრატ რაზმაძე; ალექსანდრე საკანდელიძე; აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ქეთევან ჭიპაშვილი, მარიკა მოსაშვილი და ლარისა ჩაიკა.

შეხვედრა გახსნა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარემ, დოქტორმა გიორგი ქავთარაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროფესორ ბერტოლდ ჰაინზეს საქართველოში ჩამოსვლის მიზანი. აღნიშნა, რომ ბატონი ბერტოლდი გახლავთ ქართველ მეცნიერ-მეტყველთა ერთ-ერთი პროექტის უცხოელი კონსულტანტი. იგი წლებია თანამშრომლობს ქართველ მეცნიერებთან და მათთან ერთად განიხილავს ტყეებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს, გეგმავს მათი გადაჭრის რაციონალურ გზებს. შემდეგ დოქტორმა გ. ქავთარაძემ სიტყვა გადასცა ბატონ ბ. ჰაინზეს. სტუმარმა დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო თავისი საქმიანობის შესახებ. აღნიშნა, რომ ავსტრიის ტყეები ძირითადად მონოკულტურებით - სოჭნარებითაა წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, მონოკულტურებში მავნებლები გაცილებით სწრაფად ვრცელდებიან, რადგან მათ წინ არ ხვდებათ არავითარი წინააღმდეგობა. ისინი ერთი ხიდან თავისუფლად გადადიან მეორეზე და ასე მრავლდებიან. სწორედ ეს გახლავთ ტყეების განადგურების განმსაზღვრელი მიზეზი. სტუმარმა აუდიტორიას ასევე გააცნო თავისი სამეცნიერო ინტერესის სფერო, რომელიც უკავშირდება მცენარეთა, მოლეკულურ და კონსერვაციულ გენეტიკას. თვლის, რომ გენეტიკოსთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი მცენარეთა გენომის დადგენა ან ისეთი მცენარეების მიღება, რომლებიც გლობალური დათბობის ფონზე განსაკუთრებული სიმტკიცით გამოირჩევიან სხვადასხვა მავნებელ-დაავადებების მიმართ.

შეხვედრის ფარგლებში საუბარი წარიმართა საქართველოს ტყეების დღევანდელ მდგომარეობაზეც. ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა სოფლის მეურნეობის დოქტორმა ნანა გოგინაშვილმა. გარდა ამისა მან ყურადღება გაამახვილა პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზეც. აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ ხაზი გაუსვა საქართველოს ტყეების განსაკუთრებულობას. მან თქვა, რომ ავსტრიის ტყეებისგან განსხვავებით და არა მარტო ავსტრიის, ზოგადად ევროპის ტყეებისგან განსხვავებით, რომელთა უდიდესი ნაწილი ხელოვნურადაა გაშენებული, ჩვენი ტყეები ბუნებრივი წარმომავლობისაა, და ამდენად მათი რეზისტენტობაც გარკვეული დაავადებების მიმართ გაცილებით ძლიერია. სწორედ ამიტომაც, რომ დიდი ყურადღება ეთმობა ქართული სოჭის გაშენებას მთელ ევროპაში, რისთვისაც მაგალითისთვის, ქვეყნიდან სოჭის თესლი გააქვთ. დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად ტყეებთან დაკავშირებული თითოეული პრობლემა ეს არაა ერთი თუ ორი ქვეყნის გადასაწყვეტი, იგი გლობალური მნიშვნელობისა და ამიტომ მთელი მსოფლიო უნდა ჩაერთოს მის გადაწყვეტაში.

შეხვედრა შეაჯამა დოქტორმა გიორგი ქავთარაძემ. მან დამსწრე საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისათვის და წარმატება უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

შეხვედრის ბოლოს დოქტორებმა მარინე ბარვენაშვილმა და თინათინ ეპიტაშვილმა პროფესორ ბერტოლდ ჰაინზეს დაათვალიერებინეს აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენა, გააცნეს წარმოდგენილი ექსპონატები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ვიზიტი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში



მიმდინარე წლის 21 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი აპოლონ კაკაბაძე და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე, ქალბატონი ნათია

იორდანიშვილი. შეხვედრა წარიმართა მრგვალი მაგიდის ფორმატში. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის პრეზიდენტი მრჩეველი აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ბაციკაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე, აკადემიის პრეზიდენტიმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის პრეზიდენტიმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ნატო კობახიძე, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის დოქტორი არჩილ სუპატაშვილი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე, ასევე აგრარული და გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებების მეცნიერ-სპეციალისტები, აკადემიის აპარატის მუშაკები.

მრგვალი მაგიდა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ ბატონმა გივიმ ფართოდ გააშუქა აკადემიის საქმიანობა, მისი სამომავლო გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებით აკადემიაში წარმოებულ საქმიანობაზე. აღინიშნა, რომ ეკოლოგია, ტყე ეს არ არის მარტო დარგის სპეციალისტების საზრუნავი, იგი თითოეული ჩვენთაგანის საფიქრალია. აკადემიის პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა აკადემიასა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე, მის მნიშვნელობაზე, აკადემიის მხრიდან გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებით კონკრეტული საქმიანობების მეცნიერულ უზრუნველყოფაზე. შემდეგ ბატონმა გივის სიტყვა გადასცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

მოადგილეს, ბატონ აპოლონ კაკაბაძეს. ბატონმა აპოლონმა მადლობა გადაუხადა აკადემიის ხელმძღვანელობას გულთბილი მიღებისათვის. ისაუბრა სატყეო სააგენტოს საქმიანობაზე, ხედვებზე, სტრუქტურაზე, გაწეულ სამუშაოებზე, რის შემდეგაც ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ქალბატონმა ნათია იორდანიშვილმა დარბაზში მყოფ მსმენელებს წარმოუდგინა პრეზენტაცია თემაზე: „სატყეო რეფორმა და მიდინარე ღონისძიებები“.

პრეზენტაციის ფარგლებში განხილული იყო: ტყის ეკოლოგიურად გონივრული, სოციალურად სარგებ-ლიანი და ეკონომიკურად წარმატებული მართვა; სატყეო სააგენტოს განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2028; სოციალური ჭრები და ამ მიმართულებით დადგენილი ლიმი-ტები. გარდა ამისა საუბარი წარიმართა განხორციელებულ სამუშაოებზეც,



როგორცაა: ტყის ეროვნული აღრიცხვა, ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმის განახლება, რომელიც 2030 წლისათვის სრულად იქნება მოცული, ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები, რომელიც 2023 წელს 3440,2 ჰა ფართობზე განხორციელდება. ქალბატონმა ნათიამ აუდიტორიას მოუთხრო ტყეზე ზრუნვის მოხალისეობრივი პლატფორმის - „ტყის მეგობრის“ შესახებაც, ტყის აღდგენის სამიზნე რეგიონებზე. ხაზი გაუსვა იმას, რომ გათვალისწინებულია 20 000 ჰა ტყის აღდგენა, რასაც დასჭირდება 60 მლნ. გახარებული ხე და 6 მლნ. ნერგი.

პრეზენტაციის დასასრულს გაამართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: გ. ჯაფარიძემ, ნ. ჭითანავამ, თ. ყურაშვილმა. დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც ნ. იორდანიშვილმა ამომწურავი პასუხები გასცა.

მრგვალი მაგიდა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მან მადლობა გადაუხადა ბატონ ა. კაკაბაძეს და ნ. იორდანიშვილს მომზადებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება, რაც კიდევ უფრო ეფექტურს და პროდუქტიულს გახდის ურთიერთობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის.

**შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს
წევრებთან**



2023 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე საქმიანი ვიზიტით ესტუმრნენ აკადემიის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრს. შეხვედრა

გახსნა დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორმა, აკადემიკოსმა როლანდ კოპალიანმა, რომელმაც მიმოიხილა ცენტრის სამომავლო გეგმები და დასახული ამოცანები. ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ.

აღინიშნა, რომ ცენტრს მეტად მნიშვნელოვანი მისია აკისრია. ეს არის აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ეკონომიკურ-ორგანიზაციული და ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეებისა და მიღწევების რაციონალური გამოყენებისა და დანერგვის ორგანიზაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული, მდგრადი და სტაბილური განვითარება და სასურსათო უსაფრთხოება.

შეხვედრას ესწრებოდნენ და დისკუსიაში მონაწილეობდნენ:

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან კინწურაშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზა ლორთქიფანიძე; სოფლის მეურნეობის დოქტორები: ნუნუ ჩაჩხიანი, ნინო ყიფიანი, ეთერ ბენიძე, მარიეტა



თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა; ტექნიკის დოქტორები: სოსო თავბერიძე, მაყვალა ფრუიძე; ეკონომიკის დოქტორები: კახა კუპატაძე და დალი სილაგაძე.

შეხვედრა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში

2023 წლის ნოემბრის თვეში საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი გივი მიქანაძე შეხვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს და პრეზიდენტის მოადგილეს, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძეს. მან აკადემიის წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის საქმიანობის შესახებ. თავის მხრივ, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ კომიტეტის თავმჯდომარეს გააცნო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე არსებული გამოწვევები.

შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა ის შესაძლებლობები, რომლებიც ურთიერთ-თანამშრომლობით შეიძლება განვითარდეს საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით უმაღლესი საგანანათლებლო დაწესებულებების გაძლიერებისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით.



ი უ ბ ი ლ ა რ ე ბ ი

აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი - 75



1948 წლის 22 მარტს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თენგიზ ყურაშვილს.

ბატონი თენგიზ ყურაშვილი დაიბადა ჩხოროწყუმში, 1948 წლის 22 მარტს მოსამსახურის ოჯახში. თბილისის 36-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა და მიენიჭა ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაცია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როგორც მოწინავე სტუდენტი თენგიზ ყურაშვილი დატოვეს ინსტიტუტში. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ (1972-1973 წწ), 1974 წელს ბატონი თენგიზი ჩაირიცხა მოსკოვის ექსპერიმენტული ვეტერინარიის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში. თენგიზ ყურაშვილმა შეისწავლა და დაამუშავა ახალშობილთა კოლიბაქტერიოზის აღმძვრელის ანტიგენური თვისება და შექმნა პრეპარატი „კოლიბაქტერინი“ ახალშობილი ხბოების პერორალური იმუნიზაციისათვის. 1978 წელს იმავე ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ბატონმა თენგიზ ყურაშვილმა გაიარა მეცნიერის რთული და შრომატევადი გზა ასპირანტურიდან ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორამდე, პროფესორობამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, წვრილი ცხოველთა დაავადებების შემსწავლელი განყოფილების გამგედ, ინსტიტუტის პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში, ასრულებდა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას. 2006 წელს საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის და აგრარული უნივერსიტეტის გაერთიანების შემდეგ, ბატონი თენგიზი მუშაობას იწყებს სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეკანად. იმავე წელს არჩეული იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარედ. 2013 წელს დაინიშნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მედიცინის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე.

1985 წლიდან ბატონი თენგიზი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. კითხულობს ლექციებს: ცხოველთა ინფექციური დაავადებები, ეპიზოოტოლოგია და იმუნოლოგია, ლაბორატორიული კვლევის მეთოდები, ზოგადი და კერძო მიკრობიოლოგია, ცხოველური პროდუქტების (ხორცი, რძე, კვერცხი) მიკრობიოლოგია.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ბატონი თენგიზი დიდ დახმარებას უწევს საზოგადოებრივ მეურნეობებსა და ფერმებს, არის საქართველოს ვეტერინარიისა და მეცხოველეობის დარგის მუშაკთა კავშირის პრეზიდენტი, სურსათის

სააგენტოს კონსულტანტი. მისი კვლევითი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოველებისა და ფრინველების ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკასთან, მათ საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავებასთან და ცხოველურ პროდუქტებში პათოგენების შესწავლასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთი დაავადებების შესწავლას, როგორიცაა ფრინველის და ღორის გრიპი, ღორის აფრიკული ცხელება, ნიუკასლის ავადმყოფობა, პრიონებით გამოწვეული დაავადებები და სხვა. ბატონი თენგიზის მიერ საქართველოში პირველადაა შესწავლილი ბოცვრების ვირუსული ანემია, ცხვრების ჩლიქების ანაერობული სიდამპლე და სხვ. არ არის რაიონი და სოფელი სადაც იგი არ მიუწვევიათ ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და საწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვის მიზნით.

მნიშვნელოვანია ბატონ თენგიზ ყურაშვილის დამსახურება ახალგაზრდა თაობის და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 დისერტაცია, მ.შ. 3 სადოქტორო, ხელმძღვანელობას უწევს დოქტორანტებს. იგი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, გამოქვეყნებული აქვს 303 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. 6 სახელმძღვანელო, 5 რეკომენდაცია, 32 ბროშურა, 1 წიგნი (ცნობარი), მიღებული აქვს 16 პატენტი გამოგონებაზე. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და საგრანტო პროექტებში. გახლავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორი ვეტერინარიის დარგში.

ბატონი თენგიზი 1982 წელს დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით და ფულადი პრემიით, ხოლო 2000 წელს „ღირსების“ ორდენით. 2005 წელს არჩეული იქნა სომხეთის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ბატონი თენგიზ ყურაშვილი ბრძანდება შესანიშნავი მამა და ბაბუა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ბატონ თენგიზ ყურაშვილს ღირშესანიშნავ თარიღებს. უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებულ შრომით საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



2023 წლის 25 ივლისს დაბადებიდან 65 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სოფლის მეურნეობის დოქტორს, პროფესორ ლევან უჯმაჯურიძეს.

ბატონი ლევან უჯმაჯურიძე დაიბადა 1958 წლის 25 ივლისს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევში. ხევის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1976 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე, მევენახეობისა და მეღვინეობის ფაკულტეტზე სპეციალობით მებაღეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1981

წელს და მას მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. იმავე წელს ბატონმა ლევანმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი აგრონომის თანამდებობაზე, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში (1981-1983 წ. წ.), რომლის დასრულების შემდეგ კვლავ დაბრუნდა ხსენებულ ინსტიტუტში იგივე თანამდებობაზე.

1983-1987 წ. წ. ლევან უჯმაჯურიძე სწავლობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, მევენახეობის სპეციალობით, 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მას მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი სპეციალობაში მევენახეობა. 1983-1997 წ. წ. ლევან უჯმაჯურიძე მებაღეობა, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში თანმიმდევრულად იკავებდა უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობებს.

1998-2010 წ. წ. ბატონი ლევანი ხელმძღვანელობდა ვაზის სანერგე სექტორს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯილაურაში, შემდეგ ვაზის მიკროკლონური in vitro გამრავლების ლაბორატორიას და ვაზის ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო განყოფილებას.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში პროფესორი ლევან უჯმაჯურიძე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი იყო მრავალი კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელი მევენახეობის მიმართულებით; ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვა.

2007 – 2014 წლებში ბატონი ლევანი ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ „აგრო“-ს და შპს „აგრო-ქართუ“-ს ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნულ ცენტრს, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯილაურაში.

ლევან უჯმაჯურიძის მიერ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (მოლდოვა, უკრაინა, შუა აზიის რესპუბლიკები, ერეთი, ტაო-კლარჯეთი და სხვა) მოძიებული იქნა გადაშენების პირას მყოფი მრავალი ქართული ვაზის ადგილობრივი ჯიშები, რომელიც ამჟამად ჯილაურას ეროვნული და საერთაშორისო სტატუსის მქონე საკოლექციო ნარგაობაშია განთავსებული.

2014 წელს პროფესორი ლევან უჯმაჯურიძე არჩეულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორად, სადაც დღემდე მუშაობს.

პროფესორი ლევან უჯმაჯურიძე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის საქართველოს აგრარული, ტექნიკური და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების კონკურსების წესით არჩეული პროფესორი; არაერთი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.

2022 წლის 23 დეკემბერს ბატონი ლევან უჯმაჯურიძე არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე არის მევენახეობისა და მეღვინეობის ეროვნული კოორდინატორი.

აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე ბრძანდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ექსპერტი; არის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში (FAO); თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ინსტიტუტებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. იგი აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მას გამოქვეყნებული აქვს 78 სამეცნიერო ნაშრომი, ავტორია ერთი გამოგონების და 2 პატენტის, არის მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის, კონგრესის, შეხვედრების მონაწილე და პრეზენტატორი. ბრძანდება საქართველოს დამსახურებული მეღვინე.

ბატონი ლევანი არის საქართველოს დამსახურებული მეღვინე, დაჯილდოვებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით, სომელიეთა ასოციაციის ღვინის ორდენით. აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე არის საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების საპატიო წევრი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას დაბადების 65-ე და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მე-40 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.



2023 წლის 15 დეკემბერს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ზაურ ჩანქსელიანს.

ბატონი ზაურ ჩანქსელიანი დაიბადა 1948 წლის 15 დეკემბერს, ლენტეხის რაიონის სოფელ ბავარში, მოსამსახურის ოჯახში. მან 1966 წელს დაამთავრა ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის საშუალო სკოლა ვერცხლის მედლზე და სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-

სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს დაამთავრა წარჩინებით და მიენიჭა აგროქიმიკოსის კვალიფიკაცია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში აგროქიმიის სპეციალობაზე.

ზაურ ჩანქსელიანი 1971 წლიდან მუშაობას იწყებს მეცნიერ-თანამშრომლად ცენტრალური აგროქიმიური მომსახურების ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალში. 1973-1974 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1978 წელს ბატონმა ზაურ ჩანქსელიანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მას მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, სპეციალობაში აგროქიმია. 1979 წელს გადაყვანილ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “საქსოფლქიმიის” მცხეთის სარაიონთაშორისო გაერთიანების თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აგროქიმიური ლაბორატორიები მცხეთისა და დუშეთის რაიონებში, სადაც მოწმდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში ნიტრატებისა და ნიადაგებში საკვები ელემენტების შემცველობა.

1990 წ. ბატონი ზაური არჩეულ იქნა სამეცნიერო-საწარმოო კონსორციუმში „ქართლი“-ს პრეზიდენტად. 1992-1995 წლებში მუშაობდა პირველი მოწვევის პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსად. ამავე პერიოდში მან დაიწყო დისერტაციაზე მუშაობა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ბატონმა ზაურ ჩანქსელიანმა შეიმუშავა ნიტრატების დასაშვები ნორმების ახალი კლასიფიკაცია და შექმნა მათემატიკური ფორმულა ადამიანის საკვებ ულუფაში ნიტრატების დასაშვები ნორმის გასაანგარიშებლად. ამავე პერიოდში მის მიერ პირველად იქნა შესწავლილი არაგვის ხეობის ნიადაგებსა და წყლებში ნიტრატებისა და რადიონუკლიდების შემცველობა.

1994 წელს ბატონ ზაურ ჩანქსელიანის მიერ დაცული იქნა სადოქტორო დისერტაცია აგროქიმიის სპეციალობით და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1998 წლიდან იგი მუშაობას იწყებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად; 2001 წლიდან ბატონი ზაურ ჩანქსელიანი მუშაობას აგრძელებს ამავე ინსტიტუტისა და საქართველოს აგროეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად შექმნილ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში დირექტორად, ხოლო 2008 წლიდან საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების სამინისტროს სსიპ აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად.

ზაურ ჩანქსელიანი 1999 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2003 წელს კი აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). 2000-2006 წწ-ში იგი უშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე და კითხულობდა ლექციებს “რადიოეკოლოგიასა” და “ეკოტოქსიკოლოგიაში”.

მნიშვნელოვანია ბატონ ზაურ ჩანქსელიანის დამსახურება ახალგაზრდა თაობის და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 დისერტაცია მ.შ. 2 სადოქტორო და 5 საკანდიდატო, 12 მაგისტრანტმა დაიცვა მაგისტრის სამეცნიერო ნაშრომი.

ბატონი ზაურ ჩანქსელიანი წლების განმავლობაში იყო მრავალი მეცნიერებათა კანდიდატის და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად შექმნილი სადისერტაციო საბჭოების წევრი და ამჟამად არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შექმნილი სადისერტაციო საბჭოს წევრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და საგრანტო პროექტებში. გახლავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორი სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის დარგში. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მას გამოქვეყნებული აქვს რადიოლოგიისა და სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის საკითხებზე 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე წიგნი და დამხმარე სახელმძღვანელო.

ბატონი ზაური 2014 წლიდან არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო-სამართლის იურდიული პირის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ქვეყნის ნიადაგური საფარის კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების შედგენა-შემუშავება ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და მისი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლესა და ბაბუას დაბადების 75-ე და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

ღვაწლმოსილი მეცნიერების ხსოვნა

აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი ელგუჯა შაფაქიძე.

ბატონი ელგუჯა შაფაქიძე დაიბადა ქალაქ თბილისში, 1942 წლის 20 აგვისტოს მოსამსახურის ოჯახში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლა (ყოფილი მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა) და მუშაობა დაიწყო ქალაქ თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში ხარატად, სადაც იმუშავა 1962 წლამდე. პარალელურად 1959 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს და მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვეს სამუშაოდ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „ვენახის შრომატევადი სამუშაოების“ პრობლემურ ლაბორატორიაში უფროს კონსტრუქტორად. 1968 წელს ბატონი ელგუჯა ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა-იარაღების კათედრის ასპირანტად. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ვენახის საცავ ზოლში ნიადაგის დამუშავების მექანიზაცია“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1966-1967 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახურს და იყო თადარიგის კაპიტანი.

1974 წელს იგი კონკურსით არჩეული იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ფაკულტეტზე მექანიზაციის განყოფილების გამგედ.

1978 წელს მას მიენიჭა უფროსი მეცნიერ მუშაკის სამეცნიერო წოდება.

1981 წელს ბატონი ელგუჯა დაინიშნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1987 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა ამავე ფაკულტეტის დეკანად, სადაც იმუშავა 2005 წლამდე.

1985 წელს მას მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1993 წელს-პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1994 წელს ბატონმა ელგუჯამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1995 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2015 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

1997 წელს ბატონი ელგუჯა აირჩიეს უმაღლესი სკოლის მეცნიერების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად;

2004 – 2009 წლებში არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

2005-2007 წლების პერიოდში ბატონი ელგუჯა მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ნიადაგდამამუშავებელი და სამშენებლო მანქანების კათედრის პროფესორად და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად.

2006 წლიდან 2013 წლამდე არჩეული იქნა სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის (ამჟამად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულებით.

2011 წელს იგი აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში აქტიურად ეწეოდა სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 1998 – 2005 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

2012 წლიდან იგი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეაბრეშუმეობის ასოციაცია BACSA-ს კოორდინატორი საქართველოში.

2013 წლის 4 იანვრიდან უკანასკნელ დღემდე ბატონი ელგუჯა შაფაქიძე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიური დეპარტამენტის უფროსად, აკადემიის აკადემიკოს - მდივნად.

იგი აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. გამოქვეყნებული აქვს 283 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 13 რეკომენდაცია, მიღებული აქვს 10 საავტორო მოწმობა, 8 პატენტი გამოგონებაზე, 6 რაციონალიზატორული წინადადება.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად და ორი დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

ბატონი ელგუჯა 1988 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომის ვეტერანი“. 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“, 2006 წელს მიენიჭა „წლის ინჟინრის“ საპატიო წოდება. 2016 წელს მის ნაშრომს „საქართველოს მეაბრეშუმეობა-პრობლემები, რეაბილიტაცია, აღორძინება“ მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია აგრარულ დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის. 2017 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით აგროსაინჟინრო დარგში მიღწეული წარმატებებისათვის.

აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის სახით ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დაკარგა ღვაწლმოსილი მამულიშვილი, მეცნიერი და პედაგოგი, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი



გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი ოთარ ლიპარტელიანი.

ბატონი ოთარი დაიბადა 1932 წლის 5 დეკემბერს ლენტეხის რაიონის სოფელ კახურაში. ლენტეხის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1949 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და მისი დამთავრების შემდეგ მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

ბატონმა ოთარმა შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წელს საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1961 წლიდან 2006 წლამდე მან გაიარა დიდი და ნაყოფიერი გზა მცხეთის სასელექციო

სადგურში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდგომ განყოფილების გამგედ და დირექტორის თანამდებობაზე. 2006 წელს იგი არჩეულია ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად. 2014 წლიდან ბატონი ოთარ ლიპარტელიანი დაინიშნა და მუშაობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ერთწლოვანი კულტურების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად.

მან პირველმა დაიწყო მცენარეთა კერძო გენეტიკის კურსის კითხვა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრაზე (1976-1979 წ. წ.) და შემდეგ კითხულობდა სელექცია-გენეტიკის კურსს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკა-სელექციისა და მეთესლეობის კათედრაზე.

ბატონი ოთარი ითვლება საქართველოში სიმინდის სელექციაში პირველ ხაზთაშორისი ჰიბრიდების ავტორად. მან პირველმა შეაგროვა სიმინდის ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი (244 ნიმუში), შეისწავლა ისინი ბოტანიკურად, გენეტიკურად და დასახა მათი სელექციური გამოყენების სწორი გზები. მან პირველმა შეისწავლა ისინი კომბინაციური უნარიანობის მიხედვით, სტერილურობის მიმართ რეაქციის თვალსაზრისით და ამ მხრივ პირველმა მოგვცა მათი ბოტანიკური და გენეტიკური კლასიფიკაცია.

ბატონი ოთარ ლიპარტელიანი ბრძანდება 200-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოურ გამოცემებში, მათ შორის 7 მონოგრაფიის, ერთი სახელმძღვანელოს, 13 რეკომენდაციის. მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოყვანილი და წარმოებაში დანერგილია 25 ჯიში, მათ შორის ხორბლის 2 ჯიში, სიმინდის 15 ჰიბრიდი და 1 ჯიში, ქერის 4 ჯიში, ლობიოს მუხუდოს და ოსპის თითო ჯიში. აქედან სიმინდის 1 ჯიში და 2 ჰიბრიდი დარაიონებულია უცხოეთშიც.

ბატონი ოთარის სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული. იგი დაჯილდოვებულია საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით (1983 წ.); საქართველოს სახელმწიფო პრემიით მეცნიერებაში (1986 წ.); „ღირსების“ ორდენით (1999 წ.); საქართველოს

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით (2002, 2016 წ. წ.) და მინიჭებული აქვს საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრონომიულ დარგში (2013 წ.)

წავიდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ადამიანი ჩვენი რიგებიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მეცნიერის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

მისამართი: ივანე ჯავახიშვილის ქ. #51, 0102, თბილისი,
საქართველო

Address: 51, Ivane Javakhishvili str, 0102, Tbilisi, Georgia

www.gaas.dsl.ge

E-mail: conference.gaas@yahoo.com

Tel/Fax: (+995 32) 294 13 21